

მარადიული მოგზაური

/ლიტერატურული პარალელების სწავლება/



ბედნიერი იქნება ის დრო და ბედნიერი იქნება ის

საუკუნე, როცა, დაბოლოს, საქვეყნოდ აშკარად დაინახავენ ჩემ მიერ ჩადენილ სახელოვან საქმეებს, რომელნიც ღირსნი არიან ბრინჯაოზე აღსაბეჭდად, მარმარილოზე გამოსაქანდაკებლად და ტილოზე დასახატავად მომავალ თაობათა სამახსოვროდ

Miguel de Cervantes Saavedra

El ingenioso hidalgo don Quijote de la Mancha

„მარადიული მოგზაური“/ლიტერატურული პარალელების სწავლება/ ორი ნაწილისგან შედგება:

1. ლიტერატურული პარალელების სწავლება (მეთოდური მითითებები. კულტურათა დიალოგი. ესპანური რენესანსის უდიდესი წარმომადგენლის, მიგელ დე სერვანტეს საავედრას, რომანი, „დონ კიხოტი“, I – II წიგნი და ქართული ლიტერატურა);

2. მიგელ დე სერვანტეს საავედრას რომან „დონ კიხოტის“ (I და II წიგნი) ადაპტირებული ვარიანტი, ბავშვებისა და მოზარდებისთვის, შენიშვნებით, სარჩევითა და ამონარიდებით, ლიტერატურული პარალელებისათვის.

წიგნი დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, კულტურათაშორისი კომუნიკაციებით დაინტერესებულ ლიტერატურის მოყვარულებს.

მიგელ დე სერვანტეს საავედრას რომან „დონ კიხოტის“ I და II წიგნის შინაარსი შედგენილია ქვემოთ ჩამოთვლილი გამოცემების მიხედვით:

1. სერვანტესი მ. მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელი. წიგნი I. თბ.: „ნაკადული“, 1985, 551 გვ (მთარგმნელი ნიკო ავალიშვილი);

2. სერვანტესი მ. დონ კიხოტი. წიგნი II. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1959, 586 გვ (მთარგმნელი ნიკო ავალიშვილი).

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს გამოყენებულია:

1. ნიკა აგიაშვილისეული შენიშვნები, მიგელ დე სერვანტეს საავედრას რომან „დონ კიხოტის“ ზემოთ დასახელებული I და II წიგნიდან;

2. აგიაშვილი ნ. სერვანტესის ცხოვრება. თბ.: „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“ 2011, 278 გვ;

3. ინტერნეტსივრცე.

რედაქტორი–

ლუარა სორდია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

სრული პროფესორი

რეცენზენტები:

1. მარინა ტურავა, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

2. ელენე ფუტკარაძე, უფროსი მასწავლებელი

3. თეა სარიშვილი, უფროსი მასწავლებელი

სარჩევი

ნაწილი I

მარადიული მოგზაური/ ლიტერატურული პარალელების სწავლება/

(მეთოდური მითითებები. კულტურათა დიალოგი. ესპანური რენესანსის უდიდესი წარმომადგენლის მიგელ დე სერვანტეს საავედრას რომანი „დონ კიხოტი“, I- II წიგნი და ქართული ლიტერატურა);

შესავალი.....	გვ.5
თავი I. საკითხის შესწავლის ისტორიისათვის.....	გვ.8
თავი II. რაინდობა. რაინდები.....	გვ.15

თავი III. პერსონაჟთა ხატვის ხერხები, პარალელები:

ა) სერვანტესის „დონ კიხოტი“, ალფონს დოდეს „ტარტარენ ტარასკონელი“, ილია ჭავჭავაძის „კაცია– ადამიანი?!“;.....

გვ.19

ბ) სერვანტესის „დონ კიხოტი“ და გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.....

გვ.27

თავი IV. მეთოდური მითითებები:

ა) საორიენტაციო თემები პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილების გასააზრებლად;.....

გვ.29

ბ) საორიენტაციო თემები ინტეგრირებული გაკვეთილებისათვის...გვ.30

გ) ლიტერატურული პარალელებისთვის;.....

გვ.32

დ) სასწავლო რესურსებიგვ.33

ე) ამონარიდები ლიტერატურული პარალელებისათვის.....

გვ.36

ვ) „დონ კიხოტი“, მოკლე შინაარსი, მოქმედი პირები.....

გვ.43

~

დასკვნა.....

გვ.57

გამოყენებული ლიტერატურა.....

გვ.57

ნაწილი II

მიგელ დე სერვანტეს საავედრას რომან „დონ კიხოტის“(I და II წიგნი) ადაპტირებული ვარიანტი და ამონარიდები

შესავალიგვ.61

„დონ კიხოტი“, I წიგნი, შინაარსი.....გვ.62

„დონ კიხოტი“, I წიგნი, შენიშვნები.....	გვ.182
„დონ კიხოტი“, I წიგნი, სარჩევი.....	გვ.195
ამონარიდები „დონ კიხოტის“ I წიგნიდან.....	გვ.198
„დონ კიხოტი“, II წიგნი, შინაარსი.....	გვ.210
„დონ კიხოტი“, II წიგნი, შენიშვნები.....	გვ.362
„დონ კიხოტი“, II წიგნი, სარჩევი.....	გვ.369
ამონარიდები „დონ კიხოტის“ II წიგნიდან.....	გვ.373

ნაწილი I

შესავალი

თანამედროვე ქართული მწერლობა წარმოდგენელია მსოფლიო სალიტერატურო პროცესებთან კავშირის, კულტურათა კომუნიკაციის, ეროვნული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურასთან დამაკავშირებელი ლიტერატურული პარალელების გარეშე.

წინამდებარე წიგნის მიზანია, საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის(VII-IX კლასები) მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ეროვნული სასწავლო პროგრამის კვალდაკვალ შედეგების მიღწევა. მოსწავლემ უნდა შეძლოს:

„მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა:

- მხატვრულ ტექსტში გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მათი ეფექტურობის შეფასება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული მოვლენებისა და პრობლემების დაკავშირება სუბიექტურ გამოცდილებასთან;
- სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებში გამოკვეთილი პრობლემატიკის ერთმანეთთან დაკავშირება, შედარება და შეპირისპირება;
- ნაწარმოებში არსებული პრობლემური საკითხების მრავალმხრივი და არასტერეოტიპული ინტერპრეტაცია;
- სოციოკულტურული კონტექსტის გავლენის აღქმა-გააზრება ლიტერატურულ ნაწარმოებებში;
- ლიტერატურის მნიშვნელობის გააზრება ადამიანის შემეცნებითი, შემოქმედებითი და ეთიკური განვითარებისათვის;
- შეთხზვა წერილობითი ტექსტებისა, რომლებშიც მჟღავნდება მოსწავლის ლიტერატურული გემოვნება, შემეცნებითი ინტერესები, შემოქმედებითი უნარები“(ამონარიდი ეროვნული სასწავლო პროგრამიდან, თავი XI, საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში)[42,0].

მიზნის მიღწევა, მოსწავლეების მხრიდან, ტექსტის ადეკვატური გააზრებისა და, მასწავლებელთა მიერ, შესასწავლი საკითხისადმი სწორი მეთოდოლოგიური მიდგომის გარეშე შეუძლებელია.

მიგვაჩნია, რომ დაწყებითი(I-VI) და საბაზო (VII-IX) საფეხურის მოსწავლეებისათვის, „დონ კიხოტის“ მთლიანობაში გაცნობიერება, მისი დიდი ფორმატის გამო, რთულია, ადაპტირებული ტექსტი აადვილებს მხატვრული ნაწარმოების აღქმასა და ლიტერატურული პარალელების მოძიებას, სასურველია, მათ წინასწარ გავაცნოთ რომანის I და II წიგნი (ან ერთ-ერთი: ნაწარმოების მოკლე შინაარსი, ადაპტირებული ვარიანტი, ამონარიდები).

მხატვრული ნაწარმოების აღქმას, ხშირად, ახლავს სირთულეები. ლიტერატორი, გერმანისტი რეზო ყარალაშვილი (1940–1989), ესეში, „მხატვრული ნაწარმოების აღქმა“, ყურადღებას ამახვილებს ლიტერატურული ნაწარმოების გაგების პროცესზე, რომელიც: „გულისხმობს არა მხოლოდ ფაქტების დონეს, არამედ მთელ ნაწარმოებს, როგორც გარკვეული შინაარსის შემცველ მოდელს...მოდელი ვლინდება ნაწარმოების სიუჟეტის, ტროპების, თხრობითი სტილის, კომპოზიციისა და სხვადასხვა კოდების ერთობლიობაში...“ ავტორის თქმით, ეს კოდებია: გამოსახვის საშუალებათა, ჟანრული, კულტურის, გამოცდილების ანუ ფსიქოლოგიური კოდები. „მკითხველს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ცოდნის მარაგი, რომელიც კითხვის პროცესში რეაგირებას მოახდენს ტექსტის სიგნალებზე და ხორცს შეასხამს მხატვრულ სინამდვილეს“[9,36-37]. თითქმის ამავე აზრს ავითარებს იტალიელი მწერალი, მთარგმნელი და კრიტიკოსი, ჩეზარე პავეზე (1908–1950), რომელიც მიიჩნევს, რომ რომანის გაგებისთვის აუცილებელია, შესაბამისი ეპოქა და პრობლემები გესმოდეს(45,0].

ცნობილი ქართველი მწერლის, ოთარ ჩხეიძის (1920–2007) მიერ, გასული საუკუნის 80–იან წლებში, ერთ-ერთ ესეში, „მკითხველი“, გამოთქმულია მოსაზრება კითხვის პრობლემებთან დაკავშირებით: „საუკეთესო მკითხველი მცირეა, დაბალი მკითხველი თუ სუსტი მკითხველი მეტია უფრო“. მწერლის თქმით, კითხვა ნიჭია, უნარია. მას სტუდენტებთან უნახავს სამწუხარო რეალობა, კლება მკითხველთა რიცხვისა და უცნაური კურიოზებიც: „ერთს, მაგალითად, „დონ კიხოტი“ ძლივს წავაკითხე და ისიც ქარის წისქვილებამდისა“, ერთმაც, თურმე, მისი რჩევით, „მოძებნა ყველა წიგნი, ყველა დაიწყო და ყველასი წაიკითხა პირველი გვერდი, მხოლოდ პირველი“, „ერთმა წაიკითხა „რობინზონ კრუზო“, ხუთი წელი კითხულობდა... მწერალი, ამავე ესეში მიუთითებს, რომ არსებობდა განსხვავებული ნიჭის მქონე საუკეთესო ახალგაზრდობაც, რომელიც კითხვას „აუარება დატვირთვის პირობებშიც“ ახერხებდა: „საკვირველი ესაა, სკოლაშიც ასწრებენ, უმაღლესშიცა“[9, 21-24]

მიგელ დე სერვანტეს საავტორო „დონ კიხოტის“ I წიგნი 52, ხოლო II – 74 თავისგან შედგება, არსებობს ამ ნაწარმოების ადაპტირებული ვარიანტი, დათო ტურაშვილის ავტორობით, რაც ბავშვებს სქელტანიანი ნაწარმოების აღქმაში ეხმარება. წინამდებარე წიგნი, „მარადიული მოგზაური“, სერვანტესის უკვდავი ქმნილების შინაარსს უფრო ვრცლად წარმოგვიდგენს, ყველა თავის მიხედვით (აქვე, თხზულებას უფრო მოკლედ გადმოცემულსაც იხილავთ). მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს მიაჩნია, რომ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის გამორჩეული ნაწარმოები, რომელშიც ნოველებიცაა ჩართული, რთული ენითაა დაწერილი და ამიტომ ორიგინალს ფრაგმენტების სახით ეცნობიან (აქ მოგვყავს ინტერნეტსივრცეში არსებული მათი ერთი ნაწილის მოსაზრება, ლ. ბერძენიშვილის საავტორო გადაცემიდან „წიგნები“. მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტი“ <https://soundcloud.com>).

შესადარებელ ობიექტებს შორის, მსგავსება–განსხვავებების წარმოჩენის საშუალებას შედარებით–ტიპოლოგიური მეთოდი გვაძლევს.

მეცნიერ ნ. გაფრინდაშვილის თქმით, **შედარება** ყველაზე ეფექტური მეთოდია, მისი დახმარებით შეგვიძლია ერთმანეთს დავუკავშიროთ ორი ან რამდენიმე ეროვნული ლიტერატურა, ორი ან რამდენიმე მწერლის შემოქმედება: „მარადიულ სახეებს შესწევთ უნარი, გადავიდნენ ერთი ავტორის შემოქმედებიდან მეორე ავტორის შემოქმედებაში და ყოველ ჯერზე შეიძინონ რაღაც ახალი და მიმზიდველი ნიშანი, მოხეტიალე სიუჟეტები მეტად დამახასიათებელია ფოლკლორისათვის, თუმცა, ეს მოვლენა ლიტერატურასაც უძველესი დროიდან ახასიათებს“ [3,11–12].

ქართულ ეროვნულ თხზულებებში ვხვდებით მიგელ დე სერვანტეს საავტოროსა და მისი უკვდავი პერსონაჟების სახეებს, ჟანრული თუ თემატური საკითხების თანხვედრას, დონკიხოტურ რემინისცენციებს (ამ საკითხზე იხ. ლ. გერგედავა, დისერტაცია: „დონკიხოტური რემინისცენციები მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა) და ალუზიებს, ლიტერატურული ზეგავლენების მაგალითებს. ნაშრომში **კვლევის ობიექტს** წარმოადგენს ლიტერატურული პარალელების მოძიება და მათი სხვადასხვა ასპექტის მიხედვით შედარება. საკითხი **აქტუალურია**, რადგან ეს დაგვეხმარება ეროვნული ლიტერატურა გავიაზროთ მსოფლიო კულტურის კონტექსტში.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც მეთოდური დამხმარე მასალა, კულტურათა დიალოგის წარმოსაჩენად.

„მარადიული მოგზაურის“ I ნაწილი შედგება შესავლის, 4 თავისა და დასკვნისაგან, ერთვის დამოწმებული ლიტერატურის სია.

ნაწილი II შეიცავს „დონ კიხოტის“ I წიგნის 52 და II წიგნის 74 თავის ადაპტირებულ ვარიანტს, შენიშვნებით, სარჩევებითა და ამონარიდებით, რომანიდან .

თავი I

საკითხის შესწავლის ისტორიისათვის

მიგელ დე სერვანტეს საავედრას (1547-1616), აღორძინების პერიოდის ცნობილ ესპანელ მწერალს, ჰუმანისტს, პოეტსა და დრამატურგს, თანამედროვე რომანის ფუძემდებელს, ნაწარმოებმა „დონ კიხოტმა“ (1605-1615) გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა ესპანური და მსოფლიო ლიტერატურის კულტურის საგანძურში. თხზულებაში ოსტატურადაა შერწყმული რეალიზმი, რომანტიკა და ჰეროიკა, ის ესპანური ლიტერატურის „ოქროს ხანას“ მიეკუთვნება და მიიჩნევენ, რომ ამავე ქვეყნის XVI-XVII საუკუნეების ცხოვრების ენციკლოპედიური ასახვაა, მისი გმირი დონ კიხოტი კი - მარადიული მხატვრული სახე.

მიგელ დე სერვანტეს საავედრა (Miguel de Cervantes Saavedra), დაიბადა ესპანეთში, ქალაქ ალკალა-დე-ენარესში, 1547 წლის 29 სექტემბერს.

მამა-როდრიგო დე სერვანტესი, ქირურგად მუშაობდა, დედა-დონა ლეონორა დე კორტინასი, დიასახლისი იყო. ხუთი შვილი ჰყავდათ. მიგელი მესამე იყო.

მიგელის დებს ანდრეა და ლუიზა ერქვათ, ძმას –როდრიგო...

მომავალმა მწერალმა პირველდაწყებითი განათლება თავის ქალაქში მიიღო, მერე კი სწავლობდა სალამანკის უნივერსიტეტში (ესპანეთის უძველესი საგანმანათლებლო კერა).

1560-1568 წლები სერვანტესთა ოჯახმა მადრიდში, ესპანეთის დედაქალაქში, გაატარა. აქ დიდი იმპერიის ბატონ-პატრონი, მეფე ფილიპე II, ცხოვრობდა. ის, იმ

პერიოდში, თითქმის ნახევარ ევროპას, ამერიკის დიდ ნაწილსა და აფრიკისა და აზიის კოლონიებსაც ფლობდა.

1566–1569 წლებში მომავალი მწერალი სწავლობდა მადრიდის სკოლაში.

1568 წელს მიგელი გამოჩენილი ჰუმანისტის, ლათინური სკოლის რექტორ ხუან ლოპეს დე ოიოსის, მოსწავლე გახდა.

1569 წელს, სერვანტესი რომში კარდინალ აკვაივას კამერდინერად მუშაობდა. 1570 წელს მსახურობდა საზღვაო ფლოტში.

1571 წელს **ლეპანტოში** დაიწყო „კვიპროსის ომის (1570–1573 წწ.) უკანასკნელი დიდი ბრძოლა ოსმალეთსა და საღვთო ლიგის (ვენეცია, ესპანეთი, რომის პაპი, მალტა და იტალიის სახელმწიფოები: გენუა, ნეაპოლი, სიცილია, სავოია და სხვა) ნიჩბიან ფლოტებს შორის“ [21,0].

ხმელთაშუა ზღვაზე მოთარეშე თურქები ესპანელებმა დაამარცხეს. 1571 წელს სერვანტესი ნეაპოლის სამხედრო ნაწილს შეუერთდა და ლეპანტოს ბრძოლაში (1571 წელი, 7 ოქტომბერი), მიიღო მონაწილეობა, სადაც მწერალი ორჯერ მძიმედ დაიჭრა, მკერდში და დაკარგა მარცხენა ხელი („к вѣщѣй славе правой“ – „Путешествие на Парнас“) და სხვა დაჭრილებთან ერთად, მკურნალობდა ჰოსპიტალში. მაშინ ის 24 წლისა იყო. გამოჯანმრთელების შემდეგ, 1572 წელს, სერვანტესი გაემგზავრა პალერმოში და მონაწილეობა მიიღო ტუნისის ექსპედიციაში. 1573 წლის დასასრულიდან 1574 წლის მაისამდე, იმყოფებოდა კუნძულ სიცილიაზე, იქიდან ჯერ გენუაში, შემდეგ ლომბარდიაში (იტალია) გაემართა. მწერალი კიდევ სამ ბრძოლაში მონაწილეობდა, თავის ძმასთან, როდრიგოსთან, ერთად.

1575 წელს, 7 სექტემბერს, მიგელმა დატოვა იტალია, უმცროს ძმასთან, როდრიგოსთან, ერთად. მას ორი სარეკომენდაციო წერილი მოჰქონდა მეფე ფილიპე II–სთან, ერთი მთავარსარდალ ხუან ავსტრიელს ეკუთვნოდა, მეორე ნეაპოლის ვიცე-მეფე, ჰერცოგ დე სესას. 26 სექტემბერს, ისინი ალჟირელმა მეკობრეებმა შეიპყრეს, დატყვევებულები წაიყვანეს ალჟირში. სარეკომენდაციო წერილები რომ წაიკითხეს, ეგონათ, მნიშვნელოვან პიროვნებებს გადავაწყდითო და დიდი გადასახადი შეაწერეს. 5 წლის განმავლობაში იყო დატყვევებული. ძმებმა ოთხჯერ სცადეს გაქცევა, იმიტომ, რომ მათ გამოსასყიდად დიდ თანხას ითხოვდნენ, რისი გადახდის უნარიც სერვანტესების ოჯახს არ ჰქონდა. გაქცევის ყველა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

1580 წელს, წმინდა სამების ორდენის დახმარებითა და ოჯახის მიერ გამოსასყიდი თანხის დიდი წვალებით შეგროვების შემდეგ, ჯერ როდრიგო, უმცროსი ძმა, მოგვიანებით კი მწერალი გაათავისუფლეს ტყვეობიდან.

მადრიდში დაბრუნებულ მწერალს ერთი გოგონა შეუყვარდა, შვილიც შეეძინა, მაგრამ შეყვარებულების ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

1581–1583 წლებში ისევ არმიაში, პორტუგალიის ტერიტორიაზე. მსახურობდა, სერვანტესმა ამის შემდეგ თავი დაანება სამხედრო სამსახურს და ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი.

1580 წლის დასასრულიდან 1587 წლამდე ცხოვრობდა მადრიდში, ტოლედოსა და ესკივიასში.

1584 წლის დეკემბერში, სერვანტესი ესკივიასში დაქორწინდა 19 წლის კატალინა დე პალასიოსზე. 1587–1600 წლებში ცხოვრობდა სევილიაში. მუშაობდა გადასახადების ამკრეფად, სამხრეთ პროვინციაში. მეზღვაურების დასახმარებლად ზეთსა და ხორბალს აგროვებდა. მოხელეებმა მოატყუეს, თანხის მითვისება დაბრალდა და დაატყვევეს.

მისი ბიოგრაფიების ცნობით, ოთხჯერ იყო დაპატიმრებული(1592,1597, 1602, 1605). ერთ–ერთი ტყვეობის დროს, 1602 წელს, სევილიის ციხეში დაიწყო „დონ კიხოტის“ წერა.

1604 წელს სერვანტესი ქალაქ ვალიადოლიდშია. სიცოცხლის ბოლო წლები მწერალმა მადრიდში, სილარიბეში გაატარა. აქ ის საცხოვრებლად, ოჯახთან ერთად, 1608 წელს გადავიდა.საარსებო დახმარებას ღებულობდა ლემოსის გრაფის, პედრო ფერნანდეს დე კასტროსა და ტოლედოს არქიეპისკოპოსისაგან.

1609 წელს სერვანტესი ფრანცისკანელი ბერების სამმოს წევრი გახდა.

გარდაცვალებამდე, რამდენიმე დღით ადრე, მწერალი ბერად აღიკვეცა. ფრანცისკანელმა ბერებმა ის თავიანთი სახსრებით დაასაფლავეს. ცოტა უფრო ადრე კი, მისი ცოლი და ორი და აღიკვეცა მონაზვნად.

სერვანტესი 1616 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა მადრიდში, წყალმანკისაგან.

მწერლის საფლავი დაიკარგა, მისი ადგილმდებარეობის შესახებ, დიდი ხნის განმავლობაში, არაფერი იცოდნენ.

ტრინიტარიელთა (Trinitarias Descalzas) დედათა მონასტრის ეზოში, სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად, მწერლის დაკარგული საფლავი 2015 წლის მარტში აღმოაჩინეს. არქეოლოგიური სამძებრო სამუშაოები ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

2015 წლის 11 ივნისს, მიგელ დე სერვანტეს საავედრას ნეშტი მადრიდის წმინდა სამების მონასტერში დაკრძალეს.

სერვანტესის შემოქმედება მრავალფეროვანი და საინტერესოა,

- პირველი წიგნი „გალათეა“ (1585) ლექსად და პროზად დაწერილი პასტორალური ნაწარმოებია;
- „სამოდვრებო ნოველები“ (1613) ესპანეთის ხალხის ყველა ფენის ცხოვრებას ასახავს. მასში შემავალი 12 შესანიშნავი ნოველა 30 წლის განმავლობაში იქმნებოდა, ის სერვანტესის ერთ-ერთ საუკეთესო წიგნად ითვლება. ესპანელმა მწერალმა, დრამატურგმა ტირსო დე მოლინამ (Tirso de Molina, ფსევდ.; ნამდვ. სახელი და გვარი - გაბრიელ ტელიესი, Téllez - 1571 ან დაახლ. 1583-1648) მის ავტორს „ესპანელი ბოკაჩო“ უწოდა (ჯოვანი ბოკაჩო-1313-1357, იტალიელი მეცნიერი და მწერალი);
- „დონ კიხოტი,“ (პირველი თანამედროვე რომანი) I ნაწილი, გამოქვეყნდა მადრიდში(1605, გამომცემლები: ფრანსისკო რობლესი და ხუან დე ლა კუესტა).

„სანამ სერვანტესი თავისი „დონ კიხოტის“ უზარმაზარი წარმატებით ტკბებოდა, მას საოცარმა ყალბისმქნელმა მოაკითხა. პირველ ტომს, რომელიც დიდ შედევრად აღიარეს, ვინმე თაღლითმა, რომელიც ალონსო ფერნანდეს აველიანედას ფსევდონომს ამოეფარა, მოულოდნელად მიაყოლა... მეორე ტომი! ამ აველიანედამ არა მარტო გამოიყენა სხვისი ისტორია, არამედ ფაქტობრივად სერვანტესის რომანზე ბოროტი პამფლეტი დაწერა. „დონ კიხოტის“ გმირები მან დაამახინჯა და შეგნებულად გააუხეშა, დონ კიხოტი ჭკუაზე შემლილ ბეზერად წარმოადგინა, სანჩო პანსა კი სულელ და ძუნწ ღორმუცელად. ეს ვიგინდარა თვით სერვანტესსაც არაერთგზის თავხედურად დაესხა, მაგრამ მიზანს კი მიაღწია - მისი ნაყალბევი მკითხველებმა პირდაპირ დაიტაცეს. საქმეს, ცხადია, თვით სერვანტესი თუ უშველიდა. 1615 წელს მან „დონ კიხოტის“ მეორე ტომი გამოსცა და ლიტერატურული ქურდებიც სამუდამოდ გააწბილა[17.0].

- „მოგზაურობა პარნასზე“(1614) სატირული პოემაა, სერვანტესმა ამ ნაწარმოებით ხალხს უჩვენა, რომ ხელოვნებისთვის მანერულობა ცუდია, ის სიმართლეს უნდა ასახავდეს და არ უნდა არწმუნებდეს ადამიანებს, რომ ირგვლივ ყველაფერი კარგადაა;
- „დონ კიხოტი“, II ნაწილი(1615);
- „კომედიები და ინტერმედიები“(1615);
- „ჩრდილოეთური მოთხრობა პერსილესისა და სიგიზმუნდას მოგზაურობასა და ვნებებზე“ (1617), პროზად დაწერილი ეპიკური პოემა (სერვანტესის უკანასკნელი

ნაწარმოები, გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ). სერვანტესი მიიჩნევდა, რომ ის საუკეთესო იყო თავისი შემოქმედების ნიმუშთა შორის.

ნაწარმოებები: „სამოდღვრეო ნოველები“, „დონ კიხოტის“ II ნაწილი, „კომედიები და „ინტერმედიები“, „ჩრდილოეთური მოთხრობა პერსილესისა და სიგიზმუნდას მოგზაურობასა და ვნებებზე“ მწერალმა ლემოსის გრაფის დახმარებით გამოსცა და მას მიუძღვნა (იგულისხმება ესპანელი მეცენატი, არისტოკრატი, სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, დონ პედრო ფერნანდეს დე კასტრო, 1576-1622) [59,0]. სამწუხაროდ, სერვანტესის ბევრი სხვა ქმნილება დაიკარგა.

საყოველთაო აღიარება მას „დონ კიხოტმა“ მოუტანა.

ნაწარმოებში ერთმანეთს ენაცვლება სატირა და იუმორი. ავტორმა გამოიგონა არაბი ისტორიკოსი, სიდ ჰამეტ ბენენჰელი, რომლის ხელნაწერიც ჰქონდა წაკითხული, თითქოს, მთხრობელი სწორედ ეს პიროვნება გახლავთ.

ესპანეთში „ამადის გალელის“ (გამოსცა გარსია როდრიგეს დე მონტალვომ) გამოსვლის (1508) შემდეგ, 1603 წლამდე, მსგავს თემაზე, 120 თხზულება იყო გამოცემული. მასში მოთხრობილია უელსის უფლისწულ ამადის გალელისა და ინგლისის მეფის ასულ ორიანას მიჯნურობის ამბავი.

„დონ კიხოტის“ I ნაწილის VI თავში პერსონაჟები აღნიშნავენ, რომ ამადის გალელის ოთხნაწილიანი ისტორია ესპანეთში გამოსული პირველი რაინდული რომანია და ყველა დანარჩენი მისი მიბადებითაა წარმოშობილი.

„დონ კიხოტი“ მსოფლიო ლიტერატურის ერთ–ერთი პოპულარული სახეა. მსოფლიოში არცთუ ისე ბევრია ლიტერატურული გმირი, რომლებსაც ძეგლებს უდგამენ. მაგრამ, ამავე დროს, დონ კიხოტი ამოუცნობი პერსონაჟია, ვინ არის ის, უცნაური ფანტაზიორი–მას აქვს საკუთარი ტრაგიკული და ტანჯული ფილოსოფია, რომელიც, რა თქმა უნდა, თვით ავტორს ეკუთვნის. სწორედ აქ იმალება ნაწარმოების მართებული ახსნა. დონ კიხოტი ამბობს, რომ მან მიიღო რაინდობა, რათა დაიცვას ღარიბნი და დაჩაგრულნი მდიდრების უსამართლობისაგან. იგი აცხადებს: „მე ღმერთის განგებით დავიბადე ჩვენს რკინის საუკუნეში, რათა იგი ოქროს საუკუნედ ვაქციო“. პატარა ბიჭუნას დაცვა, პატიმრების გათავისუფლება და ბრძოლები ბოროტების ურიცხვ მესვეურთან არის ცდა, დაუბრუნდეს იგი დაკარგულ ოქროს ხანის იდეალებს...

...„დონ კიხოტი“ სატირა არ არის, იგი ტრაგიკომედიაა სერიოზული ფილოსოფიური საფუძვლით, რომელიც მომავლისთვისაა განკუთვნილი“...[16, 130–131]

მახვილგონიერ ლამანჩელ იდალგოზე დაწერილი ნაწარმოები (რომელშიც 669 მოქმედი გმირია), პაროდიაა შუა საუკუნეების სარაინდო რომანებზე. მისი პოპულარობა დღითიდღე მატულობს. ზოგიერთი მკვლევრის თქმით, გამოცემის რაოდენობის მხრივ, ის მეორეა ბიბლიის შემდეგ. ნაწარმოები განუხორციელებელი იდეალებისათვის მებრძოლი კეთილშობილი იდალგოს სახეს გვიხატავს.

„დონ კიხოტის“ პირველ ნაწილში გადმოცემულია რაინდის ორი გამგზავრება (პირველი–მარტო, მეორე–საჭურველმტვირთველ სანჩო პანსასთან ერთად) და უამრავი ტრაგიკომიკური თავგადასავალი. იდალგოს ფუნდუკი ციხე–სიმაგრე ჰგონია, ქარის წისქვილები - დევები და ასე შემდეგ.

რომანის მეორე ნაწილში ნაჩვენებია რაინდის მესამე გამგზავრება, ბარსელონაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან. რაინდს წილად ხვდა ფათერაკები, ილუზიური ბრძოლები, მრავალი გამარჯვება და დამარცხება. მას, სიკვდილის წინ, გონება დაუბრუნდა და უარყო თავისი გაუაზრებელი ქმედებები. ერთ–ერთი პერსონაჟის, სამსონ კარასკოს, თქმით: „სამარადისო ჰპოვა სახელი, და მოკვდა გიჟი, როგორც ჭკვიანი.“

სულიერად, ცხოვრების გზაზე, პერსონაჟმა დონ კიხოტმა ამგვარი მეტამორფოზა განიცადა:

იდალგო ალონსო კიხანა– რაინდი დონ კიხოტი–იდალგო ალონსო კიხანა კეთილი.

(სანჩოს თქმით, ის მწუხარე სახის რაინდია, დონ კიხოტმა კი, ლომებთან „ბრძოლის“ შემდეგ, ლომთა რაინდი შეირქვა)

ერთხმად აღნიშნავენ, რომ რომანმა „დონ კიხოტმა“ საყოველთაოდ დაამკვიდრა ტერმინები და იდიომატური გამოთქმები:

დონკიხოტიზმი–კეთილშობილი, განუხორციელებელი იდეალებისკენ სწრაფვა;

დონკიხოტობა –(დონკიხოტობს), დონკიხოტურად იქცევა;

როსინანტი–გამვეალტყავებული ჯაგლაგი ცხენი, სერვანტესის რომანის მთავარი გმირის, დონ კიხოტის, ცხენის სახელის მიხედვით ;

ქარის წისქვილებთან ბრძოლა–არარეალურ, გამოგონილ, წარმოსახვით მტრებთან ბრძოლა.

• • •

„დონ კიხოტის“ სტრუქტურა. ნაწარმოების I წიგნი შედგება პროლოგისა და 52 თავისაგან. მასში ჩართულია რამდენიმე ნოველა და მოთხრობა:

- მწყემსების–ქრიზოსტომისა და მარსელას ამბავი, XII– XIII– XIV;
- კარდენიოსა და ლუსინდას, დონ ფერნანდოსა და დოროთეას ისტორიები, XXIV;
- მოთხრობა „უგუნური ცნობისმოყვარის ამბავი“(კამილას, ანსელმოსა და ლოტარიოს შესახებ), XXXIII– XXXIV;
- კლარა ვიედმასა და დონ ლუისის ამბავი, XLII– XLIII– XLIV;
- მწყემსის ნაამბობი (ეუხენიოს ანსელმოსა და ლეანდრას ისტორია) LI;

„დონ კიხოტის“ II ნაწილში პროლოგი და 74 თავია. მასში ჩართულია:

- თოჯინების თეატრის წარმოდგენა (დონ გაიფეროსისა და მისი ცოლის, მელისენდრას, მავრებისგან გათავისუფლების ამბავი) XXVI.

•••

საქართველოში, ქართული პრესა სერვანტესის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი ყოველთვის შეუწინაღობელი ინტერესს იჩენდა. დონ კიხოტის სახე ასაზრდოებდა ილია ჭავჭავაძის, ვაჟა –ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და ბევრი თანამედროვე ხელოვანის, მწერლისა და მხატვრის, შემოქმედებას. მას ბიოგრაფიული პროზა, „სერვანტესი“, მიუძღვნა ქართველმა მწერალმა ნიკოლოზ (ნიკა) აგიაშვილმა (1903-1984). ნაწარმოები პირველად დაიბეჭდა 1941 წელს.

„წიგნის შედგენისას ავტორმა ისარგებლა იმ მდიდარი ლიტერატურით, რომელიც ეხება სერვანტესის ლეგენდარულ ცხოვრებას და მისი დროის ესპანეთს.

უმთავრესად გამოიყენა:

- ბრუნო ფრანკის „სერვანტესი“
- ჰანს რინერის „მახვილგონიერი იდალგო მიგელ დე სერვანტეს საავედრა“
- ვ. ვიგოსკაიას „ალჟირის ტყვე“
- ალ. ალტაევის „მიგუელ სერვანტესი“
- უილიამ პრესკოტის „ფილიპე მეორის ისტორია“
- ჯორჯ ტიკნორის „ესპანეთის ლიტერატურის ისტორია“
- ციმაკიონის „სერვანტესი“
- „სტატიები და მასალები სერვანტესის შესახებ“, 1948
- ვ.კარელინის და მ.ვატსონის მიერ თარგმნილი „დონ კიხოტი“–ბიოგრაფია შენიშვნებით.
- 1932 წლიდან 1964 წლამდე რუსულ ენაზე თარგმნილი სერვანტესის ნაწარმოებები.

ამასთანავე:

- ჰაინრიხ ჰაინეს, ლ.ვიარდოს, ლ.შეპელევიჩის, ნ.სტოროჟენკოს, ფ.კელინის, კ.დერჟავინისა და სხვათა შრომები.

ზოგიერთი ეპიზოდი ამოღებულია სერვანტესის „დონ კიხოტიდან“ და მისი ავტობიოგრაფიული ნოველებიდან.

რომანში ჩართული სხვადასხვა ფაქტი, ცნობა და ამბავი გენიალური მწერლის შესახებ, ხსენებულ ავტორთა მონათხრობი ამბების შინაარსი, აზრი და ხშირად მთელი თავები და ფრაზები უცვლელადაა დატოვებული, მაგრამ წინადადებები სავსებით გადმოქართულებულ –გადმოკეთებულა –თანმიმდევრობის დაურღვევლად“[24,0].

თავი II

რაინდობა

„რაინდი — წოდება, რომელიც XI საუკუნის დამდეგისათვის ევროპაში წარმოიშვა. რაინდი კეთილშობილ მეომართა საზოგადოებიდან მოდიოდა, რომლისთვისაც უპირველესი ღვთის სამსახური და ღირსების დაცვა უნდა ყოფილიყო. რაინდობა გავრცელებული იყო დასავლეთ ევროპაში, ასევე ევროპის ზოგიერთ სხვა ნაწილში, ქრისტიანულ სახელმწიფოებში, მათ შორის [37,0].

რაინდად გახდომისთვის კეთილშობილი ოჯახის ვაჟი შვიდი წლის ასაკიდან სენიორის ოჯახში ჯერ საჭურველმტვირთველობას სწავლობდა, ოცდაერთი წლისას კი აკურთხებდნენ რაინდად.

კურთხევის ცერემონიალის წინ, განზანდობდა და თეთრ სამოსში გამოწყობილს, ღამე ტაძარში უნდა გაეთია, ლოცვით.

დონ კიხოტი მეფუნდუკისგან მოითხოვს დალოცოს იგი რაინდად: „ხვალ, განთიადისას, რაინდად უნდა დამლოცოთ; ხოლო უწინარეს ამ დიდი ღირსების მონიჭებისა, რისაც ესოდენ ძლიერ მომლოდინე ვარ, ნება მობოძეთ თქვენი ციხე-დარბაზის სალოცავში იარაღის დარაჯობით ღამე გავათიო“...

ბრძოლისას, რაინდებს სხეული ჯავშნით ჰქონდათ დაფარული, თავზე იხურავდნენ მუზარადს, რკინის ჩაფხუტს. იარაღს წარმოადგენდა მახვილი, შუბი და ფარი.

იდალგომ, როდესაც რაინდად გახდომა გადაწყვიტა: „გაწმინდა სადღაც კუთხეში მიყრილი, საუკუნოვანი ჟანგითა და ობით დაფარული მამაპაპისეული იარაღი. როგორც შეეძლო, კარგად გააპრიალა და შეაკეთა ის; მაგრამ ანაზღად შენიშნა, რომ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი აკლდა: ზარადიანი ჩაჩქანის ნაცვლად ნაგლეჯილა დარჩენილიყო. მაგრამ მისმა ხერხიანობა აქაც უშველა: მუყაოსაგან ნახევრად-ჩაჩქანი გააკეთა, ნაგლეჯს მიამაგრა და ნამდვილი ჩაჩქანის მსგავსი რაღაც შეაკოწიწა. არ დავფარავთ, რომ ჩვენს იდალგოს მოუნდა - გამოეცადნა მისი სიმტკიცე და გაეგო - გაუძლებდა თუ არა ის ბრძოლებს. ამ განზრახვით დაშნა აიღო, ორჯერ ღონივრად შემოჰკრა ჩაჩქანს და მთელი კვირის ნამუშევარი პირველივე დარტყმით ერთ წუთშივე გაანადგურა. ჩაჩქანი რომ ასე ადვილად ნაკუწ-ნაკუწად იქცა, არც თუ დიდად ესიამოვნა, და რომ ასეთი საბრთხისათვის კვლავ თავი დაეღწია, ჩაჩქანის კეთებას

ხელმეორედ შეუდგა. მეტი სიმაგრისათვის შიგ რამდენიმე ფირფიტა დაატანა და მავთულით რკინის ბალთები გაუკეთა“ („დონ კიხოტი“, I ნაწილი, თავი I).

„რანდთა განმასხვავებელი ნიშანი იყო აგრეთვე რანდული სარტყელი. ამ მხრივ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლათინები (ევროპელები) ქართველებს „სარტყლის ქრისტიანებს“ უწოდებდნენ. საქართველოსი შემორჩენილ ამ და ბევრ სხვა რანდულ ტრადიციას ისტორიული ფესვები აქვს, რაც, ჩვენი აზრით, რანდ-ბერ ტამპლიერთა ორდენსა და საქართველოს შორის მჭიდრო კავშირიდანაც უნდა მომდინარეობდეს“ [51,0].

გერმანული პოეზიის თვალსაჩინო ძეგლში, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, რანდთა კურთხევის ცერემონიალი ასეა აღწერილი:

და სხვადასხვა კუთხეთაგან ყრმა ყოველი თავმომწონე,
საკუთარი წარმოშობით ვინც უფლების იყო მქონე,
რომ რანდი გამხდარიყო, მოიწვიეს რიდით, კრძალვით
და ზიგფრიდთან ერთად მათაც შემოარტყეს წელზე ხმალი.

რანდები ციხესიმაგრეებში ცხოვრობდნენ. დონ კიხოტს ფუნდუკი „ჩინებულ ციხე- დარბაზად მოეჩვენა... ოთხ წოწოლაგუმბათიან კოშკის მქონედ, მზის სხივებზე ბრწყინავი ვერცხლით დაფერილი ყავრულებითა და ქონგურებით, გარშემო ხანდაკმემოვლებული ასაწევი ხიდებითა და მიწისქვეშა სავლელებით გამართული. ერთი სიტყვით, ეს სახლი იმგვარ ციხედარბაზად წარმოედგინა, როგორის აღწერაც თავის სარანდო წიგნებში ბევრჯერ წაეკითხა“ („დონ კიხოტი“, I ნაწილი, თავი I).

რანდი მონაწილეობას ღებულობდა ტურნირებსა და საბრძოლო თამაშებში, რომელსაც კეთილშობილი ქალები და ბატონები ესწრებოდნენ: „ტურნირებსა და საბრძოლო თამაშებს რანდთა ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ისინი შეიძლება შევადაროთ ძველი საბერძნეთის ოლიმპიურ თამაშებს. ტურნირებში გამოჩნდებოდა რანდთა საბრძოლო მომზადების დონე და აქვე ისინჯებოდა მათი იარაღისა და აღჭურვილობის სიმტკიცე.

ტურნირების დროს ხალხი იკრიბებოდა სხვადასხვა მხრიდან ფეოდალის სასახლეში. აქ მხოლოდ რანდები დაიშვებოდნენ. მოედანზე ეწყობოდა სპეციალური ტრიბუნები კეთილშობილი ქალბატონებისა და ბატონებისათვის. გამარჯვებული ტურნირის დედოფლისაგან ჯილდოს იღებდა.“ [37,0].

როდესაც ბიბლიოთეკაში შესული იდალგოს ახლობლები და მეგობრები მისი უბედურების მომტან წიგნებს არჩევდნენ დასაწვავად, დონ კიხოტის ოთახიდან ყვირილი შემოესმათ, შეცვივდნენ, რანდი „იბრძოდა“, ამბობდა, თორმეტი რანდი ტურნირზე გამარჯვებას კარის რანდებს უთმობს, ეს კი სირცხვილიაო. დონ კიხოტი ამ მონაკვეთში ტურნირს პირველად ახსენებს.

იდალგომ გაიგო, რომ ყალბი „დონ კიხოტის“ მეორე ნაწილის მიხედვით, მეორე, ცრუ დონ კიხოტი, სარაგოსაში უნდა წასულიყო (როგორც ვიცით, რომანის მეორე ნაწილი, ვიღაც აველიანედამ გამოსცა და ბევრი რამ დაამახინჯა), ამიტომ გადაიფიქრა და ბარსელონაში გაემგზავრა ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად: „გავიგე თუ არა, რომ ის ახლად გაჩენილი დონ კიხოტი იმ ქალაქის ტურნირში მონაწილეობას იღებდა,

იქ წასვლა აღარ ვინდომე, რათა მთელი ქვეყნის წინაშე მისი სიცრუე ცხადმეყო; და პირდაპირ მშვენიერებით და მღებარეობით შეუდარებელ ბარსელონას წაველ, იმ ბარსელონაში - ზრდილობის საცავი რომაა და უცხო ქვეყნელთა სავანე, ყარიბთა თავშესაფარი, მამაცთა სამშობლო, შეურაცხმყოფელთა შურისმგებელი, წრფელი მეგობრობის სასიამოვნო სამყოფელი“ (II ნაწილი, თავი LXXII).

„შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში რაინდთა სახეები მაღალმხატვრულადაა გადმოცემული მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანსა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ [37,0].

„რიჩარდ ჰალიბარტონმა, ამერიკელმა მოგზაურმა, 1935 წელს თბილისში ყოფნისას შეიტყო საოცარი ლეგენდა დაკარგული ჯვაროსანი რაინდების შესახებ, რომლებიც თითქოს კავკასიის მთებში ცხოვრობდნენ. ასეთივე ცნობა აქვს გერმანელ კ.კოხს, რომელიც აღწერს ჯვაროსანი რაინდის ხმლის ყიდვას აფხაზეთში და ახსენებს ხევსურებს, როგორც ევროპელ რაინდთა შესაძლო შთამომავლებს. ზისერმანმა და სხვა მსგავსმა მეცნიერებმა არ იცოდნენ... რომ არა მხოლოდ ხევსურეთი, არამედ მთელი საქართველო ევროპაზე ორიენტირებული ჯვაროსნული და რაინდული ქვეყანა იყო. იქიდან გამომდინარე, რომ ყველაზე დიდხანს საქართველომ შეინარჩუნა რაინდული სული და ტრადიციები, იენის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლაიხშტაინერი ვარაუდობდა, რომ შუა საუკუნეების დასავლეთის რაინდობა ქართულის გავლენას განიცდიდა (მ.თარხნიშვილი, წერილები, 1984). ეს დასტურდება როგორც ქართული, ასევე უამრავი უცხოური ისტორიული წყაროთი. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ქართულ და დასავლეთ ევროპულ სარაინდო რომანებს ტიპოლოგიურად ბევრი რამ აახლოვებს, განსაკუთრებით სიყვარულის რაინდული გაგება, „წმინდა მხედრისა“ და „რაინდობის“ მსგავსი გააზრება და სხვა (ქ.სირაძე, ქართული სარაინდო რომანი და „წმინდა მხედართა“ ტიპოლოგია. ავტორეფერატი, 1999). ევროპაში რაინდების ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი დეზები იყო. ნიკოლოზ ტოლოჩანოვი, რომელიც 1651 წელს იმერეთში ელჩად იმყოფებოდა, აღნიშნავს, რომ იმერეთში ყველანი, ქვეითები თუ ცხენოსნები, დეზებს ატარებენ. დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნეშიც შემორჩენილი იყო დეზების ტარება, რაც ძლიერ უკვირდა ა. ნ. მურავიოვს, რომელიც წერდა: საოცარია საიდან შემოვიდა აქ ეს რაინდული ჩვეულებაო. საყურადღებო ცნობა ეკუთვნის კ.ბოროზდინს, რომლის მიხედვითაც 1850–იან წლების სამეგრელოსი სამტავრობო აზნაურები ატარებდნენ ორ დეზს და, ევროპელი რაინდების მსგავსად, თავადებთან ერთად სხდებოდნენ და ერთმანეთს მიმართავდნენ სიტყვით „მმაო“. დამშობილების ინსტიტუტი, რაც ეგზომ მძლავრად აისახა „ვეფხისტყაოსანში“ რაინდულ კოდექსს ემყარება. რაინდების ურთიერთმიმართვის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა იყო „მმაო“, რაც ქართულ სინამდვილეში დღემდე შემორჩა [51,0].

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა გალერეა, პოემის პერსონაჟი რაინდები, სრულყოფილების (გარეგნული, სულიერი, ფიზიკური) მაგალითს წარმოადგენენ.

რაინდობის თემაზე დაწერილი ვაჟა-ფშაველას ლექსი „კაი ყმა“, იდეალური ვაჟკაცის აპოლოგიაა...

„ვეფხისტყაოსნის“ ეპოქა საქართველოს ოქროს ხანის (XIII ს.) მაჩვენებელია, „დონ კიხოტი“ – ესპანური კულტურის, აღორძინების ეპოქის, „ოქროს ხანისა“ (XVI ს. II და XVII ს. I ნახევარი).

რუსთველის პოემა რაინდობის აპოლოგიაა... სერვანტესის რომანი კი – პაროდია, რადგან, ამ სოციალურმა ჯგუფმა, ამ პერიოდისათვის, ფუნქცია დაკარგა.

„XIII საუკუნის ბოლოდან რაინდობა კარგავს მნიშვნელობას. ისინი თავიანთ იარაღს უკვე არ იყენებდნენ კეთილშობილური მიზნებისათვის. პირიქით, სხვის დასარბევად ხმარობენ. მათი სულისკვეთება კნინდება, ილახება ღირსების გრძნობა, რომელიც ხშირად უაზრო დუელების საბაზი ხდება.

მიუხედავად ამისა, არა მარტო შუა საუკუნეების ხალხების, არამედ დღევანდელობისათვისაც სანიმუშოა რაინდთა ყოფა. ისინი ბარბაროსობისა და უხეშობის პერიოდში იძლეოდნენ თავაზიანობის მაგალითს და ხელს უწყობდნენ სათნოების დამკვიდრებას, კანონისა და მართლმსაჯულების გავრცელებას. რაინდობას ამ საუკუნეებში ნაკლები უფლებები ჰქონდა... [37,0]

XX საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ რაინდობა ჩამკვდარ, უფუნქციო, უსიცოცხლო სკულპტურად ქცეულ სიმბოლოდ გამოსახა.

„მეკურტნე გაოცებული შესცქეროდა კაცის სიმაღლე ფოლადის რაინდის მანეკენს შორიდან მთლად ცოცხალ კაცსა ჰგავდა იგი. თავზე უშველებელი ჯაჭვის ჩაბალახი ეხურა. ტანზე ფოლადის კინენი, პოლოტიკნი, საბეჭურნი, სამხრენი, სამაჯურნი, ხელებზე ფოლადის თათმანები, ფეხზე ფოლადისავე საბარკლენი, ფოლადისავე ფეხსამოსელი. ორივე ხელით დაბჯენოდა უშველებელ ხმალს.

შორიდან ვერ ჰხედავდა, იოსები, სახე თუ ჰქონდა ამ ფოლადის კაცს, თვალეზი თუ გააჩნდა, ან სული თუ ედგა.

ამის მსგავსი არაფერი ენახა. ხანდახან იჭვიც ებადებოდა: ვინ იცის, ეგებ შიგ ცოცხალი კაცია! მაგრამ, თუ ცოცხალია, რატომ არ იძვრის, რატომ არას ამბობს და ასეთ წუთში, როცა ყველა აფორიაქებულია, იგი არც ხმას იღებს და არც თუ სადმე წასვლად ემზადება.

...იოსები ვერ გამორკვეულიყო, ცოცხალი იყო ეს კუთხეში მდგარი რაინდი, თუ აქ რაიმე ჯადოქრობა უნდა ყოფილიყო. მეკურტნემ დაიჭირა კახას ოდნავ დამცინავი ღიმილი, თვალი აარიდა ფოლადის რაინდს. შეეშინდა, დამცინებენო და მის გასწვრივ კედლებზე გადაიტანა მზერა.

კედელზე ფარი ეკიდა უშველებელი, მის გარშემო ძველებური გაზნექილი ხმლები, დაქანგული დამბაჩები, წათი, შუბი, წერაქული, საპირეები, საფალიები და ისეთივე ჩაბალახი რკინისა, როგორც თავზე ეხურა ფოლადის რაინდს“

•••

მეკურტნე - კურტნით ტვირთის მზიდავი მუშა. **კურტანი** - საზურგე ადამიანის მიერ ზურგით ტვირთის საზიდავად

კინენი - „საბრძოლელია ბუმბერაზთა, მსგავსი შუბის ტარისა, სხვილი, შესაყარად და ასაზეველად“ (ასაზიდად) (სულხან-საბა); **პოლოტიკნი** - „რკინის ფიცარი ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა დასაკრავი“ (სულხან-საბა).

წათი - საბრძოლო კეტი; **წერაქული** - წერაქვი, ორი წვეტიანი პირის (ან ერთ მხარეს მჭრელი ფრთის) მქონე რკინის იარაღი, რომელსაც შუაზე ხის ტარი აქვს დაგებული. **საპირე** - საპირისწამლე, პატარა ჭურჭელი კაჟიანი თოფის ფალიაზე წამლის მოსაყრელად. **საფალიები** - კაჟიან თოფზე ფალიის (პირისწამლის) დასაყრელი ადგილი.

კონსტანტინე გამსახურდიას „დიდი იოსები“ პროექტი: ბიბლიოთეკა სკოლას, <http://www.nplg.gov.ge>

თავი III

პერსონაჟთა ხატვის ხერხები, პარალელები

ა) (სერვანტესის „დონ კიხოტი“, ალფონს დოდეს „ტარტარენ ტარასკონელი“, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“.)

პერსონაჟის მხატვრული სახის გამოსაკვეთ საუკეთესო საშუალებას მისი პორტრეტი, მოქმედი გმირის ხატვის ერთ-ერთი ხერხი, წარმოადგენს.

„პორტრეტი – მოქმედი პირის გარეგნობის, სახის, ტანსაცმლისა და მოძრაობის აღწერა.

ნაწარმოების გმირის გასაცნობად, მის შინაგან თვისებებთან ერთად, მწერალი, აგრეთვე გვიხატავს მის გარეგნობას: სახეს, ტანადობას, ტანსაცმელს, თმის ფერს, გამომეტყველებას და სხვ“ [36,0].

მეცნიერი ბ.ბარდაველიძე პორტრეტის ცნებას შემდეგნაირად გვაწვდის: „პორტრეტი წარმომდგარია ფრანგული სიტყვიდან *portrait*, რაც დამახინჯებული ფორმაა სიტყვისა *pour-trait*, ეს კი ნიშნავს ორიგინალის გამოსახვას *trait-pour-trait* ხაზ და ხაზ, ნაკვთ და ნაკვთ, ზედმიწევნით. ზმნა *portraire* წარმომდგარია ლათინურიდან *protrahere*, რაც თავდაპირველად ნიშნავდა აღმოჩენას, დრის სინათლეზე გამოტანას. ხოლო გვიან მიიღო მნიშვნელობა გამოსახვის, პორტრეტიზაციის.“ [2,11].

ბ. ბარდაველიძის თქმით, ილია ჭავჭავაძე მოთხრობებში ჭარბად იყენებს პერსონაჟთა პორტრეტული ხატვის ხერხს: „მას შესანიშნავად ესმის ჟესტის, მიმიკის,

მიხვრა–მოხვრის, ჩაცმულობის და საერთოდ გარეგნული პორტრეტული ნიშნების უაღრესი მნიშვნელობა პერსონაჟთა მართალი ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის“.[2,68].

„ალექსანდრე გურამიშვილი დიდი ქართველი მწერლის ი.ჭავჭავაძის სიმამრის თადეოზ გურამიშვილის მკვიდრი ბიძაშვილი იყო...ალექსანდრე გურამიშვილს „დონ კიხოტს“ ეძახდნენ, ეს სახელი ილიამ შეარქვა თავისი მეოცნებე ხასიათის გამო. **ილიას განზრახული ჰქონდა დაეხატა დონ კიხოტის მსგავსი ტიპი ქართველი მეოცნებე თავადისა** ალ. გურამიშვილის სახით.ჩვენი ვარაუდით, ეს ჩანაფიქრი მიზეზი უნდა გამხდარიყო „კაცია–ადამიანის“ შექმნისა“[46,0].

გამოჩენილი ფრანგი მწერლის, აფონს დოდეს (1840–1898წ), „...შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია „ტარტარენ ტარასკონელის უჩვეულო თავგადასავალს.“ მისი მთავარი გმირი ტარტარენი, რომელსაც პროტოტიპები ჰყავს ფოლკლორში, სამხრეთელია, უფრო ზუსტად, პროვანსიელი ტრაბახა, ფანტაზიორი, მატყუარა, მხიარული, გულუბრყვილო, ჯანმრთელი, ილუზიებით შეპყრობილი ადამიანი. იგი დარწმუნებულია, რომ უშიშარი და გმირია, რომელიც დონ კიხოტივით სულ ერთთავად სასაცილო სიტუაციებში აღმოჩნდება ხოლმე“... [16,317].

„ტარტარენის სახეში დოდემ ერთგვარად გააერთიანა დონ კიხოტისა და სანჩო პანსას ზოგიერთი თვისება, თუმცა მას აკლია დონ კიხოტის ამალღებული მისწრაფებანი და სათნოება. ტარტარენი არის გულადიც და მშიშარაც, ტრაბახა და მიამიტიც, ეგოისტიც და კეთილიც, დონ კიხოტივით სულ ერთთავად სასაცილო ამბებში ვარდება. მისი „საგმირო საქმეები“ მოთხრობილია კომიკური ეპოპეის სტილში, რაც უხვად არის გაჯერებული იუმორითა და პაროდით“ [22,0].

„...ამ პერსონაჟს რეალური პროტოტიპი ჰყავდა – მწერლის შორეული ბიძაშვილი, რომელთან ერთადაც ალფონს დოდემ ალჟირში იმოგზაურა“[20,0].

ტარტარენს ავინიონის გზაზე კოპწია, პატარა სახლი აქვს, ალფონს დოდეს თქმით: „გარეგანი შეხედულებით სახლი არას წარმოადგენდა. სრულიად არაფერს“... არც ლუარსაბის სახლი გამოირჩეოდა განსაკუთრებულობით, მწერალი მას ირონიულად „მშვენიერ სახლს“ უწოდებს, ისევე როგორც ალფონს დოდე გვამცნობს ტარტარენის სახლზე: „ სარდაფიდან ბანამდე მთელ სახლს გმირული იერი ჰქონდა, თვით ბაღსაც კი!“ [10, 183].

ტარტარენის სახლში: „იარადის მეტს ვერაფერს დაინახავდით. რა დროის ან რა რა ხალხის იარადი არ იყო აქ“, სამაგიეროდ, მის არსებაში ჩაბუდებული ორი ტარტარენი ებრძოდა ერთმანეთს: „დონ კიხოტი და სანჩო პანსა ერთ კაცში მოთავსებულიყვნენ! ახლა წარმოიდგინეთ, როგორ მორიდებოდნენ ის საწყლები? ჯოჯობხეთი იყო მათი ცხოვრება! რა ბრძოლა ჰქონდათ ხოლმე, რა შეტაკება! მათი კამათი ხომ...ტარტარენ–კიხოტის და ტარტარენ–სანჩოს კამათი“... [10, 189].

„ტარტარენ–კიხოტისა და ტარტარენ–სანჩოს“ ბაასი ასეთ სახეს ღებულობდა:
„ტარტარენ კიხოტი სათავგადასავლო რომანებში მოთხრობილი ამბებით გატაცებული,
წამოვარდებოდა და–მივდივარო,–შეჰყვირებდა.

ტარტარენ–სანჩოს საშინლად ეშინოდა–ნეკრესის ქარები არ ამეშალოსო და
შესძახებდა: მე არ წამოვალო!

ტარტარენ კიხოტი აღტაცებული“

–დიდება მოიხვეჭე, ტარტარენ!

ტარტარენ–სანჩო ძალიან მშვიდად:

–ფლანელი არ მოიშორო, გაცივდები!

ტარტარენ–კიხოტი უფრო და უფრო აღგზნებული:

–რა სჯობს ბასრ ხმალს და ხანჯალს!..“[10, 189].

საცხოვრებელი გარემო, ასაკი

მწერლის მიერ დახატული პერსონაჟის საცხოვრებელი გარემოს მეშვეობით ადვილად შეიძლება ამოვიცნოთ მოქმედი პირის ხასიათის თვისებები, მისწრაფებები. ამ მხრივ, ტარტარენის– ალფონს დოდეს პერსონაჟის, ილია ჭავჭავაძის– ლუარსაბ თათქარიძისა და მიგელ დე სერვანტეს საავედრას– დონ კიხოტის საცხოვრებელი გარემოს გაცნობა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ დასახელებულ პერსონაჟთა პორტრეტები, მათი ფსიქოლოგია.

ლუარსაბი –„ამ მშვენიერ სახლში ქართველი კაცი იდგა. აქ სცხოვრებდა ტკბილად და აუმღვრევლად **ორმოცის წლის** კაცი თავადი ლუარსაბ თათქარიძე“

ტარტარენი –„კოპწია, პატარა სახლი ეჭირა, სწორედ ტარასკონულ გემოვნებაზე აგებული „...**ორმოცი ან ორმოცდახუთი წლისა**“...

დონ კიხოტი– მის „მთელ სიმდიდრეს შეადგენს მამაპაპური შუბი, ძველისძველი ფარი, ერთი ჯაგლაგი ცხენი და ერთი ც მწევარი... **ორმოცდაათი წლისა** სრულდებოდა“

გარეგნობა

ლუარსაბი და ტარტარენი ერთმანეთს გარეგნობით ემსგავსებიან:

ლუარსაბი — „თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ **კარგად ჩასუქებული** ძველი ქართველი, **მრგვალი** — უკაცრავოდ არ ვიყო ამ სიტყვაზედ — როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალეებასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო;

წითელი, თურამაულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმეზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლებულნი, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო! გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიად პატივსაცემი და პატივცემული ღიპი“

ტარტარენი, —[ტარტარენი] ერთი პატარა კაცი ბრძანდებოდა ტანდაბალი, სქელი, ჩამრგვალებული...

დონ კიხოტი— „კაფანდარა და პირხმელი იყო, მაინც ბრგე აგებულება ჰქონდა“

ოთხი „ბრწყინვალე“ სული ერთ სხეულში...

(ტარტარენი–დონ კიხოტი–სანჩო პანსა–ლუარსაბი)

ტარტარენი— „...სული დონ კიხოტისა ედგა, იმასავით რაინდული ვნებათაღელვით იყო გატაცებული, იმასავით გმირული იდეალით აღსავსე, იმასავით ძლიერებით და რომანტიკული ღელვით გახლებული, მაგრამ, საუბედუროდ, დონ კიხოტის აგებულება არა ჰქონდა: აკლდა მისი გამხმარი ჩონჩხი, რომლისთვისაც ცხოვრების მოთხოვნილებათ ვერა დაეკლოთ რა, შეეძლო მთელი თვე აბჯარ–ჩაჩქანი არ მოეხსნა და ორი–სამი დღე ერთ მუჭა ბრინჯზე გადაეველო... ქოსმენივით ჩასუქებულიყო , დამძიმებულიყო, სავსე გახლდათ სურვილით, რომ სიცოცხლით დამტკვარიყო...ღიპი გადმოეგდო და სანჩო პანსას მოკლე ფეხები ძლივსღა იმაგრებდა მის მუცელს.

დონ კიხოტი და სანჩო პანსა ერთ კაცში მოთავსებულიყვნენ“[10, 188-189].

ტარტარენი და ლუარსაბი ერთმანეთს გვანან იმით, რომ თავიანთ საცხოვრებელ ადგილს შორ მანძილზე არ გასცილებიან, არც აქვთ ამისი სურვილი. ტარტარენს: „სულ ბევრი–ბევრი, ბოკერი თუ ენახა და, მოგეხსენებათ, ტარასკონიდან ბოკერამდე დიდი არაფერი მანძილია: რონის ხიდს გადახვალთ და–ეგეც თქვენი ბოკერი“.

ლუარსაბმა ცოლის შერთვაზე რომ ფიქრი დაიწყო: „გაიზრახა გულში — შეიკეროს პტყელის ბუზმენტებით ჩოხა, ბუზმენტებითვე მორთული განიერი მაუდის შალვარი, ერთი ოციოდ თუმანს თავი მოუყაროს და ჩავიდეს ქალაქში იმ ფიქრით, რომ ერთი-ორიოდჯერ ქუჩა-ქუჩა გავაჭენებ დროშკასაო, იქნება ერთი მდიდარი, კაი გვარის და ოჯახის შვილი ქალი ბადეს მოხვდესო, თუ არა და სომხის ქალები ხომ იქ არიან, ათასს თუმანს წამოვიღებო. ბოლოს შეიტყო, რომ შორს წასვლა საჭირო არ არის; თავად გძელაძეს, დიად პატიოსანის გვარის და კაი ოჯახის შვილს, ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი და ზედ ზურგზედ ორასი თუმანი თეთრი ნაღდად აკერია“ („კაცია–ადამიანი?! VIთავი).

კნეინა დარეჯანმა ლუარსაბს თელეთში სალოცავად წასვლაზე რომ დაუწყო საუბარი, ქმარმა მიუგო, შორს არის, „მოდით, აქვე ნეკრესის ღვთისმშობელი ვილოცოთ“ („კაცია–ადამიანი?!“, IX თავი), მაგრამ როცა დაიყოლია, მგზავრობისას, დარეჯანის კითხვებზე, რომელსაც ქალაქი ნანახი არ ჰქონდა, დამაჯერებლად ვერ

პასუხობს, ეტყობა, რომ არც ლუარსაბი გასცილებია ბევრჯერ თავის სახლ-კარს, „შუა კახეთის პატარა სოფელს“.

ლუარსაბს „სწავლა, ღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა“, ის წუხდა ამ „ეხლანდელი ჭირის“ გამო.

სანჩო პანსა, რაინდთან ერთ-ერთი საუბრისას, აღიარებს: „ერთი უწიგნო კაცი გახლავარ, ჩემს დღეში არაფერი წამიკითხავს“(„დონ კიხოტი“, თავი X), მაგრამ ის გონებამახვილურად საუბრობს, ცოლი მას „ანდაზების მამას“ უწოდებს.

სამოსი

ლუარსაბი—„წითელი პერანგისა და მისი განუშორებელი პერანგის ამარა“

ტარტარენი—„მწითური, ფლანელის პერანგის ამარა“

დონ კიხოტი—„სადღესასწაულოდ იკერავდა წმინდა მაუდის მოსასხამს, ხავერდის შარვალს და წაღებს; სამუდამდღეოდ საუკეთესო ხარისხის შინაური ქსოვილის ტანსაცმელს ხმარობდა“

საკვები

ლუარსაბი—ხორცის, მწვანილის, თევზისა და კიტრის მოყვარულია

ტარტარენი— „კარგი სმა-ჭამა უყვარდა, განცხრომა მოსწონდა“...

„შემოვიდოდა მოახლე და მოართმევდა საუცხოო შოკოლადს, ცხელს, მადის გამხსნელს, სურვილებით სავსეს და თან დაბრაწულ ქაღებს“

დონ კიხოტი—„სადილად ძროხის ხორცის ოლასა ჭამდა, ცხვრის ხორცს კი იშვიათად მიირთმევდა, თითქმის ყოველ ვახშმად ვინეგრეტს გაიხლებოდათ, შაბათობით ქონიან ტაფამწვარს, პარასკეობით ოსპის შეჭამანდს, და კვირაობით კი, სხვა ჩვეულებრივ სანოვაგეს გარდა, მტრედის ტაბაკს“

ნადირობა

სერვანტესის დონ კიხოტი და ალფონს დოდეს ტარტარენი ნადირობის მოტრფიალეები არიან, პირველი, ჩვეულებრივ მისდევს ამ საქმიანობას, მეორე კი ცნობილია, როგორც ქულებზე მონადირე.

ტარტარენი—„ქუდზე ნადირობაში ტარტარენს ვერავინ შეედრებოდა...ყველა ტარასკონელს ტარტარენი მონადირეთა მეფედ მიაჩნდა“...

დონ კიხოტი—„ნადირობის დიდი ტრფიალი იყო და დილაადრიან ადგომა უყვარდა“.

იარალი

ლუარსაბი—აფასებს თოფ-იარალს, მაგრამ, ისევე როგორც ტარტარენს, მასაც არაფრისთვის არ გამოუყენებია იგი. კეთილშობილური საქმეების ჩასადენად, ილუზიებით შეპყრობილი დონ კიხოტივით, არ გასდგომია გზას. ის მისტირის ძველ დროს: „ყველაფერი მაშინ თავის დონეზე იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე! ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი“[10, 168].

ტარტარენი—„უშველებელ დარბაზს კედლები აღარ უჩანდა! იატაკიდან ჭერამდე იარალის მეტს ველარაფერს დაინახავდით. რა დროის ან რა ხალხის იარალი არ იყო იქ“ ...

დონ კიხოტი—მის „მთელ სიმდიდრეს შეადგენს მამაპაპური შუბი, ძველისძველი ფარი, ერთი ჯაგლაგი ცხენი და ერთიც მწევარი“.

„მოსწონდა სატრფიალო წერილების ან ხმალში გამოწვევის ამბავთა წაკითხვა...“

...მეტად საჭიროდ მიაჩნდა, როგორც პირადი დიდების მოსახვეჭად, ისე კიდევ სამშობლოს სასარგებლოდაც, მოგზაური რაინდი გამხდარიყო, იარალი აესხა, ცხენზე შემჯდარიყო, ქვეყნის ქვეყნად ხიფათისა და ფათერაკების სამებნად ეხეტიალნა.

... გაწმინდა სადღაც კუთხეში მიყრილი, საუკუნოვანი ჟანგითა და ობით დაფარული მამაპაპისეული იარალი. როგორც შეეძლო, კარგად გააპრიალა და შეაკეთა ის; მაგრამ ანაზღად შენიშნა, რომ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი აკლდა: ზარადიანი ჩაჩქანის ნაცვლად ნაგლეჯილა დარჩენილიყო. მაგრამ მისმა ხერხიანობამ აქაც უშველა: მუყაოსაგან ნახევრად-ჩაჩქანი გააკეთა, ნაგლეჯს მიამაგრა და ნამდვილი ჩაჩქანის მსგავსი რაღაც შეაკოწიწა. არ დავფარავთ, რომ ჩვენს იდალგოს მოუნდა - გამოეცაღნა მისი სიმტკიცე და გაეგო - გაუძლებდა თუ არა ის ბრძოლებს. ამ განზრახვით დაშნა აილო, ორჯერ ღონივრად შემოჰკრა ჩაჩქანს და მთელი კვირის ნამუშევარი პირველივე დარტყმით ერთ წუთშივე გაანადგურა. ჩაჩქანი რომ ასე ადვილად ნაკუწ-ნაკუწად იქცა, არც თუ დიდად ესიამოვნა, და რომ ასეთი საფრთხისათვის კვლავ თავი დაეღწია, ჩაჩქანის კეთებას ხელმეორედ შეუდგა. მეტი სიმაგრისათვის შიგ რამდენიმე ფირფიტა დაატანა და მავთულით რკინის ბალთები გაუკეთა. დაბოლოს, ფრიად კმაყოფილი დარჩა ჩაჩქანის სიმტკიცით, ამ ნაკეთობის ხელმეორედ გამოცდა აღარ მოისურვა, დიდად მოეწონა თავისი ნახელავი და დარწმუნდა, ასეთი ნამდვილი, მაგარი და რიგზე შეჭედილი ჩაჩქანი მთელს ქვეყანაზე არავის ექნებაო“...

წიგნები

ტარტარენი—„წიგნებს აევსო იქაურობა! ერთმანეთში არეულიყო „კაპიტან კუკის მოგზაურობა“, გუსტავ ემარის და კუპერის რომანები, მოთხრობები ნადირობის შესახებ, სპილოზე, დათვზე თუ მგელზე, ან კიდევ ბაზიერით ნადირობის შესახებ“.

დონ კიხოტი—„იდალგო მოცლილობისას (ხოლო ის თითქმის მთელი წლის მანძილზე მოცლილი იყო), სულ სარაინდო რომანებს კითხულობდა და ისეთის გულმოდგინებით და თავდავიწყებით, რომ მამულის მოვლასა და ნადირობასაც კი მიაჩნებოდა თავი. მისი ცნობისმოყვარეობა და ჭკუადამთხვეულობა იქამდის მივიდა, რომ რამდენიმე ქცევა ხოდაბუნი გაყიდა, რათა საკითხავად სარაინდო წიგნები შეეძინა, და შინ იმდენი მოაგროვა ეს რომანები, რამდენის შოვნაც კი შეეძლო“.

დონ კიხოტის ბიბლიოთეკაში ასზე მეტი დიდი და პატარა წიგნი ინახებოდა.

წიგნებს შვილივით უვლის და ესათუთება მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟი, **თეიმურაზ ხევისთავი** („ჯაყოს ხიზნები“), გურამ დოჩანაშვილის **ვასიკო კეჟერაძე** („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“). თეიმურაზი დონ კიხოტივით მარგინალია, ვასიკო კი– მეოცნებე.

ოცნება

ლუარსაბი—ოცნებობს მემკვიდრეზე

ტარტარენი– ნატრობს იმოგზაუროს და ჩაიდინოს საგმირო საქმეები

დონ კიხოტი–სურს დაამყაროს სამართლიანობა ქვეყნიერებაზე, დაეხმაროს დაჩაგრულებს...

გურამ დოჩანაშვილის ვასიკო კეჟერაძის ოცნებაა შექმნას „კარცერ–ლუქსი“ ...

ქუდი

ლუარსაბი–ლუარსაბს უყვარს თავისი „ლურჯი კალმუხის ქუდი“

ტარტარენი–ტარტარენის „ბაობაბის პატარა სახლის სხვენი სავსე იყო სახელოვანი ნადავლით, ესე იგი, დახვრეტილი ქუდებით“

დონ კიხოტი–სამოგზაუროდ გამზადებულ დონ კიხოტს, როგორც რაინდს, სავალდებულოდ მიაჩნია რაიმე ეხუროს თავზე, ამიტომაც შეაკოწიწა და „უბადრუკი ჩაჩქანი თავზე ჩამოიფხატა“.

ჩიბუხი

ლუარსაბ თათქარიძესა და ტარტარენ ტარასკონელს, ორივეს, ხელთ მუდმივად უპყრია ჩიბუხი.

ლუარსაბი– „ჩიბუხით ხელში მიგორდებოდა მოაჯირის გადასაყუდებელთან“

ტარტარენი–„ერთ ხელში წიგნი ეჭირა, მეორეში–სამი ადლის სიგრძე ჩიბუხი“

გმირული იერი

ლუარსაბი–„ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი“...ლუარსაბს ასეთი სიტყვების წარმოთქმა მოჩვენებით გმირულ იერს აძლევს.

„მეომარის თვალადობა ჰქონდა ამ-ჟამად ჩვენს უამისოდაც საყვარელს ლუარსაბსა, თუმცა კი, როგორც ბამბის ტომარა, ისე იდო ცხენზედა. წელზედ ერტყა ქართული ხმალი და გრძელი ლეკური ხანჯალი, უკან წელში გაყრილი ჰქონდა სევადიანი დამბაჩა. შავი შალის ჩოხა ეცვა, იმისი კალთები ვაჟკაცურად ამოტარებული ჰქონდა ჩოხის ჯიბეებშია. შარვალში იჯდა, შარვლის ტოტები ჩაეკეცნა მაღალყელიან ყარაბაღულ თეთრ ჩექმებში, წვივებზედ პტყელი ჩაღსაკრავი, გრძელფოჩებიანი, სირაჯსავით შემოეკრა. თავზედ ეხურა ლურჯი ყალმუხის ქუდი — კახურად ჩატეხილი და შუბლთან შიგ შეკეცილი — რადგანაც ცხელოდა, — ერთის სიტყვით, ხმლის პირი, ზედწამოცმულ ვაშლით, რომ ამოდებული სჭეროდა, თავიდან ფეხამდინ ორშაბათის ყეინი იქნებოდა („კაცია–ადამიანი?!“ IX თავი).

ტარტარენი–მოჩვენებითია მისი იარაღით სავსე დარბაზი და „ქუდზე მონადირეთა მეფის სახელი“.

დონ კიხოტი– იდაღოს ყველა „ბრძოლა“ და „გმირული“ ქმედება მისივე ილუზიის ნაყოფია და მას მოჩვენებითობის ელფერს აძლევს.

მწერლის ირონია

ილია ჭავჭავაძის, ალფონს დოდესა და სერვანტესის–დამოკიდებულება თავიანთი პერსონაჟების მიმართ, სატირულ–კრიტიკულია.

ილია ჭავჭავაძე–„მამულის მზრუნველობა ძალას დაატანდა ხოლმე და წამოახტუნებდა ტახტიდან, მაშინ უნდა გენახათ, რა **ლამაზი** იყო ჩვენი ლუარსაბი“

ალფონს დოდე– „რაღა დამავიწყებს იმ დიდებულ დღეს? **სახელოვანი ტარტარენი** სწორედ ქალაქის შესასვლელთან ცხოვრობდა“

სერვანტესი– „ჩვენი კაბალიერო ისე გაიტაცა წიგნების კითხვამ, რომ მთელ დღესა და ღამეს კითხვაში ატარებდა, ხოლო ამას ის მოჰყვა, რომ უძილობითა და ბევრი კითხვით მთლად გამოტვინდა და გაგიჟდა. სულ ისღა ელანდებოდა, რაც წიგნებში ამოიკითხა“

„მისი ცნობისმოყვარეობა და **ჭკუადამთხვეულობა** იქამდის მივიდა, რომ რამდენიმე ქცევა ხოდაბუნი გაყიდა“...

სამივე მწერალი, მართალია, ირონიულად–დამცინავად, მაგრამ თანაგრძნობითაც არის განწყობილი თავისი პერსონაჟის მიმართ.

უმემკვიდრონი

ლუარსაბს, ტარტარენსა და დონ კიხოტს არ ჰყავთ მემკვიდრეები (არც დოჩანაშვილის დონკიხოტური სულისკვეთების პერსონაჟ ვასიკო კეჟერაძესა და მიხეილ ჯავახიშვილის დონ კიხოტისა და ოთარაანთ ქვრივის მსგავს, მარგინალ, თეიმურაზ ხევისთავს)

მოახლეები

ლუარსაბი– მისი და კნეინა დარეჯანის მოახლე ლამაზისეულია;

ტარტარენი– მოახლე ჟანეტი ემსახურება;

დონკიხოტი– „ორმოც წელს გადასული...მანდილოსანი“ იდალგოს სახლის გამგებელია.

ბ) სერვანტესის „დონ კიხოტი“ და გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“

გ. დოჩანაშვილის მოთხრობის („კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“) პერსონაჟი, ვასიკო კეჟერაძე, დონ კიხოტის მსგავსი ლიტერატურული ტიპია...სრული იდენტურობით შეუძლებელია ერთმანეთს ჰგავდნენ, მაგრამ ამ ორ მოქმედ გმირს ბევრი საერთო აღმოაჩნდა, ხასიათის თვისებებში. ორივე მეოცნებეა. ორივე მოგზაურობს, ერთი-წარმოსახვით, ლიტერატურის მეშვეობით, მეორე კი - რეალურად, როსინანტზე ამხედრებული. ორივეს ჰყავს თავისი „იდეების“ გამგრძელებელი, დონ კიხოტს - სანჩო პანსა, მორჩილი და თავისი „ბატონის“ ფსიქოლოგიური ზეგავლენის ქვეშ მოქცეული, მეორეს-კლიმი. ორივეს აქვს ბიბლიოთეკა, დონ კიხოტს რეალური, რამაც შთააგონა იბრძოლოს უსამართლობის წინააღმდეგ, ემსახუროს კეთილს, მეორეს - წარმოსახვითი „კარცერ-ლუქსი“, მეოცნებე პერსონაჟს მისი მეშვეობით სურს ადამიანები გახადოს იმაზე უკეთესი, ვიდრე არიან. არც ერთს არ ჰყავს ცოლ-შვილი. დონ-კიხოტი გვაფხიზლებს ბრძნული მსჯელობებით, მოგვიწოდებს და გვაძლევს მაგალითს, ვიყოთ კეთილები და მშვენიერები, რაც, თავის მხრივ, ღმერთთან გვაახლოებს. ის დულსინეას თაყვანისმცემელია, ვასიკო კეჟერაძეს - სატრფოზე მოგონებები ასულდგმულებს. ორივე სიკეთის უანგარო მსახურია. არც დონ კიხოტის საზოგადოებაა მზად, მიიღოს იგი ისეთი, როგორსაც იცნობს, არც ვასიკო კეჟერაძისა. გიჟად თვლიან დონ კიხოტს და ამასთანავე უკვირთ მისი უსაზღვრო განათლება, გიჟად ჩათვალა მწიგნობარი ვასიკო კეჟერაძეც თამაზმა („გიჟია თუ რა?“).

გ. დოჩანაშვილის თქმით, „დონ კიხოტი“ ღირებული ნაწარმოებია და მთავარი პერსონაჟი იდალგო –იდეალური...

„დონ კიხოტი უფრო რეალურია, ვიდრე ყველა ბეჭედი და შკაფი–მაფი დედამიწის ზურგზე, რადგან დონ კიხოტი იდეალურია...ისე კი, სხვათაშორის, სიტყვამ მოიტანა და ფიზიკოსები თუ ვერასოდეს შექმნიან „პერპეტუუმ მობილეს“, ლიტერატურამ უკვე შექმნა–ეს სწორედ „დონ კიხოტი“...იმით კი არა, რომ უფრო ადვილია, არა–უბრალოდ, ლიტერატურას შესაძლებლობა აქვს მეტი, ვიდრე ათასწიერი ლაბორატორიებსა და დანადგარებს“ (გურამ დოჩანაშვილი, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, 1973).

პერუელი მწერლის, ჟურნალისტისა და ესეისტის, მარიო ვარგას ლიოსას (1936), თქმით, ლიტერატურის მეშვეობით უახლოვდებიან ადამიანები ერთმანეთს, „სერვანტესისა და შექსპირის, დანტეს და ტოლსტოის“ მკითხველთ ესმით ერთმანეთისა, „ამ ავტორების ქმნილებები გვასწავლიან იმას, რაც საერთოა ყველა ადამიანისთვის“, „კარგ ლიტერატურაზე უკეთ არაფერი გვამღევეს იმის საშუალებას, რომ ეთნიკურ და კულტურულ განსხვავებათა მაგალითზე შევიგრძნოთ მსოფლიო მემკვიდრეობის სიმდიდრე, – და დავაფასოთ ლიტერატურა იმის გამო, თუ რაოდენ შთამბეჭდავად ააშკარავებს შემოქმედების მრავალფეროვნებას“, „რომანი ახლოებს ადამიანებს, რადგან ავალდებულებს მათ, ესაუბრონ ერთმანეთს და ეზიარონ მსოფლიო მემკვიდრეობას; აგრძნობინებს საერთო წარმომავლობას, რადგან წიგნისთვის დროის საზღვრები გამჭვირვალეა. ლიტერატურას წარსულში გადავყავართ და გვაერთიანებს იმათთან, ვინც ათწლეულებისა და ასწლეულების წინათაც კი ამ ტექსტების კითხვისას ტკბებოდა და ოცნებობდა, ტექსტებისა, რომლებიც ახლა ჩვენ ხელთაა და რომლებიც საშუალებას გვამღევენ, ასევე დავტკბეთ და ვიოცნებოთ. კაცობრიობისადმი კუთვნილების (დროისა და სივრცის მიუხედავად) ეს გრძნობა – კულტურის უდიდესი მონაპოვარია და არაფერი უწყობს ხელს მის გაცოცხლებას ყოველ ახალ თაობაში ისე, როგორც ლიტერატურა“.

„სერვანტესის ან ფლობერის ქმნილებათა მსგავსად, ყველა დიდი ლიტერატურული შემოქმედის ნაწარმოებები რეალობის ბრჭყალებიდან გვათავისუფლებენ და ფანტაზიათა სამყაროში გადავყავართ, მაგრამ გვაჩვენებენ, აგრეთვე, ჩვენს უცნობსა და იდუმალ თვისებებს, საშუალებას გვამღევენ, უკეთ გამოვიკვლიოთ და გავიაზროთ ადამიანის ფარული არსი“[30,0].

...და ისევ დოჩანაშვილი: „როცა ნამდვილად ღირებულ რაიმეს წავიკითხავ...მაშინ მარცხენა ხელზე, მაჯიდან იდაყვამდე, აუცილებლად დამზურძგლავს...რესპოდენტი პერანგის სახელოს მალლა იწევს, ამბობს:–„დონ კიხოტი“,– მკლავს გვაჩვენებს და, სიმართლე–სიმართლედ: დაბურძგლულია“ (გურამ დოჩანაშვილი „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, 1973).

თავი IV.

მეთოდური მითითებანი

ა) საორიენტაციო თემები პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილების გასააზრებლად

საგანი	თემა	მიზანი
ქართული ენა და ლიტერატურა	ორი „ოქროს ხანა“: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (XIII) და სერვანტესის „დონ კიხოტი“, ესპანური კულტურის, აღორძინების ეპოქა (XVI ს. II და XVII ს. I ნახევარი,).	მოსწავლემ შეძლოს: მსოფლიო მნიშვნელობის ორ დიდ ნაწარმოებში ასახული წოდების, რაინდობის, სხვადასხვაგვარი გააზრების გაცნობიერება, პრობლემის წარმოდგენა, გაანალიზება: 1. „ვეფხისტყაოსანი“ – რაინდობის აპოლოგია; 2. „დონ კიხოტი“ – რაინდობის პაროდია

ბ) საორიენტაციო თემები ინტეგრირებული გაკვეთილებისათვის

საგანი	თემა	მიზანი
<p style="text-align: center;">I</p> <p>ქართული ენა და ლიტერატურა _____</p> <p>გეოგრაფია _____</p> <p>ინფორმატიკა</p>	<p>ფიქტიური, რეალური და ვირტუალური მოგზაურობები.</p> <p>ქართული ენა</p> <hr/> <p>მარადიული პერსონაჟების, სახეების მოგზაურობა. შოთა რუსთაველი– „ვეფხისტყაოსანი“ (როდონაია ვ. არაბული ა. ნაკუდაშვილი ნ. ხუციშვილი მ. ქართული ენა და ლიტერატურა, VII კლასი, თბ.: „სწავლანი“, 2012);</p> <p>მიგელ დე სერვანტეს საავედრა „დონ კიხოტი“ (მიგელ დე სერვანტეს საავედრას რომანი „დონ კიხოტი“ (I და II წიგნი)</p> <p>გეოგრაფია</p> <hr/> <p>როგორ გროვდებოდა გეოგრაფიული ცოდნა (ბლიაძე მ. ჭანტურია გ.კერესელიძე დ.გეოგრაფია, VII კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012)</p> <p>ინფორმატიკა</p> <hr/> <p>ა)14 გასაოცარი ვირტუალური მოგზაურობა Google Street View-ის საშუალებით (http://intermedia.ge)</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <p>ა) ფიქტიური, რეალური და ვირტუალური მოგზაურობების არსისა და მისი მნიშვნელობების მსგავსება–განსხვავების ახსნა</p> <p>ბ) გაცნობიერება საკითხისა:</p> <p>1. მსოფლიო ლიტერატურული მიმართულებების ზეგავლენა ეროვნულ მწერლობაზე; 2. მსოფლიო კულტურული ფასეულობების მიღება და განვითარება ეროვნულ მწერლობაში; 3. ეროვნული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში მოაზრება და ა.შ.</p>

	<p>ბ) მ.სეხნიაშვილი, ვირტუალური მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო, http://mastsavlebeli.ge/?p=1124</p>	
<p style="text-align: center;">II</p> <p>ქართული ენა და ლიტერატურა _____ გეოგრაფია</p>	<p>ქართული ენა <hr style="width: 20%; margin-left: 0;"/></p> <p>ალფონს დოდე „ტარტარენ ტარასკონელის უჩვეულო თავგადასავალი“, ბაობაბის ბაღი (როდონაია ვ. არაბული ა. ნაკუდაშვილი ნ. ხუციშვილი მ. ქართული ენა და ლიტერატურა, VII კლასი, თბ.: „სწავლანი“, 2012);</p> <p style="text-align: center;">გეოგრაფია <hr style="width: 20%; margin-left: 0;"/></p> <p>დედამიწის კლიმატური სარტყელები</p> <p>(ბლიაძე მ. ჭანტურია გ.კერესელიძე დ.გეოგრაფია, VII კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012)</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს: გაანალიზება საკითხისა: რა შედეგები შეიძლება მოყვეს დედამიწის კლიმატური სარტყელების გაუთვალისწინებლობას, მხატვრულ ნაწარმოებში ასახული ეპიზოდის მაგალითზე</p>

ინტეგრირებული გაკვეთილის თემები, ძირითადად, გათვალისწინებულია მეშვიდეკლასელთათვის

გ) ლიტერატურული პარალელებისათვის...

მიგელ დე სერვანტეს საავტორო „დონ კიხოტის“ მთავარი მოქმედი გმირი, დონ კიხოტი, მარადიული პერსონაჟია. ამ მსოფლიო ლიტერატურულ შედეგთან ქართული ეროვნული მწერლობის ზოგიერთი ნიმუშის შესადარებლად, პერსონაჟთა ხასიათის თვისებების ამოსაცნობად, ლიტერატურული პარალელების მოსაძიებლად, შეგვიძლია გამოვიყენოთ:

გ). ბარდაველიძე ბ. პერსონაჟის ხატვის პრინციპები ქართულ რეალისტურ პროზაში (XIX ს.), თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1967;

ა) გაფრინდაშვილი ნ. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები. თბ.: „მერიდიანი“, 2012, 318 გვ;

დ) გაფრინდაშვილი ნ. მირესაშვილი მ. ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები. თბ.: „ინოვაცია“, 2008, 480 გვ;

ბ) Дюришин Д. Теория сравнительного изучения литературы. М.: „Прогресс“, 1979, 318 с.;

მსოფლიო ლიტერატურულ შედეგთან ქართული ეროვნული მწერლობის ზოგიერთი ნიმუშის შესადარებლად:

1. ჭავჭავაძე ი. „კაცია–ადამიანი?!“ როდონაია ვ. არაბული ა. ნაკუდაშვილი ნ. ხუციშვილი. ქართული ენა და ლიტერატურა, VII კლასი, თბ.: „სწავლანი“, 2012;
2. დოდე ა. „ტარტარენ ტარასკონელის უჩვეულო თავგადასავალი“ როდონაია ვ. არაბული ა. ნაკუდაშვილი ნ. ხუციშვილი. ქართული ენა და ლიტერატურა, VII კლასი, თბ.: „სწავლანი“, 2012;
3. დუმბაძე ნ. „კორიდა“, როდონაია ვ. არაბული ა. ნაკუდაშვილი ნ. ხუციშვილი. ქართული ენა და ლიტერატურა, VIII კლასი, თბ.: „სწავლანი“, 2012;
4. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, როდონაია ვ. არაბული ა. ნაკუდაშვილი ნ. ხუციშვილი ქართული ენა და ლიტერატურა, X კლასი, თბ.: „სწავლანი“, 2012
5. ქართული რომანტიზმი, როდონაია ვ. არაბული ა. ნაკუდაშვილი ნ. ხუციშვილი. ქართული ენა და ლიტერატურა, XI კლასი, თბ.: „სწავლანი“, 2012;
6. ვაჟა–ფშაველა „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, როდონაია ვ. არაბული ა. ნაკუდაშვილი ნ. ხუციშვილი. ქართული ენა და ლიტერატურა, XI კლასი, თბ.: „სწავლანი“, 2012;

7. ჭავჭავაძე ი. „ოთარანთ ქვრივი“, როდონაია ვ. არაბული ა.ნაკუდაშვილი ნ. ხუციშვილი. ქართული ენა და ლიტერატურა, XI კლასი,თბ.: „სწავლანი“, 2012;
- 7.კლდიაშვილი დ. „სამანიშვილის დედინაცვალი“, როდონაია ვ. არაბული ა.ნაკუდაშვილი ნ. ხუციშვილი. ქართული ენა და ლიტერატურა, XII კლასი, თბ.: „სწავლანი“, 2012;
8. დოჩანაშვილი გ. „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, როდონაია ვ. არაბული ა. ნაკუდაშვილი ნ. ხუციშვილი. ქართული ენა და ლიტერატურა, XII კლასი, თბ.: „სწავლანი“, 2012;
9. სერვანტესი მ. „დონ კიხოტი“, ცხადაია თ.კვანჭიანი დ. კუცია ნ. ლონდაძე თ. ლონდაძე ნ. ქართული ენა და ლიტერატურა, XII კლასი, თბ.: „მერიდიანი“, 2012.
10. ჯავახიშვილი მ. „ჯაყოს ხიზნები“, როდონაია ვ. არაბული ა. ნაკუდაშვილი ნ. ხუციშვილი. ქართული ენა და ლიტერატურა, XII კლასი, თბ.: „სწავლანი“, 2012;

დ) სასწავლო რესურსები (ინტერნეტბმულები, თვალსაჩინოებები...)

1. ALCALÁ DE HENARES, <https://www.youtube.com/watch?v=uUjFhE1F35c>
2. .Cueva de Montesinos, <https://www.youtube.com;>[48,0].
3. LAS LAGUNAS DE RUIDERA, <https://www.youtube.com> [52,0].
4. Lagunas de Ruidera - Siete Maravillas Naturales de España 2014, <https://www.youtube.com;>[53,0].
5. Cueva de Montesinos - Lagunas de Ruidera, <https://www.youtube.com>[48,0].
6. Bucear em Lagunas de Ruidera, <https://www.youtube.com> [47,0].
7. ქართლის ისპანეთი (იბერია) - ორ იბერიას შორის <https://www.youtube.com/watch>[38,0].



სოლიკო ვირსალაძის მიერ შესრულებული ესკიზი
ბალეტისათვის „დონ კიხოტი“ საქართველოს ეროვნული არქივი
<https://ka.wikipedia.org/wiki>




[სოლიკო ვირსალაძე – Soliko Virsaladze \(1908-1989\)](#)

ქართველი თეატრალური მხატვარი. მისი მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: პ.
ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „გედის ტბა“, „მძინარე მზეთუნახავი“, „მაკნატუნა“,
მ. მინკუსის „დონ კიხოტი“, „შოპენიანა“ ფ. შოპენის მუსიკაზე, ა.
მაჭავარიანის „ოტელო“, ვ. მოცარტის „დონ ჟუანი“ და სხვ.

სიმონ (სოლიკო) ვირსალაძე, <https://burusi.wordpress.com/2010/05/01>



ვახტანგ ჭაბუკიანი (1910-1992) ქართველი მოცეკვავე, ბალეტმამისტერი და
პედაგოგი, სსრკ სახალხო არტისტი (1950), ქართული პროფესიული ბალეტის
ფუძემდებელი. ლუდვიდ მინკუსის „დონ კიხოტში“ ბაზილის პარტია(1930).



ნინო ანანიაშვილი „დონ

კიხოტი“ <https://www.google.com/>



კახი კავსაძე (დონ-კიხოტი) და მამუკა
კიკაღეიშვილი (სანჩო პანსა) ფილმში „ცხოვრება დონ-კიხოტისა და სანჩოსი“,
<http://dspace.nplg.gov.ge>





ჩ ა ჩ ქ ა ნ ი და უ ბ ის ფ ა რ ი, <http://www.gotscha.nl/ge-abjari.htm>

საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ 1988 წელს ავსტრიის ქალაქ ტიროლში მოწყობილი ქართული ხელოვნების გამოფენის კატალოგიდან.



შ უ ბ ი ს არ ის ა, <http://ucnauri.com>

სხვადასხვა ერი სხვადასხვა ხანაში იყენებდა შუბებს: პილუმს, ალეზარდს, ბერდიშს...

ე) ამონარიდები ლიტერატურული პარალელებისათვის...

ნოდარ დუმბაძე „კორიდა“

„ქართველისთვის შვილივით ძვირფასი და სალოცავი იყო ხარი, რომელიც არწივსა და ლომთან ერთად მზის სიმბოლოდაც მოიაზრებოდა...“

დიდმა მწერალმა ნოდარ დუმბაძემ კი თავის მოთხრობაში „კორიდა“ მთელი მითოსურ-რელიგიური სამყარო გააცოცხლა და ამ ცხოველის მიმართ გამოვლენილი სისასტიკე ორი კულტურის შეპირისპირების თემად აქცია...

ვის არ უყვარს სერვანტესი, გაბრიელ გარსია ლორკა, მიგელ დე უნამუნო, ესპანური ფლამენკო და ანდალუზიური ტანგო, ბასკები, რომლებიც რაღაცით გვენათესავენბან...

კორიდა ესპანური კულტურის ნაწილია. შესაძლოა, ეს სისხლიანი ტრადიცია მაინცდამაინც არ იზიდავდეს უცხოელ სტუმარს, მაგრამ როდესაც ქვეყნის ისტორიას ეცნობი, მისი ველური კანონებიც კი საინტერესოა.

როგორც ცნობილია, კორიდა თავდაპირველად სწორკუთხა მოედანზე იმართებოდა, ხოლო მე-18 საუკუნიდან, როდესაც ესპანეთში მისი წესები და კანონები ჩამოაყალიბეს – წრიულზე. საქართველოშიც არსებობდა მსგავსი ორთაბრძოლა, რომელსაც კურული ეწოდებოდა. 2011 წლიდან კატალონიაში კორიდა აიკრძალა“...[25.0].

რომანტიკული ლიტერატურული გმირი

„სინამდვილისადმი შეუსაბამო ადამიანური წარმოდგენების, ოცნებების თუ ილუზიების გაქარწყლება ცხოვრების მიერ რეალისტური ლიტერატურის ნიშანდობლივი პრინციპია. ეს პრინციპი სათავეს იღებს ესპანელი მწერლის სერვანტესის (1547–1616) რომანიდან „დონ კიხოტი“. დონ კიხო ტის ფანტაზია გამუდმებით ამაღლებს და აკეთილშობილებს რეალობას, რომანტიკულ მნიშვნელობას სძენს მას–მდაბიო უხემ ქალს მშვენიერ და დახვეწილ ქალბატონად წარმოიდგენს და დუღსინეას ღვთაებასავით ეთაყვანება. რაინდული, საგმირო საქმეებით ამტკიცებს მის სიყვარულს; ანდა, მაგალითად, დაპატიმრებულ ბოროტმოქმედებს უსამართლობისა და ძალადობის უცოდველ მსხვერპლებად სახავს და თავგამოდებით ესარჩლება მათ...თავისი ილუზიები დონ კიხოტს ძვირად უჯდება მტკივნეულ დარტყმებს იღებს სინამდვილისგან და საბოლოოდ ფხიზლდება კიდეც. მაგრამ დიდხანს ჯიუტად არ ელევა ოცნებას და ეს ქმნის მის უნიკალურ მომხიბვლელობას. შეიძლება ითქვას, რომ დონ კიხოტი ბავშვური სულის გამორჩეულად სრულყოფილი მხატვრული განსახიერებაა. ეს პერსონაჟი სიყვარულის, სიკეთისა და სამართლიანობის ბავშვურად წრფელი რწმენის, ამაღლებულისა და მშვენიერისკენ ბავშვურად დაჟინებული ლტოლვის სიმბოლოა.

დონ კიხოტი, ალბათ, ყველაზე რომანტიკული ლიტერატურული გმირია და ამიტომ მას ძალიან აფასებენ რომანტიკოსი პოეტები, მწერლები. მეორე მხრივ, თუ ამ გმირს რეალისტური თვალთახედვით შევხედავთ, ცხადი გახდება, რომ ილუზორული წარმოდგენების ტყვეობა ტრაგიკომიკურია, ან სულაც ტრაგიკულია“[8,0].

ს ე რ ვ ა ნ ტ ე ს ი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოქმედთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად

ვაჟა–ფშაველა „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“,1905

დონ-კიხოტი და ჰამლეტი; ესენი მთელის კაცობრიობის საჭიროების მიხედვით არიან შექმნილნი, ანუ მათში გამოიხატება კანონები ცხოვრებისა. დონ-კიხოტი არის

მაძიებელი სიმართლისა, ამისთვის თავგანწირვით მებრძოლი, ხოლო ჰამლეტი ძიებისაგან მოპოებულის მჩხრეკელ-მრკვეველი, ანალიტიკოსი. ეს თვისება, ეს წესი საკაცობრიო საჭიროებაა, ყველა ქვეყნისა და ერისათვის მინიჭებული და არა მარტო ესპანელ-ინგლისელთა კუთვნილება

ვაჟა-ფშაველა „რამე-რუმე“

ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებით და ნაკლით. აბა კარგად დაუკვირდით ლამანჩელ აზნაურს დონ-კიხოტოს, შეადარეთ თვით ბუნებასთან, რამდენს მსგავსებას ჰნახავთ მათ შორის. რა არის თვით ბუნება, თუ არა იგივე დონ-კიხოტი, რომელიც თავდაუზოგავად ჰლელავს, იბრძვის, მისწრაფის ერთხელ არჩეულ, აჩემებულ გზაზე თავდაუზოგოვად? აზრი მაღალი აქვს, ფიქრი კეთილი, მაგრამ შეცდომაც ბევრში მოსდის, უნაკლო არც იგია. რამდენადაც ნიჭიერია მწერალი, რამდენადაც მაღალი და დიდებულია მისი გრძნობა, გონება, იმდენად სავსებით ჰხატავს იგი ბუნებას არჩეულ ტიპის მეოხებით

ვაჟა-ფშაველა „სად არის პოეზია?“

მარგინალები

„მარგინალი“ (ლათ. არე, კიდე ზღვარი. პირველადი მნიშვნელობით წიგნის კიდე) — წიგნის ადგილი, სადაც არ წერია ძირითადი ტექსტი და გამოიყენებოდა მინაწერების გასაკეთებლად. ამ სიტყვით აღინიშნება ის ადამიანები და ჯგუფები, რომლებიც დარჩნენ „საზოგადოების“ მიღმა. ანუ როდესაც ვამბობთ მარგინალ ადამიანს, ნიშნავს საზოგადოებიდან გარიყულს“ [32,0].

„ილიას „ოთარაანთ ქვრივში“ კარგად არის წარმოჩენილი მარგინალობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები. მარგინალობას იწვევს, ერთი მხრივ, გარკვეულ სოციალურ ფენათა შორის დაპირისპირება, მეორე მხრივ, ერთსა და იმავე სოციალურ ჯგუფში განსხვავებულ ზნეობრივ ღირებულებათა არსებობა...

ოთარაანთ ქვრივი შეგნებულად არის განზე გამდგარი იმ საზოგადოებისგან, რომელიც მისთვის მისაღებ ზნეობრივ ღირებულებებს ვერ ან არ აღიარებს. ამიტომაც მათ შორის არის ან შიში, ან კიდევ გაუცხოება. ...

სულ სხვაგვარად აიხსნება სოსია მეწისქვილის მარგინალობა. იგი არის პასიური მარგინალი, მას სოფელი აბუჩად იგდებს და იშორებს, როგორც მიუღებელს. ამ თვალსაზრისით, სოფელი თავის აგრესიას ახორციელებს პიროვნების მიმართ, რომელსაც თავდაცვის უნარი არ გააჩნია, მაგრამ იგი მაინც ნებაყოფლობითი მარგინალია...

ქართული ლიტერატურიდან ცნობილ მარგინალებად შეიძლება დავასახელოთ: თარაშ ემზვარი (კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, დათა თუთაშხია (ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“), თეიმურაზ ხევისტავი (მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“), ალუდა ქეთელაური და ჯოყოლა (ვაჟა ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ და

„სტუმარ_მასპინძელი“ ... მსოფლიო ლიტერატურიდან: დონ კიხოტი (სერვანტესის „დონ კიხოტი“), თავადი მიშკინი და ნიკოლაი სტავროგინი (დოსტოევსკის „იდიოტი“ და „ემშაკნი“), ჰამლეტი (შექსპირის „ჰამლეტი“) და სხვა.

გიორგიც აქტიური მარგინალია, რადგან ცდილობს თავისი პრინციპების ცხოვრებაში გატანას, არ აშინებს მარცხი, იმდენად თავდაჯერებულია. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“ _მისი ზნეობის საყრდენია. იგი რაინდული ბუნებისაა, რადგან დაჩაგრულს ესარჩლება და სამართლიანობისთვის იბრძვის, ამიტომაც მისი სახის არქეტიპად აკაკი ბაქრაძემ მიიჩნია როგორც მაცხოვარი, ასევე წმინდა გიორგი[50,0].

„გახსოვთ აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსი „ღამურა?“ თავცს თავვად ყოფნა მობეზრდა და ჩიტად ქცევა ინატრა. თავუნას სურვილი შეუსრულდა და ფრთები გამოესხა, მაგრამ, უჩვეულო გარეგნობის გამო, სხვა ჩიტებმა აითვალწუნეს და იძულებული გახდა ისევ თავვებთან დაბრუნებულიყო. ფრინველად ქცეული თავცი აღარც ძველმა თანამომძეებმა მიიღეს. საბრალო თავუნა იძულებული გახდა, ყველას გარიდებოდა და ბნელ ნანგრევებში დაედო ბინა. მას შემდეგ იგი სამალავიდან მხოლოდ ღამ-ღამობით გამოდის. იმ ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებისაგან გარიყულები აღმოჩნდნენ, აკაკი წერეთელი ღამურას ადარებს. დღეს ასეთ ადამიანებს მარგინალებს უწოდებენ (მარგინალები, www.slideboom.com).

„სამანიშვილის დედინაცვალში“...

„ამა თუ იმ იდეისა თუ ჩანაფიქრის გამოსახატავად, სიუჟეტის გასაშლელად და სახეთა ჩამოსაყალიბებლად ადამიანის მხატვრულ შემოქმედებას ერთი ნაცადი და უნივერსალური გზა აქვს შერჩეული: ეს არის გმირის დაპირისპირება გარეშე სამყაროსთან, მისი ოცნებისა და სურვილების ან შეგნების დაჯახება სინამდვილესთან. მსოფლიო ლიტერატურის პრაქტიკაში ეს გზა სხვადასხვა ფორმას იღებს. მაგრამ მისი ყველაზე უფრო გავრცელებული და უძველესი სახე არის გმირის მოგზაურობა ერთი ადგილიდან თუ ქვეყნიდან მეორეში რაიმე დასახული მიზნის შესასრულებლად. ეს ხერხი ისეთივე ძველია, როგორც თვითონ შემოქმედება. მისი სათავე იკარგება ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში – ზღაპრებში, თქმულებებში. უეჭველია, ლიტერატურაშიც იგი აქედან არის შემოსული გარკვეული კომპოზიციური ხერხის სახით.

„ოდისეადან“ დაწყებული ვიდრე ჩვენს დრომდე ჩამოთვლაც კი ძნელია იმ განუმეორებელი, უკვდავი ქმნილებებისა, რომლებიც ამ კომპოზიციის პრინციპებზე არიან აგებულნი. ამნაირმა კომპოზიციამ, ჩვენგან არც ისე დაშორებულ დროში, კლასიკური გამოხატულება ჰპოვა სერვანტესის „დონ კიხოტში“. უახლეს ქართულ ლიტერატურაში ისე ბრწყინვალედ არავის გამოუყენებია ეს კომპოზიციური ხერხი, როგორც კლდიაშვილმა გამოიყენა იგი თავის „სამანიშვილის დედინაცვალში“...

ლეო ქიაჩელი (1884–1963)

„კაცია–ადამიანი?!“ და „ჯაყოს ხიზნები“ ჩამოჰგავს „დონ კიხოტს“ და ლუარსაბ თათქარიძე და თეიმურაზ ხევისთავი სერვანტესის რომანის გმირს

ორივე ქართულ თხზულებას თავიდან ბოლომდე ერთი ხედვა გასდევს და მთავარი გმირებისადმი ავტორთა დამოკიდებულება უცვლელია: სატირულ–კრიტიკული. არსად თანაგრძნობა (ყოველ შემთხვევაში, ხელშესახებად გამოხატული), არსად პატივისცემის გამომჟღავნება.

ოღონდ დონ კიხოტი, ავტორისავე ნებით თუ უნებლიეთ, ისე განზოგადდა, ამ პერსონაჟის ხასიათმა ისეთი დაფარული და ღრმა შრეები გაამჟღავნა, ისეთ მონუმენტურ ფიგურად გამოიკვეთა, თანდათან დაგვავიწყა, რომ მისი თავგადასავლის კითხვისას სულ ვიციინოდით და ვხარხარებდით, და თუ გვებრალებოდა, როგორც დამთხვეული ადამიანი, თავის თავს იმდენი და ისეთი უბედურებანი რომ შეამთხვია, მტერი არ უზამდა. და ეს მონუმენტალობა მისი ხასიათისა იმის წყალობაა, რომ ფათერაკებით აღსავსე გზას დაადგება არა პირადი გამორჩენისა თუ კეთილდღეობისათვის, არამედ დათრგუნული ჭეშმარიტების აღსადგენად, დევნილთა და უპოვართა გამოსასარჩლებლად.

სერვანტესს სხვა განუზრახა და სულ სხვა რამ შექმნა – რომანიც და მისი მთავარი გმირიც[14,0].

ავიღოთ სერვანტესი... იგი, როდესაც თავის უკვდავ დონ-კიხოტს სახეს აძლევდა, მის უკვდავებაზე სრულებით არ ოცნებობდა... მისი აზრი ამ დროს კონკრეტულ სინამდვილეს არ ცილდებოდა, პრაკტიკულის ჩარჩოებში ტრიალობდა... ასე ეგონა, მაგრამ უნებურათ გაცილდა წვრილმანობის საზღვრებს და პატარა ღელის წილ ოკეანე გვაჩუქა, ოკეანე პოეზიისა... რომელი იტყვის, რომ დონ-კიხოტი პოეტური ძლიერებით არაა აღჭურვილიო? რომელ მკითხველს არ აგრძნობიებს სილამაზის, მშვენიერების ჯადოსნურ ძალას? რომელს არ დაუკმაყოფილებს მის ესთეტიურ მოთხოვნილებას?[33,0].

„დონ კიხოტი“ მეტაპროზაული ნაწარმოებია...

მეტაპროზა ეს გახლავთ სახესხვაობა ლიტერატურისა, რომელიც განსაკუთრებით გამოიკვეთა პოსტმოდერნიზმის ეპოქაში, თუმცა ეს არ არის უშუალოდ პოსტმოდერნის მონაპოვარი, მე თავის დროზე ასეთი განმარტება მოვუძებნე მეტაპროზას: ეს არის ისეთი პროზა, როდესაც მწერალი ამბის თხრობისას თხრობის ამბავსაც ყვება. ანუ ეს არის ისეთი პროზა, რომელიც თვითრეფლექსიას ახდენს, ლიტერატურა თავისი თავის თემატიზაციას ახდენს წერის დროს. მეტაპროზას დიდი ხნის ისტორია აქვს, ერთ-ერთი უდიდესი შედეგრი კაცობრიობის ისტორიის, „დონ კიხოტი“ მეტაპროზაული ნაწარმოებია. ამაზე მიაჩნებდა ჯერ კიდევ ბორხესი... [34,0].

მ წ უ ხ ა რ ე ს ა ხ ი ს რ ა ი ნ დ ი – დამწუხრებულ ადამიანზე იტყვიან, ასეთი სახელი დაუმკვიდრდა ესპანელი მწერლის მიგელ სერვანტესის რომანის მთა

მეტაპროზა ეს გახლავთ ვარ გმირს რაინდ დონ კიხოტ ლამანჩელს, ამ კეთილშობილური სურვილებით გატაცებული რაინდის ცხოვრება სავსეა უნაყოფო, სასაცილო და დამთხვეული გმრობით[43,0].

სერვანტესის პერსონაჟები საყოველთაო ეპითეტებადაც კი იქცნენ: ადამიანს, რომელსაც ახასიათებს დადებითი, მაგრამ ხშირად უტოპიური იდეალებისკენ სწრაფვა დღემდე „დონ კიხოტად“ მოიხსენიებენ. ასევე არსებობს ტერმინი დონკიხოტიზმი, რომელიც ზეიდეალურობის სინონიმად ითვლება. „დონ კიხოტმა“, როგორც ნაწარმოებმა გააჩინა მრავალი იდიომატური გამოთქმაც, მათ შორის ქართულ ენაშიც, მაგ.: „ქარის წისქვილებთან ბრძოლა“, რაც არარეალურ, გამოგონილ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლას ან ამის სურვილს ნიშნავს[21,0].

„შერეკილები“, ისევე, როგორც გაბრიამის შემოქმედება სრულად – მარიონეტების თეატრი, კინოსცენარები, მხატვრობა, პროზა – სერვანტესის „დონ კიხოტის“ თანაზიარია სიწმინდით, სულისკვეთებით, რაინდობით (თუ რაინდებით), არისტოკრატიზმით და, რაც მთავარია, კეთილშობილებით.

მსოფლიო შედეგის დონეზეა..

ერთ ინტერვიუში კახი კავსაძემ გაიხსენა დონ კიხოტის გზამკვლევი (თუ გზის მანათობელი) ვარსკვლავის მიხაილ ჩეხოვისეული (დიდი რუსი მსახიობის) შედარება მეფისტოფელის ვარსკვლავთან, რომელიც თვალების გუგებშია, ჰამლეტისა – გულშია, ლირის – გონებაში, ტვინში, სანჩო პანსასი – დუნდულებში, დონ კიხოტის გზის მანათობელი ვარსკვლავი კი თავზე ოდნავ ზემოთაა.

და არა უსასრულო ზეცაში.

თავს ზემოთ, მაგრამ მიწასთან ახლოს[24,0].

„დონ კიხოტი“ ესპანური და მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია. ნაწარმოების მნიშვნელობა კარგად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ მსოფლიო ბესტსელერია და ტირაჟით, მხოლოდ ბიბლიას ჩამორჩება. თავდაპირველად, რომანი ჩაფიქრებული იყო როგორც პაროდია შუა საუკუნეების სარაინდო რომანებზე, თუმცა საბოლოოდ ნაწარმოებში აისახა სერვანტესის პერიოდის ესპანეთის სრული სურათი, მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით. ნაწარმოების სრული სათაურია „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელი“. ესპანურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ“[21,0].

„მახვილგონიერი იდალგო დონკიხოტი ლამანჩელი“ ითვლება ესპანური და მსოფლიო ლიტერატურის ერთ ერთ უბრწყინვალეს ნიმუშად. რომანში მსუბუქი იუმორისტული და ხშირად სატირული ფორმით არის გადმოცემული ღრმად ფილოსოფიური აზრები ცხოვრების შესახებ. ესპანურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. „მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ამ წიგნზე უფრო ღრმა და ძლიერი ნაწარმოები. დღესდღეობით ესაა ადამიანური აზრის უკანასკნელი და უდიადესი სიტყვა. ესაა ყველაზე მწარე ირონია, რომელიც ოდესმე გამოუთქვამს ადამიანს. დედამიწის აღსასრული რომ დამდგარიყო და სადღაც ზემოთ ადამიანებისათვის ეკითხათ: „აბა, რას იტყვით, შეიცანით თუ არა თქვენი ცხოვრება მიწაზე, ან რა დასკვნა გამოიტანეთ აქედან“, - ადამიანს შეეძლო უსიტყვოდ გაეწოდებინა „დონ კიხოტი“: „აი, ჩემი დასკვნა ცხოვრების თაობაზე, - შეგიძლიათ ამის გამო განმსაჯოთ?“

თეოდორ დოსტოევსკი[19,0].

„მახვილგონიერი იდალგო დონკიხოტი ლამანჩელი“ არა მხოლოდ სერვანტესის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი ნაწარმოებია. „დონ კიხოტით“ სერვანტესმა სარაინდო რომანების სისულელეთა გამასხარავება მოინდომა, თუმცა კი ისე წარმოადგინა 650-ზე მეტი პერსონაჟი, რომ მათი გაცნობით მილიონობით მკითხველი იმდროინდელი ესპანეთის ცხოვრების თანაზიარი გახადა. იმ გმირთა შორის უმთავრესნი არიან რაინდი და მისი საჭურველთმტვირთველი. პირველი გადარიბებული იდალგოა, მეორე – არანაკლებ დატაკი გლეხი. დონ კიხოტი და სანჩო პანსა უკვე საუკუნეებია, ჰუმანურობითა და ხალხური სიბრძნით ხიბლავენ სხვადასხვა ასაკისა და მსოფლმხედველობის მკითხველს. ალბათ ამიტომაც დონ კიხოტს პოეზიას ადარებენ, სანჩო პანსას – ცხოვრებისეულ პროზას(დონ კიხოტი, <http://laterna.ge/>).

„პალიტრა L -მა ორიგინალური აქცია მოაწყო. თბილისის ქუჩებში ორი ბაიკერი გამოჩნდა, რომლებიც დონკიხოტისა და სანჩო პანსას ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი. ბაიკერები ქალაქს ათვალიერებდნენ და გამვლელებს ესპანურ ენაზე ესაუბრებოდნენ. ისინი ესპანურად რამდენიმე ფრაზას წარმოთქვამდნენ. ეძებდნენ დუღსინეასა და ქარის წისქვილებს და აღნიშნავდნენ, რომ საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, დონ კიხოტი და სანჩო დუღსინეას პაპანაქებაში ჩაფხუტ-აბჯარში გამოწყობილნი და მოტოციკლეტებზე ამხედრებულნი დაეძებდნენ, მათი დანახვა მაინც ყველას უხაროდა. ხალხი გარს შემოეხვია. მათ კი ქალებს გვირილები უძღვნეს და თავაზიანად გამოელაპარაკნენ. გმირები საჯარო დაწესებულებებშიც შევიდნენ „დუღსინეას სამებნელად“, მაგალითად, საჯარო რეესტრში და მერიაშიც. მაგრამ დაცვა – „ნო სინიორ, ნო სინიორის“ ძახილით წინ გადაუდგა და დონ კიხოტი და სანჩო უკან გამოაბრუნეს...

დონკიხოტისა და სანჩოს გამოჩენამ თბილისის ქუჩებში დიდი გამოხმაურება და ინტერესი გამოიწვია.

„პალიტრა L“ კარგა ხანია ამ აქციისთვის ემზადებოდა. 8 აგვისტოს, „კვირის პალიტრასთან“ ერთად სერვანტესის „დონკიხოტი“ პირველი წიგნი გამოვიდა, „50 წიგნი რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ“-აქციის ფარგლებში. სწორედ ამასთან დაკავშირებით ჩატარდა რამდენიმე დღით ადრე ეს სარეკლამო აქცია. აქციის გმირები კი ქართველი ბაიკერები არიან: მერაბ წიკლაური და ზურაბ ოძელაშვილი. მათ შესანიშნავად მოირგეს კოსტიუმები, ესპანური ენაც გაითავისეს... და საკმაოდ დამაჯერებლად, ოსტატობით გაართვეს თავი თავიანთ როლებს... გააცოცხლეს ის გმირები, რომლებიც მართლა უკვდავნი არიან და ამიტომაც შევიდნენ იმ „50 წიგნში, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“[35,0].

„VII კლასში უკვე წაკითხული მქონდა არა მხოლოდ ქართული კლასიკური ლიტერატურა, არამედ ტოლსტოის, დიკენსის, დოსტოევსკის რომანები. ასევე სერვანტესის „დონკიხოტი“. ამ ხნის კაცი ვარ და ახლა უნდა გაგიმხლოთ, მაშინ ვერ ჩავწვდი ამ წიგნის გენიალობას, და ვერც შემდგომ. ვტიროდი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარზე“, „მადამ ბოვარის“ ცხოვრებაზე, „ანა კარენინას“ ტრაგედიაზე, „ჯაყოს ხიზნების“ მარგოსა და თეიმურაზის ბედზე, მიყვარდა და დღემდე მიყვარს შორენა კოლონკელიძე, ეს ულამაზესი ქალი, მაგრამ „დონ კიხოტი“ დღემდე ვერ გავითავისე. ლიტერატურის სპეციალისტი ვარ და, რა თქმა უნდა, სტუდენტებს სერვანტესისადმი ჩემს დამოკიდებულებას არ ვუმხელ, ვაყვარებ მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებს. ხუთ საუკეთესო ნაწარმოებს რომ ჩამოვთვლი, მათ შორის სერვანტესსაც მოვიხსენიებ. ჩემი სია ასეთია: ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სერვანტესი და შექსპირი. შექსპირი არის უძირო ზღვა, მასზე ვგიჟდები. მე, როგორც პროფესიონალმა მწერალმა, სერვანტესის სიდიადე როგორ არ ვიცი, საოცარი შედარებები და სცენები აქვს, რადიკალურად განსხვავებული ტიპაჟები არიან დონ კიხოტი და სანჩო პანსა, მაგრამ ლიტერატურას სხვადასხვა საზომით ვზომავ, ქართულ მეცნიერებაში, ლიტერატურათმცოდნეობაში მე ერთადერთმა დაწვერე ყველა კრიტიკოსისთვის წიგნი, თუ როგორ უნდა შევაფასოთ მხატვრული ნაწარმოები. მხატვრულ ნაწარმოებში უნდა შევხედოთ სიუჟეტს, კომპოზიციას, მხატვრულ სახეებს, ენას, სტილს და ა.შ. კი, ეს ყველაფერი „დონკიხოტში“ არის, მაგრამ ჩემი საყვარელი წიგნია-მეთქი, მაინც ვერ ვიტყვი“[28,0].

ვ) „დონ კიხოტი“. მოკლე შინაარსი, მოქმედი პირები.....

ლამანჩის ერთ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი იდალგო, ალონსო კუხანა, რომელსაც სარაინდო წიგნების კითხვამ გონება აურია, გადაწყვიტა გამხდარიყო კეთილშობილი, სამართლიანობისათვის მებრძოლი გმირი და ფათერაკების

საძებნელად დაეწყო მოგზაურობა. გააპრიალა ძველისძველი, მამაპაპური იარაღი, ნაგლეჯ ჩაჩქანს მუყაოსგან რაღაც ნაწილი მიამაგრა. თავის ჯაგლაგ ცხენს **როსინანტი** შეარქვა. ჩათვალა, რომ სარაინდო წესების თანახმად, სატრფოც უნდა ჰყოლოდა. მეზობელი სოფლიდან ამოირჩია გლეხ კორჩუელო ლორენსოს ასული, **ალდონსა ლორენსო**, რომელსაც ერთ დროს შორიდან ეტრფოდა. გოგონას **დულსინეა ტობოსელი** შეარქვა. თვითონაც შეიცვალა სახელი, **დონ კიხოტი** გახდა და გაემგზავრა საგმირო საქმეების ჩასადენად. **მიადგა ერთ ფუნდუკს**. იქ მეჯორეებთან კონფლიქტი ჰქონდა. მეფუნდუკემ, მისივე თხოვნით, „რაინდად აკურთხა“, თან მომსახურეობისთვის თანხა მოსთხოვა. იდალგომ მიუგო, რომ არც ერთ სარაინდო წიგნში არ წაუკითხავს თანხის საჭიროების თაობაზე. მეფუნდუკემ მიუგო, მართალია, არსად წერია ამაზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაინდს საცვლები და ფული არ უნდა ჰქონდესო.

- იდალგომ გადაწყვიტა შინ დაბრუნებულიყო. **გზად** გადაეყარა მწყემს ბიჭს, **ანდრესს**, რომელსაც თავისი ბატონი, **ხუან ალდუდო**, სცემდა. ყმაწვილს გამოესარჩლა, გაათავისუფლა და კმაყოფილი გაუდგა გზას, ჩათვალა, რომ ეს „პირველი ფათერაკი“ მისი შემდგომი საქმიანობის ბედნიერ დასაწყისს წარმოადგენდა.
- მალე ცხენოსან **ვაჭრებსა და მათ მეჯორეებს შეხვდა**, რომელთაც აიძულებდა ელიარებიანთ, რომ **დულსინე ტობოსელი** ულამაზესია დედამიწის ზურგზე. მგზავრებმა ყურადღება არ მიაქციეს, გაბრაზდა და შუბით გაექანა მათკენ, ერთმა მეჯორემ იდალგო ისე სცემა, რომ გაიშოტა, იწვა, წამოდგომას ვერ ახერხებდა. ბედს შეეგუა, სარაინდო რომანიდან, ბალდუინისა და მანტუანელი მარკიზის სცენის გახსენება დაიწყო. ამ დროს გამოიარა მისმა მეზობელმა, გლეხმა, **პედრო ალონსომ**, გონებაარეულს, ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილს, დაეხმარა წამოდგომაში და **გაჭირვებით მიიყვანა თავის სოფელში**, მის სახლთან ახლოს, დაბინდებას დაელოდა, არ უნდოდა ვინმეს ამგვარ მდგომარეობაში ეხილა იგი. მათ მოესმათ **დონ კიხოტის** ოჯახის წევრების, ახლობლებისა და **მეგობრების: დალაქ ნიკოლასისა და მღვდელ პერო პერესის** საუბარი, ისინი წუხდნენ, იდალგო სამი დღეა არ ჩანს, უკვალადაა გამქრალიო. სახლის გამგემ და **დონ კიხოტის** ძმისწულმა, **ანტონიო კიხანომ**, ისიც აღნიშნეს, რომ არც მისი შუბი და ფარი იდო თავის ადგილზე. ყველაფერი სარაინდო რომანების ბრალია, იდალგო გამუდმებით კითხულობს მათ, მერე კი წარმოსახვით მტრებს ებრძვის და ის წიგნები უნდა დავწვათო.
- **პედრო ალონსო** მიხვდა, **დონ კიხოტს** გონება არევიანო. დადუმებული რაინდი შინ მიიყვანა. ახლობლებმა ის ლოგინში ჩააწვინეს. **დონ კიხოტმა** თქვა, ათას გოლიათს ვებრძოდი, როსინანტი წაიქცა, ქვეშ მოვყევი და დაბეგვილი ამის გამო ვარო.
- მეორე დღეს მღვდელმა და დალაქმა იდალგოს ბიბლიოთეკა, რომელშიც ასზე მეტი დიდტანიანი და რამდენიმე მომცრო წიგნი ინახებოდა, დაათვალიერეს. „დასჯას“ გადაურჩა: „ამადის გალელის“ ოთხნაწილიანი ისტორია, წიგნები: „რაინდობის სარკე“, „პალმერინოს ინგლისელი“, ხორხე დე მონტემაიორის

„დიანა“ (მხოლოდ რამდენიმე ფურცელი ამოგლიჯეს), სარდინელი პოეტის, ანტონიო დე ლოფრასოს, თხზულება „ათი წიგნი სიყვარული საუნჯისა“... „მწყემსი ფილიდი“, „სხვადასხვა ლექსთა სალარო“, ლოპეს მალდონადოს „ლექსთა კონა“, მიგელ დე სერვანტეს საავტორო „გალათეა“. სამი წიგნი: დონ ალონსო დე ერსილიას „არაუკანა“, კორდოველი ხუან რუფოს „აუსტრიადა“ და ვალენსიელი ქრისტობალდ დე ვირუესის „მონსერატი“, საუკეთესოებად ჩათვალებს. „ანჟელიკას ცრემლებიც“ დატოვებს.

- ბიბლიოთეკაში მყოფთ, დონ კიხოტის ოთახიდან, ყვირილი შემოესმათ. შეცვივდნენ, ის ხმაღს იქნევდა, „იბრძოდა“, თქვა: ტურნირზე გამარჯვებას თორმეტი რაინდი უთმობს კარის რაინდებს, ეს კი სირცხვილიაო. დააშოშმინეს, ლოგინში ჩააწვინეს. ამ შემთხვევამ, უკვე, საბოლოოდ გადაწყვიტა მისი რომანების ბედი. იმავე ღამეს, დაუდევრად დაწვეს ისეთი წიგნებიც, რომლებიც, სერვანტესის თქმით, არქივში სამუდამო დაცვის ღირსი იყო, ამოქოლეს ბიბლიოთეკის კარები. მეორე დღეს დონ კიხოტი ამაოდ ეძებდა თავის ბიბლიოთეკას, უთხრეს, შუადამისას, გველეშაპზე მჯდომი ჯადოქარი მოფრინდა და ბიბლიოთეკა გააქრო. დონ კიხოტმა დაიჯერა, თქვა, ამას ჩემი მტერი ფრესტონი ჩაიდენდაო.
- ორი კვირის განმავლობაში იდაღგო მშვიდად იყო, საუბრობდა მეგობრებთან, მაგრამ მეზობლად მცხოვრებ გლეხს, სანჩო პანსას, მალულად ურიგდებოდა, გამხდარიყო მისი საჭურველმტვირთველი, სანაცვლოდ, კუნძულს რომ დაიპყრობდა, მის გუბერნატორად დანიშნავდა. **ერთ მშვენიერ დღეს ორივენი გაიპარნენ.** გზაზე, რაინდმა, ქარის წისქვილები გოლიათებად ჩათვალა, მისკენ, შუბით ხელში, საბრძოლველად გაექანა, მაგრამ შენობის ფრთა დატრიალდა, დონ კიხოტი როსინანტიდან ჩამოაგდო და იარაღიც გაუტეხა. განაგრძეს მოგზაურობა.
- მეზავრებს, **პუერტო ლაპისის ხეობაში ორი ბენედიქტელი ბერი შეხვდა. შორიახლო ეტლი მოდიოდა, რომელშიც იჯდა სევილიაში, თავის მეუღლესთან მიმავალი, ბისკაელი ქალი.** დონ კიხოტმა ბერები ჯადოქრებად ჩათვალა, ეტლით მოტაცებული სეფექალი მიჰყავთ და მისი გათავისუფლება ჩემს მოვალეობას წარმოადგენსო. სასულიერო პირებს შეუტია. ისინი გაიქცნენ, რაინდმა გაიფიქრა, სეფექალი ვიხსენიო, მიუახლოვდა, ამცნო, თავისუფალი ხარ და, ამის სანაცვლოდ, ტობოსოში უნდა წაბრძანდე და დულისინეს ჩემი გმირობის შესახებ უამბო. ქალის ერთ-ერთმა მხლებელმა, ბისკაელმა, წინააღმდეგობა გაუწია რაინდს. დონ კიხოტმა მასთან ორთაბრძოლაში გაიმარჯვა.
- ფათერაკების მაძიებელმა ბატონმა და მსახურმა ისევ განაგრძეს გზა. **თხის მწყემსთა კარვის ახლოს აღმოჩნდნენ,** გადაწყვიტეს მათთან გაეთიათ ღამე. იდაღგომ აქ გაიგო, რომ მარსელაზე უიმედოდ გამიჯნურებულმა ქრიზოსტომმა თავი მოიკლა. რაინდი მის დაკრძალვაზე გაჰყვა მწყემსებს. მერე გადაწყვიტა ქალი დაეცვა მასზე გაგულისებულ ადამიანებისაგან და სანჩოსთან ერთად გაემგზავრა მის მოსამებნად. **ველზე იანგვესელ მეჯოგეებს შეხვდნენ,** მათ მიერ გალისიიდან გამორეკილ ფაშატებში გაერია როსინანტი, პირუტყვი მწყემსებმა

სცემეს, დონ კიხოტი და სანჩო ცხენს გამოექომაგნენ, მაგრამ, მეჯოგეებმა, ბატონი და მსახური კომბლებით დაბეგვეს და გაიქცნენ.

- ნაცემი მოგზაურები ისევ გაუდგნენ გზას. **გამოჩნდა ფუნდუკი**, რომელიც დონ კიხოტს ციხედარბაზი ეგონა. ღამის გასათევად იქ დარჩნენ.
- დასაძინებლად რომ დაწვნენ, მსახურ ასტურიელ გოგოს, **მარიტორნესს**, რომელსაც ერთ მეჯორესთან ჰქონდა პაემანი დანიშნული, სიბნელეში გზა აერია და შემთხვევით დონ კიხოტს გადაეყარა. რაინდმა გაიფიქრა, ციხესიმაგრის ასულს შევუყვარდი და მესტუმრაო. ეჭვით შეპყრობილ მარიტორნესის მიჯნურსა და დონ კიხოტს შორის ჩხუბი გაიმართა. სანჩოც, ამ კონფლიქტში, საკმაოდ დაზიანდა.
- ბატონმა და მსახურმა ღამისთევის თანხა არ გადაიხადეს. ფუნდუკის მდგმურებმა **სანჩო ჩაიგდეს ხელში**, **საბნით**, ზევით–ქვევით **აფრინეს**. ამ დროს დონ კიხოტი ეზოდან გასული იყო, თუმცა, მსახურის ხმა რომ გაიგო, დაბრუნდა, მაგრამ შესასვლელს ვერ მიაგნო. მდგმურები დაილაღნენ, საჭურველმტვირთველს თავი დაანებეს და გაუშვეს, სანჩოს ჩანთა იქ დარჩა, მეფუნდუკემ, **ხუან პალომეკემ**, ის, ხარჯის სანაცვლოდ დაიტოვა.
- **ბატონმა და მსახურმა გზაზე ცხვრის ფარა შეამჩნიეს**, რაინდს ეგონა ტრაპობანის უზარმაზარი კუნძულის იმპერატორ ალიფანფარონის ლაშქარი მოემართება, უკან კი მტერი, გარამანტების მეფე, პენტაპოლინი, მოჰყვებაო. რაინდი ყვირილით შევარდა შუა ფარაში, ცხვრებს დაერია, და როგორც მოსისხლე მტრებს, ისე დაუწყო ხოცვა. მწყემსებმა ქვების სროლა დაუწყეს, დაბეჟილ–დალეწილი რაინდი სასწრაფოდ დატოვეს და წავიდნენ.
- იდალგო და მსახური ფუნდუკის მოსაძებნად გაუდგნენ გზას, დაინახეს **ოცამდე ცხენოსანი**, რომლებიც სეგოვიაში, საგვარეულო აკლდამაში დასამარხავად, საკაცით, ცხედარს მiasვენებდნენ, იდალგომ გაიფიქრა, ან მძიმედ დაჭრილი რაინდი მიჰყავთ, ან მკვდარს მiasვენებენ და მათთვის სამაგიეროს გადახდა ჩემს მოვალეობას წარმოადგენსო. შუბი მოიმარჯვა და შუა გზაზე გაჩერდა, აათოხარიკა როსინანტი და შეუტია ცხენოსნებს. გაიმართა ბრძოლა. მგზავრები დაიფანტნენ, ერთი ლიცენციანტი წაიქცა და ვერ ადგა, დონ კიხოტმა მისგან გაიგო, რომ ეს ხალხი ბაესიდან მოდის და სახადისაგან გარდაცვლილ აზნაურს მiasვენებს. წამოაყენეს წაქეუული, რაინდმა ბერებთან ბოდიში დააბარა. სანჩომ დაამატა, გადაეცი, რომ მათი დამმარცხებელი სახელოვანი დონ კიხოტ ღამანჩელი, ანუ მ წ უ ხ ა რ ე ს ა ხ ის რ ა ი ნ დ ი ა ო.
- **მოგზაურები ველზე დასასვენებლად გავიდნენ**. დაბნელდა. მთელი ღამის განმავლობაში ესმოდათ რკინისა და ჯაჭვის ჟღერიალის თავზარდამცემი ხმა. დილით ძალიან შერცხვათ, რადგან, თურმე, სამთელავოს ექვსი ჩარხის რახუნმა შეაშინა ორივე.
- წინწკვლა დაიწყო. გზაზე შენიშნეს ცხენოსანი, რომელსაც თავზე რაღაც ბრჭყვიალა ეხურა. რაინდს ეგონა, რომ ეს **ის მამბრანის ჩაჩქანი** იყო, რომლის გამოც ფიცი ჰქონდა დადებული. სინამდვილეში, ერთ დალაქს, წვიმამ მოუსწრო და რომ არ დასველებულიყო, სადალაქო თითბრის თასი დაიხურა თავზე.

რაინდი მივარდა და შეჰყვია, დამიბრუნე ის, რაც კანონიერად მეკუთვნისო. მოწინააღმდეგე ვირიდან ჩამოვარდა, მერე წამოხტა და მინდვრისკენ მოკურცხლა.

- დონ კიხოტმა, გზაზე, ქვეითად მიმავალი **თორმეტიოდე კატორღელი** დაინახა, ისინი გაათავისუფლა, მერე კი უბრძანა, კისერზე ჯაჭვდადებულნი, ტობოსოში წასულიყვნენ, დულსინეა ტობოსელთან, და მწუხარე სახის რაინდისგან უღრმესი პატივისცემის გამომხატველი სიტყვები გადაეცათ. მათ უარი განაცხადეს. დონ კიხოტი გაბრაზდა, გაიმართა შეხლა-შემოხლა, კატორღელებმა ბატონსა და მსახურს ქვები დაუშინეს, გამარცხეს და გაიქცნენ.
- სიერა-მორენაში, ერთ-ერთმა კატორღელმა, ხინეს დე პასამონტემ, **სანჩოს ვირი** მოჰპარა.
- მოგზაურებმა მთებში იპოვეს **ჩემოდანი**, რომელშიც მოთავსებული ოქროს ფული და თეთრეული დონ კიხოტმა სანჩოს აჩუქა და წიგნაკი თავისთვის დაიტოვა. მალე ჩემოდნის პატრონს, **კარდენიოს**, ანუ „ტყის რაინდს“ გადაეყარნენ. მან თავისი უიღბლო სიყვარულის ამბავზე ისაუბრა, მაგრამ ერთ-ერთი სარაინდო წიგნის პერსონაჟი ქალი, მადასიმა, ცუდად მოიხსენია, დონ კიხოტმა ეს ვერ მოითმინა და ყველაფერი კონფლიქტით დასრულდა.
- დონ კიხოტი და სანჩო განცალკევებით მდგარ **მთას მიადგნენ**, ბატონი აქ გაჩერდა, რადგან ადგილი მოეწონა, საჭურველმტვირთველი კი დაითანხმა, წერილები წაეღო დულსინესთან და რაინდის დისწულთან. იდალგო ანტონიოს უთვლიდა, შინ რომ დავტოვე იმ ხუთი ჩოჩრიდან, სამი სანჩო პანსას აჩუქეთო. მსახური როსინანტით გაემგზავრა. მარტოდარჩენილი იდალგო ფიქრობდა, მსახურის დაბრუნებამდე, სარაინდო რომანების გმირებიდან, რომლისთვის მიებადა, როლანდის დამთხვეულობისთვის თუ ამადისის სევდიანი სიგიჟისთვის.
- **სანჩო მღვდელსა და დალაქს შეხვდა**. წერილების თაობაზე უამბო მათ. სთხოვეს წაგვაკითხვინო. მღვდელი დაპირდა, გადაგიწერო, მაგრამ საჭურველმტვირთველმა უბეში წიგნაკი ვერ იპოვა, დარჩენოდა. მოინდომა გაეხსენებინა, რა ეწერა შიგ. მგონი ასე იწყებოდაო: „დიდო შეზღუდულო ქალო“... რაინდის მეგობრები მოელაპარაკნენ სანჩოს, იდალგო უნდა განვკურნოთ სიგიჟისაგან, შინ უნდა დავაბრუნოთ, მერე შეიძლება იმპერატორი გახდეს და შენი ბატონისგან დაჯილდოვდეთ. გადაეცი, ვითომ დულსინე უხმობსო. სანჩომ დაუჯერა. მღვდელმა და დალაქმა ფუნდუკში ითხოვეს კაბა, სამკაული, ხარის კუდი (წვერის გასაკეთებლად), გადაცმულები გაჰყვნენ სანჩოს, საჭურველმტვირთველი, დონ კიხოტის მოსამებნად, მთაში გაუშვეს, თვითონ კი ტყეში დარჩნენ. მალე ვილაცის სიმღერის ხმა შემოესმათ, რომელიც **კარდენიო** აღმოჩნდა, ის თავის მოღალატე მეგობარზე, დონ ფერნანდოზე ჩიოდა, რადგან, თურმე, მის შეყვარებულს, **ლუსინდას**, ირთავს ცოლად.
- მალე ფერნანდოს მიერ ცდუნებულ, ვაჟურად გადაცმულ, **დოროთეას** გადაეყარნენ.

- **სანჩო დაბრუნდა.** მან, თურმე, დონ კიხოტი ვერ დაითანხმა დულსინესთან წასულიყო, რადგან, რაინდის თქმით, ჯერ დიდი ღვაწლი არ ჩაუდენია და სატრფოს წინაშე ვერ წარდგებოდა. სანჩო წუხდა, რაინდი ჯურღმულებიდან გამოვიტყუოთ, თორემ იმპერატორობას ვერ ეღირსებაო. მღვდელმა კარდენიოსა და დოროთეას უამბო დონ კიხოტის გონებაარეულობის შესახებ და ისიც უთხრა თუ რა ხერხით ცდილობდნენ მის მოტყუებას. დოროთეამ დახმარება აღუთქვა მათ, ბოლჩიდან მდიდრული სამოსი ამოიღო, მოიკაზმა და მოიფიქრა, რომ ვითომ ეთიოპიის მიკომიკონის სამეფოდან, დონ კიხოტის მოსაძებნად, მოსული პრინცესაა. სურს სთხოვოს რაინდს, დაეხმაროს ბოროტი დევის წინააღმდეგ ბრძოლაში.
- მღვდელი და კარდენიო იქვე დარჩნენ, დოროთეა (ვითომ პრინცესა), დალაქი (ვითომ დოროთეას საჭურველმტვირთველი) და სანჩო წავიდნენ დონ კიხოტის მოსაძებნად. კლდეებს შუა, ერთ ვიწრო გასასვლელში, ნახეს რაინდი. დოროთეა–პრინცესამ დაუჩოქა, დახმარება სთხოვა. ამით ის გამოიტყუა კლდეებიდან. ყველანი, ვითომ მიკომიკონის სამეფოსკენ, რომელსაც, მათი თქმით, მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ მიაღწევდნენ, გაუდგნენ გზას, მღვდელმა, რომელმაც ახლა „იცნო“ რაინდი, თქვა, ჯერ ჩვენი სოფელი უნდა გავიაროთო, მერე მისი იქ ყიფნით გაკვირვებულ დონ კიხოტს აუხსნა, ნიკოლასთან ერთად, სევილიაში მივდიოდით, რამდენიმე წლის წინათ, ინდოეთში წასული ჩემი ნათესავის მიერ გამოგზავნილი ფულის, ას სამოცი ათასი პესოს, მისაღებად. გუშინ, ამ მიდამოებში, ოთხი ავაზაკი დაგვესხა თავს, გაგვძარცვა, წვერებიც კი მოგვტაცეს, ამიტომ დალაქი იძულებული გახდა ყალბი წვერი გაეკეთებინაო. კარდენიო კი ერთ–ერთი, ვიღაცის მიერ (დონ კიხოტს მიაჩნდა ამით) გათავისუფლებული კატორღელიაო.
- გზაზე შეხვდათ რაინდის მიერ გათავისუფლებული, სანჩოს ვირზე მჯდარი **კატორღელი**, ხინეს დე პასამონტე, საჭურველმტვირთველმა დაიბრუნა თავისი ლურჯა.
- **წყაროსთან შეხვდნენ ანდრესს**, მან რაინდს გამოსარჩლების გამო უსაყვედურა, საქმეში თქვენ რომ ჩაერიეთ, უარესად დამსაჯესო.
- **მივიდნენ ფუნდუკში.** მღვდელმა და დალაქმა ნათხოვარი ნივთები დააბრუნეს. დონ კიხოტმა დაიძინა. იდალგოს გონებაარეულობა მღვდელმა სარაინდო წიგნებს რომ მიაწერა, ეს მეფუნდუკეს ძალიან უკვირდა, მისი აზრით, ეს თხზულებები სასიამოვნო საკითხავია. მან ძველი, დაკეტილი ყუთი გამოათრია, რომელშიც სარაინდო წიგნები ჰქონდა შენახული. მასში აღმოაჩინეს მოთხრობა „უგუნური ცნობისმოყვარის ამბავი“. ყველანი დაინტერესდნენ და მღვდელს სთხოვეს წაეკითხა. კითხვის დასრულებას ცოტა უკლდა, სანჩო რომ შემოვარდა ღრიალით, ბატონს უშველეთ, იბრძვის, სისხლის ღვრაშია, პრინცესა მიკომიკონის მჩაგვრელ დევს თავი თალგამივით გააგდებინაო. მივიდნენ, თურმე რაინდმა ტიკები გოლიათებად აღიქვა და ხმლით დაჩეხა, ღვინო დაიღვარა.
- **ფუნდუკში ოთხი შავნიღბიანი ცხენოსანი მოვიდა.** მათ ახლდათ თეთრად შემოსილი, ასევე ნიღბიანი ქალი და ორი მსახური. ქალი ტიროდა. ის ლუსინდა

აღმოჩნდა, რომელიც მონასტერში ყოფილა შეხიზნული, დონ ფერნანდოს იქიდან გაუტაცია და აქ მოიყვანა. კარდენიომ ლუსინდა იცნო, დოროთეამ–დონ ფერნანდო. საქმე ისე წარიმართა, რომ კარდენიო ლუსინდას, ხოლო დოროთეა დონ ფერნანდოს დაუბრუნდა. სანჩო გაოცებული დარჩა, მიკომიკონის პრინცესა ჩვეულებრივი ქალი დოროთეა რომ აღმოჩნდა. დონ კიხოტსაც უამბო ამის შესახებ, ბატონმა კი მიუგო, შეიძლება აქაც ყველაფერი ისე იყოს მოჯადოებული, როგორც იმ სასტუმროში, ერთი ღამე რომ გავათიეთო.

- დონ კიხოტის შინ მიყვანის მსურველებს **გეგმა შეეცვალათ**. კარდენიომ დახმარება აღუთქვა მათ. დოროთეას ნაცვლად ლუსინდა უნდა ჩარეულიყო საქმეში. დონ ფერნანდომ გადაწყვიტა, ისევ დოროთეას გაეგრძელებინა დაწყებული საქმე. მოხერხებულმა ქალმა რაინდი მოატყუა, არ შეეცლილვარ და დახმარება მჭირდება, ჯერ ღვთის, მერე კი დონ კიხოტის ვაჟკაცობის იმედი ისევ მაქვსო.
- **ფუნდუკს ახალგაზრდა, ქრისტიანულად ჩაცმული, მგზავრი ეწვია**, მავრულად შემოსილ ქალთან ერთად. კაცი ტყვედნამყოფი, **რუი პერეს დე ვიედმა**, აღმოჩნდა, რამდენიმე ბრძოლის მონაწილე, რომელსაც მასზე შეყვარებული მავრი ქალი, ლელა–ზორაიდა, მოყვებოდა სამშობლოში. ვიედმამ იქ მყოფებს თავისი თავგადასავალი უამბო.
- მალე, **აუდიტორი, ხუან პერეს დე ვიედმა, ესტუმრა იქაურობას**, რომელსაც თავისი ასული, თექვსმეტი წლის ლამაზი გოგონა, **კლარა ვიედმა**, მოჰყვებოდა. დააბინავეს ყველანი. ფუნდუკში აღმოჩნდა მეჯორის ტანსაცმლით შემოსილი, შინიდან გამოქცეული, **არაგონელი აზნაური, ყმაწვილი დონ ლუისი**, კლარა ვიედმაზე შეყვარებული ახალგაზრდა მამა–შვილს უჩინრად ასდევნებოდა. მალე, მის წასაყვანად, მამამისის ოთხი მსახური მოვიდა. ამასობაში აუდიტორმაც გაიგო თავის ქალიშვილზე გამიჯნურებული ყმაწვილის ამბავი.
- დონ ლუისის მსახურებმა გადაწყვიტეს ყმაწვილი წაეყვანათ, აუდიტორმა, დონ ფერნანდოს, კარდენიოსა და მღვდელს გაუმჟღავნა ყმაწვილი კაცის საიდუმლო. გადაწყდა, სამი მსახური წასულიყო ვაჟის მამასთან, მეოთხე კი აქ, პატარა ბატონთან, დარჩენილიყო, მანამ სანამ დონ ლუისის მშობელი ხელახლა გამოგზავნიდა ვინმეს.
- **მეფუნდუკის ქალმა** და მარიტორნესმა იცოდნენ, რომ რაინდი „ციხე–დარბაზს“ დარაჯობდა და უნდოდათ რაიმე **ოინი** მოეფიქრებინათ და ამით თავი შეექციათ. ისინი ავიდნენ სხვენზე და იქიდან იდალგოს მოხერხებულად მოუხმეს. მარიტორნესმა უთხრა, ჩემს მხლებელ ქალბატონს სურს იდალგოს მშვენიერ ხელს შეეხოსო. ქალს, წინასწარ, ავმარიდან მარყუჟი ჰქონდა გაკეთებული, რომლის ერთი მხარე უნაგირზე შემდგარ, დონ კიხოტის ხელს მიამაგრა, მეორე– კარის ურდულს მიაბა და რაინდი ასე დატოვა. სიცილით დაოსებული ქალები სათივიდან ჩაცვივდნენ. დონ კიხოტმა მთელი ღამე ასე

გათია. მან ისევ ჯადოქრობას დააბრალა ყველაფერი. დილით მარიტორნესმა თოკი ჩუმად მოხსნა და რაინდმა ზღართანი მოადინა მიწაზე.

- ამ დროს ფუნდუკში ის დალაქიც მოვიდა, დონ კიხოტმა რომ მამბრინის ჩაჩქანი მოსტაცა, სანჩომ კი ვირის კურტანი თავისი სახედრის კურტნით რომ შეუცვალა. დალაქი ბრაზობდა, მაგრამ აუდიტორისა და მღვდლის ძალისხმევით, მშვიდობა დამყარდა. მეფუნდუკემ თვალი მოჰკრა, მღვდელი დალაქს ფულს რომ აძლევდა და თვითონაც დონ კიხოტის დანახარჯი მოითხოვა: დაღვრილი ღვინის, დაჭრილი ტიკების, საჭმლის, ღამისთევის. თუკი არ გადაიხდიდნენ, იფიცებოდა, რაინდს-როსინანტს, სანჩოს კი ვირს არ დავუბრუნებო. მღვდელმა თავისი მჭევრმეტყველებით მოახერხა ის, რომ დონ ფერნანდოს გადაახდევინა დანახარჯები, თუმცა, ამისათვის, აუდიტორიც კი იყო მზად.
- ეს „ბრწყინვალე საზოგადოება“ ფუნდუკში ორი დღე-ღამე იყო. აქ, შემთხვევით, ხარ-ურმით მოვიდა ერთი გლეხი, რომელსაც სთხოვეს დონ კიხოტის თავის სოფელში წაყვანა. მეურმე გარკვეული საზღაურის ფასად დაითანხმეს, მოამზადეს რაღაც გალიის მსგავსი, მღვდლის, დონ ფერნანდოსა და მისი ამხანაგების დარიგებით, სამოსგამოცვლილი ქამანდრები და დონ ლუისის მსახურები, მძინარე რაინდთან შევიდნენ, შეუკრეს ხელ-ფეხი, გალიაში ჩასვეს, ფიცრები დალურსმნეს. დონ კიხოტს თავი მოჯადოებული ეგონა და ხმას არ იღებდა. „მოჩვენებებმა“ გალია მხარზე შეიდგეს და ხარებშებმულ ურემზე დასადებად გაიტანეს.
- სოფელში ექვსი დღის შემდეგ მივიდნენ. რაინდი მიიყვანეს სახლში. ოჯახის წევრებმა ის დააწვინეს და მოუარეს.
- ავადმყოფობისას, დონ კიხოტთან, დალაქი და მღვდელი ერთი თვე არ მისულან, გამგესა და დისწულს ეკითხებოდნენ მისი მდგომარეობის შესახებ. ქალების აზრით, დონ კიხოტი ზოგჯერ ისე ჰკვიანურად იქცეოდა, რომ სიგიჟისგან განკურნებული ეჩვენებოდათ. ამან რაინდის მეგობრები ძალიან გაახარა, მიაკითხეს, ისაუბრეს, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ მდგომარეობა უკეთესობისკენ შეცვლილი არ იყო.
- ბატონს სანჩო პანსამაც მოაკითხა. რაინდის სახლის გამგე და დისწული გაუბრაზდნენ, მის სანახავად არ უშვებდნენ. დონ კიხოტმა ყოველივე გაიგო და ქალებს უბრძანა, შემოეშვათ საჭურველმტვირთველი. სანჩომ რაინდს ამცნო, სალამანკიდან ბართლომე კარასკოს შვილი, ბაკალავრი სამსონი, ჩამოვიდა, რომელმაც მითხრა, რომ დონ კიხოტის ისტორია დასტამბულიაო.
- რაინდმა მოიწვია ბაკალავრი. სანამ ისინი გამოცემული წიგნის ნაკლსა და ღირსებებზე საუბრობდნენ... სანჩო შინ წავიდა და მალევე დაბრუნდა. სამსონმა რაინდს მოუწონა სამოგზაუროდ ისევ წასვლის სურვილი.

- სამსონი რომ წავიდა, დონ კიხოტი და სანჩო პანსა ჩაიკეტნენ ოთახში და, მესამედ გამგზავრების თაობაზე, ფარული მოლაპარაკება დაიწყეს. ერთ მშვენიერ საღამოს გაიპარნენ, მხოლოდ ბაკალავრმა იცოდა მათი წასვლის დრო, მან ისინი ნახევარი მილის მანძილზე გააცილა კიდევაც. მოგზაურები ჩავიდნენ **ტობოსოში**, რაინდმა სანჩოს სთხოვა მოეძებნა დულსინეს სასახლე, მაგრამ მსახურმა ცოტა რომ გაიარა, გადაწყვიტა მოეტყუებინა ბატონი, ნებისმიერი შემხვედრი ქალი დულსინედ გაესაღებინა. დაღამებამდე იჯდა ხის ქვეშ. დაინახა სახედრებით მომავალი სამი ქალი, გაიქცა დონ კიხოტთან და უთხრა, დულსინე, სეფექალებთან ერთად, შენს შესახვედრად მოდისო. რაინდი შეეგება ქალებს, დაუჩოქა ერთ-ერთს, ქათინაურები უთხრა, მაგრამ ისინი იდალგოს უხეზად მოექცნენ და თავიანთ გზაზე წავიდნენ. რაინდი შეწუხდა, რომ, ამჯერადაც, ჯადოქრებმა უმტრეს და მისი მიჯნური დულსინე გლეხის ქალად აქციეს.
- **ტყეში** შეხვდნენ კასილდე დე ვანდალიაზე შეყვარებულ **სარკეთა რაინდს**, რომელსაც საჭურველმტვირთველიც ახლდა. ის ტრაზახობდა, დონ კიხოტი დავამარცხეო. იდალგომ საბრძოლველად გამოიწვია. სარკეთა რაინდმა განაცხადა, დამარცხებულმა გამარჯვებულის პირობა უნდა შეასრულოსო. მწუხარე სახის რაინდმა მოწინააღმდეგე კინალამ მოკლა. მისმა საჭურველმტვირთველმა იყვირა, ეს სარკეთა რაინდი კი არა **სამსონ კარასკოაო**. დონ კიხოტმა გაიფიქრა, რომ აქაც, ჯადოქარმა, სარკეთა რაინდს, სამსონ კარასკოს სახე მიაღებინაო. სანჩო იმან გააკვირვა, რომ სარკეთა რაინდის საჭურველმტვირთველი თავისი მეზობელი და ნათლიმამა, **თომა სესიალი**, აღმოჩნდა.
- **სარაგოსისკენ** მიმავალმა დონ კიხოტმა და სანჩომ, გაიცნეს იდალგო, **დონ დიელო დე მირანდა**, და მასთან ერთად განაგრძეს გზა.
- გამოჩნდა დროშებიანი **ეტლი**, რომელსაც გალიით **ლომები** გადაჰყავდა. დონ კიხოტმა დარაჯს უბრძანა, გაელო გალია და გამოეშვა მხეცები, რათა დაემტკიცებინა ჯადოქრებისთვის (რომლებმაც, მისი აზრით, ლომები შემოუსიეს), ვინ არის დონ კიხოტი. დარაჯი ეწინააღმდეგებოდა, იდალგო დაემუქრა, მანაც გალია გააღო, მაგრამ ლომმა დაიღრინა, მერე კი ზურგი შეაქცია რაინდს და დაწვა. **დონ კიხოტმა თავისთავს ლომთა რაინდი უწოდა**.
- **„მწვანე მოსასხამის რაინდის“** (დონ დიელოს) სახლში იდალგო ოთხი დღე დარჩა. მან მასპინძლებს გაუმხილა, რომ სარაგოსის ტურნირზე სურდა მისვლა და, ასევე, აინტერესებდა მონტესიმოსის მღვიმისა და რუიდერის შვიდი ტბის ხილვა.
- რაინდსა და საჭურველმტვირთველს ორი სტუდენტი და ორი გლეხი დაემგზავრა. მათ ჩვენი მოგზაურები **კიტერიასა და ქამაჩოს** ქორწილში მიიწვიეს. ჯვრისწერისას, პატარძლის მიჯნურმა, **ბასილიომ**, ქარქაშიდან დაშნა ამოიღო, მკერდში დაიცა და გასისხლიანებული დაეცა მიწაზე. „მომაკვდავმა,“ სთხოვა

კიტერიას, ჯვარი დაეწერა მასზე, ეს ხომ მისი უკანასკნელი სურვილი იყო. დათანხმდნენ, მღვდელმა ჯვრისწერა აღასრულა თუ არა, უვნებელი ბასილიო ფეხზე წამოდგა. გაირკვა, რომ ყმაწვილს ტანზე, გვერდით, სისხლით სავსე რკინის მილი ჰქონდა მიკრული. ქამაჩოს აზრით, ქალს თუ არ უყვარდა, მასზე დაქორწინებას აზრი არ ჰქონდა. დონ კიხოტმა ქამაჩოსა და კიტერიას მხარე დაიჭირა. ახალჯვარდაწერილებმა გადაწყვიტეს წასულიყვნენ, მათ დონ კიხოტიც მიიწვიეს, რადგან, გაჭირვების ჟამს, რაინდმა მათი მხარე დაიჭირა. ბატონი და მსახური მათთანაც სამი დღე დარჩნენ. იქ ფარიკაობის ოსტატს, ლიცენციანტს, შეხვდა, სთხოვა, მონტესიმოსის გზა ესწავლებინა. მანაც თავისი ბიძაშვილი სტუდენტი გააყოლა წინამძღვრად. ასი საჟენი თოკი შეიძინეს (რაინდს ის მონტესინოსის, „ჯოჯობეთის“, სიგრძე–სიგანის გასაგებად სჭირდებოდა) სანჩომ და სტუდენტმა რაინდის ტანისამოსს გარედან თოკი მიაბეს და მღვიმეში ჩაუშვეს. ნახევარი საათის შემდეგ ამოზიდეს. რაინდს ეძინა. მალე გაიღვიძა და თქვა, რომ იქ მონტესინოსი, მისი ბიძაშვილი დურანდარტე და მოჯადოებული დულსინე ნახა.

- ფუნდუკში აქლემის ტყავის ტანსაცმელში ჩაცმული კაცი გამოჩნდა, ეს იყო თოჯინების თეატრის მეპატრონე, **მაესე პედრო**, მკითხავ მაიმუნთან ერთად. გაწვრთნილმა ცხოველმა „ყველაფერი იცოდა“ რაინდსა და სანჩოზე.
- ისინი დაესწრნენ თოჯინების თეატრის წარმოდგენას. წამყვანი ბიჭი დონ გაიფეროსისა და მისი ცოლის, მელისანდრას, გათავისუფლების ამბებს ყვებოდა. რაინდს ეგონა, სცენაზე რაც ხდება, რეალობააო. დაერია თოჯინებს და აჩეხა. ზარალი ორმოც და სამ მეოთხედ რეალად შეფასდა. სანჩომ ფული იქვე გადაუთვალა პედროს, მაგრამ, მაესემ, შეხლა–შემოხლის დროს გაქცეული მაიმუნის დასაჭერად დიდი შრომა დამჭირდაო და ორი რეალის დამატებაც მოითხოვა.
- მაესე პედრო, იგივე ხინეს დე პასამონტე იყო, რომელიც ფულის მოსაპოვებლად ასეთ ხერხს მიმართავდა, ჯერ გაიკითხ–გამოიკითხავდა ამბებს, მერე კი გაწვრთნილ მაიმუნს ამკითხავებინებდა.
- ფუნდუკიდან გამოსულმა დონ კიხოტმა მდინარე **ებროს** ნაპირების შემოვლა გადაწყვიტა. ორი დღე დადიოდა. თვალი მოჰკრა დაპირისპირებულ ხალხს. თურმე, ცოტა ხნის წინათ, ერთი სოფლის ადამიანს ვირი დაეკარგა, მეორე სოფლიდან ნაცნობი დახმარებას დაპირდა, წავიდნენ ერთად. იარეს. სახედრის ძებნისას, ყროყინით მოუხმობდნენ ურთიერთს. მეორე სოფლის ხალხი, ვირის პატრონის თანასოფლელებს, ამის გამო დასცინოდა, რამაც დაპირისპირება გამოიწვია. დონ კიხოტმა ხალხს მიმართა, ამგვარი ქმედება ბრძოლის კანონებს ეწინააღმდეგებაო. სანჩო ჩაერთო საუბარში, პატარაობისას კარგად ვყროყინებდი, მაგრამ მაინც პატიოსანი მშობლების შვილად ვითვლებოდიო. თან დაიყროყინა, ერთმა გლეხმა ეს ხალხის გაპამპულებად მიიღო და ჩვენს მოგზაურებს ქვები

დაუშინეს. დონ კიხოტი გააქციეს, სანჩო კი ვირზე გადაჰკიდეს და ისე გაუშვეს. ის ღამე, მოგზაურებმა, ტყეში გაატარეს.

- მეორე დღეს, მდინარე ებროს ნაპირებს მიადგნენ. რაინდმა ხეზე მიბმული უნიჩხო ნავი დაინახა, ალბათ, ჯადოქრებმა დამიტოვესო. ჩასხდნენ. შუა მდინარეში რამდენიმე წისქვილი შენიშნეს, დონ კიხოტმა ისინი ციხე-დარბაზებად მიიჩნია. იფიქრა, იქ ან რაინდი ან დედოფალი ჰყავთ შეპყრობილი და უნდა ვუშველოო. გასცურა. მეწისქვილეები უყვიროდნენ, აფრთხილებდნენ, ძლივს შეაჩერეს, სამაგიეროდ ნავი გადაბრუნდა და ორივენი წყალში ჩაცვივდნენ. დაღონებულები, ხეზე მიბმულ თავიანთ ბედაურებთან დაბრუნდნენ.
- მეორე დღეს, ველზე შენიშნეს **ჰერცოგი** მეუღლესა და ბაზიერებთან ერთად ნადირობდა. **ჰერცოგინიას** წაკითხული ჰქონდა დონ კიხოტის ამბები, პატივისცემით მოექცა მოგზაურებს და ისინი საზაფხულო ციხე-დარბაზში მიიწვია. მასპინძლებმა გადაწყვიტეს ოინები მოეწყოთ, დაარიგეს თავიანთი მსახურები, როგორ მოქცეულიყვნენ. ვითომ ეტლით ცრუჯადოქარი მერლინი მოვიდა, რომელმაც განაცხადა, რომ დულსინეას განჯადოებისთვის საჭირო იყო სანჩოს საჯდომზე სამი ათასჯერ დაერთყა მათრახი. გამოჩნდა მოჯადოებული დულსინეას ეტლიც. მერლინის როლს ჰერცოგის მარჯვე და მახვილგონიერი სახლთუხუცესი ასრულებდა, მან დულსინე ერთ პაჟს განასახიერებინა. მათ კვალდაკვალ მოჰყვა გრაფინია ტრიფალდი, დუენიებთან ერთად, მისი თქმით, ის **კანდაის სამეფოდან** მოვიდა, ჯადოქარმა თავიანთი ქვეყნის პრინცესა და მისი მეუღლე გააქვავა, მათ კი, ქალებს, წვერი გაეზარდათ და დონ კიხოტს დახმარებას სთხოვდნენ. საჭირო იყო, ხისგან გაკეთებული ცხენ **კლავილენითი**, სანჩო და დონ კიხოტი კანდაის სამეფოში გაფრენილიყვნენ და ჯადოქარს შებრძოლებოდნენ.
- თვალეზახვეული ბატონი და მსახური შესხდნენ ხის ცხენზე, მსახურები საბერველებით უბერავდნენ, „მფრინავებს“ კი ეგონათ, რომ მიჰქროდნენ. „დაბრუნებისას“ დახვდათ ჯადოქრის წერილი, რომელშიც ეწერა, რომ ყველას აეხსნა ჯადო. იდაღოსა და სანჩოს, უწვერული და გათავისუფლებული ქალები არ უნახავთ, რადგან დუენიები, მოულოდნელად, სადღაც გაქრნენ.
- ჰერცოგმა სანჩო დანიშნა კუნძულ ბარატარიის გუბერნატორად (ეს იყო დასახლება, კუნძულთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ სანჩო ვერ მიხვდა, რომ აპამპულებდნენ) ის სულ ათი დღე მმართველობდა, საქმეების განხილვისას, დონ კიხოტის რჩევებსაც ითვალისწინებდა. გამმასხარავებლებს მობეზრდათ და გადაწყვიტეს მოეშორებინათ თავიდან „მმართველი“. მათ ბრძოლის სცენა გაითამაშეს, სანჩო-გუბერნატორს სხეულის ორივე მხარეს მიაკრეს ფარები, ისე, რომ ვერ მოძრაობდა. ბრძოლაში ვერ ღებულობდა მონაწილეობას, წაიქცა, ზედ გადაუარეს, მერე ვითომ გაიმარჯვეს. „ომის“ დასრულების შემდეგ, სანჩომ ნებაყოფლობით დატოვა გუბერნატორობა და დონ კიხოტისკენ გაემართა. რაინდსაც მობეზრებოდა ჰერცოგის სახლში ყოფნა, ორივენი გამოემშვიდობნენ მასპინძლებს, წამოვიდნენ.

- ერთ ფუნდუკში გაიცნეს **ორი პიროვნება**, ისინი ვიღაც აველიანედას მიერ გამოცემულ „დონ კიხოტის“ ყალბ მეორე ნაწილზე საუბრობდნენ. რაინდმა დაუმტკიცა, რომ მათ მიერ ნახსენებ წიგნში, რომელიც არაა ნამდვილი ავტორისა და ვიღაცის მიერაა შეთხზული, ფაქტები დამახინჯებულია.
- დონ კიხოტმა, რაკი გაიგო, რომ პერსონაჟი ცრურაინდი, ყალბი წიგნიდან, სარაგოსაში უნდა წასულიყო, შეცვალა გადაწყვეტილება და **ბარსელონისკენ გაემართა**. იქ შეერკინა თეთრი მთვარის რაინდს (სამსონ კარასკოს). მისი მოთხოვნით, რაინდი თუკი დამარცხდებოდა, პირობის თანახმად, უნდა დაბრუნებულიყო შინ და ერთი წლის განმავლობაში არსად წასულიყო. დონ კიხოტი დამარცხდა.
- საჭურველმტვირთველი და რაინდი შინისკენ გაუდგნენ გზას, მაგრამ მათ ჰერცოგის მსახურები შეხვდნენ, რომელთაც გამასხარავება მოუწოდოდა და იძულებით, ისევ სასახლეში დააბრუნეს, სადაც, ვითომც, დონ კიხოტის უპასუხო სიყვარულის გამო მკვდარი, ალტიდიორას ცხედარი ესვენა, ქალი რომ მკვდრეთით აღედგინათ, სანჩო დაარწმუნეს, რამდენიმე წვიპურტი, ჩქმეტა და ქინძისთავით ჩხვლეტა უნდა აიტანო. ჰერცოგის სასახლიდან წამოსულები, ფუნდუკში შეხვდნენ ალვარო ტარფეს, რომელიც „დონ კიხოტის“ ყალბი მეორე ნაწილის პერსონაჟი აღმოჩნდა.
- სოფელში დაბრუნებულმა რაინდმა გადაწყვიტა მწყემსობა დაეწყო და მეგობრებიც აეყოლიებინა, ისინიც დათანხმდნენ, მაგრამ ცუდად გახდა, ლოგინად ჩავარდა. სიკვდილის წინ გონება გაუნათდა. დაგმო თავისი ქმედებები, შეადგინა ანდერძი, მერე სამი დღის განმავლობაში უგონოდ იყო. მალე აღესრულა.
- „სიკვდილის წინ ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი წ ე ს ი შეასრულა: ზ ი ა რ ე ბ ა მიიღო და სარაინდო წიგნებს შეჩვენება და ზიზღი შეუთვალა.

მოქმედი პირები:

-
- 1) ალონსო კიხანო–იგივე დონ კიხოტი;
 - 2) ალდონსა ლორენსო–იგივე დულსინე ტობოსელი;
 - 3) კორჩუელო ლორენსო–დულსინეს მამა;
 - 4) ალდონსა ნოგალესი–დულსინეს დედა;
 - 5) ანტონია კიხანო–დონ კიხოტის დისწული;
 - 6) დონ კიხოტის სახლის განმგებელი დიასახლისი;
 - 7) მოსამსახურე ბიჭი;
 - 8) ლა ტოლოსა–ტოლედელი მეჯღანის ახალგაზრდა ქალი(რაინდს ფუნდუკში დახვდა);
 - 9) დონა მოლინერა–ანტეკერის მეწისქვილის ასული– (ლა ტოლოსასთან ერთად იყო, ფუნდუკში);

- 10) მეფუნდუკე– რაინდად რომ აკურთხა;
- 11) მეჯორეები–(ვისთანაც რაინდს კონფლიქტი ჰქონდა);
- 12) ანდრესი–გლეხი, მსახური ბიჭი;
- 13) ხუან ალდუდო– ანდრესის ბატონი, მწყემსი(სოფელ კინტარის მცხოვრები);
- 14) ტოლედოელი ვაჭრები;
- 15) პედრო ალონსო–დონ კიხოტის მეზობელი;
- 16) პეროს პერესი–სოფლის მღვდელი, ლიცენციატი, დონ კიხოტის მეგობარი;
- 17) ნიკოლასი– სოფლის დალაქი, დონ კიხოტის მეგობარი;
- 18) სანჩო პანსა–გლეხი; დონ კიხოტის საჭურველმტვირთველი;
- 19) ტერესა ხუანა პანსა –სანჩოს ცოლი (სანჩოს გვარს ატარებდა);
- 20) სანჩიკო –სანჩო პანსას ვაჟი
- 21) სანჩიკა (იგივე მარისანჩა) –სანჩო პანსას ქალიშვილი;
- 22) ბენედიქტელი ბერები;
- 23) ცხენოსნები, ქვეითები, ეტლში მსხდომნი; ბისკაელი;
- 24) თხის მწყემსები;
- 25) მარსელა–მწყემსი ქალი(ქრიზოსტომის მიჯნური);
- 26) ამბროსიო– მარსელას მიჯნურის,ქრიზოსტომის მეგობარი;
- 27) იანგვესელი მეჯოგეები;
- 28) მეფუნდუკე–ხუან პალომეკე ცაცია;
- 29) მეფუნდუკის ცოლი;
- 30) მეფუნდუკის ქალი;
- 31) მარიტორნესი– ფუნდუკის მსახური ქალი; ასტურიელი;
- 32) მეჯორე–ვისაც სანჩო და რაინდი მარიტორნესის გამო დაუპირისპირდნენ,;
- 33) ქამანდარი– ტოლედოელი, წესრიგის დამცველი;
- 34) ოთხი სეგოვიელი მატყლისმჩეჩავი, სამი კორდოველი მენემსე და ორი სევილიელი დალაქი– ფუნდუკში სანჩოს გამმასხარავებლები;
- 35) მეცხვარეები;
- 36) ალონსო ლოპესი (თერთმეტ ბერთან ერთად)–ლიცენტიანიტი (სეგოვიაში წასასვენებელი ცხედრის ეპიზოდი);
- 37) დალაქი–(მამბრინის ჩაჩქანის ეპიზოდი);
- 38) ტუსალები, კომისარი, დარაჯები;
- 39) ხინეს დე პასამონტე–ტუსადი(მეტსახელად ხინეს დე პარაპილია);
- 40) კარდენიო– ლუსინდაზე გამიჯნურებული, ტყეში გახიზნული ყმაწვილი;
- 41) დონ ფერნანდო–კარდენიოს მეგობარი;
- 42) ლუსინდა–კარდენიოს მიჯნური;
- 43) დოროთეა–დონ ფერნანდოს მიჯნური;
- 44) აუდიტორი–ხუან პერეს დე ვიედმა;
- 45) კლარა ვიედმა–აუდიტორის ასული;
- 46) დონ ლუისი–არაგონელი აზნაური, მეჯორის ტანსაცმელში გადაცმული, კლარა ვიედმას სატრფო;
- 47) რუი პერეს დე ვიედმა–ტყვედნამყოფი; აუდიტორის ძმა;

- 48) ლელა ზორაიდა–მავრი ქალი; ტყვედნამყოფის, რუი პერეს დე ვიედმას საცოლე;
- 49) სამსონ კარასკო–ბაკალავრი, დონ კიხოტის მეზობელი;
- 50) სამი გლეხის ქალი;
- 51) თომა სესიალია- სანჩოს მეზობელი და ნათლიმამა;
- 52) დონ დიეგო დე მირანდა–იდალგო;
- 53) დონა ქრისტინა– დონ დიელოს ცოლი;
- 54) დონ ლორენსო– სტუდენტი, დონ დიელოს შვილი;
- 55) ქამაჩო – გლეხი;
- 56) კიტერია–ქამაჩოს საცოლე;
- 57) ბასილიო–კიტერიას შეყვარებული;
- 58) კორჩუელო– ბაკალავრი;
- 59) სტუდენტი– რომელიც დონ კიხოტს მონტესინოსის მღვიმისკენ გაუძღვა;
- 60) მეწისქვილეები– (მოჯადოებული ნავის ეპიზოდი);
- 61) ჰერცოგი;
- 62) ჰერცოგის ცოლი;
- 63) ჰერცოგის სასახლის ლაქიები, პაჟები, დუენიები, მსახურები;
- 64) ჰერცოგის სასახლის მღვდელი;
- 65) ჰერცოგის სახლთუხუცესი, დოლორიდა–დუენია (გრაფის მეუღლე ტრიფალდის როლის შემსრულებელი);
- 66) ტრიფალდინთეთრწვერა–საჭურველმტვირთველი (გამოგონილი სახელი, დოლორიდა დუენიას ვითომ საჭურველმტვირთველი)
- 67) ჰერცოგის სახლთუხუცესი(სანჩოს „ოცნებითი კუნძულის“ ამბებსაც ხელმძღვანელობდა);
- 68) ჰერცოგის პაჟი–დულსინე განასახიერა;
- 69) თერძი, ორი კაცი, დედაკაცი (სანჩოს „გუბერნატორობისას“ გასარკვევი საქმეებიდან, მომჩივანნი);
- 70) მანსტრესალი („ოცნებითი კუნძულის“ თანამდებობის პირი);
- 71) პედრო რესიო დე აგუერო–სანჩოს „ოცნებითი კუნძულის“, ბარატარიის „ექიმი“;
- 72) როდროგესი–ჰერცოგის დუენია;
- 73) ორი მოჩხუბარი, ტანსაცმელშეცვლილი და–ძმა(ეპიზოდი სანჩოს მიერ განხილული საქმეებიდან);
- 74) ალტისიდორა–ჰერცოგის დუენია;
- 75) ტოსილოსი–ჰერცოგის მსახური;
- 76) რიკოტე–სანჩოს მავრი მეზობელი;
- 77) ანა–ფელიქსი–რიკოტეს შვილი;
- 78) დონ გრეგორიო–ანა–ფელიქსის საქმრო;
- 79) განდეგილი–რომელმაც დონ გრეგორიოს გათავისუფლებაში მიიღო მონაწილეობა;
- 80) დუენია დონა როდრიგესის ასული;
- 81) გლეხები–წმინდა ხატების ეპიზოდი;
- 82) მწყემსი ქალები–„მწყემსური არკადის“ ეპიზოდი;
- 83) ცხენოსნები (ხარების ეპიზოდი);

- 84) როკე გინარტი—ყაჩაღების მეთაური;
85) დონ ანტონიო დე მონერო—მდიდარი კაბალერო, რომელმაც შინ მიიწვია რაინდი („ჯადოქრული თავის“ ეპიზოდი);
86) დონ ალვარო ტარფე—პერსონაჟი „დონ კიხოტის“ ყალბი II წიგნიდან;
87) ორი მოჩხუბარი ბავშვი.

შენიშვნა:

მიგელ დე სერვანტეს საავტორო „დონ კიხოტის“ I და II ნაწილში 660-მდე პერსონაჟია.

დასკვნა

მიგელ დე სერვანტეს საავტორო, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, გამორჩეული ადგილი უჭირავს. მისი რომანი, „დონ კიხოტი“, დღემდე დიდ ზეგავლენას ახდენს ეროვნული ლიტერატურების განვითარებაზე, რომელსაც საშუალებას აძლევს თავისი ინდივიდუალობა, განუმეორებლობა, მხატვრულ-ესთეტიკური თავისებურებები, წარმოაჩინოს, შემოქმედებითად გადაამუშავოს და მსოფლიო ლიტერატურის მყარი, ორგანული ნაწილი გახდეს.

მარადიულ პერსონაჟებთან პარალელების მოძიება საშუალებას გვაძლევს გადავლახოთ ეროვნული ლიტერატურის საზღვრები, შევისწავლოთ საერთაშორისო შემოქმედებითი მოვლენები, თვალი ვადევნოთ ეპოქების მსოფლმხედველობას, მწერლობის განვითარებას, ხალხის ცხოვრებას, კულტურული პროცესების გამოვლინებებს, დავინახოთ კავშირები და ზეგავლენები მეცნიერებასთან, ხელოვნებასთან, რელიგიასთან და ა.შ.

მსოფლიო და ეროვნული ლიტერატურული პროცესები, ისტორიულ დროსა და სივრცეში იცვლება, მიუხედავად ამისა, ქართული, უძველესი და რუსთაველის ტრადიციებზე აღზრდილი მწერლობა, ითვისებს საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებას, ვითარდება და ცდილობს მსოფლიო საგანძურში გამორჩეული ადგილის დამკვიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აგიაშვილი ნ. სერვანტესის ცხოვრება. თბ.: „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“ 2011, 278 გვ;

2. ბარდაველიძე ბ. პერსონაჟის ხატვის პრინციპები ქართულ რეალისტურ პროზაში (XIX ს.), თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1967;

3. გაფრინდაშვილი ნ. შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები. თბ.: „მერიდიანი“, 2012, 318 გვ;

4. დოჩანაშვილი გ. „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ 1973;

5. ვაჟა-ფშაველა „რამე-რუმე“;

6. ვაჟა-ფშაველა „სად არის პოეზია?“;

7. ვაჟა-ფშაველა „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, 1905;

8. ვასაძე თ. შარაშენიძე ნ.

9. ვასაძე თ. მუზაშვილი ნ. ჩუბინიძე ნ. ქართული ლიტერატურა, თბ.: „დიოგენე“, 2008, 548 გვ.

10. როდონაია ვ. ნაკუდაშვილი ნ. არაბული ა. ხუციშვილი მ. ქართული ენა და ლიტერატურა, თბ.: „სწავლანი“, 2012, 303 გვ;

11. სერვანტესი მ. მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელი.

წიგნი I. თბ.: „ნაკადული“, 1985, 551 გვ.;

12. სერვანტესი მ. დონ კიხოტი. წიგნი II. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1959, 586 გვ. ;

13. სერვანტესი მ. გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები, თბ.: „გამომცემლობა პალიტრა L“ 2011;

14. ჩხეიძე რ. აპოლოგია ლუარსაბ თათქარიძისა, „ჩვენი მწერლობა“ N7;

15. ქიაჩელი ლ. ;

16. ქურციკიძე ე. მოდებაძე მ. მაჭარაშვილი კ. ნარგიზაშვილი ა. მსოფლიო ლიტერატურის შედეგები. თბ.: „მერიდიანი“, 2002, 407 გვ;

17. გამრეკელი გ. ყველაფერი ყველაფერზე, <http://www.opentext.org.ge>

18. დონ კიხოტი I, <https://saba.com.ge/books/>;

19. დონ კიხოტი I, <http://lit.ge/book/819-don-kixoti> ;

20. დონ კიხოტი II, აღწერა, <http://ligamus.iliauni.edu.ge/>;

21. დონ კიხოტი, <https://ka.wikipedia.org/wiki>;

22. დოდუ ა. „ტარტარენ ტარასკონელი“ ლითერასი, <http://lit.ge/book>;

23. კარბელაშვილი მ. „პლატონ იოსელიანის დაბადების 200 წლისთავის გამო“, <http://www.nplg.gov.ge/>;
24. სანებლიძე ა. „უცხო ჩიტი, რომელიც ქალაქის თავზე გამოჩნდა“ <http://www.geworld.ge/>;
25. სახელაშვილი თ. უპველესი რწმენა-წარმოდგენები და ნოდარ დუმბაძის „კორიდა“ <http://mastsavlebeli.ge/>;
26. სერვანტესის ცხოვრება - <http://armuri.4forum.biz> (1973 წლის გამოცემის ანოტაცია);
27. კავსაძე ვ. (დონ-კიხოტი) და მამუკა კიკალეიშვილი (სანჩო პანსა) ფილმში „ცხოვრება დონ-კიხოტისა და სანჩოსი“, <http://dspace.nplg.gov.ge> ;
28. კალანდაძე ა; ინტერვიუ რევაზ მიშველაძესთან; <http://www.ambebi.ge>; 04- 06- 2013;
29. ლეპანტოს ბრძოლა <https://ka.wikipedia.org/wiki/>;
30. ლიოსა მ. სამყარო რომანების გარეშე, <http://arilimag.ge>
31. მარგინალობა, <http://interculture.ucoz.com>;
32. მარგინალი- <https://ka.wikipedia.org/wiki/>;
33. ცირეკიძე ა. (1894-1923) <http://aleksandrecirekidze.blogspot.>;
34. ხარბელია მ., „ჯონ ბარტი-80“, 2011, <http://arilimag.ge/category/>;
35. „პალიტრა L“-ის აქცია, <http://palitra.ge>;
36. პორტრეტი, <http://www.nplg.gov.ge/>;
37. რაინდობა, <https://ka.wikipedia.org/wiki/>;
38. სერვანტესის ცხოვრება - <http://armuri.4forum.biz>;
39. სოლიკო ვირსალაძის მიერ შესრულებული ესკიზი ბალეტისათვის „დონ კიხოტი“ საქართველოს ეროვნული არქივი, <https://ka.wikipedia.org/wiki/>;

40. სიმონ (სოლიკო) ვირსალაძე, <https://burusi.wordpress.com/2010/05/01/>;
41. ქართლის ისპანეთი (იბერია) - ორ იბერიას შორის, <https://www.youtube.com/>
42. ქართული ენისა და პროგრამის შინაარსი, <http://www.mes.gov.ge/>
43. შავიშვილი, ფიგურალურ სიტყვა-თქმათა ლექსიკონი, <http://www.bu.org.ge>
44. შ უ ბ ი სარისა, <http://ucnauri.com>;
45. ჩეზარე პავეზე – კითხვა <http://arilimag.ge>
46. ჩიხლაძე ნ. ოლღა გურამიშვილი–ნიკოლაძე (1855–1940), <http://nateba.net/>;
47. ჩხეიძე რ. აპოლოგია ლუარსაბ თათქარიძისა, „ჩვენი მწერლობა“ N7, 21–27 თებერვალი, 2003 წელი; <http://www.nplg.gov.ge>
48. ჩ ა ჩ ქ ა ნ ი და უ ბ ის ფ ა რ ი, <http://www.gotscha.nl/ge-abjari.htm>;
49. ცირეკიძე ა. (1894-1923) <http://aleksandreirekidze.blogspot.com>
50. ჯალიაშვილი მ. მარგინალები_ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ სწავლებისათვის / <http://mastsavlebeli.ge/>;
51. ჯელია კ- რაინდობა, ტამპლიერები და საქართველო <http://saunje.ge>;
52. Bucear em Lagunas de Ruidera, <https://www.youtube.com>;
53. Cueva de Montesinos, <https://www.youtube.com>;
54. Cueva de Montesinos - Lagunas de Ruidera, <https://www.youtube.com>;
55. Дюришин Д. Теория сравнительного изучения литературы. М.: „Прогресс“, 1979, 318 с.;
56. „В Испании через 400 лет после смерти похоронили автора „Дона Кихота“-
<http://espreso.tv>;
57. LAS LAGUNAS DE RUIDERA, <https://www.youtube.com>;
58. Lagunas de Ruidera–Siete Maravillas Naturales de España 2014, <https://www.youtube.com>;
59. Лемос, Педро Фернандес де Кастро, <https://ru.wikipedia.org/wiki>

ნაწილი II

მიგელ დე სერვანტეს საავტოროს რომან „დონკუიხოტა“(I დაII წიგნი)

ადაპტირებული ვარიანტი და ამონარიდები

წიგნი პირველი

სერვანტესი მ. მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელი. წიგნი I. თბ.: „ნაკადული“ 1985, 551 გვ;

„დონ კიხოტის“ პირველი გამოცემის გარეკანი (1605)

2005 წელს აღინიშნა პირველი წიგნის გამოსვლიდან 400 წელი.



თავი I

ლ ა მ ა ნ ჩ ი ს* რომელიდაც სოფელში ცხოვრობდა იდალგო.*

მისი ს ი მ დ ი დ რ ე: მამაპაპური შუბი, ძველისძველი ფარი, ერთი ჯაგლაგი
ცხენი, ერთი მწევარი.

ს ა დ ი ლ ი: ძროხის ხორცის ოლა*, ცხვრის ხორცი იშვიათად, ყოველ
ვახშამზე ვინეგრეტი, შაბათობით ქონიანი ტაფამწვარი,
პარასკეობით ოსპის შეჭამანდი.

ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ი: სადღესასწაულოდ იკერავდა წმინდა მაუდის მოსასხამს,
ხავერდის შარვალსა და წაღებს.
ყოველდღიურად ეცვა საუკეთესო ხარისხის შინაური
ქსოვილი.

მასთან ო ჯ ა ხ შ ი ცხოვრობდნენ: ა) ორმოც წელს გადაცილებული,
ს ა ხ ლ ი ს გ ა მ გ ე ბ ე ლ ი მანდილოსანი;
ბ) დ ი ს წ უ ლ ი ქალი, დაახლოებით ოცდაათი წლისა;
გ) მ ს ა ხ უ რ ი ბიჭი, შინ და მინდვრად სამუშაოდ.

იდალგოს პ ო რ ტ რ ე ტ ი: კაფანდარა, პირხმელი, ბრგე აგებულების.

გ ა ტ ა ც ე ბ ე ბ ი: უყვარდა ადრე ადგომა, ნადირობა და სარაინდო წიგნების კითხვა.
ა ს ა კ ი: ორმოცდაათი წლის.

ს ა ხ ე ლ ი: კიხადა თუ კესადა ერქვაო. „უფრო კ ე ხ ა ნ ა უნდა რქმეოდა“ [1,33].

რა გადაწყვიტა: „მოცლილობისას თითქმის მთელი წლის განმავლობაში...სულ
სარაინდო რომანებს კითხულობდა“[1,33], გონება აერია და გადაწყვიტა გამხდარიყო
მოგზაური რაინდი „როგორც პირადი დიდების მოსახვეჭად, ისე კიდევ სამშობლოს
სასარგებლოდაც... დათრგუნული ჭეშმარიტება აღედგინა...დევნილთა და უპატრონოთ
გამოსარჩლებოდა...“[1,35].

რა გააკეთა: ა) გააპრიალა კუთხეში მიყრილი „საუკუნოვანი ჟანგითა და ობით

დაფარული მამაპაპისეული იარაღი ...ზარადიანი ჩაჩქანის ნაცვლად

ნაგლეჯილა დარჩენილიყო...მუყაოსაგან ნახევრად-ჩაჩქანი გააკეთა, ნაგლეჯს მიამაგრა და ნამდვილი ჩაჩქანის მსგავსი რაღაც შეაკოწიწა“,

მერე უნდოდა შეემოწმებინა მისი სიმტკიცე, დაშნა ორჯერ ღონივრად

დაჰკრა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ხელმეორედ შეუდგა

საქმიანობას, „რამდენიმე ფირფიტა დაატანა და მავთულით რკინის ბალთები გაუკეთა“.

ბ) **ოთხი დღე** ფიქრობდა თავისი ცხენისთვის „**პატრონის ახალი ღირსებისა და მდგომარეობის შესაფერი**“ სახელი შეერჩია,

„**ბოლოს შეჩერდა როსინანტზე**“, რადგან ეს სახელი უფრო დიდებული, უფრო ჟღეროვანი მოეჩვენა“[1,36].

გ) თავისი ახალი სახელის მოსაფიქრებლად **ერთი კვირა** დასჭირდა. **დონ კიხოტი*** მიიჩნია შესაფერისად,

„**როგორც რიგიან რაინდს შეეფერებოდა...სამშობლოს სახელიც მიუმატა და დაირქვა დონ კიხოტი ლამანჩელი**“[1,37].

დ) „**უმიჯნურო მოგზაური რაინდი უფოთლო და**

უნაყოფო ხეს ან უსულო სხეულს ემსგავსება“[1,37], ამიტომ „**იმ სულიერსაც მიაგნო, ვინაც გულისვარდად უნდა დაესახა**“ [1,37],

მეზობელ სოფელ **ტობოსოში*** ცხოვრობდა „**ფრიად კეკლუცი**

და ეშხიანი ნორჩი გლეხის გოგო“, რომელსაც **ალდონსალორენსო*** ერქვა. დონ კიხოტი შორიდან ეტრფოდა მას ერთ დროს, მაგრამ ქალს არ გაუგია და გამიჯნურებულს ყურადღებას არ აქცევდა.

„**ჩემი ფიქრთა მპყრობელი მზეთუნახავი სწორედ იგი უნდა გახდესო. ახლა ქალის სახელის ძებნას შეუდგა ... დიდი თავისმტვრევის შემდეგ დულსინე ტობოსელი დაარქვა**“[1,38].

✚ ამონარიდების გვერდით, ფრჩხილებში, პირველად იგულისხმება „დონ კიხოტის“ 1-ლი წიგნი, მეორედ–გვერდი. მაგალითად: პირველი წიგნის 33-ე გვერდი [1,33].

თავი II

დონ კიხოტის პირველი გამგზავრება თავისი სამფლობელოდან

დონ კიხოტმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო, ფიქრობდა: „ჩემი ყოველგვარი დაყოვნება მთელ კაცობრიობას დიდ ზიანს მიაყენებსო: რამდენი შეურაცხყოფილი ელოდა გამოსარჩლებას, რამდენი უსამართლობა იყო აღმოსაფხვრელი, რამდენი უფლება-აღსადგენი; ქვეყანას დაამძიმებდა მრავალი გადაუხდელი ვალი, დაუსჯელი დანაშაული და ბოროტმოქმედება“[1,38].

თაკარა ივლისის ერთ მშვენიერ დღეს, განთიადისას, აისხა აბჯარი, შეკაზმა როსინანტი, თავზე ჩაჩქანი ჩამოიფხატა, ერთ ხელში ფარი დაიჭირა, მეორეში–შუბი და ბაკის უკანა ჭიმკრიდან, შეუმჩნეველად, გავიდა მინდორში, მაგრამ ისეთმა აზრმა გაუელვა, რომ კინაღამ განზრახვაზე ხელი აიღო: „რაინდად არა ვარ დალოცვილიო და რაინდთა კანონით კი არ შეეძლო და ვერც გაზედავდა რომელიმე რაინდთან შერკინებას, ამასთან-თუნდაც დალოცვილი ყოფილიყო, მაშინაც, როგორც რაინდთა დასში ახლადშესულს, სადაც აბჯარი და უღვეიზო ფარი უნდა ეტარებინა“... [1,38-39].

ახლადგამომცხვარმა რაინდმა გზა გააგრძელა, „სიშმაგემ სძლია გონიერებას“ და გადაწყვიტა, პირველივე შემხვედრისთვის ეთხოვა, დაელოცა იგი რაინდად, რომანებში ჰქონდა წაკითხული, რომ ასედაც შეიძლებოდა. „ძველ, დიდებულ მონტიელი ს*ველზე“ გზას ფიქრებით მიუყვებოდა: „ბედნიერი იქნება ის დრო და ბედნიერი იქნება ის საუკუნე, როცა, დაბოლოს, საქვეყნოდ აშკარად დაინახავენ ჩემ მიერ ჩადენილ სახელოვან საქმეებს, რომელნიც ღირსნი არიან ბრინჯაოზე აღსაბეჭდად, მარმარილოზე გამოსაქანდაკებლად და ტილოზე დასახატავად მომავალ თაობათა სამახსოვროდ“[1,39].

მოგზაური, ფიქრებში, სათაყვანო ქალს გადასწვდა და ახლა დულისინეას მიმართა: „ჰოი, ქალბატონო დულისინე, ჩემი დამონებული გულის მფლობელო! რა მწარე ტანჯვას მიაყენებ, რომ შენგან გამაძევე, შენი შეუდარებელი მშვენიერების ხილვა ეგრე სასტიკად ამიკრძაღე, მაგრამ, დაე, ამ ტანჯვამ მაინც გაგახსენოს, ქალბატონო, ეს შენგან მოხიბლული, შენი მიზეზით ამდენი ვაების ამტანი ჩემი გული“[1,40].

რაინდმა მთელი დღე იარა, დაიქანცა და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, იქნებ ციხე-სიმაგრე ან მეცხვარის ქოხი ვნახო, რომ დავისვენოო. მან შორიახლოს შენიშნა ფუნდ

უკი: * „ამ სანახავმა გზის მაჩვენებელი ვარსკვლავით გაუბრწყინა თვალები, რადგან მისი გაჭირვების სავანე ის ფუნდუკი უნდა ყოფილიყო“ [1,40], ბინდისას მიატანა იქამდე, ჭიშკართან იდგა ორი ახალგაზრდა ქალი. დონ კიხოტს ფუნდუკი: „ჩინებულ ციხე-დარბაზად მოეჩვენა ოთხ წოწოლაგუმბათიან კოშკის მქონედ, მზის სხივებზე მბრწყინავი ვერცხლით დაფერილი ყავრულებითა და ქონგურებით, გარშემო ხანდაკშემოვლებული ასაწევი ხილებითა და მიწისქვეშა სავლელებით გამართული“ [1,41]. რაინდმა იფიქრა ციხე-დარბაზის ქონგურზე ქონდრისკაცი გამოჩნდება და ჩემი მობრძანების თაობაზე ბუკით აცნობებსო ყველას, მაგრამ რაკი დაინახა, რომ ამგვარი არაფერი ხდებოდა, ჭიშკარს მიადგა, იქ მდგარი ორი ქალი, ტურფა ასულებად, სეფექალებად, მიიჩნია. ამ დროს, რომელიღაც მეღორემ, კოლტის მოსაგროვებლად, საყვირს ჩაჰბერა, რაინდმა იფიქრა, ციხე-დარბაზს ჩემს მოსვლას აგებინებენო, აათოხარიკა ცხენი, რათა ქალებთან ეშხიანად მისულიყო, მაგრამ უცნაურად მოროთული კაცის დანახვაზე, ისინი შეშინდნენ და ფუნდუკისკენ გაიქცნენ. დონ კიხოტმა მათ „მშვენიერი მანდილოსანნი“ უწოდა და დაამშვიდა: „რაინდთა კანონი, რომლის დაცვაზედაც ფიცი მაქვს მიცემული, სხვის შეურაცხყოფას მიკრძალავს, ვინც უნდა იყოს ის, და მით უმეტეს ისეთ ქალწულთა შეურაცხყოფას, როგორებადაც თქვენ მეჩვენებით“ [1,41], ქალები გაოცდნენ, თან ეცინებოდათ, რაზეც დონ კიხოტი გაწყრა და მკაცრად მიმართა: „სილამაზეს ზრდილობა შეშვენის, უმიზეზოდ სიცილი კი უმართებულო საქციელია, რასაც დიდი რეგენი სჩადის“ [1,42], ქალები მაინც ვერ იკავებდნენ სიცილს, რაინდს მოთმინება ეკარგებოდა, მაგრამ ამ დროს გამოვიდა მეფუნდუკე, „თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი მოჩვენება“ და გამხიარულებული ქალები რომ დაინახა, ძლივს შეიკავა ღიმილი. მან რაინდს თავაზიანად მიმართა, რომ მოგასვენო, ლოგინი არა მაქვსო, რაზეც დონ კიხოტმა მიუგო: „რაც უნდა შემომთავაზოთ, ბატონო კასტელანო*, ყველაფრით კმაყოფილი ვიქნები, რადგან ნათქვამია:

ჩემი სამოსი არის აბჯარი

და დასვენება-ბრძოლა ფიცხელი [1,42].

მეფუნდუკემ იფიქრა, რაკი კასტელანი მიწოდა, კასტილიელად მიმიღო და უთხრა, თუკი „თქვენი საწოლი კლდე იქნება და ძილის ნაცვლად მუდმივი სიფხიზლე“ [1,42-43], შეგიძლიათ ჩემს ქოხში დაისვენოთო, ის დაეხმარა დონ კიხოტს ცხენიდან ჩამოსვლაში (რომელზეც რაინდმა უთხრა, მთელი დედამიწის ზურგზე საუკეთესო ბედაურიაო), როსინანტი თავლაში წაიყვანა და რომ მობრუნდა, დაინტერესდა, სტუმარს ხომ არაფერი სჭირდებოდა. ქალებზე განაწყენებული დონ კიხოტი მათ უკვე შერიგებოდა, ისინი აბჯრის მოხსნაში ეხმარებოდნენ, მაგრამ ჩაჩქნისა და საყელოსგან ვერ ათავისუფლებდნენ, თასმები მაგრად ჰქონდა გაკვანძული, რაინდი ვერ დაითანხმეს, გაეჭრათ იგი, არჩია მთელი ღამე ასე დარჩენილიყო.

მან გააგებინა „სეფექალებს“, რომ მის ბედაურს როსინანტი ჰქვია, თვითონ კი დონ კიხოტ ლამანჩელია. მართალია, სანამ რაიმე ღვაწლს არ ჩაიდენდა, ვინაობა არ უნდა გაემჟღავნებინა, მაგრამ გარემოებამ აიძულა სახელი ადრევე წარმოეთქვა. რაინდმა

იმედი გამოთქვა, იქნებ დადგეს დრო, შევძლოო თქვენი ბრძანების შესრულება. „ტურფები“ გაცვებით შესცქეროდნენ, მერე კი ერთმა ჰკითხა, ხომ არაფერს მიირთმევთო, რაზეც დონ კიხოტმა მიუგო, სიამოვნებითო.

პარასკევი იყო, ფუნდუკში წ ვ რ ი ლ ი თ ე ვ ზ ი ს (რომელსაც კასტილიაში ა ბ ა დ ე ხ ო ს, ანდალუზიაში ბ ა ვ ა ლ ა ო ს, სხვაგან კ უ რ ა დ ი ლ ო ს ან კიდეც კ ა ლ მ ა ხ ს ეძახიან) გარდა არაფერი იყო. ტაბლა გარეთ, აივანზე, სუფთა ჰაერზე, დაუდგეს, მასპინძელმა ცუდად მოხარშული და ასევე ცუდად შეკაზმული წვრილი თევზი და ერთი ნაჭერი დაობებული შავი პური მიართვა. დონ კიხოტის ყბები ჩაჩქანსა და საყელოს ჰქონდა შებოჭილი, ამიტომ ვერ ჭამდა, ერთ-ერთი ქალი დაეხმარა, ლუკმა-ლუკმად მიართვა, მეფუნდუკემ ლერწმის გრძელი მასრა მოიტანა, მისი ერთი ბოლოდან დააღვეინა ღვინო. ამ დროს, შემთხვევით შემოსულმა გლეხმა, ოთხჯერ თუ ხუთჯერ, ლერწმის სალამური ააჟღერა, რამაც დონ კიხოტი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ციხე-დარბაზში იმყოფებოდა და მუსიკით ატკბობდნენ. ქაშაყთევზა გელაქნურად მოეჩვენა, შავი პური გამტკიცულ ფუნთუშად, მომსახურე დედაკაცები-სეფექალებად, მეფუნდუკე ციხე-დარბაზის სახლთუხუცესად და „იმით იყო ძალზე აღტაცებული, რომ მოგზაურ რაინდად გახდომა გადაწყვიტა და ამ მოგზაურობის პირველ დღეს ასეთი ჩინებული შედეგი ჰქონდა“ [1,45], მაგრამ ერთი რამ აწუხებდა, ჯერ რაინდად დალოცვილი არ იყო და, წესის თანახმად, არ შეეძლო რაიმე ფათერაკს შეებოდა.



თავი III

სადაც მოთხრობილია, თუ რა სასაცილო წესით დალოცეს

რაინდად დონ კიხოტი

დონ კიხოტმა ვახშამი რომ დაამთავრა, მეფუნდუკეს მოუხმო, საჯინიბოში გაიყვანა, შიგნიდან კარი ჩაკეტა და უთხრა, უნდა აღმითქვათ, რომ თხოვნას შემისრულებთ, რადგან, მისი შესრულებით: „მარტო თქვენ როდი მოგფენთ დიდებას, არამედ ადამიანთა მთელს მოდგმას სამსახურს გაუწევს“ [1,45]. მეფუნდუკემ დაჩოქილი სტუმრის უცნაური სიტყვები რომ მოისმინა, შეცბუნდა, სთხოვა ამდგარიყო, მაგრამ რაინდი მანამ ვერ დაითანხმა, სანამ მასპინძლისგან თხოვნის ასრულების პირობა არ მიიღო: „ხვალ, განთიადისას, რაინდად უნდა დამლოცოთ“... [1,46], სანამ ამ ღირსებას მომანიჭებთ, ნება მიბოძეთ, თქვენს ციხე-დარბაზში გავათიო ღამე, იარაღს ვუდარაჯო, და მერე, სარაინდო წესების თანახმად, ფათერაკების საძებნელად, დამნაშავეთა დასასჯელად, ჩაგრულთა საშველად, გავუდგე გზას.

მასპინძელი მიხვდა, რომ სტუმარი გონებაარეული იყო, მისი დაცინვა მოუნდა და აღუთქვა, თხოვნას შეგისრულებო, თან შეაქო: შენი გადაწყვეტილება, სურვილები, თხოვნა, შენს დიდ ჭკუაზე მეტყველებს და აზნაურობას შეეფერება, ამას ზვიად გარეგნობასა და ქცევაზეც გატყობო, თან დასძინა, ახალგაზრდობისას მეც ამ ხელობას მივსდევდი, შემოვიარე ს ე ვ ი ლ ი ა, გ რ ა ნ ა დ ა, ტ ო ლ ე დ ო* და სხვა ადგილები, „ესპანეთის ყველა სამსჯავროში ცნობილი შევიქენ“ [1,46], მაგრამ, სიბერისას, ამ ციხე–დარბაზს შევაფარე თავი და მშვიდად ვცხოვრობო. მერე, დონ კიხოტს, აუხსნა, რომ მას არ ჰქონდა სალოცავი, მაგრამ სარაინდო კანონების თანახმად, შეგიძლია სადაც გინდა იქ გაათიოო ღამე, ციხე–სიმაგრის ეზოში, განთიადისას კი, ღვთის შეწევნით, დალოცვის წესს შესაბამისი ცერემონიით შევასრულებო. ბოლოს მასპინძელმა ჰკითხა, ფული თუ გაქვსო, რაზეც დონ კიხოტმა უარი განაცხადა, არსად წამიკითხავს, მოგზაურ რაინდებს თან ფული ეტარებიანოთო. მეფუნდუკემ მიუგო, რომანებში ამაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფული და საცვალი არ იყოს საჭირო, ვიცი, რომ ყველა მოგზაური რაინდი ქისას, პერანგებს და მალამოს თან ატარებდა, რადგან საჭირო იყო. ამ და ბევრი სხვა რჩევის მოსმენის შემდეგ, დონ კიხოტმა აღუთქვა, რომ ყოველივეს უნაკლოდ შეასრულებდა, მერე დაუყოვნებლივ დაიწყო მზადება, რაინდად დალოცვის წინა ღამე გაეთია ფუნდუკის უკანა ეზოში. მოაგროვა ყველა იარაღი, დაალაგა ჭის გვერდით მდგარ რ ო ფ ზ ე*, დაიკავა ფარი და შუბი და აქეთ–იქით ამაყად დაიწყო სიარული.

მეფუნდუკემ ყველას უამბო დონ კიხოტის სურვილებისა და ჭკუამცდარობის ამბავი, ისინიც დაინტერესდნენ და თვალთვალი დაუწყეს, მთვარე კაშკაშებდა და ადვილად არჩევდნენ, როგორ სცემდა ბოლთას რაინდი. ამ დროს, ერთმა მეჯორემ, მოინდომა წყალი დაეღვინებინა თავისი პირუტყვებისთვის და გაემართა როფისკენ, რათა აეღო იარაღი, მაგრამ დონ კიხოტმა დაუყვირა, თავხედი რაინდი უწოდა, „კადნიერად რომ უახლოვდები ყველა მოკვდავთაგან უმამაცესი მოგზაური რაინდის იარაღს“[1,48]. მეჯორემ არ მიაქცია ყურადღება, პირიქით, იარაღის თასმებს ხელი წაავლო და შორს მოისროლა. დონ კიხოტმა ეს რომ დაინახა, თვალეები ზეცისკენ აღაპყრო და წარმოთქვა: „ჰოი, ჩემო ქალბატონო, ყურადღებით იყავ ჩემდამი ამ პ ი რ ვ ე ლ ი შ ე უ რ ა ც ხ ყ ო ფ ი ს წამს, თქვენგან დამონებულ გულს რომ ატყდება: დაე, თქვენი კეთილგანწყობილება მექმნას მოსარჩლედ ამ პირველ საშიშროებაში“...[1,48], გადაგდო ფარი, ორივე ხელი შუბს ჩასჭიდა, მეჯორეს ჩაარტყა და წააქცია. მერე ისევ მოაგროვა იარაღი, უწინდელ ადგილზე დაალაგა და განაგრძო ბოლთის ცემა. მალე მეორე მეჯორესთანაც იგივე განმეორდა, დაჭრილის ყვირილზე გამოცვივდნენ ფუნდუკიდან, დონ კიხოტმა ისინი რომ დაინახა, ფარი მოიმარჯვა, იშიშვლა ხმალი და ისევ დულსინეას მიმართა, „მშვენიერთა მშვენიერო და ჩემი გულის ნავსაყუდარო და ციხე–სიმაგრეე“... [1,49], გაჭირვების ჟამს მომაპყარი ყურადღება, ნახე, შენგან მოხიბლულ რაინდს, რა დიდი საშიშროება შეიძლება დაატყდეს თავს ბრძოლაში. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, დიდი ძალა იგრძნო მკლავებში. ნაცემი მეჯორეების მეგობრებმა ქვების სროლა დაუწყეს, მაგრამ ის ფართით იგერიებდა, იდგა როფთან ახლოს და იარაღს დარაჯობდა. მეფუნდუკე უყვიროდა სხვებს, დაენებებინათ მისთვის თავი, რადგან არ იყო ჭკუათმყოფელი. დონ კიხოტი ღრიალებდა, ლანძღავდა მტერს,

„ურჯულოებსა და მოღალატეებს,“ ციხე-დარბაზის პატრონს კი-ფიცისგამტეხსა და უზრდელს ეძახდა, „მოგზაური რაინდებისადმი ამ შეუსაბამო მოპყრობისათვის“, ხალხს საზიზღარსა და მურდალ ბრბოს უწოდებდა, საბრძოლველად იწვევდა ყველას და ემუქრებოდა. მეჯორეები შეშინდნენ, მეფუნდუკის რჩევა-დარიგებასაც მოუსმინეს და ქვების სროლას დაანებეს თავი. დონ კიხოტმა ნება დართო წაეყვანათ დაჭრილები, თვითონ კი უწინდელი მედიდურობით განაგრძო იარაღის დარაჯობა. მასპინძელს არ მოეწონა თავისი სტუმრის სულელური ქმედებები, იჩქარა დაელოცა რაინდად და თავიდან მოეშორებინა. მოწიწებით ეახლა დონ კიხოტს, სთხოვა რეგვენებისთვის ეპატიებინა, ყველაფერი ჩემს დაუკითხავად მოხდაო, მერე კი გაუმეორა სალოცავი არა მაქვს, მაგრამ რ ა ი ნ დ ა დ და ლ ო ც ვ ი ს ა რ ს ი ხ მ ლ ი ს ო რ ჯ ე რ დ ა რ ტ ყ მ ა შ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს, ერთხელ მ ხ ა რ ზ ე, მეორეჯერ კ ე ფ ა შ ი და ამის შესრულება ყველგან შეიძლება, თუნდაც გაშლილ მინდორზედაცო. რაინდმა დაიჯერა და მეფუნდუკეს სთხოვა დაეჩქარებინა დალოცვის ცერემონია. რაინდად გახდომის შემდეგ კი „ამ ციხე-დარბაზიდან ცოცხალს აღარავის გავუშვებ იმათ გარდა, ვის დანდობასაც თქვენ მიბრძანებთო.“[1,50]. შეშინებული მეფუნდუკე საჩქაროდ წავიდა დავთრის მოსატანად, სადაც მეჯორეებზე დანახარჯ ბზესა და ქერს იწერდა, მოიყვანა ის ორი დედაკაცი და ერთი ბიჭი, ანთებული ნამწვავი სანთლით, მივიდა დონ კიხოტთან, დაიჩოქა, დავთარში დაიწყო ვითომ კითხვა, ხელი აღმართა და დონ კიხოტს მთელი ძალ-ღონით სილა გაართყა კეფაში, მერე მხარზე ძალუმად დაჰკრა ხმალი, თან ბუტბუტებდა, ვითომ ლოცვებს კითხულობდა. ბოლოს ერთ ქალს სთხოვა, ახლადდალოცვილი რაინდისთვის ხმალი შემოერთყა, ქალმა, რომელიც სიცილს ძლივს იკავებდა, თხოვნა შეასრულა, მერე რაინდს უთხრა: „უფალმა გყოსთ ბედნიერი რაინდი და გამარჯვებით განაცისკროვნოს თქვენი აბჯარი“[1,51]. დონ კიხოტმა მას სახელი ჰკითხა, აინტერესებდა, რომელი სეფექალის სამსახურით იყო დავალებული, „რომ მომავალში გაეზიარებინა მისთვის ის პატივი და დიდება, რომელსაც გმირული საქციელით მოიპოვებდა.“[1,51], მან მიუგო, ტოლედელი მეჯდანის ქალი ვარ, ლა ტოლოსა მქვიაო. დონ კიხოტმა სთხოვა, ჩემი ხათრით სახელს დონ მიუმატე და დ ო ნ ა ტ ო ლ ო ს ა დაირქვიო, ქალმა აღუთქვა შევასრულებო. დონ კიხოტს დეზები რომ გაუკეთა, იმასაც ჰკითხა სახელი, ის ანტეკერის მეწისქვილის ასული, მოლინერა აღმოჩნდა, მასაც იგივე თხოვნა გაუმეორა, დ ო ნ ა მ ო ლ ი ნ ე რ ა შეირქვიო.

რაინდმა ყველას მადლობა გადაუხადა, შეკაზმა როსინანტი, მეფუნდუკეს გამოემშვიდობა. მასპინძელს მისგან ბინის ქირა არ მოუთხოვია, უხაროდა, რომ უცნაურ სტუმარს თავიდან იშორებდა.



თავი IV

იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა ჩვენს რაინდს ფუნდუკიდან

გასვლის შემდეგ

გამთენიისას, კმაყოფილი და გაამაყებული დონ კიხოტი ფუნდუკიდან გამოვიდა, მაგრამ მასპინძლის ნათქვამი გაახსენდა, ფულისა და საცვლების საჭიროებაზე და შინ დაბრუნება გადაწყვიტა, რათა მოემარაგებინა ყველაფერი და თან საჭურველმტვირთველიც მოეძებნა. ფიქრობდა, რომ ამ საქმისთვის თავისი მეზობელი, ბეჩავი, წვრილშვილიანი გლეხი კაცი, სანჩო პანსა, გამოადგებოდა. როსინანტი შეაბრუნა, ისიც, თითქოს მიუხვდა განზრახვას და თოხარიკით გასწია. ცოტა მანძილი რომ გაიარა, ტყიდან მწუხარე ხმა შემოესმა, რაინდმა ღმერთს მადლობა გადაუხადა, რომ ასე ჩქარა ეძლეოდა საშუალება თავისი წოდების მოვალეობა შეესრულებინა: „ეს ხმა, უეჭველია, ვინმე გაჭირვებულის ხმაა, რომელსაც ჩემი შემწეობა და გამოსარჩლება სჭირია“ [1,32], გაიფიქრა რაინდმა და როსინანტი გააქანა ტყისკენ. მალე დაინახა, ერთ მუხაზე ცხენი იყო მიბმული, მეორეზე-წელამდე გატიტვლებული თხუთმეტითდე წლის ბიჭი მიეკრა ზორბა გლეხს და შეუბრალებლად სცემდა ქამრით, თან ყოველ დარტყმაზე ეუბნებოდა, გაფრთხილებდი, რომ ფხიზლად ყოფილიყავი, ახლა ხმა ჩაიკმინდო, ბიჭი კი პასუხობდა, მეტს აღარ ვიზამ, ღმერთმანი, თქვენს ფარას უკეთესად მოვუვლიო.

დონ კიხოტმა მკაცრად შესძახა: „უღირსო რაინდო, განა გეკადრება იმ კაცის თავს დაცემა, რომელსაც მოგერიების ღონე არა აქვს? აბა, ინებეთ, შებრძანდით ცხენზე და ხელში შუბი აიღეთ... გიჩვენებთ თქვენი საქციელის ურიგობას“ [1,53]. გლეხმა, შ ე ი ა რ ა დ ე ბ უ ლ ი „რ ა ღ ა ც მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ა“ რომ დაინახა, თავისკენ მოღერებული შუბით, იფიქრა, აღსასრულის დღე დამიდგაო და მშვიდობიანი კილოთი მიუგო: „ბატონო რაინდო, ეს ბიჭი, რომელსაც ახლა ვსჯი, ჩემი ცხვრის მწყემსია, მაგრამ დიდი დოყლაპიაა და ისე დაუდევრად ეკიდება საქმეს, რომ დღე არ გავა, არა დააკლდეს რა: აი, ახლა, როცა ამ დაუდევრობისათვის და, ვინ იცის-ცულლუტობისათვისაც ვსჯი, ასე მეუბნება, ამას სიავით სჩადიხარ, რადგან ჯამაგირის მოცემა არ გინდაო“ [1,53] და თან დასძინა, ბიჭი ტყუისო. „როგორ თუ „ტყუის!“ და ამის თქმას ბედავ, ისიც ჩემს წინაშე, საძაგელო ხეპრევ!-შეჰყვირა დონ კიხოტმა:-სინათლის მომფენ მზესა ვფიცავ, ლამის ეს შუბი შიგ მკერდში გაგახედო. რაც ერგება, დაუყოვნებლივ გაუსწორდი და კრინტი არ დაძრა, თორემ ზეციერს გეფიცები, ერთის დაკვრით სულს გაგაცხებინებ და აქვე გაგათავებ. ახლავე ახსენ ეგ ბიჭი!“ [1,53]. გლეხმა გაათავისუფლა ბიჭი, რაინდმა ჰკითხა პატარას, რამდენი მართებს შენს პატრონსო, მან მიუგო, ცხრა თვისა, თვეში შვიდ-შვიდი რეალი უნდა გადაეხადაო. დონ კიხოტის გამოანგარიშებით, მწყემსისთვის სამოცდასამი რეალი ახლავე უნდა ჩაებარებინა შეშინებულ გლეხს, რომელიც თავს იმართლებდა, ამდენი არ მმართებს და, თანაც, თანხიდან, სამი წყვილი ფეხსაცმლისა და მისი ავადმყოფობისას ორჯერ სისხლის გამოშვების, ერთი რეალი უნდა გამოიქვითოსო. „ვთქვით, რომ ეს ასეა,-მიუგო დონ კიხოტმა, მაგრამ რაც ფეხსაცმლებსა და სისხლის

გამოშვებაში დაგიხარჯავს, უკვე გაინაღდეთ, როცა ამ ბიჭს უდანაშაულოდ სცემთ: რადგან, თუ მაგან თქვენგან წაყიდი ფეხსაცმლის ტყავი დაგლიჯა, სამაგიეროდ თქვენ მაგის საკუთარი ტყავი დაგლიჯეთ; და თუ დალაქმა სისხლი გამოუშვა, როცა ბიჭი ავად იყო, ახლა თვითონ თქვენ უშვებთ სისხლს, როცა მაგისთვის ეს საჭირო არ არის და ჯანმრთელია, მაშასადამე, ამაშიც სრულიად ბარიბარში ხართ“. გლეხი დაჰპირდა დონ კიხოტს, რომ ა ნ დ რ ე ს ს თანხას შინ გადაუხდიდა, რადგან თან არ ჰქონდა, „სულ წვრილად დავუთვლიო“ უთხრა, მაგრამ ბიჭმა შეჰყვირა, ღმერთმა დამიფაროს მაგას შინ გავყვე, ტყავს გამაძრობსო. დონ კიხოტმა დაამშვიდა, არაფერი მოხდებოდა, ისე რაინდთა იმ ორდენს თუ დაიფიცებს, რომელსაც მიეკუთვნება, თავს დავანებებო. ანდრესმა თავის „მხსნელს“ აუხსნა, რომ მისი პატრონი, სოფელ კ ი ნ ტ ა ნ ა რ ი ს მდიდარი მცხოვრები, უბირი გლეხი, ხ უ ა ნ ა ლ დ უ დ ო ა და არა რაინდი. დონ კიხოტმა მიუგო: „აღდუღოებიც შეიძლება ისეთივე რაინდები იყვნენ, როგორც ყველა სხვები არიანო“ [1, 54], „რა საქმეთა შვილად ჩაითვლება ჩემი პატრონი, ოფლით დამსახურებულ ჯამაგირს რომ არ მამღვებს?“ მიუგო ანდრესმა, რაზეც ღმობიერი პასუხი გასცა აღდუღომ, მან დაიფიცა რაინდთა ყველა ორდენი და დაჰპირდა, რომ თანხას სრულიად ჩააბარებდა, თან სარგებელსაც დაუმატებდა. დონ კიხოტმა გლეხი გაათავისუფლა სარგებლის გადახდისგან, ანდრესს რაც ერგება, მხოლოდ ის გადაიხადეო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგნახავ, თუნდაც ხვლიკივით ხვრელში შეიმალოო: „მე გახლავართ სახელოვანი და უშიშარი დონ კიხოტ ლამანჩელი, ბოროტების ლახტი და უსამართლობის მმუსრავი“... [1,55], თან დასძინა არ დაგავიწყდეთ დაპირება, თორემ სამაგიეროს მოგიზღავთო, მერე დეზი ჰკრა როსინანტს და წავიდა, ტყეში შევიდა, გლეხმა დაუყვავა ანდრესს, შვილო, ჯამაგირი უნდა ჩაგაბარო, როგორც იმ „უსამართლობის შემმუსვრელმა მიბრძანაო.“ ანდრესმა მიუგო, კარგი იქნება თუ ასე მოიქცევით, მაგრამ თუ არა, მაშინ, წ მ ი ნ დ ა რ ო კ ე ს* ვფიცავ, მოვძებნი და მუქარას ავასრულებინებო. გლეხმაც დაიფიცა, მაგრამ წაავლო ხელი ანდრესს, ისევ იმ მუხაზე მიაკრა და ისე სცემა, სიკვდილის პირას მიიყვანა, მერე ახსნა და უთხრა, წადი, შენი მსაჯული მონახე და თავისი განაჩენი აასრულოსო. ანდრესი ტიროდა და იფიცებოდა, სახელოვან დონ კიხოტს მოვძებნი, ყველაფერს ვუამბობ და ჩემს ჯამაგირს სარგებლით გადაგახდევინებსო. ბიჭი ამ მუქარით გამოირდა გლეხ აღდუღოს, რომელიც რაინდს დასცინოდა.

კმაყოფილი დონ კიხოტი გზას განაგრძობდა, ჩათვალა, რომ „ეს პ ი რ ვ ე ლ ი ფ ა თ ე რ ა კ ი მისი სარაინდო მოღვაწეობისათვის ბედნიერი დასაწყისი იყო“ [1,56], საკუთარ თავს ესუბრებოდა, ფიქრეში „მშვენიერ, უბადლო დულსინე ტობოსელს“ მიმართავდა, შეგიძლია თავი უბედნიერეს მოკვდავად ჩათვალო, რადგან მამაცი და გამოჩენილი რაინდი გყავს დამონებული, დონ კიხოტ ლამანჩელი, რომელიც წუხელ რაინდად დაილოცა და დღეს არნახული და უსასტიკესი ბოროტება დაამხო, ჩვილი ბავშვი უმიზეზო გვემას გადაარჩინაო. მიადგა გზაჯვარედინს და დაიწყო ბჭობა (ისე როგორც მოგზაურ რაინდებს სჩვევიათ) რომელ გზას დასდგომოდა, მაგრამ გაუჭირდა არჩევნის გაკეთება და როსინანტს მიანდო, სადავე მიუშვა, ცხენმა თავისუფლება რომ იგრძნო, თავისი თავლისკენ გასწია, ორი მილი რომ გაიარა, დონ კიხოტმა თვალი მოჰკრა ექვს ქოლგიან ცხენოსანს, უკან ჯორებზე მსხდომი ოთხი მსახური მოსდევდა,

სამ ბიჭს კი მოჰყავდა თითო დასაპალნებული ჯორი. ესენი მურჩიას მიმავალი ტოლედოელი ვაჭრები იყვნენ, მაგრამ დონ კიხოტმა მოგზაურ რაინდებად ჩათვალა და რომანებში როგორც წაუკითხავს, გადაწყვიტა ერთ-ერთი ბრძოლაში გამოეწვია, მათ მოლოდინში შუა გზაზე დადგა და რიხიანად დაუყვირა: „**თქვენგან ნურავის იმედი ნუ ექნება, ამ ალაგს გადმოაბიჯოს, თუ არ აღიარებს, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე მშვენიერი ბანოვანია ლამანჩის დედოფალი, შეუდარებელი დულსინე ტობოსელი**“[1,57]. ვაჭრები გაოცდნენ „უცნაური კაცი“ დანახვაზე, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რა ჭკუის პატრონი ბრძანდებოდა და მათ შორის ერთ-ერთმა ენამოსწრებულმა უთხრა, არ ვიცნობთ იმ კეთილ ქალბატონს, გვაჩვენეთ და თუ მართლა ასე მშვენიერია, ჩვენც ვაღიარებთო, რაზეც დონ კიხოტმა მიუგო, ჩემი სიტყვების ჭეშმარიტება მის უნახავადაც უნდა ირწმუნოთ თუ არადა ბრძოლაში გიწვევთ „**უმსგავსო და თავხედო კაცუნებო! თითო-თითოდ გამოხვალთ, როგორც რაინდთა კანონი მოითხოვს**“[1,57]. ვაჭარმა მიუგო სინდისი გვიკრძალავს, ის ჩავთვალთ სიმართლედ, რაც არ გვინახავს და არ გაგვიგონია, სურათი გვაჩვენეთ, თუნდაც ხორბლისოდენა, ნათქვამია, ბატკანს ერთი ბლუჯა მატყლითაც იცნობენო, სინდისს დავიმშვიდებთ და თუნდაც ცალი თვალით ბრუციანი იყოს და მეორედან გოგირდი და სინგური სდიოდეს, მაინც ქება-დიდებას შევასხამთო. დონ კიხოტი გაბრაზდა, ვაჭარს ბილწი და არამზადა უწოდა „**ჩემს დედოფალს ისეთი არა სდის რა, არამედ მხოლოდ მუშკსა და ამბრს აფრქვევს : არც ბრუციანია, არც კუზიანი და გვადარამის* თითის ტარივით ტანწერწეტა**“[1,58], რაინდი დაემუქრა, შუბი მოიმარჯვა და გაექანა კადნიერი ვაჭრისაკენ, საბედნიეროდ, როსინანტმა წაიბორძიკა, წაიქცა და მხედარი შორს გადასტყორცნა, წამოხტომა დააპირა, მაგრამ აბჯარმა ხელი შეუშალა, მიუხედავად ამისა, მაინც უყვიროდა ვაჭრებს, მათ მხდალებს, ყურმოჭრილ მონებსა და არამზადებს უწოდებდა. ერთმა გულფიცხმა მეჯორემ ვერ მოითმინა, მივარდა გამოტილს, ხელიდან შუბი წაგლიჯა, დაუმტვრია და მისი ნატყეხებით მიბეგვა. რაინდი მაინც არ იშლიდა მუქარას, ისინი ავაზაკებადაც ჩათვალა. მეჯორეები წავიდნენ, დონ კიხოტი თავს იმით ინუგეშებდა, რომ „**ასეთი მარცხი მოგზაური რაინდებისათვის იშვიათი რამ შემთხვევა არ იყო, და რომ ეს მარცხი ცხენის მიზეზით მოუვიდა**“[1,59], ადგომა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო და ისევ წოლა არჩია,



თავი V

სადაც გრძელდება ჩვენი რაინდის ბედუკუღმართი ამბები

დონ კიხოტი დარწმუნდა, რომ წამოდგომა არ შეეძლო და „ჩვეულებრივ წამალს“ მიმართა, გულის გადასაყოლებლად, „მისმა გიჟურმა ოცნებამ“, რომანებიდან, ამ შემთხვევისთვის შესაფერისი, ბალდუინისა და მანტუის* მარკიზის ის სცენა წარმოიდგინა, კარლოტომ მთებში რომ დატოვა დაჭრილი ბალდუინი. იდალგომ ტყის რაინდის მიერ წარმოთქმული რომანის სიტყვების გახსენება დაიწყო:

ო, სენიორა, სადა ხარ, მოდი,

გაიზიარე ეს მწუხარება...

როცა წარმოთქვა: „ო, მანტუის მბრძანებელი, ბიძაჩემო და მეფე“... გამოიარა რაინდის თანასოფლელმა, მაგრამ ვერ იცნო, ვინ იყო მიწაზე გართხმული ადამიანი და დაუძახა, რა დაგმართნია, რატომ გმინავო. დონ კიხოტმა თავი ბალდუინად წარმოიდგინა, თავისი მეზობელი მანტუის მარკიზად, ამიტომ არაფერი უპასუხა, განაგრძო რომანსი, რომელშიც იმპერატორის შვილის მიჯნურობის ამბავი იყო მოთხრობილი. ამ სისულელემ გლეხი განაცვიფრა, რაინდს დამსხვრეული ზარადი მოხსნა, მტვრიანი სახე გაუწმინდა და მიხვდა, რომ ეს „სენიორ კეხანაა“, ამ მდგომარეობაში რატომ ხართო, ჰკითხა, მაგრამ ის არ პასუხობდა და რომანსს განაგრძობდა. კეთილმა გლეხმა გასინჯა, ჭრილობა ხომ არა აქვსო, მერე ფეხზე წამოაყენა, სახედარზე შესვა, მისი იარაღი მოაგროვა, როსინანტს დააკრა ზურგზე, ვირსა და ცხენს სადავეები დაუჭირა და სოფლისკენ გასწია. გზაზე დონ კიხოტი ბოდავდა, მიავიწყდა ბალდუინი და ახალი ეპიზოდი გაიხსენა, ანტეკერის მმართველმა, როდრიგო დე ნარვაესმა, მავრი აბენდარაესი როგორ შეიპყრო და თავის ციხე-დარბაზში დაამწყვდია. როდესაც თანასოფლელმა მეორედ ჰკითხა დონ კიხოტს, როგორა ხარო, მან მონტემაიორი* „დიანაში“, წაკითხული სიტყვებითა და გამოთქმებით გასცა პასუხი. გლეხი მის აზრს ვერ უგებდა, მაგრამ მიხვდა, რომ თანამგზავრს, ალბათ, გონება არეოდა, მეზობელს ვერ ცნობდა. დონ კიხოტმა მას, თავაზიანად, სენიორ როდრიგო დე ნარვაესი უწოდა, თან დასძინა, ხარიფას რომ მოგახსენებდით, ახლა ის მშვენიერი დულსინეა ტობოსელია: „და იმის სადიდებლად ჩამიდენია, აწცა ვიქმ და კვლავაც ჩავიდენ უდიდესთა სარაინდო ღვაწლთა, რომელთა მსგავსი არც უნახავთ, არცა ხედავენ და ვეჭვობ, რომ მომავალ საუკუნეებში ოდესმე იხილონ“ [1,61]. გლეხმა აუხსნა, რომ ის მისი მეზობელი პედრო ალონსოა და არა როდრიგო დე ნარვაესი ან მანტუის მარკიზი, თვითონ კი „პატიოსანი იდალგო ბატონი კეხანაა“ ბრძანდება. დონ კიხოტი არ დაეთანხმა, „ართუ იმ რაინდებად შემოდლია ვიყო, ვინც ახლა დამისახელე, არამედ საფრანგეთის ყველა თორმეტ დიდებულადაც* და დიდების ცხრა გმირადაც*, იმიტომ, რომ მათ მიერ ჩადენილი საგმირო საქმეები ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე ჩემგან ჩადენილ გმირობასთან შედარებით ცალადაც არ ჩაითვლებიან.“[1,61].

მგზავრებმა, ამგვარი ბაასით, მზის ჩასვლამდე, სოფლამდე მიაღწიეს. გლეხკაცმა დაბინდებამდე შეიცადა, რადგან არ უნდოდა იდალგო ამგვარ ყოფაში ეხილათ ნაცნობებს. კარგად რომ შებინდდა, სოფელში შევიდა და დონ კიხოტის სახლისკენ

გაემართა. იქ კი ყველა შეწუხებული და გაოცებული იყო პატრონის უკვალო გაქრობით. ახლობლების გარდა, აქ მოსულიყვნენ იდალგოს მეგობრები: სოფლის დალაქი ნ ი კ ო ლ ა ს ი და მღვდელი პ ე რ ო ს პ ე რ ე ს ი. სახლის გამგე წუხდა, სამი დღეა ბატონი არ ჩანს, არც ცხენი, შუბი, ფარი და სხვა იარაღია, „ეს სულ იმ შეჩვენებული სარაინდო რომანების ბრალი უნდა იყოს, დილიდან საღამომდის მათ კითხვაში რომ იყო. იმ წიგნებმა აურიეს ტვინი“ [1, 62], ნეტავი სატანასა და ბ ა რ ა ბ ა ს* წაელო ეს წიგნები, გონიერი კაცი შეშალესო. დონ კიხოტის დისწული ამატებდა: „ბიძაჩემი რამდენიმე დღესა და ღამეს ზედმიყოლებით იმ შეჩვენებული რომანების კითხვაში ატარებდა.“ [1,62], მერე კი გადააგდებდა წიგნებს და ხმაღს კედლებს ურტყამდა, ამბობდა, ოთხი გოლიათი მოვკალიო, წურწურით ჩამოსულ ოფლს ბრძოლაში ჭრილობებისგან წამოსულ სისხლს უწოდებდა, ერთ აზარფემა ცივ წყალს გამოცლიდა და გვარწმუნებდა, მკურნავი სასმელია, „ჩემმა მეგობარმა, დიდმა ჯადოქარმა და ბრძენმა ე ს კ ი ფ ე მ* მომიტანაო.“ დისწული ნანობდა, რომ ბიძამისის ამგვარ ქმედებებზე არაფერი ამცნო მის მეგობრებს, იქნებ ეშველათ მისთვის, იქნებ, „ყველა ეს წყეული წიგნი (ასეთები კი ბლომად ჰქონდა) ერთიანად დაგეწვათ: მათში ბევრი ისეთია, რომ ე რ ე ტ ი კ ო ს თ ა* წიგნებივით დაწვის ღირსია“ [1,62]. მღვდელმა თქვა: ხვალვე დავწვავთ იმ წიგნებს, „რათა კვლავ არ აღძრან ადამიანები იმ საქმისათვის, რომელთაც სჩადის ახლა მათი წამკითხველი ჩემი უბედური მეგობარი“ [1,63]. ეს საუბარი დონ კიხოტსა და მის თანამგზავრს ესმოდა, გლები უფრო დარწმუნდა, რომ მისი მეზობელი კიხანო ავად იყო, ამიტომ დაიყვირა: „კარი გააღეთ, ქალბატონო: მოვიდა მძიმედ დაჭრილი სენიორი ბალდუინი და სენიორი მანტუის მარკიზი, იგივე სენიორი მავრიზ ა ბ ა ნ დ ა რ ა ე ს ი, იგი დატყვევებული მოჰყავს ა ნ ტ ე კ ე რ ი ს მზრძანებელს მამაც როდრიგო დე ნარვაესს“ [1,63]. ყველანი გამოცვივდნენ, დონ კიხოტს გადაეხვივნენ და კოცნიდნენ, ის კი სახედრიდან ჩამოსვლას ვერ ახერხებდა. მან თქვა: „შესდექით ყველანი: მძიმედ ვარ დაჭრილი ჩემი ცხენის მიზეზით. ლოგინში ჩამაწვინეთ და თუ შესაძლოა, დამიძახეთ ჯადოქარ უ რ გ ა ნ დ ა ს*-წყეულები შემიხვიოს და გამიკურნოს“ [163]. სახლის გამგე ამ სიტყვების გაგონებამ აღაშფოთა, დონ კიხოტს მიმართა, ყველა ურგანდას თავი ანებეთ, ისედაც განგკურნავთო, მერე კი ისევ სარაინდო წიგნები ახსენა: „ათასჯერ შეაჩვენოს ღმერთმა ის თქვენი წყეული რაინდული წიგნები“ [1,63].

დონ კიხოტი ჩააწვინეს ლოგინში, მაგრამ მას არც ერთი ჭრილობა არ აღმოაჩნდა. რაინდმა თქვა, რომ ცხენის მიზეზითაა დაბეგვილი, როსინანტი სწორედ მაშინ წაიქცა და მოიყოლა იდალგო ქვეშ, როცა, ვითომ, მარტო, ათას ისეთ გოლიათს ებრძოდა, რომ „მათზე უსაშინლესი და უსაზარლესი ქმნილებანი დედამიწას არ წარმოუშვია“ [1,63]. მღვდელმა გაიკვირვა, საქმე გოლიათებამდისაც მისულაო და დაიფიცა: „ხვალ, მზის ჩასვლამდის, სულ ერთიანად ცეცხლს მივცემ იმ წიგნებს“ [1,63]. იდალგოს კითხვებს უსვამდნენ ყველანი, მაგრამ ის არ პასუხობდა, მხოლოდ საჭმელსა და დასვენებას ითხოვდა, რაც შეუსრულებს. მღვდელმა გამოჰკითხა გლებკაცს, თუ სად, როგორ იპოვა დონ კიხოტი, იმანაც უამბო, როგორ ნახა იდალგო შუა გზაზე დაგდებული და როგორ წამოიყვანა სახედრით, ამის შემდეგ მღვდელს უფრო გაუცხოველდა გეგმის შესრულების სურვილი. მეორე დღეს გაუარა თავის მეგობარ დალაქს და ორივენი დონ კიხოტის სახლისაკენ გაემართნენ.

თავი VI

თუ რა გულდასმითა და სეირით გასინჯეს მღვდელმა და დალაქმა

ჩვენი მახვილგონიერი იდალგოს ბიბლიოთეკა

მღვდელმა დონ კიხოტის ძმისწულს იმ ოთახის გასაღები გამოართვა, სადაც ინახებოდა „დიდი უბედურების მიზეზი“, ა ს ზ ე მ ე ტ ი დიდტანიანი და რამდენიმე მომცრო წიგნი. ბიბლიოთეკაში შევიდნენ. სახლის გამგემ დატოვა ისინი. მალე ა ი ა ზ მ ი თ* დაბრუნდა და სთხოვა მღვდელს: აპკურე ეს წყალი ოთახში, იქნებ წიგნებში მყოფ გრძნეულებს ძალა დაეკარგოთ და განრისხებულებმა, იმის გამო, რომ აქიდან ვაძევებთ, ჩვენი მოჯადოება ვერ შეძლონო. მღვდელს ამ გულუბრყვილო თხოვნაზე გაეცინა და დალაქს სთხოვა რიგრიგობით მიეწოდებინა მისთვის წიგნები, დასათვალიერებლად,, რათა „უვნებელი წიგნებიც“ დაუმსახურებლად არ დაეწვათ. დონ კიხოტის დისწული მოითხოვდა, ფანჯრიდან გადაეყარათ, შეეგროვებინათ და ცეცხლში დაეწვათ. სახლის გამგეც ამ აზრისა გახლდათ, მაგრამ მღვდელი არ დაეთანხმა, სათაურების წაკითხვა აინტერესებდა. ოსტატმა ნიკოლასმა პირველად „ა მ ა დ ი ს გ ა ლ ე ლ ი ს“ ოთხნაწილიანი ისტორია მიაწოდა. პეროს პერესმა აღნიშნა, რომ ეს ე ს პ ა ნ ე თ შ ი გ ა მ ო ს უ ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი რ ა ი ნ დ უ ლ ი რ ო მ ა ნ ი ა და ყველა დანარჩენი მისი მიბაძვითაა წარმოშობილი, ამიტომ, „როგორც მთელს ამ მავნე სექტის მეთაურს“, დაწვა უნდა მიესაჯოს. დალაქი არ დაეთანხმა: „ყველა სარაინდო წიგნზე უკეთესი ეგ არის თურმე, რომელიც კი ოდესმე დაწერილა“[1,65], ამიტომ უნდა დავინდოთო. „ეგეც კი მართალია, როგორც ნიმუში და მაგალითი, ღირსია ეპატოს...ჯერხანად სიცოცხლე ვაჩუქოთ“[1,65], თქვა მღვდელმა. შემდეგი ნაწარმოები „ე ს პ ლ ა ნ დ ი ა ნ ი ს თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ა ლ ი ა“, ამადის გალელის კანონიერი შვილისა-უთხრა დალაქმა. „მამის ღვაწლი შვილს ღირსებად როდი ჩაეთვლებაო“ და, სახლის გამგე ქალბატონს, მღვდელმა, წიგნი ფანჯრიდან გადააგდებინა, დაე, ჩვენს კოცონს საფუძველი ამ წიგნმა დაუდოსო. ქალმა სიამოვნებით შეასრულა ბრძანება. რიგრიგობით დაათვალიერეს წიგნები: „ა მ ა დ ი ს ბ ე რ ძ ე ნ ი“ („სამინლად გაბერილი აბდაუბდებით“); „დონ ო ლ ი ვ ა ნ ტ ე დ ე ლ ა უ რ ა“ („კასრივით გაბერილი წიგნი“); „ფ ლ ო რ ი ს მ ა რ ტ ე პ ი რ კ ა ნ ე ლ ი“ („უხეში, უხეიროდ მოთხრობილი“); „პ ლ ა ტ ი რ რ ა ი ნ დ ი“ („შიგ იმდენი არა ყრია რა“); „ჯ ვ რ ი ს რ ა ი ნ დ ი“ („ღვთიური სახელის...მაგრამ...ჯვრის უკან ბოროტი სულისა გეშინოდესო“); „რ ა ი ნ დ ო ბ ი ს ს ა რ კ ე“ („ამბავი საფრანგეთის თორმეტი დიდებულისა“...ამ წიგნის დაწვაზე თავი შეიკავეს); „პ ა ლ მ ე რ ი ნ ო ს ზ ე თ ი ს ხ ი ლ ი ს ქ ვ ე ყ ნ ე ლ ი“ („დასწვით და მტვერი ქარს მიეცით“-თქვა მღვდელმა), „პ ა ლ მ ე რ ი ნ ო ს ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი“ („ინგლისური პალმა შეინახეთ,-წარმოთქვა პერეს პერესმა-იგი ძვირფასი თხზულებაა“); „დ ო ნ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ი“, მღვდლის თქმით, შიგ მრავალი სისულელე და აბდაუბდაა...„მეგობარო, შინ წაიღეთ ის და ისეთ ალაგს შეინახეთ, ვერავინ მიაგნოს და არ წაიკითხოს“-უთხრა ნიკოლასს.

დალაქმა სთხოვა გამგეს, ყველა გაუსინჯავი წიგნი შეეგროვებინა და ეზოში გადაეყარა. ქალმა რვა ცალი აიღო, მიიტანა ფანჯარასთან და გადაყარა, ერთი დაუვარდა და დალაქის ფეხებთან დაეცა. ნიკოლასმა აიღო, გადაშალა და წაიკითხა სათაური: „ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი რ ა ი ნ დ ი ს ტ ი რ ა ნ ტ თ ე თ რ ი ს ისტორია“ (მღვდელმა აღნიშნა, რომ ეს ნაწარმოები მხიარულების სალაროა...მთელ ქვეყანაზე ბადალი არ მოეპოვება, მაგრამ მრავალ სისულელესა და მოჩმახულ აზდაუბდასაც შეიცავს); ხორხე დე მონტემაიორის „დ ი ა ნ აზე“, აღნიშნეს, რომ სარაინდო წიგნებივით ვნებას არ აყენებს ადამიანებს, ლექსები დროის გასატარებლად არის გამოსადეგო, რაც მაშინვე უარყო დონ კიხოტის ძმისწულმა, ასეთი წიგნების დაწვაც აუცილებელია, რადგან იდალგომ, განკურნების შემდეგ, ლექსების კითხვა რომ დაიწყოს, შესაძლებელია მწყემსობა მოიწადინოს, მთა-ტყეებში სახეტიალოდ წავიდეს, ან პოეტობა მოინდომოს და ლექსების წერა დაიწყოს: „ეს სენი კი თურმე უარესია: გადამდებიც არის და უკურნებელიც“ [1,69]. მღვდელი დაეთანხმა ქალს, მაგრამ გადაწყვიტა, ამოეგლიჯა წიგნიდან ის ადგილები, რომელიც ბრძენ ფელისიას ნეტარებასა და ჯადოსნურ წყაროს შეეხებოდა, წიგნი კი არ დაეწვათ. აი, მეორე „დიანა“, თქვა დალაქმა, ხილ პოლოს „დ ი ა ნ ა ს ა ლ ა მ ა ნ ტ ი ნ ე ლ ი ს ა“ რომელზეც პეროს პერესმა მიუგო, „დასჯილთა რიცხვს მიემატოსო“.

მღვდელმა და დალაქმა „სხვა წიგნების“ დათვალიერებაც დაიწყეს. აიღეს სარდინელი პოეტის ანტონიო დე ლოფრასოს თხზულება „ა თ ი წ ი გ ნ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ს ა უ ნ ჯ ი ს ა“, „მას აქეთ, რაც აპოლონი აპოლონობს, მუხები მუზობენ და პოეტები პოეტობენ, მაგაზე სალალობო, უაზრო და შმაგი წიგნი ჯერ არავის დაუწერია და იგი თავისგვარ წიგნთა შორის საუკეთესო და უძვირფასესი თხზულებაა, რომელიც ოდესმე უნახავთ ამქვეყნად,“ თქვა მღვდელმა და დასძინა, ამ წიგნში ფ ლ ო რ ე ნ ც ი უ ლ ი ა ბ რ ე შ უ მ ი ს ა ნ ა ფ ო რ ა რომ შემომადლიონ, არ დავთმობო. შემდეგ წიგნებზე: „ი ბ ე რ ი ე ლ ი მ წ ყ ე მ ს ი“, „ჰ ე ნ ა რ ე ს ი ს ნ ი მ ფ ე ბ ი“, და „ე ჭ ვ ი ა ნ ო ბ ი ს წ ა მ ა ლ ი“, თქვა, რომ სახლის გამგე ქალბატონისთვის უნდა გადაეცათ, კოცონში ჩასაგდებად. მოიწონა „მ წ ყ ე მ ს ი ფ ი ლ ი დ ი“, როგორც ძვირფასი განძი, მაგრამ სქელ ტომზე, რომელზედაც ეწერა: „ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ლ ე ქ ს თ ა ს ა ლ ა რ ო“, აღნიშნა: უკეთესი იქნებოდა, მცირე რაოდენობის ნაწარმოებისაგან რომ შედგებოდეს, „ამ წიგნიდან უნდა გამოიმარგლოს სარეველა ბალახი და გაიწმინდოს რამდენიმე ურიგო ლექსისგან“ [1,70], მაგრამ შევინახოთ, მისი ავტორი ჩემი მეგობარია, სხვა თხზულებები უფრო ჩინებული აქვს, რაც შეეხება ლოპეს მალდონადოს „ლ ე ქ ს თ ა კ ო ნ ა ს, „რჩეულებს ამოვუყენოთ გვერდში, ავტორს ვიცნობ, ჩემი მეგობარია, ცოტათი გაჭიანურებული ე კ ლ ო გ ე ბ ი* აქვს, მაგრამ ისე საამოდ კითხულობს მათ, რომ აღტაცებით უსმენენ“. ამ წიგნის გვერდით მიგელ დე სერვანტეს საავედრას „გ ა ლ ა თ ე ა“ იღო. მღვდელმა თქვა, რომ ეს ავტორიც მისი მეგობარია „სიდუხჭირესა და უბედურებაში უფრო გამოცდილია, ვიდრე ლექსების წერაში. მის წიგნებში ჩანს გამომგონებლობა, მაგრამ, რასაც იწყებს, ვეღარ ამთავრებს ხოლმე. დავუცადოთ „გალათეას“ დაპირებულ მეორე ნაწილს, იქნებ გამოსწორდეს, დაიძახუროს ლმობიერება და ის ნაკლი აიციდინოს თავიდან, რისთვისაც ამ პირველ ნაწილს ჰკიცხავენ“ [1,71], მანამდე კი, ეგ წიგნი თქვენსას შეინახეთო, ურჩია ნიკოლასს. შემდეგი,

ესპანურ ენაზე დაწერილი სამი წიგნი: დონ ალონსო დე ერსილიას „არა უკანა“, კორდოველი ხუან რუფოს „ასტრიდა“ და ვალენსიელი ქრისტობალდ დე ვირუესის „მონსერატი“, საუკეთესოებად ჩაეთვალა: „ღირსებით იტალიურ ჩინებულ პოემებსაც არ ჩამოუვარდებიან. შევინახოთ ისინი, ვითარცა ჩვენი ესპანური პოეზიის თვალნი პატიოსანნი“[1,71].

მღვდელი ძალიან დაიღალა და გადაწყვიტა ყველა დანარჩენი წიგნი დაუთვალიერებლად დაეწვიათ. ბოლოს დალაქმა „ანჟელიკას ცრემლები“ გადაშალა და თქვა: „მაგის დამწერი არა მარტო ესპანეთის, არამედ მთელი ქვეყნის ყველაზე გამოჩენილი პოეტია და მარტოდენ ეს ჩინებული წიგნი კი არ შესძინა ჩვენს მწერლობას, მან დიდი ოსტატობით თარგმნა ოვიდიუსის* რამდენიმე თქმულება“[1,71].



თავი VII

ამბავი ჩვენი გულკეთილი რაინდის დონ კიხოტ ლამანჩელის

მეორედ გამგზავრებისა

იდალგოს ბიბლიოთეკაში მოსაუბრე მღვდელსა და დალაქ ნიკოლასს, დონ კიხოტის ყვირილი შემოესმათ, ის ვიღაც უშიშარ რაინდებს უხმობდა, ახლა თქვენი ძლიერი ძალ-ღონის გამოჩენის დრო დადგა, რადგან კარისკაც რაინდებს სურთ ტურნირზე გამარჯვების დიდება მიითვისონო. ამ ხმაურის გამო მათ შეწყვიტეს წიგნების თვალიერება და იდალგოს საწოლ ოთახში შეცვივდნენ. „ზოგიერთები ფიქრობდნენ, ამ მიზეზებით განუსჯელად და განუკითხავად ცეცხლის მსხვერპლნი გახდნენ „კაროლეა“, „ლომი ესპანეთისა“ და დონ ლუის თხზულება „საქმენი იმპერატორისა“[1,72].

დონ კიხოტი ხმაღს იქნევდა. დააშოშმინეს და ისევ ჩააწვინეს ლოგინში. ცოტათი რომ დაშვიდდა, მღვდელს მიმართა: „სენიორ მთავარეპისკოპოსო ტურპინე“, ტურნირზე გამარჯვებას, რომელიც მოგზაურებს უფრო შეგვეფერება, თორმეტი რაინდი კარის რაინდებს უთმობს, ეს კი სირცხვილია. მღვდელმა დაამშვიდა: „...ის დროც ჩქარა მოვა, რომ გამარჯვებამ ხელახლად თქვენს ფარ-ხმაღს მოჰფინოს ნათელი“[1,72], ახლა გირჩევთ განკურნებაზე იფიქროთ. იდალგომ მიუგო, დაქანცული და დაბეგვილი ვარ და არცაა გასაკვირი: „მუხის კეტით მბეგვა იმ ნაბიჭვარმა როლდანმა“, მაგრამ რეინალდო მონტალბანელი არ ვიყო, ძვირად თუ არ დავუსვა...მანამდე კი საუზმე მომიტანეთ, რადგან მოღონიერება მჭირდებაო. საჭმლის

მირთმევის შემდეგ, ისევ დაიბინა, „მისი ასეთი უცნაური სიგიჟე ყველას უკვირდა“ [1,73]. იმავე ღამეს სახლის გამგემ ყველა წიგნს წაუკიდა, ყველანი დაუდევრად მოიქცნენ, რადგან „მათ შორის დაიწვა ისეთიც, რომელიც არქივებში სამუდამოდ დაცვის ღირსი იყო“.

მღვდელმა და დალაქმა ამოქოლეს ბიბლიოთეკის შესასვლელი, შეთანხმდნენ, როდესაც იდალგო მოიკითხავდა თავის წიგნებს, უნდა დაერწმუნებინათ, რომ ჯადოქარმა მოიტაცა. ორი დღის შემდეგ, სწეული იდალგო საწოლიდან რომ ადგა, უმაღვე წიგნებისკენ გაემართა, მაგრამ ოთახის კარები ვერ იპოვა, ძებნა დაიწყო, კედლებს თითებით ეხებოდა, ათვალეირებდა, ბოლოს სახლის გამგეს ჰკითხა, ჩემი ბიბლიოთეკა რომელ მხარესააო. ქალბატონმა მიუგო, კუდიანმა ეშმაკმა მოიტაცაო, მაგრამ დისწულმა შეუსწორა, შუადამისას, გველუშაპზე მჯდომარე ჯადოქარი მოფრინდა, წიგნების ოთახში შევიდა, მთელ სახლში კორიანტელი დააყენა, მერე ბანიდან გადაფრინდა, მივედით, ვეღარც ოთახი ვიპოვეთ და ვერც წიგნები, ჩამოგვძახა: ბრძენი მუნიატონი მქვია, წიგნებისა და ოთახის პატრონთან საიდუმლო მტრობა მაქვს და სამაგიეროს ვუხდით. დონ კიხოტმა შეუსწორა, ფრესტონს* იტყოდა და არა მუნიატონს, ამ ბრძენ ჯადოქარს, რომელიც ჩემი მტერია, ძალიან ვძულვარ, თავისი ჯადოსნობით ხვდება, რომ მისი მფარველობის ქვეშ მყოფ რაინდს ოდესმე შევებრძოლები და გავიმარჯვებ, ამიტომ ცდილობს ზიანი მომყენოს, მაგრამ ტყუილად ირჯებაო. სახლის გამგე და დისწული არწმუნებდნენ დონ კიხოტს, დაენებებინა თავი გარე-გარე ხატიალისთვის, მაგრამ რაინდი ბრაზდებოდა, ამიტომ შეეშვნენ.

იდალგომ ორი კვირა მშვიდად გაატარა შინ, ყოველ ღამე მეგობრებთან, დალაქთან და მღვდელთან, საუბრობდა, მათ არწმუნებდა, ქვეყნიერებას მოგზაური რაინდები სჭირდება და ეს წოდება მე უნდა აღვადგინო. ამასობაში, მალულად ურიგდებოდა თავის მეზობელ გლეხს, სანჩო პანსას,* საჭურველმტვირთველად წაყოლოდა, დაითანხმა კიდევაც, დაჰპირდა, ერთ დიდ კუნძულს დავიპყრობ და მმართველად დაგნიშნავო. გულუბრყვილო გლეხმა დაიჯერა, გადაწყვიტა ფარულად დაეტოვებინა ოჯახი და იდალგოს სამოგზაუროდ გაყოლოდა, მისი საჭურველმტვირთველი გამხდარიყო.

დონ კიხოტმა დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ ეშოვა ფული, ესეც მოიფიქრა, ზოგი რაღაც გაყიდა, ზოგი დააგირავა და საკმაო თანხა შეუგროვდა. თავისი მეგობრისაგან იქირავა ფარი, დამსხვრეული ჩაჩქანი შეაკეთა, მერე კი საჭურველმტვირთველს დრო დაუნიშნა, უბრძანა მომზადებულიყო, თან წამოეღო სამგზავრო ჩანთაც. სანჩო პანსამ სთხოვა, თუ შეიძლება ვირსაც წავიყვან, იმიტომ, რომ ფეხით დიდი მანძილის გავლა არ შემიძლიაო. დონ კიხოტი სახტად დარჩა, ცდილობდა გაეხსენებინა, სარაინდო წიგნებში სადმე თუ წაეკითხა ვირით მოსიარულე საჭურველმტვირთველებზე, მაგრამ ამგვარი არაფერი ახსენდებოდა და ნება დართო სანჩო პანსას, იმ იმედით, რომ რომელიმე რაინდს დაამარცხებდა, ცხენს წაართმევდა და უფრო საპატიო ცხოველზე გადასვამდა თავის საჭურველმტვირთველს.

სანჩო პანსა იჯდა ვირზე, თავისი ბატონთან ერთად მიაბიჯებდა მონტიელის ველზე, გვერდზე, სურის ნაცვლად, ტიკჭორა გადაეკიდებინა და „ფიქრებით აღთქმული კუნძულის გუბერნატორობას გაეტაცნა“[1,76].

რამდენიმე ხნის შემდეგ, სანჩომ შეახსენა დონ კიხოტს დანაპირები, თან დასძინა, რაც არ უნდა დიდი იყოს კუნძული, გაძლოა მაინც არ გამიჭირდებაო. დონ კიხოტმა აუხსნა, რაინდები, სამეფოებისა და კუნძულების დაპყრობის შემდეგ, საჭურველმტვირთველებს ასაჩუქრებდნენ, გუბერნატორობას ანიჭებდნენ, მეც არ მინდა მათ ჩვეულებას ვუღალატო, ვფიქრობ, აღვადგინო და გადავაჭარბო კიდევაც, რადგან „უწინდელი რაინდები მხოლოდ მაშინ აჯილდოებდნენ თავიანთ საჭურველმტვირთველებს, როცა მათ სიბერისაგან და რაინდების სამსახურში მრავალი დუხჭირი დღეებისა და უფრო მეტად გაჭირვებული ღამეების გატარებით ქანცი უწყებოდათ და სამსახურის თავი აღარ ჰქონდათ“[1,77], ძლივს აღირსებდნენ გრაფის ან მარკიზის ხარისხს და რომელიმე უმნიშვნელო პროვინციას უბოძებდნენ, მე კი ისეთი სამეფო უნდა დავიპყრო, რომ რამდენიმე პატარა სამეფო ექვემდებარებოდეს, ერთ-ერთის, საუკეთესოს გვირგვინს მოგანიჭებ, მეფედ გაგხდი.

სანჩო დაინტერესდა, მეფედ გახდომის შემთხვევაში, თავისი ცოლი დედოფალი, შვილები კი უფლისწულები თუ გახდებოდნენ. დონ კიხოტმა თანხმობა განუცხადა, მაგრამ სანჩომ ეჭვი გამოთქვა: „სულ რომ სამეფო გვირგვინები აწვიმოს ღმერთმა, მგონია, ჩემს დედაკაცს ერთიც ვერ გამოადგეს და არ მოერგოს...იმისთანა დედოფალში გახვრეტილ გროშსაც არავინ მომცემს, გრაფის ცოლობა კიდევ ჰო“...[1,77]. დონ კიხოტმა ურჩია, ღმერთს მიენდე, მან უკეთ იცის, ვისთვის რა უფრო საჭიროაო. სანჩომ აღნიშნა, ისეთი კარგი და ძლიერი პატრონი როცა მყავს, როგორც დონ კიხოტია, საჩუქრად იმას მივიღებ, რისი გაძლოლის უნარიც მექნებაო.



თავი VIII

სახელოვანი დონ კიხოტის შესანიშნავი გამარჯვება და აქამდე არნახული საშინელი ფათერაკები ქარის წისქვილებთან და, აგრეთვე, სხვა ღირსსახსოვარი და სასიამოვნო ამბები

დონ კიხოტმა მინდორზე მდგარი ოცდაათი თუორმოციოდე ქარის წისქვილი შენიშნა, სანჩოც გაახედა იქითკენ და უთხრა, ეს დევების ბრბოა და შევერკინები, მუსრს გავავლებ, ნადავლით გავმდიდრდებითო, ამით ღვთისთვის სასურველ საქმეს ჩავიდენ, რადგან მათ წინააღმდეგ ბრძოლა სამართლიანიო. სანჩომ გაიკვირვა, რომელ დევებზე მელაპარაკებო. იდალგომ „უზარმაზარმკლავებიანებზე“ მიუთითა. საჭურველმტვირთველმა განუმარტა, რომ ეს წისქვილებია, მკლავებად რომ მოგეჩვენათ, ის ფრთებიო. „ბატონმა“ არ დაუჯერა, თავისას ამბობდა, დევებია, და თუ გეშინია, განზე დადექი, ილოცე, მე კი ბრძოლას გავუმართავო. როსინანტს ჰკრა დეზი და გაემართა, სანჩო არწმუნებდა, უყვიროდა, ცდებო, მაგრამ ამაოდ, რაც უფრო უახლოვდებოდა „მტრებს“, მით უფრო ეჩვენებოდა დევების ბრბოდ, წინ ომახიანი ყიჟინით გარბოდა, როდესაც მიუახლოვდა, შესძახა, შეჩვენებულო და სულმდაბალო არსებებო, სად გარბიხართ, თქვენს შესამუსრად მარტოდმარტო მოვდივარო. ამ დროს ნიავმა დაუბერა და წისქვილის ფრთებმა ტრიალი დაიწყეს. დონ კიხოტმა შესძახა, ვერ შემაშინებთ, თუნდაც გიგანტ ბრიარეს* მსგავსად ბევრი მკლავიც რომ გქონდეთო, მერე გუნებაში დულსინეს სთხოვა გაემხნევებინა რაინდი, ფარი და შუბი მოიმარჯვა, გაქუსლა ცხენი და მახლობელი წისქვილის ფრთას, რომელიც ქარმა ძლიერად დაატრიალა, შუბი ამგერა, რაინდს „საბრძოლო იარაღი“ დაეღეწა, თვითონ კი როსინანტთან ერთად გადაყირავდა და მოშორებით დაეცა. სანჩო ვირით გაექანა ბატონის მისაშველებლად, მაგრამ რომ მიახლოვდა, დაინახა, რომ ის ხელ-ფეხს ვერ ანძრევდა. შეწუხდა, აკი მოგახსენებდით, ბატონო, რაც იყო, „ღმერთმანი, კაცს გოგრაში სწორედ ასეთი წისქვილები უნდა უტრიალებდეს, ისინი დევებად რომ მოეჩვენოს“ [1,79]. დონ კიხოტმა უსაყვედურა მსახურს, ნუ სცოდავ, თვალთმაქცური ფერისცვალება მოხდა, ეს ბრძენი ფრისტონის ახალი ოინბაზობაა, დევები ქარის წისქვილებად გადააქცია, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ჩემი მახვილი მის ჯადოქრობას დაამხობსო. ყველაფერი უფლის ნებაო, უპასუხა სანჩომ, ბატონი წამოაყენა, შესვა როსინანტზე, რომელსაც წინა ფეხები ნალრძობივით ჰქონდა. რაინდი და საჭურველმტვირთველი დააგნენ გზას, კუერტოლაპისის* ხეობისკენ. დონ კიხოტის თქმით, იქ ბევრი ადამიანი დაიარებოდა და შეუძლებელი იყო ფათერაკებს არ გადაყროდნენ. იდალგო ძალიან წუხდა, რომ შუბი დაემტვრა და თავისი გულისტკივილი სანჩოსაც გაუზიარა, თან უამბო ესპანელი რაინდის, დონ დიეგო პერეს დე ვარგასის, ამბავი. თურმე, მას, ბრძოლაში მახვილი გაუტყდა,

მოუტეხია მუხის ვეება ტოტი და იმით იმდენი მავრი მოუკლავს, ხალხს მავრთამჟლეტი შეურქმევია, მის შთამომავლობას კი სახელი კ ე ტ ი - ვ ა რ გ ა ს ი თავისი გვარისთვის მიუმატებია. მეც მუხა რომ შემხვდება, მოვტეხავ მის ტოტს და საგმირო საქმეებს ჩავიდენ, შენ კი თავს ბედნიერად ჩათვლი, რომ დიად საქმეთა მონაწილე და მოწმე იქნები. ღმერთმა ინებოსო, უპასუხა სანჩომ. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ბატონი, ტკივილების გამო, ცხენზე სწორად ვერ ჯდებოდა. საჭურველმტვირთველს მოშივდა და მისგან ნებართვა აიღო, მარტო ექამა, იმიტომ, რომ იდაღოს მადა არ ჰქონდა. სანჩო, ვირზე ლაზათიანად მოკალათებული, მადიანად ილუკმებოდა, თან ღვინოს წრუპავდა, ასე, „ქეიფით მიმავალს,“ სულ გადაავიწყდა დონ კიხოტის დაპირებები, მას უკვე მოსწონდა ამგვარი მოგზაურობა.

შელამებულზე, რაინდი და საჭურველმტვირთველი, ტ ყ ე შ ი, ხის ძირას ჩამოხტნენ. დონ კიხოტმა მოტეხა გამხმარი ხის ტოტი, შუბს ბუნიკი გაუკეთა და, რაინდთა წესისამებრ, მთელი ღამე დულსინეზე ფიქრში გაატარა, სანჩოს ისე ღრმად ეძინა, რომ დილით, სანამ დონ კიხოტმა ხუთი-ექვსჯერ არ დაუძახა, ვერ გაიღვიძა. თვალები რომ გაახილა, პირველად ტიკჭორას შეხედა, დაღონდა, დაცარიელებული რომ იყო. დონ კიხოტმა საუზმეზედაც უარი განაცხადა, **„ამჯობინა, ისევ ტკბილი ოცნებებით გამოეკვებნა თავი“**[1,81]. გააგრძელეს მოგზაურობა. ნაშუადღევს სამი საათი იქნებოდა, პ უ ე რ ტ ო ლ ა პ ი ს ი ს ხ ე ო ბ ი ს შ ე ს ა ს ვ ლ ე ლ ს მიადგნენ, სადაც, დონ კიხოტის თქმით, შეიძლებოდა ფათერაკებს გადაყროდნენ. მან გააფრთხილა სანჩო პანსა, მდაბიობთან თუ მომიხდა შებრძოლება, შეგიძლია დამეხმარო, მაგრამ რაინდებთან არა, სანამ თვითონაც რაინდად არ დაილოცებო. სანჩო დაეთანხმა, მაგრამ სთხოვა, იქნებ ჩემი თავის დაცვა დამჭირდეს და ნება მიბოძეთ რაინდული წესები დავივიწყო. გზაზე ორი ბ ე ნ ე დ ი ქ ტ ე ლ ი ბერი* გამოჩნდა, ჯორებზე ისხდნენ, სახეზე ნ ი ლ ბ ე ბ ი აეფარებინათ, ხელში კი ქოლგები ეჭირათ, მათ შორიახლო ეტლი მოჰყვებოდა, ოთხი თუ ხუთი გამცილებელი ცხენოსნითა და ორი ქვეითი კაცით. ამ ეტლით, თურმე, ერთი ბისკაელი ქალი ს ე ვ ი ლ ი ა შ ი მიდიოდა, თავის ქმართან, რომელიც მაღალ თანამდებობაზე დაენიშნათ და ა მ ე რ ი კ ა შ ი უნდა წასულიყო. ბერები იმ ეტლის ამაღას არ ეკუთვნოდნენ. დონ კიხოტმა სანჩოს უთხრა, **„შავად რომ ადამიანის მსგავსები“** მოდიან, შესაძლოა, ჯადოქრები არიან, ეტლით კი მოტაცებული სეფექალი მოჰყავთ, ამიტომ გზა უნდა შევუკრა და ბოროტი საქმე ჩავუფუშო. სანჩომ აუხსნა, შავად მოსილები, ბენედიქტელი ბერები არიან, ეტლით კი ვინმე მგზავრი იქნება, ეშმაკმა კიდევ არ გაცდუნოთო. დონ კიხოტმა სანჩოს მიუგო, ფათერაკებისა არაფერი გაგეგება, მე კი ჭეშმარიტებას ახლავე გიჩვენებო. ის გაემართა მგზავრებისკენ, როცა ბერები მოუახლოვდნენ, დაუყვირა: **„მზაკვარ ეშმაკეულთა გავარდნილნო და სატანის შთამომავალნო! მაგ ეტლით რომ დატყვევებული კეთილშობილი სეფექალები მიგყავთ, ამ წამს გაათავისუფლეთ, თორემ ახლავ ამ ჩემი ხელით სიკვდილს შეეყრებით“**...[1,83]. ბერები გაოცდნენ, მათ უპასუხეს, რომ ეშმაკეულნი კი არა ბენედიქტელი ბერები ვართ და არ ვიცით, ეტლით ვინ მიჰყავთო. დონ კიხოტი თავისას განაგრძობდა, მატყუარები უწოდა, მერე როსინანტი გაშმაგებით მიაგდო ერთ-ერთს, ბერმა ხერხს მიმართა, ჯორიდან ჩამოვარდა და აიცდინა ხიფათი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დონ კიხოტი ან შუბით დაჭრიდა, ან მოკლავდა. ეს მეორე ბერმა რომ ნახა,

მინდვრისკენ მოკურცხლა. სანჩომ ძირსჩამოვარდნილს ძარცვა დაუწყო, მოცვივდნენ მსახურები და ჰკითხეს, ჩვენს ბატონს ასე რატომ ექცევით, მან უპასუხა, ნადავლი კანონისამებრ მეკუთვნის, რადგან ჩემმა ბატონმა, დონ კიხოტმა, იგი ბრძოლით დაიმსახურაო. რაინდმა როსინანტი თოხარიკით წაიყვანა ეტლისკენ და მოგზაურ ქალს მუსაიფი გაუბა. ამ დროს სანჩო ისე სცემეს, რომ სიკვდილის პირას მიიყვანეს, შეშინებულმა ბერმა დრო იხელთა და გაიქცა. ახლა, ორივე ბერი, პირჯვრისწერითა და შიშით, გაუდგა გზას. დონ კიხოტმა ბისკაელ ქალს განუმარტა, რომ თავისუფალია, მისი დამატყვევებელნი შემუსრა და საჭიროა იცოდეს, ვინ გაათავისუფლა, ის მოგზაური დონ კიხოტ ლამანჩელია, მშვენიერი დულსინე ტობოსელის ტყვე(თაყვანისმცემელი), რომელიც, ამ ღვაწლის სანაცვლოდ, ერთ რაიმეს ითხოვს მისგან, წაბრძანდეს ტობოსოში და მისი გამირობის ამბავი უამბოს რაინდის სატრფოს. მგზავრის ერთ-ერთმა მხლებელმა მოისმინა ეს სიტყვები, დაინახა, რომ დონ კიხოტი ეტლს აბრკოლებდა, რადგან ქალისგან ტობოსოში მისვლის პირობას მოითხოვდა. რაინდის შუბს სტაცა ხელი, ცუდი ესპანურითა და უფრო ცუდი ბისკაური ენით უთხრა: აქიდან დაიკარგე რაინდო, ჯანდაბამდის გზა გქონიაო და დაემუქრა. დონ კიხოტმა თავდაჭერილად მიუგო: „საცოდავო ქმნილებაგ, შენ რომ რაინდი იყო და არა ყურმოჭრილი მონა, ნახავდი, რა სასჯელსაც მოგაყენებდი მაგ თავხედობისა და კადნიერებისათვის“ [1,85]. კაცი გაბრაზდა: „მე არა ვარ რაინდი?“, „ჯანდაბას იდალგოები“. ის დაემუქრა დონ კიხოტს. რაინდმა შუბი გადააგდო, ხმალი იმიშვლა, ფარი მოიმარჯვა და ბისკაელს თავს დაესხა. კაცი ჩამოხტა ნაქირავები ჯორიდან, რადგან სანდოდ არ მიაჩნდა, ხელი ჩაავლო ხმალს, ეტლიდან ბალიში გამოაძრო და ფარად გამოიყენა. „მტრები“ პირისპირ აღმოჩნდნენ, იქ მყოფნი მათ გაშველებას ცდილობდნენ, მაგრამ ბისკაელი გაჭირვეულდა, მოკვლით ემუქრებოდა ყველას, ვინც ხელს შეუშლიდა. ქალმა განზე გადააყენებინა ეტლი და იქიდან უცქერდა, ბისკაელმა ხმალი დაჰკრა მხარში დონ კიხოტს და რაინდს ფარი რომ არ ჰქონოდა, მოკლავდა. დარტყმისგან გაბრუებულმა დონ კიხოტმა დულსინე ტობოსელს მიმართა, მისი შემწე ყოფილიყო ბრძოლაში და დაეფასებინა თავისი რაინდის სიქველე, შემდეგ კი ორთაბრძოლისთვის მოემზადა, ბისკაელი მიხვდა ყოველივეს და თამამად ელოდა თავდასხმას, მისი დაუძლურებული ჯორი ადგილიდან ვერ იძროდა, გარშემომყოფნი შეშინებულნი შესცქეროდნენ დაპირისპირებულებს და უცდიდნენ, როდის დამშვიდდებოდნენ ისინი.



თავი IX

სადაც მოთხრობილია მამაც ბისკაელსა და სახელოვან ლამანჩელს შორის გასაოცარი ბრძოლის ბოლო და დასასრული

ამ თავის დასაწყისში, „დონ კიხოტის“ ავტორი, მიგელ დე სერვანტეს საავედრა, აღნიშნავს, რომ თითქოს ბისკაელისა და დონ კიხოტის ორთაბრძოლის ამბავი წყდება და „ავტორმაც აღარ გვამცნო, თუ სად უნდა მოგვეძებნა მისი დასასრული“ [1,87],

ამიტომ მას, დაღონებულ მკითხველს, ხანმოკლე კითხვის სიამოვნება ჩაუშხამდა, იცოდა, რომ ამ ამბის ვრცელი ნაწილის საპოვნელად დაბრკოლებები უნდა გადაელახა (შესაძლოა, სერვანტესი სარაინდო რომანებისთვის დამახასიათებელ წესებს იცავს, „უცხო“ სიუჟეტის ამზად ქცევისა, აქაც, თითქოს, დონ კიხოტის ისტორიის დასაწყისი ვიღაც ავტორს ეკუთვნის, ამბის დასარულს, ქვემოთ დავინახავთ, რომ სერვანტესი პოულობს, ათარგმნინებს, თვითონ კი, შემდეგ, ვრცლად განავითარებს, დიდტანიან ნაწარმოებად აქცევს თავისი მკითხველებისთვის, შემოკლებულ, ნაპოვნ ვარიანტებს) სერვანტესი გვიამბობს, თუ როგორ ბჭობდა, ფიქრობდა და ცდილობდა მოეძებნა სახელოვანი რაინდის, დონ კიხოტის, ამბების დასასრული და იპოვა კიდეც.

სერვანტესის თქმით, ერთხელ, ტოლედოში, ალკანის ქუჩაზე სეირნობისას, მან დაინახა, რომ ვიღაც ბიჭი აბრეშუმის გამყიდველს ძველ რვეულსა და ქაღალდებს სთავაზობდა. გამოართვა ერთ-ერთი ხელნაწერი, მაგრამ არაბულად იყო დაწერილი, მიგელს მისი წაკითხვა არ შეეძლო, ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, იქნებ ვინმე მორისკი* ვნახო და ვათარგმნინო. მალე მავრი შენიშნა და სთხოვა გაეგებინებინა მისთვის შიგრა ეწერა, მავრმა რვეული გადაშალა, რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა და ხმამაღლა გაიცინა, მერე მიგელს აუხსნა, თუ რატომ მოიქცა ასე: რვეულის არშიაზე წერია, დულსინე ტობოსელმა, მთელ ლამანჩაში, ყველაზე უკეთ იცოდაო შაშხის გაკეთება. მიგელს გაუკვირდა დულსინეს სახელის ხსენება, გაიფიქრა, აქ დონ კიხოტზე ეწერებაო რაიმე და მას სათაურის გადათარგმნაც სთხოვა, მავრმა, არაბულიდან, ესპანურ ენაზე ასე გადმოუთარგმნა: „დონ კიხოტლამანჩელი ისტორია, აღწერილი არაბი ისტორიკოსის სიდჰამედ ბენენჰელის მიერ,“ აღტაცებული მიგელი გაიქცა აბრეშუმის ვაჭართან, ბიჭისგან ნახევარ რეალად იყიდა ყველა რვეული, წავიდა შინისკენ, მორისკიც წაიყვანა და სთხოვა გადაეთარგმნა ესპანურად. მთარგმნელმა, საფასურად, ორი არობა* ქიშმიში და ორი ფანეგა* ხორბალი მოითხოვა, მან თვენახევარში დაასრულა სამუშაო. რვეულის პირველი ნაწილი, მიგელის თქმით, მთავრდებოდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ ადგილას, სადაც ორი საბრძოლველად ხმალშენართული მოწინააღმდეგე პირისპირ იდგა.

ნათარგმნი რვეულის მეორე ნაწილი მოგვითხრობს, რომ ბისკაელმა პირველმა შემოუქნია მახვილი რაინდს, მაგრამ ხმალი გვერდზე გაექცა და იდალგოს მარცხენა მხარში მოხვდა, ქაშქანი მიულეწა და ყურზე ჭრილობა მიაყენა. დონ კიხოტმა, საპასუხოდ, ისე ძლიერ დაარტყა ხმალი, რომ მოწინააღმდეგეს ცხვირპირიდან და ყურებიდან სისხლი წასკდა. ბისკაელის ჯორი შეშინდა, განზე გახტა და მხედარი ჩამოაგდო. რაინდი გაშხლართულ ადამიანს თავზე დაადგა, ხმლის წვერი თვალებთან მიუტანა და უბრძანა დამორჩილებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილით დაემუქრა. შორიახლოს მაცქერალმა ქალებმა რაინდს სთხოვეს მოწინააღმდეგისთვის შეენარჩუნებინა სიცოცხლე. დონ კიხოტმა „მშვენიერ სეფექალებს“ მედიდურად უპასუხა, რომ მათ თხოვნას ერთი პირობით შეასრულებდა, დამარცხებული ბისკაელი სოფელ ტობოსოში უნდა წასულიყო და უებრო დულსინეს წინაშე წარმდგარიყო. ქალები ვერაფერს ვერ მიხვდნენ, მაგრამ მაინც დაპირდნენ, რომ ყველა მისი მოთხოვნა

შესრულდებოდა. დონ კიხოტმა გადაწყვიტა: „...დაეიცოცხლოს...თქვენი მადლობელი იყოს, თორემ თავისი გოროზობისთვის ამ წყალობის ღირსი არ იყო“...[1,92].



თავი X

დონ კიხოტისა და მისი საჭურველმტვირთველის სანჩო პანსას მახვილგონივრული საუბარი

ბერების მსახურთაგან დაბეგვილი სანჩო ფეხზე წამოდგა და ყურადღებით ადევნებდა თვალს დონ კიხოტის ორთაბრძოლას, ღმერთს ევედრებოდა გაემარჯვა თავის ბატონს და თვითონაც დაპირებული კუნძული მიეღო. იდალგომ გაიმარჯვა. სანჩომ მიირბინა და სანამ რაინდი როსინანტზე ამხედრდებოდა, დაუჩოქა, ხელზე ეამბორა და უთხრა, ცხარე ბრძოლაში რომ კუნძული დაიპყართ, მაჩუქეთ, სხვა კუნძულების გუბერნატორებზე ნაკლებად არ გავუძღვებით. იდალგომ აუხსნა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი წაკინკლავება და არა ისეთი, რომ კუნძული დაეპყრო. მან დააიმედა საჭურველმტვირთველი, ცოტაც მოეთმინა და სხვა ბევრი ისეთი შემთხვევაც შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ სანჩო პანსასთვის შეიძლება უკეთესი რამეც ეძღვნა. მსახურს გაუხარდა, კალთაზე ეამბორა, როსინანტზე შეჯდომაში დაეხმარა, თვითონაც აფოფხდა ვირზე და ბატონს უკან მიჰყვა. როსინანტი, მხედართან ერთად, ისე მიქროდა ტყისკენ, რომ სანჩო ვერ დაეწია და იდალგოს დაუძახა, დამიცადეო. დონ კიხოტი შეჩერდა. სანჩო რომ წამოეწია, უთხრა, ურიგო არ იქნებოდა სადმე ეკლესიისთვის შეგვეფარებინა თავი, ვაითუ, ს ა ნ ტ ა ჰ ე რ მ ა ნ დ ა დ ი ს *ყურამდე მივიდეს ეს ამბავი და წმიდა სამსჯავრომ შეგვიპყროს. დონ კიხოტმა გააჩუმა, განა სადმე წაგიკითხავს ან გაგიგონია, რომ მოგზაური რაინდი სამსჯავროში ეხმობ? სანჩო შიშობდა, სანტა ჰერმანდადი შარაგზაზე მოჩხუბრებს ჰკუას ასწავლის ხოლმე და მე ეგ მაწუხებსო. ბატონმა დაამშვიდა, თუ საჭირო იქნება, არათუ მისი, არამედ ქ ა ლ დ ე ვ ე ლ თ ა * ხელიდანაც გამოგლეჯ, ახლა კი გულახდილად მითხარი, სადმე თუ გაგიგონია ან წაგიკითხავს რომანებში, ჩემისთანა უშიშარი რაინდის შესახებ რაიმეო, სანჩომ მიუგო, რომ არ წაუკითხავს, რადგან მან კ ი თ ხ ვ ა არ ი ც ი ს, მაგრამ დაიფიცა, რომ ასეთ მამაც რაინდთან არასდროს უმსახურია, მერე ყურადღებით მოეკიდა ბატონის ჭრილობას, გააფრთხილა, ყურიდან სისხლი გდით და მალამოს მოგართმევთო. დონ კიხოტმა უპასუხა, ერთი შუშა ფ ი ე რ ა ბ რ ა ს ი ს* უებარი მალამო რომ მომემზადებინა და წამომეღო, მაშინვე განმკურნავდაო, თან ისეთი ბალზამია, რომ მისთვის ჭრილობა და სიკვდილი არ არსებობს... თვითონ დავამზადებ და მოგაბარებ, თუკი ბრძოლაში შუაზე გაჩეხილს მნახავ, სანამ სისხლი გაცივდებოდეს, სხეულის ერთი ნაწილი მეორეს ზუსტად მიადგი, ორი ყლუპი ბალზამი დამალევიწე და გავცოცხლდები. სანჩომ უპასუხა, ეს თუ ასეა, დაპირებული კუნძულის გუბერნატორობა არ მინდა, ერთგული სამსახურის ჯილდოდ ბალზამის გაკეთება მასწავლე, ორ-სამ რეალად მაინც გაიყიდება და მიღებული საფასურით გაუჭირვებლად ვიცხოვრებო. დონ კიხოტმა უპასუხა, სამ რეალად სამ ა ს უ მ ბ რ ა ზ ე მეტს გააკეთებო. სანჩომ მოისურვა მაშინვე გაეკეთებინათ რამდენიმე ასუმბრა ბალზამი. დონ კიხოტმა დააშოშმინა, „შენთვის უკეთეს ჯილდოს ვფიქრობ“, ახლა კი ყური შემიხვიეო. სანჩომ ჩანთიდან ამოიღო ნაძენძი და მალამო, დონ კიხოტმა კი ჩაჩქანი მოიხსნა და დამტვრეული რომ იხილა, დ ა ი ფ ი ც ა დამზადებული ღ მ ე რ თ ი და ო თ ხ ი წ მ ი ნ დ ა ს ა ხ ა რ ე ბ ა, რომ სამაგიეროს გადაუხდიდა შეურაცხმყოფელს. სანჩომ შეახსენა, თუკი დამარცხებული რაინდი თქვენს ბრძანებას შეასრულებს და დულსინე ტობოსელთან მივა თაყვანსაცემად, მაშინ ვალი მოხდილი ექნება და ვერ დასჯითო. დონ კიხოტი დაეთანხმა საჭურველმტვირთველს, მერე კი მტკიცე გადაწვეტილება ამცნო მსახურს, წინაპარ რაინდებს უნდა მივბამო, ისე ს ა კ რ ი პ ა ნ ტ ი ვ ი თ მოვიქცევი, ყოველგვარ შევიწროებას ავიტან, ოღონდ მ ა მ ბ რ ა ნ ი ს

ჩაჩქანი* მოვიპოვო. სანჩოს არ მოეწონა ბატონის სიტყვები, მერე კი შეახსენა, რომ ამ გზებზე მხოლოდ გლეხკაცები, მეურმეები და მეჯორეები დადიან, ისინი ჩაჩქანს არ ატარებენ, სახელიც კი არ გაუგონიათ მისი. რაინდი არ დაეთანხმა, ორ საათში, ნახავ, ბევრი შეიარაღებული მხედარი შეგვხვდებაო. „ღმერთმა ინებოს“, - თქვა სანჩომ- „კუნძული ჩქარა მიმეღოს“... ბატონმა ისევ დაამშვიდა, კუნძულის დაპყრობას თუ ვერ შევძლებთ, დ ა ნ ი ი ს ა ნ ს ო ბ რ ა დ ი ს ი ს* სამეფოები ხო აქაა. შემდეგ სთხოვა, ჩაეხედა ჩანთაში, იქნებ რაიმე საჭმელი ეპოვა, თან, ღამით, ციხე-დარბაზში უნდა მისულიყვნენ სადმე, რადგან ბალზამი გარეთ არ გაკეთდებოდა, მას კი ყური ძალიან სტკიოდა. სანჩომ ჩანთაში აღმოაჩინა ერთი ხახვი, პატარა ნაჭერი ყველი და ორიოდ ნატეხი პური. მათ მიირთვეს თავიანთი ღარიბული საჭმელი და ჩქარობდნენ ღამის გასათევი ადგილი მოეძებნათ, მაგრამ დაულამდათ და თხის მწყემსთა კარვის ახლოს აღმოჩნდნენ, გადაწყვიტეს მათთან გაეთიათ ღამე.

თავი XI

იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა დონ კიხოტს თხის მწყემსებთან

კარავში მცხოვრებმა თხის მწყემსებმა სტუმრები თავაზიანად მიიღეს. მასპინძლები ხორცს ხარშავდნენ და სანჩო პანსა და დონ კიხოტიც მიიპატიჟეს. საჭურველმტვირთველს სურდა ბატონს მომსახურებოდა და მის უკან დადგა, მაგრამ რაინდმა თავისი მსახური გვერდით მოისვა. იდალგომ რაინდების სიკეთესა და საჭურველმტვირთველებთან მათ დამოკიდებულებაზე ისაუბრა. ყველანი ჩუმად შეექცეოდნენ ლუკმას. დონ კიხოტმა სუფრიდან აიღო ტკბილი რკო, კარგა ხანს უცქერდა, მერე საუბარი წამოიწყო ო ქ რ ო ს ს ა უ კ უ ნ ე ზ ე.* მისი თქმით, ის დრო ბედნიერი იყო. იმ პერიოდს წინაპრებმა ეს სახელი იმიტომ კი არ უწოდეს, რომ ოქროს მოპოვება იყო ადვილი, „ყველგან მეგობრობა მშვიდობა და სიყვარული მეფობდა“[1,101], მაგრამ „რაკი გარყვნილებამ თანდათან ხალხში ფეხი გაიდგა, წინააღმდეგინც გამოუჩნდნენ მას,-ღვაწლმოსილ მოგზაურ რაინდთა ორდენი დაარსდა“[1,102], იდალგოს თქმით, თვითონ მ ო გ ზ ა უ რ რ ა ი ნ დ თ ა დ ა ს ი ს წევრია, ეს მოვალეობა, ყველამ არ იცის რას ნიშნავს, არც მის დღევანდელ მასპინძლებსაც ეცოდინებათ. მართლაც, მწყემსებმა მისი ნათქვამიდან ვერაფერი გაიგეს.

ვახშმობა დამთავრდა. დონ კიხოტი კიდევ ლაპარაკობდა. ერთმა მწყემსმა უთხრა, ჩვენი მასპინძლობის გულწრფელობაში რომ უფრო დაგარწმუნოთ, გაგამხიარულებთ, ერთი ამხანაგი მალე შემოგვიერთდება, ჭკვიანი მწყემსია, წერა-კითხვა იცის, გამიჯნურებულია და რ ა ბ ე ლ ზ ე* კარგად უკრავსო. მალე მუსიკის ხმა შემოესმათ, გამოჩნდა ოცდაორი წლის ჭაბუკი, სანდომიანი სახისა. მას სთხოვა მწყემსმა: ა ნ ტ ო ნ ი ო, რაიმე გვიმღერე, ბატონმა

გაიგოს, რომ მთებში მომღერლები და დამკვრელებიც არიანო. ყმაწვილი ჩამოჯდა მუხის ჯირკზე და რაბელზე რომანსი დაამღერა. სიმღერა რომ გათავდა, რაინდმა სთხოვა კვლავ ემღერა რაიმე. სანჩო დაღლილი იყო და თავის ბატონს უთხრა, ამ ხალხს მოსვენება სჭირდება, მთელი ღამე ხომ არ იმღერებენო. დაითანხმა ბატონი, რომელმაც მხოლოდ ყურის შეხვევა სთხოვა მსახურს, სანჩომ თხოვნა შეუსრულა. ერთმა მწყემსმა დაამშვიდა, საშიში ჭრილობა არა არის, ისეთ წამალს მოგცემ, ახლავე განგკურნავსო. ირგვლივ ბევრი რ ო ზ მ ა რ ი ნ ი* ყვაოდა, მწყემსმა რამდენიმე ფოთოლი დაჭექქყა, აურია მარილი, ჭრილობაზე დაადო და გულდასმით შეუხვია. წამალი მართლაც უებარი გამოდგა.



თავი XII

რა უამბო ერთმა თხის მწყემსმა დონ კიხოტთან მეოფ თავის ამხანაგებს

სოფელში ჯერის მოსატანად წასული ყმაწვილი დაბრუნდა და მწყემსი სტუდენტის, მდიდარი გ ი ლ ი ე რ მ ო ს ქ ა ლ მ ა რ ს ე ლ ა ზ ე (რომელიც მამას გამოქცევია და მწყემსი გამხდარა) უიმედოდ შეყვარებული, ქ რ ი ზ ო ს ტ ო მ ი ს, სიკვდილის ამბავი მოიტანა. თურმე, გარდაცვლილის ანდერძის თანახმად, ის უნდა დაეკრძალათ ტრიალ მინდორში, კლდის ძირში, წყაროსთან, სადაც მუხა დგას. ხალხის თქმით, გამიჯნურებულმა, ქალი პირველად აქ ნახა. ხუცეები ამბობდნენ, რომ ბევრი რამ, მის ანდერძში, არაქრისტიანულია, უფრო წარმართულს ჰგავსო, მაგრამ გარდაცვლილის მეგობარი, სტუდენტი ა მ ბ რ ო ს ი ო, მოითხოვს, ყველაფერი ისე უნდა აღსრულდეს, როგორც ანდერძშია, ამიტომ, ხვალ, მის მიერ მითითებულ ადგილას კრძალავენო. მწყემსებმა გადაწყვიტეს წასულიყვნენ და ერთი რომელიმე ამხანაგი ფარეხში მეთვალყურედ დაეტოვებინათ. დონ კიხოტი დაინტერესდა ქრიზოსტომისა და მარსელას ვინაობით. ერთ-ერთმა მასპინძელმა უამბო, რომ ქრიზოსტომი მდიდარი იდალგოს შვილია, მახლობელი სოფლიდან, ს ა ლ ა მ ა ნ კ ი ს* უნივერსიტეტში სწავლობდა, კარგად იცოდა ასტროლოგია, წერდა ლექსებს, თხზავდა ვ ი ლ ა ნ ს ი კ ო ე ბ ს,* სიმღერებს შობა ღამისთვის. წარმოდგენები, რომელსაც ბიჭები მართავენ, სულ მისი შექმნილია. სასწავლებლიდან რომ დაბრუნდა, მოულოდნელად მწყემსობა დაიწყო, მას მეგობარმა ამბროსიომაც მიბაძა. ქრიზოსტომს იმ პერიოდში მამა გარდაეცვალა, მდიდარი მემკვიდრეობა დარჩა, მაგრამ ულამაზესი მარსელას სიყვარულის გამო (თვითონაც „კალმით ნახატი“იყო), ტყე-ღრეებში იარა. ქალი მდიდარი გლეხკაცის, გ ი ლ ი ე რ მ ო ს, შვილია. მას ჯერ დედა, მერე კი მამაც გარდაეცვალა, და ბიძის, სოფლის მღვდლის, ანაბარა დარჩა, რომელიც ძმისშვილს კარგად უვლიდა და სურვილი ჰქონდა გოგონა კეთლმოწყობილად დაებინავებინა.

უამრავი ხელის მთხოვნელიდან, რომელიმესთვის ჩაებარებინა, მაგრამ მარსელა უარობდა, ჯერ ადრეაო, მწყემსად გახდომა მოიწადინა, მის კვალს სოფლის უამრავი ყმაწვილი გაჰყვა, უყვარდათ და იტანჯებოდნენ. იმათგან ერთ-ერთი ქრიზოსტომი იყო, რომელზეც ამბობენ, მიჯნურს „როგორც ღმერთს ისე ეთაყვანებოდაო“. ქალი ყველას პატივით ექცეოდა, მაგრამ მის სიყვარულს ვერავინ ეღიროსა.

დონ კიხოტს გაახსენდა თავისი სატრფო დუღსინე და გადაწყვიტა ის ღამე მასზე ფიქრში გაეტარებინა, სანჩომ კი ტკბილად დაიძინა.



თავი XIII

რომელიც ეხება მწყემსი-გოგო მარსელას მოთხრობის დასასრულს და სხვადასხვა ამბები

განთიადისას, დონ კიხოტი და სანჩო პანსა მწყემსებთან ერთად გაემგზავრნენ, ქრიზოსტომის დაკრძალვაზე. გზაჯვარედინზე, იმავე საქმეზე მიმავალი, შვიდი თუ რვა, ტყაპუჭიანი მეცხვარე შეხვდათ, ხელში მუხის კომბლებითა და თავზე დაფნის, კვიპაროზისა და ოლეანდრის ფოთლების გვირგვინებით, მათ სამი მსახური მოსდევდა. იქვე მდიდრულად მოკაზმული ორი აზნაურიც მოაბიჯებდა. ყველას ერთი გზა ჰქონდა და სვლაც ერთად გააგრძელეს. ერთ-ერთმა მგზავრმა, ვ ი ვ ა ლ დ ო მ, რაინდს ჰკითხა: „ამ მშვიდობიან დროს და მშვიდობიან ქვეყანაში აგრე შეიარაღებულს მოგზაურობა რა მიზეზით განგიზრახავსო“ [1,112], დონ კიხოტმა მიუგო, წოდება და დადებული აღთქმა არ მაძლევს სხვაგვარი მოგზაურობის ნებას, იარაღი და მოუსვენარი ცხოვრება მოგზაური რაინდების ხვედრიაო. მგზავრები მიხვდნენ, რომ ასეთი სიტყვების მთქმელი შეიძლებოდა შემლილი ყოფილიყო. ვივალდომ სთხოვა აეხსნა, რას უწოდებდა „მოგზაურ რაინდებს.“ დონ კიხოტმა განმარტა, ი ნ გ ლ ი ს ი ს მატთანეებსა და ისტორიაში მოთხრობილია მეფე ა რ ტ უ რ ი ს (კასტილურად ა რ ტ უ ს ი ს) საგმირო საქმეების შესახებ. მისი მმართველობის პერიოდში დაარსდა მ რ გ ვ ა ლ ი მ ა გ ი დ ი ს რ ა ი ნ დ თ ა დ ა ს ი*. იდალგომ ჩამოთვალა მოგზაურ რაინდთა სახელები, რომელთაც სახელი გაითქვეს. მისი თქმით, ამ დროს ეკუთვნის ტ ბ ი ს რაინდის, დ ო ნ ლ ა ნ ს ე ლ ო ტ ი ს ა* და დედოფალ ჯინევრას მიჯნურობა, მისი დროშის ქვეშ გმირობით გაითქვა სახელი: ა მ ა დ ი ს გ ა ლ ე ლ მ ა, მამაცმა ფ ი ლ ი ს მ ა რ ტ ე პირკანელმა, ტ ი რ ა ნ ტ თეთრმა, დ ო ნ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ი ს ბერძენმა. თან დასძინა, რომ თვითონაც იმ ორდენტა დასის წევრია, რომელთა დიდებულმა წინაპრებმაც დატოვეს ანდერძი, რაც მან უნდა

აღასრულოს: „აი, ის ორდენტა დასი, რომელსაც მეცა, თუმცაღა ცოდვილი ვეკუთვნი და მუდამ ვისწრაფვი წარსულთა საუკუნეთა დიდებულ რაინდთაგან ანდერძად დატოვებული უმაღლესი აღთქმანი შევასრულო... უმანკოთა ხსნა და დევნილთა გამოსარჩლება“[1,113]. ყველა მიხვდა რა სენიც სჭირდა მოსაუბრეს. ვივალდომ, გზის ხალისიანად გავლის მიზნით, გადაწყვიტა გაეგრძელებინა საუბარი რაინდთან და უთხრა, რომ ყველაზე სასტიკი დასის ხელობას დასდგომიხარო: „ეგეთი სასტიკი წესები კ ა რ ტ ე ზ ი ა ნ ე ლ ბერ-მონაზონთა დასის* წესებიც არ არიან“. რაზეც იდაღომ ვრცელი პასუხი გასცა, ისაუბრა რაინდთა გაჭირვებებზე, აღთქმისადმი ერთგულებაზე. მისმა თანამოსაუბრემ გაიკვირვა, რაინდი ფათერავს რომ შეეყრება, ნაცვლად იმისა, რომ ღ მ ე რ თ ს შეავედროს სული, სატრფოს ახსენებს „ვითარცა ერთადერთს თავის ღვთაებას“ და დასძინა, ეს ხომ კ ე რ კ თ მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ს ჰგავსო. დონ კიხოტმა მიუგო, მიჯნურის ხსენება რაინდთა წესია, ისინი ღ მ ე რ თ ს ბ რ ძ ო ლ ი ს დ რ ო ს ა ც ა რ ი ვ ი წ ყ ე ბ ე ნ ო. ვივალდომ ეჭვი გამოთქვა, ცხარე ბრძოლისას განა რაინდს აქვს დრო ღმერთი ახსენოს, ან განა ყველა რაინდს ჰყავს მიჯნური? დონ კიხოტმა მიუგო, რომ მიჯნური ყველა რაინდს ჰყავს, რაც შეეხება ბერებს, ისინი: „ ს რ უ ლ ს მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ო ბ ა ს ა და მყუდროებაში შესთხოვენ ღმერთს ქვეყნისათვის წყალობას, ხოლო ჩვენ, რაინდნი და მხედარნი, ყოველივე იმას საქმით ვასრულებთ... რასაც ისინი ლოცვით ითხოვენ ვისწრაფვით მკლავის სიმარჯვით და ჩვენთა მახვილთა სიბასრით ის აღვასრულოთ მოქმედებით... [1,115] და თუ ასეთი არსებობს, მაშინ არაკანონიერად უნდა ჩაითვალოს ასეთი ადამიანი. ვივალდო საუბარს განაგრძობდა, მან გაიხსენა ა მ ა დ ი ს გ ა ლ ე ლ ი ს ძ მ ა დ ი ნ გ ა ლ ა ო რ ი, რომელსაც არ ჰყავდა სატრფო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ საგმირო საქმეები ჩაედინა. იდაღომ მიუგო, მასაც იდუმალი სატრფო ჰყავდაო. ვივალდომ სთხოვა, თქვენი მიჯნურის სახელი გაგვიმჟღავნე და მისი მშვენიერება აღწერე, ქალი იამაყებს, როცა გაიგებს: „მის ფერხთა ქვეშ თქვენისთანა რაინდი იმყოფება“[1,116]. დონ კიხოტმა ამოიოხრა, თქვა, რომ თავის მიჯნურს დულსინეა ტობოსელი ჰქვია, თავადის ასულია, თუკი „ოდესმე პოეტთა ოცნებას ქალთა მშვენიერება გამოუხატავს, ყოველივე მის არსებაშია თავმოყრილი“[1,116], მან შთამბეჭდავად, დაწვრილებით, აღუწერა მსმენელებს მიჯნურის გარეგნობა და დასძინა: „იგი არც ძველი საუკუნეების* რომაელთა კ უ რ ც ი უ ს ე ბ ი ს*, გ ა ი უ ს ე ბ ი ს ა და ს ც ი პ ი ო ნ ე ბ ი ს* შთამომავალია, არც ჩვენი დროის რომაელთა - კ ო ლ ო ნ ა ს ი და ო რ ს ი ნ ი ს*, არც კატალონელი მონკადასი და რეკესენის, აგრეთვე არც ვალენსიელი რებელისა და ვილიანოვის, არც არაგონელი პალაფოქსის, ნუსის, როკაბერტის, კორელის, ლუნასი, ალაგონის, ურასი, ფისისა და ჰურეასის, არც კასტილიელი ბერდის, მანრიკეს, მენდოსისა და ჰუსმანის, არც პორტუგალიელი ალენკასტროს, პალისი და მენესესის. იგი მხოლოდ არის ლამაზის მაზრის სოფელ ტობოსოს საგვარეულოდან. თუმცა ა ხ ა ლ ი მ ო დ გ მ ი ს ა ა, ჩემთვის მაინც, ეჭვს გარეშეა, რომ მომავალი საუკუნეები მისგან დიდებულს შთამომავლობას უნდა მოელოდნენ“[117] დონ კიხოტის ნათქვამი მარტო სანჩო პანსას სჯეროდა, იმიტომ, რომ პატარაობიდანვე ის გონიერ კაცად მიაჩნდა, მაგრამ დულსინე ტობოსელის მშვენიერებაში ეჭვი შეეპარა.

ხეობის გასასვლელში ოციოდე შავტყაპუჭიანი მწყემსი გამოჩნდა, თავზე კვიპაროზისა და ურთხმელის ფოთლების გვირგვინები ეხურათ, მათგან ექვს ადამიანს,

ყვავილებითა და გვირგვინებით მოფენილი საკაცით, ხრიზოსტომის ცხედარი მოჰქონდა. დონ კიხოტი და მისი თანამგზავრები სამელოვიარო ლიტანიას შეუერთდნენ. ოთხმა მწყემსმა, მთის ძირში, კლდესთან, საფლავის თხრა დაიწყო. გარდაცვლილის საკაცეზე რამდენიმე წიგნი და ნაწერი ქალაქი ეყარა. ამბროსიომ ისაუბრა თავის მეგობარზე, მის ანდეძზე, ერთგულებასა და პატიოსნებაზე და იმაზე, რომ „უზომო სიყვარულის ჯილდოდ“ ხრიზოსტომმა სიცოცხლე ასე დაასრულა. ვივალდოს თქმით, ის, რაც ამბროსიოს გულნაწყენ მეგობარს ანდერძით დაუბარებია, რომ მისი ნაწერები დაეწვათ, არ უნდა შეესრულებინათ, რადგან სისასტიკე იქნებოდა. მერე რამდენიმე რვეული აიღო. ამბროსიომ უთხრა, ზრდილობის გამო, ეს ნაწერები თქვენთვის დამიტოვებია, დანარჩენს კი დავწვავო. ვივალდომ გადაშალა და წაიკითხა სათაური: „სასოწარკვეთილების სიმღერა“, რომელიც, ამბროსიოს თქმით, ქრიზოსტომის უკანასკნელი ლექსი იყო და ნება დართო, სანამ საფლავს გათხრიდნენ, სურვილი თუ ჰქონდა, წაეკითხა.



თავი XIV

სადაც მოყვანილია აწგანსვენებული სასოწარკვეთილი მწყემსის ლექსები და სხვა მოულოდნელი ამბები

ვივალდომ დაიწყო ლექსის კითხვა, „ქრიზოსტომის სიმღერა“, რომელიც მიჯნურისადმი მიმართვით იწყება.

ავტორის თქმით, მას სიკვდილი შვება მიანიჭებს, თავისი სატრფო კი სინანულს იგრძნობს. სურს სულთან ერთად აღმოხდეს ბუნების ხმები: ლომის ბუხუნი, მგლის ყმუილი, ყორნის ჩხავილი, ურჩხულების ღრიალი, ზღვის ტალღებში თავაწყვეტილი გრიგალების ღმუილი, ჭოტის ძახილი...პოეტს უნდა, ამით ყველას შეუშფოთდეს გრძნობა-გონება, სხვაგვარად ტანჯვის გამოთქმის ძალ-ღონე და ხელოვნება არ ყოფნის. ქრიზოსტომის უიმედო ძახილი არ ესმის ტ ა ხ ო ს* ველებსა და წყნარი ბ ე ტ ი ს ი ს* ზეთისხილით სავსე ბაღებს, დაე, მისი ხმა ჩაწვდეს უფსკრულებს, გაიგონონ კლდეებმა, იმ ადგილებმაც, „სადაც არასდროს არ ყოფილა ადამიანი,“ სადაც მზე ვერ ანათებს ჩაბნელებულ ტევრს, სადაც მდუმარებს ნ ი ლ ო ს ი ს ტბორი და ალიგატორი ნთქავს ყველაფერს, დაე, უკაცრიელ უდაბნოში, ახლაც და მარადიულად, ქვებმაც მოუსმინონ მისი სულის მძიმე ღაღადისს, მიჯნურის სიმკაცრეზე...

ქრიზოსტომი, საკმაოდ ვრცელ ლექსში, წუხს განშორებაზე, ეჭვიანობს, რომ მარსელამ შეიზიზღა იგი, სრულიად მარტოა და სასოებამაც დატოვა, მოსაწყენი სიცოცხლე აქვს. ურჩევს არ იგლოვოს, ცუდ ამბავს ღიმილით შეხვდეს. ავტორი ქვეყანას

საძულველს უწოდებს და მიაჩნია, რომ ვისაც მიეძღვნა ეს ლექსი-საჩივარი, ის თავის დიდებას ქრიზოსტომის სიკვდილში ხედავს.

ვივალდომ მოისურვა დაწვას გადარჩენილი კიდევ ერთი ფურცელიც წაეკითხა, მაგრამ მოულოდნელად მ ა რ ს ე ლ ა გამოჩნდა, მისმა მშვენიერებით ყველა მოიხიბლა. ამბროსიომ მრისხანედ შესძახა: „აქ რა გინდა, ამ მთების მძვინვარე ვასილისკო, ერთი შეხედვით რომ შხამავ ადამიანს,“ იმიტომ ხომ არ მოსულხარ, რომ ქრიზოსტომის უბედურება აბუჩად აიგდო და მიღწეულით იამაყო, გინდა გამარჯვებული ნ ე რ ო ნ ი ვ ი თ* ცეცხლმოდებულ რომს უცქირო? მარსელამ ამბროსიოს მიუგო, ქრიზოსტომის სიკვდილს მე მაბრალევენ და მოვედი, რათა თავი გავიმართლო. შემდეგ იქ შეკრებილებს მიმართა, მშვენიერი რაკი ყველას აყვარებს თავს, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მანაც საპასუხო გრძნობა გამოხატოს, თუ ორივე მხარე ლამაზია, აუცილებელია ერთმანეთისადმი მიმზიდველობას გრძნობდნენ? მარსელას აზრით, სიყვარულში თავისუფლებაა მთავარი და არა ძალდატანება. თვითონაც თავისუფალი ქალია, თავის ფიქრებს ბუნებას უზიარებს, შორეული, მოვარვარე ცეცხლი და მიუკარებელი ხმალია, ყველას გულწრფელად უხელს თვალებს და ისინი მაინც ამაო იმედებით იქცევენ თავს: **„ჩემი სურვილები ამ მთებს იქით არ გადიან და თუ ხანდახან იმათ აღმაც ფრენენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ზეცის უკუნითი მშვენიერებით დასტკბნენ“**[1,127]. ვრცელი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, მარსელა პასუხს არ დაელოდა, გატრიალდა და ტყეს შეაფარა თავი, ზოგიერთმა უკან გადევნებაც დააპირა, დონ კიხოტმა თავი ქ ა ლ თ ა მ ფ ა რ ვ ე ლ რ ა ი ნ დ ა დ გამოაცხადა, ხელი სტაცა ხმლის ვადას და საშინელი ხმით დაიძახა, თუ გინდათ ჩემი რისხვა არ გამოიწვიოთ, არავინ გაბედოთ მარსელას გაყვეთ კვალში, მას არ მიუძღვის ბრალი ქრიზოსტომის სიკვდილში, არც თქვენითაა დაინტერესებული, ნუ მოაბეზრებთ თავს სიყვარულით. ადგილიდან არავინ დაძრულა. ქაღალდები დაწვეს, ცხედარი დაკრძალეს და საფლავს დროებით დიდი ტინის ქვა დაადეს, სანამ ამბროსიოსგან შეკვეთილი ფიქალი მომზადდებოდა ეპიტაფიით, რომელიც ასე იწყება: **„აქ წევს საბრალო შეყვარებული“**...ყველამ მიუსამძიმრა ამბროსიოს. მალე მწყემსები დაიშალნენ, ვივალდო თავის თანამგზავრებიანად გზას გაუდგა. მგზავრებმა დონ კიხოტს სთხოვეს, გაყოლოდა მათ ს ე ვ ი ლ ი ა შ ი, იქ მრავალ ფათერაკს გადაეყრებოდა, მაგრამ იდაღვომ მადლობა მოახსენა და უთხრა, ჯერჯერობით, იქვე, გარშემო მთებში, ქურდები და ავაზაკები უნდა შევმუსრო, ამიტომ ვერ წაგყვებითო. მგზავრები წავიდნენ, დონ კიხოტი მარსელას საძებნელად გაემგზავრა, რათა მისთვის სამსახური გაეწია, მაგრამ გარემოება შეიცვალა და ჩანაფიქრი ვერ განახორციელა.



თავი XV

სადაც მოთხრობილია უსიამოვნო ფათერაკი, დონ კიხოტს გულქვა იანგვესელებთან შეხვედრისას რომ შეემთხვა

დონ კიხოტმა, თავის საჭურველმტვირთველთან ერთად, ტყისკენ გასწია, მარსელას მოსაძებნად, მაგრამ ორი საათის ამაო სიარულის შემდეგ, მობიზინე ველზე გამოვიდა, იქვე წყარო მორაკრავებდა. ადგილის მშვენიერებით აღტაცებულმა და შუადღის თაკარა მზით შეწუხებულმა, იქ გადაწყვიტა დასვენება. ბატონმა და მსახურმა ცხენი და სახედარი საძოვარზე გაუშვეს, თვითონ წაიხემსეს. სანჩომ როსინანტს დ უ შ ა ყ ი* არ გაუკეთა. იმავე ველზე ი ა ნ გ ვ ე ს ე ლ მ ა* მეჯოგეებმა გ ა ლ ი ს ი ს ფაშატების ჯოგი გამორეკეს. როსინანტი მათკენ თოხარიკით გაემართა, მაგრამ უცხო ცხენებმა ის უგულოდ მიიღეს, ტლინკების ყრა და კბენა დაუწყეს, მოსართავები დაუგლიჯეს, ერთი სიტყვით, შავი დღე აყარეს, მეჯოგეებმაც კომბლები ურტყეს. დონ კიხოტი და სანჩო ცხენის მისაშველებლად გაიქცნენ. იდალგომ მსახურს უთხრა, როგორც ვხედავ, რაინდებთან კი არა ბრბოსთან მოგველის ბრძოლა, ამიტომ უფლება გაქვს მიემშველო. სანჩომ გაიკვირვა, ჩვენ ორნი ვართ, იქ კი ოცი კაცია და სამაგიერო როგორ გადავუხადოთ.

დონ კიხოტმა ხმალი იძრო და გაექანა, საჭურველმტვირთველი უკან მიჰყვა. რაინდმა ერთ მეჯოგეს ხმალი სთხლიშა და დაჭრა, მერე მეორეს დაუპირა დარტყმა, მაგრამ მათ ბატონი და მსახური კომბლებით სცემეს, მერე კი სწრაფად გაუდგნენ გზას. მიწაზე გაშხლართული ფათერაკების მამიებლებიდან, პირველად სანჩო მოეგო გონს და რაინდს სთხოვა თქვენი ფ ე რ ტ ა ბ ლ ა ს ი ს* ბალზამის ორიოდე ყლუპი მიბოძეთო. დონ კიხოტი დაპირდა, რომ ორ დღეში ექნებოდა, მერე კი უთხრა, ეს უბედურება ჩემი მიზეზით შეგემთხვა, რაინდად დაულოცავ ბრიყვებზე ვიშიშვლე ხმალი, წესები დავარღვიე, ამიტომ გაფრთხილებ, ასეთი ადამიანების წინააღმდეგ მე ნუ ამადებინებ ხმალს, ეგ შენი მოვალეობაა, თუკი მათ რაინდები მიემშველებიან, მაშინ უკვე ბრძოლაში მეც უნდა ჩავერთო. სანჩოს არ მოეწონა ბატონის სიტყვა და უპასუხა, რომ ოჯახი ჰყავს სარჩენი, თვითონ მშვიდობისმოყვარე კაცია და ამიტომ იკავებს თავს, დანაშაულს ყველას პატიობს. დონ კიხოტმა მიუგო: „**რარიგ უვიცი ხარ იმაში, რასაც ამბობ. აბა ერთი მიპასუხე, შე გადაბრჯნილო ცოდვილო! ბედი აქამდის რომ ხელს არ გვიწყობდა, იმ ბედმა უცებ რომ ჩვენსკენ პირი მოიბრუნოს და ჩვენთა სურვილთა გაფაშვამებული იალქნებით ერთ-ერთ იმ კუნძულზე მიგვაქროლოს, მე რომ უკვე მითქვამს შენთვის, აბა მითხარ, რას მოიმოქმედებდი ჩემგან დაპყრობილ კუნძულს რომ მიიღებდი?**“[1,131], დონ კიხოტმა სანჩოს უსაყვედურა, დაპყრობილი ქვეყნის მცხოვრებნი თავისუფლებისაკენ მიილტვიან, თუკი არც რაინდად გახდომა გსურს, არც უნარი გაქვს მართო სამფლობელო და შეურაცხმყოფელს სამაგიერო გადაუხადო, შეგებრძოლებიან და მტერს ვერ მოიგერიებო. სანჩომ მიუგო, რომ ახლა სიბრძნისა და ქადაგების მოსმენას მალამო მირჩევნიაო. დაბეგვილი დონ კიხოტი და საჭურველმტვირთველი, ერთხანს, კომბლებისაგან მიყენებული ტკივილების სიმწარეზე საუბრობდნენ. იდალგოს თქმით, მან რომ არ იცოდეს რაინდთა წესები, რომელიც მოთმენას ითვალისწინებს, სირცხვილი შეაწუხებდა. ზოგიერთ გმირს, მოუთმენლობის გამო, უბედურება გადახდენია. მაგალითად, ამაღის გალეელი თავის მტერს, ა რ კ ა ლ ა ი ს ს ჩაუვარდა ხელში, რომელმაც სასახლის ეზოში ბოძზე მიაკრა და

ადვირის თასმა ორჯერ დაჰკრა. ერთი უცნობი მწერლის მიხედვით, რაინდი ფ ე ბ ო ს ი სამგლე ხაროში ჩაუგდიათ, მერე, თურმე, შეიპყრეს და, ხელფეხშეკრული, ბნელ სარდაფში ჩააგდეს, თოვლისა და ქვიშისგან გაკეთებული საჭმელი მიუტანეს, კინაღამ მომკვდარა. საბედნიეროდ, მისმა დიდმა მეგობარმა, გამოჩენილმა ჯადოქარმა, იხსნა უბედურებისგან. მეც ვალდებული ვარ, ყველა მარცხი ავიტანო. ახლა კი როსინანტის მდგომარეობა მაინტერესებს, მგონი, იმ საბრალოს ჩვენზე მეტი მოხვდაო, უთხრა სანჩოს. „რატომ არ უნდა მოხვედროდა, განა ის მოგზაური მერანი არ არის?“ [1,134], უპასუხა საჭურველმტვირთველმა. ბატონმა თავისი მსახური დააიძედა, მართალია, როსინანტი დაზიანდა, მაგრამ ბედმა ვირი შემოგვინახა, ის მიგვიყვანს რომელიმე ციხე–დარბაზამდის და ჩემს ჭრილობებსაც იქ უმკურნალებენ, შენ კი დამეხმარე, რათა წამოვდგე და სახედარზე შევჯდე, წავიდეთ, ღამემ არ მიგვისწროსო. სანჩომ შეახსენა, ასე ხომ ბრძანებდით, რაინდებისთვის სიამოვნებასა და დიდ წარმატებას უდაბურ ადგილას, ღია ცისქვეშ, გათენება წარმოადგენსო? ბატონმა უპასუხა, ასედაც არის, მაგრამ რაინდები ღამეს ამგვარად მაშინ ათენებენ, როდესაც გამიჯნურებულები არიან, ზოგიერთს წლობით უცხოვრია რომელიმე გამოქვაბულში ისე, რომ მათ სატრფოს არაფერი გაუგია ამის შესახებ. ასეთი ა მ ა დ ი ს ი იყო, მან ბ ე ლ ტ ე ნ ე ბ რ ო ს ი* დაირქვა, თავის სატრფო ორიანისგან განაწყენებული, პ ე ნ ი ა პ ო ბ რ ე ს* კუნძულზე განმარტოვდა...

სანჩო ვაივით წამოდგა, ვირი შეკაზმა, როსინანტი წამოაყენა და კურტანს გამოაბა უკან, მერე თავისი ბატონი შესვა სახედარზე და გაემართნენ. მალე ფ უ ნ დ უ კ ი გამოჩნდა, დონ კიხოტმა იგი ციხე–დარბაზად ჩათვალა, სანჩო არწმუნებდა ფუნდუკიანო, სანამ ბატონი და მსახური ამას არკვევდნენ, იქაურობას მიუახლოვდნენ, „სანჩომ მთელი თავისი ქარავანი პირდაპირ ეზოში შეიყვანა“.



თავი XVI

**იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა მახვილგონიერ იდალგოს ფუნდუკში,
ციხე–დარბაზად რომ მოეჩვენა**

მეფუნდუკემ დონ კიხოტი ვირის კ უ რ ტ ა ნ ზ ე* გარდიგარდმო გადებული რომ დაინახა, დაინტერესდა, რა დაემართა. საჭურველმტვირთველმა მიუგო, ჩემი ბატონი კლდიდან ჩამოგორდა და გვერდები იტკინაო. გულჩვილმა მეფუნდუკის ცოლმა თავისი მომხიბლავი ქალი მოიშველია და რაინდს ნატკენი ადგილები შეუხვია. იქ ერთი

ასტურიელი, მახინჯი გოგო, მსახური მ ა რ ი ტ ო რ ნ ე ს ი ც, იყო. დონ კიხოტს, სხვენზე, უხეირო, „ოკრობოკრო, ტორიკა და მუხთალი საწოლი“ გაუშალეს, „ოცი მშვენიერი ჯორის პატრონი“, ა რ ე ვ ა ლ ო ე ლ ი მდიდარი მეჯორის საძინებლის ახლოს. მეფუნდუკის ცოლმა, მისმა ქალმა და მარიტორნესმა, რაინდს, სხეულის დაღურჯებულ ადგილებზე, რაღაც მალამო წაუსვეს და სანჩოს უთხრეს, შენი ბატონი ნაცემს უფრო ჰგავსო. მან იუარა, კლდის ამოშვერილ წვეტებზე ეცემოდა და დაღურჯებული ამიტომაც არისო, მერე თვითონაც მოითხოვა მალამო, დიასახლისისგან, ბატონი კლდეზე სრიალით წამოსული რომ დავინახე, მთელი ტანი შემერყა და ტკივილი ვიგრძენიო. ასტურიელი გოგო, მარიტორნესი, დაინტერესდა, ამ კ ა ბ ა ლ ე რ ო ს* რა ჰქვიაო, სანჩომ მიუგო: „დონ კიხოტ ლამანჩელი. ეს ერთი იმ საუკეთესო მამაცი და სახელოვანი მოგზაურ რაინდთაგანია, რომელიც კი ოდესმე ყოფილა ქვეყანაზე“...[1,137], მარიტორნესმა არ იცოდა რას ნიშნავს რაინდი, სანჩომ უვიცი უწოდა, მოგზაური რაინდი შეიძლება მიზეგვონ, მეორე წამს კი იმპერატორი ან ოთხი სახელმწიფოს მეფე გახდეს, რომელთაგან ერთ-ერთს თავის საჭურველმტვირთველს უბოძებსო. დიასახლისმა უთხრა, ასეთ დიდ კაცს ემსახურები და ერთი საგრაფოც არა გაქვსო? საჭურველმტვირთველმა უპასუხა, ჯერ შესაბამისი დრო არ დამდგარა, სულ ერთი თვეა რაც ვ მო გ ზ ა უ რ ო ბ თ ო. დონ კიხოტს ესმოდა მათი საუბარი, წამოიწია საწოლიდან, დიასახლისს ზრდილობიანად მიმართა, მშვენიერი და პატიოსანი მანდილოსანი უწოდა, ბედნიერად შეგიძლიათ თავი ჩათვალოთ, რომ ციხე-დარბაზში ჩემისთანა პიროვნება მიიღეთ, მადლობელი ვარ, თქვენ მიერ გაწეული სამსახურის გამოო, მერე დიასახლისის ქალს ნაზად შეხედა, „ერთ მომხიბვლელ მშვენიერებას“ რომ არ ვყავდე დამონებული, ამ ქალწულის თვალებს ჩემთვის თავისუფლების წართმევა შეეძლებოდათო. მსმენელები გაოცდნენ, მადლობისა და ზრდილობის გამომხატველი მიმართვის გარდა, რა თქვა, ვერ გაიგეს, „რაინდს უცქეროდნენ, ვით რაღაც ს ა ო ც ა რ ა დ ა მ ი ა ნ ს,“ მაგრამ მაინც მადლობა გადაუხადეს „სოფლურ-მეფუნდუკური კილოთი“, მერე დიასახლისი წავიდა თავის ქალთან ერთად, მარიტორნესმა კი, სანჩოს, მტკივნეულ ადგილებზე, მალამო წაუსვა. ეს ასტურიელი მსახური გოგო, თურმე, ერთ-ერთ მეჯორეს დაჰპირდა, რომ იმ საღამოს მიაკითხავდა. სხვენის შესასვლელთან იწვა დონ კიხოტი, სანჩოც იქვე ახლოს იყო, მოშორებით კი მეჯორე, რომელიც მარიტორნესს ელოდა. მთელ სახლში მყუდროება იყო. რაინდს არ ეძინა, „ახირებულმა ფიქრებმა“ შეიპყრო, მოეჩვენა, რომ მეფუნდუკის (რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ციხე-დარბაზად რომ მოეჩვენა) მომხიბლავ ქალს შეუყვარდა და ღამით ფარულად მასთან დასაწოლად მოვიდოდა, მაგრამ წუხდა, ცდუნებამ არ მძლიოს და დულსინე ტობოსელის მოღალატე არ გავხდეო. ამ დროს, პირობისამებრ, მარიტორნესი მიიპარებოდა მეჯორისაკენ, დონ კიხოტმა ფეხის ხმა გაიგონა, წამოჯდა და მზეთუნახავის მოლოდინში გაშალა ხელები. სიბნელის გამო, ჩუმად მიმავალი ასტურიელი გოგო რაინდის მკლავებში მოხვდა, იდაღომ შეშინებული ქალი გვერდით მოისვა საწოლზე, მან წარმოიდგინა, რომ მთავრის მშვენიერი ასული მოვიდა, დაკოდილი რაინდის სანახავად, როგორც ეს წიგნებში წაეკითხა ხოლმე, ამგვარი ოცნებით შეპყრობილი, გულში იკრავდა მარიტორნესს და ნაზად მიმართავდა, სახელოვან ბანოვანს უწოდებდა, მადლობას უხდოდა, რომ მის

საოცარ მშვენიერებას უმზერდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ორი რამის გამო არ შეეძლო ქალის სურვილს დამორჩილებოდა, ერთი, იმიტომ, რომ ბედმა ცუდ დღეში ჩააგდო და მეორე-დუღსინე ტობოსელისადმი მიცემულ ფიცს ვერ დაარღვევდა. მარიტორნესი შიშისგან ცახცახებდა, მისი მჭევრმეტყველება სულაც არ აინტერესებდა და ცდილობდა ხელიდან დასხლტომოდა. მის მოლოდინში ძილგამფრთხალმა მეჯორემ გაიგონა ქალის სხვენზე ამოსვლისა და დონ კიხოტთან მისვლის ხმა, ეჭვიანობისგან გაგულისებული წამოდგა, მიიპარა რაინდის საწოლთან და მიაყურადა, ეგონა მარიტორნესმა სხვაში გამცვალაო, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ქალი დონ კიხოტის ხელიდან გასხლტომას ცდილობდა, რაინდს მუშტი სთხლიშა ყბაში, დაასისხლიანა, გვერდებიც დაუბეგვა, იდალგოს საწოლი ჩაიფუშა. ხმაურზე მეფუნდუკეს გამოელვია, მიხვდა, ყოველივე მარიტორნესის ოინებიაო, დაუძახა მას, მაგრამ ვერ გააგონა და სწრაფად გამოეშურა. პატრონის ფეხის ხმის გაგონებაზე ქალი შეშინდა და მძინარე სანჩოს საწოლზე მოიკრუნჩხა. მეფუნდუკე ღრიალით უხმობდა მარიტორნესს. სანჩოს გამოელვია, მუცელზე სიმძიმე იგრძნო, ეგონა მაჯლაჯუნა მაწევსო, ქალს დაუწყო მუშტების ქნევა, მარიტორნესმაც სამაგიეროდ ცემა დაუწყო და გაიმართა ცხარე დაპირისპირება. „მიჯნურის“ მომლოდინე მეჯორემ სანთლის შუქზე შეამჩნია, რაც ხდებოდა, თავი ანება დონ კიხოტს და ახლა საჭურველმტვირთველს მივარდა, ამასობაში მეფუნდუკეს სანთელი ჩაუქრა და ჩამოხნელდა, არავინ იცოდა, ვინ ვის სცემდა. იმ ღამეს იქ იმყოფებოდა ტოლედოელი წესიერების დამცველი, სანტა ჰერმანდადის ქ ა მ ა ნ დ ა რ ი*, რომელსაც ვაი-ვაგლახის ხმები რომ მოესმა, აიღო მოკლე კვერთხი, თუნუქის ყუთი, ავიდა სხვენზე და, მართლმსაჯულების სახელით, შეჩერება უბრძანა იქ მყოფებს, მერე ყველაზე უწინ დონ კიხოტს წააწყდა, გონებამიხდილ რაინდს, რომელიც ლოგინის ნანგრევებში იყო ჩავარდნილი, წვერში ჩაავლო ხელი და რამდენიმეჯერ შესძახა: „დაეხმარეთ მართლმსაჯულებას“. ქამანდარმა ჩათვალა, რომ ეს კაცი მოკლული იყო, რადგან არ ინძრეოდა, დანარჩენები მკვლელები ეგონა და უფრო ცხარედ დაიყვირა, ყველა კარი ჩაკეტეთ, რათა გასვლა ვერ შეძლოს ვერავინ, აქ კაცია მოკლულიო. ამ ხმამ მოჩხუბრებს შიშის ზარი დასცა, სწრაფად შეწყვიტეს ბრძოლა და დაიშალნენ.

თავი XVII

სადაც აღწერილია შემდგომი აურაცხელი გაჭირვება, მამაცმა დონ კიხოტმა და მისმა ერთგულმა საჭურველმტვირთველმა რომ გამოსცადეს

ფუნდუკში, რომელიც რაინდს თავის საუბედუროდ ციხე-დარბაზად მიაჩნდა

დონ კიხოტი მალე მოვიდა გონს და მწუხარე ხმით მოუთხრო სანჩა პანსას, როგორ ესტუმრა ციხე-დარბაზის მორთულ-მოკაზმული ასული და სწორედ ისეთ დროს, როცა სასიამოვნოდ საუბრობდნენ, უხილავი გოლიათის მუშტი მოხვდა, პირი სისხლით აევსო, წამიერი სიჩუმით ისარგებლა მოწინააღმდეგემ და გათელა, მისი აზრით, შეიძლება აქაურობა მოჯადოებულია. რაინდმა თავის საჭურველმტვირთველს სთხოვა საიდუმლოდ შეენახა, რაც გაიგო. მსახურმაც თავისი უბედური შემთხვევის ამბავი უამბო, სწორედ იმ დროს, როდესაც თავისი ბატონი, თურმე, მშვენიერ ასულს ეხვეოდა, ის ოთხასზე მეტმა მავრმა სცემა. იდალგოს გაუკვირდა, რომ სანჩოც ნაცემია, დაამშვიდა, უებარ ფ ი ე რ ა ზ რ ა ს ი ს ბალზამს გავაკეთებ და ორივეს მოგვარჩენსო. ამასობაში ქამანდარმა ლამპარი აანთო და დონ კიხოტისკენ (რომელიც მოკლული ეგონა) გაემართა. სანჩოს იგი მოჯადოებული მავრი ეგონა, მაგრამ ბატონმა აუხსნა, მოჯადოებულის ხილვა შეუძლებელიაო. ქამანდარს გაუკვირდა ორი ტკბილად მობაასე კაცის ხილვა, მიუახლოვდა რაინდს და ჰკითხა: „როგორა ხარ, კეთილო კაცი?“ იდალგომ მიუგო, უფრო ზრდილობიანად უნდა ილაპარაკო: „განა აგრე ბრიყვულად ელაპარაკებიან მოგზაურ რაინდს, შე უზრდელო და ტუტუცო?“[1,146]. ქამანდარი გაბრაზდა, ლამპარი სთხლიშა რაინდს, ზეთიც გადაასხა და სხვენიდან სწრაფად ჩავიდა. სანჩომ შეახსენა დონ კიხოტს, ხომ ვამბობდი, მოჯადოებული მავრია-მეთქი, მან მიუგო, ასეთ გრძნეულებთან შერკინება არ გამოგვადგება, მათი საქციელი არც უნდა გვეწყინოს, რადგან უხილავნი არიან და სამაგიეროს გადახდა შეუძლებელიაო. მერე სთხოვა თავის მსახურს, მისულიყო „ციხე-დარბაზის გამგებელთან“, მისგან ზეთი, ღვინო, მარილი და ს ა კ მ ე ლ ა * ეთხოვა, ბ ა ლ ზ ა მ ი ს დასამზადებლად. სანჩო გაჭირვებით წამოდგა და მეფუნდუკისკენ გაემართა, მაგრამ, იქვე, ჩუმად ატუზულ ქამანდარს შეეჩება, სიბნელეში ვერც ერთმა ვერ გაარჩია ერთმანეთის სახე. სანჩომ მიმართა, მოწყალეო ბატონო, ცოტაოდენი ზეთი, ღვინო, მარილი და საკმელა ბალახი მიბოძე, „მთელ ქვეყანაზე უწარჩინებულესი მოგზაური რაინდი უნდა მოვარჩინო, ამ სახლში დაბუდებულ გრძნეული მავრისაგან მძიმედ არის დაკოდილი“[1,147]. ქამანდარმა სანჩო ჭკუაზეშემცდარად მიიჩნია, მაგრამ მეფუნდუკესთან მივიდა, ყველაფერი გამოართვა და საჭურველმტვირთველს თხოვნა შეუსრულა. სანჩოს თავისი ბატონი ლოგინიდან წამომჯდარი და ტკივილებისგან შეწუხებული დახვდა. მას, ლამპრის დარტყმისგან, ორი კოპი გამოსვლოდა შუბლზე, ზედ ზეთიც გადასხმოდა, რომელიც სისხლი ეგონა.

იდალგომ სანჩოს მიერ მოტანილი მასალა ქვაბში ჩაყარა, მოადულა, მერე შუშა მოითხოვა, მაგრამ არ აღმოაჩნდათ, მეფუნდუკემ აჩუქა თუნუქის ჭურჭელი, რომელსაც ლამპრის ზეთისთვის იყენებდა. დონ კიხოტმა მოდულებული „წამალი“ შიგ ჩაასხა, პირჯვარი გადასახა, ო რ მ ო ც ჯ ე რ წარმოთქვა „მ ა მ ა ო ჩ ვ ე ნ ო“ და მრავალი

სხვადასხვა შელოცვა. ყოველივე ამის შემდეგ, ბალზამის მომზადების პროცესი, რომელსაც სანჩო, მეფუნდუკე და ქამანდარი ესწრებოდნენ, დასრულებულად ჩათვალა.

მეჯორე, თავისი პირუტყვების მოსავლელად, ადრიანად ამდგარიყო, ამით, ღამით მომხდარი ამბის დაფარვას ცდილობდა. რაინდმა წამლის გამოცდა მოინდომა და რაც ვერ ჩაეტია ჭურჭელში და გადარჩა, ნახევარი ჩ ა რ ე ქ ა*, სულ დალია. იმწამსვე გახდა ცუდად, გული აერია, ოფლმა დაასხა და მოითხოვა ლოგინში ჩამაწვინეთო. სამი საათი ეძინა, რომ გამოიღვიძა, თავს კარგად გრძნობდა, დარწმუნდა, ფიერებრასის მალამოს დამზადება მცოდნია და შემიძლია, ფათერაკებს უშიშრად გადავეყაროო. სანჩომ თავისი ბატონის ასე სწრაფად განკურნება სასწაულად ჩათვალა და სთხოვა, ქვაბში ჩარჩენილ წამალს დავლევო, ნებართვა მიიღო და იმდენივე დალია, რამდენიც დონ კიხოტმა. ისე ცუდად გახდა, იფიქრა, აღსასრულის დღე დამიდგაო. დონ კიხოტმა უთხრა, ასე იმიტომ იტანჯები, რომ ბალზამი რაინდებისთვისაა განკუთვნილი, შენ კი დალოცვილი ჯერ არა ხარო. სანჩო ორი საათის განმავლობაში იტანჯებოდა, სუნთქვა უჭირდა, ფეხზე ძლივს დგებოდა. დონ კიხოტი კი, პირიქით, უკეთ იყო, ის ფიქრობდა, რომ უნდა დაეჩქარებინა წასვლა, **„ყველა დავრდომილსა და უბედურს მისი მფარველობა და შემწეობა დაუგვიანდებოდა“**[1,148], რაც შეეხება ბალზამს, მისი აზრით, უებარი იყო, მისი დახმარებით ყოველგვარი მარცხისა და ჭრილობის გამკლავება შეეძლო. რაინდმა შეკაზმა როსინანტი, სანჩოს დაეხმარა ტანსაცმლის ჩაცმაში, მერე ვირზე შესვა. ეზოს კუთხეში მეველის ფიწალს მოკრა თვალი, აიღო და საბრძოლო შუბის ნაცვლად დაიჭირა ხელში. ოციოდე კაცი უცქერდა რაინდის მზადებას, მეფუნდუკის ქალი გოაცებული იყო, რადგან ასეთი რამ არასდროს ენახა, იდალგო სულ მისკენ იყურებოდა და ზოგჯერ ოხრავდა, რაც მარიტორნესსა და დიასახლისს ტკივილებისგან გამოწვეული ეგონა. ბატონი და მსახური ბედაურებზე შესხდნენ. დონ კიხოტმა მოიხმო მეფუნდუკე და მედიდურად მიმართა, ციხე-დარბაზის გამგებელო, მადლობელი ვარ, სამსახური რომ გამიწიეთ, იქნებ შევძლო სამაგიერო გადაგიხადოთ, მითხარით, მტერი ხომ არა გყავთ, ან ვინმე თავხედმა ხომ არ გაწყენინათ, გადავუხდი, რადგან: **„ჩემი წმინდა მოვალეობა-სასჯელის მისჯაა ყველა ბოროტთა და მოღალატეთათვის, სუსტთა და დავრდომილთა მფარველობა და შეწევნა“** [1,149]. რაინდმა დაიფიცა, არც ერთ თქვენს შეურაცხმყოფელს დაუსჯელად არ დავტოვებო. მეფუნდუკემაც მედიდურად და დინჯად მიუგო, შეურაცხმყოფელებს თვითონ მივხედავ, თქვენ კი, გთხოვთ, გადაიხადოთ იმ ქერის საფასური, ცხენსა და ვირს რომ აჭამეთ და თვითონაც ფუნდუკეში რომ დახარჯეთო. რაინდს გაუკვირდა, ნუთუ ეს ფუნდუკია, მე ციხე-სიმაგრე მეგონაო, საკვირველია, რომ შევცდი, გთხოვთ მომიტევოთ, მაგრამ სარაინდო კანონებს ვერ დავარღვევ, არსად წამიკითხავს, რომ მოგზაურ რაინდებს სადმე ფუნდუკეში ფული გადაეხადოთო. ვალის გადახდა მტკიცედ და მკაცრად მოსთხოვეს. იდალგომ გაუთლელი და სამაგელი მიკიტანი უწოდა თანამოსაუბრეს და პასუხს არც დალოდებია, როსინანტს დეუზი ჰკრა და ისე ჩქარა წავიდა, შეჩერება ვერ მოახერხეს. ბატონს არც მიუქცევია ყურადღება, მიჰყვა თუ არა მსახურიც. ახლა სანჩოს უბრძანეს დანახარჯი გადაეხადა, მაგრამ მან უარი განაცხადა, მისი აზრით, რაინდის მსგავსად, ისიც უპირატესობით სარგებლობდა, მეფუნდუკე ემუქრებოდა, მაგრამ ის მაინც თავისას ამბობდა. იმ დროს, იქ, საუბედუროდ, ოთხი ს ე

გოვიელი მატყლისმჩეჩავი, სამი კორდოვიელი გაიძვერა მენემსე და ორი სევილიელი ვირეშმაკა დალალი იყო. ხუმარა, დარდიმანდი და ოინზაზი ბიჭები გახლდათ. ისინი შეთქმულებივით მისცვივდნენ სანჩოს, ჩამოათრიეს ვირიდან, ერთმა მეფუნდუკის საბანი მოიტანა, დასვეს საბრალო საჭურველმტვირთველი მასზე, უკანა ფართო ეზოში გაიტანეს, სტუდენტები, კარნავალის დროს, ძაღლის ზევით სროლით რომ ერთობიან ხოლმე, ისე აისროლეს. სანჩომ ყვირილი მორთო, მისმა ხმამ გაქცეული ბატონის ყურამდე მიაღწია, თავიდან ეგონა ახალ ფათერაკს გადავეყარეო, მერე კი თავისი მსახურის ხმა გაარჩია, მოატრიალა ცხენი და ფუნდუკისკენ გაემართა, კარები დაკეტილი დახვდა, შემოუარა ეზოს, მაგრამ შესასვლელი ვერ იპოვა, კედელთან შეჩერდა და ამ დროს თვალი მოჰკრა სანჩოს ჰაერში აფრენ-ჩაფრენას, კედელზე გადაცოცება დააპირა, მაგრამ ისე იყო ნაცემი, ღონე არ შესწევდა, მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ თავისი მსახურის გამმასხარავებლებს აგინებდა, ლანძღავდა და ხმაღში იწვევდა, ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ, იცინოდნენ და თამაშს განაგრძობდნენ. მერე როდესაც დაილაღნენ, მოეშვნენ. მარიტორნესს შეეცოდა სანჩო, ცივი წყალი მიუტანა, დონ კიხოტმა დაუყვირა, ეგ არ დალიო, ხომ იცი, სასწაულთმოქმედი ბალზამი რომ მაქვსო. სანჩომ ალმაცერად შეუბღვირა, ჩემო ბატონო, ნუთუ დაგავიწყდათ, რომ რაინდი არა ვარ, ეგ დარდუბალა ბალზამი ეშმაკსა და ქაჯს შეუნახეთ, არ მჭირდებაო. მერე ხელადა მიიყუდა, მაგრამ მაშინვე მოიშორა, მარიტორნესს ღვინო სთხოვა. ქალმა თავისი ფულით უყიდა. საჭურველმტვირთველმა, კმაყოფილმა იმით, რომ ფული არ გადაუხდია, მეკარეს ჭიშკარი გააღებინა, მაგრამ სამგზავრო ჩანთა იქ დარჩა, რომელიც მეფუნდუკემ დანახარჯის ნაცვლად დაიტოვა.



თავი XVIII

სადაც მოთხრობილია სანჩო პანსას საუბარი მის ბატონთან და კიდევ საამბოდ ფრიად ღირსშესანიშნავი სხვადასხვა ფათერაკები

არაქათგამოლეული სანჩო, რომელიც სახედარს ძლივს მიერეკებოდა, თავის ბატონს წამოეწია. დონ კიხოტმა უთხრა, ახლა დავრწმუნდი, რომ ის ციხე-დარბაზია თუ ფუნდუკი, მოჯადოებულია, ხოლო ბოროტები, საბნით რომ გისროდნენ, შეიძლება მოჩვენებები ან საიქიოდან მოსულები იყვნენ, რადგან იქაურობას შესასვლელი ვერსად ვუპოვე, ცხენიდან ჩამოსვლაც კი ვერ მოვახერხე, ალბათ, მეც მომაჯადოვესო. სანჩომ უარყო, მოჩვენებები არ იქნებოდნენ, ურთიერთს სახელებით მიმართავდნენ, ერთს პედრო მარტინესი ერქვა, მეორეს-ტენორიო ერნანდესი, მეფუნდუკეს-ხუან პალომეკეცი. თქვენც მოჯადოებული არ იყავით, სხვა მიზეზია... „ამ უგზოუკვლო ხეტიალსა და დღე მუდამ ვაისაგან ვუის შეყრას, უკეთესი არ იქნებოდა, ჩემთვის შინისაკენ გავბრუნებულიყავით და ჩვენი საქმისათვის მოგვეკიდნა ხელი?...ახლა მკის

დროც არის“[1,153]. დონ კიხოტმა თავის საჭურველმტვირთველს „საბრალო“, „მიამიტი“ და „სარაინდო საქმეების უვიცი“ უწოდა და უთხრა: „ჩემი რწმენა იქონიე; იმედი გქონდეს, მოვა დრო, როდესაც კეთილშობილი რაინდობის დაუშრეტელს ბრწყინვალეებას შენი საკუთარი თვალებით დაინახავ“[1,153]. სანჩო მის სიტყვებს უნდოდ მოეკიდა, რაც მოგზაური რაინდი გახდით, ჩვენ არც ერთი ბრძოლა, გარდა ბისკაელთან შერკინებისა, არ მოგვიგია, მაშინაც ჩაჩქანი დაგემსხვრათ, ყური დაიზიანეთ, ჩვენს გვერდებს, იმის შემდეგაც, მუშტებისა და კეტების ბრაგუნი არ დაკლებიაო. რაინდმა დაამშვიდა მსახური, შეიძლება ბედის ვარსკვლავმა ისეთი ხმალი ჩამაგდებინოს ხელში, ა მ ა დ ი ს ი რომ ატარებდა, უჩინებულესი, სამართებელივით ბასრი იარაღიაო, რაზეც, სანჩომ, ისევ უიმედოდ მიუგო, კიდევაც რომ მოიპოვოთ იგი, შვება მაინც არ მომეცემა, ალბათ, ისიც, ბალზამის მსგავსად, მხოლოდ რაინდებისთვის იქნებაო გაჩენილი. ბატონმა ისევ დაამშვიდა: „ეგ შიში თავიდან მოიშორე როგორმე, სანჩო... მომავალში ზ ე ნ ა წყალობის თვალთ შენც მოგხედავს“[1,154].

დონ კიხოტმა, უეცრად დაინახა, რომ ქარს მათკენ დიდი მტვერი მოჰქონდა, აღფრთოვანდა და სანჩოს უთხრა, ბედი სიხარულს მიმზადებს, დადგა წამი, როდესაც ჩემმა მკლავმა მომეტებული ძალა უნდა იგრძნოს და ისეთი იღვაწოს, რომ სახელოვან წიგნებში, მომავალ საუკუნეთა დასამოდღვრად, ჩემი საქმეები აღიწეროს. სანჩომ შენიშნა, რომ მტვერი მეორე მხრიდანაც ჩანდა. ეგ მთელი ქვეყნიერების ნაკრები ჯარებისგანააო ადენილი, თქვა დონ კიხოტმა, მას გაუხარდა, ალბათ, დაპირისპირებულები, ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მიემართებიანო. სინამდვილეში, გზაზე ორი ც ხ ვ რ ი ს ფ ა რ ა მიდიოდა, სქელი მტვრის გამო, ვერ გაარჩევდი მათ. სანჩომ დაიჯერა დონ კიხოტის წარმოსახვა და ჰკითხა, ახლა როგორ უნდა მოვიქცეთ? რაინდმა მიუგო, ჩვენ უღონოებსა და დავრდომილებს უნდა დავუჭიროთ მხარი. რაინდმა თავის საჭურველმტვირთველს არარსებული მხედრების სახელები ჩამოუთვალა: პირდაპირ მომავალ ლაშქარს დიდი იმპერატორი, ალიფანფარონი, ტ რ ა კ ო ბ ა ნ ი ს* უზარმაზარი კუნძულის მფლობელი მოუძღვის, უკან მომავალს კი-მისი მტერი, გ ა რ ა მ ა ნ ტ ე ბ ი ს* მეფე, პენტაპოლინ „დამკლავებული“ წინამძღვრობს. ალიფანფარონი წარმართია, მას ქრისტიანი პენტაპოლინის მშვენიერი ქალი შეუყვარდა, მამას არ სურს წარმართს მიათხოვოს ასული, სანამ ჩვენს სარწმუნოებას არ მიიღებსო.

სანჩომ პენტაპოლინი გაამართლა და მისი მხარდაჭერის სურვილი გამოთქვა. მსახურის გადაწყვეტილება იდალგომ მოიწონა და უთხრა, ასეთ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი არ არის რაინდად იყოო დალოცვილი. სანჩო შეწუხდა, ბრძოლის პერიოდში ვირი სად უნდა დავმალო, რომ მერე ადვილად ვიპოვოო, რაზეც იდალგომ მიუგო, თავის ნებაზე გაუშვი, რომც დაგეკარგოს, ბრძოლის მერე იმდენი ცხენი დაგვრჩება, ერთ ბედაურს ამოირჩევ. შეიძლება როსინანტიც დავთმო, იმიტომ, რომ ალიფანფარონს ჰყავს კარგი ცხენი, ახლა კი ბორცვზე ავიდეთ, რადგან ორივე რაზმი იქიდან უფრო კარგად გამოჩნდებაო. ავიდნენ. დონ კიხოტი ცხვრებს საბრძოლო ასპარეზზე გამოსულ ჯარის ნაწილებად მიიჩნევდა, სარაინდო წიგნებიდან ამოკითხული გმირების სახელებს წარმოთქვამდა და მსახურს მოკლედ

უყვებოდა მათ თავგადასავლებს. მის სწავლას როგორც სწამდა, ისე ამბობდა: „ეს ჯარები, ჩვენ წინ რომ იშლებიან, მრავალი ერისა და ტომისაგან არიან შემგარნი“ [1,157]. საჭურველმტვირთველი თვალს აცეცებდა, იქნებ რომელიმე გოლიათი ვნახო, მერე დონ კიხოტს უთხრა, აქ ვერავის ვხედავ, ესენიც, გუშინდელი მოჩვენებისა არ იყოს, აჩრდილები ხომ არ არიან? რაინდმა შეუტია, ნუთუ ცხენების ჭიხვინი და დაფდაფების ხმა არ გესმისო, მსახურმა უპასუხა, მხოლოდ ცხვრების ბლავილია, მეტი არაფერიო. დონ კიხოტმა უსაყვედურა სანჩოს, შიშისაგან ყველაფერს უკუღმა ხედავ, ამიტომ მარტო დამტოვე, თვითონ გავამარჯვებინებ, ვისაც მივემხრობიო და ცხენი გააქანა. სანჩო უხმობდა, ევედრებოდა დაბრუნდიო, მაგრამ ამაოდ. რაინდი ყვირილით შევარდა შუა ფარაში, ცხვრებს დაერია, და როგორც მოსისხლე მტრებს, ისე დაუწყო ხოცვა. მეცხვარეები ემუდარებოდნენ, თავი დაანებეო, მაგრამ ვერაფერი რომ ვერ გააწყვეს, ქვების სროლა დაუწყეს, შურდულებით. ის მაინც ყვირილით იწვევდა მოწინააღმდეგეებს, საბრძოლველად. ამ დროს ქვა ისე მწარედ მოხვდა, რომ ეგონა მოკვდებო. გაახსენდა თავისი ბალზამი, ამოიღო ჯიბიდან, მაგრამ ახლა მეორე ქვა მოიჭრა ზუზუნით, ჭურჭელი გაუტეხა, ხსნარი დაიღვარა, ორი თითი დაეხეჭა, სამი თუ ოთხი კბილი ჩაემტვრა, მერე ცხენიდან ჩამოვარდა. მწყემსებმა, თავდაპირველად, დახმარება გადაწყვიტეს, მაგრამ გამოტოვებული დონ კიხოტი რომ დაინახეს, შეშინდნენ, ხომ არ მოკვდაო, შვიდი დახოცილი ცხვარი აიღეს და საჩქაროდ წავიდნენ. სანჩო ყველაფერს ბორცვიდან უცქერდა და იმ დღესა და საათს წყევლიდა, როდესაც იდალგოს მსახური გახდა. ჩამოვიდა, მივიდა თავის ბატონთან, ხომ გეუბნებოდით, რომ ცხვრის ფარაა—მეთქი. დონ კიხოტმა მიუგო, ჩემი მდევნელი ბოროტი, მაგრამ ბრძენი ჯადოქარი ოინებს ჩადის, იცის, რომ ბრძოლაში სახელს გავითქვამ და შურით მტრის ჯარი ცხვრის ფარად აქცია. თუ არ გჯერა, სახედარზე შეჯექი, ჩუმად აედევნე და დაათვალიერე, კარგა მანძილს გასცილდებიან თუ არა, მაშინვე რაინდებისა და მხედრების სახეებს მიიღებენო. დონ კიხოტმა სანჩოს სთხოვა, სანამ მათ კვალს გაჰყვებოდა, გაესინჯა, ბრძოლაში რამდენი კბილი ჩაუმტვრიეს მის ბატონს. საჭურველმტვირთველი მიუახლოვდა, ბატონის ყბების გასასინჯად დაიხარა, მაგრამ ბალზამმა სწორედ იმ დროს ავნო იდალგოს და ამოანთხია. სანჩოსაც იგივე დაემართა, ცოტა ხანში მსახური სახედრისკენ გაიქცა, ჩანთიდან პირის მოსაწმენდი ჩვრის ამოსატანად, თავისთვისაც და ბატონისთვისაც, მაგრამ ჩანთა არ დახვდა, „გინება და ბედის წყევლა დაიწყო და ბეჯითად გადაწყვიტა დონ კიხოტისათვის თავი დაენებებინა და შინ დაბრუნებულიყო, თუმცა ამით ჯამაგირსაც კარგავდა და დაპირებული კუნძულის ოდესმე მართვა-გამგეობაზედაც ხელს იბანდა“ [1,161]. ამასობაში იდალგო წამოდგა ფეხზე, როსინანტის აღვირს წაავლო ხელი და ვაი-ვაგლახით მივიდა საჭურველმტვირთველთან, რომელიც სახედარს დაღონებული დაყრდნობოდა, იდაყვით. ბატონმა დაამშვიდა იგი, კარგი დღეები გვექნება და ბედნიერებასაც მალე მივაღწევთო. მსახური დარდობდა, რომ ჩანთა გაქრა, ბატონი კი მასში მოთავსებულ დაკარგულ ლუკმაზე წუხდა, მაგრამ ისევ დააიმიდა საჭურველმტვირთველი, ღმერთი უიმედოდ არ დაგვტოვებსო. სანჩო პანსა მოიხიბლა მისი საუბრით და დონ კიხოტს უთხრა: თქვენ მოგზაურობა კი არა, მქადაგებლობა უფრო შეგეფერებოდათო, რაზეც იდალგომ მიუგო, რაინდებს, ძველ დროში, ყველაფერი უნდა სცოდნოდათ, შარაგზებსა

და სამხედრო ბანაკებში, საქადაგებლად იყვნენ ხოლმე გამოსული და პ ა რ ი ზ ი ს უნივერსიტეტის დოქტორებივით მარჯვედ ასრულებდნენ ამ საქმეს. სანჩომ საუბარი შეაწყვეტინა, ღამის გასათევი ადგილი უნდა მოვძებნოთო. ბატონმა მას მიანდო ეს საქმე, მერე ისევ სთხოვა, ზედა ყბა მეტისმეტად მტკივა და გამისინჯე, რამდენი კბილი შემრჩაო. მსახურმა მალე დაადგინა, ბატონს ორი კბილი და ნახევარი შერჩენოდა. სამწუხარო ამბის გაგებამ დონ კიხოტი დაადარდიანა. გაუდგნენ გზას. რაინდი, ძლიერი ტკივილების გამო, ნელა მიდიოდა, სანჩომ, თავისი დარდის გასაქარვებლად და ბატონის გასართობად, ბაასი დაიწყო.



თავი XIX

სანჩო პანსას გონივრული საუბარი თავის ბატონთან, მკვდარ კაცთან მომხდარი ფათერაკი და აგრეთვე სხვა ღირსშესანიშნავი ამბები

სანჩომ დონ კიხოტს უთხრა, ყველა უბედურება იმიტომ დაგვატყდა თავს, რომ რაინდობის წესს უღალატეთ და თქვენი აღთქმა არ შეასრულეთო. შეახსენა, ბევრჯერ „იცელქეთ“ და არასწორად მოიქეციეთო. იდაღომ დაუდასტურა, რომ მართლაც ასე იყო, აღთქმა დავივიწყე და შეცდომებს როგორმე გამოვასწორობო. ამ საუბარში, მოგზაურებს, შუა მინდორში დაუღამდათ და არ იცოდნენ სად წასულიყვნენ. ორივეს შიმშილი აწუხებდა. ბნელი ღამეში განაგრძობდნენ გზას, იქნებ სადმე ფ უ ნ დ უ კ ს მივადგეთო. მათ დაინახეს მრავალი ანთებული მაშხალა, რომელიც უთვალავ მოძრავ ვარსკვლავს მიამსგავსეს. სანჩო დაიბნა, დონ კიხოტს კი ჟრუანტელმა დაუარა. ორივემ შეაჩერა თავისი პირუტყვი და, ხმაგაკმენდილებმა, გაშტერებით დაუწყეს ცქერა შუქს, რომელიც თანდათან მატულობდა და ჩვენს გმირებს უახლოვდებოდა. დონ კიხოტმა მიიჩნია, ფათერაკი გვიახლოვდებაო. სანჩომ შეიცხადა, ვაითუ, ისევ მოჩვენებები არიანო. ბატონმა დაამშვიდა, ვინც არ უნდა იყოს, ძაფსაც ვერ შეგირხევენ, წინათ

იმიტომ ვერ დაგეხმარე გაჭირვებაში, რომ კედელზე გადმოცოცება ვერ მოვახერხე, ახლა, გაშლილ მინდორზე ვდგავარ და ხმაღს უფრო მარჯვედ შემოვიქნევო. ორივენი გავიდნენ გზის მეორე მხარეს და თვალთვალი განაგრძეს.

გამოჩნდა თეთრად შემოსილი ხალხი, ო ც ა მ დ ე ცხენოსანი, ხელში ანთებული მაშხალებით, რომელთაც შავებგადაფარებული საკაცე მოჰქონდათ. მათ მოსდევდათ შ ა ვ ტ ო ლ ო მ ე ბ ი ა ნ ი*, სავარაუდოდ, ჯორებზე მსხდარი კაცები (ექვსნი იყვნენ). „თეთრი მოჩვენებანი“ მიაბიჯებდნენ წყნარად და ჩუმი, მწუხარე ხმით, რაღაცას ბუტბუტებდნენ. ამის შემხედვარე სანჩოს შიშის ზარი დაეცა, მაგრამ დონ კიხოტს გამბედაობა მოემატა. იდალგომ გაიფიქრა, ან მძიმედ დაჭრილი რაინდი მიჰყავთ, ან მკვდარია, მისვენებენ და მათთვის სამაგიეროს გადახდა ჩემს მოვალეობას წარმოადგენსო. შუბი მოიმარჯვა და შუა გზაზე შეჩერდა. როდესაც მიუახლოვდნენ, შეუტია: რაინდებო, შესდექით, ვინა ხართ, საკაცით რა მიგაქვთ, მსხვერპლნი ან ბოროტების ჩამდენნი ხართ, ვალდებული ვარ, ან თქვენი გულისთვის ვიძიო შური, ან სამაგიერო მოგკითხოთ. ერთმა თეთრპერანგიანმა უპასუხა, სასაუბროდ არ გვცალია, ფ უ ნ დ უ კ ა მ დ ე უნდა მივიდეთ, გვეჩქარებაო და ჯორს დეზი ჰკრა, მაგრამ დონ კიხოტმა აღვირს წაავლო ხელი, დაუყვირა, ზრდილობა იქონიეთ და პასუხი გამეცით, თორემ ყველას ბრძოლაში გიწვევთო. მხდალი ჯორი ყალყზე შედგა, მერე წაიქცა და მხედარიც მოიყოლა. მგზავრების მსახურმა დონ კიხოტს გინება დაუწყო, რაინდი მივარდა ერთ შავსამოსიანს, ჰკრა შუბი და ჯორიდან ჩამოაგდო. მერე დანარჩენებსაც დაერია და, მგლოვიარე ხალხში, მარჯვედ აათოხარკა თითქოს ფრთაშესხმული, გაამაყებული როსინანტი. მგზავრები მხდალები და უიარალოები აღმოჩნდნენ. გაიფანტნენ, შავმოსასხამიანები ტოლომებში გაიხლართნენ, ამიტომ რაინდს არ გასჭირვებია მათთან ბრძოლა. დამარცხებულმა, საბრალო ადამიანებმა წარმოიდგინეს, რომ დ ო ნ კ ი ხ ო ტ ი ადამიანი კი არა, მათ დასასჯელად და მკვდრის წასართმევად, ჯ ო ჯ ო ხ ე თ ი დ ა ნ გ ა მ ო ვ ა რ დ ნ ი ლ ი ე შ მ ა კ ი იყო. სანჩო პანსას მოსწონდა თავისი ბატონის სიყოჩადე.

მიწაზე გამხლართული ერთი მგზავრის გვერდით ანთებული მაშხალა ეგდო, დონ კიხოტი დააკვირდა ჯორიდან გადმოგდებული მგზავრის სახეს, ყელზე შუბი მიაბჯინა და უთხრა, დამნებდი, თორემ მოგკლავო. წაქცეულმა მიუგო, ამაზე მეტად როგორ უნდა დაგნებდე, ადგილიდან დაძვრა არ შემიძლია, მგონი, ფეხიც მოვიტეხე, მაგრამ თუკი აზნაური ხართ და ქრისტიანი, ნუ მომკლავთ, რადგან მკრეხელობას ჩაიდნთ, პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოებული, სასულიერო წოდების ლიცენციატი ვარო. დონ კიხოტს გაუკვირდა, სასულიერო წოდების თუ ხარ, აქ რამ მოგიყვანაო. მგზავრმა მიუგო, რომ ჯერ მხოლოდ ბაკალავრია, ა ლ ო ნ ს ო ლ ო პ ე ს ი, ტომით ა ლ კ ო ბ ე ნ დ ა ს ე ლ ი. ის, თერთმეტ მღვდელთან ერთად, საკაცეზე სახადით გარდაცვლილ, დროებით ქალაქ ბაესში დასაფლავებულ აზნაურის ცხედარს, სეგოვიაში, საგვარეულო აკლდამაში, მისვენებენ, დასაკრძალავად. რაინდმა გადაიფიქრა სამაგიეროს გადახდა, ღმერთმა გამათავისუფლაო ამ მოვალეობისაგან. მან ლოპესს გააცნო თავისი თავი: „მე გახლავართ მოგზაური რაინდი, დონ კიხოტ ლამანჩელი, რომელმაც აღთქმა დავდე, კეთილს ვემსახურო, სიმართლე აღვადგინო და ბოროტი დავთრგუნო, რასაც

დაუცხრომლად დავებებ მთელ ქვეყანაზე მოგზაურობით“[1,168]. ლიცენციატმა მიუგო, არ ვიცი, როგორ თრგუნავთ ბოროტებას, ფეხი მომტეხეთ. ყველაზე დიდ უსამართლობას, რაც კი შეიძლებოდა თავს დამტეხოდა, თქვენთან შეხვედრა წარმოადგენსო. მან დონ კიხოტს სთხოვა, ჯორზე აფოფხვაში დამეხმარე, ფეხი უზანგში გამეხლართა და უნაგირზე მიმეჭეჭყაო. რაინდმა უსაყვედურა, დაუყვირა, რომ ასეთ გაჭირვებაში ყოფილა და ამაზე არაფერს ამბობდა. მერე სანჩოს დაუძახა დასახმარებლად, მაგრამ მსახური არ ჩქარობდა, აქეთ-იქით გაფანტული მოძღვრების ჩანთებიდან სანოვაგის ამოლაგებით იყო გართული. მალე მიუახლოვდა მათ, ბატონს დაეხმარა და ჯორქვეშ მოქცეული მგზავრი გაჭირვებით გამოიყვანეს, შესვეს თავის პირუტყვზე, მაშხალა მისცეს. რაინდმა ბერებთან ბოდიში დააბარა, სანჩო პანსამ კი დაუმატა, თუ დაინტერესდებიან იმის ვინაობით, ვინც გაფანტა ისინი ვაჟკაცურად, გადაეცით, რომ ეს არის სახელოვანი დონ კიხოტ ლამანჩელი, ანუ მ წ უ ხ ა რ ე ს ა ხ ის რ ა ი ნ დ ი. ბაკალავრი წავიდა. დონ კიხოტი დაინტერესდა, სანჩომ რატომ უწოდა მას ასეთი სახელი. საჭურველმტვირთველმა აუხსნა, მაშხალების შუქზე თქვენი სახე საცოდავი მეჩვენა, ალბათ, ცემა-ტყეპა რომ გამოვიარეთ, იმის ბრალია და ასე იმიტომ გიწოდეთო. იდალგო მის მოსაზრებას არ დაეთანხმა: „**იმ ბრძენმა, ვისაც ბედი ჩემთა ღვაწლთა აღწერას არგუნებს, საჭიროდ დაინახა, უწინდელ დროთა რაინდების მსგავსად, ჩემთვის რაიმე მეტსახელი მოეცა როგორც, მაგალითად, ერთს ერქვა: მ გ ზ ნ ე ბ ა რ ე მ ა ხ ვ ი ლ ის რ ა ი ნ დ ი, მეორეს მ ა რ ტ ო რ ქ ი ს ა, მესამეს ქ ა ლ წ უ ლ თ ა რ ა ი ნ დ ი, სხვებს კიდევ ფ ე ნ ი ქ ს ის ა, ფ ა ს კ უ ნ ჯ ი ს ა, ზოგს სიკვდილისა და სხვა...** ამ მეტსახელებით არიან ცნობილი ისინი მთელს ქვეყანაზე. ამიტომაც, ვფიქრობ, სანჩო, რომ ჩემმა მომავალმა ისტორიკოსმა ჩაგაგონა ეგ მეტსახელი, მწუხარე სახის რაინდი, გეწოდებინა ჩემთვის, და მეც ამიერიდან ამ სახელს ვირქმევ და მწადია პირველსავე შემთხვევაში ჩემს ფარზე რაიმე მწუხარე, კუშტი სურათი დავახატვინო. [1,169]. სანჩოს აზრით, არ იყო საჭირო რაღაც სურათზე ფიქრი, რადგან ვინც დონ კიხოტის გამომეტყველებას ნახავდა (შიმშილისა თუ რამდენიმე კბილის ჩამტვრევის გამო რომ აღებეჭდა სახეზე), ფარისა და სურათის გარეშეც მიხვდებოდა, რომ ეს სახელი შეეფერებოდა. დონ კიხოტმა მეტსახელი, საბოლოოდ, მისეულად ჩათვალა და ფარზე სურათის დახატვაც არ დაიშალა, მერე კი სანჩოს წინაშე თავი დაიდანაშაულა, მისი აზრით, ის ახლა ე კ ლ ე ს ი ის გ ა ნ გ ა ნ ყ ე ნ ე ბ უ ლ ი უნდა იყოს, რადგან სასულიერო პირს შუბით შეეხო, **ის, როგორც კათოლიკე ქრისტიანი, ყოველთვის პატივს სცემდა წმინდა საგნებს** და მათი შეურაცხყოფა კი არა მოჩვენებების შემუსვრა სურდა. დონ კიხოტმა მოისურვა გაეგო, მართლა გვამი იდო თუ არა საკაცეზე, მაგრამ მსახურმა დაუშალა, ხიფათმა მშვიდობიანად ჩაიარა და ეშმაკს ნუ აგულისებთ, ისინი გაფანტეთ, მაგრამ რომ შეგროვდნენ და კუდით ქვა გვასროლინონ? ჩვენს გზას გავუდგეთო. დაითანხმა რაინდი და ერთ მშვენიერ ველზე გავიდნენ დასასვენებლად.



არნახული და გაუგონარი გმირობა, რაც ამქვეყნად არც ერთ გამოჩენილ რაინდს უფრო მცირედი ხიფათით არ გადაუხდია, ვიდრე ეს ჩაიდინა სახელოვანმა დონ კიხოტ ლამანჩელმა

რაინდსა და საჭურველმტვირთველს მოსწყურდათ. სანჩომ ივარაუდა, ახლომახლო მდინარე ან ნაკადულია, რადგან მოლი ძალიანააო ამწვანებული. წყლის მოსაძებნად გასწიეს. ბნელი ღამე იყო, ჩანჩქერის ხმა მოესმათ, რომელსაც რკინისა და ჯაჭვის ჟღრიალის თავზარდამცემი, ძლიერი, ყრუ და ხანდაზმული ხმა ერთვოდა. შიმშილიცა და წყურვილიც გადაავიწყდა ორივეს. წაბლის დიდრონი ხეების ქვეშ მოხვდნენ, მაგრამ არ იცოდნენ სად იმყოფებოდნენ.

როსინანტზე ამხედრებულმა დონ კიხოტმა შუბი მოიმარჯვა, ფარი მიიფარა და სანჩოს უთხრა, რკინის საუკუნეში, ოქროს საუკუნის აღსადგენად უზენაესი სნებით დავიბადე ამ ქვეყანაზე, დიდებული საქმეები მომელის, მრგვალი მაგიდის რაინდები, საფრანგეთის თორმეტი დიდებული და დიდების ცხარა რაინდი მკვდრეთით უნდა აღვადგინო, უნდა დავავიწყო ქვეყანას წარსული დროის მრავალი მოგზაური (ბელიანისი, ალატირი, ფებოსი, ოლივანტი, ტირანი, ტაბლანტი და სხვა უთვალავი სიმრავლე წარსულთა დროთა დიდებული მოგზაური რაინდებისა) სახელი...

დონ კიხოტმა საჭურველმტვირთველს დაავალა, მოსართავები მოეჭირა როსინანტისთვის: „შენ აქ დარჩი, ღმერთი იყოს შენი მფარველი, სამდღე-ღამეს მელოდე და თუ ამ ხანში არ დავბრუნდი, მაშინ შინ წადი, მადლი ჰქენი და ერთი უკანასკნელი სამსახურიც გამიწიე: ტობოსოს მიდი და ჩემს უბადლო სატრფოს დულსინეს გადაეცი, რომ შენგან ტყვედქმნილი რაინდი სახელოვანი სიკვდილით მოკვდა“...[1,172]. მსახური რჩევას აძლევდა ხიფათისთვის აერიდებინა თავი: „ღვთის ღმობიერების გამოცდა რა საჭიროა თავ-პირის მტვრევით?“

სანჩომ ტირილი დაიწყო. ბატონი ამშვიდებდა: „ღმერთო, რომელიც ამ საშინელ და არნახულ საქმეზე მაქეზებს, მეც დამიფარავს და შენც განუგემებს.“ მსახური ცდილობდა დაერწმუნებინა ბატონი, გზას გადგომოდნენ: „სამშობლო და სახლ-კარი დავტოვე თქვენთვის, ცოლ-შვილი ღვთის ანაბარად დავყარე, რომ თქვენი მოწყალების მსახური გავმხდარიყავი, და რაღა თქმა უნდა, ამით მოგება მინდოდა და არა წაგება“ [1,173]. სანჩომ დასძინა, რომ მისი იმედები გაქარწყლდა, ეგონა კუნძულს მიიღებდა, მაგრამ ბატონი უკაცრიელ ადგილზე უპირებს მიტოვებას. მან რაინდს სთხოვა შეებრალეებინა თავისი საჭურველმტვირთველი, თუკი მაინც არ დაიშლიდა თავისას, დილაამდე მაინც მოეთმინა, რადგან, ალბათ, სამი საათი იქნებოდა დარჩენილი გათენებამდე. ბატონი მაინც თავისას არ იშლიდა. სანჩო მიხვდა, რომ ვერ დაარწმუნებდა დონ კიხოტს, ამიტომ ხერხს მიმართა, როსინანტს ვირის თოკით ჩუმად გაუხლართა უკანა ფეხები. რაინდი ცხენს რომ მოახტა, პირუტყვმა ჩვეულებრივი მოძრაობა ვერ შეძლო, ხტოდა. დონ კიხოტი როსინანტს უტევდა, სანჩო კი რჩევას

აძლევედა, ჩანს ღმერთმა ჩემი ცრემლები შეისმინა და პირუტყვს ნუ გაურისხდებით, თორემ ეს იგივეა, ბედი გაანაწყენოთო. რაინდმა ვერაფერი რომ ვერ გააწყო, გადაწყვიტა, გათენებას, ცისკრის გაღიმებას, თვალცრემლიანი დალოდებოდა. მსახურმა დაამშვიდა, ცხენიდან თუ ჩამობრძანდებით, თვალცრემლიანი არ იქნებით, რადგან ნაირნაირი ამბებითა და ზღაპრებით გაგართობთო. რაინდი გაუბრაზდა, როსინანტიდან ჩამოხტომა არ ისურვა, დასვენებას როგორ მთავაზობ, იმ განებივრებულ რაინდთაგანი არა ვარ, ფათერაკებისკენ სწრაფვის ნაცვლად, განცხრომაში რომ არიანო. სანჩომ მოუბოდიშა, საწყენად არ მითქვამს, გეხუმრეთო, თან, თანაბარი ბრახუნით შეშინებული, დონ კიხოტთან ახლოს იდგა. რაინდმა უთხრა, დაპირება შეასრულე და გასართობად რაიმე ისტორია მიაძებო. სანჩომ ზ ღ ა პ რ ი ს მოყოლა დაიწყო: „**იყო და არა იყო რა...მაღლი და სიკეთე ყველა სულიერსა და უსულოს და ბოროტი კი იმათ, ვინც მას დაეძებს**“...[1,175], ე ს ტ რ ე მ ა დ უ რ ი ს დაბაში ცხოვრობდა თხების მწყემსი, ლ ო პ ე რ უ ი ს ი, რომელსაც შეუყვარდა ზორბა, წითელლოყებიანი, აშარი, ცბიერი და ჭირვეული მწყემსი ქალი, მდიდარი კაცის შვილი, ტ ო რ ა ლ ბ ა, მაგრამ მწყემსმა ექვიანობის საფუძველზე შეიძულა იგი და გადაწყვიტა სადმე გადახვეწილიყო. ქალმა უფრო შეიყვარა იგი. მწყემსმა შეაგროვა თხები და ესტრემადურის მინდვრებისკენ გასწია, რათა იქიდან პორტუგალიაში გადასულიყო. ტორალბა ერთ ხელში ჯოხითა და მეორეში ფეხსაცმლებით, ფეხშიშველი, ზურგზე ჩანთააკიდებული დაედევნა. მწყემსი ადიდებული გ ვ ა დ ი ა ნ ი ს* ნაპირებს მიადგა. არც ნავი იყო სადმე და არც ბორანი, ის ძალიან გაბრაზდა, რადგან არ უნდოდა ტორალბა დაწეოდა და მისი ხვეწნა-მუდარა მოესმინა. მან მალე დაინახა მეთევზე, პატარა ნავით, რომელშიც მხოლოდ ერთი პირუტყვი და ერთი კაცი ეტეოდა, მორიგდნენ, რომ სამასი თხა გადაეყვანათ, რიგრიგობით...

მეთევზემ ჯერ ერთი თხა გადაიყვანაო, მერე მეორე, მესამე...

სანჩომ დონ კიხოტი გააფრთხილა, თვლა არ აგვეროისო, რითაც ბატონი ძალიან გააბრაზა, გადაყვანა-გადმოყვანას დაეთხოვე და ბარემ თქვი, ყველა გადაიყვანაო, თორემ, ის შენი თხები გაღმა ერთ წელიწადსაც ვერ მიაღწევენო. სანჩომ ჰკითხა, რამდენი გაიყვანაო? რაინდმა შეუტია, რა ვიციო, საჭურველმტვირთველმა უპასუხა, აკი ვთქვი, ანგარიში არ აგვერიოს-მეთქი, ზღაპარი დასრულდა და მისი გაგრძელება არ შეიძლებაო. დონ კიხოტი ამაზეც გაბრაზდა. მსახურს უთხრა, ზღაპარიც და მისი დაბოლოებაც უცნაურია, მაგრამ შენი ჭკუის პატრონისგან უკეთესს არც ველოდიო. სანჩომ მიუგო, ეს ისეთი ზღაპარია, რომ სწორედ ისეთ დროს უნდა დასრულებულიყო, როდესაც თხების სათვალავი შეგეშლებოდათო. დონ კიხოტმა თქვა, რაკი ასეა, ბარემ დასრულდეს და ის სჯობია, როსინანტი დავძრაო ადგილიდან, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბატონმა და მსახურმა საუბარში გაატარეს ღამე. სანჩომ ბორკილები შეხსნა როსინანტს. ცხენმა თავისუფლება რომ იგრძნო, ფეხების ბარტყუნი და ტოკვა დაიწყო, რაც რაინდმა სასიკეთო ნიშნად მიიჩნია და მაშინვე ფათერაკების საძიებლად გადაწყვიტა წასვლა, ისევ გამოემშვიდობა სანჩოს და უბრძანა სამი დღე დალოდებოდა, შეახსენა დულსინესთან მისვლის შესახებ, მერე დასძინა, ჯამაგირის თაობაზე არხეინად იყავი, შინიდან წამოსვლამდე ანდერძში ჩავწერე, რაც გერგება უკლებლივ

უნდა ჩაგაბარონ, თუკი ღმერთი გადამარჩენს, შენი თავი კუნძულის მფლობელად ჩათვალო. სანჩოს გული აუჩუყდა, ცრემლები მოადგა. ამით რაინდს გული მოუღობო, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა. დონ კიხოტი იქით გაემართა, საიდანაც რახარუხი და წყლის შხუილი ისმოდა. სანჩო ფეხდაფეხ მიჰყვა. ორივენი წაბლის ხეებს გასცდნენ და ფართო ველზე გავიდნენ. დაინახეს მაღალი კლდიდან გადმომქუხარი ჩანჩქერი. კლდის ძირში ნანგრევების მსგავსი უბადრუკი ქოხმახები იდგა, იქიდან გამოსულმა რახარუხის ხმამ და წყლის შხუილმა ადრე სანჩო, ახლა კი როსინანტი დააფრთხო. დონ კიხოტმა ცხენს დაუყვავა, შენობებთან მიიყვანა, თან ღმერთსა და სატრფოს ახსენებდა და შესთხოვდა ამ საშინელ წამებში დახმარებოდა. სანჩო ცნობისმოყვარედ იყურებოდა, აინტერესებდა, რა იყო ის, რამაც მთელი ღამის განმავლობაში საშინელ ფიქრებში ჩააგდო. სერვანტესი მოგვითხრობს, რომ ჩვენი გმირების შემაშფოთებელი საგანი სამთელავოს* ექვსი ჩარხის რიგ-რიგად დარტყმის რახუნ იყო. დონ კიხოტს ფერი ეცვალა, სანჩო პანსა დარცხვენილი იდგა, თან თავს ძლივს იკავებდა სიცილისგან. რაინდი დაღონდა, მაგრამ მსახურს რომ შეხედა, გაეღიმა. ამან გაათამამა საჭურველმტვირთველი და ახარხარდა, მაგრამ რაინდი მალე გაუბრაზდა, რადგან მსახურმა მისი ხმითა და კილოთი გაიმეორა თავის ბატონის ნათქვამი სიტყვები, ოქროს საუკუნის დაბრუნებაზე. სანჩო დასცინოდა. ბატონმა შუბის ტარი ორიოდეჯერ ღონივრად დაჰკრა მას. მსახურმა შესაბრალებელი ხმით დაამშვიდა გაბრაზებული იდალგო, გეხუმრებითო. იდალგომაც მსახურს მიტევება სთხოვა, გაბრაზების გამო. ერთმა თქვა, რომ უშიშარია, მეორემ კი ერთხელაც მოიხადა ბოდიში. მათი საუბარი გაგრძელდა, რაინდებზე, ბატონისა და საჭურველმტვირთველის დამოკიდებულებაზე, სარაინდო წიგნების პერსონაჟებსა და ჯამაგირზე.



თავი XXI

რომელიც მოგვითხრობს დიად ფათერაკებს მამბრანის ძვირფასი ჩაჩქანის დაპყრობას და მასთან სხვა ამბებს, ჩვენს უძლეველ რაინდს რომ შეემთხვა

წინწკვლა დაიწყო. სანჩოს სურდა სამთელავოს ქარხანას შეფარებოდა, მაგრამ დონ კიხოტს, წუხანდელი ამბის შემდეგ, იქაურობის ხსენებაც არ შეეძლო, მოატრიალა ცხენი და გზაზე გამოვიდა, საჭურველმტვირთველთან ერთად. დაინახა ცხენოსანი, რომელსაც თავზე რაღაც ბრჭყვიალა ეხურა. რაინდმა ჩათვალა, რომ ეს ის მამბრანის ჩაჩქანი იყო, რომლის გამოც ფიცი ჰქონდა დადებული. სანჩომ ურჩია, კარგად დაფიქრებულიყო, რადგან სულაც არ ეხალისებოდა სამთელავო საბეგვების მსგავსს შეყროდნენ. ბატონი და მსახური ერთხანს კამათობდნენ. საჭურველმტვირთველი არწმუნებდა, რომ ის კაცი სულაც არ იყო რაინდი და ლურჯა ცხენზე კი არა ვირზე იჯდა და თავზე მამბრანის ჩაჩქანი კი არა, რაღაც ბრჭყვიალა ეხურა. დონ კიხოტი გაბრაზდა და დაემუქრა თავის მსახურს, ისიც შეშინდა და გაჩუმდა.

ცხენოსანი იყო დალაქი, რომელიც ორ სოფელს ემსახურებოდა. მათგან, ერთ-ერთში, მომცროში, არც აფთიაქი იყო და არც დალაქი. სწორედ იქითკენ მიდიოდა, გზაზე წვიმამ მოუსწრო და კარგად გაწმენდილი, პრიალა, სადალაქო თითბრის თასი დაიხურა თავზე, ქული რომ არ გაფუჭებოდა. დონ კიხოტს ის ოქროსჩაჩქანიანი რაინდი ეგონა, მისი ვირი კი ლურჯხალებიან ცხენად მოეჩვენა. როგორც კი დალაქი მოუახლოვდა, მივარდა და შეჰყვირა, საცოდავო ქმნილება, დამიბრუნე ის, რაც კანონიერად მე მეკუთვნისო. მოულოდნელი რაღაც მოჩვენების შეტევით შეშინებული კაცი ვირიდან ჩამოვარდა, მერე წამოხტა და მინდვრისკენ მოკურცხლა. დაფეთებულს, სირბილში, თასი ჩამოუვარდა, დონ კიხოტსაც ეს უნდოდა, სანჩოს მოატანინა, მსახურმა ხელში აწონა თასი და თქვა, რვა რეალი ეღირებაო, მერე კი გადასცა ბატონს. რაინდმა „ჩაჩქანი“ თავზე დაიხურა, დიდხანს ატრიალა, რათა საყბურები ეპოვნა, მაგრამ ამაოდ, გაჯავრდა და წამოიძახა, ვისთვისაც ეს ჩინებული ჩაჩქანია გაკეთებული, კარგა მოზრდილი გოგრა ჰქონია, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ამ საგნისგან მხოლოდ ნახევარიო გადარჩენილი. სანჩომ სიცილი ვერ შეიკავა, მაგრამ გაახსენდა, რომ ბატონი გაუბრაზდებოდა და თავი შეიკავა. დონ კიხოტმა სიცილის მიზეზი რომ ჰკითხა, უპასუხა, ეს ჩაჩქანი ისე ჰგავსო დალაქის თასს, როგორც წყლის წვეთები ერთმანეთს. რაინდმა მიუგო, მიმაჩნია, რომ ეს ჩინებული, მოჯადოებული ბაჯადლო ოქროს საგანი ისეთ ბრიყვს ჩაუვარდა ხელში, რომ არ იცოდა მისი ღირსება, ნახევრად გადაუდნია და ფულად უქცევია, ამიტომ დამსგავსებია თასს. ამას სოფლის მჭედელს ისე გადავაკეთებინებ, რომ ბრძოლის ღმერთისთვის გამოკვერილ ჩაჩქანს არ ჩამოუვარდეს, მანამდე კი, სადმე ქვებს თუ დამიშენენ, დამიცავსო. სანჩო დაეთანხმა, დაგიცავთ, წელანდელივით ფათერაკებს თუ არ გადაეყრებითო. გაახსენდა შურდულებს როგორ ესროდნენ, თავის ბატონს როგორ დაუნგრის ყბები და ბალზამის ჭურჭელიც როგორ დაუმსხვრიეს, არც ის დავიწყებია, თვითონ „მეჩვენებულ საბანზე“ როგორ ახტუნავეს. რაინდმა თქვა, რომ არ აწუხებს ბალზამის ამბავი, რადგან მისი შემადგენლობა კარგად ახსოვს (რაზეც მსახურმა მიუგო, რომ არასდროს არ გაეკარებოდა ამ სიტხეს, არც დასჭირდებოდა, რადგან არ აპირებდა რაიმე ხიფათში თავის ჩაგდებას), რაც შეეხება საბნით „ფრენას“, ეგ, იდაღოს აზრით, ხუმრობა იყო და სანჩო ცუდი ქრისტიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რადგან წყენა ვერ დაივიწყა. საჭურველმტვირთველმა უპასუხა, დაე, იყოს ხუმრობა, უკვე ვეღარას ვშველი, ახლა კი მაინტერესებს, რა ვუყო იმ გაქცეული ადამიანის ლურჯა ცხენს, გაჭრილი ვაშლივით რომ სახედარს ჰგავს, არა მგონია, პატრონი დაბრუნდეს, ეს პირუტყვი ნამდვილად დასაწუნი არ არისო. რაინდმა თქვა, მე ჩვეულებად არა მაქვს, დამარცხებული გავმარცვო, რაინდების წესს ის არ წარმოადგენს, მოწინააღმდეგეს ცხენი წაართვან, ამიტომ „ეგ ვირი თუ ცხენი (თუ რაც არის)“ დატოვე, პატრონი რომ ვერ დაგვინახავს, უეჭველად დაბრუნდება. დონ კიხოტმა სანჩოს მარტო კურტნის გაცვლის უფლება მისცა. მსახურმა ვირი მორთო, მოკაზმა, მერე, ორივენი, წმინდა მამებს რომ საგზალი წაართვეს, იმას შეექცნენ, ზედ სამთელავო მანქანების საბეგვებს რომ არახუნებდა, იმ წყაროს წყალს აყოლებდნენ. დანაყრდნენ და ისევ გაუდგნენ გზას. მსახურმა სთხოვა თავის ბატონს, დამრთე ნება, რომ ვისაუბროო: „რაც მდუმარება მიბრძანეთ, მას აქეთ ჩემს კუჭში ოთხი მშვენიერი ამბავი ჩაღპა“... დონ კიხოტმა მისცა უფლება, ოღონდ

ლაკონიურად უნდა ესაუბრა. სანჩომ ურჩია ბატონს, რომელიმე იმპერატორთან ან ხელმწიფესთან ემსახურა, თავს გამოიჩენდა, მისი ღირსებები დაფასდებოდა, დააჯილდოვებდნენ, მწიგნობარნი ყოველივეს აღწერდნენ, რაინდის გმირობის ამბები შთამომავლობას გადაეცემოდა(საჭურველმტვირთველის საქმეების აღწერა რომ ჩვეულებად იყოს მიღებული, მასაც მიაპყრობდნენ ყურადღებას), უდაბურ ადგილებში კი ფათერაკების ძიება არაა ხელსაყრელი, იდალგოს ღვაწლი დავიწყებას მიეცემა, რადგან ვერავინ ნახავს. რაინდმა მიუგო, სანამ იქ ამოვყოფთ თავს, სადაც შენ მოგსურვებია ყოფა, მანამ ქვეყნიერებაზე ცოტაოდენი ხეტიალია საჭირო, რათა სახელი მოვიხვეჭოთო.

იდალგომ ვრცლად ისაუბრა, იმაზე, თუ როგორ შეიძლება მიაღწიოს რაინდმა პატივსა და დიდებას, გაიხსენა გარდასული დროის გმირები, ლამაზად აღწერა მოსალოდნელი სამიჯნურო შემთხვევები, მეფის მშვენიერი ასულის გულის დასაპყრობად. მოგზაურები ოცნებებში ჩაეფლნენ, სანჩომ იდალგოს უთხრა, შეეცადეთ მეფობას მიაღწიოთ და მეც გრაფი გამხადოთო. რაინდმა მიუგო, იმედი მაქვს, ყოველივეს მივაღწევო.



თავი XXII

თუ როგორ უბოძა დონ კიხოტმა თავისუფლება მრავალ უბედურს, რომელთაც იძულებით მიერეკებოდნენ იქითკენ, საითაც სრულიადაც არ უნდოდათ წასვლა

დონ კიხოტმა, გზაზე, ქვეითად მიმავალი ხალხი დაინახა, თორმეტიოდე ხელებშეკრულ, კრიალოსნის მარცვლებივით ერთ ჯაჭვზე მიბმულ, კისერზე რკინისრგოლებგადაცმულ ადამიანს ორი ცხენოსანი და ორი ქვეითი კაცი მისდევდა. ცხენოსნებს თოფები ეპყრათ, ქვეითებს–ხმლები და შუბები. სანჩომ წამოიძახა, კატორღელთა გუნდია, მეფის მონები არიან და გალერეზე* სამუშაოდ მიჰყავთო. დონ კიხოტმა გაიკვირვა, ნუთუ მეფე ვინმეს იძულებით ამუშავებსო. სანჩომ განუმარტა, დანაშაულის ჩამდენები უნდა ემსახურონო. იდალგომ თქვა, სულერთია, ამ ადამიანებს მიერეკებიან და ისინიც ძალდატანებას ემორჩილებიან, ჩემი მოვალეობაა,

უბედურებს ვუშველო და ძალმომრეობა მოვსპოო. სანჩო გაოცდა, ბატონო, ნუ დაივიწყებთ, რომ მართლმსაჯულება (იგივე მეფე) არც ძალმომრეობს და არც არავის შეურაცხყოფს, ის დამნაშავეებს სჯისო. ამასობაში მათ კატორღელთა ჯგუფი მიუახლოვდა. დონ კიხოტმა ერთი ცხენოსნისგან გაიგო, რომ ეს ადამიანები მის უდიდებულესობის ზედამხედველობის ქვეშ არიან და გალერებზე მიჰყავთ. რაინდმა დაჟინებით მოითხოვა, თითოეულის დანაშაულის შესახებ მიაშვეთო. მეორე ცხენოსანმა უთხრა, თან გვაქვს ამ უბედური კატორღელების სია და საბუთები, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, მაგრამ არ გვცალია, რომ წაგიკითხოთ, მიბრძანდით და თვითონ მათ ჰკითხეთო. დონ კიხოტი მიუახლოვდა კატორღელებს. ერთმა უთხრა, თეთრეული მოვიპარეო, მეორე, საქონლის ქურდი იყო, მესამე ბატონ გ უ რ ა კ ე ბ ს* უნდა მოემსახუროს, იმის გამო, რომ ათიოდე დ უ კ ა ტ ი* არ ჰქონდა, მეოთხე დამნაშავე ატირდა და მის ნაცვლად სხვა ტუსადმა თქვა, ეს შუამავლობდა და ოდნავ ჯადოსნობდაო კიდევაც. ამასობაში, დონ კიხოტმა, სხვა ტუსაღსაც ჰკითხა დატყვევების მიზეზი. მან უპასუხა, რომ თავის ორ ბიძაშვილ ქალთან და კიდევ ორ სხვის ბიძაშვილთანაც „იციელქა“, რასაც „დახლართული ნათესაობის მატება“ მოჰყვა და საქმე გამჟღავნდაო. იქვე ერთი ო ც დ ა ა თ ი ო დ ე წლის ტუსადი მიმოდიოდა, რომელიც, სხვებთან შედარებით, უფრო მკაცრად იყო შებოჭილი. დონ კიხოტი დაინტერესდა, რა ჩაიდინა მან. დარაჯმა უპასუხა, ეს ვაჟბატონი, გამორჩენილი ხ ი ნ ე ს დ ე პ ა ს ა მ ო ნ ტ ე (მეტსახელად ხინეს დე პარაპილია), ათი წლითაა გალერებზე გაგზავნილი, რაც სიკვდილის ტოლფასიაო. ხინესი გაბრაზდა, სახელს მიმახინჯებთო. დონ კიხოტმა გაიგო, რომ ამ კატორღელმა სატუსაღოში დაწერა წიგნი: **„ცხოვრება ხინეს დე პასამონტესი“**, რომელიც იქვე ორას რეალად დააგირავა და გამოხსნას აპირებს, გალერებზე მეორედ მიემგზავრება, სასჯელის მოსახდელად, მაგრამ არ ნანობს, რადგან საკმაო დრო ექნება წიგნის დასასრულებლად, მან იცის რაზე წეროს. იდალგომ შეაქო, გეტყობა მახვილი გონება გაქვს და მარჯვე ბიჭი ჩანხარო. პასამონტემ მიუგო, მახვილ გონებას უბედურება დევნისო, რაზეც კომისარმა მიუგო, უბედურება ავაზაკთა მდევნელიაო. ხინესმა უპასუხა, ბატონო კომისარო, ფრთხილად იყავით, ბატონმა მოხელეებმა შავი ჯოხი უბედურთა დასაჩაგრავად კი არა, ადგილამდე მისაცილებლად მოგცეს: **„ოდესმე კატას მოჰკითხავენ თავის ცრემლებს“**... კომისარმა პასამონტეს ჯოხი მოუქნია, მაგრამ დონ კიხოტმა ხელი აუკრა და სთხოვა ჩხუბი არ აეტეხათ და დამნაშავე არ ეცემათ, მერე დანარჩენ ტუსაღებს მიუბრუნდა და მიმართა, ვხედავ, საკუთარი შეცდომების გამო დაჩაგრულხართ, გალერებზე თქვენი სურვილის წინააღმდეგ მიდიხართ, ზოგიერთს, ჩვენების მიცემისას, გაუბედაობა გამოგიჩენიათ, ზოგს ფული არ ჰქონია, ზოგს უბედურება დამართნია, რაც მსაჯულის შეცდომითა და მიკერძოებით დამთავრებულა, თქვენ წინაშე სიმართლის კარი დახშულა, ამიტომ იძულებული ვარ, ყველას დავანახვო, რისთვის ვარ ამქვეყნად წარმოგზავნილი, განგების ნებით, რაინდთა გუნდში ჩარიცხული, რომელმაც ფიცი დავდე, ყველა დევნილისა და დავრდომილის შემწე ვიყო... რაინდმა სთხოვა დარაჯებსა და კომისარს ტუსაღებისათვის ბორკილები შეეხსნათ და მათთვის მშვიდობის გზები ესურვებინათ, დაე, თითოეულს თავისი ცოდვებისთვის თვითონვე გაეცა პასუხი. კომისარმა შეჰყვირა, სულელური ხუმრობა და აბდაუბდა უწოდა დონ კიხოტის ნათქვამს, აღნიშნა, რომ

ტუსაღთა გაშვება არ შეეძლოთ, რაინდი გააფრთხილა, კმარა თავის აგდება, თქვენს გზაზე წადით, ეგ თასიც თავზე გაისწორეთო. იდაღო გაბრაზდა, მივარდა კომისარს და მიწაზე გაშხლართა. დარაჯები გაოცდნენ, დაიბნენ, მერე გონს რომ მოეგნენ, ცხენოსნებმა ხმლები იძრეს, ქვეითებმა შუბები მოიმარჯვეს და დონ კიხოტს შეუტიეს. ამ დროს ტუსაღებმა ჯაჭვების მტვრევა დაიწყეს. დარაჯები ხან დონ კიხოტისკენ გარბოდნენ, ხან ტუსაღებისკენ, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. სანჩომ პასამონტე გაათავისუფლა, მივარდა მიწაზე გაშხლართულ კომისარს, ხელიდან მაჟარო და ხმალი გამოსტაცა, ხან ერთს უმიზნებდა, ხან მეორეს. დარაჯები მიიფანტ-მოიფანტნენ. სანჩოს შეეშინდა, გაქცეულ დარაჯებს ეს ამბავი არ ეცნობებინათ სანტა ჰერმანდადისთვის და იმასაც მდევარი არ დაედევნებინა მათთვის. საჭურველმტვირთველი შეევედრა დონ კიხოტს, მალე გასცლოდნენ აქაურობას, მაგრამ რაინდმა გაათავისუფლებულ ტუსაღებს მოუხმო და მიმართა: სიკეთე მოგმადლეთ და გთხოვთ, ყველანი ერთად, კისერზე ჯაჭვდადებულნი, ტობოსოში ეახლოთ დულსინეს, ჩემგან, მწუხარე სახის რაინდისგან, უღრმესი პატივისცემა გადასცეთ და დაწვრილებით უამბოთ ამ შესანიშნავ ფათერაკზე. ხინეს პასამონტემ მიუგო, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ყველა გაათავისუფლებულს საკუთარ თავზე უნდა ეზრუნა, გზებზე არ უნდა გამოჩენილიყვნენ, რადგან სანტა ჰერმანდადს გადაეყრებოდნენ. უმჯობესი იქნება: „გვიბრძანეთ - რამდენჯერმე წავიკითხოთ Ave Maria და Gredo. ასეთი მადლობის გადახდა იმითაა კარგი, რომ დღისითაც შეიძლება და ღამითაც, სირბილშიც და მოსვენებაშიც, მშვიდობასა და ომშიც“[1,208]. დონ კიხოტი განრისხდა, შეჰკვივლა, დონ უმაქნისო, დონ ხინესილიო დე პარაპილიო თუ ეშმაკმა იცის, კიდევ რა გქვიათ, მარტო თქვენ უნდა წახვიდეთო კუდამომუებული, კისერზე ჯაჭვშემოხვეული და თავმოდრეკილი. გულფიცხი პასამონტე მიხვდა, რომ იდაღოს თავში უქროდა, მან მეგობრებს თვალით ანიშნა და მალე იმდენი ქვა ესროლეს, რომ ფართო ძლივს ასწრებდა მოგერიებას. სანჩო სახედარს ამოეფარა. რაინდი მიწაზე გაიშხლართა. მას სტუდენტი ტუსაღი მივარდა, თასი მოხადა, მიწაზე დაახეთქა და დაამსხვრია, შემდეგ, ამხანაგების დახმარებით, აბჯარზემთ ჩაცმული ტანსაცმელი გახადა, წინდების წართმევაც სურდა. სანჩოც გამარცხვეს, მარტო ქვედა სამოსის ანაბარა დატოვეს, მერე ნადავლი გაიყვეს და სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. ბრძოლის ველზე დარჩნენ: დონ კიხოტი, სანჩო პანსა, სახედარი და როსინანტი. სანჩო სანტა ჰერმანდადის შიშით ცახცახებდა, დონ კიხოტს კი ის სტანჯავდა, რომ: „მის მიერ გაბედნიერებულმა ადამიანებმა ასე უმადურად გადაუხადეს სიკეთე“[1,309].



თავი XXIII

თუ რა შეემთხვა სახელოვან დონ კიხოტს სიერა მორენაში, ანუ ერთ-ერთი ყველაზე საიშვიათო ფათერაკი, რაც მოთხრობილია ამ ნამდვილს ისტორიაში

დონ კიხოტმა თავის საჭურველმტვირთველს უთხრა, უმაქნისისთვის სიკეთის ჩადენა ზღვაში წყლის ჩასხმის მსგავსია, შენთვის რომ დამეჯერებინა, უსიამოვნებას ავცდებოდი, ახლა კი ის დაგვრჩენია, რაც შეგვემთხვა, სასარგებლო გაკვეთილად მივიჩნით. სანჩომ მიუგო, ახლა მაინც დამიჯერეთ, რათა უარესი არაფერი დაგვემართოსო. მსახურმა შიშით ახსენა სანტა ჰერმანდადის სახელი, რაზეც დონ კიხოტმა მხდალი უწოდა, თან დასძინა, ერთი პირობით დაგიჯერებ, არავის უთხრა, რომ მე, თითქოს, განსაცდელს მოვერიდე, თორემ მატყუარას გიწოდებო. სანჩომ მიუგო, გაცლა გაქცევა როდია, მაგრამ არც იმაშია დიდი სიბრძნე, ისეთ მტერს ველოდო, ვისთან შესახვედრადაც ღონე არ შემწევსო.

დონ კიხოტმა დაუჯერა საჭურველმტვირთველს, მისი წინამძღოლობით იქვე, ახლოს მდებარე, ს ი ე რ ა-მ ო რ ე ნ ი ს ხეობისკენ გაემართა. სანჩოს სურდა ვ ი ს ო შ ი ან ა ლ მ ო დ ო ვ ა რ დ ე ლ კ ა მ პ ო შ ი წასულიყვნენ და რამდენიმე დღის განმავლობაში მთებში დამალვოდნენ სანტა ჰერმანდადს. უხაროდა, რომ მძარცველებს მისი ჩანთა გადაურჩა.

რაინდი და მისი მსახური საღამოს სიერა-მორენაში მივიდნენ. სანჩომ გადაწყვიტა, აქ რამდენიმე ღამე დარჩენილიყვნენ, სანამ საგზალი ეყოფოდათ. ღამის გასათევად, ორივენი, მუხებს შორის, ორ კლდეს შუა გაჩერდნენ, მაგრამ, საუბედუროდ, აქ დონ კიხოტის მიერ ტუსაღობიდან გათავისუფლებული, სანტა ჰერმანდადის შიშით ატანილი, სახელოვანი გაიძვერა ქურდი, ხინეს დე პასამონტეც მოვიდა, რათა მთებში დამალულიყო. ის ჯერ კიდევ დღისით მოეყვანა აქ შიშს. გაიძვერამ იცნო ჩვენი ფათერაკების მაძიებელნი და გადაწყვიტა მათ დამინებას დალოდებოდა, რათა სანჩოს ვირი მოეპარა, როსინანტი უხეიროდ მიაჩნდა, არ მოსწონდა, არც გასაყიდად გამოადგებოდა, არც დასაგირავებლად. ხინესმა, მართლაც, მოიპარა სახედარი. დილით, სანჩომ თავისი ლურჯა რომ ვერ იპოვა, ტირილი და მოთქმა დაიწყო. დონ კიხოტმა დაამშვიდა, მოთმინება იქონიე და ხელწერილს მოგცემ, ჩემი თავლიდან სამი ჩოჩორი გაჩუქონო. საჭურველმტვირთველი დაწყნარდა და წყალობისათვის დონ კიხოტს მადლობა გადაუხადა.

მოგზაურებმა სვლა განაგრძეს. მთების სიღრმეში შესვლამ დონ კიხოტი გაახალისა, მისი აზრით, ასეთი ადგილები ფათერაკებისთვის იყო ხელსაყრელი. სანჩომ უშიშარ ადგილას რომ დაიგულა თავი, ბერებისაგან ნადავლი საგზლით მუცლის ამოვსებაზე დაიწყო ფიქრი. თავის ბატონს ქვეითად მისდევდა და ყველა ის ბარგი ჰქონდა აკიდებული, რასაც თავისი სახედარი მიათრევდა, თან, ნელ-ნელა, ჩანთიდან ამოჰქონდა სანოვაგე და ჭამდა. ამ დროს შენიშნა, დონ კიხოტი შუბის წვერით რაღაც ნივთის აღებას ცდილობდა. ეს იყო პატარა ჩანთა, ზედ მიკრული მძიმე ჩემოდნით. სანჩომ ჩამოართვა იგი. თავისი ბატონის ბრძანებით, დახვრეტილი და ნახევრად დამპალი ჩემოდანი გახსნა. შიგ წმინდა ტილოს ოთხი ჰოლანდიური პერანგი, სხვადასხვა კოხტა ტანისამოსი და ხელსახოცში გამოკრული ოქროს ფული იყო ბლომად. საჭურველმტვირთველმა მადლი შესწირა ღმერთს, ასეთი ფათერაკის

გამოგზავნისთვის. გულმოდგინე ჩხრეკის შემდეგ, უბის ძვირფასყდიანი წიგნაკიც აღმოაჩინა. ბატონმა უთხრა, ეგ მე მომეცი, ფული კი შენ გქონდესო. სანჩოს გაუხარდა და ჩემოდნიდან თავის სანოვაგიან ჩანთაში თეთრეულიც გადაალაგა. რაინდმა თქვა, შესაძლოა ეს ნივთები ვინმე მგზავრისა იყოს, უთუოდ ამ მთებში გზა აებნა, შემდეგ, ალბათ, ავაზაკები გადაეყარნენ, მოკლეს და აქ სადმე დამარხესო. სანჩომ ბატონის ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა, შეუძლებელია, რადგან ავაზაკები ფულს არ დატოვებდნენო. დონ კიხოტი დაეთანხმა და თან გაიკვირვა, მაშ, რა უნდა ყოფილიყო. გადაშალა უბის წიგნაკი, იქნებ ამოვხსნა საიდუმლო და სწორ გზაზე დაგვაყენოსო. ის შავი მელნით ლამაზად დაწერილი სონეტით იწყებოდა. რაინდმა ხმამაღლა, სანჩოს გასაგონად, დაიწყო კითხვა. ლექსში ა მ უ რ ი და ფილი იყო მოხსენიებული, ავტორი აღნიშნავდა, რომ ახლოს იყო სიკვდილი. მსახურმა ბევრი ვერაფერი გაიგო. რაინდმა აუხსნა, უეჭველად, ფ ი ლ ი ქალის სახელია, ამის დამწერის სატრფოს ერქმეოდა, კარგი მოლექსე ყოფილა, თუკი ლექსებისა რაიმე გამეგებო. სანჩომ გაიკვირვა, რომ მისი ბატონიც, თურმე, ლ ე ქ ს ე ბ ს წ ე რ ს. რაინდმა უთხრა, დულსინე ტობოსელთან ლექსად დაწერილ წერილს გაგატან და ამაში დარწმუნდებო. დონ კიხოტის თქმით, მოგზაურ რაინდთა უმეტესობა ტ რ უ ბ ა დ უ რ ი* იყო, ესე იგი, სახელოვანი პოეტი და მოსაკრავე. ეს ორი ტალანტი, ანუ ზეციური ნიჭი, მოგზაური რაინდებისთვის აუცილებელიაო. საჭურველმტვირთველმა სთხოვა, კითხვა განაგრძე, იქნებ ჩვენთვის საყურადღებო კიდევ რაიმე ეწეროსო. დონ კიხოტმა განაგრძო. ავტორი ჩიოდა, რომ სატრფოს ფიცისა და დაპირების სიცრუემ ის ისეთ ადგილას გადაკარგა, რომ სიკვდილი ახლობელი იყო მისთვის. მოხიბლულ ავტორს, ქალის მშვენიერებაზე ფიქრი, მისმა უსაქციელობამ გაუქარწყლა, მან უფრო მდიდარი კაცი არჩია. წერილის ავტორი ვილაცას „აღშფოთების მიზეზს“ უწოდებდა. დონ კიხოტმა ივარაუდა, ამის დამწერი, ალბათ, უარყოფილი მიჯნური უნდა იყოსო. წიგნაკში რამდენიმე წერილი და ლექსი ეწერა. ყოველ მათგანში ჩივილი და მწუხარება ჩანდა, ავტორი სათნოებას ადიდებდა, სისასტიკესა და ვერაგობას გმობდა.

სანჩო ყველა ადრინდელ დამარცხებასა და დანაკარგს შეურიგდა, რადგან ნაპოვნი ოქრო დონ კიხოტმა მას აჩუქა. მანაც გაჩხრიკა ჩემოდანი. მწუხარე სახის რაინდი განიცდიდა იმას, რომ არ იცოდა, ვისი იყო ნაპოვნი ნივთები, ამ უდაბურ ალაგას ამის გაგება შეუძლებელი იყო. დარწმუნებულმა, რომ უეჭველად რაიმე ფათერაკს გადაეყრებოდა, გზა განაგრძო. უცებ, ჯაგნარში, ვილაც უქუდო, ფეხშიშველი, აბურძგნულწვერიანი კაცი დაინახა, მას დაგლეჯილი, მოწითალო ხავერდის შარვალი ეცვა, კაცი მარდად მიხტოდა, დონ კიხოტმა იფიქრა, შეიძლება ეს იმ ნაპოვნი ნივთების პატრონიაო და სანჩოს უთხრა, გორაკს შემოვუაროთ, იქნებ ვიპოვოთო. სანჩომ ურჩია, თავი დავანებოთ, ჩემოდნის პატრონი რომ აღმოჩნდეს, ოქროების დაბრუნება მოგვიწევსო. დონ კიხოტმა მიუგო, მოვალენი ვართ, მოვძებნოთ და მისი კუთვნილი ნივთები დავუბრუნოთო. ორივემ მთას შემოუარა, ერთი ნაკადულის სანაპიროზე მკვდარი ჯორი ნახეს, ამან უფრო დაარწმუნა ისინი, რომ ნანახი კაცი ჯორისა და ნაპოვნი ჩემოდნის პატრონი იყო. მალე მათ მოესმათ სტვენის ხმა, ეს თხების მწყემსი იყო, დონ კიხოტმა ჰკითხა, ჯორის თაობაზე ხომ არაფერი იცოდა და ჩემოდანიც ახსენა, ვიპოვეთო, რაზეც მწყემსმა მიუგო, ეგ მეც ვნახე, მაგრამ ხელი არ ვახლე, შემემინდა

ქურდობა არ დაეწამებინათო. სანჩომაც თქვა, მეც ხელი არ მიხლიაო. რაინდმა მწყემსს ჰკითხა, ხომ არაფერი იცით, ნივთების პატრონი ვინ შეიძლება იყოსო. მწყემსმა მათ უამბო შემდეგი: ექვსი თვის წინათ, ჩვენს ქოხებს მოადგა თვალტანადი ჭაბუკი ჯორითა და ჩემოდნით, გვთხოვა მიუდგომელი ადგილი მიგვესწავლებინა, ჩვენც ეს ხეობა ვუჩვენეთ, მას შემდეგ მასზე არაფერი ვიცოდით. ახლახან ერთ მწყემსს შეხვდა, თურმე, სცემა, მერე სახედარს მივარდნია, ხურჯინიდან პური და ყველი ამოულაგებია და შველივით გავარდნილა ტყეში. შევიკრიბეთ და გავემართეთ მის მოსაძებნად. ორი დღე დავდიოდით, დიდი მუხის ფულუროში დაფლეთილი ტანსაცმლით ვიპოვეთ. მან ალერსიანად დაგვიკრა თავი და გვითხრა, ჩემი ასეთი ყოფა არ გაგიკვირდეთ, აღთქმული მაქვს, მრავალი ცოდვა მაქვს და მოვინანიოო. შემდეგ ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ ჩვენს ერთ–ერთ ამხანაგს ცუდად მოექცა. დაიფიცა, როცა მოშივდებოდა, ძალით არავის წაართმევდა საჭმელს. მან თავისი საცხოვრებელი ადგილი არ დაასახელა, სადაც მილამდება, იქ ვათენებო, მერე დაიწყო ტირილი და გამმაგებული მივარდა ერთ–ერთ ჩვენს ამხანაგს, ძლივს წავართვით ხელიდან, ყვიროდა: მოღალატე ფ ე რ ნ ა ნ დ ო, გაგისწორდებო. შემდეგ კი ჯაგებსა და კლდეებში მიიმალა. ის, დღესაც, მშვიდობიანად როდი ითხოვს საჭმელს, მუშტებს იყენებს. დონ კიხოტი გაკვირვებული უსმენდა მწყემსს და გადაწყვიტა ყველგან მოენახა ის უცნაური კაცი, მაგრამ, ბედის წყალობით, ის გამოჩნდა სწორედ იმ ველზე, სადაც ჩვენი იდალგო იდგა, წყნარად მიდიოდა, თავისთვის ბუტბუტებდა რაღაცას, მონძებადქცეული ტანსაცმლის ნარჩენებიდანაც ჩანდა, რომ დაბალი წოდებისა არ უნდა ყოფილიყო. რაინდს რომ მიუახლოვდა, ზრდილობიანად მიესალმა. დონ კიხოტი ჩამოხტა როსინანტიდან, ახლოს მივიდა, მხურვალედ გადაეხვია და გულში ჩაიკრა. სერვანტესი მოგვითხრობს, რომ ის იყო უცნობი განდევნილი: „ვისთვისაც შეიძლებოდა **ს ა ბ რ ა ლ ო ს ა ხ ის ნ ა გ ლ ე ჯ უ ა გვეწოდებინა, როგორც თვითონ დონ კიხოტი მ წ უ ხ ა რ ე ს ა ხ ის რ ა ი ნ დ ა დ იწოდებოდა**“[1,221]. უცნობმა მხრებზე დააწყო ხელები დონ კიხოტს, დააცქერდა და „უბედურმა მეუდაზნოემ“ ლაპარაკი დაიწყო.

თავი XXIV

სიერა–მორენაში* მომხდარი ფათერაკის გაგრძელება

„დაფლეთილმა რაინდმა“ დონ კიხოტს მაღლობა გადაუხადა თანადგომისათვის და ამცნო, სამაგიეროს გადახდა არ შემიძლია, რადგან ამას ბედი მიკრძალავსო. იდალგომ მიუგო, ამ მთებში გადავწყვიტე დარჩენა, მინდა დარდი შეგიმსუბუქოთ, მაგრამ თუ თქვენს უბედურებას ნუგეში არ შველის, მაშინ მწუხარებას თანაგომით, გვერდში დგომით შეგიმსუბუქებთ, მხოლოდ გთხოვთ, გამაგებინოთ თქვენი ვინაობა, რამ გადაგაწყვეტინათ ამ მთებში სიკვდილი. იმ სარაინდო დასის წოდებას ვფიცავ, რომლის წევრიც „**ცოდვილი, ღირსი შევიქენ**“, თქვენი ერთგული მსახური გავხდები და დაგეხმარებით.

ტყის რაინდმა მწუხარე სახის რაინდი გულმოდგინედ შეათვალიერა და მერე იქ მყოფთ საჭმელი სთხოვა. სანჩო და მწყემსები გაუმასპინძლდნენ. „მეუდაბნოე“ ველური ადამიანივით, გაშმაგებით ყლაპავდა საკვებს, მერე ყველანი კლდის ძირას, მწვანე ველზე მიიყვანა, წამოწვა, სხვებმაც მიბადეს.

განდეგილმა დაიწყო თხრობა. მან თქვა, რომ კარდენიო ჰქვია, ანდალუზი იის ერთ-ერთი უმთავრესი ქალაქიდან, მდიდარი და პატიოსანი ოჯახიდანაა. მას ლუსინდა, „ზეციური ანგელოზი“, შეუყვარდა, ისიც ასევე მდიდარი და ბედნიერი ოჯახის შვილი. კარდენიომ ქალის ხელი ითხოვა, მაგრამ მამამისი ვერ დაითანხმა, რადგან, წესისამებრ, მას, ამ საქმეზე, სასიძოსაც მამა უნდა ხლებოდა. „მეუდაბნოე“ შინ რომ მივიდა, მამამისს, ესპანეთის ერთ-ერთი დიდებულის, საუკეთესო მამულების მფლობელი, ჰერცოგი რიკარდოსგან გამოგზავნილი თხოვნის წერილი ეჭირა. მას სურდა კარდენიო გამხდარიყო ჰერცოგის უფროსი ვაჟის მხლებელი, ამხანაგი. სანაცვლოდ, ყმაწვილს ჰპირდებოდა რაღაც პატივის მიჭებას. კარდენიომ გადაწყვიტა მასთან წასულიყო, გამოემშვიდობა ლუსინდას, მამამისს უამბო ყოველივე და სთხოვა, არვისთან გაემხილა რაც გაიგო და სანამ ჰერცოგისგან დაბრუნდებოდა, თავისი ასული არ გაეთხოვებინა. ყმაწვილმა თანხმობა მიიღო.

ჰერცოგმა და მისმა შვილებმა კარდენიო კარგად მიიღეს. განსაკუთრებით მეორე ვაჟი, დონ ფერნანდო, დაუმეგობრდა, რომელმაც თავისი საიდუმლოც გაანდო. ის მამის მდიდარი ყმის, გლეხის, ქალზე იყო შეყვარებული. „დაფლეთილმა რაინდმა“ ურჩია, დაევიწყებინა იგი, მაგრამ ვერ დაიყოლია და გადაწყვიტა რიკარდოსთვის გაეგებინებინა მისი შვილის „ღირსების ამგვარი დამამაცირებელი საქციელი“. დონ ფერნანდო მიხვდა, რომ მეგობარმა საიდუმლო გაამჟღავნა და სთხოვა, რამდენიმე თვე სადმე წავიდეთ, თუნდაც, მამაშენთან, ვითომ ცხენების საყიდლად: „ჩემი სიყვარულის გასაქარვებლად იმის მეტს საშუალებას ვერას ვხედავ“. კარდენიო დაეთანხმა, მას ლუსინდას დანახვის საშუალებაც მიეცემოდა, მოგვიანებით გაიგო, რომ დონ ფერნანდო მამის რისხვას გაურბოდა, რადგან, თურმე, სატრფოს წინასწარ დაჰპირდა შერთვას, მოატყუა და შეეცდინა კიდევაც.

მეგობრები კარდენიოს მშობლიურ ქალაქში ჩავიდნენ. მამამისმა ჰერცოგის შვილი ისე მიიღო, როგორც მის ღირსებას შეეფერებოდა. „განდეგილმაც“ დონ ფერნანდოს თავის სატრფოს შესახებ უამბო, ქალი ისე აღტაცებით აღუწერა, რომ სტუმარს დაუოკებელი სურვილი აღემრა ლუსინდა ენახა. მისი ხილვის შემდეგ, გულჩათხრობილი გახდა, რადგან შეუყვარდა. იგი სატრფოთა მიწერ-მოწერას თვალს ადევნებდა, მათ ბარათებს კითხულობდა. ერთხელ, ლუსინდამ, კარდენიოს, „ამადის გალელი“, თავისი საყვარელი წიგნი სთხოვა.

დონ კიხოტმა სარაინდო რომანის სათაური რომ გაიგო, კარდენიოს ლაპარაკი შეაწყვეტინა, ლუსინდა შეაქო, ის გონებით აღმატებულ და ღირსებით შემკულ ქალად მოიხსენია, გაიხსენა მოხსენიებული ნაწარმოების მოქმედი გმირები და კარდენიოს შესთავაზა, თუ ჯერ კიდევ დრო გაქვთ, თქვენი შეცდომების გამოსწორებისა, შეგიძლიათ ჩემს სოფელში გამომყვეთ, სამასზე მეტ წიგნს მოგართმევთო, მაგრამ

უცებვე დასძინა, როგორც მახსოვს, ხარბი, შურიანი და ბოროტი ჯადოქრების წყალობით, არც ერთიც არ შემრჩაო. მერე ბოდში მოუხადა მთხრობელს, შეფერხებისთვის და ორჯერ მიმართა, საუბარი გაეგრძელებინა.

თავჩაქინდრული, დიდი ხნით დადუმებული კარდენიო, წელში გაიმართა. მან თავისი ამბის თხრობა კი არ დაასრულა, სარაინდო ნაწარმოების გმირებზე თქვა: ბრიყვი და ბოროტმოქმედია ის ადამიანი, რომელსაც არ სჯერა, რომ დედოფალ მ ა დ ა ს ი მ ა ს მაწანწალა ე ლ ი ს ა ბ ა ტ ი ჰყვარობდაო.

დონ კიხოტი კარდენიოს წინადადებამ განარისხა, რადგან „შეჩვენებული წიგნები ძალიან ჰქონდა თავში გამჯდარი“, მან დაიცვა დედოფალი მადასიმა. ის პატიოსანი და სათნო ქალია და ვიღაც ცხენის ექიმბაშს არშიყობას არ დაუწყებდა და ვინც საწინააღმდეგო აზრზეა, ის ცრუობსო, როგორც უკანასკნელი არამზადა და უმაქნისი ცილისმწამებელი.

სნეული კარდენიო კარგად მიხვდა, რომ შეურაცხყოფელი სიტყვებით მოიხსენიეს, აიღო მოზრდილი ქვა, დონ კიხოტს ჩაართყა და რაინდი მიწაზე გაიშხლართა. სანჩო მივარდა გონებაარეულს, მაგრამ მასაც გვერდები დაუზილა, მერე საშველად მოსული მწყემსებიც მიაყოლა და, სამი კაცის ცემის შემდეგ, არხეინად გაემართა მთებისკენ.

ყველაზე ადრე სანჩო მოეგო გონს, მან მწყემსს უმიზეზოდ დაუწყო დავა, უყვიროდა, რატომ დროზე არ გაგვაგებინეთ ეს გაუბედურებული კაცი გიჟი რომ იყო. უდანაშაულო მწყემსი პასუხობდა, გაგაფრთხილეთ, მაგრამ არ მომისმინეთო. მოჩხუბრები დონ კიხოტმა გააშველა, შემდეგ კი იკითხა, სად შეიძლება იმ გადარეული კაცის პოვნა. მწყემსმა მიუგო, მისი ბინა, ასავალ–დასავალი არ ვიცით, თუკი ამ არემარეს დაათვალიერებთ, უეჭველად იპოვითო.



თავი XXV

**სადაც მოთხრობილია სახელოვანი ლამანჩელი რაინდის სიერა–
მორენაში შემთხვეული არაჩვეულებრივი ფათერაკები და სინანული,
პირქუში მზეჭაბუკივით რომ იკისრა**

დონ კიხოტმა და სანჩო პანსამ განაგრძეს მოგზაურობა. მსახური უხალისოდ მისდევდა რაინდს. სურდა საუბარი დაეწყო, მაგრამ თავისი ბატონის შიშით ვერ ბედავდა. შემდეგ, დიდი ხნის სიჩუმით გაბეზრებულმა, ლაპარაკი დაიწყო, მან იდალგოს სთხოვა გაეთავისუფლებინა საჭურველმტვირთველის მოვალეობისაგან, რადგან ცოლ–შვილთან თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე, ილაპარაკებდა, ტყე–
ღრეში, ხმაამოუღებლივ სიარული ცოცხლად დამარხვის მსგავსი იყო. დონ კიხოტმა ბაასის უფლება მხოლოდ მთებში ყოფნის დროს დართო. სანჩომ თავის ბატონს ჰკითხა, რა ძალა რჯიდა, რატომ გამოესარჩლა იმ ვიღაც დედოფალს, რისთვის დასჭირდა იმის

მტკიცება, თუ ვინ იყო მისი მეგობარი, ყველაფერს სჯობდა თავი მიენებებინა და ქვებსა და სილის გაწვნას ასცდებოდნენ. დონ კიხოტმა ისევ დაიწყო სანჩოს დარწმუნება, რომ დედოფალი მადასიმა პატივცემული მანდილოსანია და არ შეიძლება მას დააბრალო, თითქოს ვიღაც უხეირო ექიმი უყვარდა და „განსაკუთრებული“ ურთიერთობა ჰქონდა მასთან. კარდენიოს არ ესმოდა, რას ამბობდა, სისულელის ჩმახვა დაიწყო და სწორედ მაშინ შემოუტიაო სნეულებამ. სანჩომ უპასუხა, სწორედ ამიტომაც არ უნდა მიგექციათ ყურადღება, ის ხომ გიჟიაო. რაინდმა საჭურველმტვირთველს მიუგო: სიგიჟე არ არის თავის გასამართლებელი საბუთი, **„მოგზაური რაინდების მოვალეობაა როგორც ჭკვიანებისაგან ისე გიჟებისაგანაც დაიცვას ყველა ქალთა ღირსება და პატივი“**[1,231]. სანჩომ უპასუხა, რა თავში ვიხლით მათ ამბავს, რაში გვჭირდებაო, მერე რამდენიმე ანდაზა მოაყოლა ამ ნათქვამს, რაზეც დონ კიხოტმა შეჰყვირა, ღმერთო ჩემო, რამდენი სისულელე აასხი ერთმანეთზე, ღვთის გულისათვის, დადუმდი, შეიგნე, რასაც ჩავდივარ, ისევ ჩავიდენ, სარაინდო კანონების შესაბამისად. სანჩომ სარაინდო კანონებს ქირდვა დაუწყო, რა არის მათში კარგი, მისი წყალობით ამ მთებში გზადაბნეული ბავშვივით დავდივართ და ვეძებთ გიჟ კაცს, რომელმაც შეიძლება გვერდები დაგვიმტვიროს. დონ კიხოტმა ისევ გააფრთხილა, გაჩუმებულიყო და აუხსნა, რომ მარტო კარდენიოს ნახვა არ იზიდავს მას, რაიმე ღვაწლის ჩადენის სურვილი აქვს, რათა მთელ ქვეყანაზე სახელგანთქმული გახდეს. მან გაიხსენა ცნობილი მწერლები, სარაინდო რომანების გმირები, რომელთაც მიბამავდა და ფიქრობდა, რომ ეს ადგილები, სადაც ახლა იმყოფებოდნენ, თითქოს ტანჯვისთვის იყო გაჩენილი, ამიტომ არ უნდოდა მარჯვე შემთხვევა ხელიდან გაეშვა, სურდა სახელი მოეპოვებინა. სანჩომ გაიკვირვა, რა უნდა ჩაიდინოთო ამ უდაბურ ადგილას. იდალგომ ისევ წიგნებიდან დაუსახელა რაინდთა გმირობის მაგალითები, მათი განცდები სატრფოთაგან ღალატის გამო და მსახურს უთხრა, განა მათ ყველანაირ საქციელს მივბამავ, ვეცდები ის მაგალითები გავიმეორო, რასაც უფრო საყურადღებოდ მივიჩნევო. სანჩომ უპასუხა, ტანჯული რაინდები რაიმე განსაკუთრებული გარემოებით იყვნენ, ალბათ, სისულელებამდე მისული, თქვენ რატომ უნდა გაგიჟდეთ, რომელი ქალი გაგინაწყენდათ, ან რა მიზეზით შეიძლება დულსინე ტობოსელს რაიმე შეცოდება დასწამოთო? დონ კიხოტმა უთხრა, მიზეზი არ მაქვს, მაგრამ სატრფოსთან განშორებაც კი მტანჯველია, ამიტომ წერილს გაგატან მასთან და სანამ არ დაბრუნდები, **„გიჟი ვარ და გიჟადაც უნდა დავრჩე“**. მერე მოიძია ჩაჩქანი და სანჩოს ჰკითხა, კარგად თუ ინახავ, თუ უფრთხილდებიო. საჭურველმტვირთველმა მიუგო, ის მხოლოდ თასია და არა ჩაჩქანი, დაგრებილ–დაჭყლეტილია და ხურჯინში მიგდია, ვფიქრობ, შინ წავიღო, გავასწორებინო და პირის საპარსად გამოვიყენო. დონ კიხოტმა შემოქმედი დაიფიცა: **„რაც ქვეყანაზე საჭურველმტვირთველები ყოფილან, ყველაზე მოკლე ჭკუისა ხარ“**, ამდენი ხანია მემსახურები და ვერ ხვდები, რომ ყველაფერი, რაც მოგზაურ რაინდს ეხება, ზმანებად, სისულელედ და უცნაურ რამედ ეჩვენება ადამიანს, მის გარშემო ყველაფერი უკუღმა ხდება, იმიტომ რომ მათ წინააღმდეგ თვალთმაქცთა ბრბო მოქმედებს, ამიტომაც ნივთს, რომელიც შენ თასი გგონია, მე მამბრინის ჩაჩქნად ვხედავ, სხვა კი სხვა ნივთად აღიქვამს.

მოგზაურები განცალკევებით მდგარ, ერთი მხრიდან ცხვირწამოწვდილ მთას მიადგნენ, მის ფერდობზე წყარო მოჩხრიალებდა, გარშემო მწვანე ველი გაშლილიყო, ხეებითა და მინდვრის ყვავილებით მოფენილი. რაინდმა იქ მოისურვა დარჩენილიყო და სინანულს მისცემოდა. იდალგომ მგრძნობიარე სიტყვებით მიმართა ზენას, ბუნებას, არემარეს: **„ჰოი, ზ ე ნ ა ო! აი, ადგილი, სადაც ჩემი ბ ე დ ი ს ს ა ტ ი რ ლ ა დ ვ რ ჩ ე ბ ი!“** [1,236], იდალგოს თქმით, ეს არის გარემო, სადაც მისი ცრემლები მთის ნაკადულს ერთვის, ოხვრა უდაბნოს ხის ფოთლებს არხევს, სადაც უდაბნოთა მცხოვრებმა ძალებმა უნდა მოუსმინონ მის ჩივილს, იმაზე, რომ ხანგრძლივი განშორება მშვენიერ დულსინე ტობოსელთან, **„ამქვეყნიური სილამაზის ხატებად რომ გაჩენილა“**, ექვიანობის საბაბს აძლევს. რაინდმა ჯერ მთების გულში დამკვიდრებულ ტყისა და ველის ფერიებს სთხოვა, მოუსმინონ მის მოთქმას, შემდეგ, ოცნებით, სატრფოს მიმართა, მას ბედნიერების გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი უწოდა, უდაბნოს ხეებს–თავისი ობლობის მოზიარენი, ხოლო სანჩოს კი ასე უთხრა: **„ჩემო ერთგულო საჭურველმტვირთველო. ბედსა და უბედობაში ჩემო განუყრელო თანამგზავრო, კარგად დაიხსომე, რასაც აქ ჩავიდენ, და ჩ ე მ ი მ წ უ ხ ა რ ე ბ ი ს მ ი ზ ე ზ ს ა და ს ა გ ა ნ ს სავსებით გარდაეც და ამცნე ყველაფერი!..“**[1,237], დონ კიხოტმა როსინანტს უნაგირი და აღვირი მოხსნა, მიუალერსა და უთხრა: თავისუფლება მიიღე იმისგან, ვინც იგი დაკარგაო: **„შენი საქმეებით ეგოდენ სახელოვანო, რამდენადაც ხვედრისაგან უბედური ხარ! შენს ჩინებულ შუბლზე სწერია, რომ სიმკვირცხლე–სიმსუბუქეში ვერავის დაუჯაბნიხარ ვერც ასტოლფის ჰ ი პ ო გ რ ი ფ ს*, ვერც შესანიშნავ ფრონტინს, ბრადამანტს“**[1,237]. სანჩომ მას რომ მოუსმინა, უთხრა, ჩემი სახედარი რომ აქ იყოს, მისთვისაც ქებას ხომ არ დაიშურებდითო. მან სინანულით აღნიშნა: **„რა მიჯნურებისა და ტანჯულებისა სცხელა მის პატრონს, თვითონ მე რომ ვარ, რომელსაც, ვიდრე ღმერთი შველოდა, არც როდისმე ყვარებია და არცა ტანჯულა“**[1,237], თუკი ჩემი გაგზავნა გასურთ, როსინანტი შემიკაზმეთ, სასაცილოდ ნუ გამიშვებთ, ვინ იცის, როდის დაგბრუნდები, სიარულში უხეირო ვარო. რაინდმა უთხრა, სამი დღეში წახვალ, ამ ხანებში კი რასაც ჩავიდენ, დულსინეს სადიდებლად, მოწმე უნდა იყო, რათა მას ყველაფერი უამბოო. ბატონი და მსახური კიდევ დიდხანს საუბრობდნენ, შემდეგ კი რაინდმა გადაწყვიტა, ძველი ჩვეულებისამებრ, დულსინესთან, ხის ფოთლებზე ან ცვილის ფირფიტაზე დაწერილი ბარათი გაეგზავნა, ქალაქის უქონლობის გამო, თუმცა, არც ერთი ჰქონდა და არც მეორე. სანჩოს უთხრა, კარდენიოს უბის წიგნაკის ფურცელზე დავწერ, შენ კი, პირველსავე სოფელში, **მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ს ა ნ დ ი ა კ ო ნ ს**, ლამაზი ხელით გადააწერინე, სოფლის მწერალს არ სთხოვო ეგ საქმე, ისე გადაბმულად წერენ, რომ ამოკითხვა ძნელდებაო. სანჩო დაინტერესდა, ვინ მოაწერდა წერილს ხელს, დონ კიხოტის ნაცვლად. როდესაც რაინდმა უპასუხა, **ა მ ა დ ი ს ი** თავის წერილებს ხელს არ აწერდაო, მაშინ თქვა, ჩოჩრების ამბავი ხელმოწერილი უნდა იყოს, რადგან მეტყვიან ყალბიაო და ხელცარიელს დამტოვებენო. დონ კიხოტმა დაამშვიდა, ყველაფერი აქ იქნება ნახსენები და ჩემს დისწულს აჩვენე, რაც შეეხება სამიჯნურო წერილს, ქვეშ მოაწერინე: **„სიკვდილამდე თქვენი მწუხარე სახის რაინდი“**, არა უშავს, სხვისი ხელით თუ იქნება დაწერილი, თუ არ ცვდები **დ უ ლ ს ი ნ ე მ წ ე რ ა**–**კ ი თ ხ ვ ა ა რ ი ც ი ს**, არც ჩემი წერილი უნახავს არასდროს, ჩვენი სიყვარული **პ ლ ა ტ ო ნ უ რ ი ი ე**ო,

იმვითად ვხედავდით ერთმანეთს. თორმეტი წელიწადია მიყვარს, მაგრამ სულ ოთხჯერ ვნახე, მას კი ერთხელაც არ შეუძმნევია ჩემი მზერა, ისე მოკრძალებით აღზარდეს მშობლებმა–მამამ–ლორენსო კორჩუელომ და დედამ–ალდონსანო გალესმა. სანჩომ გაიკვირვა, დულსინე ტობოსელი, რომელზეც რაინდმა თქვა: „იმ ბედის ღირსიცაა, რომ მთელი ქვეყნიერების დედოფლად შეიქმნასო“, ალდონსანო ლორენსო აღმოჩნდა, თურმე, იცნობს საჭურველმტვირთველი ამ ქალს, რომელიც ბიჭებივით ისვრის ბარას*, ზორბა გულ–მკერდიანი და ჯანსაღია, შეუძლია ყველა მოგზაური რაინდი თავისი წვერებით ტალახიდან ამოათრიოს, მისი ომახიანი ხმა კი ერთ რამედ ღირს. მან იდალგოს ოდნავ შეუქო კიდევაც ქალი, ჭკვიანი გოგოა, ავზნიანი არაა, არ იპრანჭება, ყველას უცინის, ყველას ემასლაათება, ბატონო რაინდო, სწორედ სათქვენოაო. ჩქარა მინდა გზას გავუდგე, ვნახო თქვენი სატრფო, ვინ იცის, როგორ გამოიცვალა, დიდი ხანია არ მინახავს, ის ვინმე დიდკაცის ან მეფის ასული მეგონა, თქვენ ისეთ ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდით: საბრალო ბისკაელს, ტუსადობიდან გათავისუფლებულ კატორღელებს... ალდონსა ლორენსოს კი, თქვენებურად დულსინე ტობოსელს, რისთვის სჭირდებოდა მუხლმოდრეკილი ბისკაელი ან თქვენი დამარცხებული ვიღაც–ვიღაცები, რაში უნდა გამოიყენოს? იქნებ ისეთ დროს მივიდნენ მასთან ბატონები, როდესაც ქალი სელს წეწავს ან ხორბალს ცხრილავს... იქნებ ასეთი დედოფლის ხილვა ეწყინოთ კიდევაც, ქალმაც სიცილი რომ დააყაროს?

ასეთი ხუმრობისთვის, დონ კიხოტმა სანჩოს ყბედი უწოდა, თავისი ფუყე ჭკუით, ის ხუმრობასაც კი ბედავს. იმის დასამტკიცებლად, რომ საჭურველმტვირთველი სულელია, ბატონი კი გონიერი, რაინდმა ზლაპრი ს მოყოლა დაიწყო: ერთმა ახალგაზრდა, მდიდარმა, მშვენიერმა და ქეიფისმოყვარულმა ქვრივმა, ზორბა ბიჭი შეიყვარა. ეს ამბავი გაიგო აბატმა* და უთხრა, რამდენი ექიმის, მეცნიერისა და ღვთისმეტყველის გარემოცვაში მყოფ თქვენისთანა გვარიშვილს, მშვენიერსა და მდიდარ ქალს, რომელიმე მათგანი ამოგერჩიათ, ასეთი ხეპრე, ბინძური და სულელი გლეხკაცი რომ შეგიყვარებიათო. ქალმა მიუგო, ძალიან ცდებით, თუ გგონიათ, რომ ცუდად მოვიქეცი, რა მეცნიერებაც მე მესაჭიროება, იმაში ფილოსოფოს არისტოტელეზედაც მეტი მცოდნეაო. დონ კიხოტმა თქვა, რომ დულსინეს შემთხვევაშიც ასეა, ის ქვეყნის დიდგვაროვან ქალებს არ ჩამოუვარდება, პატიოსანი, ჭკვიანი და მშვენიერია, მისი გვარეულობის სიწმინდე რაინდს არ აინტერესებს, ეს ქალი ორი ღირსებით აყვარებს მას თავს, სილამაზითა და კარგი სახელით.

დონ კიხოტმა კარდენიოს წიგნაკი აიღო, წერილი სწერა დაიწყო, რომ დაასრულა, სანჩოს უთხრა, წაგიკითხავ და ზეპირად დაიხსომე, რათა გადამწერს უკარნახო, ვინ იცის, იქნებ გზაზე დაგეკარგოსო. სანჩომ მიუგო, სამჯერ ჩაწერეთ სჯობია, რადგან ზეპირად ერთ სიტყვასაც ვერ დავიმახსოვრებ, უხეირო მეხსიერება მაქვს, ზოგჯერ ჩემი სახელი და გვარიც მავიწყდება, მაგრამ მაინც წაიკითხეთ, მაინტერესებს რა დაწერეთო. დონ კიხოტმა დაიწყო: „**ჩემო დიდო, მბრძანებელო ხელმწიფეო!..**“ ის თავის თავს ისრებით „გვემულს“ უწოდებდა, თუკი ქალი მის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას გააგრძელებდა, მაშინ იდალგოსაც ხანგრძლივი ტანჯვა მოელოდა. დულსინე, მასზე გამიჯნურებული რაინდის კეთილი

საჭურველმტვირთველისგან შეიტყობდა, იდალგო რამდენ რაიმეს ითმენდა სატრფოს გამო და თუ იმედი დაეკარგებოდა, მაშინ სიცოცხლესაც გამოეთხოვებოდა. წერილის ბოლოს, მიწერილი იყო: „შენი სიკვდილამდის მწუხარე სახის რაინდი“.

სანჩო აღფრთოვანდა: „ასეთი მშვენიერი წერილი ჯერ არსად წამიკითხავს“. რაინდმა მიუგო, „წოდების“ წარმომადგენელმა ყველაფერი უნდა იცოდესო. მსახურმა შეახსენა, უკანა გვერდზე, სამ ჩოჩორზე ნაწერი ხელმოწერასთან ერთად დაურთეთო.

დონ კიხოტი თავის დისწულს სწერდა: იმ ხუთი ჩოჩრიდან, შინ რომ დავტოვე, სამი სანჩო პანსას უბოძეთო...რაინდი ასევე ახსენებდა ხარჯებს, ქვითრებს, საკითხებს ანგარიშის გასწორებაზე. ბოლოს ასე მთავრდებოდა: „ეს ბარათი მიეცა სიერა–მორენის უღრან ხეობებში ოცდაორ აგვისტოს აწ მიმდინარე წელსა“.რაინდმა და საჭურველმტვირთველმა ერთხანს ისაუბრეს, გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და სანჩო გზას გაუდგა.



თავი XXVI

სადაც მოთხრობილია დონ კიხოტის შემდგომი სამიჯნურო თავგადასავალი სიერა–მორენაში

მარტოდარჩენილი დონ კიხოტი მაღალი კლდის მწვერვალზე ავიდა და დაიწყო ფიქრი, სარაინდო რომანების გმირებიდან, რომლისთვის მიეზამა, როლანდის დამთხვეულობისთვის თუ ამადისის სევდიანი სიგიჟისთვის, რომელი უფრო უმჯობესი იქნებოდა მისთვის. მისი აზრით, რ ო ლ ა ნ დ ი მამაცი, მაგრამ მოჯადოებული რაინდი იყო, მისი მოკვლა არავის შეეძლო, მაგრამ გააგიჟა იმან, რომ სატრფომ, ა ნ ჟ ე ლ ი კ ა მ, მავრთან უღალატა. დულისინე ტობოსელს ამგვარი რამ არასდროს ჩაუდენია, ამიტომ, ჩვენს ფათერაკების მაძიებელს, რა საბუთი უნდა ჰქონოდა, რომ გაგიჟებულიყო და მიეზამა მისთვის. დონ კიხოტმა გადაწყვიტა უზადლო მიჯნურის, ა მ ა დ ი ს გ ა ლ ე ლ ი ს თ ვ ი ს, მიეზამა, რათა მომავალში მასზეც ეთქვათ: „თუ სიცოცხლეში სახელოვანი რამ საქმე არ ჩაიდინა, ის მაინც ჰქმნა, რომ სახელოვანი საქმეების მიზეზით დაიღუპათ“ [1,248]. რაინდმა შესთხოვა ამადისის ხსოვნას, ესწავლებინა მისთვის, რით ან საიდან დაეწყო მისი მიზამვა, გაახსენდა, რომ ის, უმეტესად, დროს ლ ო ც ვ ა–ვ ე დ რ ე ბ ა შ ი ატარებდა, უნდოდა მიეზამა, მაგრამ საგონებელში ჩავარდა, კრიალოსანი რომ არ ჰქონდა, სად უნდა ეშოვა? მალე გამოსავალი მოძებნა, პერანგის კალთას ჩამოახია ფართო ზოლი, თერთმეტი სკვნილი გააკეთა, ერთი–ერთი, შედარებით, უფრო დიდი იყო. მილიონჯერ წარმოთქვა **Ave Maria**, მაგრამ ის აწუხებდა, რომ ახლოს მეუდაბნოე არ იყო, რათა აღსარება ეთქვა და ნუგეშისცემაც მიეღო მისგან. ველზე სეირნობა დაიწყო, ხის ქერქზე დულისინეს ქება–დიდებისა და თავისი მწუხარების გამომხატველი ლექსები წააწერა, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთი გადარჩა, რომელშიც, რაინდი, ბალახებს, ბუჩქებსა და ხეებს თავის მწუხარებას შესჩიოდა, მოთქვამდა, რომ დაშორდა

სატრფოს. მისი მრავალი ლექსიდან მხოლოდ სამი ტაეპის ამოკითხვა მოხერხდა. რაინდი ოხრავდა, ექოს აფიცებდა, მოესმინა მისთვის და ნუგეში ეცა.

სანჩო შარაგზაზე გავიდა და დაიწყო ტობოსოს ძებნა. მეორე დღეს ისევ იმ ფუნდუკს მიადგა, საბნით რომ აფრენდნენ. გუნებაში გაივლო, შიგარ შევალო, მაგრამ შიმშილმა მაინც იქ მიიყვანა. შენობიდან ორი კაცი გამოვიდა. ერთმა მეორეს მიმართა, ბატონო ლიცენციანტო, ეს ხომ სანჩო პანსაა, დონ კიხოტის სახლის გამგის თქმით, თავის ბატონს საჭურველმტვირთველად რომ გაჰყვა. მეორემ დაუდასტურა, ცხენიც იდალგოსიაო. ესენი რაინდის მეზობლები იყვნენ, მღვდელი და დალაქი, წიგნებს გასამართლება და დაწვა რომ მიუსაჯეს. ისინი მიუახლოვდნენ სანჩოს და ჰკითხეს, სად იყო ან როგორ გრძნობდა თავს მისი ბატონი. საჭურველმტვირთველმა იცნო ორივე, მაგრამ გადაწყვიტა არ ეთქვა არაფერი. უპასუხა, თვალებიც რომ დამთხაროთ, ვერას გეტყვითო. მაშინ დალაქმა უპასუხა, უნდა გვითხრა, თორემ გვგონია, რომ გაგიძარცვავს და მოგიკლავს კიდევაც, მისი ცხენით სეირნობო. სანჩომ თქვა, მთებში ცოდვების მოსანანიებლად დაბინავდაო. ყველაფერი უამბო, რაინდის ყოფაზე, მის ფათერაკებზე, შემდეგ კი დასძინა, დულსინე ტობოსელთან, ლორენსო კორჩუელოს ქალთან, რომელზეც ძალიან არის შეყვარებული, მის მიერ გაგზავნილი წერილი მიმაქვსო. მათ სთხოვეს წაგვაკითხვინეო. სანჩომ მათ უთხრა, უბის წიგნაკშია ჩაწერილი და მიბრძანა პირველივე სოფელში გადავაწერინო, სადაც კი ქალაქს ვიშოვიო. მღვდელი დაპირდა, რომ გადაწერდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საჭურველმტვირთველმა ვერ იპოვა უბეში წიგნაკი, ბატონს დავიწყნოდა მისთვის მიეცა იგი. სანჩომ ძალიან განიცადა, წვერს იგლეჯდა და ცხვირ-პირშიც ისე ლაზათიანად გაიკრა მუშტი, რომ დაისისხლიანა. გაოცებულმა მღვდელმა და დალაქმა ჰკითხეს, საკუთარ თავს ასე რატომ ექცევით. სასოწარკვეთილმა ორივეს უთხრა, იმ წერილში სამ ჩოჩორზეც ეწერა, დონ კიხოტის დისწულს ჩემთვის რომ უნდა მოეცაო. ვირის დაკარგვის ამბავიც არ დავიწყებია. მღვდელმა დაამშვიდა, როგორც კი იდალგოს ვიპოვით, იმ ბარათს ხელახლა მივაცემინებთო. სანჩომ დულსინესადმი გაგზავნილ წერილზე თქვა, ზეპირად ვიცი და შემიდლია, გადამწერს ვუკარნახოო. დალაქმა მიუგო, ჩვენ გვიკარნახე და ჩავიწერთო. საჭურველმტვირთველი დაფიქრდა, თავი მოიქექა, ფეხების ტორტმანი დაიწყო, მერე კი თქვა, არ მახსოვს, მგონი ასე იწყებოდაო: „დიდო შეზღუდულო ქალო“... დალაქი და მღვდელი სიცილით იხოცებოდნენ, სთხოვეს კიდევ გაემეორებინა, სამჯერ აურდაური, „სამი ტომარა ათასნაირი სისულელე დაროშა“, ისაუბრა ფათერაკებზე, რომელიც შეემთხვათ, ბატონსა და მის მსახურს (საბნებით ფრენის ამბავი გამოტოვა), მსმენელებს ისიც ამცნო, რომ სატრფოსგან სასურველი პასუხის მიღების შემთხვევაში, დონ კიხოტი ახალ მოგზაურობას იწყებდა და შეეცდებოდა იმპერატორობის ან მეფობის მიღებას, ამის შემდეგ, ის თავის საჭურველმტვირთველს ცოლს შერთავდა, დედოფლის მხლებელს, დიდი და მდიდარი სამფლობელოს მემკვიდრეს, გაურიგებდა (რადგან ამ დროისთვის დაქვრივებული იქნებოდა). მას რომ უსმენდნენ, დალაქსა და მღვდელს უკვირდათ: „დონ კიხოტის გადარევა რაოდენად ახირებული უნდა ყოფილიყო, რომ სხვაზედაც ასე გადამდები სენივით ემოქმედნა“, მისი ცდომილების გაქარწყლება ჯერჯერობით არ მოისურვებს, უნდოდათ კიდევ ეცინათ, სანჩოს ურჩიეს, ღმერთს შევედრებოდა, რომ მისი ბატონი იმპერატორი ან მთავარეპისკოპოსი გამხდარიყო.

საჭურველმტვირთველმა თქვა, თუ მან მართლა იმპერატორობა არ ისურვა და და მთავარეპისკოპოსი გახდა, კარგი იქნება ვიცოდე, მოგზაური მთავარეპისკოპოსები თავიანთ საჭურველმტვირთველებს რით აჯილდოვებენო. მღვდელმა აუხსნა, სამრევლოს ან ბ ე ნ ე ფ ი ც ი ა ს*, კარგ ჯამაგირიან მღვდლისა და დიაკვნის თანამდებობას აძლევენო. სანჩო შეწუხდა, ასეთ შემთხვევაში უცოლო უნდა იყო და წირვაც შეგეძლოს, რამ მაცდუნა, რომ ცოლი შევირთე, წერა–კითხვაც არ ვიცი და ანბანსაც ვერ ამოვიკითხავო. დალაქმა დაამშვიდა, ჩვენ ვურჩევთ და დავეხმარებით, გახდეს იმპერატორი, ეს მისთვის მთავარეპისკოპოსობაზე უფრო ადვილია, რადგან მეზრდოლი უფროაო, ვიდრე მეცნიერი. სანჩომ შეაქო თავისი ბატონი, როგორც მარჯვე და მოხერხებული ადამიანი, ამიტომ მოისურვა ღმერთს შევედრებოდა, რაინდისთვის ის ერგუნებინა წილად, რაც უფრო შეეფერებოდა მას. მღვდელმა საჭურველმტვირთველს უთხრა, ახლა საჭიროა შენს ბატონს უსარგებლო სინანულზე ხელი ავაღებინოთო, მერე მიიპატიუა ფუნდუკში, სადილობის დროაო. მაგრამ დონ კიხოტის მსახურმა უარი განაცხადა, გარეთ დაგელოდებით, თუ რატომ ვიქცევი ასე, გპირდებით, რომ შემდეგ გიამბობთო. მათ სთხოვა მოეტანათ მისთვის ცხელი საჭმელი, როსინანტისთვის კი ქერი. სანჩო გარეთ დატოვეს. დალაქმა გამოუტანა სადილი, მერე კი მღვდელთან ერთად დაიწყო ბჭობა, დონ კიხოტის წამოყვანის საქმე როგორ მოეგვარებინათ. მღვდელმა შეადგინა გეგმა, თვითონ მოგზაური ქალივით მორთულიყო, დალაქი კი მისი საჭურველმტვირთველივით. ისინი მოძებნიდნენ დონ კიხოტს. „ქალი“ შემწეობას სთხოვდა იდაღოს, სამაგიერო გადაეხადა ვითომ მისი შეურაცხმყოფელი რაინდისთვის, რაზეც თანხმობას მიიღებდა. ამით გამოიტყუებდნენ დონ კიხოტს მთებიდან, შინ მიიყვანდნენ და მერე მის განკურნებაზე იზრუნებდნენ.



თავი XXVII

როგორ შეასრულეს მღვდელმა და დალაქმა თავიანთი გეგმა და კიდევ ამ შესანიშნავ ისტორიაში მოსახსენებლად ღირსი ამბები

დალაქმა ნიკოლასმა და მღვდელმა პეროს პერესმა მეფუნდუკის ცოლს კაბა და სამკაული გამოართვეს, სანაცვლოდ, პერესმა თავისი ანაფორა გირაოდ დატოვა. ნიკოლასმა ვეებერთელა ხარის კუდი, რომელიც მეფუნდუკეს კედელზე სავარცხლის ჩასადებად ჰქონდა ჩამოკიდებული, წვერად გაიკეთა. მათ, იქ მყოფ დაინტერესებულ პირებს აუხსნეს, რომ დონ კიხოტი გონებაარეულია სურთ კლდეებიდან გამოიტყუონ. მეფუნდუკე და მისი ცოლი მიხვდნენ, რომ სწორედ იმ რაინდზე იყო საუბარი, ბალზამი რომ დაამზადა. მისი საჭურველმტვირთველის საბნით მალა სროლის ამბავიც, რომელსაც სანჩო საგულდაგულოდ მალავდა, გაამხილეს.

ქალურად მორთული მღვდელი და ხარის წვერიანი დალაქი ყველას, მათ შორის მარიტორნესსაც, გამოეთხოვნენ. ცოტა მანძილი რომ გაიარეს, პეროს პერესმა გაიფიქრა, რომ მას, სასულიერო პირს, ქალური ჩაცმულობა არ შეეფერებოდა და ნიკოლასს შესთავაზა, ტანსაცმელი გავცვალოთო. ის დაეთანხმა. სანჩო პანსას მათ მორთულობაზე სიცილი აუტყდა. მღვდელმა დაარიგა დალაქი, როგორ გამოეტყუებინა დონ კიხოტი. სანჩო პანსამ, გზადაგზა, ორივეს უამბო გიჟ კაცთან შეხვედრისა და მისი ჩემოდნის შესახებ, მაგრამ ფულის პოვნის ამბები დამალა.

მეორე დღეს, მგზავრები, დონ კიხოტის ადგილის საპოვნელად, სანჩოს მიერ თავშავას ტოტებით მოფანტულ, მონიშნულ ადგილამდე მივიდნენ. მღვდელმა და დალაქმა საჭურველმტვირთველი ადრევე დაარწმუნეს, რომ იდაღოს დასახსნელად ტანისამოსის გამოცვლა იყო საჭირო. ამიტომ რაინდის ადგილსამყოფელს რომ მიუახლოვდნენ, ნიკოლასი და პეროს პერესი გააფრთხილა, დროა, ტანსაცმელი გამოიცვალოთო. სანჩოს, რაინდთან საუბრის მომენტში, თანმხლებთა სახელები არ უნდა ეხსენებინა, საჭურველმტვირთველს უნდა ეთქვა, რომ დულსინეს ვითომ გადასცა წერილი. მაგრამ იმ მშვენიერმა ქალმა წერა არ იცის, ამიტომ საჩქაროდ იბარებს რაინდს, საჭირო საქმის გამო, და თუ არ მივა, სატრფო გაუნაწყენდება. ტანსამოსშეცვლილი თანამგზავრები სანჩოს დაპირდნენ, რაინდს ვურჩევთ, მთავარეპისკოპოსობა არ სჭირდება და იმპერატორად გახდომას შეეცადოსო. მან მაღლობა მოახსენა თანამგზავრებს ამის გამო, იმიტომ, რომ სჯეროდა, იმპერატორებს უფრო შეეძლოთ თავიანთი საჭურველმტვირთველების უხვად დაჯილდოება, ვიდრე მოგზაურ მთავარეპისკოპოსებს. მღვდელსა და დალაქს დაპირდა, დავაჩქარებ მიჯნურის პასუხი მივუტანო, იქნებ ესეც საკმარისი აღმოჩნდეს და თქვენ გარეშეც გამოვიყვანოთო მთებიდან. სანჩოს აზრი მოეწონათ და გადაწყვიტეს დალოდებოდნენ მას, სანამ დაბრუნდებოდა და დონ კიხოტის ამბავს მოიტანდა, თვითონ კი ვიწრო ხეობაში დარჩნენ. აგვისტოს თავარა დღე იყო, დღის სამი საათი. უცებ ნაზი სიმღერა მოესმათ. მომღერლის ლექსის შინაარსი დამსხვრეულ ბედნიერებას, ექვიანობას, განშორებასა და ტანჯვას შეეხებოდა. გაუკვირდათ, ამ უდაბურ ადგილებში საუცხოო ხმის გაგონება, გადაწყვიტეს გაეგოთ, ვინ იყო, მაგრამ უცნობმა ახალი სიმღერა დაიწყო, ამჯერად ტექსტი დაკარგულ მეგობრობას, სიწმინდეს, სიმორესა და იმის შიშს შეეხებოდა, რომ: **„მთელს ქვეყანას პირველყოფილი შუღლი და მტრობა“** დაეუფლებოდა. მომღერალი ატირდა. პერესმა და ნიკოლასმა დაიწყეს მისი ძებნა და, ერთ კლდესთან, სწორედ ისეთი კაცი იპოვეს, სანჩომ რომ კარდენიო უწოდა და აღწერა. უცნობი, იმ მომენტში, მშვიდად იყო. თავდაპირველად, უცხო ხალხის დანახვა არ გაკვირვებია, მაგრამ მერე, როდესაც გამოესაუბრნენ და თავისი ამბავი მათგან მოისმინა, გაოცდა. სანჩოს თანამგზავრებმა რჩევები მისცეს განდეგილს, რაც, კარდენიომ, ღვთის წყალობად ჩათვალა, მაგრამ კეთილისმსურველებს აუხსნა, რომ ამ ერთი ბოროტების უარყოფით, მეორეს, უარესს შეეყრებოდა, რადგან მას **„მძიმე, მოულოდნელი ნაღველი“** ქენჯნიდა და თუკი ისინიც იმ განზრახვით მოსულან, როგორც სხვები, რათა მოუსმინონ და ნუგეში სცენ, მაშინ მზადაა უამბოს თავისი უბედურების მიზეზებზე. მღვდელმა და დალაქმა მზადყოფნა გამოხატეს მოესმინათ და დახმარებოდნენ, თუკი რაიმეს შეძლებდნენ. **„ბედშავმა კაბალერომ“** ბოლომდე უამბო საკუთარი

თავგადასავალი ორივეს, დონ კიხოტსა და თხის მწყემსებს რომ უყვებოდა, იმ სიტყვებით დაიწყო თხრობა (განსხვავება ის იყო, რომ მაშინ ვერ დაასრულა სათქმელი, ვიღაც ელისაბატის გამო). გაიხსენა, რომ „ამადის გალელის“ წიგნში, დონ ფერნანდოს მიერ ნაპოვნმა ლუსინდას წერილმა, რომლის შინაარსიც კარგად ახსოვდა, გააბედვინა ვაჟს, მისი ხელი ეთხოვა. ქალი კარდენიოს სწერდა, რომ მასში ახალ-ახალ ღირსებებს ამჩნევდა და მისადმი პატივისცემაც ემატებოდა. დონ ფერნანდომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო კარდენიოს საცოლეს, ჭკვიან და სათნო ქალად ჩათვალა იგი. ისიც იცოდა, რომ მისი მეგობარი მამამისს ვერ უბედავდა, გაემხილა თავისი სიყვარულის შესახებ. დონ ფერნანდო დაპირდა, დაგეხმარებოდა. იმ დღეს, როდესაც მოლაპარაკება რომ უნდა დაეწყო „განდეგილის“ მამასთან, დონ ფერნანდომ ის თავის უფროს ძმასთან გაგზავნა, ვითომ ცხენის შესაძენი ფულის მოსატანად. კარდენიომ ლუსინდას უთხრა, ჩვენს სასარგებლოდ, დონ ფერნანდო სიკეთეს ჩადისო, მაგრამ სატრფოს ცუდი წინათგრძნობით დაშორდა.

დონ ფერნანდოს ძმამ სტუმარი კარგად მიიღო, მაგრამ ერთი კვირა შინ არ გაუშვა. მალე, ვაჟს, შიკრიკმა ლუსინდას წერილი მოუტანა და უთხრა: ეს ფანჯრიდან გადმომიგდო ვიღაც ლამაზმა ქალმა და მთხოვა თქვენთვის მომეტანა, სანაცვლოდ, ხელსახოცში გახვეული ასი რეალი და ბეჭედი მაჩუქაო. წაიკითხა. სატრფო კარდენიოს სთხოვდა, საჩქაროდ დაბრუნებულიყო, რადგან დონ ფერნანდო, თურმე, თავის სასარგებლოდ მოელაპარაკა ლუსინდას მამას და ქალის ხელი სთხოვა. მამამისმაც ჩათვალა, რომ ამ „სასიძოს“ უფრო მეტი უპირატესობა გააჩნია და დასთანხმდა. გადაწყვიტეს, ორ დღეში, „თითქმის საიდუმლოდ“, დაექორწინებინათ ახალგაზრდები. კარდენიო მიხვდა, რომ მეგობარმა თავისი ვერაგი განზრახვის შესასრულებლად გაიტყუა. არ დაელოდა არაფერს და მაშინვე გზას გაუდგა, თავისი ქალაქისაკენ. მეორე დღეს, „უპატიოსნო მეგობრის“ საქციელით გაშმაგებულმა, წერილის მომტან კეთილ ბიჭს დაუტოვა ჯორი და ლუსინდას სანახავად გაემშურა. ქალი ფანჯარასთან იდგა, ხასიათი შეცვლოდა. მან აღელვებულ სატრფოს ამცნო, საპატარძლოდ უკვე მორთული ვარ, შეეცადე ჩემს ჯვრისწერას დაესწრო, წესის აღსრულებას თუკი ჩემი სიტყვები არ შეუშლის ხელს, მაშინ უბეში ხანჯალი მაქვს, რომელიც ძალადობისგან მიხსნის და შენდამი სიყვარულს ამით დავამტკიცებო. კარდენიომ მიუგო, რომ ის მზად იყო ხმლით დაეცვა სატრფო. ვაჟი ყოფილი საცოლის სახლში, იმ დარბაზში შევიდა შეუმჩნეველად, სადაც ჯვრისწერის ცერემონია უნდა ჩატარებულიყო და ფარდებს ამოეფარა. ყველანი რომ შეიკრიბნენ, მღვდელმა ლუსინდას შეკითხვა დაუსვა, სურდა თუ არა დონ ფერნანდო გამხდარიყო მისი კანონიერი ქმარი. ქალი ცოტა ხანს შეყოვნდა, მერე თანხმობა განაცხადა და გულიც შეუღონდა. დედამ კაბა გაუხსნა, რათა თავისუფლად ესუნთქა და უბეში წერილი უპოვნა, რომელიც სიძემ გამოგლიჯა ხელიდან, ცოლის მოსულიერებას არ დაელოდა და წაიკითხა, ჩაფიქრებული ჩაჯდა სავარძელში. კარდენიომ არეულობით ისარგებლა, გამოვიდა სახლიდან, ჯორი დაიბრუნა და ქალაქი ისე დატოვა, არავის გამოთხოვებია, უკუნეთ ღამეში, ტრიალ მინდორზე აღმოჩნდა, აქ, ის, ღვთისგან შეჩვენებას უთვლიდა მოღალატე საცოლესა და მეგობარს. აღელვებულმა მთელი ღამე იარა, საკუთარ თავს ესაუბრებოდა. განთიადისას მიადგა მთებს, შემდეგ კიდევ იარა სამ დღე-ღამეს,

შემხვედრ მწყემსებს სთხოვა ესწავლებინათ მისთვის უდაბური ადგილი, რათა თავისი დღეები იქ დაეღია. შიმშილისა და დაღლილობისგან ჯორი მოუკვდა, დარჩა მარტო. ღამის გასათევად ერთი დიდი ხის ღრუ ამოირჩია. მას მწყემსები იბრალებენ და საკვებს აწვდიან.

კარდენიომ დაასრულა თავისი ამბის მბობა.



თავი XXVIII

სადაც მოთხრობილია ახალი და სასიამო თავგადასავალი, ამავე მთებში მღვდელსა და დალაქს რომ მოუხდათ

„ბედნიერი და კურთხეული იყო ის დრო, როდესაც ქვეყნიერებას უშიშარი რაინდი ღონ კიხოტი ლამანჩელი მოევლინა. მართლაც დიდსულოვნური იყო მისი წადილი – მოგზაურ რაინდთა მომაკვდავი და თითქმის მთლად გამქრალი წოდება უნდა აღედგინა – და ამ წადილით ჩვენ იმით ვართ დავალებული, რომ ამ მხიარულ გასართობებითა და სახალისო თავშესაქცევებით ღარიბ დროში, არა თუ მარტო ისეთი ამბების წაკითხვით ვტკბებით, რომელნიც მოგონილნი სულაც არ არიან და მის დიდ სახელოვან ღვაწლზე არიან დაწერილნი“[1,270].

მღვდელსა და დალაქს ხმა შემოესმათ, ვიღაც უფალს მიმართავდა: ნუთუ ესაა თავშესაფარი, სადაც შემძლია ღმერთს გული გადავუშალო და ჭმუნვა შევიმსუბუქო. მათ ოციოდე ნაბიჯი გაიარეს და იფნის ქვეშ, კლდის ძირში, გლეხურად ჩაცმული ბიჭი დაინახეს. ის ნაკადულისკენ ზურგშექცევით იდგა და „ქვებს შორის ნაშობ ორ თეთრ ბროლის ნატებს“ მიმსგავსებულ ფეხებს იბანდა. შორიდან თვალთვალი დაუწყეს. ჭაბუკმა ქუდი გადაიხადა და აღმოჩნდა, რომ, თურმე, ეს იყო ქალი „მისი გრძელი ქერა თმა არა თუ მარტო ბეჭებზე ეყარა, არამედ ხშირი ტალღებით მთლად ფარავდა მას და მთელი ტანიდან მხოლოდ ფეხებიღა რჩებოდა საჩინარი“[1,272]. სამი უცნობი მამაკაცის დანახვამ ქალი დააფრთხო და გაიქცა, მაგრამ წვეტიან ქვებზე სირბილს ვერ გაუძლო და დაეცა. მგზავრები მისცვივდნენ. პეროს პერესმა დაამშვიდა, ნუ გეშინია, სამსახურს გაგიწევთ, გვიამბე, გულზე რა დარდი გაწევსო. ქალი გაცოცხლებული შესცქეროდა მღვდელს, გულისხმიერებისათვის მადლობა მოახსენა და დასძინა, ჩემი უბედურების ამბავმა შეიძლება თქვენზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინოსო. მას ისევ გაუმეორეს თხოვნა.

ქალი დაჯდა ლოდზე და თავისი ცხოვრების სამწუხარო ამბის მოყოლა დაიწყო:*
ესპანეთში, ა ნ დ ა ლ უ ზ ი ი ს ერთ პატარა ქალაქში, ერთ–ერთ დიდებულ ჰერცოგს
ჰყავს ორი ვაჟი. მათგან უფროსი მისი საბატონოს მემკვიდრეა. ქალის მდიდარი
მშობლები, იმ ჰერცოგის ვასალები არიან: „ისინი მიწის მუშები არიან, და როგორც
იტყვიან, – ძველი ქრისტიანები და ოჯახიშვილები, მაგრამ წმინდა ესპანური სისხლი
კი უდგათ ძარღვებში; ამასთანაც მათმა სიმდიდრემ და უხვმა ცხოვრებამ თანდათან
მოუპოვეს მათ იდალგოს წოდება და თითქმის კაბალიერობაც, მაგრამ თავის უდიდეს
სიმდიდრედ და პატივად ისინი მე მხდიდნენ – ერთადერთ თავიანთ მემკვიდრეს და
ფუფუნებაში მზრდიდნენ“[1,274].

მწყემს ქალს ჰერცოგის უმცროსი შვილი, დონ ფერნანდო, გაუმიჯნურდა.
კარდენიოს, ამ სახელის გაგონებაზე, სახე შეეცვალა. აკანკალდა, მიხვდა, ვინც იყო ეს
მთხრობელი.

ქალმა, დოროთეამ, განაგრძო... დონ ფერნანდო, ათასგვარ ხერხს მიმართავდა, ჩემი
გულის მოსაგებად, მაგრამ ქალის მშობლებმა, თურმე, არ აუბეს მხარი ყმაწვილის
გრძნობებს, საიმედოდ არ მიიჩნიეს იგი და ასულის გათხოვება გადაწყვიტეს. ერთხელ,
ღამით, ყმაწვილი დოროთეას ოთახში შეიპარა და ცრემლებით ცდილობდა ქალისთვის
თავი შეეცოდებინა. მან კი უთხრა, ღირსების გრძნობა გამაჩნია, ჩემი გული მხოლოდ
კანონიერ ქმარს უნდა ეკუთვნოდესო. ვაჟმა ერთგულება შეჰფიცა: „**მე შენი მეუღლე
ვარ და ამ ფიცის მოწმედ ზენაარსს ვუხმობ, რომლისაგანაც არაფერი დაიფარება, და
აი კიდევ – წინ რომ გვისვენია, ამ ღვთისმშობლის ხატსო**“[1,277]. დონ ფერნანდომ
ღვთისმშობლის ხატის წინ დაიფიცა. დოროთეამ შეახსენა, მდაბიო ქალს რომ შეირთავ,
ეს მამაშენის წყრომას გამოიწვევსო, ურჩია, არ აჰყოლოდა გატაცებას, მაგრამ ამაოდ, ვერ
დაარწმუნა იგი. იხმო მსახური, რათა ფიცის მოწმე ყოფილიყო. დონ ფერნანდო
დოროთეასთან დარჩა. გამთენიისას, ვაჟმა ძვირფასი ბეჭედი დაუტოვა და
გამოემშვიდობა. ქალი მთელი თვე ელოდა მას, იტანჯებოდა, მაგრამ საქმრომ
მხოლოდ ერთხელ მოინახულა, ვაჟი დროს ნადირობაში ატარებდა. მერე კი, ამბობენ,
მდიდარი, ლამაზი ქალი, ლუსინდა, შეურთავსო, თუმცა, ჯვრისწერის დროს რაღაც
უცნაური რამ მომხდარაო.

ლუსინდას სახელის გაგონებაზე, კარდენიო ატირდა. დოროთეას საუბარი არ
შეუწყვეტია. მან განაგრძო: თურმე, საშინელი ღალატის შესახებ რომ გაიგო, ქალმა
თავისი სახლის მწყემს ბიჭს გაანდო საიდუმლო, ძონძები მოატანიხა და გადაწყვიტა
წასულიყო იმ ქალაქში, სადაც დონ ფერნანდო იმყოფებოდა, ბიჭს სთხოვა თან
გაყოლოდა. რაც შეეხება მოღალატე მოახლეს, რომელმაც დოროთეას სახლში დონ
ფერნანდო შეუშვა, არაფერი იცოდა მისი სახლიდან გაპარვის შესახებ. დოროთეა მესამე
დღეს ჩავიდა ქალაქში, იკითხა სად ცხოვრობდა ლუსინდა, თან ბევრი რამეც გაიგო
მასზე. ჯვრისწერისას ქალს გული შეღონებია, გულისპირში ნაპოვნ წერილში კი
ამოუკითხავთ, რომ არ შეეძლო დონ ფერნანდოზე დაქორწინებულიყო, რადგან
კარდენიოს ცოლი იყო. გაბრაზებულმა სასიძომ, თურმე, ხელი დაავლო წერილთან
ერთად ნაპოვნ ხანჯალს, რათა გაეგმირა ქალი, მაგრამ იქ მყოფებს არ დაუნებებიათ. მას
მიუტოვებია საცოლე. გულშემოყრილ ქალს მეორე დღეს უამბუნია მშობლებისთვის
ყველაფერი, მერე კი ისიც გაქცეულა, თავისი სახლიდან.

ქალაქში დოროთეას გაპარვამ, თურმე, მითქმა–მოთქმა გამოიწვია. დონ ფერნანდო
უცოლო იყო, ამიტომ ქალს იმედი გაუჩნდა. ეძებდა, ქალაქ–ქალაქ დაძრწოდა.

დოროთეაზე შეურაცხმყოფელი ჭორები გავრცელდა, ამბობდნენ, თითქოს, მსახურთან ერთად გაიქცა. მოედანზე გზირი აცხადებდა, რომ დიდ ჯილდოს გადასცემდნენ მის მპოვნელს. ხალხი დოროთეას კიცხავდა.

...მსახურმა ბიჭმა, რომელთან ერთადაც დოროთეა გაიქცა, ის უდაბურ ადგილას რომ დაიგულა, უხამსი, გარყვნილი წინადადებით მიმართა, უარი მიიღო, ძალდატანება დაუწყო, დოროთეამ ის კლდეზე გადაჩეხა, არ იცის, გადარჩა თუ არა. ტანსამოსშეცვლილი, ბიჭურად ჩაცმული დოროთეა, ერთხანს, ვიღაც მწყემსის ბინაში იყო თავშეფარებული, მაგრამ მასპინძელი მალე მიხვდა, რომ მისი სტუმარი ქალი იყო, მანაც მსახურის ქმედება გაიმეორა. დოროთეა იქიდანაც გაიქცა: „ასე მოვედი ამ მთა-ღრეში, რომ ხალხისაგან განშორებით ზეციერის წინ ცრემლები ვღვარო და ვევედრო, ეგებ წყალობა მოიღოს, სამუდამოდ დამტოვოს ამ უდაბნოში, ან უდანაშაულოდ კიცხვით დევნილს სახსენებელი მომისპოს“[1,282].



თავი XXIX

სადაც მოთხრობილია ის საუცხოო ხრიკი და ხერხი, რომელიც გამოიყენეს ნაკისრი მონანიებისაგან ჩვენი გამიჯნურებული კაბალეროს გამოსახსნელად

დოროთეა ყველას შეეცოდა, თავისი სამწუხარო თავგადასავლის გამო. კარდენიომ, თავისი ნათქვამით, ქალი ძალიან გააკვირვა, უთხრა, მდიდარი კლენარდოს მამისერთა შვილი და ის უბედური ადამიანი ვარ, ლუსინდაზე ჯვარი რომ უნდა დამეწერაო. მან აღუთქვა, დამწუხრებულ დოროთეას, დაგეხმარები და შენი პატივის დასაცავად ვიბრძოლებ, ამით ჩემს უბედურებასაც გავიქარვებო: „თუ ლუსინდას დონ ფერნანდოს ცოლად ყოფნა არ შეუძლია, რადგან იგი ჩემია, როგორც თვითონ საქვეყნოდ გამოაცხადა, და თუ დონ ფერნანდოსაც არ შეუძლია მის ქმრად ყოფნა, რადგან იგი თქვენია, მაშ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ზენა ჩვენ-ჩვენს საკუთრებას მთლიანად დაიცავს“[1,284].

კეთილმა მღვდელმა კარდენიოს მოუწონა განზრახვა. დაითანხმა, ს ოფელში გაყოლოდა, დონ ფერნანდოს მოსაძებნად, დოროთეა კი თავის მშობლებთან უნდა მიეყვანათ. საუბარში დალაქიც ჩაერია, მანაც დასახმარებლად მზადყოფნა განაცხადა, მერე მოკლედ თქვა, რა მიზეზით მოხვდნენ უდაბნოში, ისაუბრა იდალგოს უცნაურ სიგიჟეზე. კარდენოს ბუნდოვნად გაახსენდა დონ კიხოტთან მომხდარი უსიამოვნების ამბავი.

პეროს პერესსა და ნიკოლასს სანჩო პანსას ხმა მოესმათ. დოროთეასა და კარდენიოს თანხლებით, საჩქაროდ გაემართნენ მისკენ. საჭურველმტვირთველმა თქვა, რომ თავისი ბატონი პერანგისამარა, შიმშილისგან მოქანცული იპოვა. თურმე, როდესაც დულსინეს „ბრძანება“ მოახსენა, ტობოსოში წასვლის თაობაზე, რაინდმა თქვა: „მის

მშვენიერ თვალებს იმ დრომდის ვერ დავენახვები, ვიდრე ისეთ დიდს რასმე დვაწლს არ ჩავიდენ, რომ ჩემი საუცხოო მიჯნურის კეთილმადრეკილების ღირსი შევიქმნეო”[1,285].სანჩო წუხდა, ჯურღმულიდან თუ არ გამოვიტყუებთ, იმპერატორობას კი არა, უბრალო მთავარეპისკოპოსობასაც ვერ ეღირსებაო. მღვდელმა დაამშვიდა იგი, შემდეგ კი კარდენიოსა და დოროთეას უამბო, რა ხერხით ცდილობდნენ დონ კიხოტის შინ დაბრუნებას. ქალმა თქვა, მრავალი სარაინდო წიგნი მაქვს წაკითხული და ვიცი, როგორ უნდა მივმართო მოგზაურებს, ამიტომ, დღევანდელი ქალის როლს დალაქზე უკეთ შევასრულებო. მღვდელი დაეთანხმა.

დოროთეამ ბოღჩიდან მდიდრული კაბა და ფარჩის წამოსასხამი ამოიღო, ამოალაგა სამკაულებიც და მალე „მდიდარი და დიდებული ბანოვანის მსაგავსად მოიკაზმა“. მისი სილამაზით ყველა მოიხიბლა, განსაკუთრებით სანჩო პანსა განცვიფრდა: „ასეთი გასაოცარი მშვენიერი ქმნილება მას თავის დღეში არსად შეხვედროდა“[1,286], დაინტერესდა, ვინ იყო ეს გასაოცარი ქალი და ამ მთებში რა უნდოდა. მღვდელმა მიუგო: ეს მ ი კ ო მ ი კ ო ნ ი ს ს ა მ ე ფ ო ს მემკვიდრეა, ამ მთებში შენი ბატონის მოსამებნად მოვიდა, რათა დახმარება სთხოვოს, ბოროტი დევის წინააღმდეგ.

სანჩომ იმედი გამოთქვა, რომ თავისი ბატონი ბოროტს გაუმკლავდებოდა, თუკი ის მართლა დევი აღმოჩნდებოდა და არა მოჩვენება. საჭურველმტვირთველმა ისევ გაუმეორა თხოვნა მღვდელს, იქნებ დონ კიხოტს გაუქროთ მთავარეპისკოპოსობის სურვილი, ურჩიეთ ამ პრინცესაზე დაიწეროსო ჯვარი.

მღვდელმა სანჩოს დოროთეაზე უთხრა, ეს პრინცესა მიკომიკონია, მის სამეფოსაც ასე ეწოდება, და: „მთელს ჩემს მჭკვერმეტყველებას მოვიხმარებ, რომ ამ პრინცესის შერთვაზე დავითანხმო“. რაინდის მსახური, ამ დაპირებით, კმაყოფილი დარჩა.

დოროთეა მღვდლის ჯორზე შეჯდა, დალაქმა ხარის კუდი გაიკეთა წვერად, სანჩოს უბრძანეს წინ გაძლოლოდა მათ და არ უნდა წამოცდენოდა დონ კიხოტთან, რომ პეროს პერესი და ნიკოლასი მათი ნაცნობები იყვნენ. მღვდელი და კარდენიო არ წაყვნენ, ნელ–ნელა, ქვეითად მიჰყვნენ უკან. გზადაგზა, მღვდელი დოროთეას რჩევა–დარიგებას აძლევდა, ასწავლიდა, როგორ მოქცეულიყო. ქალი არწმუნებდა, რომ ყველაფერს გაითვალისწინებდა, სწორედ ისე, როგორც სარაინდო რომანებში წაეკითხა.

მგზავრებმა კლდეებს შუა, ერთ ვიწრო გასასვლელში, იპოვეს დონ კიხოტი. დოროთეა დაწინაურდა, დალაქიც თან მიჰყვა. რაინდს რომ მიუახლოვდნენ, ცრუ საჭურველმტვირთველმა მიიბრინა ქალთან და უნდოდა ჯორიდან ჩამოეყვანა, მაგრამ ის დაუხმარებლად, მარჯვედ ჩამოხტა ძირს, მივიდა იდალგოსთან და დაუჩოქა. დონ კიხოტი ცდილობდა წამოეყენებინა, მაგრამ ამაოდ. დოროთეამ გმირთაგმირი და მამაცი უწოდა და სთხოვა მისთვის დახმარების ხელი გაეწოდებინა. რაინდმაც, საპასუხოდ, „მშვენიერ და პატიოსან სეფექალს“ უთხრა, ვიდრე დაჩოქილი იქნებით, არ მოგისმენთო. ქალმა უპასუხა, დამპირდით, რომ თხოვნას შემისრულებთ და წამოვდგებიო. დონ კიხოტი დაპირდა. სანჩო პანსა მიუახლოვდა თავის ბატონს და ჩასჩურჩულა, თამამად შეგიძლიათ სათხოვარი შეუსრულოთ, ერთი უმაქნისი დევია მოსაკლავი: „ეს საბრალო მანდილოსანი, თქვენ რომ ამ უბრალო სამსახურსა გთხოვთ, უკეთილშობილესი პრინცესა მიკომიკონია, ე თ ი ო კ ი ი ს ქვეყანაში მდებარე დიდი მიკომიკონის სამეფოს დედოფალი“[1,289]. დონ კიხოტმა განაცხადა, ვინც არ უნდა იყოს, ისე მოვიქცევი, როგორც ჩემი რაინდული მოვალეობა და სინდისი მიკარნახებსო. მერე ისევ გაუმეორა თხოვნა დაჩოქილს, წამომდგარიყო. დოროთეა, რომელიც რაინდმა მიკომიკონის პრინცესად მიიღო, წამოდგა, იდალგოს სთხოვა წაყოლოდა და სანამ იმ

მოლაღატეს, რომელმაც სამეფო წაართვა, სამაგიეროს არ გადაუხდიდა, ახალი ფათერაკი არ წამოეწყო, აერიდებინა მისთვის თავი. რაინდი დაითანხმა, გადაწყვიტა ხელზე ეკოცნა მისთვის, მაგრამ „ზრდილმა და თავაზიანმა“ მხსნელმა იუარა, წამოაყენა ქალი და მოწიწებით თვითონ ეამბორა ხელზე, მერე სანჩოს უბრძანა, როსინანტი გაემზადებინა. მსახურმა დავალებზე შეასრულა, შემდეგ დონ კიხოტს შესძახა, ახლა, ღვთის შეწევნით, ამ სეფექალის დახმარებას შევუდგეთო.

დალაქი ძლივს იკავებდა სიცილს. ცოტა ხანში გაუდგნენ გზას. კარდენიო და მღვდელი ყოველივეს ბუჩქებიდან უცქერდნენ და არ იცოდნენ, დონ კიხოტის მიმყოფ ჯგუფს როგორ შეერთებოდნენ. მღვდელმა ასეთი რამ მოიფიქრა, საგზაო მაკრატლით კარდენიოს წვერი მოკრიჭა, თავისი მოსასხამი მოახურა და შავი საყელო გაუკეთა. თვითონ კამზოლისა და შარვლის ამარა დარჩა. ყმაწვილი ძალიან შეცვალა ახალმა მორთულობამ. ამასობაში მგზავრები დაწინაურდნენ, მაგრამ მალე ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. მღვდელმა ვითომ გამტერებით დაუწყო ცქერა დონ კიხოტს, მერე „იცნო“ და გაექანა მისკენ: **„მივესალმები რაინდობის სარკეს, ჩემს სათნო და კეთილ თანამემამულეს დონ კიხოტ ლამანჩელს, ყვავილს მშვენიერებისას, მწუხარეთა შემწეს და მფარველს და მოგზაური რაინდობის კვინტესენციას!“**[1,291]. რაინდმა, სანამ კარგად არ დააკვირდა, თავისი მეგობარი ლიცენციატი ვერ იცნო. შემდეგ კი ერთხანს ებოდინებოდნენ ერთმანეთს, იმის თაობაზე, რომ ცხენიდან უნდა ჩამობრძანებულიყო დონ კიხოტი, მღვდელს კი მიაჩნდა, რომ ამხედრებული რაინდი უფრო შეეყრებოდა უდიდეს საშიშროებებს და ჩაიდენდა: **„სახელოვან საქმეთა, რომელთა მსგავსი ჩვენს დროში ჯერ არ მომხდარა“**. დონ კიხოტმა თქვა, ქალბატონი პრინცესა თავის საჭურველმტვირთველს უბრძანებს, რომ მან ჯორი დაგიტოვოთ, თვითონ კი უკან ჩამოჯდებოდ. დოროთეამ მიუგო, ჩემმა საჭურველმტვირთველმა იცის, სასულიერო პირი ქვეითად არ უნდა მოდიოდესო. ჩამოხტა, მღვდელს ჯორი დაუთმო. ეს ცხოველი ნაქირავები და გაუხედავი იყო. დალაქ ნიკოლასს, რომელიც უკან შემოჯდომას აპირებდა, წიხლი ჰკრა. ის დაეცა და წვერი მოძვრა. მაშინვე ხელი აიფარა სახეზე, ვაიმე, კბილები ჩამიმტვრიაო. გოცებულმა დონ კიხოტმა ცრუ საჭურველმტვირთველის წვერი რომ დაინახა, შესძახა, ისე მოაგლიჯა ჯორმა წვერი, თითქოს დანით მოასხიპაო. მღვდელი მიხვდა, რომ საქმე სახიფათოდ შეტრიალდა, მიიბრინა ნიკოლასთან, წვერი მიუტანა, ხელახლა გაუკეთა რაღაც „საოცარი ლოცვის“ ძალით. დონ კიხოტმა სთხოვა მისთვისაც ესწავლებინა ეს ლოცვა. პეროს პერესი დაპირდა, გასწავლიო. გადაწყვიტეს: მღვდელი, კარდენიო და ნიკოლასი რიგრიგობით შემსხდარიყვნენ ჯორზე.

მგზავრთა ჯგუფი ორად გაიყო: ცხენოსნებად და ქვეითებად. დოროთეას მღვდელმა და დონ კიხოტმა სთხოვეს ესწავლებინა გზა. მანაც მიუთითა. მღვდელმა თქვა, ესე იგი ჯერ ჩვენი სოფელი უნდა გავიაროთ, იქიდან „კართახენს“ წავალთ, მერე გემში ჩავსხდებით და ზღვა დამშვიდებული თუ იქნება, ცხრა წლის შემდეგ მივაღწევთო თქვენს უმაღლესობის სამეფომდე. „პრინცესამ“ მიუგო, ცდებით, ბატონო, ორი წელიწადია მხოლოდ რაც წამოვედი სამეფოდან, მოკლე დროში ვიპოვე დონ კიხოტი, ესპანეთის მიწაზე ფეხი დავდგი თუ არა, მისი ქება მაშინვე გავიგეო.

იდალგომ ქალს საუბარი შეაწყვეტინა, ყოველგვარი პირფერობის მტერი ვარ და ქებას თავი დაანებეო. მერე კი ლიცენციატს დაუსვა შეკითხვა, აქ მარტო, უბრალოდ ჩაცმული, რამ მოგიყვანა, ძლიერ მიკვირსო. მღვდელმა უპასუხა, ნიკოლასთან ერთად, სევილიაში მივდიოდი, რამდენიმე წლის წინათ, ინდოეთში წასული ჩემი ნათესავის მიერ გამოგზავნილი ფულის, ას სამოცი ათასი პესოს მისაღებად. გუშინ, ამ მიდამოებში, ოთხი ავაზაკი დაგვესხა თავს, გაგვძარცვა, წვერებიც კი მოგვტაცეს, ამიტომ დალაქი

იძულებული გახდა ყალბი წვერი გაეკეთებინა. ეს ბატონი (კარდენიო) გამარცვს, გაატიტვლეს. ამბობენ, რომ ისინი კატორღელები იყვნენ, ვიღაც მამა კაცისგან გათავისუფლებული: „ყოვლადმოწყალე უფალმა აპატიოს, ვინც მათ დამსახურებული სასჯელის გადახდა დაუშალა.“

კატორღელების გათავისუფლების ამბავი სანჩოსგან იცოდნენ. დონ კიხოტს მღვდლის ყოველ სიტყვაზე სახე ეცვლებოდა და ვერ ბედავდა ეთქვა, რომ გალერეაზე გაგზავნილები კატორღელები თვითონ გაათავისუფლდნენ.



თავი XXX

რომელიც მოგვითხრობს მშვენიერი დოროთეას მახვილგონიერებას და აგრეთვე მრავალ სხვა ჩვეულებრივ და თავშესაქცევარ ამბებს

სანჩომ წამოიძახა, ბატონი დონ კიხოტი გავაფრთხილე, რომ გალერეაზე გაგზავნილი კატორღელების გათავისუფლება დიდი ცოდვა იყო, მაგრამ არ მომისმინაო. იდალგომ დაუყვირა: „რაინდის საქმე ისაა, იმათ უშველოს, ყურადღება მართო მათს უბედურებას მიაპყრას და არა მათს დანაშაულს“ [1,295], ერთ ჯაჭვზე კრილოსანივიტ გადაბმული უბედური ადამიანები შემხვდნენ და სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი, ვინც საწინააღმდეგო რაიმეს მეტყვის, ბატონი ლიცენციატის გარდა, რომლის სასულიერო ხარისხს დიდ პატივს ვცემ, არ ვაპატიებ, რადგან მას რაინდობისა არაფერი გაეგება, როგორც ხეპრესა და არამზადას. რაინდი დაემუქრა ვილაცას.

დოროთეამ კარგად იცოდა, რომ სანჩო პანსას გარდა, დონ კიხოტს ყველა დასცინოდა. მან „კეთილშობილ რაინდს“ სთხოვა აღთქმა არ დაევიწყებინა, არანაირ სხვა ბრძოლაში არ ჩართულიყო. იდალგო „პატიოსან სეფექალს“ დაპირდა, რომ აღთქმის ასრულებამდე რისხვას დაიოკებდა, მაგრამ ახლა სურდა გაეგო მისი უბედურების მიზეზი რა იყო.

დოროთეამ თავისი მოგონილი ამბავი წამოიწყო. „მე მქვია...“ წამოიწყო ქალმა და შეჩერდა, გადაავიწყდა რა სახელი შეარქვა მღვდელმა. პეროს პერესი მიუხვდა გასაჭირს, „ჩვენო უმაღლესობავ“, არ გვიკვირს, მღელვარების გამო, საკუთარი სახელი

რომ გადაგავიწყდათ: „თქვენ პრინცესა მიკომიკონი გქვიათ, როგორც მიკომიკონის სამეფოს კანონიერ მემკვიდრეს“ [1,297]. დოროთეამ საუბარი განაგრძო, მათ უამბო, რომ მამამისი ტ ა ნ ა კ რ ი ო მისნობის მეცნიერი იყო, რომლის წყალობითაც აღმოაჩინა, რომ „პრინცესა მიკომიკონის“ დედა, დედოფალი ხ ა რ ა მ ი ლ ი ა, მასზე ადრე მოკვდებოდა, შემდეგ კი თვითონაც დიდხანს ვერ გასძლებდა, მათი შვილი ობლად დარჩებოდა. მეცნიერი, ყველაზე მეტად, მეორე აღმოჩენამ შეაწუხა: მათი სამეფოს ახლოს მდებარე დიდ კუნძულზე მეფობდა დევი პ ა ნ დ ა ფ ი ლ ა ნ დ ო. ტანაკრიო მიხვდა, რომ მისი და დედოფლის სიკვდილის შემდეგ, ეს მძვინვარეთვალა უთვალავი ჯარით თავს დაესხმოდა მიკომიკონის სამეფოს, პრინცესას ყველაფერს წაართმევდა. ქალს, სრული განადგურებისგან, მხოლოდ მისი ქმრად შერთვა გადაარჩენდა. მამამ ურჩია შვილს, დევისთვის არ გაეწია წინააღმდეგობა, დაეთმო სამეფო და საკუთარი ქვეშევრდომებიცა და თავისი თავიც გადაერჩინა. მშობლების სურვილი იყო, რამდენიმე ერთგულ ჯარისკაცთან ერთად, პრინცესა წასულიყო ესპანეთში და ერთი სახელგანთქმული მოგზაური რაინდისთვის, რომელსაც დ ო ნ ა ს ო ტ ი თ უ დ ო ნ ხ ი ვ ო ტ ი უნდა ერქვას, დახმარება ეთხოვა. სანჩო პანსამ შეუსწორა, დონ კიხოტი ანუ, სხვანაირად, მწუხარე სახის რაინდი ჰქვიაო. დოროთეამ „გაიხსენა“, როგორ აღუწერა დონ კიხოტი მამამისმა, მარცხენა ბეჭს ქვეშ რომ ხალი ჰქონდა რაინდს, ისიც კი იცოდა, მერე კი დასძინა, ამგვარი „ნიშნები სრულებით ეთანხმებიან იმ დიდ სახელს, არა მარტო ესპანეთში, არამედ მთელს ლამანჩაშიც რომ მოუხვეჭია“, გემიდან რომ ო ს უ ნ შ ი გადმოვედი, მის დიდებულ ღვაწლზე მესმოდაო საუბარი. რაინდმა გაიკვირვა, ოსუნი ზღვისპირა ქალაქი არ არის და გემიდან როგორ გადმოხვედიო. მღვდელი ჩაერია საუბარში. ქალბატონს, ალბათ, იმის თქმა სურდა, მ ა ლ ა გ ა შ ი რომ გემიდან გადმოვიდა, ოსუნში გაიგოო თქვენ შესახებ. დოროთეამ დაუდასტურა, ასე იყო. შემდეგ კი დაამატა, რაინდთან შეხვედრა ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რადგან თავს, მისი დახმარებით, ისევ მეფედ წარმოვიდგენ, წავიყვან დევის დასამხობად, მერე კი, მამის წინასწარმეტყველების თანახმად, რაინდი, გოლიათზე გამარჯვების შემდეგ, თუ მოისურვებს ჩემს ცოლად შერთვას, მისი სურვილი უნდა შევასრულო და სამეფოს მფლობელობაც გადავცეო.

დონ კიხოტმა სანჩოს წინაშე წაიტრაბახა, ჩემო მეგობარო სანჩო, ახლაც იტყვი, რომ სამეფო არა გვაქვს და საცოლევ არა გვყავსო? საჭურველმტვირთველმა დაუდასტურა, რომ ასე იყო, აღტაცებისგან ორჯერ შეხტა, მერე დოროთეას დაუჩოქა და სთხოვა უფლება მიეცა მომავალი დედოფლისა და მბრძანებლისთვის ეკოცნა ხელზე.

დოროთეა დაჰპირდა სანჩოს, როგორც კი ეთიოპიის სამეფოს მფლობელი გახდებოდა, მას დიდკაცობას მიანიჭებდა. საბრალო მსახურმა ხელახლა ისეთი სიტყვებით გადაუხადა მადლობა, რომ ყველანი გააცინა. „პრინცესამ“ აღნიშნა, რომ თავისი ამალიდან ყველა, გარდა გრძელწვერა საჭურველმტვირთველისა, ზღვაზე ამოვარდნილი საშინელი ქარიშხლის დროს დაიღუპა, ამიტომ, გამუდმებული ტანჯვის გამო, არეულად საუბრობს და ეს ლიცენციატმაც შენიშნა.

დონ კიხოტი „მაღალკეთილშობილ“ ქალბატონს დაჰპირდა, რომ ქვეყნიერების საზღვრამდე გაჰყვებოდა, სანამ მის ვერაგ მტერს გესლიან თავს არ გააგდებინებდა, არ მოშორდებოდა, თუმცა, თავისი მახვილის სიძლიერეს ვერ დაიკვებნიდა, რადგან კარგი იარაღი ხინეს პასამონტემ გამოსტაცა. რაინდის თქმით, გამეფების შემდეგ, ქალბატონს სრული თავისუფლება მიეცემოდა, თავისი ნება—სურვილით განეგო საქმიანობა: „ვიდრე ჩემი ნება შებოჭილია, გული ტყვეობაშია, მებსიერება დაზაფრული და აზრიც დამონებულია, იმ... სხვას აღარ ვიტყვი... იმ დრომდე, პრინცესა, ცოლის შერთვის

ფიქრი ვერ გამივლის“[1,301]. სანჩო თავისი ბატონის ამ სიტყვებმა გააბრაზა: „ბატონო რაინდო დონ კიხოტო, თქვენს ჭკუაზე არა ბრძანდებით! გაგონილა ასეთი დიდებული პრინცესის შერთვაზე კაცმა იყოყმანოს და უარი თქვას? ნუთუ გგონიათ, ბედი ყოველთვის გამოგიგზავნით ასეთ იღბლიან ფათერაკებს, როგორც ეს ახლანდელია? განა თქვენი მიჯნური დულსინეა ამ ქალბატონზე ლამაზია? რასაკვირველია, არა! ის ხომ პრინცესას ნახევრადაც არა ღირს. თუნდ დავიფიცებ, ის ხომ იმის ღირსი არ არის, ამას ფეხსაცმელსა ჰხდიდეს? თუ ასე განაგრძეთ, რა იმედი უნდა მქონდეს, რომ თქვენგან აღთქმულ საგრაფოს მალე მივიღებ, თუ ყურძენში მარგალიტის ძებნას გამოუდექით. აბა, რასაკვირველია! – შეირთეთ, ბატონო რაინდო, ყველა ეშმაკს გეფიცებით, შეირთეთ, და ის სამეფო აიღეთ“...[1,301]. დონ კიხოტმა დულსინეს აუგად ხსენება ვერ მოითმინა და თავის მსახურს ორჯერ ისე ჩაარტყა შუბი, რომ სანჩო გაიშხლართა. დოროთეას რომ არ დაეყვირა დონ კიხოტისთვის, შესდევითო, სულს გააფრთხობინებდა. რაინდი საჭურველმტვირთველს ლანძღავდა, სულმდაბალ ყეყეჩს, შეჩვენებულ არამზადას, ლენჩს, უმაქნისს, ბრიყვსა და გველისენიან გაიძვერას უწოდებდა. სანჩო საჩქაროდ წამოდგა, დოროთეას ჯორს ამოეფარა და იქიდან უთხრა რაინდს: „მოწყალო ბატონო, თუ ამ პრინცესაზე ჯვარი არ დაიწერეთ, სამეფოც არ გექნებათ და თუ სამეფო არ გექნებათ – მეც უარარაოდ დავრჩები“[1,302]. მსახურს წამოცდა, ეს ქალბატონი შეირთეთ და მერე მიბრძანდით დულსინესთან, „ხომ იყვნენ ქვეყნად მეფეები, ხასები რომ ჰყავდათ“, ჩემთვის ორივე ქალი მშვენიერია, თუმცა, ქალბატონი დულსინე არასდროს მინახავსო, რითაც განარისხა ბატონი, როგორ თუ არ გინახავს, ახლახან არ დაბრუნდი მისგან და წერილის პასუხი არ მომიტანეო? სანჩომ თავი იმართლა, იმის თქმა მინდოდა, რომ რიგიანად არ დამითვალთქვამია, ისე კი რიგიანი მეჩვენაო.

დონ კიხოტმა სანჩოს აპატია წარსული, სთხოვა, მეც მომიტევეო, მაგრამ გააფრთხილა, თავისი სიტყვებისთვის მეტი ყურადღება მიექცია. დოროთეამ სანჩოს ურჩია, ბატონს შენდობა სთხოვე, ხელზე აკოცე და ქალბატონ ტობოსელზე ნურაფერს ეტყვიო. საჭურველმტვირთველმა ღმობიერი სახით აკოცა დონ კიხოტის მედიდურად გამოწვდილ ხელს. რაინდმა დალოცა იგი და შემდეგ ცალკე, სხვებისგან მოშორებით, დულსინეს ამბავი გამოჰკითხა. საჭურველმტვირთველი დაჰპირდა, ყველაფერს გეტყვით, მაგრამ წყრომას ნუ ინებებთო. რაინდს გაუკვირდა მისი სიტყვები. მსახურმა აუხსნა მიზეზი, „ახლა ჯოხით ცემა მიწყალობეთ“ და ასე იმიტომ ვსაუბრობო. მისი აზრით, ამგვარი უთანხმოება, მათ შორის, ეშმაკის ბრალია. რაინდმა სთხოვა დაევიწყებინა წყენა.

რაინდმა და საჭურველმტვირთველმა ვირით მომავალი, ბოშურად მორთული კაცი დაინახეს, რომელიც ხინეს დე პასამონტე აღმოჩნდა. სანჩომ თავისი დაკარგული სახედარი იცნო და ყვირილი მორთო: „ავაზაკო ხინესილო, მომე ჩემი საკუთრება, დამიბრუნე ჩემი სიცოცხლე“...პასამონტე გადმოხტა ვირიდან და გაიქცა. სანჩო მოეფერა პირუტყვს, მას გვრიტს, ამხანაგსა და თვალისჩინს უწოდებდა. დონ კიხოტმა უთხრა, რომ პირობას არ გატეხდა და, მართალია, ვირი იპოვა, მაგრამ მაინც თავისი თავლიდან სამ ჩოჩორს მაინც აჩუქებდა.

მღვდელმა დოროთეას მადლობა გადაუხადა ხერხიანად მოყოლილი ამბის გამო, ქალმა მოუბოდიშა, საუბრისას რომ შეეშალა, ქალაქ ოსუნის ნავსადგურის შესახებ. მღვდელმა უპასუხა, მივხვდი ყოველივეს და შეცდომა იმიტომ გაგისწორეთ, მაგრამ თუ ხედავთ, რომ „უბედური იდაღო“ ზღაპრებსა და ჭორებს რა ადვილად იჯერებსო. კარდენიომაც დაუდასტურა, გასაოცარი და გაუგებარი ჭკუისარევა სჭირსო. მღვდლის

თქმით: „თუ ამ აზღაუბდას თავი ანებეთ და სხვა რამ საგანზე დაუწყეთ ლაპარაკი, სულ ვედარ იცნობთ; ყველაფერზე მეტად სალად და გონივრულად მსჯელობს ამ რაღაც ეშმაკი რაინდობის გარეშე, გარწმუნებთ, მას ყველა გონიერ და მეტად განათლებულ კაცად ჩათვლიდა.“[1,305]. ამასობაში დონ კიხოტი ისევ დუღსინეზე უსვამდა კითხვებს სანჩოს, სთხოვდა წყენა დაევიწყებინა და გულდამშვიდებით ეამბნა ყოველივე. სანჩომ აღიარა, რომ წერილი არც გადაუწერია არავის, არც კი წაუღია. რაინდმა უთხრა, მართალი ხარ, უბის წიგნაკში ვიპოვე ორი დღის წინათ და ძალიან დავღონდი, მეგონა დაბრუნდებოდიო. მსახურმა მიუგო, ზეპირად მახსოვდა, ერთ დიაკვანს ვუკარნახე და დავაწერინეო. რაინდი დაინტერესდა, ახლაც ახსოვდა თუ არა შინაარსი. სანჩომ მიუგო, უკვე დამავიწყდა, მხოლოდ ეს დასაწყისი მახსოვსო: „აღმამფოთებელი... „ არა, ბოდიში, „აღმატებულო ქალბატონო“ და მერე კიდევ ბოლო: „თქვენი სამარემდის მწუხარე სახის რაინდი“; ამ დასაწყისსა და დასასრულს შუა ერთი სამასამდის მაინც „ჩემო სულიკო“, „ჩემო სიცოცხლე“ და „ჩემო თვალისჩინო“ ჩავურთეთო[1,306].



თავი XXXI

დონ კიხოტის ღირსშესანიშნავი საუბარი მის საჭურველმტვირთველ სანჩო პანსასთან და სხვა შემთხვევები

იდალგომ თავის საჭურველმტვირთველს ჰკითხა, დუღსინეა, „მშვენიერი დედოფალი,“ რას აკეთებდა, სატრფოს წერილი რომ მიუტანეს: „უეჭველია, ოქროს ძაფზე მარგალიტს ასხამდა, ანუ თავის ტყვე რაინდისათვის სამიჯნურო რამ სიტყვას ჰქარგავდა ოქრომკედით“[1,306], ან ხომ არ ეამბორა ნაწერს? მსახურმა მიუგო, რომ ქალი საქონლის ბაკში ხორბალს ცხრილავდა, არ ეცალა და დაავალა, ტომარაზე შემოედო იგი. რაინდმა გაამართლა დუღსინეს საქციელი, „უბიწო და ბრძენ მშვენიერს“ ალბათ სურდა, განმარტოებით წაეკითხა, თითოეული სიტყვით დამტკბარიყო, მაგრამ რა გკითხაო? სანჩომ თქვა, რომ არაფერი უკითხავს, მაგრამ, თურმე, თვითონ უამბო, დონ კიხოტი როგორ იტანჯებოდა და თავის ბედს როგორ წყევლიდა. რაინდმა უარყო მისი ბოლო სიტყვები, პირიქით, ბედს ვემაღლიერები, დიდებული მანდილოსნის, დუღსინე ტობოსელის, სიყვარულის ღირსი რომ შევიქენიო. სანჩომ დაუდასტურა, მართლაც, დიადი და მაღალია, ვირზე ხორბლიანი ტომრის აკიდებაში რომ მივეშველე, მთელი მტკაველით ჩემზე მაღალი ჩანდაო. რაინდი დაინტერესდა: „უარს ხომ ვერ იტყვი, სანჩო, როცა მიუახლოვდი, საგანგებო რამ ნაზმა სურნელებამ მოგბერა და მის გარშემო ისეთი მშვენიერი სუნი ჰფშვენდა, ენით არ გამოითქმება, გეგონა სურნელოვანი წამლებისა და მოდური ხელთათმანების სავაჭროში შეველო.“[1,308]. მსახურმა მიუგო, რომ „ერთი რამ სუნი“ იგრძნო: „მუშაობაში გაოფლიანებულიყო თუ ხვითქი გადადიოდა, რაღაც მამაკაცის სუნს მაგონებდა“[1,308]. ბატონი ისევ შეეწინააღმდეგა, შეუძლებელია, ალბათ, სურდო გქონდა, ან შენი სუნი გცემდა, რადგან: „კარგად ვიცი,

რა სურნელოვანიც არის იგი ვარდი ასკილებს შორის, იგი ბალის ზამბახი, იგი მუშკამბრი“...[1,308].

დონ კიხოტი დაინტერესდა, ჯილდოდ რა ძვირფასი ნივთი აჩუქა სანჩოს, წამოსვლის წინ? მსახურმა მიუგო, რომ წერილი არ წაუკითხავს ქალს, დახია იგი, ალბათ, სურდა სხვას არ გაეგო მისი საიდუმლო, საჩუქრად კი ცხვრის ყველი და ერთი ნატეხი პური მიიღო. რაინდმა გაიკვირვა, დულსინე გულუხვი ქალია, ალბათ, იმ მომენტში, ხელთ არ ჰქონდა ძვირფასი საჩუქარი, მაგრამ ეს საკითხი მოგვარდება, როცა იდალგო თავის სატრფოს შეხვდება, დღესასწაულის შემდეგაც არ აწყენს მსახურს მისგან ყურადღება. მხოლოდ საკვირველი ისაა, რომ სანჩომ ძალიან ჩქარა გაიარა ოცდაათი მილი, სამ დღეში, თითქოს დონ კიხოტის მფარველსა და მეგობარს, ბრძენ ჯადოქარს, ეტარებინოს ჰაერში. ჯადოქარს შეუძლია მძინარე აიყვანოს ლოგინიდან და მეორე დღეს ათასი მილის იქით გაიღვიძოს რაინდმა. მაგალითად: ვიღაც რაინდი იბრძვის ს ო მ ხ ე თ ი ს მთებში, ურჩხულთან, ან ანდრიაკთან, ამ დროს, ღრუბლებიდან, ცეცხლის ეტლით ეშვება მისი მშველელი, შეიძლება, ის, რამდენიმე საათის წინ, ი ნ გ ლ ი ს შ ი იმყოფებოდა, დაეხმარება მეგობარს და იმავე ღამეს უკან ბრუნდება. ტერიტორიები კი ორი ან სამი ათასი მილითაა ერთმანეთისგან დაშორებული. ამას მფარველი ჯადოქრების მეშვეობით ახერხებენ. ამიტომაც, სანჩოს არ უნდა გაუკვირდეს, თავისი ბატონის, ბრძენი მეგობრის დახმარებით, ფრინველივით რომ დაფრინავდა. სანჩომ დაუდასტურა, შესაძლებელია ასეც იყოს, რადგან როსინანტი ისე მიქროდა, თითქოს ყურებში ვერცხლისწყალი ჩაუსხამთო, ისე, როგორც ბოშებმა იციან, ვირის გასაფიცებლად. ვერცხლისწყლის ხსენებაზე დონ კიხოტმა შეჰყვირა, ავი სულების მთელი ლეგიონი მიგაქროლებდა და ისინი არ ილღებიან, თვითონ მიფრენენ და სხვასაც მიაქროლებენო, მაგრამ, ახლა, ის მაინტერესებს, მიჯნურის ბრძანება როგორ შევასრულო, რადგან საშინელი დე ვი უნდა გავანადგურო, პრინცესა მიკომიკონს დავპირდი, რომ სამეფოს ჩავაბარებდი, მხოლოდ ამის შემდეგ გავემშურები იმ „მანათობელ ვარსკვლავთან“, თავის შუქს რომ მფენს, დაგვიანების გამო ბოდიშს მოვიხდი, ის არ გაჯავრდება, ქებას შემასხამს.

თავისი ბატონის გადაწყვეტილებამ, ცხრა მთის იქით რომ უნდა წასულიყო, სანჩო გააბრაზა, ნუთუ იდალგოს სურდა ხელიდან გაეშვა საცოლე, რომელსაც მზითვად „ოცი მილის სივრცე სამეფო“ ჰქონდა, იმაზე დიდი, ვიდრე ერთად აღებული კ ო რ ტ უ გ ა ლ ი ა და კ ა ს ტ ი ლ ი ა ა.

სანჩომ რაინდს ურჩია, უახლოეს სოფელში მღვდელი უეჭველად იქნება და პრინცესაზე ჯვარი დაიწერე, ან განა ლიცენციატი აგერ არ იყო? ჯვარს ვერ დასწერდა? დონ კიხოტმა მიუგო, ამგვარად მოხდებოდა თუ არა, მაინც მას სამეფოს ნახევარი უნდა მიეღო და ვისაც უნდოდა იმას გადასცემდა და ეს სანჩო უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას საჭურველმტვირთველმა ჭკვიანური უწოდა, მხოლოდ სთხოვა, ზღვისპირა ადგილი ამოერჩია, რადგან, ზანგების ხელით გემის გამართვა და, თავისი სურვილისამებრ, საითაც უნდოდა იქით გაგზავნა უნდა შეძლებოდა. რაინდი დაეთანხმა თავის მსახურს და გააფრთხილა, მათი საუბარი არავისთვის არ გაემჟღავნებინა, რადგან მოკრძალებულ დულსინეს არ სურდა საიდუმლოს გამხელა. სანჩომ უპასუხა, ყველა დამარცხებულს მას აახლებთ ხოლმე, ეუბნებით, რომ გიყვართ, „თქვენი ბრძანებით რომ თქვენს სატრფოს მუხლს უდრეკენ და ყურმოჭრილ მონობას უცხადებენ“, საიდუმლო როგორ დაიმაღ ება? ბატონმა მიუგო, მიჯნურ ქალს ეს მხოლოდ აღამაღლებსო. სანჩომ მღვდლის ნათქვამი გაიხსენა, რომ ასეთი სიყვარული მხოლოდ ღვთის მიმართ შეიძლება. დონ კიხოტი კიდევ ერთხელ გააბრაზა ამ „ყეყეჩის“,

საჭურველმტვირთველის, ნათქვამმა: „**რა აზრები მოუვლის ხოლმე; ხანდახან კაცს აფიქრებინებს, სწორედ სკოლაში უსწავლიაო**“. ეს რომ მოისმინა, სანჩომ თქვა, ღმერთმანი, წერა–კითხვაც არ ვიციო.

დალაქმა ნიკოლასმა მოუხმო მგზავრებს, წყაროსთან შეჩერებულიყვნენ, რითაც სანჩო ძალიან გაახარა, რადგან საჭურველმტვირთველს მობეზრდა ტყუილების თქმა. იცოდა, რომ დულსინე ტობოსელი გლეხის ქალი იყო, მაგრამ არასდროს ენახა იგი და ეშინოდა უფრო მეტი სიცრუე არ წამოსცდენოდა.

დღროთეამ კარდენიოს ძველი ტანსაცმელი ჩაიცვა. მგზავრებმა, წყაროს პირას, მღვდლის მიერ დუქანში ნაყიდი სანოვაგით ისაუბმეს.

გზაზე გამოჩნდა ერთი ბიჭი. დონ კიხოტი იცნო, მიიღბინა მასთან, მუხლებზე მოეხვია და უთხრა, ის საბრალო ანდრესი ვარ, მუხიდან რომ ამხსენითო. დონ კიხოტმა დიდგულად წარუდგინა ის თანამგზავრებს და მოგზაური რაინდების სიკეთეზე წარმოთქვა რამდენიმე წინადადება, მერე კი მათ მოკლედ უამბო, როგორ დაეხმარა ანდრესს. სიტყვა რომ დაასრულა, ბიჭმა უთხრა, ყველაფერი პირიქით მოხდა, როგორც კი ტყიდან გახვედით, ბატონმა ისევ მიმაბა მუხაზე, გამშოლტა, სასაცილოდ გიგდებდათ. დღემდე ვმკურნალობდი, იარებს ვირჩენდი, სულ თქვენი ბრალია, რომ არ ჩარეულიყავით ამ საქმეში, „ათ–თორმეტიოდეს“ დამარტყამდა, ჯამაგირსაც მომცემდა, თქვენ ლანძღვა დაუწყეთ და გააბრაზეთ და არც ვიცი, როდისმე მოვრჩები თუ არაო. დონ კიხოტმა აღიარა, რომ შეცდა, ისე ჩქარა არ უნდა წამოსულიყო იქიდან, მიუბრუნდა სანჩოს და უბრძანა შეეკაზმა როსინანტი და სამაგიეროს გადასახდელად წასულიყო, ანდრესის მჩაგვრელთან. დღროთეამ აღთქმა მოაგონა და რაინდი შეაჩერა.

ანდრესმა ფული და საჭმელი მოითხოვა დონ კიხოტისგან, რათა სევილიამდე შეძლებოდა მისვლა. სანჩომ თავისი საგზლიდან ამოიღო პურის ნატეხი და ყველი, გაუწოდა ბიჭს, მან გამოართვა, მაგრამ რაკი დაინახა, რომ მეტს არაფერს აძლევდნენ, ჯერ თავი დახარა, მერე რაინდს შეხედა, გთხოვთ, ნუღარ წამესარჩლებით, ბედის ანაბარა დამტოვეთ: „**ღმერთმა დაგწყევლოთ და დაგკრულოთ ყველა რაინდიანად, რომელნიც კი როდისმე ქვეყანაზე დაბადებულან**“[1,315].

დონ კიხოტი გაბრაზდა, უნდოდა „თავხედი ბიჭი“ დაესაჯა, მაგრამ ანდრესი გაიქცა.



სადაც მოთხოვნილია, თუ რა შეემთხვა ფუნდუკში დონ კიხოტის ამაღლას

დონ კიხოტის ამაღლა მთელი დღე მგზავრობდა. მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მეორე დღეს იმ ფუნდუკს მიადგნენ, სანჩოსთვის საფრთხობელას რომ წარმოადგენდა, მაგრამ, ახლა, მისთვის იქ შესვლა აუცილებელი იყო.

რაინდისა და მისი საჭურველმტვირთველის დანახვა მეფუნდუკის ქალს, ცოლსა და მარიტორნესს, გაუხარდათ, გამოეგებნენ. დონ კიხოტი ამაყად შეხვდა მათ, მერე კი უბრძანა, მისთვის წინანდელ ლოგინზე უკეთესი გაემზადებინათ. საამისოდ შესაბამისი თანხის გადახდას დაჰირდა. თხოვნა შეუსრულეს. მალე სხვენზე ავიდა დასაძინებლად და კარები ჩაიკეტა.

დალაქს მეფუნდუკის ცოლმა ხარის კუდის დაბრუნება მოსთხოვა. ნიკოლასი უარზე იყო, მაგრამ მღვდელმა დაარწმუნა, ნიღაბი უკვე აღარაა საჭირო, ყველას შეუძლია რაინდს თავისი სახით ეჩვენოსო. ისე კი, დონ კიხოტისთვის მას უნდა ეთქვა, რომ, თითქოს, ცოტა ხნის წინათ რომ რაინდმა გაათავისუფლა, იმ საგალერო ტუსაღებს გამოექცა და შემდეგ აქ მოვიდა. რაც შეეხება „პრინცესა მიკომიკონის“ საჭურველმტვირთველს, ის, თითქოს, ადრე წავიდა თავის სახელმწიფოში, რათა ხალხს ქვეყნის გამათავისუფლებლის მობრძანება აცნობოს.

მეფუნდუკის ცოლს დაუბრუნეს ხარის კუდი და მორთულობები.

ფუნდუკში დოროთეას მშვენიერებითა და კარდენიოს საამო შესახედაობით ყველანი მოიხიბლნენ. მღვდელმა სადილი შეუკვთა. რაინდს ეძინა, მის გაღვიძებას არ აპირებდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მას ძილი უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ჭამა. სადილობისას დონ კიხოტის უცნაურ სიგიჟეზე ისაუბრეს. მეფუნდუკის ცოლმა გაიხსენა, რა გადახდა იდალგოს მთარშიყე მეჯორისგან, სანჩო რომ დროებით ოთახიდან გავიდა, მისი საბანზე ხტუნაობის ამბავიც მოაყოლეს და ბევრი იცინეს. მეფუნდუკეს ძალიან გაუკვირდა მღვდლისგან, რაინდის გონებაარეულობა სარაინდო წიგნებს რომ მიაწერა. მისი თქმით, ასეთი ნაწარმოებები, რომელთა მოქმედი გმირების ხმლების ტრიალი ადამიანებს ბრძოლის ჟინით ადავსებს ხოლმე, სასიამოვნო საკითხავია. მეფუნდუკეს თავისმა ცოლმა უთხრა, როცა ინტერესით უსმენ რაინდთა ამბებს, მოსვენებული ვარ, რადგან არ ილანძღებიო. მარიტორნესს, თურმე, სასიყვარულო ეპიზოდები იტაცებდა, მეფუნდუკის ქალს კი მიაჩნდა, რომ ამ წიგნებში გასართობი ამბები ეწერა, ის, მამამისის მსგავსად, არ იყო აღფრთოვანებული ხმლების ტრიალით, მისი აზრით, უფრო საინტერესო, ამგვარ თხზულებებში, მიჯნურთა დაშორებისა და ცრემლთა ღვრის ეპიზოდები იყო.

მღვდელმა მასპინძელს სთხოვა, ეჩვენებინა, რა წიგნები ჰქონდა. მეფუნდუკემ ძველი, დაკეტილი ყუთი გამოათრია და იქიდან სამი დიდტანიანი წიგნი და ხელნაწერები ამოიღო: „დონ სირონიხილიოთრაკიელი“ მეორე „ფელიქსმარტეჰირკანელი“ და მესამე „დიდიკაპიტნისგონსალოერნანდესკორდოველისისტორიადადიეგოგარსიადეპერედესისთავგადასავალი“. მღვდელმა მეფუნდუკეს უთხრა, ამ წიგნებიდან ორი: „დონ სირონიხილიოთრაკიელი“ და „ფელიქსმარტეჰირკანელი“ სირეგვნითა და სისულელითაა სავსე და ბუხარში უნდა შეუძახოთო. მეფუნდუკე შეეწინააღმდეგა,

გაიხსენა გმირები ორივე ნაწარმოებიდან და ისე შეაქო მათი საქმეები, რომ დღორითეამ კარდენოის ჩასჩურჩულა, მგონი, დონ კიხოტზე შორსააო წასული, მან დაუდასტურა, ასეა, რადგან რაც წაიკითხა, ყველაფერი ნამდვილი ჰგონიაო. მღვდელმა პეროს პერესმა მტკიცება დაუწყო მეფუნდუკეს: „**ეგ რაინდები არც როდისმე ყოფილან ქვეყანაზე და არც ის სახელოვანი საქმეები და სიგიჟე ჩაუდენიათ, რასაც მათ ახვევენ თავს**[1,320], ეს ყველაფერი „მოცლილი მჯღაბნელების“ შექმნილიაო, მაგრამ ვერ დაარწმუნა, მისი თქმით: „**ეს წიგნები სამეფო სათათბიროს ნებართვით არიან დაბეჭდილები; ყველა ეგ რომ სიცრუე ყოფილიყო, ის სათათბირო, მგონია, ნებას არ მისცემდა იმდენი რამ ბრძოლა და მოჯადოება დაებეჭდათ, – კაცი რომ კითხულობს, სწორედ თავბრუ ეხვევა**“[1,320]. მღვდელმა ურჩია, შეენახა ეს გასართობად დაწერილი წიგნები, რათა: „**თქვენი სტუმარი დონ კიხოტით ცალ ფეხზე კოჭლობა არ დაიწყოთ.**

–**მაგაზე კი ნურას უკაცრავად, – მიუგო მეფუნდუკემ, – ღვთის მადლით ჯერ ისე არ გავსულელებულვარ, მოგზაური რაინდობა დავიწყო**“[1,321]. მოსაუბრეებს სანჩომ შემოუსწრო და ყური მოჰკრა მათ საუბარს, ისინი ამბობდნენ: მოგზაური რაინდების დრო წავიდა და სარაინდო წიგნებშიც სისულელე წერიაო. ძალიან ეწყინა. გუნებაში გადაწყვიტა, თავისი ბატონის მოგზაურობის დასასრულისთვის მოეცადა და იმედი თუ გაუცრუვდებოდა, თავის ოჯახს დაბრუნებოდა და შრომა განეგრძო.

მეფუნდუკემ გადაწყვიტა ოთახიდან გაეტანა წიგნები, მაგრამ მღვდელმა რაღაც ხელნაწერს მოჰკრა თვალი, მასპინძელი შეაჩერა, ყუთიდან ამოაღებინა რვეული წარწერით: „**უგუნური ცნობისმოყვარის ამბავი**“. დაინტერესდა. სხვებმაც მოისურვეს ხმამაღლა წაეკითხა იგი და ყველას მოესმინა.



თავი XXXIII

სადაც მოთხრობილია „უგუნური ცნობისმოყვარის ამბავი“

იტალიაში, ტოსკანის პროვინციის ქალაქ ფლორენციაში, ცხოვრობდა ორი მეგობარი, აზნაურები: ანსელმო და ლოტარიო. ორივე ყმაწვილი უცოლო იყო. ანსელმოს საზოგადოებაში ტრიალი მოსწონდა, ლოტარიოს–ნადირობა.

ანსელმოს ფლორენციელი კეთილშობილი ქალი შეუყვარდა და მისი შერთვა გადაწყვიტა. გოგონას მშობლებთან, ლოტარიომ იკისრა შუაგაცობა. შეყვარებულების დაქორწინების შემდეგ, ჩათვალა, რომ ცოლიან კაცთან ძველებურად ხშირად ვედარ ივლიდა და მასთან სიარულს უკლო, რითაც გაანაწყენა იგი. ანსელმომ დაითანხმა ლოტარიო, რომ ყოველ დღესასწაულზე და კვირაში ორჯერაც, ახალდაქორწინებულებთან უნდა ევახშმა, მაგრამ ის მაინც ცდილობდა ეს სტუმრიანობაც აეცილებინა თავიდან, ათას რამეს მოიმიზეზებდა ხოლმე, რათა აღთქმულ დღეებში იქ არ მისულიყო.

ერთხელ, სეირნობისას, ანსელმომ ლოტარიოს უთხრა, რომ ის ღვთის მადლიერია, რადგან ის ორი საუნჯით დააჯილდოვა, ლოტარიოსთან მეგობრობითა და კამილასთან დაქორწინებით, მაგრამ ისეთი „უცნაური, ახირებული“ სურვილი აწუხებს, რომ ძალიან უნდა საკუთარ თავსაც დაუმალოს, მაგრამ ვერ ახერხებს. მან გაუმჟღავნა მეგობარს, რომ ეჭვი აწუხებდა: **„მართლა ისეთი ერთგული და კეთილზნობიანია კამილა, როგორც ეს მეჩვენება?“**[1,326], მეუღლის გამოცდა მოინდომა. ლოტარიოს სთხოვა, სცადე, აცდუნო ქალი, მიჯნურობა დაუწყეო, გაკვირვებულმა მეგობარმა ამგვარ შემოთავაზებაზე უარი უთხრა, დაუწყო დარწმუნება, რომ ეს უმსგავსოაა. ანსელმო დაჟინებით უმეორებდა ერთსა და იმავეს, თუ არ დამთანხმდები, იძულებული ვიქნები, სხვას მივმართო თხოვნით და პატივი ნამდვილად ამეყრებო. მან დაითანხმა ლოტარიო, მეორე დღესვე უნდა დაეწყოთ მოქმედება, აღუთქვა, რომ კამილასთან მარტო დარჩენის საშუალებას მისცემდა, ქალისთვის დასასაჩუქრებელ ფულსა და ძვირფასეულობასაც დაჰპირდა. ურჩია სერენადები ემღერა, მიემღვნა ლექსები, რომლის დაწერასაც, თუ საჭირო იქნებოდა, თვითონ კისრულობდა.

მეორე დღეს ლოტარიო ანსელმოსთან მივიდა, სადილზე. მასპინძელი სხვაგან წავიდა, ვითომ გადაუდებელი საქმეების გამო და მეგობარს სთხოვა მის მოსვლამდე კამილასთან დარჩენილიყო. ლოტარიო და კამილა მარტო დარჩნენ. მოსამსახურეებიც სასადილოდ წასულიყვნენ. ანსელმო მარტო აღმოჩნდა „ბრძოლის ველზე“: **„მტერი მის პირისპირ იდგა და ისეთი მტერი, რომლის მხოლოდ მარტო მშვენიერებას შეემლო აღჭურვილ რაინდთა მთელი რაზმისთვის იარაღი დაეყრევინებინა“**[1,336], უხერხულ მდგომარეობაში მყოფს სავარძელში ჩაეძინა. ანსელმო რომ დაბრუნდა, დაინახა, კამილა თავის ოთახში იყო, ლოტარიოს კი ეძინა. მან მალე გამოიღვიძა და მეგობრები სადღაც წავიდნენ. ლოტარიომ ანსელმოს უთხრა, პირველივე შემთხვევისთანავე სიყვარულის გამჟღავნება უგუნურებაა, ქალს ვაქებ და თავს ვაწონებო (რაც არ შეეფერებოდა სიმართლეს). ასე გაიარა რამდენიმე დღემ, „გამიჯნურებული“ თავის მეგობარს არწმუნებდა (ატყუებდა), კამილასთან გაბედულად ვმოქმედებ, მაგრამ არაფერი გამომდის, პირიქით, მემუქრება, თუ არ მომეშვები, ყოველივეს ქმარს ვეტყვიო. მეორე დღეს ანსელმომ ლოტარიოს ოთხი ათასი ოქრო მისცა, თვითონ სხვა ოთახში დაიმალა და მალე დარწმუნდა, რომ მეგობარი ატყუებდა, ლოტარიოს კამილასთვის ორი სიტყვაც არ უთქვამს. მან უსაყვედურა მეგობარს ამის გამო, ლოტარიო ამჯერად დაპირდა, რომ სხვაგვარად მოიქცეოდა, ანსელმომ დაუჯერა, გადაწყვიტა რამდენიმე დღით ქალაქგარეთ წასულიყო, ერთ თავის მეგობართან და კამილას დაუბარა, ყოველ

სადილზე ლოტარიო მოგაკითხავს ხოლმეო. ქალს ეწყინა, მეუღლეს უსაყვედურა, ქმარს არ შეშვენის, შინ არყოფნის დროს, თავისი ადგილი სხვას დაუთმოს, იქნებ არ მენდობი, გემინია, სახლს რიგიანად ვერ მოვუაროო. ქმარმა უპასუხა, რომ მას ასე სურდა და უნდა დამორჩილებოდა.

ანსელმო წავიდა. ქალს ლოტარიომ მოაკითხა. კამილა თავის მოსამსახურეს, ლ ე ო ნ ე ლ ა ს, ხშირად არ იშორებდა გვერდიდან, მაგრამ მსახური თავის საქმეზე გარბოდა. კამილა მოკრძალებით იქცეოდა ლოტარიოსთან, ყმაწვილი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ეს ქალი დიდი სიყვარულის ღირსი იყო, მაგრამ მეგობრისადმი ვალდებულებაც აგონდებოდა, რამდენიმეჯერ გაიფიქრა, გაქცეულიყო ქალაქიდან და ეს ნაცნობი წყვილი არასდროს ენახა, მაგრამ უკვე გრძნობებს ებრძოდა, ქალის ჭვრეტა სიამოვნებდა, ვერსად მიდიოდა და თან იმასაც ფიქრობდა, თუ რაიმე მოხდებოდა, იმისი ბრალი იქნებოდა, ვინც უგუნური სურვილებით უბიძგა უფსკრულისაკენ.

ლოტარიოს კამილა შეუყვარდა და გაუმჟღავნა კიდევაც ყოველივე. ქალი მეორე ოთახში გავიდა და იმავე ღამეს ანსელმოსთან კაცი გაგზავნა, წერილი გაატანა.



თავი XXXIV

სადაც გრძელდება „უგუნური ცნობისმოყვარის ამბავი“

კამილას მიერ ანსელმოსადმი გაგზავნილი წერილი ასე იწყებოდა: „ამბობენ, ცუდია ლაშქრისათვის უსარდლოდ და ციხე-სიმაგრისათვის უკომენდანტოდ დარჩენაო. მე კიდევ იმას დავუმატებ, რომ ყველაზე უფრო ცუდი ახალგაზრდა ქმრიანი ქალისათვის უქმროდ დარჩენაა, თუ ამას მეტად დადმნიშვნელოვანი გარემოება არ მოითხოვს“^[1,342].

ანსელმო მიხვდა, ლოტარიომ მოქმედება დაიწყო და კამილა ისე შეხვდა ამ ამბავს, როგორც შეეფერებოდაო, აღტაცებულმა მისწერა, არსად წახვიდე და მეც მალე დავბრუნდებიო. ქალს გაუკვირდა ასეთი პასუხის მიღება და შეშფოთდა, მაგრამ: „როგორც ყოველთვის მოხდება – ორჭოფობაში მყოფი ადამიანი ორ ბოროტში ყოველთვის უარესს დაადგება ხოლმე“, კამილას პატიოსნებამაც დიდხანს ვერ გასტანა, მხოლოდ მსახურმა ლეონელამ იცოდა, რომ თავისი ქალბატონი ლოტარიოს დანებდა. რამდენიმე დღის შემდეგ ანსელმო დაბრუნდა, მეგობარმა შეუქო ცოლის სიმტკიცე, აღტაცებულსა და გაბრიყვებულს საჩუქრები დაუბრუნა. შინდაბრუნებულმა ანსელმომ ცოლს ჰკითხა, რამ გაიძულა, რომ წერილი გამომიგზავნეო. ქალმა მიუგო, მომეჩვენა, თითქოს, ლოტარიო ჩვეულებრივზე უფრო თამამად მექცეოდაო. ქმარმა დაარწმუნა, რომ მისი მეგობარი არ იყო საშიში პიროვნება, თან ერთი ქალი, ქ ლ ო რ ი დ ა* უყვარს გაგიჟებით და ლექსებსაც უძღვნის ხოლმეო (ქლორიდას ამბავი რომ გამოგონილი იყო, ეს კამილამ ლოტარიოსგან უკვე იცოდა და არც აღელვებულა).

მეორე დღეს, სადილობისას, ანსელმოს თხოვნით, ლოტარიომ ქლორიდასადმი მიძღვნილი ორი სონეტი წაიკითხა, რაც კამილას ძალიან მოეწონა. როდესაც დაიშალნენ, ქალმა მსახურ ლეონელასთან საუბარში ეჭვი გამოთქვა, შეიძლება ლოტარიოს შევზიზღდე, ძალიან ჩქარა დავნებდი და ქარაფშუტა ვეგონებო. მან დაამშვიდა და მოსაზრებებიც გამოთქვა, სიყვარულის გამოვლენის სხვადასხვა ფორმის შესახებ, მერე კი იმით გათამამებულმა, რომ ქალბატონის საიდუმლო იცოდა, თავისი ამბებიც გაუმხილა და მიჯნურის შინ მიღებაც დაიწყო.

ერთხელ, ლოტარიომ მსახურ ლეონელას ოთახიდან გამოსული კაცი დაინახა, ჯერ მოჩვენება ეგონა, მერე კი ჩათვალა, რომ, ალბათ, ის ვიღაც კამილასთან მოვიდოდაო. ეჭვით შეპყრობილმა ანსელმოს უთხრა, მოიგონე, თითქოს, სამი დღით მიდიოდე სადაც და სახლში დაიმაღე, კამილას ერთგულების ამბავი გადაამოწმეო. ანსელმო გაქვავდა მოულოდნელობისგან. მან ისევ ლოტარიოს (რომელიც ამ აჩქარებით ნათქვამს უკვე ნანობდა) სთხოვა ემოქმედა. ისიც წავიდა ქალთან, რათა გაემყდარებინა მისთვის ყოველივე. კამილა მას შემფოთებული დაუხვდა, ამცნო, რომ უსირცხვილო ლეონელას ყოველდამე კაცი შემოყავდა შინ, შეიძლება ანსელმოს თავისი ცოლის პატიოსნებაში ეჭვი შეპარვოდა. ლოტარიომ გაუმხილა თავისი უგუნური საქციელი, უამბო,

თვითონაც ექვით შეპყრობილმა, თუ როგორ ურჩია ანსელმოს დამალულიყო და კამილასთვის ედევნებინა თვალი. ქალს თავზარი დაეცა. მერე კი მოძებნა გამოსავალი. ლოტარიო მაშინ უნდა შემოსულიყო ოთახში, როცა ლეონელა მოუხმობდა.

მეორე დღეს, ვითომ სოფელში წასული ანსელმო, საპირფარეშო ოთახში დაიმალა. ქალბატონმა და მოახლემ დიალოგი გამართეს. კამილამ ლეონელას დაუწყო საუბარი: რამ აიძულა ლოტარიო, რომ ასეთი ურცხვი წადილით მომმართა, ახლა, მგონი, გარეთ დგას და მოუხმე, საზარელი საწადელის ასრულება მსურსო. ლეონელა ეწინააღმდეგებოდა, ხანჯლით რას აპირებთ, სჯობია, შეურაცხყოფა დაივიწყოთო.

ლეონელამ შემოიყვანა ლოტარიო. კამილამ მას რამდენიმე კითხვით მიმართა: იცნობდა თუ არა ის ანსელმოსა და მის ცოლს. ყმაწვილმა მიუგო, ვიცნობ, მაგრამ ყველაფერი დამემართა „იმ ძალოვანი და მკაცრი მტრისაგან, რასაც სიყვარული ჰქვია, მერე ისიც შენი მშვენიერებისაგან ჩანერგილი“ რომ არისო. ქალმა „დაუძინებელი მტერი“ და „მოლაღატე“ უწოდა, თავის ვრცელ, საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, რომ არანაირი საბაბი არ მიუცია, ქმრის მეგობრისთვის, უწმინდური სურვილების ასასრულებლად, არც საჩუქრებს შეხებია. ის ლოტარიოსკენ გაექანა გამიშვლებული ხანჯლით, ყმაწვილმა ძლივს აიციდინა დარტყმა, ქალი თვალთმაქცურმა ქცევამ ისე გაიტაცა, რომ ლოტარიოს ხანჯლის წასართმევად რომ ეჯახგურებოდა, წვერი თავისკენ მომართა და მარცხენა გვერდში იბგერა, ოდნავ გაიკაწრა, სისხლი წამოუვიდა და, ვითომ, უგონოდ დაეცა იატაკზე. ის საწოლზე დააწვინეს, სისხლის დენა შეუწყვიტეს, მერე კი დაიწყეს ბჭობა, უნდა გაეგო თუ არა ყოველივე ანსელმოს, ლეონელამ ურჩია კამილას, რომ არ ეთქვა ქმრისთვის მომხდარზე, რადგან, შეიძლება ეს უბედურების მიზეზი გამხდარიყო.

„ანსელმო დიდი ყურადღებით ისმენდა და გაფაციცებით უმზერდა თავის პატიოსნების დაღუპვის ტრაგედიას, სადაც მოქმედნი პირნი ისეთი სინამდვილით და ბუნებრიობით ასრულებდნენ თავიანთ როლებს თითქოს დროებით მართლა იმ პირებად შეიქმნენ, ვისაც წარმოსახავდნენ“ [1,360]. ის, როცა დაღამდა, გამოვიდა სამალავიდან და ლოტარიოსკენ გაემართა, გადაეხვია, ქება –დიდება შეასხა თავის ცოლს. მეგობარს უთხრა: „ჩემთან ერთად გაიხარე, რადგან შენი საშუალებით და ხერხიანობით ჩემს თავს ბედნიერების უმაღლეს წერტილამდე აყვანილს ვხედავ. ამიერიდან ყველა ჩემი თავისუფალი წამები მხოლოდ იმას უნდა მოვახმარო, რომ კამილას პატივსაცემად ლექსები ვწერო, ვაქო და ვადიდო იგი და ამით მას სამარადისო სახელი გავუთქვაო“. ლოტარიომ ძალიან მოიწონა ანსელმოს ბრძნული აზრი და თავის მხრივაც აღუქვა მისი ცოლის საუკუნო სადიდებლად მეგლის აღმართვაში შესწევნოდა“ [1,360–361]. საიდუმლო მალე გამოამჟღავნა და „ანსელმომაც უგუნური ცნობისმოყვარეობა სიცოცხლით ზღო“.



თავი XXXV

სადაც მოთხრობილია სასტიკი და არაჩვეულებრივი ბრძოლის ამბავი, დონ კიხოტს რომ წითელი ღვინის ტიკებთან მოუხდა, და „უგუნური ცნობისმოყვარის ამბის“ დასასრული

მოთხრობა „უგუნური ცნობისმოყვარის ამბის“ კითხვის დასრულებამდე რამდენიმე ფურცელი ჰქონდათ დარჩენილი, როცა სანჩო სხვენიდან, დონ კიხოტის საძინებელი ოთახიდან, გამოვარდა ღრიალით, ბატონს უშველეთ, იბრძვის, სისხლის ღვრაშია, პრინცესა მიკომიკონის მჩაგვრელ დევს თავი თალგამივით გააგდებინაო. მღვდელმა მოთხრობის კითხვა შეწყვიტა და დაუყვირა, დევი საიდან მოგეჩვენა, ის აქიდან ორი ათასი მილის სიშორეზეაო.

სხვენიდან ხმაური და ყვირილი ისმოდა. რაინდი ვიღაცას „ქურდსა“ და „ყაჩაღს“, „ფიცისგამტეხსა“ და „გამვლელ–გამომვლელთა მძარცველს“ უწოდებდა. მალე კედელზე ხმლის ტყაპატყუპიც მოისმა. სანჩოს სიტყვებზე: „ჩემი თვალთ დავინახე, რომ იატაკზე სისხლისღვარი დაინთხა და სწორედ ტიკისოდენა თავი კუნჭულისაკენ გაგორდაო“ მეფუნდუკემ თქვა: ღვინის ტიკები ეწყო მის სასთუმალთან და, ალბათ, ის დაჭრა, ამ რეგვენს კი ღვინო სისხლად მოეჩვენაო.

ყველანი სხვენზე ავიდნენ. დონ კიხოტი სასაცილო მდგომარეობაში, პერანგისამარა დახვდათ, მარცხენა ხელზე სანჩოს სამულველი საბანი ჰქონდა დახვეული, მარჯვენათი ხმალი ეპყრა და აქეთ–იქით იქნევდა, იმუქრებოდა, თვალედახუჭული, სიზმარში, ებრძოდა დევებს, ვითომ ეგ ამბავი მიკომიკონის სამეფოში ხდებოდა. სინამდვილეში სავსე ტიკებს ჩეხდა და მთელი სხვენი ღვინით მოღვარა. გაბრაზებული მეფუნდუკე მივარდა და ცემა დაუწყო, მაგრამ რაინდი ვერ გამოალვიდა, დალაქმა ჭიდან ერთი ტოლჩა ცივი წყალი მოიტანა, თავზე გადაასხა, მაგრამ ამოდ. სანჩო ბობლავდა იატაკზე და დევის თავს ეძებდა, ვერსად იპოვა და დაიძახა: ეს შეჩვენებული სახლი ჯადოქრებითაა სავსე, წელან ვიღაც მცემდა, ახლა კი დევის თავიც გაქრაო. მეფუნდუკემ შეუტია, აქ მსგავსი არაფერია, ჩემი წითელი ღვინით სავსე ტიკებიაო დაჩეხილი. სანჩო წუხდა, მაგისა არაფერი ვიცი, დევის თავი თუ ვერ ვიპოვე, ჩემი გრაფობის ამბავი წყალში გამდნარი მარილივით ქრებაო. მეფუნდუკეს უფრო ერეოდა ბრაზი, დაიფიცა, სანჩოსა და მის ბატონს წინანდელივით ვალის გადაუხდელად არ გავუშვებო.

დონ კიხოტმა ფათერაკი დასრულებულად ჩათვალა, მოეჩვენა, რომ მიკომიკონის პრინცესა, „მაღალკეთილშობილი და დიდებული მფლობელი“ ქალი, მის წინ იდგა. დამამშვიდებელი სიტყვები წარმოთქვა: „ამიერიდან უზრუნველად შეგიძლიათ იცხოვროთ და აღარავისი შიში აღარ გქონდეთ. მეც აგრეთვე ამავე დღიდან იმ

მოვალეობისაგან გათავისუფლებულად ვთვლი ჩემს თავს, რაც ამასწინათ აღვითქვით; რადგან ღვთის შეწევნითა და იმ ქალის წყალობით, ვისითაც ვცოცხლობ და ვსუნთქავ, ის აღთქმა დიახ ბედნიერად აღვასრულე და თქვენი საქმე დავაბოლოვე“[1,363]. სანჩომ გაიხარა: „ახლაც იტყვი, ტყუილიაო? არა, განა მე მთვრალი ვიყავ, თუ რა იყო! ახლაც იტყვი, რომ ჩემმა ბატონმა დევი არ დასჩეხა? ღმერთსა ვფიცავ, ჩემი საქმე გაკეთდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა, გრაფობა ვითომ ჯიბეშიც მდებია“[1,364].

იქვემყოფმა მსმენელებმა, მეფუნდუკისა და მისი ცოლის გარდა, ბევრი იცინეს. ღვინის ტიკების მეპატრონის ქალიშვილიც ჩუმჩუმად იცინოდა. დოროთეა სანჩო პანსას ამშვიდებდა, თუკი შენმა ბატონმა დევეს თავი მოკვეთა, ჩემს სამფლობელოში საუკეთესო საგრაფოს მოგცემო. საჭურველმტვირთველი არწმუნებდა, დევის მოკვეთილი თავი მართლა ვნახეო, იმიტომ ვერ ვპოულობ, რომ ამ სახლში ყველაფერი მოჯადოებულიაო.

მალე სიმშვიდე დამკვიდრდა, დოროთეამ და კარდენიომ მღვდელს სთხოვეს გაეგრძელებინა მოთხრობის წაკითხვა. ის მიუბრუნდა ხელნაწერს და შემდეგი წაიკითხა: ანსელმო კარგა ხანს იყო მშვიდად. ერთხელ მან ლეონელას ოთახიდან ფეხის ხმა გაიგონა, კარები ვერ გააღო, მთელი ძალით გამოსწია და თვალი შეასწრო, როგორ გადახტა ვიღაც კაცი ფანჯრიდან. გადაწყვიტა გამოვიდებოდა, მაგრამ მსახურმა უთხრა დამშვიდებულიყო, რადგან ის მისი ქმარი გახლდათ. ანსელმომ არ დაიჯერა, ხანჯლით მოგკლავო, დაემუქრა ლეონელას. ქალი შეშინდა და სთხოვა, ოღონდ ნუ მომკლავთ და მნიშვნელოვან საიდუმლოს გეტყვით, ხვალამდე დაიცადეთო.

ანსელმომ ლეონელას გარედან კარები გადაურაზა და უთხრა, მანამ არ გამოგიშვებ, სანამ საიდუმლოს არ მეტყვიო. მერე შინ რომ მივიდა, ყოველივე უამბო კამილას. ქალს თავზარი დაეცა. მიხვდა რის თქმას აპირებდა მსახური. იმავე ღამეს, როცა ქმარს ეძინა, შეაგროვა ძვირფასი ნივთები, ცოტაოდენი ფულიც აიღო და გაიქცა ლოტარიოსთან. მისმა გამოჩენამ ყმაწვილი ისე არია, არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. კამილა მონასტერში მიიყვანა, თავის დას ჩააბარა და თვითონ ქალაქიდან გაიქცა.

მეორე დღეს, ანსელმოს მოახლე არ დახვდა შინ, ის ფანჯარაზე მიბმული ზეწრებით გაპარულიყო. დაბრუნდა, რათა ეს კამილასთვის ეთქვა, მაგრამ არც მისი ცოლი ჩანდა, იქვე ძვირფასეულობისგან დაცლილი, გაღებული სკივრები ეგდო. გადაწყვიტა მეგობართან წასულიყო და თავისი უბედურების შესახებ ეამბნა, მაგრამ ლოტარიოსაც ქალაქი ღამით დაეტოვებინა. ანსელმო დაბრუნდა შინ. მსახურებიც წასულიყვნენ. ანსელმომ ცხენი შეკაზმა, ახლა სხვა მეგობართან გადაწყვიტა წასვლა, მაგრამ ვერ შეძლო, ერთი ხის ძირას შეისვენა. გამოიარა ვიღაც მგზავრმა, მისგან ლოტარიოსა და კამილას ამბები შეიტყო. უცხომ უთხრა, ყველა გაკვირვებულია, რადგან ასეთ ამბებს, ლოტარიოსა და ანსელმოსგან–მეგობრებისგან, არავინ ელოდაო. ანსელმომ ვერ დაადგინა, საითკენ წავიდნენ კამილა და მისი სატრფო. შინ სასოწარკვეთილი მივიდა, ყველამ მარტო დატოვა, აიღო კალამი, წერა დაიწყო, მაგრამ მალე ცუდად გახდა და ტანჯული გარდაიცვალა. ასე დამთავრდა უგუნური ცნობისმოყვარის სიცოცხლე. მეორე დღეს მეზობელმა მოინახულა და თავზარი დაეცა, უხმო მსახურებს. ანსელმოს

ხელნაწერი წაიკითხეს: „უგუნურმა და სულელურმა სურვილმა მომიღო ბოლო“... ის კამილას პატიობდა დანაშაულს. გარდაცვლილის ნათესავებს ყოველივე შეატყობინეს, იმ მონასტერშიც, სადაც კამილა იყო, უკვე იცოდნენ საქმის ვითარება, მაგრამ ქალი ქმარზე არ გლოვობდა, მას ლოტარიოზე ესმოდა ცუდი ამბები და განიცდიდა.

ლოტარიო ნ ე ა კ ო ლ ი ს სამეფოში გაიქცა და იქ მიმდინარე ბრძოლას ემსხვერპლა. ამ ამბის შემდეგ, კამილა მონაზვნად აღიკვეცა და დიდხანს მასაც არ უცოცხლია.

მღვდელმა მოთხრობის კითხვა დაასრულა და თქვა, ეს ნაწარმოები ურიგო როდია, მაგრამ არ მჯერა ამგვარი რამ მომხდარიყოს, ქვეყნიერებაზე შეუძლებელია ისეთი ქმარი არსებობდეს, ამგვარ უგუნურ გამოცდას რომ უწყობდეს ცოლს.



სადაც მოთხრობილია ფუნდუკში მომხდარი სხვადასხვა საიშვიათო ამბები

ფუნდუკს მდიდრულად ჩაცმული, ლამაზი შესახედაობის ოთხი შავნიღბიანი*, ცხენოსანი ეწვია, მათ თეთრად შემოსილი, ასევე ნიღბიანი ქალი ახლდა და ორი მსახურიც მოჰყვებოდა.

დონ კიხოტს ეძინა, დოროთეამ პირბადე აიფარა, კარდენიო კი რაინდის ოთახში ავიდა. მგზავრებმა ცხენები საჯინიბოში შეიყვანეს, ქალი სელში ჩასვეს, ის ოხრავდა. მღვდელს უნდოდა შეეტყო, ვინ იყო ეს ხალხი. საჯინიბოში წავიდა, რათა მსახურებისგან გაეგო ამბავი. ერთ-ერთმა უთხრა, მგონი, დიდი კაცები უნდა იყვნენ, იმ ქალს, რომელიც არ ვიცი ვინაა, პატივით ექცევიან და ყველაფერს უსრულებენ, ორი დღეა მათთან ერთად ვმგზავრობთ, კარგ ჯილდოს დაგვპირდნენ, თუკი ანდალუზიამდე გავაცილებთო. დოროთეას თანაგრძნობა აღეძრა უცხო ქალისადმი და დახმარება შესთავაზა, მაგრამ მის ნაცვლად მხლებელმა მამაკაცებმა მიუგეს, რომ დახმარების გაწევა, უცხო ქალისადმი, ან მისგან რაიმეს გაგება, რთული იყო, რადგან „სიცრუის მეტი ამის პირიდან არა ამოვა-რა“. ქალმა მარდად წამოიძახა, სიცრუე არასდროს მითქვამსო. დონ კიხოტის ოთახში მყოფ კარდენიოს მისი ხმა ეცნო: „**ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის? ეს რა ხმა მოესმა ჩემს ყურებს!**“ გაიოცა მან. ეს ქალს გაუკვირდა, მიიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა და იმ ოთახში გადაწყვიტა შესვლა, საიდანაც ხმა მოდიოდა, მაგრამ თანმხლებმა მამაკაცმა არ მისცა უფლება. შემფოთებულ ქალს ნიღაბი მოშორდა და მზეთუნახავი სახე გამოუჩნდა. ამ დროს კაცსაც ჩამოუვარდა ნიღაბი, რადგან ქალის ორივე ხელი ეჭირა, დოროთეამ დონ ფერნანდო იცნო, გული შეუღონდა, მღვდელმა და დალაქმა ხელი შეაშველეს, პირბადე მოხსნეს, რათა წყალი ეპკურებინათ, მის დანახვაზე დონ ფერნანდოც გაქვავდა თითქოს, მაგრამ ქალს, რომელიც ლუსინდა იყო, მაინც ხელს არ უშვებდა. ახლა ოთახიდან გამოსული კარდენიო, რომელმაც ლუსინდას ხმა იცნო, პირისპირ შეეჩეხა. ყველანი იქით-აქეთ ისე დაიფანტნენ, ვერ ხვდებოდნენ, რა ხდებოდა, ერთმანეთს გაოგნებულები უცქერდნენ.

ლუსინდამ დონ ფერნანდოს მიმართა, დაენებებინა მისთვის თავი, რადგან განგებამ ის თავის ქმართან მოიყვანა. თავის მხრივ, მას დოროთეამ შეახსენა: „**შენ მშვენიერი ლუსინდასი ვერ გახდები, რადგან მე მეკუთვნი: და ვერც ლუსინდას შეუძლია შენი გახდეს, რადგან ის კარდენიოს ეკუთვნის. კარგად მოიფიქრე**“ [1,374]. დოროთეამ მრავალი მწუხარე სიტყვა წარმოთქვა, დონ ფერნანდომ შესძახა: „**შენ მძლიე, მშვენიერო დოროთეა, შენ დამჯაბნე. განა შეიძლება ამდენ ჭეშმარიტ სიტყვას გაუძლოს კაცმა?**“ [1,375]. კარდენიო ლუსინდასთან მივიდა, ქალი მოეხვია: „**მუხთალმა შავბედმა გაგვთიშა**“, მიმართა მან ყმაწვილს. ყველანი გაოცებულები იყვნენ. დონ ფერნანდოს სთხოვეს შებრალებოდა დოროთეა. მღვდელმა უთხრა: „**ჩაუფიქრდით, ჩემო ბატონო, ამ შემთხვევას, – დაუმატა მღვდელმა, – ეს უბრალო რამ შემთხვევა როდია, არამედ ღვთის განგების განსაკუთრებული განკარგულებაა, რაკი ასეთ ალაგას შეგყარათ ერთად**“ [1,377]. მალე ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა. დოროთეამ უამბო მათ რაც გადახდა, როგორ მოხვდა აქ. დონ ფერნანდომაც თქვა თავისი თავგადასავალი. თურმე, ქალის უბეში ნაპოვნი წერილიდან როდესაც შეიტყო, რომ ლუსინდას არ შეეძლო მისი ცოლი გამხდარიყო, ქალის მოკვლა განიზრახა, მშობლებმა დაუშალეს. მან დატოვა

სახლი. ერთი თვის შემდეგ გაიგო, რომ ქალი მონასტერს შეხიზნებოდა და სამ მეგობართან ერთად მისი იქიდან მოტაცება მოახერხა და ამ ფუნდუკში მოიყვანა, აქ კი, დონ ფერნანდოს თქმით, მისი მღელვარება დასრულდა.

თავი XXXVII

სადაც გრძელდება ინფანტა* მიკომიკონის ამბავი და სხვა თავშესაქცევარი ფათერაკები

სანჩო დამწუხრებული იყო. გრაფად გახდომის იმედი გაუქარწყლდა, მომხიზლავი პრინცესა მიკომიკონი დოროთეად გადაიქცა, დევი პანდაფილანდო–დონ ფერნანდოდ. მეფუნდუკის ცოლი გახარებული იყო, რადგან მღვდელმა და კარდენიომ მას დონ კიხოტისგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება აღუთქვეს. ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს, საჭურველმტვირთველის გარდა. ის შევიდა თავის ბატონთან და მწუხარედ მოახსენა, რომ შეეძლო არ გარჯილიყო, რადგან ყველაფერი უიმისოდაც მოგვარდა. დონ კიხოტმა მიუგო, მოგვარდებოდა, რადგან ბრძოლა მქონდა დევთან და მისი სისხლი ნაკადულივით მოჩქეფდაო, მაგრამ როდესაც სანჩომ უთხრა, ეგ დევი კი არა ღვინით სავსე ტიკი ყოფილა, თქვენგან მოჭრილი თავი კი ჩემი უბედური ბედია და „ყველა ამ მასხარაობას ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიაო“, რაინდი გაბრაზდა, რას რომავ, ხომ არ გაგიჟებულხარო, შეუტია. სანჩომ დაუმატა, აბრძანდით და თქვენი თვალით იხილეთ, ბლომად ფულის გადახდაც მოგიწევთ, მიკომიკონსაც ნახავთ, ის ჩვეულებრივ ქალად–დოროთეად გადაიქცა და გარდა ამისა, კიდევ ბევრი რამეც გაგაკვირვებთო. რაინდმა მიუგო, რომ შეიძლება არც გამიკვირდეს, რადგან შეიძლება ყველაფერი მოჯადოებული იყოს, როგორც იმ სასტუმროში მოხდა წინათ, ერთი ღამე რომ გავატარეთო. სანჩომ მიუგო, საბანზე ფრენის ამბავიც ნამდვილი იყო და გრძნეულება და ჯადოქრობა იქ არ ყოფილაო.

მსახური თავის ბატონს ჩაცმაში დაეხმარა, ამასობაში მღვდელმა, იქ შეკრებილებთან, დონ კიხოტის გადარევასა და ფათერაკებზე ისაუბრა. მათ ბევრი იცინეს, მერე კი დაუმატა: „დედოფლის ამ ბედნიერმა გარდაქცევამ... უწინდელი გეგმა შესცვალა“, ახლა სხვა რამ უნდა მოეფიქრებინათ, როგორმე სახლამდე უნდა მიეყვანათ რაინდი. კარდენიომ დახმარება აღუთქვა, დოროთეას ნაცვლად ლუსინდა უნდა ჩარეულიყო საქმეში. დონ ფერნანდომ გადაწყვიტა, ისევ დოროთეას გაეგრძელებინა დაწყებული საქმე.

ოთახში შეიარაღებული დონ კიხოტი შემოვიდა, დოროთეას დააშტერდა და უთხრა, საჭურველმტვირთველისგან გავიგე, რომ თქვენი დიდება დაფუძულა, დიდებული სეფექალი აღარ ხართ, გარდაქმნილხართ, იქნებ ეს თქვენი ჯადოქარი მამის წყალობით მოხდა, რათა თქვენ არ გხლებოდით. ამაზე მინდა გითხრაო, რომ: „მამათქვენს რაინდთა ისტორია ძალიან მცირედ სცნობია. მას რომ ყურადღებით წაეკითხა და მთლად გადაეკითხა ეს მოთხრობები, როგორც მე ჩავდიოდი ამას, მაშინ ეცოდინებოდა, რომ იმ რაინდებსაც კი, რომელნიც სახელგანთქმულობით ჩემზე ძალიან შორს ჩამორჩენილნი ყოფილან, კეთილად დაუბოლოებიათ ხოლმე ბევრად უფრო სამწუხარო საქმე, ვიდრე ისა, როგორაც ახლა მე მხვდა წილად. არ ვიცი, ღმერთმანი, რა დიდი საქმეა ერთი პატარა დევის მოკვლა“[1,382–383]. მერე რაინდმა დააიძვინა ქალი: „რადგან არავითარი საშიშროება არ არის ქვეყანაზე ისეთი, რომ ამ

მახვილმა არა სძლიოს, ეს მახვილი, დაგიგდებთ რა აწ ფერხთა წინაშე თქვენი მტრის თავს, მერწმუნეთ, იგივე მახვილი თქვენდა კუთვნილ გვირგვინსაც თავზე მალე დაგადგამთ“[1,383]. მოხერხებულმა დოროთეამ მიუგო, რომ ის არ შეცვლილა, ისევ სჭირდება მისი დახმარება, მას ჯერ ღვთის, მერე კი დონ კიხოტის ვაჟკაცობის იმედი აქვს. მწუხარე სახის რაინდი თავის მსახურს გაუბრაზდა: „შენა ხარ უდიდესი არამზადა და სულელი მთელს ესპანეთში. შენ არ მეუბნებოდი, ქურდბაცაცავ და უმაქნისო ქმნილებავ, რომ დედოფალი ვიდაც უბრალო დოროთეად გადაიქცაო, შენ არ იყავ, რომ ის ჩემგან მოკვეთილი დევის თავი იმ რაღაც შავ ბედად გახადე, რამაც ქვეყანაზე გაგაჩინა? შენ არ მიედ-მოედებოდი რაღაც სისულელეს და მით ამაღელვე და ცნობა დამიფანტე იმზომად, რომ ჩემს საცოცხლეში ჯერ არ მომსვლია? ღმერთსა ვფიცავ, -(ცაში ახედვით და კბილების კრაჭუნით დაუმატა მან), არ ვიცი რა მიჭერს, ერთი კარგად არ მიგბეგვო და ყველა შენისთანა ცრუპენტელა საჭურველმტვირთველებს ეს მიზეგვა სამარადისო სახსოვრად არ დაფუტოვო“[1,384]. სანჩომ მიუგო, შეიძლება მიკომიკონის პრინცესა არ გარდაქმნილა, მაგრამ ღვინის ტიკების ამბავი ნამდვილად მართალიაო. რაინდმა ისევ ბრყვი უწოდა, მერე კი მალე პატიება სთხოვა წყენინებისთვის, ფერნანდომაც დაუდასტურა, ასე სჯობიაო, ხვალ კი დონ კიხოტი გავაცილოთ და მისი სახელოვანი საქმეები ვიხილოთო. რაინდი იქ მყოფთ შეჰპირდა: „ვეცდები ყველა ღონე ვიხმარო ეგ აზრი გავამართლო, თუნდაც არა მარტო სიცოცხლეს, არამედ სიცოცხლეზედაც მომეტებულს მოითხოვდეს ჩემგან“[1,385]. ამ დროს ფუნდუკში ახალგაზრდა მგზავრი შემოვიდა, ჩაცმულობაზე ეტყობოდა, მამაკაცი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო, მას მავრულად შემოსილი, პირბადიანი ქალი მოყვებოდა სახედრით, რომელსაც დაეხმარნენ ვირიდან ჩამოხტომაში, მერე კი სელი შესთავაზეს. მგზავრმა თავისუფალი ოთახი მოითხოვა, როდესაც უთხრეს ყველა დაკავებულიაო, უკმაყოფილო დარჩა. წყენა შეეტყო ქალსაც. დოროთეამ შესთავაზა მასთან და ლუსინდასთან ერთად მოთავსებულიყო. ქალი წამოდგა, ხელი გადაიჯვარედინა და ასე გადაუხადა მადლობა კეთილ მიპატიჟებაზე. მგზავრმა მამაკაცმაც, (ტყვედნამყოფმა) გამოხატა მადლიერება ქალბატონებისადმი. ყველას მათი ვინაობა აინტერესებდა. დონ ფერნანდომ ტყვედნამყოფისგან გაიგო, რომ ქალს „ლ ე ლ ა-ზ ო რ ა ი დ ა“ ერქვა, მაგრამ თვითონ ამ უკანასკნელმა უარყო და თქვა, რომ „მარიამი, ზორაიდა – მაკანში (რაც არას ნიშნავს)“ ერქვა. მალე დაბინდდა. ივანშემეს. დონ კიხოტმა, რომელიც სუფრის თავში იჯდა, მიკომიკონის გვერდით, ჭამა რომ დაასრულა, ვრცელი საუბარი წამოიწყო იმის შესახებ, თუ ვის შრომას ჰქონდა მეტი უპირატესობა, მხედრისას თუ მწიგნობრისას. მან მხედრები უფრო დააფასა. მისი აზრით: „მოგზაური რაინდის ხელობა, ყველა იმ ხელობას აღემატება, რაც კი ოდესმე ადამიანის გონებას მოუგონია“[1,388].



თავი XXXVIII

სადაც გადმოცემულია დონ კიხოტის საყურადღებო სიტყვა სამხედრო საქმესა და მწიგნობრობაზე

დონ კიხოტმა მწიგნობართა სიღარიბესა და მის მრავალფეროვნებაზე წამოწყებული საუბარი განაგრძო. მან, ამჯერად, გადაწყვიტა ერთმანეთისაგან განესხვავებინა ესპანელი მხედარი და ესპანელი მწიგნობარი. მისი აზრით, მხედარი უფრო მძიმე მდგომარეობაშია. მართალია: „იარაღს მწიგნობრობაზე უპირატესობა აქვს. ამაზე დავა ჯერ აქამდის არ გადაწყვეტილა, ორივე მხარეს ამ საგანზე თავისი საბუთი მოჰყავს. სიტყვიერება თავის მხრივ ამტკიცებს, რომ საჭურველი თვინიერ მწიგნობრობისა ვერ იარსებებდა, ვინაიდან ომს თავის კანონები აქვს და იმ კანონებს ექვემდებარება იგი; ხოლო კანონებს მწერლობა და მეცნიერება ქმნის. ამაზე წინააღმდეგი მხარე უპასუხებს, რომ კანონებს დაცვა უნდა და მისი დაცვა მხოლოდ იარაღს შეუძლიაო, რომ იარაღი იფარავს სახელმწიფოებს, მწედ ეყოფის სამეფოთა, დარაჯად უდგება დაბათა და ქალაქთა“ [1,392]. რაინდმა იმდენი იქადაგა, რომ ჭამაც დაავიწყდა, სანჩო ევედრებოდა, ჯერ მიირთვით და მერე ისაუბრეთო: „ მსმენელთ კი ძალიან ებრალებოდათ და წუხდნენ, რომ ასეთი ჭკუიანი კაცი ყველა საგანზე ასე მოფიქრებით და მჭერმეტყველურად განმსჯელი, რაღაც შეჩვენებულ რაინდობაზე გადარეულიყო“ [1,394].

ტყვედნამყოფს სთხოვეს ეამზნა თავისი ამბავი და ისიც სასაუბროდ მოემზადა.



თავი XXXIX

სადაც მოთხრობილია ტყვედნამყოფის თავგადასავალი

ტყვედნამყოფმა თავისი თავგადასავლის მოყოლა დაიწყო: მის გვარეულობას დასაბამი ლ ე ო ნ ი ს მთებში მდებარე პატარა სოფლიდან მიეცა. ღარიბ ქვეყანაში, მამამისს, მდიდარი, მაგრამ მფლანგველი კაცის სახელი დაუმკვიდრებია. ერთ დღეს მან მოიხმო თავისი სამი ვაჟი და გამოუცხადა: მამულს ოთხად გავეყოფ, სამს თქვენ გარგუნებთ, მეოთხე ნაწილი კი ჩემი იქნება, შეგიძლიათ ღირსების შემძენი საქმე დაიწყოთო: „**მე მსურს, რომ ერთი თქვენგანი მწიგნობრობას დაადგეს, მეორემ ვაჭრობას მიჰყოს ხელი და მესამე მეფის სამსახურში შევიდეს**“ [1,396]. მამამ დაპირდა შვილებს, რომ რვა დღეში თანხას გაუნაწილებდა მათ. მერე კი ჰკითხა, მოსწონდათ თუ არა მამის გადაწყვეტილება? ტყვედნამყოფმა (ის უფროსი იყო) უთხრა, რომ თვითონაც შეეძლოთ საზრდო ეშოვათ და დაე ნუ გაყოფდა მამულს. მან სამხედრო სამსახური აირჩია, მეორე ძმამ-ამერიკაში სავაჭროდ წასვლა, უმცროსმა კი ეკლესია, ღვთისმსახურება და სწავლის გაგრძელება **ს ა ლ ა მ ა ნ კ ა შ ი**.

ვაჟებმა მამისგან სამას-სამასი ათასი ოქრო მიიღეს, შეებრალათ მოხუცი და ორი ათასი უფროსმა, ორმა კი ათას-ათასი ოქრო უკან დაუბრუნა. გამოეთხოვეს მშობელს, ერთი ძმა სალამანკის გზას დაადგა, მეორე- სევილიისას, მესამე, თვითონ ეს მთხრობელი, **ა ლ ი კ ა ნ ტ ე შ ი** წავიდა. მას შემდეგ, მისი თქმით, ოცდაორი წელიწადი გავიდა, ერთი წერილიც არ მიუწერია, მამასა და ძმებზე არაფერი იცის.

ტყვედნამყოფი მსმენელებს იმის მოყოლასაც დაჰპირდა, იმ დროიდან აქამდე რას აკეთებდა: **ა ლ ი კ ა ნ ტ ე ს** ნავსადგურიდან **გ ე ნ უ ა შ ი** გაემგზავრა, იქიდან კი **მ ი ლ ა ნ შ ი** ჩავიდა, იყიდა თოფ-იარაღი და სამხედრო ტანსაცმელი, რათა **პ ი ე მ ო ნ ტ ი ს** ჯარს შეერთებოდა. **ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ს კ ე ნ** მიმავალმა შეიტყო, რომ ჰერცოგი **ა ლ ბ ა ფ ლ ა ნ დ რ ი ა შ ი** იმყოფებოდა. გამობრუნდა და მის კვალს გაჰყვა. რამდენიმე ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. დაესწრო ჰერცოგების **ჰ ო რ ნ ი ს ა და ე გ მ ო ნ ი ს** სიკვდილით დასჯას, მერე ალამდარის ხარისხი მიიღო და **გ ვ ა დ ა ლ ა ხ რ ე ლ ი** კაპიტნის **დ ი ე გ ო დე უ რ ბ ი ნ ა ს** ხელქვეითი გახდა. ფლანდრიაში ხმა დაირხა, რომ პაპმა, **პ ი უ ს მ ე ხ უ თ ე მ**, **ე ს პ ა ნ ე თ ა ნ** კავშირი შეკრა საქრისტიანოს მტრის-**თ უ რ ქ ე ბ ი ს** წინააღმდეგ, რომელმაც დაიპყრო კუნძული **კ ვ ი პ რ ო ს ი** (რაც **ვ ე ნ ე ც ი ი ს თ ვ ი ს** დიდ დანაკლისს წარმოადგენდა). ამ დროს, **დ ო ნ ხ უ ა ნ ა ვ ს ტ რ ი ე ლ ი**, მთავარსარდალი გამხდარა. მთხრობელი წავიდა **ი ტ ა ლ ი ა შ ი**, სწორედ ისეთ დროს დაემთხვა მისი იქ ჩასვლა, როდესაც **დ ო ნ ხ უ ა ნ ა ვ ს ტ რ ი ე ლ ი ნ ე ა პ ო ლ შ ი** უნდა გადადგილებულიყო, რათა თავისი და **ვ ე ნ ე ც ი ი ს** ხომალდები შეერთებინა. მაგრამ ეს პროცესი **მ ე ს ი ნ ა შ ი ვ ე** მოხდა. მთხრობელმა საპატიო ხარისხი **ი ნ ფ ა ნ ტ ე რ ი ი ს** კაპიტნობა დაიმსახურა. მონაწილეობა მიიღო **ლ ე პ ა ნ ტ ო ს** ბრძოლაში. თურქთა სიამაყე დაემხო, ისინი უკვე აღარ იყვნენ უძლეველები. ბრძოლაში მიღწეული გამარჯვების გვირგვინის ნაცვლად, მთხრობელი დაატყვევეს, გათავისუფლებული და ბედნიერი ტყვეებიდან მხოლოდ ის აღმოჩნდა ცალკე. მიზეზი რა იყო: **ა ლ ჯ ი რ ი ს** მეფე **უ ხ ა ლ ი** შეება **მ ა ლ თ ი ს ო რ დენის*** უმთავრეს ხომალდს, რომელზეც ის და სამი დაჭრილი რაინდი იმყოფებოდა. მათ მიეშველა კაპიტან **ჯ ო ვ ა ნ ი ლ ო რ ი ა ს** ხომალდი. მთხრობელი გადახტა მტრისკენ, ის კი საჩქაროდ დაიდრა, რათა მოწინააღმდეგეებს დასხლტომოდა. **უ ხ ა ლ ი** მ თავს უშველა, მტრის პირისპირ მარტო დარჩენილი მთხრობელი კი ტყვედ წაიყვანეს, **ს ტ ა მ ბ ო ლ შ ი**. სულთანმა **ს ე ლ ი მ მ ა უ ხ ა ლ ს**, ლეპანტოს ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის, მალტის ორდენის დროშა მიართვა და ზღვის გენერლად დანიშნა. ათას ხუთას სამოცდათორმეტ წელს, მთხრობელი, **ნ ა ვ ა რ ი ნ ი ს*** ბრძოლაში მენიჩხედ ემსახურებოდა მთავარ ხომალდს,

რომელსაც „სამი ფოთოლი“ ერქვა, მაშინ შეიტყო, რომ ქრისტიანებმა შემთხვევით არ ისარგებლეს და თურქების ლაშქარი ნავსადგურშივე არ შეიპყრეს. მისი თქმით, ზენამ არ ინება ქრისტიანთა გამარჯვება. უხალმა ნავარინის ახლოს, მ ო დ ო ნ ი ს კუნძულზე, გადმოსხა თავისი ჯარი, დამშვიდებით ელოდებოდა დონ ხუანის დაბრუნებას. ამ დროს ქრისტიანებმა, ნეაპოლის ხომალდმა „ლოობამ“ (კაპიტანი ალვაო დე ბასანი, მარკიზი სანტა ყრუსი რომ ყავდა) ხელში ჩაიგდო ხომალდი „ლ ა პ რ ე ს ა“,* რომელსაც გამოჩენილი მეკობრის ბ ა რ ბ ა რ ო ს ა ს* უფროსი შვილი ხელმძღვანელობდა.

მთხრობელი სტამბოლში ათას ხუთას სამოცდაჩვიდმეტ წელს დაბრუნდა. იქ შეიტყო, რომ დონ ავსტრიელმა ტ უ ნ ი ს ი აიღო იერიშით და გადასცა მ უ ლ ი ჰ ა მ ე ტ ს. დანაკარგმა სულთანს დაანადვლიანა. მან გადაწყვიტა ვენეციელებს შერიგებოდა, მაგრამ ამაოდ, მათ ეს არ სურდათ. ათას ხუთას სამოცდათხუთმეტ წელს თურქეთის ჯარმა გ ო ლ ე თ ა* და მისი ციხე დაიპყრო. ყველა ფიქრობდა, რომ ჯარი იქ არ უნდა შესულიყო, ჯობდა ტრიალ მინდორზე შეხვედროდნენ ერთმანეთს. მტრის ოცდახუთი ათასი მეომარი დაიხოცა, სამასი გადარჩენილი მეციხოვნისგან მტერს არც ერთი არ ჩავარდნია. ერთი კოშკი, რომელსაც ვალენსიელი კაბალიერო და მამაცი მხედარი დონ ხუან სანოგერი მეთაურობდა, მტერს დამორჩილდა. თურქებმა გოლეთის ციხისთავი დ ო ნ პ ე დ რ ო პ უ ე რ ტ ო კ ა რ ე რ ო ტყვედ წაიყვანეს. მხედარმთავარი ჯავრისაგან სტამბოლის გზაზე მოკვდა. ციხის უფროსი გაბრიო სერველონიც შეიპყრეს. ციხის იერიშის დროს ბევრი გამოჩენილი ადამიანი დაიხოცა.

მთხრობელმა ახსენა მასთან ტყვეობაში მყოფი დ ო ნ პ ე დ რ ო დე ა გ ი ლ ა რ ი ანდალუზიის რომელიღაც ქალაქიდან, მეციხოვნეთა რაზმის ალამდარი, მამაცი მხედარი და პოეტი, რომელმაც ეპიტაფიის მსგავსი ორი სონეტი დაწერა, ერთი გოლეთაზე, მეორე ციხეზე, ორივე ზეპირად იცის და შეუძლია წარმოთქვას. აგილარის სახელის ხსენებაზე მსმენელებს გაელიმათ. დონ ფერნანდოს მეგობარმა, კაბალერომ, ტყვედნამყოფს უთხრა, რომ პედრო მისი ძმია, თავისუფალი და ბედნიერი, სამი შვილის მამა, ცხოვრობს თავის ქვეყანაში. მისი სონეტები კი, მანაც ზეპირად იცის. ამ ინფორმაციამ მთხრობელი გაახარა და შესთავაზა, თვითონ წაეკითხა ძმის ლექსები. კაბალერო სიამოვნებით დათანხმდა.



თავი XL

სადაც გრძელდება ტყვედნამყოფის თავგადასავალი

კაბალერომ პედროს ლექსი წაიკითხა. ავტორი, ნაწარმოების მიხედვით, „ზეცაში ასულთ“ წმინდა სულებს უწოდებს, სწრაფვითა და მგზნებარებით მეზრძოლთ: „თვითონ სიკვდილში მომხვეჭელნო გამარჯვებისა... და თქვენს სახელსაც დავიწყება არ ეკარება“[1,403].

ციხისადმი მიძღვნილ მეორე ლექსში, მოთხრობილი იყო სამი ათას გმირზე: „ამ კომპებიდან რომ დაინთქნენ ცეცხლსა და კვამლში, სამოთხის წყნარი სავანისკენ“[1,403].

მსმენელებს სონეტები მოეწონათ, რამაც ტყვედნამყოფი გაახარა. მან ისევ განაგრძო თავისი თავგადასავლის მოყოლა: თურქებმა გოლეტის ციხის დანგრევის ბრძანება გასცეს. ძველი შენობები უფრო მკვიდრად ნაგები აღმოჩნდა, ახალი კი, ინჟინერ ფ რ ა ტ ი ნ ო ს მიერ აგებული, ადვილად ააფეთქეს. ესკადრა ზეიმით დაბრუნდა სტამბოლში. ამასობაში მთხრობელის ბატონი, რომელსაც „უ ხ ა ლ ი ფ ა რ ტ ა ქ ს ს ემახდნენ. რაც თურქულად ქეციან განდგომილს ნიშნავს“, მოკვდა. ახალმა ბატონმა, ა ს ა ნ ა ლ ამ, ტყვე ალჟირში წაიყვანა. იქ ბ ა ნ ი ო ს* საპყრობილეში, იმ ქრისტიან ტყვეებთან მოხვდა, რომელთაც: „აღმასენის ტყვეებს უწოდებენ და სამოქალაქო საქმეებსა და მშენებლობებზე ამუშავებენ“. ბატონი: „მძვინვარე ბუნების პატრონი იყო და თითქოს კაცობრიობის მტარვალად იყო დაბადებული“. მას მხოლოდ ერთი ტყვე, ესპანელი მხედარი ს ა ა ვ ე დ რ ა* ეპყრობოდა კარგად.

საპყრობილის ეზოს პირდაპირ იყო მდიდარი მავრის სახლი. ერთ დღეს, მთხრობელი, სამ მეგობართან ერთად იჯდა, იმ სახლის ერთ–ერთი სანათურიდან, ცხვირსახოცმობმული, ლერწმის მოქანავე ჯოხი დაინახეს, თითქოს ანიშნებდნენ, მისულიყვნენ. ტყვედნამყოფის მეგობრები სათითაოდ მიუახლოვდნენ, მაგრამ მხოლოდ მთხრობელს ჩამოუგდეს ლერწამი, მან ხელსახოცის გამონასკვული ბოლო გახსნა და ათი ოქრო ამოიღო, „მავრები ს ი ა ნ ი ს რომ ემახიან, და თითო ჩვენებურ რ ე ა ლ ს უდრის“, რამაც ძალიან გაახარა. ძვირფასი საჩუქრით კომპისკენ წავიდა, რათა კარგად ენახა თავისი კეთილისმყოფელი. თეთრმა ხელმა გააღო და მიხურა ფანჯარა. გაიფიქრეს, რომ მავრის სახლის ერთ–ერთმა ქალმა მოწყალება გაიღო. შეჰყურებდნენ იმ „ბედნიერ ფანჯარას“, საიდანაც „უცნაური ვარსკვლავი“, გამოჩნდა. მალე ლერწმის პატარა ჯვარი დაანახეს ტყვეებს და ისევ უკან წაიღეს. ამან მათ სხვა ფიქრი გაუჩინა, ალბათ, ქრისტიანი ქალია ამ სახლში ტყვედ და მოწყალებაც მისგან მივიღეთო. მთელი ორი კვირის განმავლობაში ცდილობდნენ გაერკვიათ, ვინ იყო ეს მწყალობელი, მაგრამ მარტო ის გაიგეს, რომ მდიდარ მავრს, ლ ა პ ა ტ ი ს* გ უ ბ ე რ ა ტ ო რ ს, ა ჯ ი მ ო რ ა ტ ო ს ეკუთვნოდა სახლი. ფანჯრიდან, ერთ დღესაც, გადმოეშვა ხელსახოციანი ლერწამი, თითო–თითოდ მივიდნენ ტყვედნამყოფის მეგობრები, მაგრამ როდესაც მთხრობელი მიუახლოვდა, მხოლოდ მაშინ ჩამოაგდეს ჯოხი. ამჯერად, ხელსახოცში, ორმოცი ესპანური ოქრო და არაბულ ენაზე დაწერილი ბარათი იყო, რომლის ბოლოშიც ჯვარი გამოესახათ. არავინ არ იცოდა არაბული კითხვა. ტყვედნამყოფი ერთ განდგომილ მ უ რ ჩ ი ე ლ ს გაენდო, წამიკითხეო, მაგრამ არ უთქვამს საიდან მიიღო წერილი, ჩემი საკნის კუთხეში ვიპოვეო, უთხრა. განდგომილმა დაიწყო თარგმნა. როცა დაასრულა, თქვა, ნაწერში. „ლელა მარიენი“ „ჩვენს ქალბატონ ქალწულ მარიამს“ ნიშნავსო. ბარათში ეწერა, რომ მისი ავტორის ბავშვობისას, მამამისს ჰყავდა ტყვე ქალი, რომელმაც ლელა მარიენის ლოცვები ასწავლა. ის გარდაიცვალა. შემდეგ ორჯერ გამოეცხადა სიზმარში და ურჩია წასულიყო ქრისტიანების ქვეყანაში, ლელა მარიენის სანახავად, რადგან მას ის ძალიან უყვარს. ქალმა ტყვედნამყოფი ამოირჩია, რადგან მოეჩვენა, რომ აზნაურია და სთავაზობდა ერთად წასულიყვნენ, თუკი მოისურვებდა, ის

მისი ქმარი გახდებოდა, თუ არადა, ლელა მარიენი დაეხმარებოდა საქმროს შერჩევაში. ბარათის ავტორი აფრთხილებდა მკითხველს, გაფრთხილებოდა ამ საიდუმლოს, რადგან მამამისი არ აპატიებდა. ქალი სთხოვდა ლერწამზე ძაფს მოვამ და პასუხი გამომიგზავნე, თუ არ იცი არაბული, ქალაქზე რაიმე ნიშნები დასვი და ლელა მარიენი ამომახსნევინებსო. წერილმა ყველა გააოცა და თან გაახარა. განდგომილი მიხვდა, რომ ერთ–ერთს საგანგებოდ გამოუგზავნეს ეს ბარათი და სთხოვა ეთქვათ, რა ხდებოდა და დაპირდა მათ, რომ საიდუმლოს არავისთან არ გაამჟღავნებდა: „გული მითქვამს, რომ ამ ბარათის დამწერი ქალის შემწეობით თქვენ თავისუფლებას მიიღებთო. ხოლო მე იმედი მეძლევა ჩემი საგულისგულო სურვილი ავისრულო – კვალად წმიდა ეკლესიის წიაღს დავუბრუნდე, ახლა რომ ჩემი ცოდვისა და უმეცრებისაგან, როგორც სხეულის სნეული რამ ნაწილი, მოშორებული ვარო“[1,410]. ყველაფერი უამბეს განდგომილს. ის მათ დახმარებას დაპირდა. ტყვედნამყოფმა პასუხი უკარნახა, წერილი ასე იწყებოდა: „ჭეშმარიტი ალაჰი იყოს შენი შემწე და მარადის სანატრელი ლელა მარიენი, ჭეშმარიტი დედა ღვთისა ჩვენისა“[1,410]. მთხრობელმა მისწერა, ლელა მარიენს ძალიან ყვარებიხარ, რომ ქრისტიანთა ქვეყანაში გადაგაწყვეტინა წასვლა, ევედრე მას, მიგანიშნოს, როგორ შევძლებთ ამას. ყველა ქრისტიანი მზადაა შენს საკეთილდღეოდ ვიმოქმედოთ, ცოლად შეგირთავ, თუკი ამის სურვილი გექნებაო.

ორი დღის შემდეგ, მთხრობელი გავიდა ერდოზე, ფანჯრიდან ლერწამი გადმოეშვა, მასზე გამობმული ძაფით წერილი აუგზავნა. ქალმა თეთრი ბოხჩა ჩამოუშვა, მასში ორმოცდაათ ესკუდოზე მეტი იყო.

საპყრობილეში განდგომილი ღამით მოვიდა, მოიტანა ამბავი, რომ იმ სახლის პატრონს, მავრ აჯი მორატოს, საარაკო სიმდიდრის მფლობელს, ჰყავდა ერთადერთი მშვენიერი ქალი, მთელ ბ ე რ ბ ე თ შ ი* მასზე უკეთესი არ მოიძებნებოდა, მას ალჟირის მეფის ბევრი მოადგილე სთხოვდა ხელს, მაგრამ ყველას უარით ისტუმრებდა.

ტყვედნამყოფმა რჩევა ჰკითხა განდგომილს, როგორ მოეტაცა ზ ო რ ა ი დ ა (რომელიც მარიამს ირქმევს). მან მიუგო, ქალის პასუხს უნდა დაელოდო. ხუთი დღე გავიდა. ამჯერად, ფანჯრიდან ლერწმით გადმოეშვა დიდი ბოხჩა. მასში ასი ოქროს ე ს კ უ დ ო* და ბარათი იდო. ქალი წერდა, ბევრ ოქროს ფულს გადმოგაწოდებთ, ტყვეობიდან თავი გამოიხსენით, ერთ–ერთი თქვენგანი ქრისტიანთა ქვეყანაში წავიდეს, ბ არ კ ა ს ი* შეიძინოს და ჩვენს წასაყვანად დაბრუნდეს. ჩემი ნახვა მამაჩემის ბაღში შეიძლება, ბ ა რ ბ ა ზ ო ნ ი ს შესასვლელთან, ზღვისპირას, მამასთან და ტყვეებთან ერთად ვატარებთ მთელ ზაფხულს. ჩემი მოტაცებაც იქიდან შეიძლებაო. მეგობრებმა ბევრი ითათბირეს, განდგომილმა თქვა ვინმე თ ა გ ა რ ე ლ* მავრს შევუამხანაგდები, მისი სახელით ვიყიდი ბარკასს, მოგებას გავუყოფ და საქმეც მოგვარდებო. ქალს პასუხი მისწერეს, რომ მზად იყვნენ მისი რჩევების გაეთვალისწინებინათ. განდგომილს ხუთასი ოქრო მისცეს, რვაასი, მთხრობელმა, თავისი თავის გასათავისუფლებლად გამოიყენა. იმ დღეს, ზორაიდამ ბაღში კიდევ ათასი ოქრო მოიტანა.

თავი XLI

სადაც ტყვედნამყოფი განაგრძობს თავის ამბავს

განდგომილმა ორი კვირის შემდეგ იყიდა ბარკასი, რომელშიც ოცდაათი კაცი ეტეოდა. სხვების თვალის ასახვევად, ირანის ახლოს, ალჟირიდან ოცი მილის მანძილზე,

ს ა რ ჯ ე ლ შ ი წავიდა, ამ ქალაქში ორ–სამჯერ იმგზავრა, თან ახლდა თ ა გ ა რ ი. თაგარებს ბერბერში არაგონელ მავრებს ეძახიან, გ რ ა ნ ა დ ე ლ მავრებს მ უ დ ე ხ ა რ ე ბ ს უწოდებენ; ამ უკანასკნელთ ფ ე ც ი ს სამეფოში ე ლ ჩ ე ბ ი ჰქვიათ, ქვეყნის მეფე მათგან ჯარებს კრებს. განდგომილი თავისი ბარკასით რომ ჩაივლიდა, ღუზას იმ პატარა ნავსადგურში ჩაუშვებდა ხოლმე, სადაც ახლოს ზორაიდას სახლი იყო. ახალგაზრდა მენიჩზე მავრები ქალის მამის სახლში დადიოდნენ, ხილის სათხოვნელად. ტყვედნამყოფმა თორმეტი ესპანელი მენიჩზე დაიქირავა და ისინი დაარიგა, პარასკევს თითო–თითოდ გასულიყვნენ ქალაქიდან და ა ჯ ი მ ო რ ა ტ ო ს თავისი ბაღის გზაზე დალოდებოდნენ. ამ თადარიგის შემდეგ ზორაიდა უნდა გაეფრთხილებინა. ტყვედნამყოფი ბაღში, ვითომ მწვანილის მოსაკრეფად მივიდა. მოულოდნელად აჯის შეეჩხა. მასპინძელი დაინტერესდა ვინ იყო, ან რა უნდოდა ბაღში. მან მიუგო, ა ლ ბ ა ნ ე ლ ი მ ა მ ი ს* ტყვე ვარ და მწვანილის მოსაკრეფად შემოვედი(ის იმიტომ დაუსახელა, რომ იცოდა, რომ მ ა მ ი ზორაიდას მამის მეგობარი იყო) მან ისევ ჰკითხა, ტყვეობიდან გამოხსნას მოელი თუ არა და შენი პატრონი რამდენს ითხოვსო. ამ დროს მშვენიერი ზორაიდა გამოჩნდა, ძვირფასი სამკაულებით მორთული და მოსაუბრეებისკენ გამოემართა, მამამისიც უხმობდა. მან თავის ქალს არაბულად უთხრა, რომ თავისი მეგობრის ტყვე იდგა მათ წინაშე. ზორაიდამ არაფერი არ შეიმჩნია. მშობელთან მოსაუბრე ტყვეს მიუბრუნდა. ქალს ეკითხებოდა, იყო თუ არა ეს ტყვე აზნაური, როდის გამოიხსნა თავი ტყვეობიდან, როდის აპირებდა თავის სამშობლოში ჩასვლას, იყო თუ არა ცოლიანი, ლამაზია თუ არა ქალი, რომელსაც დაჰპირდა რომ შეირთავდა, ტყვედნამყოფის პასუხებიდან მან თავისთვის საგულისხმო ბევრი რამ გაიგო.

ამ დროს ერთი მავრი მოვარდა ყვირილით, ბაღის ღობეზე ოთხი თურქი გადმოვიდა და მკვახე ხილს ჭამენო. მამამ გააფრთხილა ქალი, შესულიყო შინ და ჩაეკეტა კარები, ტყვეს კი უთხრა, ქრისტიანო, მოკრიფე მწვანილი და ღმერთმა შინ მშვიდობით მიგიყვანოსო. თვითონ წავიდა, ზორაიდა ხეებს იყო ამოფარებული, მერე ისევ დაბრუნდა: „თამშიში, ქრისტიანო, თამშიში?“ ჰკითხა მას, რაც ნიშნავს, მიდიხარო? ტყვედნამყოფმა დრო დაუთქვა, უპასუხა, უშენოდ არ მივდივარ, მელოდე და წაგიყვანო. ქალმა ხელი გადახვია და ისე წავიდნენ სახლისაკენ, ამ დროს, გამობრუნებულმა მამამისმა თვალი შეასწრო მათ, გაუკვირდა, ქალს ვითომ გული შეუღონდა და ამიტომ იყო ასეთ მდგომარეობაში. მამამისმა იფიქრა, ალბათ, შეეშინდა იმ ძაღლებისა და ამიტომ შეუღონდაო გული, შვილი მიიკრა გულზე. ქალმა ტყვედნამყოფს მიმართა წასულიყო, მამამ უთხრა, რას გიშლის ეს ქრისტიანი, ბოროტება არ ჩაუდენია, თურქები კი უკვე წავიდნენო. ურთიერთგამომშვიდობებისას, როდესაც ტყვედნამყოფმა უთხრა, ზოგჯერ მწვანილებისთვის შემოვივლიო, მასპინძელმა ნება დართო. გამოეთხოვნენ ერთმანეთს. ტყვედნამყოფმა იქაურობა დაათვალიერა, ეძებდა გზებს თავისი გამზრახვის გასახორციელებლად. შინ დაბრუნებისას მან მეგობრებს უამბო ყველაფერი. პირველ პარასკევს, ღამით, განდგომილმა ღუზა პირობისამებრ, დათქმულ ადგილას, ჩაუშვა. მერე ურჩია ყველას, მისთვის დაეჯერებინათ. ის წავიდა ბარკასისკენ, სხვები მიყვნენ. განდგომილმა ხმალი იმიშვლა და მძინარე მავრებს არაბულად დაუყვირა, განძრევა არ გაბედოთ, თორემ სიცოცხლეს გამოგასალმებთო. შეშინებულ ადამიანებს ხელ–ფეხი შეუკრეს, დაატყვევეს, მხლებლებიდან ნახევარი იქ დატოვეს, რათა ედარაჯათ ტყვეებისთვის, ხოლო განდგომილი, ამ ამბის მთხრობელი და დანარჩენი ხალხი აჯი მორატოს ბაღისკენ წავიდა. ზორაიდა მათ ფანჯარასთან ელოდებოდა. ფეხის ხმა რომ მოესმა, იკითხა, ქრისტიანები ხართო? როდესაც დადებითი პასუხი მიიღო, მორთულ– მოკაზმული გამოვიდა, ყველამ თაყვანი სცა, პატივით აკოცეს ხელზე. ქალს ჰკითხეს, მამაშენი სად არისო, მან თქვა, რომ ბაღში ეძინა.

ზორაიდამ შინიდან გამოიტანა ოქროს ესკუდოებით სავსე დიდი ყუთი. ამ დროს მამამისს გამოეღვიძა, დაინახა ქრისტიანები, რომლებიც მის სახლს შემოხვეოდნენ და დაიწყო ყვირილი, „ქრისტიანები... ქურდები“, გაიძახოდა ის. ყველას შეეშინდა, აჯი მორატოს ხელფები შეუკრეს, პირი აუკრეს და დაემუქრნენ, ხმა არ ამოელო, თორემ მოკლავდნენ. მას თავისი ასულის სიმშვიდე, მორჩილება და ამ ამბების მთხრობელთან მისი სიახლოვე უკვირდა. ცრემლები წამოუვიდა.

შუადღის ორ საათზე ყველამ ბარკასში მოიყარა თავი, ზორაიდას მამა გაათავისუფლეს ბორკილებისა და პირბადისაგან და მუქარა შეახსენეს, ხმა არ უნდა ამოელო. ქალმა მამისა და მავრების გაშვება ითხოვა, მაგრამ განდგომილი არ დაეთანხმა, რადგან გაათავისუფლებული ადამიანები მდევრებს შეატყობინებენო.

ბარკასმა ღამით გეზი აიღო მ ა ი ო რ კ ი ს კ უ ნ ძ უ ლ ე ბ ი ს ა კ ე ნ, მაგრამ ძლიერი ქარის გამო ამ მიმართულებით ცურვა ვერ შეძლეს, ისინი იძულებული გახდნენ მოგზაურობა ნაპირ–ნაპირ, ალჟირიდან სამოც მილზე, ქალაქ ს ა რ ჯ ე ლ თ ა ნ ახლოს გაეგრძელებინათ, ეშინოდათ ქალაქ ტ ე ტ უ ა ნ ი დ ა ნ მომავალი სავაჭრო გემი არ შეხვედროდათ. გარიჟრაჟზე ისევ ამოვარდა ძლიერი ქარი, ნიჩბების მოსმა არ იყო საჭირო, აუშვეს იალქნები და გეზი ი რ ა ნ ი ს კ ე ნ აიღეს, რადგან სხვა გზით ცურვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

მგზავრები საათში რვა მილზე მეტს გადიოდნენ. აჯი მორატომ დამატყვევებლებს მიმართა, დაესახელებინათ მამა–შვილის გამოსასყიდი თანხის რაოდენობა. მას ზორაიდა მიუახლოვდა და მოეხვია. ორივენი მწარედ ატირდნენ. მოხუცმა თავის ქალს რამდენიმე კითხვით მიმართა გაოცებულმა, რატომ მორთულიყო ზორაიდა, როდის ჰქონდა საამისო დრო, ძვირფასეულობით სავსე სკივრი ალჟირში დატოვა და აქ როგორ აღმოჩნდა. განდგომილმა, რომელსაც ესმოდა მათი ენა, მოხუცს აუხსნა, რომ მისი ქალი ქრისტიანი გახდა, მან დაამსხვრია ტყვეების ბორკილებიც და ისინი თავისუფალი გახადა. თვითონაც თავისი სურვილით მოდის, მათთან ერთად. აჯი მორატო აღელდა, ზორაიდასგან სიმართლის გაგება სურდა. ქალმა დაუდასტურა, მოხუცი მოულოდნელად გადავარდა წყალში, მაგრამ გრძელი სამოსის კალთების მეშვეობით, რომელმაც ამოატივტივა, ამოათრის და დახრჩობას გადაარჩინეს. ის ორი საათის შემდეგ მოსულიერდა.

მგზავრები კ ა ვ ა რ უ მ ი ა ს ნავსადგურს მიადგნენ, ეს სახელწოდება „როსკიპ ქრისტიან დედაკაცს ნიშნავს“: „მავრების გადმოცემით იმ ალაგას ის კავა იყო დამარხული, რომლის წყალობით მათ ესპანეთი დაკარგეს. არაბულად კავა როსკიპ დედაკაცს ნიშნავს, ხოლო რ უ მ ი ა ქრისტიან ქალს. მავრების აზრით რაიმე ცუდის მომასწავებელია, როდესაც ღუზის ჩაშვება აქ მოუხდებათ“[1,425]. ზღვა და ქარი დამშვიდდა. ზორაიდას თხოვნით, მამამისი და მავრები ნაპირზე გადასვეს. აჯი მორატო მრისხანებდა, ზორაიდას ბოროტ დედაკაცს უწოდებდა, ის ამბობდა, სარწმუნოების შეცვლა იმიტომ ამჯობინა ჩემმა ქალმა, რომ ქრისტიანების ქვეყანაში ქალები უფრო ცოდვილები არიანო. შვილი მრავალი საკილავი სიტყვით მოიხსენია. წყევლიდა იმ საათს, როდესაც ის მოევიდნა ქვეყანას. ევედრებოდა მაჰმადს, თითოეული მგზავრი ჩაეთრია ზღვაში. მოხუცი ნაპირზე დატოვეს. ის თმას იგლეჯდა, მიწაზე გორავდა, ყველას ესმოდა მისი მწარე შემახილი: შვილო, დაბრუნდი, ყველაფერს გაპატიებ, დაუთმე მათ საუნჯე, მე კი აქ, ამ უდაბურ ალაგას, მარტო ნუ დამტოვებო. ზორაიდამ თავისთვის თქვა: „ჩემი სული მიისწრაფვის ადასრულოს თავისი დიდი საქმე; ეს საქმე იმდენადვე წმინდად მიმაჩნია, რამდენადაც შენ ცოდვა გგონია იგი“[1,427].

მგზავრებმა მთვარის შუქზე მათკენ მომავალი მრგვალი ხომალდი შენიშნეს, მისი ქორედიდან ფრანგულად დაუყვირეს, ვინა ხართო. განდგომილმა ყველას ურჩია, ხმა არ გაეცათ, შეიძლება ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს დაუნდობელი მეკობრეები არიანო. მის რჩევას დაუჯერეს. ამასობაში ქარმა ხომალდები ერთმანეთს დააშორა. უცებ ორჯერ მოისმა ზარბაზნის გასროლის ხმა. პირველად ანმა გადაიმტვრა, მეორედ ბარკასი დაზიანდა, რამდენიმე ადგილას. ის წყლით ივსებოდა, მაგრამ ადამიანები არ დაშავებულან. შიგ მსხდომებმა მოწინააღმდეგებს დაუწყეს ძახილი. მალე ა რ კ ე ბ უ ზ ი თ* შეიარაღებული თორმეტი ფრანგი მოცურდა და დაზარალებულები თავიანთ სანდალში მიიწვიეს. განდგომილმა ზორაიდას სკივრი ჩუმად ჩაუშვა წყალში. სანდალიდან გადასხდნენ ხომალდში. ფრანგებმა გამარცხეს ყველანი, ისე, რომ არაფერი შეარჩინეს. ზოგიერთ მეკობრეს იმისი სურვილიც კი ჰქონდა, რომ ისინი იალქნებში გაეხვია და ზღვაში გადაეყარა, იმიტომ, რომ ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს დროშით ე ს პ ა ნ ე თ ი ს ნავსადგურებში აპირებდნენ ვაჭრობას და ამ ადამიანების გამო დასჯიდნენ, მაგრამ ხომალდის უფროსმა თქვა, რომ ნადავლით კმაყოფილი იყო და ესპანეთში შესვლა არ მიაჩნდა საჭიროდ. იმ დამეს გ ი ბ რ ა ლ ტ ა რ ი ს სრუტის გავლით, ლ ა რ ო შ ე ლ შ ი უნდა მისულიყვნენ. მეკობრეებმა მათ მისცეს თავიანთი სანდალი და საკმარისი საკვები. შუადღისას გადასხდნენ მასში. მეორე დღეს ესპანეთის სანაპიროების დანახვამ ყველა ისე გაახარა, რომ სულ დაავიწყდათ რა უბედურებაც გამოიარეს, მათ დაკარგული თავისუფლება დაიბრუნეს.

მეკობრეებმა სრუტისკენ გაუხვიეს, სანდალში მყოფებს იმედი ჰქონდათ, რომ დაღამებამდე მიაღწევდნენ ნაპირს, ამით ისინი ტ ე ტ უ ა ნ ი ს მეკობრეებს დაუსხლტებოდნენ ხელიდან. შუადღისას მიადგნენ ერთი მთის ძირს, გადმოვიდნენ, სანდალი ქვიშაზე მოაპირქვავეს, სამშობლოს მიწას ეამბორნენ მუხლმოდრეკილნი და უფალს მადლობა შესწირეს იმის გამო, რომ იფარავდა მათ. ისინი მთისკენ აუყვნენ გზას, იქით–აქეთ იცქირებდნენ, იქნებ სოფელი ან მეცხვარის ქოხი ვნახოთო. მათ გაიგონეს ზარის წკარუნნი, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ახლოს ნახირი იყო. მალე ხის ძირას მჯდომი ყმაწვილიც დაინახეს, მაგრამ განდგომილი და ზორაიდა მავრების სამოსით რომ დაინახა, შეეშინდა და გაიქცა ყვირილით, მავრები შემოგვესივნენო. მის ღრიალს შეემლო მესაზღვრეების ყურადღება მიექცია, ამიტომ განდგომილს სასწრაფოდ გაახდევინეს თურქული სამოსი და ქრისტიანის ახალუხი ჩააცვეს. ყველანი ბიჭის კვალს მიყვნენ იმ იმედით, რომ მესაზღვრეებს გადააწყდებოდნენ. ასეც მოხდა. ორმოცდაათი დარაჯი მოაჭენებდა ცხენს მათკენ, მაგრამ ქრისტიანები რომ შერჩათ ხელში, გაოცდნენ, იკითხეს, მენახირეს თქვენი შეეშინდაო? მათ დაუდასტურეს. სანამ გარკვევით მოუყვებოდნენ ურთიერთს რაიმეს, მანამ ერთმა ქრისტიანმა ბიძამისი, დარაჯი პედრო დე ბუსტამენტე, იცნო. ბიძა–დისწული ერთმანეთს გადაეხვივნენ. ვ ე ლ ე ს-მ ა ლ ა გ ა მ დ ი ს* მისასვლელად დარაჯებმა მათ ცხენები შესთავაზეს. ყველანი მივიდნენ ეკლესიაში. ზორაიდა აღაფრთოვანა ღვთისმშობლის ხატის დანახვამ. იქიდან წამოსულები სხვადასხვა ადგილას დაბანაკდნენ.

ზორაიდა, განდგომილი და ტყვედნამყოფი თანამგზავრმა, ვ ე ლ ე ს ე ლ მ ა ქრისტიანმა, თავისი შეძლებული ნათესავების სახლში მიიყვანა და დააბინავა. იქ ექვსი დღე დარჩნენ. განდგომილი წავიდა რ ე ნ ა დ ა შ ი, ინკვიზიციისგან ნებართვის ასაღებად, რათა კათოლიკურ ეკლესიას დაბრუნებოდა. ქრისტიანები თავთავიანთ გზას გაუყვნენ. ამ ამბის მთხრობელმა, ტყვედნამყოფმა, ზორაიდა წამოიყვანა თავის სამშობლოში.

თხრობა დაასრულდა, მოსაუბრემ მსმენელებს უთხრა, მინდოდა მოკლედ გადმომეცა ამბები, მაგრამ ვერ მოვახერხე და თავი რომ არ შემეწყინა თქვენთვის, ზოგიერთი რამ გამოვტოვეო.



თავი XLII

სადაც მოთხრობილია, თუ რა მოხდა კიდევ იმ ფუნდუკში, და ზოგიც სხვა რამ ღირსსაცნობი ამბავი

ფუნდუკს, რამდენიმე ცხენოსნის თანხლებით, ეტლი მოადგა. როდესაც დიასახლისმა მათ უთხრა, ღამის გასათევი არა გვაქვსო, ერთ-ერთმა ცხენოსანმა შეჰყვირა, ბატონი აუდიტორისთვის ახლავე უნდა გააჩინოო ადგილი. ქალი შეშინდა და უთხრა, ლოგინი თუ აქვს, მობრძანდეს, მე და ჩემი ქმარი ჩვენს ოთახს დავუთმობთო.

ეტლიდან აუდიტორი*, მშვენივრად ჩაცმული კაცი, გადმოვიდა, თექვსმეტი წლის ლამაზ გოგონასთან ერთად. მოსულებს დონ კიხოტი შეეგება და უთხრა, ამ ციხე-დარბაზში უშიშრად შეგიძლიათო გაატაროთ ღამე. აუდიტორი დონ კიხოტის შესახედაობითა და ფუნდუკში დამხვედრი ადამიანებით გაოცებული დარჩა. ახალმოსულებმა და იქ მყოფებმა ერთმანეთი რომ გაიცნეს, გადაწყვიტეს ქალები ერთად დაებინავებინათ, კაცები კი გარეთ გასულიყვნენ, ვითომ მათ სადარაჯოდ.

ტყვედნამყოფმა აუდიტორი თავის ძმად მიიჩნია. მსახურს გამოჰკითხა მისი ვინაობა. მან უპასუხა: ეს ბატონი ლიცენციატი ხუან პერეს დე ვიედმაა, რომელიც ამერიკის კონტინენტში, მდინარე სანტა-სუს პროვინციაში, მიდის, აუდიტორად დანიშნესო. ცოლი გარდაეცვალა, მისგან კი მდიდარი მზითევი დარჩა, რომლის მემკვიდრედ ეს მისი ასული ითვლებათ. ის, მართლაც, ოდესღაც მეცნიერების გზაზე მდგარი, ტყვედნამყოფის უმცროსი ძმაც იყო. ამ ამბით გახარებულმა, დონ ფერნანდო, კარდენიო და მღვდელი გაიხმო, გაუმყლავნა ყოველივე და რჩევა ჰკითხა მათ, როგორ მოქცეულიყო, უცებვე გამოცნაურებოდა თუ გაეგო, გაუხარდებოდა თუ არა საწყალ მდგომარეობაში მყოფი ძმის ნახვა. მღვდელი დაპირდა, რომ ამ საქმეს მოაგვარებდა. ვახშამი მოიტანეს, ტყვედნამყოფის გარდა, ყველა სუფრას მიუჯდა. მღვდელმა აუდიტორს უთხრა, სტამბოლში, ტყვეობისას, ლეონის რომელიღაც ქალაქიდან, თქვენი გვარის ამხანაგი მყავდა, რუი პერეს დე ვიედმა. ესპანეთის მამაც მხედარსა და საუკეთესო კაპიტანს, ბედი არ სწყალობდა. ის ხშირად ყვებოდა მამასა და ძმებზე. მან ინფანტერიის კაპიტნის ხარისხი დაიმსახურა, პოლკოვნიკობასაც მოელოდა, მაგრამ ლეონის ბრძოლის ბედნიერ დღეს, როცა მრავალმა ქრისტიანმა თავისუფლება მიიღო, მხოლოდ ის ჩავარდა ტყვედ. მღვდელმა დასძინა, მეც გოლეთში

დამატყვევებს, მაგრამ ს ტ ა მ ბ ო ლ შ ი შევიყარეთ ისევ, მერე ის ა ლ ჟ ი რ შ ი გადაიყვანეს, სადაც საკვირველი ამბავი შეემთხვა. მან ზორაიდასა და ტყვედნამყოფის ისტორია დაიწყო, მაგრამ ფრანგი მეკობრეების საკითხს რომ შეეხო, შეწყვიტა, თითქოს არც იცოდა სამწუხარო მდგომარეობაში მყოფებმა მიაღწიეს თუ არა ესპანეთის კიდეს, თუ ფრანგებმა წაიყვანეს ისინი. ტყვედნამყოფი შორიახლო იდგა და თავის ძმის მცირე მოძრაობასაც კი ყურადღებით აკვირდებოდა. აუდიტორი მწუხარედ იყო, ის ნატრობდა ეხილა თავისი ძმა და სურდა კეთილშობილი ზორაიდასთვისაც გადაეხადა სამაგიერო, თავისი ძმის დახმარებისათვის. მღვდელმა მოიყვანა ზორაიდა, მას სხვა ქალებიც გამოყვინენ, მერე კაპიტანსაც ჩასჭიდა ხელი და ყველანი აუდიტორის წინაშე დადგნენ, მღვდელმა წარუდგინა მას ძმა და სარძლო. მათი შეხვედრა ემოციური იყო. ამ ამბებს დონ კიხოტი დუმილით უცქერდა, „ყველა ამ არაჩვეულებრივ შემთხვევას თავის რაინდულ ზმანებებს მიაწერდა“. გადაწყდა, რომ ზორაიდა და ყოფილი ტყვე, უფროს ძმასთან ერთად, ს ე ვ ი ლ ი ა შ ი უნდა დაბრუნებულიყვნენ, მოხუც მამასთან და ზორაიდას ქორწილსა და ნათლობაზე მიიწვევდნენ.

ბედნიერი შეხვედრის მომსწრეები გახარებულნი იყვნენ. შუალამე გადასული იყო, დასაძინებლად რომ დაწვნენ: „დონ კიხოტიც, თანახმად ალთქმისა, გარეთ გავიდა და ოცნებითი ციხე-დარბაზის დარაჯად დადგა“.

გარიჟრაჟზე სიმღერის ხმა მოესმათ, რომელსაც გაოცებული ქალები ხარბად უსმენდნენ. მათ კარებს კარდენიო მიუახლოვდა და დაუძახა, თუ არ გძინავთ, მოუსმინეთ მეჯორე რა მომხიბლავად მღერისო. აუდიტორის ასულს, კ ლ ა რ ა ვ ი ე დ მ ა ს, ჯერ კიდევ ეძინა.



თავი XLIII

სადაც მოთხრობილია მეჯორე ბიჭის საამო ამბავი და ფუნდუკში მომხდარი სხვა არაჩვეულებრივი ფათერაკები

ფუნდუკის ახლოს მეჯორე ბიჭის სიმღერა ისმოდა: „სიყვარულის მეზღვაური, უიმედოდ ვეხეტები, არსად მოჩანს ნავსადგური. გასწვრივ ერთი ვარსკვლავია, გზას მინათებს ზღვაში მცურავს“[1,439]. დოროთეამ კლარა გააღვიძა, რათა მასაც მოესმინა ეს მშვენიერი ხმა. კლარა აღელდა და თქვა, რომ ეს მეჯორე კი არა: „მრავალი მამულისა და სულის მფლობელია, მასთან ჩემი სულისაც, და საუკუნოდაც იქნება იმის მფლობელი“[1,440]. მან დოროთეას ჩუმად გაუმხილა, რომ მომღერალი, რომელიც მეჯორე ჰგონიათ, ა რ ა გ ო ნ ე ლ ი აზნაურია, ის მ ა დ რ ი დ შ ი, მისი სახლის პირდაპირ ცხოვრობდა. ქალ-ვაჟი ყოველდღე ფანჯრიდან უცქერდნენ ერთმანეთს და ორივე სიყვარულმა შეიპყრო. კლარას მამას სხვა სამსახურში გადასვლის ბრძანება მოუვიდა. წამოსვლისას, ერთი დღის სავალზე, მან ყმაწვილი ფუნდუკის კარზე, მეჯორის ტანსაცმლით მოსილი იხილა. მას შემდეგ იგი მამა-შვილს უჩინრად დასდევს,

კვალდაკვალ. დორითა შეჰპირდა ქალს, რომ ამ საქმის კეთილად დაბოლოებაში დაეხმარებოდა. ისევ ჩაემინათ.

ორი ადამიანი ფიზიკობდა, მეფუნდუკის ქალი და მარიტორნესი. მათ იცოდნენ, რომ დონ კიხოტი დარაჯობდა „ციხე-დარბაზს“, უნდოდათ რაიმე ოინი მოეფიქრებინათ და ამით თავი შეექციათ. ისინი ავიდნენ ფუნდუკის სხვენზე. იმ ადგილას დაბანაკდნენ, სადაც თივას ინახავდნენ და, საჭიროებისამებრ, ჩამოყრიდნენ ხოლმე. „ჩვენი ნახევარ-ქალბატონები“ ჩუმად უცქერდნენ რაინდს, რომელიც, დროდადრო, ხმამაღალ ფიქრებში, ნაღვლიანად შესმახებდა ხოლმე, სატრფოს, დულსინეა ტობოსელს: „მშვენიერებით უაღრესო, ჭკუით სრულო, სიტურფის სალაროვ, ყველა ღირსებათა კონავ, ყოველგვარ ქვეყნიურ მშვენიერებათა და სათნოებათა უსრულო განხორციელება!“^[1,444], ნეტავ ვიცოდე, ახლა რას აკეთებ, „ტყვექმნილს რაინდს“ თუ იგონებო.

მეფუნდუკის ქალმა წყნარად დაუმახა რაინდს, ცხენი აქეთ მოიყვანეთო. დონ კიხოტმა მიიხედა და მთვარის შუქზე ერთი ღია ადგილი დაინახა, რომელიც ციხე-დარბაზს რომ შეეფერება ისეთი მშვენიერი ფანჯარა ეგონა. „შემლილმა რაინდმა“ ჩათვალა, რომ მზეთუნახავმა ქალმა სტუმრად მოსული რაინდის ცდუნება განიზრახა, თავისი როსინანტით მიჩაქჩაქდა სათივის ხვრელთან, დაინახა ქალები და მოუბოდიშა, რომ „საბრალო მოგზაური რაინდის“ გული სხვას ეკუთვნის და მისკენ მომზირალი „სიყვარულით აღსავსე თვალები“ უპასუხოდ უნდა დატოვოს, სამ აგიეროდ, მას შეუძლია მათ სამსახური გაუწიოს. მარიტორნესმა უთხრა, რომ მის ქალბატონს სურდა რაინდის მშვენიერ ხელს შეხებოდა. მსახური ქალი საჩქაროდ გაიქცა თავლაში, სანჩოს ვი რ ა ვ მ ა რ ა მოხსნა და ისეთ დროს მოვიდა, როდესაც უნაგირზე შემდგარ, აწოწილ რაინდს, „მისი სიყვარულით ტყვედქმნილი მშვენიერი ქალისათვის ხელი გაემვირა“ და ეუბნებოდა: „დაიჭირეთ ეს ხელი: ამ ხელს ჯერ არც ერთი ქალის ხელი არ მიკარებია და არც იმ ქალისა, ვინც მთელი ჩემი არსების მფლობელია. ამას საკოცნელად კი არ გაწვდით, არამედ იმიტომ, რომ ნახოთ მისი ძაფების ხლართი, ძარღვების სიფართოვე და კუნთების დაწყობილობა და მით განსაჯოთ, თუ როგორი უნდა იყოს მისი ძალა“^[1,445-446].

მარიტორნესმა ავშარიდან მარყუჟი გააკეთა, რომლის ერთი მხარე დონ კიხოტის ხელს მოსდო, მეორე სათივის კარის ურდულს მიახა. იდალგომ თქვა, ქალბატონო, ეგ ფხაჭნა უფროა, ვიდრე ალერსი, ვისაც უყვარს, ასე სასტიკად არ იქცევო. ეს მისი წინადადება ქალებს არ გაუგონიათ, იმიტომ, რომ სიცილით დაოსებულები, სათივიდან ქვევით ჩაცვივდნენ, რაინდი კი დატოვეს როსინანტის ზურგზე მდგარი, ფანჯარაში ხელაწვდილი და სათივის ურდულზე მიბმული. რაინდს ეშინოდა ბედაური არ დაძრულიყო და ხელით არ ჩამოკიდებოდა ფანჯარას, რადგან მიხვდა, რომ თოკით იყო მიბმული. ისევ ჯადოქრობას დააბრალა ყველაფერი, მაგრამ, ამასთანავე, თავის წინდაუხედაობასაც ემდუროდა და თავს იწყევლიდა, რომ ისევ იქ მოვიდა, სადაც ერთხელ უკვე გადახდა ხიფათი. ცდილობდა გაეთავისუფლებინა თავი, მაგრამ ვერ ახერხებდა, ნატრობდა ყოველგვარი ჯადოქრობის დასათრგუნად ამადისის მახვილი ჰქონოდა, წყევლიდა თავის ვარსკვლავს, წარმოიდგინა ქვეყანა როგორ იზარალებდა, თუკი ასე მიჯადოებული დარჩებოდა. ის ახლა უხმობდა ვირის კურტანზე მიწოლილ, ტკბილად მხვრინავ, საჩოს, თავის საჭურველმტვირთველს, ახსენებდა რაინდთა სახელებს, ეგონა რომ სამუდამოდ იყო მოჯადოებული. საბედნიეროდ, როსინანტი ადგილიდან არ დაძრულა.

გამთენიისას, ფუნდუკს ოთხი კარგად ჩაცმული მგზავრი მოადგა და ჭიშკარს რახუნს დაუწყეს. რაინდმა ჩათვალა, რომ ისევ ციხე-დარბაზის დარაჯი იყო და შესძახა გაცალეთო: „განა არ იცით, რომ მანამ დედამიწას მზე არ მოივლის, ციხის კარებს არ აღებენ?“ მათ მიუგეს, მეფუნდუკე თუ ბრძანდებით, უთხარით კარი გაგვიღონ, ცხენებს ვაჭმევთ და გზას გავუდგებითო. რაინდმა იუკადრისა მეფუნდუკეობა, არც იმაში დაეთანხმა მგზავრებს, რომ აქაურობა ციხე-სიმაგრე კი არა „მყრალი ფუნდუკი“ იყო: „ამჟამად აქ ის გვამნი განისვენებენ, ვისაც ხელში სკიპტრა სჭერია და თავზე გვირგვინი უტარებია“. მგზავრმა შენიშნა, ჯობდა უკუღმა გეთქვა: „თავზე სკიპტრა და ხელში გვირგვინი“, რადგან „სკიპტრები და გვირგვინები ძალიან ჩვეულებრივი ნივთებია. ნამდვილი გვირგვინოსანი გვამები კი, არა მგონია ასეთ მყრალ ფუნდუკს ჩამომხტარიყვნენ“.

ცხენოსნებმა კარებზე ისევ მძლავრად დააკაკუნეს. ფუნდუკში ყველამ გაიღვიძა. ამ დროს, ერთ-ერთი მგზავრის ცხენის მიახლოებაზე, როსინანტი შეტოკდა და თოკით მიბმული დონ კიხოტი ჩამოეკიდა, ფეხები ოდნავ ეკარებოდა ბალახს.

რაინდმა ხელის საშინელი ტკივილი იგრძნო,



თავი XLIV

სადაც გრძელდება ფუნდუკში მომხდარი არაჩვეულებრივი ამბები

დონ კიხოტი გამწარებული კიოდა. მეფუნდუკე დაინტერესდა, რა ხდებოდა, გარეთ გამოვიდა. გამოიღვიძა მარიტორნესმა, ფარულად ავარდა სათივეზე, თოკი მოხსნა და რაინდმა მიწაზე ზღართანს მოადინა. მიუახლოვდნენ რაინდს და ჰკითხეს, რა აკვილვებდა, მაგრამ მან პასუხი არ გასცა, ამხედრდა როსინანტზე, შუბი და ფარი მოიმარჯვა, თოხარიკით წამოვიდა და მეფუნდუკესა და მგზავრებს შესძახა: ვინც იტყვის, რომ ჩემი მოჯადოება სამართლიანი საქმე იყო, მე მას ჩემი დედოფლის, მიკომიკონის, ნებართვით, ცრუპენტელად ვაცხადებ და ბრძოლაში ვიწვევო. გაუკვირდათ ყოველივე, მაგრამ მალე შეიტყვეს რაინდის ზნე-ხასიათის შესახებ.

მგზავრებმა მეფუნდუკეს ჰკითხეს, აქ ვინმე მეჯორის ტანსაცმლით მოსილი ყმაწვილი ხომ არ მოსულაო. აღწერეს დონა კლარას სატრფოს გარეგნობა. მეფუნდუკემ არაფერი იცოდა. ერთ-ერთმა მგზავრმა აუდიტორის კარეტა შეამჩნია და დაიყვირა აქ არისო. გადაწყვიტეს მოეძებნათ. ამასობაში გათენდა. ყველანი ფხიზლობდნენ, რადგან ისინი დონ კიხოტის ყვირილმა გამოაღვიძა. ერთ-ერთმა ცხენოსანმა მალე იპოვა თავისი ბატონი, დონ ლუისი, რომელსაც ნამდვილი მეჯორის გვერდზე ეძინა. ყმაწვილმა გამოიღვიძა და თავზარი დაეცა, მამამისის მსახური იცნო. მან მოახსენა, ბედს უნდა დაემორჩილოთ და შინ წამობრძანდეთ, რადგან თქვენს მშობელს მწუხარებისგან შეიძლება ბოლო მოეღოსო. დონ ლუისმა გაიკვირვა, საიდან უნდა გაეგო მამამისს, სად იყო ყმაწვილი. მსახურმა მიუგო, ერთი სტუდენტისთვის გაგიმჟღავნებიათ, იმან გააგებინა, ოთხი მსახური გამოგადევნა თ და ყველანი აქა ვართ, რათა გემსახუროთ.

დონ ლუისმა მსახურებს უპასუხა, ჩემი შინ წაყვანა ჩემს სურვილზეაო დამოკიდებული. მის გვერდით მყოფმა მეჯორემ დატოვა მოსაუბრენი, გავიდა და ყველას გააგებინა, რაც გაიგო. დოროთეამ კარდენიოს უამბო ცრუმეჯორის სიყვარულის ამბავი. კლარას ელდა ეცა. ხმაურმა და მითქმა-მოთქმამ აუდიტორის ყურადღება მიიპყრო. მან ერთ-ერთი მსახურისგან გაიგო, რომ ყმაწვილი, რომელზეც საუბრობდნენ, მისი მეზობელი იყო. იცნო და გაკვირვებულმა ჰკითხა, რატომ იყო გამოქცეული შინიდან, არასაკადრისი სამოსით. ბიჭმა არაფერი უპასუხა. აუდიტორმა გაიყვანა განზე, რათა გარკვეულიყო საქმის ვითარებაში.

ალაყაფის კარებიდან, ყვირილი მოისმა, ორ ჩ ა თ უ ქ ე ს ა ნ* ბიჭს დანახარჯის გადახდის გარეშე გადაუწყვეტია გაპარვა. მეფუნდუკეს დაეჭირა ისინი და, თურმე, შეაგინა, საპასუხოდ მუშტები ეთავაზებინათ, მეფუნდუკე ყვიროდა. მისმა ქალიშვილმა დონ კიხოტს სთხოვა, დახმარებოდა საბრალო მამამისს, მაგრამ რაინდმა ცივად მიუგო, ახალ ფათერაკში მონაწილეობის უფლება არა მაქვს, სანამ წინა საქმე არ დასრულდება, მამათქვენს გადაეცით, რომ სანამ მიკომიკონის დედოფალთან მივიდოდე და მისგან ნებართვას ავიღებდე, ბრძოლას გაუძლოსო. მარიტორნესი შეწუხდა, მანამდე ჩემს ბატონს საიქიოში გაამგზავრებენო. დონ კიხოტმა მიუგო, ნებართვა მომიტანეთ, ჩემთვის სულერთია თქვენი ბატონი სააქაოს იქნება თუ საიქიოს: „სააქაოს გამოჯავრებული, საიქიოდანაც დავაბრუნებ იმას, და თუ ეს ვერ მოხერხდა, მის მკვლელებს მაინც ისე დავსჯი, რომ სრულიად კმაყოფილი დამრჩეთ“[1,453].

დონ კიხოტი მიუახლოვდა დოროთეას, მის წინ დაიჩოქა, ნებართვა მიიღო, დახმარებოდა „ციხე-დარბაზის მოურავს“ და ხმლით გაემურა ჭიშკრისკენ, სადაც ორი ზორბა ყმაწვილი მეფუნდუკეს სცემდა, მაგრამ მოჩხუბრებს მიუახლოვდა თუ არა, შედგა: „როგორც რაინდს, არ ძალმიძს ხმალი ვიხმარო მდაბიო ხალხის წინააღმდეგ. ეს ჩემი საჭურველმტვირთველის საქმეა“[1,454].

შემთხვევის ადგილიდან, ორმოცდაათი ნაბიჯის მოშორებით, დონ ლუისი აუდიტორს უხსნიდა, რომ კლარას სიყვარულმა აიძულა გამოქცეულიყო შინიდან. აუდიტორმა თავის ასულზე შეყვარებულ მეზობელ ყმაწვილს სთხოვა, მეორე დღემდე მისთვის მოფიქრების საშუალება მიეცა. ამ დრომდე მის მდევარ მსახურებსაც გააჩერებდა.

რაინდმა გონივრული სიტყვით მიმართა მეფუნდუკესთან მეზობელ ყმაწვილებს და ისინი დაიყოლია გადაეხადათ დანახარჯის საფასური. ამ დროს ფუნდუკეში ის დალაქი მოვიდა, დონ კიხოტმა რომ მამბრინის ჩაჩქანი მოსტაცა, სანჩომ კი ვირის კურტანი თავისი სახედრის კურტნით შეუცვალა. დალაქმა თვალი მოჰკრა სანჩოს, საყელოში ჩაავლო ხელი, დაუღრიალა, ავაზაკი უწოდა და კურტნის დაბრუნება მოსთხოვა. სანჩომ დალაქს ცხვირ-პირი დაუსისხლიანა. ყვირილზე ხალხი მოცვივდა. დალაქმა განაცხადა, რომ კურტანი მისი საკუთრებაა: „როდესაც ეს კურტანი დავკარგე, სწორედ იმ დღეს ახალთახალი, ჯერ უხმარი თასი მომტაცეს, წითელი თითბრისა, მთელ ესკუდოდ მიღირდა“.

დონ კიხოტს მოეწონა თავისი საჭურველმტვირთველის სიმამაცე, მაგრამ ხალხს განუმარტა, რომ ცდება მისი კეთილი მსახური, როდესაც ჩაჩქანს სადალაქო თასს უწოდებს: „ის ჩაჩქანი მე ამას პატიოსან ბრძოლაში წავართვი და ამ სრული სიმართლით ვმფლობელობ მას, ხოლო, რაც შეეხება უნაგირს – მის საქმეში არ გავერევი. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩემმა საჭურველმტვირთველმა სანჩო პანსამ მთხოვა ნება დამერთო და ამ ჩემგან დამარცხებული მხდალი კაცის ცხენის იარაღი აეღო და მით თავისი ვირი

მოეკაზმა; მეც ნება დავრთე, და თუ ახლა ჩვეულებრივი უნაგირი საპალნის კურტნად გადაქცეულა, ამას მე სხვებრ ვერ ვხსნი“[1,456–457]. სანჩომ მიუგო: „ის მამბრინის ჩაჩქანი ისეთივე სადალაქო თასია, როგორც ეს უნაგირი – სწორედ კურტანია და სხვა არაფერი“. დონ კიხოტს უკვირდა, რომ ამ ციხე–დარბაზში ყველაფერი მოჯადოებული იყო.



თავი XLV

სადაც საბოლოოდ განიფანტება ეჭვი მამბრინის ჩაჩქანსა და კურტანზე, და მოთხრობილია სხვა ნამდვილად მომხდარი ფათერაკები

უცხო დალაქი გაკვირვებული მიმართავდა ფუნდუკში მყოფებს, რომ ეს ბატონები (დონ კიხოტი და სანჩა პანსა) აბრიყვებდნენ და სადალაქო თასს მამბრინის ჩაჩქანს უწოდებდნენ. ნიკოლასმა გადაწყვიტა, გაემხიარულებინა იქ მყოფნი და თქვა, რომ ოცი წელია რაც ოსტატობის მოწმობა აიღო და ყველა სამუშაო იარაღს კარგად იცნობს. ის რაც ბატონს ახლა ხელთ უჭირავს, სადალაქო თასს ჰგავს, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ჩაჩქანია, მხოლოდ მთელი არ არისო. რაინდმა დაუდასტურა, მთელი არ არის, ნახევარი აკლიაო. მღვდელი, კარდენიო, დონ ფერნანდო და მისი ამხანაგებიც ნიკოლასს მიემხრნენ. დალაქი კიდევ უფრო განცვიფრდა: „ასეთი გასაოცარი ამბავი ხომ უნივერსიტეტსაც კი მთელი თავისი მეცნიერებით განცვიფრებაში მოიყვანს“, თქვა მან, – მაშ, ეს კურტანიც უნაგირი ხომ არ არისო, – იკითხა. რაინდმა თქვა, რომ ეგ კურტნად ეჩვენება. მღვდელმა განაცხადა, ესეც დონ კიხოტის გადასაწყვეტია, რადგან ყველა ბატონი მას აძლევს უპირატესობას, მალე, იმის გარკვევაში, კურტანია თუ უნაგირი: „მთელი ფუნდუკი დაუსრულებელ კვნესად, ყვირილად, მუქარად, ხმლის ჩხარაჩხურად, მუშტების ტყაპა-ტყუპად გადაიქცა“. დონკიხოტმა თავი აგრამანტეს ბანაკში* წარმოიდგინა და შეჰყვირა: შესდექით! „ეს ციხე–დარბაზი მოჯადოებულია–მეთქი და აქ ეშმაკთა ლეგიონები ბუდობენ“. მან მრავალი რამ, სხვათათვის გაუგებარი წარმოთქვა, თანდათან მშვიდდებოდნენ ყველანი, მეფუნდუკის გარდა, რომელიც: „დაჟინებით ითხოვდა ეს გამოსულ ელებული დაესაჯათ, რადგან მისგან სახლი მუდამ არეულ–დარეული ჰქონდა. მაგრამ მას ყური არავინ ათხოვა და ყველანი დამშვიდდნენ: კურტანი უნაგირად დარჩა, თასი – მამბრინის ჩაჩქანად და ფუნდუკი – ციხე–დარბაზად, – რასაკვირველია, მარტო დონ კიხოტის წარმოდგენით“[1,462].

აუდიტორისა და მღვდლის ძალისხმევით, მშვიდობა დამყარდა.

დონ ლუისის მსახურებმა გადაწყვიტეს ყმაწვილი წაეყვანათ, მაგრამ აუდიტორმა დონ ფერნანდოს, კარდენიოსა და მღვდელს გაუმჟღავნა ყმაწვილი კაცის საიდუმლო. სამმა მსახურმა გადაწყვიტა წასულიყო ვაჟის მამასთან, მეოთხე კი დარჩენილიყო

პატარა ბატონთან მსახურად, მანამ სანამ მისი მშობელი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა, ან ხელახლა გამოგზავნიდა ვინმეს.

ფუნდუკში მყოფი სანტა ჰერმანდადის ქამანდრები როდესაც მიხვდნენ, რომ წარჩინებულ ადამიანებთან ჰქონდათ საქმე, იარაღი დაყარეს, მათგან ერთ-ერთს მოაგონდა, რომ ავაზაკების, მათ შორის, დონ კიხოტის(საკატორლო ტყვეების გათავისუფლების გამო)შეპყრობის ბრძანება ჰქონდა.ქამანდარმა ამოიღო ოქმი, წაიკითხა და მასში აღწერილი პიროვნების ნიშნები რაინდის გარეგნობას შეუდარა, დარწმუნდა, რომ ნამდვილად ის იყო, ვინც უნდა შეეპყრო. სტაცა ხელი დონ კიხოტს. რაინდმა ეს არ მოითმინა და თვითონაც ყელში სწვდა ქამანდარს, ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან. მეფუნდუკე მიემხრო სანტა ჰერმანდადას ქამანდართ. დონ ფერნანდომ გააშველა მოჩხუბრები. იდალგო მრავალი საკილავი სიტყვით მოიხსენიებდა მოწინააღმდეგეებს, რომლებიც მოითხოვდნენ ბოროტმოქმედი, ავაზაკი, დონ კიხოტის შეპყრობას: „სანტა ჰერმანდადის სახელით მგზავრების მძარცველნო, მითხარით მაგ ოქმზე ხელისმოწერა რომელმა ბრიყვმა გაზედა ისეთის რაინდის დასატუსაღებლად, როგორც მე ვარ? რომელი იყო, არ იცოდა, რომ რაინდობისათვის არავითარი სამსჯავრო არ არსებობს და არავითარი კანონი არ დაწერილა...“[1,465].



თავი XLVI

ქამანდართა ღირსშესანიშნავი ფათერაკები და ჩვენი კეთილშობილი რაინდის დონ კიხოტის საშინელი მრისხანება

მღვდელი ქამანდრებს არწმუნებდა, რომ დონ კიხოტს გონება ჰქონდა არეული, მათი აზრით, ამას სანტა ჰერმანდადიც მიხვდებოდა და ისიც გაათავისუფლებდა მას, მაგრამ ერთ-ერთი ამბობდა, ჩემი მოვალეობა მხოლოდ ის არის, მთავრობის ბრძანება ბეჯითად ავასრულო, მე დავიჭერ და მერე თუნდა სამასჯერ გაათავისუფლონო, მაგრამ მალევე შეიგნეს, რომ უნდა დაეჯერებინათ, რაც მღვდლისგან გაიგეს, ამიტომ შემდეგ შუამავლობაც კი იკისრეს, რომ სანჩო და დალაქი შეერიგებინათ, მათ კურტნები გაცვალეს, მამბრინის ჩაჩქანში კი მღვდელმა პატრონს რვა რეალი გადაუხადა (ეს რაინდს არ გაუგია), დალაქმაც მას ხელწერილი დაუტოვა, რომ არ იჩივლებდა.

დონ ლუისის მსახურები დაითანხმეს, სამი შინ დაბრუნებულიყო, მეოთხე კი თავის ბატონს გაყოლოდა იქით, საითაც დონ ფერნანდოს მიჰყავდა.

მეფუნდუკემ დაინახა, რომ მღვდელი დალაქს ფულს აძლევდა და თვითონაც დონ კიხოტის დანახარჯი მოითხოვა: დაღვრილი ღვინის, დაჭრილი ტიკების, საჭმლის, ღამის გათევის. თუკი არ გადაიხდიდნენ, იფიცებოდა, რაინდს როსინანტს არ

დაუბრუნებდა, სანჩოს კი ვირს. მღვდელმა თავისი მჭევრმეტყველებით მოახერხა ის, რომ დონ ფერნანდომ გადაიხადა დანახარჯები, ამისათვის აუდიტორიც კი იყო მზად.

დონ კიხოტმა როდესაც დაინახა, რომ ყველა დამშვიდდა, გადაწყვიტა თავისი დანიშნულება აღესრულებინა, გზას უნდა გასდგომოდა. მან მუხლი მოიყარა დოროთეას, „უკეთილშობილესი ბანოვანის“, წინაშე და შეახსენა, რომ დაყოვნება ზიანს მოუტანდა მათ და მალე უნდა გამგზავრებულიყვნენ. ქალმა მედიდური სახით, რაინდის საუბრის კილოს მიმსგავსებით, მოახსენა მადლობა და მზადყოფნა გამოხატა. სანჩომ რაინდს ასეთი სიტყვებით მიმართა: **„ბატონო ჩემო, ეს ქალბატონი, დიდი მიკომიკონის სამეფოს დედოფლად რომ ასაღებს თავს, ისეთივე დედოფალია, როგორც დედაჩემია დედოფალი“**[1,469]. სანჩომ რამდენიმეჯერ შენიშნა, დოროთეა თავის ქმარს, დონ ფერნანდოს, „მოარშიყე ვაჟბატონს“, როგორ გადაეხვია, ეს „დედოფლისთვის“ შეუფერებელ ქცევად ჩათვალა, ამაზე საუბარს ხმამაღლაც არ მოერიდა, რითაც ქალი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. მან ეჭვი გამოთქვა: **„მეშინია, ვაითუ იმოდენა გზა განვვლოთ, მრავალი ცუდი ღამეები და უარესი დღეები გამოვიაროთ, და ბოლოს მე და თქვენც გაცრუებულები დავრჩეთ“**[1,469].

დონ კიხოტი გაუბრაზდა საჭურველმტვირთველს: **„განა აიწერება ის რისხვა რა რისხვითაც დონ კიხოტი თავის საჭურველმტვირთველის ამ კადნიერს სიტყვებზე აინთო?! ყელში მოწოლილმა ბოლმამ სუნთქვა გაუძნელა, ბრაზისაგან ანთებული თვალებიდან თითქოს ნაპერწკლებსა ჰყრიდა, ენა ძლივსღა მოუბრუნდა და ამ საშინელი სახით მედგრად დაუჭყვივლა სანჩოს:**

– **ო, შე სულმდაბალო არამზადავ, უხამსო, გაუზრდელო, უმეცარო, ბლუ, აყცია, უსირცხვილო ცილისმწამებლო და ჭორისგულავე!**“[1,470]. რაინდს უკვირდა, რომ წარჩინებული სეფექალებისა და დიდებული სენიორების წინაშე გაბედა მისმა მსახურმა ასეთი სიტყვების თქმა, ის უამრავი ცუდი ეპითეტით მოიხსენია: **„შე მაბეზღარო, ცრუპენტელავ, ტყუილების ზახდუხჩავ, თაღლითობის საკუჭნაო, მზაკვრობის საბუღარო, უმაქნისო მოლაყბევ!**“[1,470]. სანჩო ძალიან შეშინდა. გონიერმა დოროთეამ დაამშვიდა განრისხებული რაინდი, ამ ციხე-დარბაზში, როგორც თქვენც ამტკიცებთ, ყველაფერი მოჯადოებულია, ამიტომ შეიძლება სანჩოს ბევრი რამ მოეჩვენაო. დონ კიხოტმა დაიჯერა, მღვდელმა სანჩო მიიყვანა თავის ბატონთან, დააჩოქა მის წინაშე, ხელზე აამბორებინა, რაინდმა კი დალოცა საჭურველმტვირთველი. მერე სტუმრებმა ისურვეს მოესმინა საბნით ფრენის ამბავი, მეფუნდუკემ უამბო მათ ყოველივე. ბევრი იცინეს. სანჩო გაბრაზებას აპირებდა, მაგრამ რაინდი არწმუნებდა, რომ ის ამბავიც ეშმაკთა გრძნეულების მიზეზით მოხდა. მიუხედავად ამისა, მსახურს ბოლომდე სჯეროდა, რომ: **„ძვალხორცშესხმული ხალხი ისროდა მალღა და არა მოჩვენებანი, როგორც დონ კიხოტი არწმუნებდა.“**

ეს „ბრწყინვალე საზოგადოება“ ფუნდუკში ორი დღე-ღამე იყო: **„ყველა იმაზე ფიქრობდა, თუ რა ხერხი მოეგონათ, რომ დონ ფერნანდოსა და დოროთეასათვის დონ კიხოტის სოფლამდის გაცილება თავიდან აეცდინათ. სადაც რაინდს ვითომ მიკომიკონის სამეფოში კანონიერი დედოფალი მამა-პაპის ტახტზე უნდა აეყვანა და ამით დაებოლოებინა თავისი მოგზაურობა“**[1,471–472].

ფუნდუკში, შემთხვევით, ხარ–ურმით, მოვიდა ერთი გლეხი, რომელსაც მოელაპარაკნენ და, გარკვეული საზღაურის ფასად, იკისრა დონ კიხოტის წაყვანა. მოამზადეს რაღაც გალიის მსგავსი, მღვდლის, დონ ფერნანდოსა და მისი ამხანაგების დარიგებით, მძინარე რაინდთან შევიდნენ ტანსამოსგამოცვლილი ქამანდრები და დონ ლუისის მსახურები, შეუკრეს ხელ–ფეხი. გამოღვიძებული დონ კიხოტი გაოცდა, უცნაური მოჩვენებებით იყო გარშემორტყმული, თვითონაც მოჯადოებული ეგონა თავი, რადგან ვერ ინძრეოდა. სანჩო მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. მან არ იცოდა, რით დამთავრდებოდა ეს უბედურება.

მოჩვენებებმა რაინდი გალიაში ჩასვეს, ფიცრები დალურსმნეს. მალე მკვიანა ხმა მოისმა: „ოი, მწუხარე სახის რაინდო! სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი, რომ დაგატყვევეს და მაგ საპატიმროში შეპყრობილი მიჰყვებარო. შენი შეპყრობა აუცილებელი იყო, რათა უფრო ჩქარა დაგებოლოებია იგი საქმე, რა საქმეც შენმა დიადმა და ვაჟკაცურმა გულმა ჩაგაგონა და რაც აღსრულდება მაშინ, როდესაც ლამანჩის მრისხანე ლომი და ტობოსოს თეთრი გვრიტი ერთ ბუდეში დაიბუდებენ და თავის დიდმშვენიერ ქედს ქორწინების ტკბილ–მსუბუქ უღელქვეშ მოიხრიან. ამ შესანიშნავი კავშირისაგან ქვეყნის გასაოცრად მძლავრი ლომის ბოკვრები წარმოიშობიან მამაცი მამისებრ მმუსრავბრჭყალებიანი და ეს ყოველივე იმაზე ადრე უნდა მოხდეს, ვიდრე მიმსრბოლი ნიმფას მღვენელი ღვთაება თავის სწრაფმფრინავი სრბოლის ჟამს ორჯერ არ ესტუმრება ზეცის მოციალე ნიშნებს. და შენც ყოველთა წელხმალშემორტყმულთა, ნიკააწვერშემოსილთა და ცხვირყნოსვისმქონეთა საჭურველმტვირთველთაგან უერთგულესო, უპატიოსნესო და უკეთილშობილესო საჭურველმტვირთველო, ნუ შეძრწუნდები და ნუ შეკრთები იმის მნახველი, თუ როგორ თვალდათვალ გტაცებენ მოგზაურ რაინდთა თვალისჩინს, რადგან ძლიერ მალე, თუ შემოქმედის ნება იქნება, მოიპოვებ ისეთს მაღალსა და საპატიო მდგომარეობას, რომ ვეღარც კი იცნო შენი თავი; და მაშინ აღსრულდებიან შენი დიდსულოვანი და კეთილი ბატონის ყოველივე დაპირებანი“ [1, 473]. ბევრმა არ იცოდა, რომ ეს სიტყვები, რომელმაც რაინდი დაამშვიდა, მის მეგობარ დალაქ ნიკოლასს ეკუთვნოდა.

რაინდმა „წინასწარმეტყველს“ ამოოხვრით დაუძახა: „ჰოი, შენ, ვინც გინდ იყო, ეგოდენი ბედნიერება რომ მიწინასწარმეტყველე, გევედრები, ჩემს მაგიერ თხოვე ჩემს მფარველს ბრძენ მისანს, ნუ ინებებს ამ საპყრობილეში ჩემს დალუპვას, ვიდრე შენი სასიხარულო აღთქმანი არ აღსრულდებიან, და თუ ბედმა მათი აღსრულება ინება, მაშინ მე ამ პატიმრობაში განცდილ სიდუხჭირეს და უბედურებას, ზეციურ ნეტარებად ჩავითვლი“ [1, 474].

„მოჩვენებებმა“ გალია მხარზე შეიდგეს და ხარებშებმულ ურემზე დასადებად გაიტანეს.



თავი XLVII

სადაც მოთხრობილია დონ კიხოტ ლამანჩელის უცნაური მოჯადოება და სხვა ღირსშესანიშნავი ამბები

გალიაში ჩასმულმა დონ კიხოტმა სანჩოს უთხრა: „მრავალი შესანიშნავი სახუმარო და მართალი ამბავი წამიკითხავს მოგზაურ რაინდებზე, მაგრამ არც წაკითხულსა და არც გაგონილში არსად შემხვედრია, რომ მოხიბლული რაინდები ასე ჩემსავით მოეტანოთ და გალიაში ჩასმული ასეთი ზანტი და დავარდნილი საქონლით სადმე წაეყვანოთ“[1,475]. მას ის უკვირდა, რომ მისი წაყვანა ჯადოქრების ჩვეული ხერხით (რაინდებს რომ გადააფრენდნენ ბნელი ღრუბლით, ცეცხლის ეტლით, ჰიპოგრიფი* თან რომელიმე სხვა ურჩხულით) კი არ მომხდარა, არამედ ხარებშებმული ურმით, რაც, მისი თქმით, საზარელი იყო. სანჩომაც ამის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ: „რაც ახლა მოჩვენებანი გვახვევია გარს, ნამდვილი და კეთილი კათოლიკენი არ უნდა იყვნენ“[1,475]. დონ კიხოტმა მათი კათოლიკობის ამბავი უარყო, ჩათვალა, რომ ისინი ემძაკები არიან და მოჩვენებების სახე აქვთ მიღებული. ბატონმა თავის საქურველმტვირთველს ურჩია, ხელი შეახე მათ და დარწმუნდები, ისინი ჰაერს წარმოადგენენო. სანჩომ მიუგო, შევეხე და ერთ–ერთი (რომელიც დონ ფერნანდო იყო), სულ რომ ფაციფუცშია, ვარდივით დაჟღაჯებს და ისეა მორთულ–მოკაზმული, მისგან ნახევარი მილის მანძილიდან (ემძაკებისგან განსხვავებით), ამბრიოს* სურნელი იგრძნობაო. ბატონმა ისევ განუმარტა, რომ ეჩვენება ყოველივე, ეგ მხოლოდ ოცნებაა, ემძაკი აცდუნებს, ისინი ბრძენნი არიან, სულებს წარმოადგენენ, თვითონ არავითარი სუნი არ ასდით, სხვებისა კი სცემთ და საზიზღარი ჰგონიათ, იმიტომ, რომ მუდმივად ჯოჯოხეთს ატარებენო.

დონ ფერნანდომ და კარდენიომ გადაწყვიტეს, სანამ სანჩო ბოლომდე მიხვდებოდა რაიმეს, დონ კიხოტი სასწრაფოდ გაემგზავრებინათ, იხმეს მეფუნდუკე და სთხოვეს როსინანტი და ვირი შეეკაზმა, მღვდელი სანტა ჰერმანდადის ქამანდრებს დონ კიხოტის სოფლამდე გაცილებების საფასურზე ურიგდებოდა. კარდენიომ როსინანტის უნაგირის ტახტაზე ერთ მხარეს ფარი და მეორე მხარეს ჩაჩქანი ჩამოჰკიდა, სანჩოს ანიშნა შემჯდარიყო ვირზე და როსინანტის სადავეც დააკავა. გალიას ორივე მხარეს ჯაზარი ებით* შეიარაღებული ორ–ორი ქამანდარი ამოუდგა.

დონ კიხოტის გამოსათხოვებლად მეფუნდუკის ცოლი, მისი ქალი და მარიტორნესი გამოვიდნენ და მოსაჩვენებელი ტირილით სამძიმარი გამოუცხადეს მის უბედურებასა და მწუხარებას. რაინდმა „გულმობიერი“ მანდილოსნები დაამშვიდა და თქვა: „ყველა ეს უბედურება იმდენად განუშორებელია ჩემი წოდებისაგან, რომ თუ საშინელი ამბავი არ შემთხვეოდა, არ შემეძლო ჩემი თავი შესანიშნავ მოგზაურ რაინდად ჩამეთვალა“[1,476–477], მან „მშვენიერ მანდილოსნებს“ შენდობა სთხოვა, თუკი რაიმე სწყინდათ მისგან, უნდა ეპატიებინათ და დაპირდა, თუკი თავს დაიხსნიდა საპყრობილიდან, არ დაივიწყებდა ციხე–დარბაზის მეპატრონეთა გულუხვ მასპინძლობას და მადლობას ღირსეულად გადაიხდიდა.

მღვდელი და დალაქი გამოეთხოვნენ დონ ფერნანდოს, მის ამხანაგებს, კაპიტანს, აუდიტორს და ბოლოს ბედნიერ დოროთეასა და ლუსინდას. ერთმანეთს წერილობით ამბის შეტყობინება აღუთქვეს.

მღვდელმა მეფუნდუკეს მადლობა გადაუხადა, მისთვის „უგუნური ცნობისმოყვარის ამბისა“ (რომლის პატრონიც არ გამოჩნდა) და რაღაც ხელნაწერის,

„რინკონეტე და კორტადილოს ამბის“ საჩუქრად გადაცემის გამო, ჩათვალა, რომ შეიძლება ორივე ნაწარმოები ერთი მწერლის კალამს ეკუთვნის და სახალისო წასაკითხი იქნებაო.

გაუდგნენ გზას, ურემი მიჭრიჭინებდა, ხელებშეკრული დონ კიხოტი გატრუნული იჯდა, თითქოს ხორცშესხმული ადამიანი კი არა, ქანდაკება იყო.

მღვდელმა უკან მოიხედა და დაინახა საბერო წვივმაგარ ჯორებზე მსხდარი ექვსი თუ შვიდი ცხენოსანი. ისინი მალე დაეწივნენ ჩვენს მგზავრებს. ერთ–ერთმა მათგანმა, ცხენოსნების უფროსმა, ტოლედოს მღვდელმონაზონმა, როდესაც დაინახა დაინახა უცნაური, რიგზე დაწყობილი მგზავრები: ურემი, ქამანდარნი, სანჩო, როსინანტი, მღვდელი, დალაქი და გალიაშიც ხელფეხშეკრული დონ კიხოტი, იკითხა, რას ნიშნავდა ყოველივე. ერთ–ერთმა ქამანდარმა მიუგო, გალიაში მჯდომმა რაინდმა აგიხსნათ, ჩვენ არ ვიცითო.

დონ კიხოტმა ცნობისმოყვარეებს ჰკითხა, იცოდნენ თუ არა, რას ნიშნავდა მოგზაური რაინდი? ბერმა უპასუხა, სარაინდო წიგნებისა უფრო მეტი გამეგება, ვიდრე ვ ი ლ ი ა ლ კ ა ნ დ ო ს **Sumulas**-იო*. დონ კიხოტმა განუმარტა, რომ გალიაში ბოროტი ჯადოქრების შურისძიების გამო მოხვდა: „**მე მოგზაური რაინდი გახლავარ, მაგრამ იმათგანი კი არა, ვისი სახელიც უკვდავების ფურცელზე არ აღინიშნა, არამედ იმათგანი ვარ, ვისი სახელიც, შურის გამოჯავრებული, ყველა სპარსეთის მოგვთა, ინდოეთის ბრამინთა და ეთიოპიის ჰიმნოსოფისტთა ჯიბრზე უკვდავების ტაძარში აღიბეჭდა**“[1,479]. მღვდელმა კვერი დაუკრა მოსაუბრეს და თვითონაც დაუმატა: „ეს მოჯადოებული მიბრძანდება ამ გალიით– თავის ცოდვებისა და ბოროტმოქმედებათა მიზეზით კი არა, არამედ იმ პირთა ბოროტი მანქანებით, ვისაც ყოველი სიქველე აწუხებს და ყოველივე სახელი და დიდება სძაგს. თქვენს წინაშე, მოწყალეო ხელმწიფე, მ წ უ ხ ა რ ე ს ა ხ ი ს რ ა ი ნ დ ს ა ხ ედავთ, რომლის ამბავი იქნება კიდევ გაგეგონოთ, რადგან ამის მამაცურნი ღვაწლი და დიადი საქმენი უკვდავ ბრინჯაოზე და საუკუნო მარმარილოზე იქნებიან აღბეჭდილნი; თუმცა შური და უკეთურობა ბევრსა ცდილობს ქვეყნისაგან დაჰვაროს მისი საქმენი“[479–480]. ბერი და მისი თანხმლებნი გაოცდნენ, მაგრამ მათ სანჩო მიუახლოვდა და მღვდლის ნათქვამი გააქარწყლა, მან თქვა, რომ დონ კიხოტი არ არის მოჯადოებული და მღვდელიც იცნო, ეშმაკი ბატონისა და საჭურველმტვირთველის საქმეში რომ არ გაჩხერილიყო, დონ კიხოტი აქამდის მიკომიკონის დედოფალზე ჯვარდაწერილი იქნებოდა, სანჩო კი გრაფი გახდებოდა. ის წუხდა, რომ ცოლ–შვილს ისევ უბრალო მეჯინიბედ უბრუნდებოდა და არა გუბერნატორად ან რომელიმე კუნძულის მეფის მოადგილედ.

დალაქმა სანჩოს შესძახა: შენი ბატონის კვალზე წასულხარ, გალიაში უნდა დაგამწყვდიოთ, იმ კუნძულს ისევე ვერ დაინახავ, როგორც საკუთარ ყურებს. სანჩომ უპასუხა: „**რატომ არ შემიძლია კუნძულის გუბერნატორი გავხდე, თუნდაც პაპობა მეკუთვნოდეს, მით უფრო, რომ ისეთ კაცს ვემსახურები, რომელსაც იმდენი კუნძულის დაპყრობა შეუძლია, არც კი იცოდეს, თუ რა უყოს**“ [1,481].

მღვდელმა ბერს სთხოვა დაწინაურებულიყო, რათა შეეტყობინებინა მისთვის გალიაში დამწყვდეული კაცის საიდუმლო, რადგან შეიძლებოდა სანჩოს უნებლიეთ წარმოეთქვა ის, რასაც ასე გულდაგულ მალავდნენ. ბერმა ყურადღებით მოუსმინა მღვდელს, მერე კი უთხრა: „**ბატონო მოძღვარო, სარაინდო წიგნები, ჩემი აზრით, ნამდვილი ჭირია, და თუმცა ხალისმა მეც წამძლია, და თავისუფალ დროს ყველა ამ წიგნის დასაწყისი წავიკითხე, მაგრამ იქამდის გაბედულება კი მაინც არა მქონია, რომ**

ერთ-ერთი მათგანი მაინც ბოლომდის გადამეკითხა“.[1,482]. მღვდელმა ისევ უამბო, რომ: „თვითონაც სარაინდო წიგნების დიდი მტერი იყო, ამიტომაც ერთხელ იმ წიგნების მთელი გროვა დაუწვა დონ კიხოტს. მასთან დაწვრილებით უამბო, თუ როგორ არჩევდა იმ წიგნებს, დაწვით რომელი დასაჯა და რომელი შეიწყალა. ბერმა ამ ამბავზე გულიანად იცინა“[1,484]. მათ ბევრი ისაუბრეს სარაინდო წიგნებზე.



თავი XLVIII

სადაც ბერი განაგრძობს მსჯელობას რაინდულ რომანებსა და მისი მახვილი გონების შესაფერ სხვა საგნებზე

მღვდელმა ბერთან საუბარი განაგრძო. მისი თქმით, დასაძრახია მწერალი, რომელიც ხელოვნების წესებს უარყოფს. ბერმა უამბო, ერთხელ თვითონაც როგორ გაბრიყვდა და დაიწყო სარაინდო რომანების თხზვა. ასი თაბახი რომ დაწერა, დაინტერესდა, სხვებსაც ისევე მოეწონებოდათ თუ არა მისი ნამუშევარი, როგორც თვითონ იყო აღფრთოვანებული. მან ის გონიერ, განათლებულ ადამიანებსაც წააკითხვინა და ისეთებსაც, რომანებში „ახირებულ“ და „მოჩმახულ აბდაუბდას“ რომ დაეძებენ. ორივე მხარემ შეაქო, მაგრამ მაინც არ განაგრძო წერა, იმიტომ, რომ სასულიერო წოდების შესაფერისად ვერ მიიჩნია. თან, მისი აზრით: „ისტორიული და არაისტორიული კოდექსი უთავბოლონი და უშვერობით სავსენი საზოგადოების გემოვნებისანი გამოდიან“, აღტაცებით უკრავენ ტაშს, მთხველებიცა და მსახიობებიც ერთხმად ღაღადებენ, კომედიები ასეთი უნდა იყოს, რადგან ხალხს მოსწონს ისინი, „გონივრულად და ხელოვნურად დაწერილნი კი მარტო სამ-ოთხ გონიერ კაცს მოეწონება და დანარჩენნი ვერ გაიგებენ კარგი კომედიის ღირსებას“[1,486], მთხველთათ ვის უმჯობესია, სარგებლის მომცემთ მოაწონონ თავი, ვიდრე უმცირესობის პატივისცემა მოიპოვონ. ბერმა იფიქრა, შეიძლებოდა მის ნაწერებსაც ასეთი ბედი სწეოდა. ის ცდილობდა დაერწმუნებინა მწერლები: „დიდად სცდებოდნენ, თუ ფიქრობდნენ, ვითომ ამ უთავბოლო თხზულებებით უფრო მეტ ხალხს მიიზიდავდნენ, ვიდრე ჭეშმარიტი ხელოვნების წესით ნაწერებით, მაგრამ ის ვაჟბატონები იქამდის კერპები არიან, რომ არავითარი ღონისძიება არ არსებობს ისინი კაცმა ჭკუაზე მოიყვანოს. მახსოვს, ერთხელ ერთ ასეთ ჯიუტ მწერალს ვუთხარ: „გახსოვს, რამდენიმე წლის წინათ რომ ესპანეთში ერთი გამოჩენილი პოეტის დაწერილ სამ ტრაგედიას ადგენდნენ-მეთქი: იმ ტრაგედიებს უმეცარნიც და განათლებულნიც ერთნაირად მოჰყავდათ აღტაცებაში და უკეთეს შემოსავალსაც იძლეოდნენ, ვიდრე მათ შემდეგ ნათამაშები ოცდაათი საუკეთესო ტრაგედია-მეთქი“. მწერალმა მიპასუხა: „თქვენ უეჭველად „იზაბელა ს“, „ფილიდას“, „ალექსანდრეს“ გულისხმობთ“. „სწორედ გამოიცანით-

მეთქი“, – ვუპასუხე. – იმ ტრაგედიებში ხელოვნების ძველი წესებია დაცული და მაინც საზოგადოებამ ძალიან მოიწონა და იმად მიიღო ისინი, რაც ნამდვილად არის. მაშ გამოდის, საზოგადოება კი არ არის დამნაშავე, რომ სისულელით კმაყოფილდება და თითქოს აბდაუბდა სულელურ სანახაობას მოითხოვს, არამედ ისინი, ვინაც არ იცის, რით გაუმასპინძლდეს მაყურებელს. „დ ა ს ჯ ი ლ გ უ ლ ქ ვ ა ო ბ ა შ ი“, „ნ უ მ ა ნ ს ი ა შ ი“, „გ ა მ ი ჯ ნ უ რ ე ბ უ ლ ვ ა ჭ ა რ შ ი“ თქვენ ვერ იპოვით სისულელებს, ამათზე ნაკლები სისულელე და შეუსაბამობაა „მ ო წ ყ ა ლ ე მ ტ ა რ ვ ა ლ შ ი“, და კიდევ ზოგიერთ განათლებულ და ნიჭიერ მწერალთა სხვა პიესებში, მაგრამ მაინც ამ დრამებმა თავიანთი მწერალნიც ასახელეს და მათი წარმომდგენელი მსახიობნიც გაამდიდრეს-მეთქი“. ბევრიც კიდევ სხვა ვუთხარი და, ცოტა არ იყოს, ჩემი თანამოსაუბრე შევაშფოთე და შევარყიე კიდევ, მაგრამ ჩემი შენიშვნებით ბოლომდე მაინც ვერ დავარწმუნე და შეცდომილებიდან მაინც ვერ გამოვიყვანე“[1,486–487].

მღვდელმა ბერთან საუბარში აღნიშნა, რომ კომედიები მხოლოდ უგუნურობის, გარყვნილებისა და სისულელის მაგალითებს ასწავლიან. მათი დროის დ რ ა მ ე ბ ი* ადგილისა და დროის ერთიანობის წესს არღვევენ. ზოგიერთში, სამნაწილიანში, მოქმედება ევროპაში იწყება, აზიაში გადადის და აფრიკაში მთავრდება, ოთხმოქმედებიანი, ალბათ, ამერიკაში დასრულდებოდა, ისე რომ ერთი დრამა ქ ვ ე ყ ნ ი ს ო თ ხ ს ა ვ ე ნ ა წ ი ლ ს* ასახავდა. რაც შეეხება სასულიერო დრამებს, მათში ბევრი „უცნაური“ და „დამახინჯებული“ ამბავია ნაჩვენები, რათა თავბრუ დაასხან ხალხს, თეატრში მიიტყუონ, ეს კი: „ესპანეთის მწერალთა სასირცხვილოდ, ჭეშმარიტებას შეურაცხყოფს და ისტორიას ამახინჯებს, და უცხოქვეყნელი დრამატურგნი ჩვენს დრამატულ თხზულებებს რომ კითხულობენ, თვითონ ხელოვნების ყველა წესის ბეჯითად აღმსრულებელნი, ჩვენ უმეცრებსა და ბარბაროსებს გვეძახიან“.

მღვდელმა და ბერმა ბევრი საყურადღებო რამ წარმოთქვეს დრამების ავკარგიანობაზე, მათ დალაქმა შეაწყვეტინა ბაასი, დასვენება შესთავაზა. ბერს მშვენიერი ველი მოეწონა დასასვენებლად, თან სურდა დონ კიხოტის საგმირო ამბები დაწვრილებით გაეგო.

სანჩო პანსამ დრო იხელთა, მიუახლოვდა, თავის ბატონს და უთხრა: „ბატონო, სინდისი მეტად მაწუხებს, თუ თქვენს მოჯადოებაზე ცოტაოდენი რამ არ მოგახსენეთ. ჯერ ერთი ისა, რომ ეს ორი ნიღაბაფარებული ბატონი რომ მოგვდევს, ჩვენებური მღვდელი და დალაქია; იმათ, როგორც ვფიქრობ, თქვენდამი შური აღეძრათ. რაკი სანაქებო საქმეებით წინ გაუსწართ, ამიტომაც გალიაში ჩავსვეს და შინ მიჰყევხართ, როგორც სულელი“[1,491], ახლა კი შეკითხვა მაქვს და მიპასუხეთო. დონ კიხოტმა უპასუხა, მზად ვარ გაგცე პასუხი, მაგრამ: „ჩვენი თანამგზავრი მოჩვენებანი ჩემს მეზობელ მღვდლად და დალაქად მიგაჩნია..ამათ ჩემი მეგობრების სახე მიიღეს, რა არის სწორედ ის გაფიქრებინონ, რასაც ახლა ფიქრობ და იმ ეჭვთა და საოცრებათა ლაბირინთში ჩაგაგდონ, საიდანაც შენი გამოყვანა არავითარ თეზეოსის ძაფს არ ძალუძს.... ვერავითარ კაცობრიულ ძალას, თუკი იგი ძალა ზებუნებრივი არ იქნებოდა, ამ გალიაში ჩემი ჩაკეტვა არ შეეძლო“[1,491–492].

სანჩო აღაშფოთდა, მისი აზრით, ბატონს ისე დაეხნა ჭკუა, რომ ვერ ხვდება, გალიაში ბოროტებამ და შურმა რომ ჩაკეტა და არა მოჯადოებამ.



თავი XLIX

სადაც მოთხრობილია ფრიად გონივრული საუბარი სანჩო პანსასა და მის ბატონ დონ კიხოტს შორის

სანჩო პანსამ გადაწყვიტა დაერწმუნებინა რაინდი, რომ ის მოჯადოებული არ იყო: „მოჯადოებულნი ისინი ყოფილან, ვინც არც ჭამს, არც სვამს, არც ძინავს და არც აკეთებს რამეს. თქვენ კიდეც ჭამთ, კიდეც სვამთ, როცა კი საჭმელ-სასმელს მოგართმევენ, პასუხსაც აძლევთ, რასაც გკითხავენ ხოლმე, და სხვასაც ყველაფერს ჩადიხართ, მაშ აზა სადაური მოხიბლული ხართ?“[1,493]. დონ კიხოტმა მიუგო, რომ მოხიბვლა(ანუ მოჯადოება) სხვადასხვაგვარია. ის ამაში დარწმუნებული რომ არ იყოს, მაშინ სინდისი შეაწუხებდა, რადგან გაუნძრევლად გდია გალიაში და დახმარების ხელს ვერ უწვდის იმ მრავალ უბედურს, მის შემწეობას რომ საჭიროებს.

„მოგზაური რაინდი და ბედშავი საჭურველმტვირთველი“ ერთმანეთს აზრებს უზიარებდნენ, ერთი სთავაზობდა, როგორმე დაეღწია თავი გალიიდან, მეორე კი ჰპირდებოდა, თუკი მსახური შეძლებდა ამ საქმეში მის დახმარებას, მაშინ ყველაფერს აუსრულებდა. ამასობაში დონ კიხოტის ურემი ფართო მინდორს მიუახლოვდა. სანჩომ მღვდელს სთხოვა იდალგო გამოეშვა გალიიდან, რაღაც „საჭიროების“ გამო, თორემ ისეთი რამ შეემთხვეოდა, რაც არ შეეფერებოდა რაინდის ღირსებას. მღვდელმა შიში გამოთქვა, ვაითუ გაქცეულიყო „ტყვე“, მაგრამ თავდებად სანჩო დაუდგა, ბერმაც მზადყოფნა გამოხატა იმ შემთხვევაში, თუკი რაინდი პატიოსან სიტყვას დადებდა, რომ მათ დაუკითხავად ნაბიჯს არ გადადგამდა. დონ კიხოტმა მოისმინა ეს საუბარი და თქვა, რომ პირობას დებდა. მისი თქმით, მოჯადოებული ადამიანი თავის ნებას მოკლებულია, ჯადოქარს შეუძლია რაინდს სამი საუკუნის განმავლობაში ფეხი არ მოაცვლევინოს ადგილიდან და თუ გაექცევა, უკან ფრენით დააბრუნებს. მან კიდეც ერთხელ ითხოვა გალიიდან გამოშვება, რადგან უხერხულ სიტუაციაში იყო, აუცილებელი ადამიანური მოთხოვნილების „საჭიროების“ გამო. ბერმა გამოუშვა იგი.

გათავისუფლებული რაინდი მიუახლოვდა როსინანტს, კისერსა და ფერდებზე მოუთათუნა ხელი და უთხრა: „შნოვ და ლაზათო ცხენებისავ! უცვალეზლად ვსასოებ ღმერთს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და იმედი მაქვს, ჩვენ ერთმანეთს ისევე მალე ვნახავთ, როგორც ორივესა გვსურს: მალე მოვესწრებით, რომ შენ შენს ბატონს მიაქროლებდე და მეც შენზე მჯდომარე კვალად იმ მიზნისაკენ მივილტვოდე, რა მიზნის მისაღწევად ზენამ ამქვეყნად წარმომგზავნა!“[1,595], მან გაიარ –გამოიარა, სანჩოსთან ერთად. ბერს აოცებდა ის, რომ: უ ბ ე დ უ რ ი რ ა ი ნ დ ი ყ ვ ე ლ ა ს ა გ ა ნ ზ ე გ ო ნ ი ვ რ უ ლ ა დ ლ ა პ ა რ ა კ ო ბ დ ა და ა ბ დ ა უ ბ დ ა ს მ ხ ო ლ ო დ მ ა შ ი ნ მ ო ჰ ყ ვ ე ბ ო და ხ ო ლ მ ე, როდესაც, როგორც ჩვენ ეს ბევრჯერ ვნახეთ, ლაპარაკს რ ა ი ნ დ ო ბ ა ზ ე გადაუხვევდა ხოლმე.

ბერმა უთხრა რაინდს: „ნუთუ, ბატონო იდალგო, უთავბოლო და უსაფუძვლო სარაინდო წიგნების კითხვამ ასეთი მავნე გავლენა იქონია თქვენზე? თქვენ წარმოგიდგენიათ, ვითომც მოხიბლული იყოთ და ჭეშმარიტებად მიგაჩნიათ მრავალი სისულელე, ისევე მსგავსი მართლისა, როგორც სიცრუე ჰგავს მართალს არ მესმის, ღმერთმანი, როგორ შეიძლება ქვეყანაზე ისეთი მსუბუქი ჭკუის კაცი იყოს ვინმე, რომ

მთელი იმ ადამიანების ხროვა და ყველა ის უთვალავი რიცხვი გამოჩენილ მოგზაური რაინდებისა სწამდეს. განა დასაჯერებელია, რომ იმდენი ტრაპიზონის იმპერატორი ყოფილიყო ქვეყანაზე, იმდენი უამრავი ამაღისი, იმდენი სახელოვანი რაინდთა გროვა, იმდენი ჰირკანელი ფელასმარტე, იმდენი მერანი და იორლა, იმდენი მოგზაური ქალწული, იმდენი გველი და გველეშაპი, იმდენი ანდრიკი, იმდენი დევი და ფალავანი იმდენი ახირებული ფათერაკი, იმდენი ბრძოლა და სასტიკი შერკინება, იმდენი საზარელი შემთხვევა და ჯადოქრობა, იმდენნაირი მორთულობა და ტანისამოსი, იმდენი შეყვარებული ბანოვანი, იმდენი გაგრაფებული საჭურველმტვირთველი, იმდენი ხუმარა ქონდრისკაცები, იმდენი სამიჯნურო წერილები და ლექსები, იმდენი სახელოვანი ჯარისკაცი და სარდალი და, დასასრულ, იმდენი დამთხვეულობა, აბდაუბდა და მოჩმახული სისულელე, რამდენსაც სარაინდო წიგნებში ამოიკითხავს კაცი?“[1,496]. ბერმა ურჩია დონ კიხოტს დაბრუნებოდა „სადი გონების წიაღს“, მაგრამ თუკი მას აუცილებლად სახელოვანი, დიდი საქმეების აღმწერი წიგნები სჭირდებოდა, მაშინ ჯობდა გადაეშალა **ს ა ღ ვ თ ო წ ე რ ი ლ ი** და „**წ ი გ ნ ი ს ჯ უ ლ თ ა**“, მათში ბრწყინვალე და ჭემმარიტი ამბებია მოთხრობილი.

დონ კიხოტმა ბერს უპასუხა: „მოწყალეო ხელმწიფევ! თუ არ ვცდები, თქვენ გასურდათ დაგემტკიცებინათ ჩემთვის, ვითომც ქვეყანაზე მოგზაური რაინდები არასოდეს არ ყოფილან, ვითომც სარაინდო წიგნები სიცრუისა, სისულელისა და ვნების მეტს არაფერ შეიცავენ, ვითომ მე ძალიან ცუდად ვიქცევი, რომ ამ წიგნებს ვკითხულობ, უფრო ცუდი ისაა, რომ მჯერა ისინი ...და მოგზაურ რაინდთა ნარეკლოვან გზაზე მოღვაწეობა გადამიწყვეტია...“

–ამას გარდა თქვენი სიტყვით, – განაგრძო დონ კიხოტმა, – ვითომც იმ წიგნებმა დიდი ვნება მომიტანეს, ტვინი შემირყიეს და გალიაშიც კი ჩაასმევინეს ჩემი თავი. ამიტომ ჩემთვის საჭიროა გონზე მოვიდე და რაინდული რომანების ნაცვლად იმათ კითხვას შევუდგე, რა წიგნებშიაც უფრო მართლის მსგავსი ამბებია აღწერილი და ადამიანს გართობასთან ერთად სწავლასაც შესძენენ“[1,597–498]. ბერმა დაუდასტურა, რომ ასე ფიქრობდა, რამაც რაინდი გააბრაზა, მისი აზრით, თვითონ ბერი მოკლებულია საღ გონებას და მოჯადოებულია. თუკი ასე ფიქრობს, მან ჭემმარიტ წიგნებად ცნობილ რომანებს ცილი დასწამა, სურს იდაღგოც დაარწმუნოს, რომ რაინდები, რომლებიც იმ წიგნებშია მოხსენიებული, არ არსებობენ, ეს ისეთია უმტკიცებლედ ვინმეს, რომ არ ანათებს მზე და ათბობს ყინვა...

რაინდმა მრავალი „ფათერაკთმადიებლობით“ სახელგანთქმული რაინდი დაასახელა: „რა ჭკუას შეუძლია დააჯეროს ვინმე, ვითომც ინფანტა **ფ ლ ო რ ი ე ს** და **გ უ ი ბ უ რ გ ო ნ ე ლ ი** ს ამბავი სიცრუე იყოს ანუ კარლოს დიდის დროს **მ ო ნ ტ ი ლ ი** ს ხიდზე **ფ ი ე რ ბ რ ა ა ს ი** ს მიერ ჩადენილი გამირობა მათი მოგონილი ამბავი იყოს? ღმერთი გამიწყრეს, თუ ეს ისევე ჭემმარიტი ამბავი არ იყოს, როგორც ის არის ჭემმარიტი, რომ ახლა დღეა. თუ ეს სიცრუეა, მაშ ისიც სიცრუედ ჩათვალათ, რასაც ისტორია მოგვითხრობს **ჰ ე ქ ტ ო რ ზ ე**, **ა ქ ი ლ ე ვ ს ზ ე** **ტ რ ო ა ს ო მზე**, **ს ა ფ რ ა ნ გ ე** **თ ი ს** **თ ო რ მ ე ტ დ ი დ ე ბ უ ლ ზ ე** და ყორნად გადაქცეულ **ი ნ გ ლ ი ს ი ს** **მ ე ფ ე ა** **რ თ უ რ ზ ე**, **ბ რ ი ტ ა ნ ე ლ ი** ხალხი რომ მის კვლავ მოსვლას ახლაც ელის. განა გაბედავს ვინმე **გ უ ა რ ი ნ ო მ ე ს კ ი ნ ო ს** ამბავი, ან **წ მ ი დ ა გ რ ა ა ლ ი** ს საქვეყნოდ ძებნა ზღაპრად ჩასთვალოს? თქვენ იქნებ მოგონილად გამოაცხადოთ **ტ რ ი ს ტ ა ნ ი ს ა** და **დედოფალი ზ ო ლ და ს** სიყვარული, ან **ლ ა ნ ს ე ლ ო ტ ი ს ა** და **ჯ ი ნ ე ვ რ ა ს** მიჯნურობა, – მაშინ, როდესაც იმ პირთ ჩვენს დროში უცხოვრიათ, ვისაც ჯერაც ახსოვდათ თურმე **დ უ ე ნ ი ა კ ვ ი ნ ტ ა ნ ი ო ნ ი**, **ბ რ ი ტ ა ნ ე თ ი ს** საუკეთესო

მერიქიფე ქალი; დიახ, ეს ასეა და თვითონ მეც მახსოვს ერთი ჩემი ბებიათაგანი შეხვდებოდა თუ არა ვინმე დუენიას, მაშინვე იტყოდა ხოლმე: „შეხედეთ შვილო დედაკაცი დუენია კვინდანიონს არა ჰგავსო“.. მაშ, უნდა ვიფიქროთ, რომ ბებიაჩემი იმ დუენიას იცნობდა, ან ის მაინც ყოფილა რომ მისი სურათი უნახავს. ვის შეუძლია პ ი ე რ პ რ ო ვ ა ნ ს ე ლ ს ა და მშვენიერ მ ა გ ე ლ ო ნ ე ზ ე დაწერილი მოთხრობის უტყუარობა უარჰყოს, როდესაც ჩვენი მეფეების თოფ-იარაღის დარბაზში ახლაც კი ინახება თავტაბიკის ტოლა რკინის კეტი პიერ პროვანელის რკინის ცხენს რომ ამომრავებდა, როდესაც იგი მამაცი ჰაერში მოგზაურობდა ხოლმე. იმ რკინის კეტის გვერდი ბ ა ბ ი ე კ ი ს უნაგირი დევს, ს ი დ ი ს საჯდომი ცხენისა, ხოლო რ ო ნ ს ე ვ ა ლ ი ს გასავალში ახლაც ნახავს კაცი რ ო ლ ა ნ დ ი ს საყვირს, მთელი ძელის ოდენა რომ არის თურმე. ყველა ეს ამტკიცებს, რომ ქვეყანაზე უცხოვრიათ საფრანგეთის თორმეტ დიდებულსაც, პიერსაც და სხვა მათ მსგავს რაინდებს; ლ უ ზ ი ტ ა ნ ე ლ ი ესპანელის – პ ე დ რ ო ბ ა რ ბ ი ს ა და გ უ ტ ი ე რ ე კ ი ხ ა და ს ა გ ა ნ (რომლისაგან პირდაპირი მამრობითი შტოთი მე ვშთამომავლობ). მაშ ისიც ტყუილი იქნება, დ ო ნ ფ ე რ ნ ა ნ დ ო დ ე გ ე ვ ა რ ა რომ გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი წავიდა ფათერაკების საძებნელად და იქ ა ვ ს ტ რ ი ი ს რაინდს მ ე ს ე რ გ ე ო რ გ ი ს შეერკინა. თქვენ იტყვით, რომ ყველაფერი ეს გამოგონილია და მოჭორილიაო; განა „პ ა ს ო შ ი“ აღწერილი ს უ ე რ ო დ ე კ ი ნ ი ო ნ ე ს ი ს ტურნირი, მ ო ს ე ნ ლ უ ი დ ე ფ ა ლ ს ე ს ი ს ლაშქრობა, კასტილელი რაინდის დ ო ნ გ ო ნ ს ა ო დ ე გ უ მ ა ნ ი ს წინააღმდეგ და სხვა მრავალი სახელოვანი საქმეები“...[1,498–499].

დონ კიხოტის ნაამბობში ნამდვილი და მოგონილი ამბების უცნაურმა არევდარევამ და რაინდის ცოდნამ ბერი გააოცა. მან იდალგოს უთხრა, თქვენ მიერ დასახელებული ამბებიდან ესპანელ რაინდთა ღვაწლი ჭეშმარიტებას წარმოადგენს, საფრანგეთის თორმეტი დიდებული მართლაც არსებობდა, ისინი საფრანგეთის მეფისაგან არჩეული ნამდვილი რაინდები იყვნენ, ფრანგულად პერებად წოდებულნი, ეს იყო სამხედრო ძმობა: „ს ა ნ ტ ი ა გ ო ს ანუ კ ა ლ ა ტ რ ა ვ ი ს ორდენის მსგავსი, და იმ დასში მხოლოდ რჩეულ, მამაც და კეთილშობილ ვაჟკაცთა მიღება შეიძლებოდა, და როგორც ახლა იტყვიან ხოლმე – ს ა ნ ხ უ ა ნ ი ს ორდენის რაინდი, ან ა ლ კ ა ნ ტ ა რ ი ს ორდენის რაინდი, ისე მაშინ ამბობდნენ ხოლმე: ათორმეტ პერთა რაინდიო. ქვეყანაზე რომ ს ი დ ი და ბ ე რ ნ ა რ დ ო დ ე კ ა რ პ ი ო არსებობდა, ამის ეჭვი არავისა გვაქვს, მაგრამ საქმე იმაშია, ყველა ის ღვაწლი ჩაუდენიათ მათ, რასაც მიაწერენ, თუ არა?“[1,500], ბერის აზრით, მათი ცხოვრების აღმწერი მღვდელმთავარი ტ უ რ პ ი ნ ი რასაც აღწერს ამ რაინდებზე, ყველაფერი არ შეესაბამება სიმართლეს.

ბერმა სარაინდო წიგნებში მოთხრობილ ამბებს „მოჩმახული ლაყბობა“ და „უშვერი სიცრუე“ უწოდა.



თავი L

ღონ კიხოტის მახვილგონივრული პაექრობა ბერთან და სხვა ამბები

ღონ კიხოტმა სარაინდო ნაწარმოებებს საყოველთაო აღტაცების მომგვრელი უწოდა. ისინი: „მეფის ნებართვითა და ცენზორის მოწონებით დაბეჭდილი წიგნებია“, რომელსაც კითხულობს „ყველა ჯურისა და მდგომარეობის“ ადამიანი „...მათში დაწვრილებით არის აღწერილი გვარტომობა, დაბადების ადგილი, მოქმედების ადგილი, ასაკი და, დასასრულ, ყველა რაინდთაგან ჩანადენი საქმენი“...[1,501]

იდალგომ ბერი გააფრთხილა, გონს მოსულიყო და ცილს ნუ სწამებდა ჭეშმარიტებას. ურჩია წაეკითხა ის წიგნები, რომლებსაც მიწასთან ასწორებდა. მან გაიხსენა სიტყვების მომნიჭებელი მრავალი სარაინდო ეპიზოდი: ტბის სიღრმიდან მწუხარე და მუდარის ხმა როგორ მოისმის და შავ ზვირთებში როგორ ეშვება რაინდი სწრაფად. მისი აზრით, როდესაც ადამიანს კაემანი მოერევა, დასამშვიდებლად უნდა წაიკითხოს ასეთი ამბები, ისინი, თვითონაც: „რა დღიდანაც მოგზაური რაინდი შევიქენ, იმ დღიდან ჩემს თავს ვაჟკაცად ვგრძნობ, უხვადაც, სულგრძელადაც, წინდახედულადაც, თავგამოდებულადაც, თავაზიანადაც და აგრეთვე შრომას, დაღლილობას, ტანჯვას, პატიმრობას და, დასასრულ, მოხიბვლასაც ადვილად ვიტან“[1,503]. რაინდმა აღნიშნა, რომ „შემლილივით“ ჩაკეტეს გალიაში, მიუხედავად ამისა, მას იმედი აქვს, რომ **ზ ე ნ ა** შეეწევა და ბედიც არ გადაეღობება წინ, თავისი მკლავის იმედი აქვს, რომ მალე რომელიმე ქვეყნის მეფე ან „დიდი ხარისხის პატრონი“ გახდება და ამის შემდეგ გამოიჩენს მაღლიერებას. მას ამიტომ სურდა, ბედს მისთვის იმპერატორობა მიეცა: „კეთილისმყოფლობას გავუწევდი ჩემს მეგობრებს და უმეტესად ამ ჩემს საბრალლო საჭურველმტვირთველს სანჩო პანსას, რომელსაც ქვეყანაზე საუკეთესო კაცად ვთვლი... გულით მინდა ამ ჩემს სანჩოს რამე საგრაფო მივცე, როგორც ამ რამდენიმე დღის წინათ დავპირდი, მხოლოდ იმას ვშიშობ, ვაითუ მისი გამგეობა ვერ მოახერხოს-მეთქი...[1,503].

სანჩო დაპირდა რაინდს, ოღონდ საგრაფო მიმოვე და მის მართვას შევძლებ, ბატონების მსგავსად: „თავიანთ მამულს რომ იჯარით გაცემენ ხოლმე... მოიჯარე ყოველ წელიწადს გადაწყვეტილ ფულს იხდის და როგორც ეხერხება, ისე განაგებს მამულს, პატრონი კი ზის თავისთვის გულხელდაკრეფილი და იმის მეტი შრომა არა სჭირდება-რა – აიღონ ფული და თავის ნებაზე ხარჯოს. მეც ასე ვიზამ, თქვენო პატიოსნებაე!“[1,504].

ბერმა სანჩოს სიტყვებზე თქვა: „ასეთი გამგეობა მართო ქვეყნის შემოსავალ-გასავალზე შეგიძლია იქონიო, მართლმსაჯულების საქმე კი თვითონ საგრაფოს პატრონს უნდა ეპყრას ხელთ. ამიტომ საჭიროა იგი განსხვავებული ნიჭის პატრონი იყოს, საღი გონებისა და ჭეშმარიტების სიყვარული ჰქონდეს, თუ არა, მის სამეფოში ყველაფერი არეულ-დარეული იქნება“[1,504]. სანჩომ ბერს მიუგო, რომ ამ ფილოსოფიისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ინატრა, საგრაფო მაშინ ჰქონოდა, როდესაც მისი მართვის ნიჭი მიეცემოდა, რადგან, **ღ ვ თ ი ს მ ა დ ლ ი თ** მასაც ისეთივე სული უდგას, როგორც ყოველ ადამიანს, ის ისეთივე მეფე იქნება თავის სამფლობელოში, როგორც სხვები არიან თავიანთ სამეფოში, მეფობისას იმას ჩაიდენს, რაც ეამება ხოლმე

და ამის შემდეგ ნატვრაც არაფრისა დასჭირდება, „საქმე გაიჩარხება“. ბერმა უპასუხა, შენი ფილოსოფია არც ისე ტყუილ–უბრალოა, მაგრამ საგრაფოს მმართველობაზე ბევრი რამის თქმა შეიძლებაო. სიტყვა დონ კიხოტმა ჩამოართვა, საგრაფოს ვუბოძებ სანჩოს ისევე, როგორც ა მ ა დ ი ს მ ა უბოძა თავის საჭურველმტვირთველს ხმელეთი ან კუნძული. რაინდმა დასძინა, რომ დამშვიდებული სინდისით შეუძლია ასე მოიქცეს, რადგან, ქვეყანაზე არსებული საჭურველმტვირთველებიდან, სანჩო საუკეთესოა.

ბერი გაოცდა დონ კიხოტის „აზრიან სისულეებზე“, იმაზეც, რომ ტბის რაინდის თავგადასავალს რაინდზე ღრმა შთაბეჭდილება მოეხდინა. უკვირდა სანჩო პანსას გულუბრყვილო ოცნება, საგრაფოს მიღების თაობაზე.

ბერის მსახურმა ფუნდუკიდან ჯორით საგზალი მოიტანა. ისადილეს. ახლოს, ხშირი ჯაგნარიდან, ხმაური და ეჭვნების ჟღარუნი მოისმა, მერე ლამაზი, ჭრელი თხა გამოვარდა და მალე ახალგაზრდა მწყემსიც გამოჩნდა, ის უხმობდა თავის პირუტყვს, დაბრუნებოდა ფარეხს, მაგრამ ცხოველი მგზავრებთან მივიდა, მწყემსმაც მოირბინა და როგორც მოაზროვნე, გონიერ არსებას, ისე დაუწყო ლაპარაკი, მას ველურს, ჭრელასა და აბეზარს, დედაკაცების ჯილაგისას უწოდებდა. ამის გამო, დამშვიდებულაც ვერ იქნებოდა. მის სიტყვებზე ბევრი იცინეს, მწყემსი სუფრასთან მიიწვიეს. მან ღვინო გადაჰკრა და თქვა: სულელად ნუ ჩამთვლით, ადამიანივით რომ ვესაუბრები თხას, სიტყვებს რაღაც ძალა აქვთ, უსწავლელი ვარ, მაგრამ არც ისე ბრიყვი, არ ვიცოდე თუ როგორ უნდა მოვექცე ადამიანს და როგორ ცხოველს. მღვდელმა უპასუხა, რომ **მთა და ტყეები პოეტებსა და მეცნიერებს ჰკვებავენ, და მწყემსის ფანჩატურებში ფილოსოფოსები სადგურობენო**. მწყემსმა იმის დასადასტურებლად, რაც მღვდელმა ბრძანა, შესთავაზა იქ მყოფებს, თუკი მათ თავს არ მოაწყენდა, ერთ ჭემმარიტ ამბავს მოუყვებოდა. დონ კიხოტმა მზადყოფნა გამოხატა, რადგან, ის რასაც მოყვებოდა, ალბათ, **სარაინდო ფათერაკების რაღაც აჩრდილის** მსგავსი იქნებოდა. მან გამოთქვა იმედი, რომ ამ ბატონებსაც მოეწონებოდათ მისი მოსმენა, მაგრამ სანჩომ წყაროზე წასვლა და იქ ხაჭაპურის მირთმევა გადაწყვიტა, რადგან მისი ბატონისგან ჰქონდა თურმე მოსმენილი, რომ: **„მოგზაური რაინდის საჭურველმტვირთველმა ყველა მარჯვე დროს იმდენი უნდა ჭამოს, რამდენიც მუცელში ჩაეტევას, იმიტომ, რომ იქნება ისეთ ტყე-ღრეში შეხეტილდეს როგორმე, საიდანაც მთელს კვირას ვეღარ მოახერხოს გამოსვლაო“**[1,507] დონ კიხოტმა მსახურს დართო ნება წასულიყო იქით, საითაც სურდა, თვითონ კი განაცხადა, რომ მამღარია და მხოლოდ სულიერი სანოვაგე სჭირდება, რომელსაც ახალმოსულისგან მიიღებს. ბერმაც დაუდასტურა, რომ ეს მათთვისაც სულიერი საზრდო იქნებოდა.

მწყემსმა საუბარი დაიწყო.



თავი LI

სადაც მოთხრობილია, თუ რა უამბო მწყემსმა დონ კიხოტის წამყვან ამფსონებს

მწყემსის ნაამბობი:

აქიდან, სამი მილის სიშორეზე, პატარა სოფელში მცხოვრები, შეძლებული მოსახლეობიდან, ერთ–ერთ გლეხს, თავისი სიმდიდრისა და პატიოსანი ხასიათის გამო, რომლის უმთავრეს სიმდიდრეს წყნარი და მშვენიერი ქალი წარმოადგენდა, ყველა აფასებდა. მისი თექვსმეტი წლის გოგონას სილამაზეზე სოფლებში, ქალაქებსა და მეფეთა დარბაზებშიც კი ლაპარაკობდნენ. მას შორეული ადგილებიდანაც გამოუჩნდა საქმრო, ამ ამბის მოთხრობელ მწყემს ე უ ხ ე ნ ი ო საც ეჭირა მასზე თვალი. ამ დროს სხვა თაყვანისმცემელიც, მისი თანატოლი ყმაწვილი–ა ნ ს ე ლ მ ო ც გამოჩნდა. ქალის მამამ არ იცოდა, რომელი აერჩია სასიძოდ. გადაწყვიტა მილაპარაკებოდა ასულს– ლ ე ა ნ დ რ ა ს, მაგრამ ორივე საქმროს უარი უთხრეს, პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს. მიზეზი ის იყო, რომ იმ პერიოდში, როდესაც ორივე ყმაწვილმა მოციქულები მიუგზავნა ქალის მამას, გამოჩნდა ახლომდებარე სოფლის გლეხის შვილი, საშუალო ქონების პატრონი, რომელიც იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან იყო მოსული, სახელად ვ ი ნ ს ე ნ ტ ე დ ე ლ ა რ ო კ ა. ყმაწვილი ჯარისკაცად მსახურობდა, ის თექვსმეტი წლის ასაკიდან ერთ კაპიტანს ჰყავდა წაყვანილი და თავის ქვეყანაში ჭრელაჭრულა სამოსით მორთული დაბრუნდა. სულ სამი ხელი ტანსაცმელი ჰქონია, მაგრამ ათასგვარი მორთულობით მარჯვედ უხამებდა ერთმანეთს. ჯდებოდა მოედნის შუაგულში, დიდი ჩინარის ქვეშ, ჰყვებოდა თავის თავგადასავალს, ყველანი სუნთქვაშეკრულნი უსმენდნენ, ამბობდა, რომ მრავალი ქვეყანა ნახა, ბევრ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა, ბევრი მავრი გაჟლიტა, ვიდრე მაროკოსა და ტუნისში იყო, და მას უფრო მეტი დუელი ჩაუტარებია, ვიდრე განტე ლუნას, დიეგო გარსია და პერედესს და ათასობით მის მიერ ჩამოთვლილ სხვა მხედრებს, და ყველა ამ ბრძოლიდან ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა და კანიც არ გაუკაწრავს... თან მსმენელებს უმნიშვნელო ჭრილობებს უჩვენებდა, აცხადებდა: ჩემი ხელი მამაა ჩემი, ჩემი გმირული საქმეები – ჩემი შთამომავლობა და ამ ჯარისკაცურ მუნდირში მეფესაც კი არ ჩამოფუვარდებო, გიტარაზეც უკრავდა, ლექსებსაც წერდა. მან ისიც შეძლო, რომ ფანჯარასთან მჯდარ ლეანდრას თავი მოაწონა. ერთ დღეს ქალი მასთან ერთად გაიქცა. ცოცხალმკვდარმა მამამ პოლიციელები და ქამანდრები დაადევნა. მესამე დღეს ლეანდრა მთებში, ერთ გამოქვაბულში იპოვეს, შინიდან წაღებული დიდძალი ფული და ნივთები უკვე აღარ ჰქონდა. საბრალო ასული მამას მიუყვანეს, მან მშობელს დაუფარავად უამბო, რომ ვინსენტე დე ლა როკამ დაითანხმა შინიდან გაქცეულიყო, უმშვენიერეს ქალაქ ნეაპოლში წაყვანას დაჰპირდა, ქალმა გაქურდა მამა და გაჰყვა მიჯნურს, რომელმაც ის წაიყვანა მთებში, გაძარცვა, ჩააგდო მღვიმეში და სადღაც წავიდა. ლეანდრამ დაიფიცა ყველა წმინდანს, რომ მასზე მიჯნურს ძალადობა არ უხმარია. საბრალო მამამ ასული

მონასტერში ჩააბარა, რათა თავისი ქალის საქციელი (რომელიც თანასოფლელებმა მის ყმაწვილობას მიაწერეს), ხალხს დავიწყებოდა.

ლევანდრას მონასტერში ჩაკეტვის შემდეგ, მწყემს ეუხენიოსა და ანსელმოს მწუხარება მოემატათ, მათ დაწყევლეს „ცრუპენტელა სალდათი თავისი სამკაულებით“ ქალის გაბრიყვებისა და მამამისის თვალების აზმის გამო. ყმაწვილებმა დატოვეს სოფელი, ორივემ თავი ხეობას შეაფარა, ერთი ცხვრის ფარით, მეორე კი თხებით. ცხოვრობენ ჭალაში, იგონებენ მიჯნურს და მწუხარედ არიან, ხან მღერიან და ქალს ხოტბას ასხამენ, ხან კი აყვედრიან, რომ დალუპა ესენი. მათს მაგალითს მიბადეს სხვა თაყვანისმცემლებმაც: „ლევანდრას მოტრფენი იმდენნი არიან რომ ეს მთები სწორედ მწყემსთა არკადიას დაემსგავსნენ და იქ ადამიანს ყველა მხრიდან მარტო ერთი სიტყვა – ლევანდრა ესმის“[1,511], ერთნი კიცხავენ, მეორენი თაყვანს სცემენ, ზოგიერთები ლოცავენ და მიუტევენ ჩადენილ საქციელს, ზოგიერთები ეჭვიანობენ: „ამ არემარეში ვერც ერთ მღვიმეს ვერ ნახავთ, ვერც ერთ გამოქვაბულს, ვერც ერთ ხესა, რომ სადმე მწყემსი არ შეგხვდეთ მჭმუნვარე და თავის გულის წუხილს, ვინ იცის, რამდენჯერ არ ამოთქვამდეს. ყველგან ლევანდრას სახელი ისმის: მთები გამოიძახიან – ლევანდრა ისმის, წყაროები – ლევანდრას გამოჩხრიალებენ, ლევანდრაა ჩვენი ღმერთი ამ ხეობაში, ჩვენი მომწამვლელი და მომაჯადოებელი მისანი ის არი“[1,512].

ეუხენიოს აზრით, ყველაზე უფუნურად ანსელმოს მწუხარება ითვლება, რადგან ის ლევანდრას განშორებას დასტირის, უკრავს რაბელზე და მღერის მწუხარე ლექსებს, მიაჩნია, რომ თვითონ უფრო გონივრულად იქცევა, რადგან ხმაამაღლა უთვლის შეჩვენებას მანდილოსანთა ორპირულ და ქარაფშუტა ხასიათს, მათს ცრუ ფიცს, დაუდგრომლობასა და განურჩევლობას.

მწყემსმა მსმენელები მიიპატიჟა თავის ბინაში და დაჰპირდა, რომ ახალი რბით, კარგი ყველითა და გემრიელი ხილით გაუმასპინძლდებოდა.



თავი LII

დონ კიხოტის ჩხუბი მწყემსთან და საიშვიათო ფათერაკი მლოცველებთან, რაც ჩვენმა რაინდმა დიდის ჯაფით ბედნიერად დააგვირგინა

მწყემსის ნაამბობი ყველას მოეწონა და დახმარებას დაჰპირდნენ, ბერმა შეაქო ეუხენიო, „მახვილგონიერ კარისკაცს რომ უფრო ჰგავდა ვიდრე სოფლის მწყემსს“, ხოლო დონ კიხოტმა კი უთხრა, ნება რომ მქონდეს, ლევანდრას მონასტრიდან მოვიტაცებდი და შენ გადმოგცემდი იმ პირობით, რომ მოგზაურ რაინდთა ის კანონები მტკიცედ დაგეცვა, რომელნიც მანდილოსანთა შეურაცხყოფას კრძალავენ... მაინც ყოვლადშემძლებელი ზ ე ნ ი ს ა დ მ ი მტკიცე რწმენა მაქვს და ვიმედოვნებ, რომ ბოროტი ჯადოქრის ძალა იმ მეორე, უკეთესი განზრახვებით აღსავსე კეთილი ჯადოქრის შემძლებლობაზე მუდამ ვერ გაიმარჯვებს[1,513], დონ კიხოტმა, დააიბედა ეუხენიო, დაჰპირდა, რომ მას სამსახურს გაუწევდა, რადგან ის არის რაინდი, რომელიც

ამქვეყნად წარმოგზავნილია შეჭირვებულთა მაშველად, ობოლთა და დევნილთა შემწედ.

მწყემსი აქამდე ყურადღებას არ აქცევდა იდალგოს, მაგრამ მისი სიტყვების მოსმენის შემდეგ, გაცეხულმა შეათვალიერა „აყლაყუდა, საბრალო სანახაობის მქონე კაცი“, „ახირებული“ და დალაქს ჰკითხა, ვინ არის ასე „უცნაურად რომ ლაპარაკობს?“ დალაქმა მიუგო, რომ ის არის: „შესანიშნავი დონ კიხოტ ლამანჩელი, ბოროტის მომსვრელი, უსამართლობის დამსჯელი, ქალწულთა ხელთამპყრობი, დევთა თავზარდამცემი და ყველა დაუმარცხებელთა დამმარცხებელი“ [1,513]. მწყემსმა თქვა, ეს რაინდული რომანების პერსონაჟების ამბავს ჰგავს, იმიტომ, რომ ისინი ჩადიოდნენ ამგვარ რამეებს, ეს ამ კეთილშობილი ბატონის საქმე არაა... „გოგრა რაღაც არეულს უგავს“.

დონ კიხოტი გაბრაზდა, მას უმაქნისი და არამზადა უწოდა... მისი აზრით, მოსაუბრეს თვითონ აქვს გოგრა არეული... მერე სუფრიდან პურის ყუა ესროლა. მწყემსი ყველას გადაახტა, დაემგერა რაინდს, სწვდა ყელში და სანჩო რომ არ მიშველებოდა, დაახრჩობდა. საჭურველმტვირთველმა მოწინააღმდეგეს უკანა მხრებში წაავლო ხელი და პირქვე წააქცია. სუფრის ჭურჭელი დაილეწა, აირდაირია. დონ კიხოტმა როგორც კი თავი გაითავისუფლა, მოწინააღმდეგეზე შესდგა. ის მიწაზე ფორთხავდა, დანას ეძებდა, მაგრამ მღვდელმა და ბერმა წინასწარ დამალეს. დალაქმა როგორღაც მოახერხა და მწყემსს ისევ ქვეშ ამოადებინა დონ კიხოტი. რაინდს თავპირი დაუსისხლიანდა. მღვდელი, ბერი და ქამანდრები იცინოდნენ, ხარხარებდნენ. საერთო სიცილი მებრძოლებს მძვინვარებას მატებდა და მოჩხუბარი ძალებივით უფრო შმაგდებოდნენ. სანჩო დაღვრემილი იდგა, რადგან ბერის მსახურები არ უშვებდნენ ბატონის დასახმარებლად.

უცებ მინდორში საყვირის მწუხარე ხმა გაისმა და ყველას ყურადღება მიიპყრო, ამან დონ კიხოტს თავზარი დასცა, დაავიწყდა შურისძიება და მოწინააღმდეგეს მიმართა: ეშმაკო, ამ სახელს გიწოდებ, რადგან ჩემი ძლევა შეძელი, გამიშვი, რადგან ეს მწუხარე ხმა უეჭველად ფათერაკისკენ მომიწოდებსო. დაქანცულმა მწყემსმა გაათავისუფლა დონ კიხოტი. რაინდი მიტრიალდა იმ მხარისკენ, საიდანაც ხმა ისმოდა. დაინახა ბორცვიდან ჩამომავალი, თეთრი ტანსაცმლით მორთული რამდენიმე კაცი. ესენი იყვნენ მახლობელი სოფლის გლეხები, რომლებიც საყდრისკენ საერთო ლიტანიით მიდიოდნენ. ესპანეთში მაშინ გვალვიანი წელი იყო, ყველგან პროცესიებს, ლოცვა-ვედრებასა და მომნანიებელთა მსვლელობებს აწყობდნენ, რათა ღმერთს მოელო მოწყალება და წვიმა წარმოეგზავნა. დონ კიხოტმა გაიფიქრა, რომ ამ რაღაც ხიფათს თვითონ უნდა გამკლავებოდა (მას არ გაახსენდა ის, რომ ასეთ მლოცველებს ბევრჯერ შეხვედრია, ფათერაკი ეგონა). შავებგადაფარებული მადონას ქანდაკება დიდებულ სეფექალად მოეჩვენა, რომელსაც ავაზაკები იტაცებდნენ. გაექანა როსინანტისკენ, უნაგირის ტახტადან აღვირი და ფარი ჩამოხსნა, სანჩოს მახვილი მოსთხოვა და შესძახა, ახლა დარწმუნდება ყველა, რომ მოგზაური რაინდები დაუფასებელ სიკეთეს წარმოადგენენ, ამ კეთილ ქალბატონს გავათავისუფლებ ავაზაკთა ხელიდან და აღიარებენ, რომ საყოველთაო პატივისცემის ღირსნი არიანო მოგზაური რაინდები. მან როსინანტს ქუსლები მოუჭირა, რადგან ამჯამად დეხები არ ჰქონდა და პროცესისკენ გაექანა სწრაფი ჩორთით. არ უსმინა არც მღვდელს, არც ბერსა და დალაქს, არც სანჩოს ღრიალს: „სად მიხვალთ, ბატონო დონ კიხოტ! რა ეშმაკი გაჯანყებთ ჩვენი წმიდა კათოლიკე ეკლესიის წანააღმდეგ, გონზე მოდით! ეგ ხომ მომნანიებელთა პროცესიაა! ხოლო მათ რომ ჯალამბრით მოაქვთ, ეს ხომ უბიწო ქალწულის კურთხეული ქანდაკებაა

დაფიქრდით, სენიორ, რას ჩადიხართ! სწორედ გითხრათ, ახლა ამ საქმეში თქვენი ჩარევა ძლიერ უადგილოა!“[1,516]. რაინდი ოცნებებით იყო გატაცებული, არავის უსმენდა, მას გადაწყვეტილი ჰქონდა, თავს დასხმოდა იმ მოჩვენებებს და გაეთავისუფლებინა სამგლოვიარო პირბადით შებურვილი სეფექალი. პროცესიას მიუახლოვდა, შეაყენა ცხენი და ხრინწიანი, აკანკალებული ხმით დასჭყვივლა: შესდექით, ბოროტებო, ავაზაკი პირისახე რომ დაგიბურავთო. მლოცველები გაოცდნენ. ერთმა დიაკვანმა, მგალობელმა, დონ კიხოტის უცნაური შესახედაობით, როსინანტის საბრალო სანახაობით და, საზოგადოდ, რაინდის სასაცილო მოწყობილობით გაოცებულმა უთხრა, ძმაო, თუ ცოტა სათქმელი გაქვს, თქვი, არ გვცალიაო. რაინდმა უბრძანა გაეთავისუფლებინათ ქალი, რომელიც ტყვედ მიჰყავდათ, თორემ ნაბიჯსაც არ გადადგმევინებდა მათ, რადგან რაინდია, „ყველა ბოროტის მომსვრელად ქვეყნად წარმოგზავნილი“.

მლოცველებმა დონ კიხოტი „საგიჟეთიდან გამოქცეულ გიჟად ჩასთვალეს“, დასცინეს, ამან რაინდი ისე გადარია, რომ ხმლით მივარდა ჯალამბარს. ერთ–ერთმა მეჯალამბრემ ჯოხით შემოუტია, რომელიც დონ კიხოტმა გადაუმტვრია. მაგრამ ნატეხი ისე ჩაარტყა ბეჭებში, რომ გულშეღონებული იდალგო თავის ფარხმლიანად დაეცა. ამასობაში ბატონს დადევნებულმა სანჩომ მოაღწია და მოწინააღმდეგეს სთხოვა, შეებრალეზინა რაინდი, არწმუნებდა, რომ ამ საბრალოს თავის სიცოცხლეში ბოროტება არ ჩაუდენიაო, მაგრამ მისი მუდარა არ იყო საჭირო, რადგან დონ კიხოტი მკვდარივით ეგდო და ამით შეშინებულმა მოწინააღმდეგემ მინდვრისკენ მოკურცხლა.

დონ კიხოტის თანამგზავრები გამოეშურნენ მისაშველებლად, პროცესიის მონაწილეებმა ქამანდრებიც რომ დაინახეს, მოემზადნენ მტრის დასახვედრად, მაგრამ ამ დროს სანჩომ იფიქრა, რაინდმა სული დალიაო და საცოდავი ხმით დაიწყო ტირილი. მლოცველებში მღვდელმა თავისი ნაცნობი მღვდელი შენიშნა, უამბო დონ კიხოტის ამბავი და ყველანი მოვიდნენ საბრალო კაბალეროს სანახავად, იყო თუ არა იგი ცოცხალი.

სანჩო თავის ბატონს დასტიროდა: „ვაჰ მე! შნო და ლაზათო მთელი ქვეყნის რაინდებისავ, განა ეგ იყო შენი ბედისწერა, რომ ბრწყინვალე ცხოვრების ნახევარ გზაზე ერთი უბრალო ჯოხის დარტყმით მოგლებოდა ბოლო! ვაჰ მე, სიამაყევ შენი გვარეულობისავ, ლამანჩისა და მთელი ქვეყნის დიდებავ, ახლა რაღა ეშველება ქვეყანას, ხომ ბოროტთა მსხვერპლი შეიქმნება, უშენოდ ვიღას რას შეეპუებთან, ან ვიღას შიში და რიდი ექნებათ. ჰოი, შენ ვაჟკაცო, სიუხვით რომ ყველა ალექსანდრეებს გადააჭარბე, რვა თვის სამსახურისათვის რომ მშვენიერი კუნძული მაჩუქე, ზღვისა ზვირთებით შემოზღუდული. ჰოი, შენ მდაბალო დიდთა წინაშე და ამაყო მდაბალთა ზედა, შიშში შეუპოვარო, შეურაცხყოფათა ამტანო, ეგოდენ გამიჯნურებულო, რომ არც კი იცოდი, ვინ იყო შენი მიჯნური; მტარვალო ბოროტთა, მართალთა მიმბაძავო, გარყვნილთა მტერო, ერთი სიტყვით – მოგზაურო რაინდო, რა სახელზე დაც მეტი ქება აღარ გინდა“[1,517–517].

სანჩოს მოთქმის ხმაზე, დონ კიხოტი გამოფხიზლდა და მსახურს სთხოვა დახმარებოდა როსინანტზე ამხედრებაში. საჭურველმტვირთველი სიამოვნებით დათანხმდა და ბატონს, მოუწოდა წასულიყვნენ შინისკენ და მომზადებულიყვნენ მესამედგასალაშქრებლად, იქნებ ის უფრო სასიკეთო და დიდებული აღმოჩენილიყო მათთვის. დონ კიხოტმა შეაქო იგი, ოქროს სიტყვები უწოდა მის ნათქვამს და ურჩია, ცოტა ხანს შეეცადათ, სანამ ცუდი ვარსკვლავების ზეგავლენა გადაივილიდა. მღვდელმა, ბერმა და დალაქმა დონ კიხოტს ერთხმად კვერი დაუკრეს.

ცოტა ხნის წინათ ისინი სანჩოს გულუბრყვილო სიტყვებზე მასხარაობდნენ. რაინდი ჩასვეს ეტლში, გამოეთხოვნენ მწყემსს, ქამანდრებსაც, რომელთაც მღვდელმა გადაუხადა სასყიდელი, ბერიც გაუდგა გზას. მან მღვდელს სთხოვა, შეტყობინებინებინა დონ კიხოტის შესახებ, მორჩებოდა თუ არა. „ყველანი დაიქსაქსნენ და დონ კიხოტთან მხოლოდ მღვდელი, დალაქი, სანჩო პანსა, ვირი და თავის ბატონივით ყველა უბედურების სამაგალითოდ ამტანი კეთილი როსინანტი დარჩა“ [1,518].

მეურმე მღვდლის ნაჩვენებ გზას დადგა. დონ კიხოტი ურემში, თივაზე, გალიაში იწვა ჩუმად. სოფელში ე ქ ვ ს ი დღის შემდეგ მივიდნენ. კვირა დღე იყო, იდალგოს თანასოფლელები, მისი დანახვისას, გაოცდნენ. ერთმა პატარა ბიჭმა რაინდის დისწულსა და დიასახლისს აცნობა, რომ დონ კიხოტი დაბრუნდა გამვალტყავებული, გაყვითლებული, გალიაში ჩასმული. ორივე მანდილოსანმა ღრიალი მორთო, რადგან სამწუხარო მოსასმენი იყო ყოველივე, ტიროდნენ, სარაინდო წიგნებს წყევლა-კრულვას უთვლიდნენ. როდესაც იდალგომ კარის ზღურბლს გადმოაბიჯა, მისმა შესახედაობამ ისინი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

სანჩოს ცოლმა თავისი ქმრის სანახავად მოირბინა. მისი პირველი შეკითხვა ვირის კარგადმყოფობას შეეხებოდა. სანჩომ მიუგო, რომ ის პატრონზე უკეთ გრძნობს თავს. ქალი კითხვებს აყრიდა, იყო თუ არა საჭურველმტვირთველობა მომგებიანი, რა საჩუქრები მოიტანა, შეუძინა თუ არა ფეხსაცმლები ბავშვებს... სანჩომ მიუგო, რომ არაფერი მოუტანია, მაგრამ ფათერაკების საძებნელად მეორედაც თუ წავლენ, ქვეყნიერებაზე საუკეთესო კუნძულის გრაფი ან გუბერნატორი გახდება. ცოლმა მიუგო, რომ დიდ გაჭირვებაში არიან და კუნძული გამოადგებათ, მაგრამ არ იცის რა არის კუნძული, ეს სიტყვა არასდროს გაუგონია. „ვირმა რა იცის ხურმა რა ხილია, – უპასუხა სანჩომ; მოვა დრო, იმასაც გაიგებ – კუნძული რა არის, და პირდაღებული მოისმენ, რომ შენი ყმის ცოლები ქალბატონს დაგიძახებენ“ [1,520].

კუნძულის, ყმის ცოლებისა და ქალბატონის ხსენებაზე სანჩოს ცოლმა, ხუანა პანსამ, (გუტერესი გახლდათ და სანჩოს გვარს, პანსას, ატარებდა) ჩათვალა, რომ მისი ქმარი რაღაცას მიედმოედება. ამ უკანასკნელმა მიუგო, სულწასული ნუ ხარ, ყველაფერს სიმართლეს რომ მოგიყვები, ისიც უნდა იკმარო: „ფათერაკების მაძებარი რაინდის ერთგულ საჭურველმტვირთველად ყოფნაზე უკეთესი ძნელად თუ იქნება რამე ქვეყანაზე“, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხიფათი არ ბოლოვდება კარგად. მან აღიარა, რომ ბევრჯერ დარჩენილა გვერდებდაზელილი, საბნით უფრენია ჰაერში, მაგრამ მინც კარგია მთების გადავლა, ტყე-ღრეში ძვრენა, კლდეებზე ხობვა, ციხე-დარბაზებში სტუმრობა, ღამეებისა და დღეების ფუნდუკებში დროის გატარება უფასოდ.

სახლის გამგემ და დისწულმა დონ კიხოტი შეიყვანეს სახლში, გახადეს ტანსაცმელი და თავის ძველ საწოლში ჩააწვინეს. რაინდი ვერ ცნობდა მათ, უცნაურად უცქერდა და არ იცოდა სად იყო, რა ემართებოდა. როდესაც მღვდელმა უამბო იდალგოს ახლობლებს, თუ რა წვალებით წამოიყვანეს იგი, მათ ისევ დაიწყეს სარაინდო წიგნების შეჩვენება და ეშინოდათ, როცა მოკეთდებოდა დონ კიხოტი, ისევ მესამედ არ გამგზავრებულიყო ფათერაკების საძებნელად. მათი შიში გამართლდა.

...დონ კიხოტი მესამე გამგზავრებისას, თურმე, სარაგოსას სწვევია, მონაწილეობა მიუღია ამ ქალაქში გამართულ შესანიშნავ ტურნირებში და იქ ისეთი ფათერაკები შემთხვევია, რაც მის სიმამაცესა და მახვილგონიერებას შეეფერებოდა.

ბედნიერი შემთხვევის წყალობით ავტორი, სერვანტესი, გადაეყარა ერთ ექიმს, რომელსაც: „ძველი საყდრის ნანგრევებში ერთი ტყვიის მომცრო ზარდახშა ეპოვა, შიგაც, თურე, ძველებურად ნაწერი ესპანური ლექსებით სავსე ეტრატის გრაგნილი იდგა. იმ ლექსებში ქება-დიდებას ასხამდნენ დონ კიხოტის კაცობას. მის მრავალ გმირობას, აღტაცებით შეაქებდნენ დულისინეა ტობოსელის მშვენიერებას, როსინანტის აღნაგობას, სანჩო პანსას ერთგულებას და ცრემლთა ფრქვევით აღწერდნენ ჩვენი რაინდის დაკრძალვას. აქვე აღმოჩნდა სხვადასხვა ეპიტაფია და სახოტბო ლექსები; წარმტაცი ფერებით იყო შემკობილი რაინდის ცხოვრება და მისი ზნე ხასიათი“[1,521].

აი, ტყვიის ზარდახშაში ნაპოვნი ეტრატის პირველი სიტყვები:

ლამანჩის დაბა ა რ გ ა მ ა ს ი ლ ი ა ს* აკადემიკოსები სახელოვანი დონ კიხოტ ლამანჩელის სიკვდილსა და გარდაცვალებაზე:

ელ მ ო ნ ი კ ო ნ გ ო,* არგამასილიელი აკადემიკოსი დონ კიხოტის საფლავისადმი

ეპიტაფია

გმირი, ვინც ლამანჩს მეტი დავლით ევლინებოდა,
ვიდრე ძველ კრიტოსს – იაზონი, საოცრად ქველი,
ტინი, სად აზრი, ვით პალოზე ფლუგერი მჭრელი,
სწრაფად ბრუნავდა (სჯობდა – ჩლუნგი თუ იქნებოდა).

მკლავი, რომელიც დასაპყრობად გადასწვდებოდა
თვით გაეტამდე ჩინეთიდან მძლავრი და გრძელი,
მუზა, ყველაზე ჩუმი, ნაზი და საკვირველი,
რომლის პწკარები ბრინჯაოზე იკვეთებოდა.

ო, ის, ვინც ყველა გმირ ამაღისს გაუსწრო დიდად,
ვისაც დევკაცში ქონდრის კაცი ეჩვენებოდა
და ხმაღს იქნედა სიყვარულს და ბედს მინდობილი,

ო, ის, ვინც ყველა ბელიანისს ხმა ჩაუკმინდა,
ვინც როსინანტით უგზო-უკვლოდ ეხეტებოდა, –
ამა ლოდის ქვეშ გინისვენებს ხელდაჭდობილი.

პ ა ნ ი ა გ უ ა დ ო*, არგამასილიელი აკადემიკოსი;

In lavden Dulcineae del Toboso

სონეტი

მხრებგანიერი, თავაწვდილი, მზირალი ლაღად,
უფრო მამაკაცს რომ ჩამოგავს სახის იერით,
დულისინეა, დედოფალი რა მშვენიერი,
რომელიც დიდმა დონ კიხოტმა მზედ დაისახა.

მან მხოლოდ სიერა-ნეგრის მთა გადალახა,
დაღლილი ფეხით გაიარა ტყე უსიერი,
განთქმულ მონტელის ველზე გაჩნდა მერე მშვიერი
და მიაღწია არანხუესს, გაშლილსა ბაღად.

სულ როსინანტის ბრალი არის. ო, ვარსკვლავს შავსა
ვერსად გაექცა ვერც რაინდი თავაწყვეტილი,
ვერც დულსინეა, რომ აიგდო ბედმა აბუჩად.

ჰოი, სიკვდილმა დულსინეა რას დაამსგავსა...
და თუმც რაინდი მარმარზეა ამოკვეთილი,
ის ხომ საყვარულს, შურს და მტრობას ვერ გადაურჩა?.

კ ა პ რ ი ზ ო ს ო,* ფრიად ენაწყლიანი არგამასილიელი აკადემიკოსი,
დონ კიხოტის ცხენის – როსინანტის შესაქებად

სონეტი

უმშვენიერეს ხის წვეროზე, რომელსაც მარსი თავისი ფეხით,
სისხლიანით, წითლად დაღავდა.
დაუდგრომელმა ლამანჩელმა დროშა აღმართა.
არვის უნახავს ჯერ ამქვეყნად გმირობა მსგავსი.

იქვე დაჰკიდა აბჯარი და ფოლადი ბასრი, –
რითაც ფატრავდა, განაპობდა, ჩეხდა, ლახვრავდა,
დიდი რაინდის გმირულ საქმეთ გამოსახავდა
მხოლოდ ახალი ხელოვანის ხერხი და აზრი.

თუ გალთა მხარე ეგზომ აქებს თავის ამაღისს,
რომლის ნაშიერთ სიმამაცე მუდამ თან ახლდათ,
რომ განადიდეს საბერძნეთი მზით მოელვარე,

დღეს თვით ბელონა სასახლეში გვირგვინს მარადისს
ადგამს დონ კიხოტს, და ლამანჩაც უფრო ამაღლდა,
ვიდრე ოდესმე საბერძნეთი თუ გალთა მხარე.

და ჩვენც მის სახელს დავიწყებას არ მივაკარებთ,
რადგან საქვეყნოდ ცნობილია, რომ როსინანტი
მათ ბრილიადორს და ზაიარდს სჯობდა სიმარდით.

ბ უ რ ლ ა დ ო რ ი,* არგამასილიელი აკადემიკოსი, სანჩო პანსას

სონეტი

დაბალი იყო სანჩო პანსა, მაგრამ, ო, სულით

იყო მაღალი (არნახული სასწაულია),

საჭურველმტვირთველს ჯერ მიწაზე არ გაუვლია

ეგზომ ალალსა, და ეს არის სიმართლე სრული.

გრაფად გახდომას მოელოდა ის სიხარულით,

კინაღამ გახდა, მაგრამ ბედი ისე კრულია,

და ეს ქვეყანაც ისე სინდისდაკარგულია,

რომ ცოცხლეულად ვირსაც შესჭამს ავი და მტრული.

სწორედ ამ ვირზე (გთხოვთ ახსენოთ კეთილი სიტყვით),

მიჩაქჩაქებდა უწყინარი მესაჭურველე

უკან როსინანტს და გმირ ბატონს პატივისცემით.

ჰოი, ამაო იმედებო, საითკენ ილტვით? –

ტკბილ განსვენებას რომ აღუთქვამთ შვების მსურველებს,

და მერე მხოლოდ ზმანებად და ნისლად იქცევი

კ ა ჩ ი დ ი ა ბ ლ ო*, არგამასილიელი აკადემიკოსი, დონ კიხოტის საფლავისადმი

ეპიტაფია

აქ რაინდია განსვენებული,
მას სიცოცხლეში მოხვდა მრავალი..
ეხეტებოდა მუდამ ზარალით
მჭლე როსინანტზე ამხედრებული.

გულმიამიტი მისი ხლებულიც
აქვე მახლობლად წევს სანჩო პანსა, –
ჯერ არ შობილა მიწაზე არსად
მსახური ეგზომ თავდადებული.

ტ ი კ ი ტ ო კ ი *, არგამასილიელი აკადემიკოსი, დულსინეა ტობოსელის საფლავისადმი

ეპიტაფია

ო, დულსინეა, მიწაში გძინავს,
შენ იყავ ზორბა, ნორჩი, კვანწია.
მაგრამ სიკვდილმა ნაცრად გაქცია,
არ შეებრალე ავსა და მძვინვარს.

იყოს მარადი შენი ხსენება,
გვარით და სისხლით, ღირსო ხოტბისა,
გულის მურაზო დონ კიხოტისა,
და მშობლიური სოფლის მშვენებავ!

პირველი წიგნის შენიშვნები

თავი I

ლ ა მ ა ნ ჩ ა –ოლქი ახალ კასტილიაში (სამხრეთ ესპანეთში) mancha არაბული სიტყვაა, ნიშნავს მწირ, გამომშრალ მიწას (ნ.აგიაშვილი).

ი დ ა ლ გ ო –ესპანელი დაბალი ხარისხის აზნაური(ნ.აგიაშვილი).

ო ლ ა –სიტყვასიტყვით–„ქოთან“–ცხელი აჯაფსანდალი, ხორციტ და მწვანილით. ესპანური ნაციონალური საჭმელი (ნ.აგიაშვილი).

რ ო ს ი ნ ა ნ ტ ი –თავისი ცხენის სახელი დონ კიხოტმა შეადგინა ორი სიტყვისგან: როსინ–„ჯაგლაგი“ და ანტეს–„წინათ“ და „უწინ“ (ნ.აგიაშვილი).

დ ო ნ კ ი ხ ო ტ ი –ესპანურ ენაზე ნიშნავს მღვდლის შესამოსელს (ენქერს) (ნ.აგიაშვილი).

ტ ო ბ ო ს ო –ელ ტობოსო, მუნიციპალიტეტი ესპანეთში, მანჩა–ალტა–დე ტოლედოს რაიონში (Эль-Тобосо, <https://ru.wikipedia.org/wiki/Эль-Тобосо>).

დ ო ნ ი –მაღალი წოდების ტიტული ესპანეთში, ბატონი; დ ო ნ ა –ქალბატონი (ნ.აგიაშვილი).

თავი II

ფ უ ნ დ უ კ ი –1.ერთგვარი სასტუმრო, სადაც მექარავნენი ისვენებდნენ და აბინავებდნენ სავაჭრო საქონელსაც. ფუნდუკი საქარავნო მაგისტრალების აუცილებელ ნაგებობას წარმოადგენდა, რომელსაც გააჩნდა სათანადო საშუალებანი მექარავნეთა დაბინავებისა და მათი უსაფრთხოების შექმნისთვის.(ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge>);

2.

- ქა*რავა*ნსარაი]
- ქარავნის დასადგომი, ვაჭრების სადგომი, _ ფ უ ნ დ უ კ ი.
- || სავაჭრო სახლი საქონლის საწყობებითა და მაღაზიებით.
ქარვასლა, <http://translate.voov.me/Words>

კ ა ს ტ ე ლ ა ნ ი –დედანში სიტყვათა თამაშია. კ ა ს ტ ე ლ ა ნ ი ნიშნავს „ციხე–დარბაზის პატრონსაც“ და „კასტილიელსაც“ (ე.ი. ესპანეთის ცენტრალური ოლქის კასტილიის მცხოვრებს). ამ რომანში აღწერილი ამბების უმთავრესი ნაწილი კასტილიაში ხდება (ნ.აგიაშვილი).

მონტიელი–ადგილი ცენტრალური ესპანეთის ოლქში–ლამანჩაში–მადრიდის სამხრეთ–აღმოსავლეთით (ნ.აგიაშვილი).

თავი III

სევილია, გრანადა, ტოლედო და სხვა...–აქ ჩამოთვლილია ქურდბაცაცების, ავაზაკებისა და სხვადასხვა ჯურის არამზადათა საექვო კვარტალები და თავშესაფრები მაშინდელი ესპანეთის ქალაქებში(ნ.აგიაშვილი).

როფი– ხეში ან ქვის მასივში ამოჭრილი ორმო, სადაც ასხია წყალი საქონლისა და ფრინველთა დასარწყულებლად (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/>).

თავი IV

როკე– კათოლიკური ეკლესიის ერთ–ერთი წმინდანთაგანი(ნ.აგიაშვილი).

გვადარამ–მთაგრეხილი, რომელიც შუაზე ყოფს ძველსა (ჩრდილოეთ) და ახალ კასტილიას. გვადარამის სოფლებში ამ დროს საუცხოო თითისტარებს აკეთებდნენ(ნ.აგიაშვილი).

თავი V

ბალდუინი და მანტუანელი მარკიზი–აქ მოხსენიებული რომანის გმირები გამოგონილი პიროვნებები არიან. რომანში მოთხრობილია ერთი გამცემლობის ისტორია. მთავარ გმირს ბრძოლის ველზე მიატოვებენ უპატრონოდ და მას უიმედო ჩივილსა და ტანჯვაში ხდება სული(ნ.აგიაშვილი).

ხორხე დე მონტემაიორი– სახელგანთქმული მწყემსური რომან „დიანას“(დაწერილია დაახლოებით 1560 წელს) ავტორი. ნაწარმოებში მოთხრობილია ესპანელთაგან 1410 წელს ქ. ანტეკერი (მდებარეობს 40 კილომეტრზე ქალაქ მალაღიდან) დაპყრობის შემდეგ ამ ქალაქის პირველი მმართველის აბინდარაესის დატყვევება (ნ.აგიაშვილი).

საფრანგეთის თორმეტი დიდებული (პერი)–დიდი ფეოდალური სენიორები; მოხსენიებულნი არიან როგორც კარლოს დიდის საუკეთესო მეზრძოლები „როლანდის სიმღერაში“ და საშუალო საუკუნეების სხვა გმირულ პოემებში(ნ.აგიაშვილი).

დიდების ცხრა გმირი– ესენი იყვნენ ბიზლიაში მოხსენიებული სამი ებრაელი: ისუნავინი–სახელგანთქმული სარდალი; მეფე დავითი; იუდა მაკაბელი (სირიელთა უღლისაგან ებრაელი ხალხის გათავისუფლებისათვის მეზრძოლი; სამი წარმართი: ალექსანდრე მაკედონელი, ჰექტორი (ტროადის მეფის შვილი, „ილიადას“ ერთ–ერთი მთავარი გმირი), იულიუს კეისარი და სამი ქრისტიანი: მეფე ართური (ძველი ბრიტანეთის ლეგენდური მეფე, საშუალო საუკუნეების „მრგვალი მაგიდის რომანების“ ცენტრალური ფიგურა), კა

რ ლო ს დ ი დ ი (საფრანგეთის მეფე, 768–814წ. ფრანგული გმირული ეპოსის მთავარი მთავარი მოქმედი პირი) და ჰოტფრიდ ბულონელი, რომელმაც 1099 წ. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს აიღო იერუსალიმი და იგი იერუსალიმის მეფედ აირჩიეს. მე-15, მე-16 საუკუნეებში მასკარადებისა და თეატრალურ თამაშობათა დროს ძლიერ უყვარდათ „გმირთა პარადის“ მოწყობა და ამ „დიდების ცხრა გმირთა“ ტანისამოსის ჩაცმა (ნ.აგიაშვილი).

ე რ ე ტ ი კ ო ს ი– (ბერძ. *haireticós*, შემდეგ ლათინურში დამკვიდრდა ფორმა *haereticus* *It. Eretico*) მონათლული ადამიანი, რომელიც, მიუხედავად ქრისტიანის სახელის შენარჩუნებისა, უარყოფს ან ჯიუტად ეჭვქვეშ აყენებს ღვთაებრივი და კათოლიკური სარწმუნოების რომელიმე ჭეშმარიტებას

ქრისტიანობის ლექსიკონი/www.nplg.gov.ge;

უ რ გ ა ნ დ ა–გრძნეული, ჯადოქარი ქალი, მოქმედებს „ამადის გალელში“. იგი მუდამ მფარველობს ამადის გალელს და დიდ მზრუნველობას უწევს მას.

დედანში სიტყვების თამაშია, რაც არ ითარგმნება: უ რ გ ა ნ დ ა ნიშნავს–მარჯვე საქმიან დედაკაცს („ფილთაქვას“). ამგვარად უსწავლელი სახლის გამგე ამახინჯებს ჯადოსან უ რ გ ა ნ დ ა ს სახელს და საზოგადო სახელად ხდის მას (ნ.აგიაშვილი).

ბ ა რ ა ბ ა–ავაზაკი, სახარების მიხედვით, როცა ბრბოს შეეკითხნენ, თუ ვისთვის ეპატიებინათ დანაშაული და არ დაესაჯათ, მან ბარაბას გათავისუფლება მოითხოვა (ნ.აგიაშვილი).

ე ს კ ი ფ ე–ჯადოსანი და გრძნეული (სწორია ალკიფე, მაგრამ დონ კიხოტის დისწული ამახინჯებს მის სახელს)–ურგანდას ქმარი, ნახსენებია მრავალ რაინდულ რომანში (ნ.აგიაშვილი).

თავი VI

ა ი ა ზ მ ა (ბერძ. *αγιασμα*) — წმინდა, განწმენდილი წყალი. ძველ წერილობით ძეგლებში აღნიშნული სიტყვა თითქმის არ გვხვდება. მის ნაცვლად გამოიყენება ქართული შესატყვისი „წმიდა წყალი“. აიაზმა ქართულში დასტურდება მხოლოდ მე-18 საუკუნიდან. მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის („აიაზმა ბერძნულია, ქართულად წმიდა წყალს ჰქვია“), ნიკო და დავით ჩუბინაშვილების, თეიმურაზ ბაგრატიონის ლექსიკონებში და შემდგომი დროის ქართულ მწერლობაში. დღეს ქართველ მართლმადიდებელთა მეტყველებაში აიაზმა შედარებით იშვიათად გამოიყენება. ძირითადად გვხვდება შესიტყვება „ნაკურთხი წყალი“

აიაზმა, <https://ka.wikipedia.org/wiki/>;

ამ თავში ვრცლადაა ჩამოთვლილი ჯერ რ ა ი ნ დ უ ლ ი , შემდეგ მ წ ყ ე მ ს უ რ ი რომანები და მე-16 საუკუნის სხვადასხვა ავტორთა ლირიკული ლექსებისა და პოემების კრებულები. უახლესი კრიტიკა მთლიანად იზიარებს იმ შეფასებას, რომელსაც მღვდლის პირით აძლევს აქ სერვანტესი ყველა ამ თხზულებას. საყურადღებოა ს ე რ ვ ა ნ ტ ე ს ი ს თ ვ ი თ კ რ ი ტ ი კ ა მისი საკუთარი „გ ა ლ ა თ ე ა ს ა დ მ ი“. ესეც, აგრეთვე,

მწყემსური რომანია, მაგრამ უფრო ნაკლებ გაპრანჭული სტილით დაწერილი, ვიდრე ამ ჟანრის სხვა თხზულებათა უმრავლესობა. თვით სიტყვა „გ ა ლ ა თ ე ა“ ნიშნავს ზღვის ნიმფას (ფერიას), მშვიდი და ბრწყინვალე ზღვის განსახიერებას, იყო ნ ე რ ე ა ს ა და დ ო რ ი დ ა ს ასული(ძველ ბერძენთა მითოლოგიაში(ნ.აგიაშვილი).

ო ვ ი დ ი უ ს ი–რომაელი პოეტი, რომელიც ლექსებს წერდა სიყვარულზე, მიტოვებულ ქალებსა და მითოლოგიურ გარდასახვებზე. ტრადიციულად, იგი, ვერგილიუსა და ჰორაციუსთან ერთად ლათინური ლიტერატურის კანონის წარმომადგენლად მიიჩნევა. იგი ელეგიების ოსტატად ითვლებოდა. ოვიდიუსის პოეზიას ინტენსიურად ბამავდნენ გვიანდელი ანტიკურობის ხანაში და შუა საუკუნეებში. და საუკუნეების განმავლობაში, დიდ გავლენას ახდენდა ევროპულ ხელოვნებასა და ლიტერატურაზე ოვიდიუსი, <https://ka.wikipedia.org/wiki/>

ე კ ლ ო გ ა–მწყემსური და სოფლური ყოფაცხოვრების მშვენიერების ამსახველი იდილიური ლექსი. იწერებოდა ორ მწყემსს შორის დიალოგის ფორმით. ეს იყო იმ დროში მეტად გავრცელებული „პასტორალური“ (მწყემსური) პოეზიის ერთ-ერთი ჟანრი. სახელწოდება შემოიღო რომაელმა პოეტმა ვ ე რ გ ი ლ ი უ ს მ ა(ნ.აგიაშვილი).

თავი VII

რ ო ლ დ ა ნ ი–როლანდის სახელის ესპანურ–ხალხური ფორმა (ნ.აგიაშვილი).

ფ რ ე ს ტ ო ნ ი–უფრო სწორად– ფრისტონი,–ჯადოსანი, რომელმაც თითქოს შეთხზა რაინდული რომანი „ბ ე ლ ი ა ნ ი ს ბ ე რ ძ ე ნ ი“(ნ.აგიაშვილი).

ს ა ნ ჩ ო პ ა ნ ს ა–სანჩო პანსა დამახინჯებული სიტყვებია. პ ა ნ ს ა ნიშნავს „ღიპს“, ს ა ნ კ ა ს ი–„გრძელ ფეხს“ ანუ „თათს“(განსაკუთრებით ფრინველისას)(ნ.აგიაშვილი).

თავი VIII

ბ რ ი ა რ ე –(ანტიკურ მითოლოგიაში)–ორმოცდაათთავიანი და ასხელიანი დევგმირი (ნ.აგიაშვილი).

ლ ა პ ი ს ი ს ხეობა– პუერტო–ლაპისი, მუნიციპალიტეტი და ქალაქი ესპანეთში, სიუდად–რეალის პროვინციაში

Пуэрто-Лаписе, <https://www.google.ge/>;

ბ ე ნ ე დ ი ქ ტ ე ლ ი ბ ე რ ე ბ ი–დასავლეთ ევროპაში კათოლიკე ბერთა ერთ-ერთი ორდენი (წმ. ბენედიქტეს წესდებით VI საუკუნიდან);ასკეტურ საქმიანობასთან ერთად ეწეოდნენ სასარგებლო შრომასაც(ახალგაზრდობის აღზრდა, მწიგნობრობა და სხვ.)(ნ.აგიაშვილი).

თავი IX

მ ო რ ი ს კ ე ბ ი–ესპანეთის გათავისუფლების შემდეგ(XI–XIV საუკუნეთა განმავლობაში) იქ დარჩენილი მავრები. მათ შეინარჩუნეს თავიანთი ენა, რელიგია და

ეროვნული ზნე-ჩვეულებები, მაგრამ XVI საუკუნეში განიცადეს სასტიკი დევნა ესპანეთის მთავრობისაგან(ნ.აგიაშვილი).

ა რ ო ბ ა – 12 1\2 კილოგრამი(ნ.აგიაშვილი).

ფ ა ნ ე გ ა– 55 1\2 ლიტრი (ნ.აგიაშვილი).

რ ე ა ლ ი–(ლათ. Regalis–სამეფო) ძველი, ესპანური ვერცხლის მონეტა, სხვადასხვა დროს იყენებდნენ ლათინური ამერიკის ქვეყნებში, იტალიასა და პორტუგალიაში. მე–15 საუკუნიდან მე–19 საუკუნის 70–იან წლებამდე

Реал ,<http://dic.academic.ru/>;

თავი X

ს ა ნ ტ ა ჰ ე რ მ ა ნ დ ა დ ი–(სიტყვასიტყვით „წმინდა ძმობა“)-ასე ეწოდებოდა ჩრდილო ესპანეთის ქალაქის ხელისუფალთა მიერ XIII საუკუნეში დაარსებულ განსაკუთრებულ დამცველ რაზმებს, უმთავრესად უწესო ფეოდალებისა და აგრეთვე ავაზაკებისა და ყველა ჯურის ბოროტმოქმედებთან საბრძოლველად(ნ.აგიაშვილი).

ფ ი ე რ ა ბ რ ა ს ი ს მალამო–ფიერაბრასი–ფრანგული პოემის (XII საუკუნე, შანსონის–პერსონაჟი, რაინდი. ფრანგ. chanson –ფრანგული სიმღერა, უპირატესად ხალხური).

ა ს უ მ ბ რ ა –2 ლიტრაზე ცოტა მეტი (ნ.აგიაშვილი).

მ ა მ ბ რ ი ნ ი ს ჩაჩქანი–მოხსენიებულია არისტოს „შმაგ როლანდში“. რომელ რაინდსაც ის ეხურება, მას ვერავითარი იარაღი ვერ დააზიანებდა. აქ, სხვათა შორის, დონ კიხოტს (ან თვით სერვანტესს), ავიწყდება, რომ ეს ჩაჩქანი არისტოს პოემაში საკრიმანტმა კი არ იგდო ხელთ, არამედ მეორე გმირმა–დარდინელმა (ნ.აგიაშვილი).

ს ო ბ რ ა დ ი ს ი–„ამადის გალელში“ მოხსენიებული ზღაპრული სამეფო(ნ.აგიაშვილი).

ქ ა ლ დ ე ვ ე ლ ე ბ ი–სამხრეთ მესოპოტამიაში მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის მიდამოებში, სპარსეთის ყურის ჩრდილო–დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები სემიტური ტომები, ძვ.წ. X-IV ს. იბრძოდნენ ასურელებთან ბაბილონის დაუფლებისათვის. ძვ.წ 625–536ბაბილონს მართავდა ქალდეველთა დინასტია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალბაბილონურ სამეფოს.

ქალდეველები, <https://ka.wikipedia.org/wiki>

თავი XI

ო ქ რ ო ს ს ა უ კ უ ნ ე ა) ესპანური კლასიკური ლიტერატურის(მე–16 საუკუნის მეორე ნახევარი–მე–17 საუკუნის პირველი ნახევარი) მეტაფორული მნიშვნელობა. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ: მიგელ დე სერვანტესი, ლოპე დე ვეგა, ტირსო დე მოლინა,

პედრო კალდერონი, ლუის დე გონგორა–ი–არგოტე, ფრანსისკო დე კევედო, ბალთასარ გრასიანი Золотой век в испанской литературе, <http://megabook.ru/>;

ბ)ესპანეთის სამფლობელოების მნიშვნელოვანი გაფართოება (მე–16 საუკუნე), პოლიტიკური გამარჯვებების ხანა.

რ ა ბ ე ლ ი–ფანდურის მსგავსი პრიმიტიული სამსიმიანი საკრავი (ნ. აგიაშვილი).

როზმარინი–(Rosmarinus), მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა. მარადმწვანე, 0,5-2 მ სიმაღლის ბუჩქებია. 1-3 სახეობა იზრდება ხმელთაშუაზღვისპირეთში. ფოთლებიდან და ყვავილიანი ყლორტებიდან იღებენ ეთეროვან ზეთს, რომელსაც იყენებენ პარფიუმერიასა და მედიცინაში. სამკურნალო როზმარინი (Rosmarinus officinalis) კულტივირებულია ევროპაში

როზმარინი,<https://ka.wikipedia.org/wiki/>;

თავი XII

ქალაქ ს ა ლ ა მ ა ნ კ ი ს უნივერსიტეტი–(277 კილომეტრზე მადრიდის ჩრდილო–დასავლეთით) განთქმული იყო XVI საუკუნეში თავისი სწავლულებითა და ითვლიდა 10 000 სტუდენტზე მეტს, აქ უმთავრესად ასწავლიდნენ იურიდიულ მეცნიერებას (ნ.აგიაშვილი).

ვ ი ლ ი ა ნ ს ი კ ო–სამტაეპიანი რთულრითმიანი პატარა სიმღერა; ჯერ განსაკუთრებით რელიგიური შინაარსი იყო, მაგრამ შემდეგ თხზავდნენ სამიჯნურო და სხვა თემებზეც(ნ.აგიაშვილი).

თავი XIII

ლ ა ნ ს ე ლ ო ტ ი–საშუალო საუკუნეების მრავალ თქმულებათა გმირი. ართურ მეფის „მრგვალი მაგიდის“ ერთ–ერთი წევრი(ნ.აგიაშვილი).

კ ა რ ტ ე ზ ი ა ნ ე ლ ბერთა ორდენი (XI საუკუნეში დაარსდა) ის თავის წევრთათვის ცხოვრების უჩვეულო სასტიკ წესებს მოითხოვდა(ნ.აგიაშვილი).

„ი გ ი ა რ ც მველი საუკუნეების“...აქ ჩამოთვლილია მველი დროისა და სერვანტესის თანამედროვე ეპოქის სახელოვანი გვარიშვილები და პიროვნებანი. თქმულების თანახმად, ერთხელ შუა რომში გაჩნდა დიდი უფსკრული. ერთმა წინასწარმეტყველმა თქვა, ეს უფსკრული რომს დაღუპავსო, თუ იგი არ ამოივსო იმით, რაც ამ ქალაქში საუკეთესოაო. კ უ რ ც ი უ ს ი ს გვარის ერთი ჭაბუკი ნებაყოფლობით ჩავარდა ამ უფსკრულში, და,

მან, თითქოს, დაუყოვნებლივ პირი შეიკრა (362 წ.ძვ, წელთაღრიცხვით); გაიოსი იულიუს კეისრის სახელია; სციპიონ აფრიკელი – რომის სარდალი, დაიპყრო კართაგენი (III–II საუკუნეები ძვ.წელთაღრიცხვით); კოლონა და ორსინი – რომის ორი წარჩინებული გვარი... ქვემოჩამოთვლილი სხვა გვარის წარმომადგენლები ისტორიაში იმდენად გამოჩენილნი არ არიან (ნ. აგიაშვილი).

მრგვალი მაგიდა – გადმოცემით, ზღაპრულმა მეფე ართურმა, საშუალო საუკუნეების სარაინდო რომანების გმირმა, თავის რაინდებთან სანადიმოდ გააკეთებინა მრგვალი მაგიდა, რათა ამ მაგიდას არ ჰქონოდა არც „უკეთესი“ (უფრო საპატიო) არც „ცუდი“ ადგილი, რამდენადაც ყველა მისი რაინდი თანასწორი უნდა ყოფილიყო ვაჟკაცობითა და დამსახურებით (ნ. აგიაშვილი).

თავი XIV

ტახო – მდინარე ესპანეთში. ბეტიის – მდინარე გვადალკვივის (ესპანეთშია) ძველი სახელი (ნ. აგიაშვილი).

ნერონი – რომის იმპერატორი (I საუკუნე ახალი წელთაღრიცხვით), გადმოცემის თანახმად, განგებ გადააწვევინა რომი, რათა უზარმაზარი ხანძრის საუცხოო სანახაობით დამტკბარიყო (ნ. აგიაშვილი).

თავი XV

იანგვესელეი – სოფელი იანგვასის (სეგოვიის პროვინციაშია) მცხოვრებნი (ნ. აგიაშვილი).

ფერტაბლასი – სანჩო მეტად მასხრულად ამახინჯებს რამდენიმე რაინდული რომანის გმირ ფიერეზასის სახელს (ნ. აგიაშვილი).

პენია პობრე – აქ მოხსენიებულია შემდეგი ეპიზოდი „ამადის გალელიდან“: როცა ამადისს დაეკარგა ორიანას შერთვის იმედი, გადაიხვეწა პატარა კლდოვან უკაცრიელ კუნძულზე. ამ კუნძულს პენია პობრე ეწოდებოდა, რაც „ლატაკ კლდეს“, ლატაკ ფლატეს“ ნიშნავს... ბელტენეზოსი „პირქუმ მზეჭაბუკს“ ანდა „მჭვუნვარე მშვენიერს“ ნიშნავს (ნ. აგიაშვილი).

დუშაყი (პალვანდი) – ბორკილი, ხუნდი (გადატ. კაპიტალიზმის ბორკილები, უღელი.)

ონლაინ ლექსიკონი, <http://translate.voov.me/>;

თავი XVI

კ უ რ ტ ა ნ ი–პალანი; საპალნის უნაგირი საკიდართა ხვასტაგთა: აქლემთა, ჯორთა, ვირთა და მისთანათა, седло вьючных скотов

Грузинско-русский словарь Нико Чубинашвили, <http://www.dicopedia.com/>;

ქ ა მ ა ნ დ ა რ ი - ა) მშვილდისრის მსროლელი

ძველი ქართული სიტყვების ლექსიკონი, <http://evpatori.ge>;

ჩ უ ბ ი ნ ი–„ესე არს კაცი ისართა, თოფთა, ქვათა უცდენელად ისროდეს“

ლექსიკონი ქართული, <http://www.nplg.gov.ge>;

კ ა ბ ა ლ ე რ ო– ა) რაინდი, აზნაური (ესპანეთში, შუა საუკუნეებში);

ბ) მამაკაცისადმი მიმართვის თავაზიანი ფორმა ესპანეთსა და ზოგიერთ ესპანურენოვან ქვეყანაში

Кабальеро, <http://dic.academic.ru>;

თავი XVII

ჩ ა რ ე ქ ა–1. ღვინის საწყაო ჭურჭელი, თიხისა, ერთი ან ორჩარეჯიანი ტევადობის. ჩარექას პატარა ტუჩი „ჭოჭი“ უკეთდება ღვინის ჩამოსასხმელად, აღნაგობით ხელადის მსგავსია. მასზე დიდი მოთხოვნილება იყო სოფლად თუ ქალაქად. მედუქნეები ღვინოს ამ საწყაოთი აწვდიდნენ მყიდველებს. ჭურჭელი იმდენი ღირდა, რამდენი ჩარექა ღვინოც ეტეოდა მასში. რაჭაში ჩარექასა და ლიტრას თანაბარი ოდენობის საზომ ჭურჭლად მიიჩნევენ. ძველი ჩარექა კილოგრამზე პატარა ყოფილა (ფუთში 20 ჩარექა ჩადიოდა). ხუთჩარექიან საღვინე დოქს „თუნგიანს“ უწოდებდნენ (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge>); 2. სითხის საწყაო, ერთ ლიტრამდე ჭავახური ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge>;

3. ერთი მეოთხედი (ქალაქური ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge>).

ს ა კ მ ე ლ ა– 1.მცენარეა. სასიამოვნო სუნი აქვს.

ზაჭმელი ბალახი, დაკბილული ფოთლები აქვს, ფცქვნიან და ჭამენ. ჭავახური ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge>)

3. (Cistus), მცენარეთა გვარი საკმელასებრთა ოჯახისა. ბუჩქებია, სიმაღლე 2მ-მდე აღწევს. ქერისებრ შებუსვილია ვარსკვლავისებრი და ჯირკვლოვანი ბეწვებით. საკმელა ხმელთაშუაზღვისპირეთის მაკვისის დამახასიათებელი მცენარეა. (საკმელა, <https://ka.wikipedia.org/wiki>)

თავი XVIII

ტ რ ა კ ო ბ ა ნ ა – (უფრო სწორად ტაპრობანა)–კუნძულ ცეილონის ძველებური სახელი (ნ.აგიაშვილი).

გ ა რ ა მ ა ნ ტ ე ბ ი–ზღაპრული ხალხი. ძველი ავტორების აზრით, ისინი თითქოს შუა აფრიკაში ცხოვრობდნენ (ნ.აგიაშვილი).

ტ ო ლ ო მ ა–1. ფართო სამოსელი ბეწვიანი (ტოლომა, ГРУЗИНСКО-РУССКИЙ СЛОВАРЬ НИКО ЧУБИНАШВИЛИ, <http://www.classes.ru/all-georgian>); 2. ქალის წამოსასხამი. მასალად სეზონის მიხედვით არჩევდნენ, ზამთარში მუქი ფერის მაუდს, ხავერდს, მირინოსს, ზაფხულობით კი ფერად-ფერად აბრეშუმეულობას. ფორმით ორგვარი იყო: გრძელი და მოკლე. მხრებზე მორგებული და ყელთან ერთი სამაგრიტ დამაგრებული ეს წამოსასხამი უსახელო იყო, საყელოიანი და ნაბდისებურად მოყვანილი, ბოლოსაკენ გაგანიერებული. საზამთროს ბეწვი ჰქონდა გამოკრული, სხვა შემთხვევაში ბამბაფენილი და დალიანდაგებული სარჩულით კერავდნენ. საბას განმარტებით, დიდ ტოლომას „გალატონი“ რქმევია, ხოლო-პატარას „ქუქუნაკი“ (ტოლომა, ტალმა, ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/>).

თავი XX

როცა დონ კიხოტი უბრაზდება სანჩოს, ის ყოველთვის „თქვენობით“ მიმართავს მას (უნდა აღინიშნოს, რომ ეს თავაზიანობის გამომჟღავნება როდია: როგორც ძველ, ისე თანამედროვე ესპანურ ენაში ურთიერთმიმართვის ერთადერთი „თავაზიანი“ ფორმაა– „თქვენო მოწყალება“, მაგალითად, „თქვენი მოწყალება ჰკითხულობდა“, „დაე, თქვენი მოწყალება შემობრძანდეს“ და ა.შ.), ორიოდ რეპლიკის შემდეგ დაშოშმინებული დონ კიხოტი კვლავ „შენობით“ ელაპარაკება სანჩოს (ნ.აგიაშვილი).

ს ა მ თ ე ლ ა ვ ო–იგულისხმება ნაბდისა და მაუდის სათელი ქარხანა.

გ ვ ა დ ი ა ნ ა–მდინარე ესპანეთსა და პორტუგალიაში, სათავე აქვს ლამანჩის პლატოზე, მიედინება ახალი კასტილიის ზეგანზე, შემდეგ ესტრემადურის დაბლობზე, კვეთს ალენტეჟუს ვაკეს, ესტუარით ერთვის კადისის ყურეს(ატლანტის ოკეანე);

გვადიანა, <https://ka.wikipedia.org/wiki>

თავი XXII

გ ა ლ ე რ ა –ძველებური დროის ნიჩბებიანი საომარი ხომალდი, რომელზედაც მენიჩბეებად იყვნენ მონები, ტყვეები და დამნაშავენი. გალერაზე გაგზავნა ითვლებოდა უმძიმეს სასჯელად(ნ.აგიაშვილი).

გ უ რ ა პ ე ბ ი–სიტყვა ქურდების ჟარგონიდან (ნ.აგიაშვილი).

დ უ კ ა ტ ი–ვენეციური ოქროს ფული(ნ.აგიაშვილი).

თავი XXIII

ტ რ უ ბ ა დ უ რ ი–1. შუა საუკუნეების პროვანსში (სამხრეთ საფრანგეთში): მოხეტიალე პოეტ-მომღერალი.

2. იტყვიან ადამიანზე, რომელიც აქებს, ადიდებს რასმე (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge>).

თავი XXIV

ს ი ე რ ა ნიშნავს კბილანამწვერვალეზიან „მთაგრეხილს“ (უფრო სწორად, „ხერხს“) (ნ.აგიაშვილი).

თავი XXV

ა ბ ა ტ ი–კათოლიკეთა მონასტრის წინამძღვარი (ნ.აგიაშვილი).

ჰ ი ჰ ო გ რ ი ფ ი–ზღაპრული ცხოველი, ნახევრად ცხენი, ნახევრად ფასკუნჯი (ზღაპრული ფრინველი) ა ს ტ ო ლ ფ ი, ბ რ ა დ ა მ ა ნ ტ ი და ცხენი ფ რ ო ნ ტ ი ნ ო „შმაგ როლანდში“ არიან მოხსენიებული (ნ.აგიაშვილი).

ბ ა რ ა–თამაშია, სადაც მოთამაშენი ოსტატურად ახვედრებენ მიზანში რკინის პალოს.

თავი XXVI

A v e M a r i a–კათოლიკეთა ლოცვა ღვთისმშობლის მიმართ(ნ.აგიაშვილი).

ბ ე ნ ე ფ ი ც ი ა–საეკლესიო შემოსავალი განსაზღვრული მიწებიდან კათოლიკურ ეკლესიაში(ნ.აგიაშვილი).

თავი XXVIII

მწყემსი ქალის მიერ მოთხოვნილი ამბის მსგავსი შემთხვევა მართლაც მოხდა 1581–1582 წლებში ჰერცოგ დე ო ს უ ნ ი ს ოჯახში. მოგონილი და ნამდვილად მომხდარი ამბები ხშირადაა არწერილი სერვანტესის თხზულებებში(ნ.აგიაშვილი).

თავი XXXIV

ქ ლ ო რ ი დ ა–ძველ ბერძენთა გაზაფხულის და ყვავილების ქალღმერთი, დასავლეთის ქარის ღვთაება–ზეფირის მეუღლე(ნ.აგიაშვილი).

თავი XXXVI

შ ა ვ ნ ი ლ ბ ი ა ნ ი–სერვანტესის დროს წარჩინებული დიდგვაროვანი ესპანელები მოგზაურობის დროს ხშირად შავი ფარჩის ნიღბებს იკეთებდნენ,რაც მათ სახეს მტვრისა და ტალახისაგან იფარავდა(ნ.აგიაშვილი).

თავი XXXVII

ი ნ ფ ა ნ ტ ა–)პრინცესა; ბ)მეუღლე; გ)სამეფო ტიტული; დ)გოგონა 7 წლამდე

Общелексический словарь (испанско-русский),
<http://www.diccionario.ru/t/general/general/perevod/infanta>)

ი ნ ფ ა ნ ტ ი–ესპანეთისა და პორტუგალიის ყოფილი სამეფოების ტახტის მემკვიდრე, უფლისწულინ.აგიაშვილი).

თავი XXXVIII

გ ო ლ ე თ ა–ნავსადგური ტუნისში (ნ.აგიაშვილი).

მ ა ლ თ ი ს ო რ დ ე ნ ი–რაინდთა საერთაშორისო გაერთიანება, დაწესებული 1530 წელს. მალთის რაინდებს დამოუკიდებელ სამფლობელოდ გადაეცათ კუნძული მალთა და მათ თურქეთთან ბრძოლისათვის ბაზად გადააქციეს იგი, რითაც დიდ დახმარებას უწევდნენ ესპანეთს(ნ.აგიაშვილი).

ნ ა ვ ა რ ი ნ ი–ნავსადგური საბერძნეთის სამხრეთ–დასავლეთ სანაპიროზე(ნ.აგიაშვილი).

ლ ა პ რ ე ს ა“ –ნიშნავს „ნადავლს“ „ბ ა რ ბ ა რ ო ს ა“–წითელწვერას“(ნ.აგიაშვილი).

თავი XL

ბ ა ნ ი ო–არაბული სიტყვაა, ნიშნავს საპყრობილეს(ნ.აგიაშვილი).

ს ა ა ვ ე დ რ ა–თვითონ სერვანტესის გვარი. გამოგონილი ამბები აქ გახლართულია მავრების მიერ სერვანტესის დატყვევების მოგონებებთან(ნ.აგიაშვილი).

ლ ა კ ა ტ ა (ან ლ ა ბ ა ტ ა)– ციხე–სიმაგრე, მდებარეობს ორ მილზე ქალაქ ორანიდან წავსადგურია ალჟირში)(ნ.აგიაშვილი).

ბ ე რ ბ ე რ ა–ჩრდილო აფრიკის მუსულმანური ოლქების საერთო სახელი(ნ.აგიაშვილი).

ე ს კ უ დ ო–ძველებური ესპანური ოქროს ფულია(ნ.აგიაშვილი).

ბ ა რ კ ა ს ი–მომცრო იალქნიანი ხომალდი(ნ.აგიაშვილი).

თავი XLI

თ ა გ ა რ ე ლ ე ბ ი–(არაბული სიტყვიდან–თეგრი–მოსაზღვრე“)უწოდებდნენ 1492 წლის შემდეგ ესპანეთში დარჩენილ მავრებს, რომლებიც შეერივნენ ესპანელ მოსახლეობას(ნ.აგიაშვილი).

ა ლ ბ ა ნ ე ლ ი მ ა მ ი–ასე ერქვა თურქეთის ფლოტის უფროსს, რომლის ხელქვეითიც იყო სერვანტესის დამტყვევებელი ზღვის ავაზაკინ.აგიაშვილი) .

ვ ე ლ ე ს–მ ა ლ ა გ ა–პატარა ქალაქი, მდებარეობს 18 კილომეტრზე, ქალაქ მალაგის აღმოსავლეთით, ესპანეთის სამხრეთ სანაპიროზე(ნ.აგიაშვილი) .

არ კ ე ბ უ ზ ა–ძველებური კაჟიანი თოფი წ.აგიაშვილი).

თავი XLII

ა უ დ ი ტ ო რ ი–მსაჯულის, მოსამართლის ძველებური სახელწოდებანი.აგიაშვილი).

თავი XLIV

1. ჩ ა თ უ ქ ე ს ა ნ ი–ეს სიტყვა ნახმარი აქვს დ. მესხს თავის სცენარებში. მე მივწერე ავტორს, როგორ გესმის - მეთქი**ჩათუქესანი** და აი, რა მომწერა: „ეს თითქმის იგივე ავარაა, მხოლოდ უფრო ზრდილი და პატიოსანი. ავარა ხელს აწერს ბევრ სიბინძურესაც. **ჩათუქესანი** ამისთანებს არ იკადრებს. მოქეიფეა, ძმაბიჭობს, კარგი უნარიც აქვს. ავარასთან შედარებით მაღალი ფენისაც არის... იყო, ე. ი. **ჩათუქესნები** მოიჭამნენ ...“ (დ. მესხის წერ. ჩემდამი, 1935 წ., 10 მაისი). მოქეიფე. „ხშირად მომხდარა, რომ ქუდს თან აჰყვება პარიკი და თავმომწონე ჩათუქესანი სირცხვილეული რჩება“ (აკაკი, „სალამი“, „ივ“., 1986 წ., № 209). „ერთხელ ვ. აბაშიძე დამთვრალა და პოლიციაში წაუყვანიათ. მორიგე მქმი შეადგინა და ვასოს მიუბრუნდა: - რა გვარი ხართ? - ალექსეი ვასილევჩი **ჩათუქესანსკი** - ირონიულად მიუგო ვასომ (ალ. იმედ.).
2. ავარა, ჯიბის მომჭრელი (დანით ქისის, ფულის მოჭრა). „უცებ საიდღამაც მიწის გველივით გამოტყვრა ერთი ჩათუქესანი ბიჭი, პატარძალი თვალწინ მოსტაცა და თავისთან წაიყვანა“ („დრ“., 1983 წ., № 85). ჩათუქესნობა - „...ამ ჩვენის დროების რაინდს ჩათუქესნობას უქებენ“ (ილია). „ვინ არის ი. გრიშაშვილი? ერთი იმ უბნელთაგანი, საიდანაც... ჩათუქესნობის გზას დაადგინენ“ („კომ. წითელი ქულაჯით, ჩათუქესნურად მორთული“ (აკაკი, წერ. ს. მერკვ. - თან)

გრიშაშვილი იოსებ, ქალაქური ლექსიკონი: (საარქივო მასალა)/[გამოსაც. მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა]. – თბ.: სამშობლო, 1997 (სამშობლო). – 304გვ; <http://www.nplg.gov.ge/>

თავი XLV

ა გ რ ა მ ა ნ ტ ე ს ბ ა ნ ა კ ი–მოხსენიებულია არიოსტოს „შმაგ როლანდში“(წ.აგიაშვილი).

თავი XLVII

S u m u l a s–ლოგიკის მოკლე ნარკვევი“. ეს ააღვთისმეტყველ გ ა ს პ ა რ ო კ ა რ დ ი ლ ი ზ ო დ ე ვ ი ლ ი ა ლ პ ა ნ დ ო ს თხზულება, გამოცემული 1557 წელს. ეს იყო ყველაზე მეტად გავრცელებული ლოგიკის სახელმძღვანელო იმ დროში წ. აგიაშვილი).

ა მ ბ ა რ ი (ამბრის სურნელი)– აქ: 1. ცვილისებრი ქარვისფერი სურნელოვანი ბალზამი, 2. ცვილისებური ნივთიერება(ამბარი,<https://ka.wikipedia.org/wiki/>);

3.უმეტესად მიიღება ამბრის ხისაგან (უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი,<http://www.nplg.gov.ge/>);

4. ცვილისებრი ნივთიერება, რომელსაც კაშალოტი გამოყოფს; იყენებენ პარფიუმერიაში (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/>).

ჯ ა ზ ა ი რ ი – ჯაზეირი - ძველებური პირფართო და გრძელი თოფი (უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge/>).

თავი XLVIII

ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ო თ ხ ი ნ ა წ ი ლ ი – მაშინ ავსტრალია ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი (ნ. აგიაშვილი);

დ რ ა მ ა [ბერძ. Drama მოქმედება, წარმოდგენა] – 1. ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც დაწერილია დიალოგებად და განკუთვნილია სცენაზე დასადგმელად. 2. ამ ტიპის ნაწარმოები, სერიოზული, მაგრამ არა გმირული შინაარსისა (კომედიისა და ტრაგედიისაგან განსხვავებით). 3. (გადატ.). მძიმე შემთხვევა; უბედურება.

დრამა, www.bu.org.ge/books/

თავი LII

ა რ გ ა მ ა ს ი ლ ი ა – დე – ალბა – (ესპ. Argamasilla de Alba) ქალაქი და მუნიციპალიტეტი ესპანეთში, სიუდად-რეალის პროვინციაში (ნ. აგიაშვილი).

მ ო ნ ი კ ო ნ გ ო – ნიშნავს „კონგოს (აფრიკაში) მცხოვრებს“ (ნ. აგიაშვილი).

პ ა ნ ი ა გ უ ა დ ო – „პურისა და წყლის მიმღები“ (ნ. აგიაშვილი).

კ ა კ რ ი ჩ ო ს ო – ნიშნავს ხუმტურის მოყვარულს, ახირებულს (ნ. აგიაშვილი).

ბ უ რ ლ ა დ ო რ ი – ნიშნავს „დამცინავს“, „მქირდავს“ (ნ. აგიაშვილი).

კ ა ჩ ი დ ი ა ბ ლ ო – ნიშნავს „რქიან ეშმაკს“, „ეშმაკუნას“. სერვანტესის დროს ასე ერქვა ერთ ცნობილ ალჯირელ მეკობრეს – სახელგანთქმული რენეგატის ბარბაროსას ოფიცერს, რომელმაც კარლო V დროს რამდენიმეჯერ მოაწყო თავდასხმა ვალენსიის სანაპიროზე (ნ. აგიაშვილი).

ტ ი კ ი ტ ო კ ი – ალბათ ხმაბამვეთი ხასიათის სახუმარო სახელია (როგორც, მაგალითად, „ტიკ-ტაკ“, „ტუკ-ტუკ“ და ა.შ.) ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ სერვანტესმა ის აიღო იტალიური სიტყვიდან „ტოქიო“, რაც ნიშნავს „სიგიჯეს“, „ხუსტურს“. საერთოდ, ეს გამოგონილი სასაცილო სახელები ა რ გ ა მ ა ს ი ლ ი ი ს აკადემიკოსებისა, სადაც არავითარი აკადემია არ არსებობდა, იმ დროის მწერლების დაცინვაა, რომლებიც სხვადასხვა უცნაურ სახელებს ირქმევდნენ. სერვანტესის დროს ის-ის იყო დაიწყეს აკადემიების ჩამოყალიბება ესპანეთის მთავარ ქალაქებში: მადრიდს, ვალენსიას, სევილიას და სხვ. ისეთ ღატაკ სოფელში კი, როგორც არმაგასილია იყო, აკადემიის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა. სერვანტესი, მაშინდელ იტალიელ აკადემიკოსთა ჩვეულებისამებრ, სასაცილო სახელებს არქმევს არგამასილიის აკადემიკოსებს (ნ. აგიაშვილი).

სარჩევი

სერვანტესი მ. მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელი.

წიგნი I.

1. თავი I სადაც მოთხრობილია სახელოვანი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელის ზნე-ხასიათისა და ჩვეულების ამბავი.....
2. თავი II დონ კიხოტის პირველი გამგზავრება თავისი სამფლობელოდან.....
3. თავი III სადაც მოთხრობილია, თუ რა სასაცილო წესით დალოცეს რაინდად დონ კიხოტი.....
4. თავი IV იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა ჩვენს რაინდს ფუნდუკიდან გასვლის შემდეგ.....
5. თავი V სადაც გრძელდება ჩვენი რაინდის ბედუკუდმართი ამბები.....
6. თავი VI თუ რა გულდასმითა და სეირით გასინჯეს მღვდელმა და დალაქმა ჩვენი მახვილგონიერი იდალგოს ბიბლიოთეკა.....
7. თავი VII ამბავი ჩვენი გულკეთილი რაინდის დონ კიხოტ ლამანჩელის მეორედ გამგზავრებისა.....
8. თავი VIII სახელოვანი დონ კიხოტის შესანიშნავი გამარჯვება და აქამდე არნახული საშინელი ფათერაკები ქარის წისქვილებთან და, აგრეთვე, სხვა ღირსსახსოვარი და სასიამოვნო ამბები.....
9. თავი IX სადაც მოთხრობილია მამაც ბისკაელსა და სახელოვან ლამანჩელს შორის გასაოცარი ბრძოლის ბოლო და დასასრული.....
10. თავი X დონ კიხოტისა და მისი საჭურველმტვირთველის სანჩო პანსას მახვილგონიერული საუბარი.....
11. თავი XI იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა დონ კიხოტს თხის მწყემსებთან.....
12. თავი XII რა უამბო ერთმა თხის მწყემსმა დონ კიხოტთან მყოფ თავის ამხანაგებს.....
13. თავი XIII რომელიც ეხება მწყემსი-გოგო მარსელას მოთხრობის დასასრულს და სხვადასხვა ამბები.....
14. თავი XIV სადაც მოყვანილია აწგანსვენებული სასოწარკვეთილი მწყემსის ლექსები და სხვა მოულოდნელი ამბები.....
15. თავი XV სადაც მოთხრობილია უსიამოვნო ფათერაკი, დონ კიხოტს გულქვა იანგვესელებთან შეხვედრისას რომ შეემთხვა.....

16. თავი XVI იმის შესახებ, თუ რა შეემთხვა მახვილგონიერ იდალგოს ფუნდუკში, ციხე-დარბაზად რომ მოეჩვენა.....
17. თავი XVII სადაც აღწერილია შემდგომი აურაცხელი გაჭირვება, მამაცმა დონ კიხოტმა და მისმა ერთგულმა საჭურველმტვირთველმა რომ გამოსცადეს ფუნდუკში, რომელიც რაინდს თავის საუბედუროდ ციხე-დარბაზად მიაჩნდა.....
18. თავი XVIII სადაც მოთხრობილია სანჩო პანსას საუბარი მის ბატონთან და კიდევ საამბოდ ფრიად ღირსშესანიშნავი სხვადასხვა ფათერაკები.....
19. თავი XIX სანჩო პანსას გონივრული საუბარი თავის ბატონთან, მკვდარ კაცთან მომხდარი ფათერაკი და აგრეთვე სხვა ღირსშესანიშნავი ამბები.....
20. თავი XX არნახული და გაუგონარი გმირობა, რაც ამქვეყნად არც ერთ გამოჩენილ რაინდს უფრო მცირედი ხიფათით არ გადაუხდია, ვიდრე ეს ჩაიდინა სახელოვანმა დონ კიხოტ ლამანჩელმა.....
21. თავი XXI რომელიც მოგვითხრობს დიად ფათერაკებს მამბრინის ძვირფასი ჩაჩქანის დაპყრობას და მასთან სხვა ამბებს, ჩვენს უძლეველ რაინდს რომ შეემთხვა.....
22. თავი XXII თუ როგორ უბოძა დონ კიხოტმა თავისუფლება მრავალ უბედურს, რომელთაც იძულებით მიერეკებოდნენ იქითკენ, საითაც სრულიადაც არ უნდოდათ წასვლა.....
23. თავი XXIII თუ რა შეემთხვა სახელოვან დონ კიხოტს სიერა მორენაში, ანუ ერთ-ერთი ყველაზე საიშვიათო ფათერაკი, რაც მოთხრობილია ამ ნამდვილს ისტორიაში.....
24. თავი XXIV სიერა-მორენაში მომხდარი ფათერაკის გაგრძელება.....
25. თავი XXV სადაც მოთხრობილია სახელოვანი ლამანჩელი რაინდის სიერა-მორენაში შემთხვეული არაჩვეულებრივი ფათერაკები და სინანული, პირქუში მზეჭაბუკივით რომ იკისრა.....
26. თავი XXVI სადაც მოთხრობილია დონ კიხოტის შემდგომი სამიჯნურო თავგადასავალი სიერა-მორენაში.....
27. თავი XXVII როგორ შეასრულეს მღვდელმა და დალაქმა თავიანთი გეგმა და კიდევ ამ შესანიშნავ ისტორიაში მოსახსენებლად ღირსი ამბები.....
28. თავი XXVIII სადაც მოთხრობილია ახალი და სასიამო თავგადასავალი, ამავე მთებში მღვდელსა და დალაქს რომ მოუხდათ.....
29. თავი XXIX სადაც მოთხრობილია ის საუცხოო ხრიკი და ხერხი, რომელიც გამოიყენეს ნაკისრი მონანიებისაგან ჩვენი გამიჯნურებული კაბალეროს გამოსახსნელად.....
30. თავი XXX რომელიც მოგვითხრობს მშვენიერი დოროთეას მახვილგონიერებას და აგრეთვე მრავალ სხვა ჩვეულებრივ და თავშესაქცევარ ამბებს.....
31. თავი XXXI დონ კიხოტის ღირსშესანიშნავი საუბარი მის საჭურველმტვირთველ სანჩო პანსასთან და სხვა შემთხვევები.....

32. თავი XXXII სადაც მოთხრობილია, თუ რა შეემთხვა ფუნდუკში დონ კიხოტის ამალას.....
- 33.თავი XXXIII სადაც მოთხრობილია „უგუნური ცნობისმოყვარის ამბავი“.....
34. თავი XXXIV სადაც გრძელდება „უგუნური ცნობისმოყვარის ამბავი“.....
35. თავი XXXV სადაც მოთხრობილია სასტიკი და არაჩვეულებრივი ბრძოლის ამბავი, დონ კიხოტს რომ წითელი ღვინის ტიკებთან მოუხდა, და „უგუნური ცნობისმოყვარის ამბის“ დასასრული.....
- 36.თავი XXXVI სადაც მოთხრობილია ფუნდუკში მომხდარი სხვადასხვა საიშვიათო ამბები.....
- 37.თავი XXXVII სადაც გრძელდება ინფანტა მიკომიკონის ამბავი და სხვა თავშესაქცევარი ფათერაკები.....
38. თავი XXXVIII სადაც გადმოცემულია დონ კიხოტის საყურადღებო სიტყვა სამხედრო საქმესა და მწიგნობრობაზე.....
- 39.თავი XXXIX სადაც მოთხრობილია ტყვედნამყოფის თავგადასავალი.....
- 40.თავი XL სადაც გრძელდება ტყვედნამყოფის თავგადასავალი.....
41. თავი XLI სადაც ტყვედნამყოფი განაგრძობს თავის ამბავს.....
42. თავი XLII სადაც მოთხრობილია, თუ რა მოხდა კიდევ იმ ფუნდუკში, და ზოგიც სხვა რამ ღირსსაცნობი ამბავი.....
43. თავი XLIII სადაც მოთხრობილია მეჯორე ბიჭის საამო ამბავი და ფუნდუკში მომხდარი სხვა არაჩვეულებრივი ფათერაკები.....
44. თავი XLIV სადაც გრძელდება ფუნდუკში მომხდარი არაჩვეულებრივი ამბები.....
45. თავი XLV სადაც საბოლოოდ განიფანტება ეჭვი მამბრინის ჩაჩქანსა და კურტანზე, და მოთხრობილია სხვა ნამდვილად მომხდარი ფათერაკები.....
46. თავი XLVI ქამანდართა ღირსშესანიშნავი ფათერაკები და ჩვენი კეთილშობილი რაინდის დონ კიხოტის საშინელი მრისხანება.....
47. თავი XLVII სადაც მოთხრობილია დონ კიხოტ ლამანჩელის უცნაური მოჯადოება და სხვა ღირსშესანიშნავი ამბები.....
48. თავი XLVIII სადაც ბერი განაგრძობს მსჯელობას რაინდულ რომანებსა და მისი მახვილი გონების შესაფერ სხვა საგნებზე.....

49. თავი XLIX სადაც მოთხრობილია ფრიად გონივრული საუბარი სანჩო პანსასა და მის ბატონ დონ კიხოტს შორის.....
50. თავი L დონ კიხოტის მახვილგონივრული პაექრობა ბერთან და სხვა ამბები.....
51. თავი LI სადაც მოთხრობილია, თუ რა უამბო მწყემსმა დონ კიხოტის წამყვან ამფსონებს.....
52. თავი LII დონ კიხოტის ჩხუბი მწყემსთან და საიშვიათო ფათერაკი მლოცველებთან, რაც ჩვენმა რაინდმა დიდის ჯაფით ბედნიერად დააგვირგვინა.....

სერვანტესი „დონ კიხოტი“

ამონარიდები პირველი წიგნიდან

სერვანტესი მ. მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელი. წიგნი I. თბ.: „ნაკადული“, 1985, 551 გვ;

- ს ი ლ ა მ ა ზ ე ს ზრდილობა შვენის, უმიზეზოდ სიცილი კი უმართებულო საქციელია, რასაც დიდი რეგვენი სჩადის [1,42];
- მ ა მ ი ს ღვაწლი შვილს ღირსებად როდი ჩაეთვლება [1,65];
- ხშირად არის ხოლმე,- დღეის დაკარგულს ხ ვ ა ლ ვპოულობთ [1,72];
- დამნაშავეს ც ო დ ვ ა ხშირად მართალსაც მოეკითხება ხოლმე [1,73];
- რამდენი ყოფილა-მატყლის ს ა შ ო ვ ნ ე ლ ა დ წასულა და შინ გაკრეჭილი დაბრუნებულა [1,74];
- ბ ე დ ი ს უკუღმართობა ისე ხშირად არაფერს სჭირს, როგორც ომს;
- ო მ ი განპიროვნებული უკუღმართობაა [1,79];

- ყველას უფლებას აქვს ხელი გასძრას, როცა მისი გათახსირება სწადია ვინმეს [1,82];
- ნათქვამია, თავმდაბალს ღმერთი აღამაღლებსო [1,100];
- ტიკჭორასთან გულითადი საუბრით დამძიმებულ თავს მილი ურჩევნია, ვიდრე მუსიკა [1,105];
- ასჯერ კარგი უნდა იყოს კაცი, რომ მთელს მრევლს თავისი ქება ალაპარაკოს [1,109];
- მშვენიერი ყველას თავს გვაყვარებს, განა სამართლიანი იქნება მასაც სამაგიერო სიყვარული მოვთხოვოთ ყველამ? [1,125];
- თვალისმომტაცი მშვენიერება განა გულსაც იტაცებს? [1,125]'
- მარტო სილაშაზე რომ იმონებდეს გულს, მაშინ ხომ მარტო ურიგო გაუმაძღარი სურვილების ფორიაქს დავინახავდით ჩვენ გარშემო და ჩვენი სიცოცხლე მუდამ სიყვარულის საგნის გამოცვლა იქნებოდა [1,125];
- სიყვარული თავისუფალი უნდა იყოს და არა ძალდატანებითი [1,125];
- პატიოსანი ქალის სილაშაზე შორს მოელვარე ცეცხლს ანუ უძრავადმდებარე ხმაღს ედარება, ერთიცა და მეორეც მაშინ სწავს და სჭრის, როცა ახლოს ეკარებიან [1,125];
- ნამდვილი ჩვენი სილაშაზე სულის ღირსებაა, უამისოდ შეიძლება ლამაზი ვიყოთ, მაგრამ ლამაზად კი არ უნდა ვითვლებოდეთ [1,125];
- ნუთუ ქალი ვალდებულია თავისი საუკეთესო სამკაული მამაკაცის იმ წამიერ სურვილს უმსხვერპლოს, ჩვენს ჭეშმარიტ მშვენებას რომ გვტაცებს? [1,125];

- ტყუილად კი არ არის ნათქვამი- კ ა ც ი ძნელი საცნობიაო და ამ წუთისოფელში სანდო არა არის -რაო [1,132];
- ამ წუთისოფელში ისეთი ტკივილი არ არის და ისეთი უბედურებაც არ არსებობს, რომ მისი გახსენება დ რ ო მ არ გააქარვოს და სიკვდილმა არ განკურნოს [1,134];
- უდიდეს უბედურებაში ბ ე დ ი ერთ გასავალ კარს მაინც დატოვებს ხოლმე[1,134];
- ხშირად კ ა ც ი ერთს ეძებს და სულ სხვას პოულობს [1,138],
- თავის ქ ე ბ ა ადამიანს ამცირებს [1,138],
- იმ სიამოვნებას რა შეედრება პატიოსან ბრძოლაში რომ შენი მ ტ ე რ ი დამხობილი ნახო [1,153];
- შ ი შ ი გრძნობებს ურევს ადამიანს და გრძნობაარეული კი ნამდვილი სახით ვეღარას დაინახავს [1,158];
- ერთი კ ა ც ი მეორეზე რით უკეთესობს, თუ არა იმით, რომ ერთი მეორეზე მეტს აკეთებს[1,161];
- ქვეყანაზე ყველაფერს, კარგსაც და ავსაც, ს ა ზ ღ ვ ა რ ი აქვს [1,161];
- ყოვლადმოწყალე ღ მ ე რ თ ი, რომელიც ჰაერის კოლო-ბუზების, მიწის მატლებისა და წყლის თავკომბალებისათვის ზრუნავს, კეთილთა და ბოროტთა ზედა ერთნაირად აწვიმებს, მართალთა და ცოდვილთა ზედა მზის სხივებს თანაბრად ჰფენს“[1,162];
- უ კ ბ ი ლ ო პირი უდოლაბო წისქვილს მიემსგავსება, კბილი ჩვენთვის აღმასზე ძვირფასია [1,163];
- ქ ვ ე ყ ა ნ ა ზ ე ყველაფერი ისე არ კეთდება, როგორც ჩვენ გვსურს[1,168];
- დ ე დ ა კ ა ც ი ს ბუნება ეგეთია,-ისინი უყვართ, ვისაცა სძულან, და ისინი სძულთ, ვისაც უყვარან [1,177].
- არც ერთი გ ზ ა ისეთი ეკლიანი და ძნელი არ არის, როგორც ის გზა, რომელზედაც ფათერაკების მაძებარნი მიმოდიან [1,184];

- ისეთი ან დაზარაობის, ჭეშმარიტი აზრი არა ჰქონდეს; ან კი, მართლაც, ანდაზა რა არის, თუ არ გამოცდილებისგან დასკვნილი ჭეშმარიტება. ეს მეტადრე იმ ანდაზაზე შეიძლება ითქვას, რომელიც ამბობს: „ერთი კარი რომ მიიხურება, მეორე გაიღებო“ [1,185];
- ჩვენ, ადამიანებს, რომელნიც ყველა ჩვენგანის კაცობრივს ღირსებას ვცემთ პატივს, არ გვშვენის ჯალათად გავუხდეთ ჩვენთა მსგავსთ: ეს საქციელი ადამიანური ღირსების დამამცირებელია და მით უმეტეს მაშინ, როდესაც არავითარ სარგებლობას არ ვპოვებთ მასში [1,206];
- ავნი მუდამ უმადურნი არიან, და რადგან მათ გაჭირვება აიძულებს ის იმოქმედონ, რაც არ უნდა ჩაიდინონ და აწმყოს იქით მომავალს ვერ ხედავენ [1,211];
- მხატვარი თუ ცდილობს ხელოვნებით სახელი გაითქვას, მხოლოდ იმას მეცადინეობს საუკეთესო მხატვრების სურათებს მიჰბადოს. [1,233];
- ყმაწვილი კაცის სიყვარულს სიყვარული არ ეთქმის და იგი მხოლოდ წამიერი სიტკბოების სურვილია, გულის ჩქარა გამაგრებელი (რაიც ჭეშმარიტ სიყვარულზე არ ითქმის) [1,226];
- მიმბამველობა ყველას მოვალეობაა, ვინც სახელის გათქმას ისწრაფვის. ჩვენს მოქმედებაში შეგვიძლია ულისს მივბამოთ, რომელშიც ჰომეროსმა გონიერი და უბედობაში მტკიცე ხასიათის კაცი გამოიყვანა, სწორედ ისე, როგორც ვირგილიუსმა ენეასში მამის ერთგული შვილის სიქველე და მამაცი ჯართწინამძღვრის გამჭრიახობა და სიბრძნე დაგვიხატა. ჰომეროსმაც და ვირგილიუსმაც იმგვარად კი არ დაგვიხატეს თავიანთი გმირები, როგორებიც ნამდვილად იყვნენ, არამედ ისეთებად, როგორებიც უნდა ყოფილიყვნენ [1,233];
- ვიდრე ადამიანს სული უდგას, ქვეყანაზე ისეთი ჭირი არ მოიპოვება, რომ წმინდა გულით ნათქვამი რჩევა არ მოისმინოს [1,272];
- ადამიანისათვის მუსიკა ჩინებული დასვენებაა, დადლილ გულს შვებას აძლევს და გონებას ასვენებს [1,274];
- ამბობენ, დაგვიანებას ხიფათი მოსდევსო [1,289];
- ძვირის გახსენება ცუდკაცობააო [1,302];
- არავითარ მეგობრებს არ შეუძლიათ მეგობრობას ის მოსთხოვონ, რაც ღვთის მცნების წინააღმდეგია! თუ წარმართი იყო ამ აზრისა, მაშ ჩვენ, ქრისტიანებს, განა

ძვალ-რბილში არ უნდა გვეკონდეს გამჯდარი ეს რწმენა, ჩვენ, რომელთაც ვიცით, რომ არავითარ ადამიანურ გრძნობას ღვთაებრივი გრძნობა მსხვერპლად არ შეეწირება?[1,328];

- თუ ადამიანი მეგობრული მოვალეობის გულისთვის ღ ვ თ ი ს ა დ მ ი მოვალეობას ივიწყებს, ის მაინც უნდა იყოს, რომ ეს დავიწყება მარტო მაშინ მოხდებოდეს, როდესაც მეგობრის პატიოსნებისა ანუ სიცოცხლის დაცვამ მოითხოვოს, თუ არა, რას იტყვიან იმ კაცზე ვინც თავის საღვთო მოვალეობას დაარღვევს, აქაო და იმის მეგობარს მოეპრიანაო?[1.328];

- ქვეყნიურს ღ ვ ა წ ლ ს ადამიანი ან ღვთის გულისთვის ჩაიდენს, ანუ ქვეყნიური რამ სარგებლობისათვის და ან კიდევ ორივესთვის ერთად. 1.328];

- წ მ ი დ ა თ ა საქმენი – ღვთის სადიდებლად ჩადენილი ღვაწლია იმ ადამიანთაგან, რომელთაც სურთ ამქვეყნად ანგელოზებრივი ცხოვრება იგრძნონ. მიწიერი სარგებლობისთვის ჩადენილი საქმენი-იმ ადამიანთა საქმეა, რომლებიც უნაპირო ზღვებზე მიმოცურავენ, უცხო ქვეყნებში მიმოვლენ, ცივსა და ცხელს ჰაერს არ ერიდებიან, რაა სიმდიდრე შეიძინონ. დასასრულ, ღვთის სადიდებლად და ქვეყნის სასარგებლოდ ჩადენილი საქმენი – ეს მხედართა ღვაწლია, რომელნიც მტრის სიმაგრეში ზარბაზნად ყუმბარისაგან მცირეოდენ შენგრეულ ხვრელს დაინახავენ თუ არა, მსწრაფლ, იმ სურვილით გატაცებულნი, რომ სარწმუნოება დაიცვან, თავის ერსა და მეფეს სამსახური გაუწიონ, თამამად და უშიშრად იერიში მიაქვთ ციხეზე და იმას აღარ დასდევენ, რომ პირდაღებულ სიკვდილს წინ ეფეთებიან. აი ეს სახელოვანი საქმეებია მხოლოდ, რომ ადამიანი პატივით და დიდებით ჩაიდენს ქვეყნის სასარგებლოდ, ყველა გაჭირვებისა და შიშის მიუხედავად[1,329–330];

- სახელოვანი პოეტის ლუიჯი ტანსილოს პოემა „წმიდა პეტრეს ცრემლებიდან“ შემდეგი უნდა მოგაგონო: იმატა ს ე ვ დ ა მ და გამძაფრდა ქენჯნა ს ი ნ დ ი ს ი ს, რომ პეტრემ იგრძნო განთიადის მოახლოება, ზოგჯერ თუმც კაცის შეცოდება არავინ იცის,-გულს სინანული თავისთავად განეწონება. რა საჭიროა აქ სხვათაგან კიცხვა, ბრალდება? სინდისის ქენჯნა სათნო გულში თვით იბადება, ცოდვას მტანჯველი სინანულიც მუდამ თან მოსდევს, თუნდ ცა და მიწა არ ხედავდეს ამ სიბოროტეს.[1,330];

- ქვეყანაზე პ ა ტ ი ო ს ა ნ დედაკაცზე ძვირფასი არა არის-რა; დედაკაცის პატიოსნება კი იმაში მდგომარეობს კარგი აზრისანი იყვენენ იმაზე[1,331];

- ბუნების მ ე ც ნ ი ე რ ნ ი ერთი პატარა საოცარი თეთრი ბეწვის მქონე ცხოველს ყარყუმს ეძახიან და ამბობენ, მონადირენი მის დასაჭერად ამ ხერხს ხმარობენო: ჯერ გაიგებენ სად დადის ხოლმე, იმ ადგილს აატალახებენ, დაედევნებიან და ზედ იმ ტალახზე მიაგდენ; ყარყუმი ტალახში არასოდეს არ შევა და ურჩევნია მდევენელებს დაეჭერინოს, თავისუფლება და სიცოცხლე დასთმოს, ოღონდ უმტვერო, თოვლივით თეთრი ბალანი არ გაისვაროს!.. პატიოსანი და უბიწო ქ ა ლ ი ყარყუმსა ჰგავს. მისი სული თოვლზე უსპეტაკესია; და ვისაც უნდა მისი სისპეტაკე ბოლომდის დაიცვას, მის სიწმინდეს აფასებს, ისე როდი უნდა მოექცეს, როგორც–მონადირენი ყარყუმს. მისი ცხოვრების გზაზე აბეზარ თაყვანისმცემელთა საჩუქრებისა და გატაცებული არშიყობის სახედ ტალახი არ უნდა მოჰფინოს. ვინ იცის? ვაითუ იმდენი ძალა არა ჰქონდეს, ცდუნებას გაუძლოს. ყველა ასეთი რამ უნდა მოარიდოს კაცმა და მხოლოდ სიკეთის სიმშვენიერე და უზადო პატიოსნების ბრწყინვა-ელვარება უნდა დაანახოს. [1, 331–332];

- სათნო და ერთგული ც ო ლ ი ძვირფასი სარკეა, წმინდა და ელვარე, თვით მსუბუქი ქშენითაც დაუბინდავი. ქალს ისე უნდა მოექცეს კაცი, როგორც წმიდა რამ ნაწილებს შეეფერება – თაყვანი სცეს და ხელი კი არ შეახოს: იგი უნდა დაიცვას, როგორც ვარდ-ყვავილებით სავსე წალკოტი, რომლისაც ჭვრეტით დატკობა შეიძლება, მოწყვეტა კი აკრძალულია: ისიც საკმაოა, თუ გამვლელ-გამომვლელს იმ წალკოტის ღობიდან ჭვრეტა და სურნელებით დატკობა არ დაეშლება[1,332];

- ფეხის ტ კ ი ვ ი ლ ს მთელი ტანი გრძნობს, რადგან მასთან ერთად ერთ სხეულს შეადგენს. ამ ტკივილს თავიც გრძნობს, თუმცა იგი ფეხის ტკივილის მიზეზი სულაც არ ყოფილა. სწორედ ასევე ცოლის მწუხარებას ქმარიც უნდა გრძნობდეს, რადგან მასთან ერთ ხორცს შეადგენს[1,334];

- ყველა იგი ს ა უ ნ ჯ ე ხრწნადი ბუნების სუსტ საფუძველზეა დაყრდნობილი!.. შეუძლებელის მძებნელი კაცი შესაძლებელსაც ვედარ იპოვისეს მშვენივრად გამოხატა პოეტმა ამ სიტყვებით: ავდარში ვეძებ საამურ დარსა, ჭირში – სიმართლეს და ნეტარებას, სატუსალოში–თავისუფლებას, გაუვალ ჩიხში–გზას გასავალსა. მწარე ღალატში კი-ერთგულებას[1,339].

- „ამბობენ, ცუდია ლაშქრისათვის უ ს ა რ დ ლ ო დ და ციხე-სიმაგრისათვის უკომენდანტოდ დარჩენაო. მე კიდეც იმას დავუმატებ, რომ ყველაზე უფრო ცუდი ახალგაზრდა ქმრიანი ქალისათვის უქმროდ დარჩენაა, თუ ამას მეტად დადმნიშვნელოვანი გარემოება არ მოითხოვს“[1,342];
- ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი, როგორც, გამიგონია, ხან დადის და ხან დაფრინავს: ერთთან მირბის, მეორესთან მიხობხავს, ერთს აცივებს, მეორეს სახმილს ააპრიალებინებსო; აქეთ ჰკოდავს, იქით ჰკლავსო. ისეც მოხდება ხოლმე, რომ სიყვარულს თავის საქმე ჯერ არც კი დაუწყია, და ის კი არა თუ, მიზანს მიღწეულიც არის, დილით იერიში მიაქვს ციხეზე, სადამოს უკვე აღებული აქვს იგი[1, 347–348];
- ქალბატონების დ ა ც ე მ ა მოახლეებსაც თან იტაცებს და მათაც აკარგვინებს სირცხვილს; ერთი კი დაინახოს მოახლემ, რომ მისი ქალბატონი წაბორძიკდა, და მაშინ მას ორივე ფეხით კოჭლობაც აღარაფრად მიაჩნია[1,349];
- დედაკაცის ს ი ს უ ს ტ ე ს ასეთი შედეგი მოაქვს; ისინი თავისსავე მოახლეს უხდებიან მონად, იძულებულნი ხდებიან დაფარონ მათი ოინები და გარყვნილებაში ხელი მოუმართონ[1,349];
- ს ი მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ს ის თვისება აქვს, რომ ყველას იხმობს და იზიდავს[1,387];
- როდესაც იმ მ ი ზ ა ნ ს გავითვალისწინებთ, რა მიზანსაც თითოეული მათგანი ელტვის, და იმ აზრსაც დავადგებით, რომ მომეტებული პატივის ღირსი ხელობაა, რა ხელობაც დიადი და პატიოსანი განზრახვით აღიძრება თავი და ბოლო მწერლობისა და მწიგნობრობისა ის არის (საღვთო მწერლობაზე როდი მოგახსენებთ, სასუფეველში შესასვლელად რომ სულთა მომზადება აქვს მიზნად; ამ დიადს მიზანს სხვა ვერა რომელი ვერ შეედრება. მე საერთო მწიგნობრობაზე მოგახსენებთ), დიახ, მწერლობის თავი და ბოლო ის გახლავთ, მეგობრებო, რომ სამართლიან კანონის აღსრულებას დაეხმაროს, მართლმსაჯულებას გამარჯვება მისცეს და ყველას ის მიანიჭოს, ვის რა ეკუთვნის: თქმა არ უნდა, რომ დიდი და საპატიო მიზანია ეს მიზანი და ყოველივე ქების ღირსიც არის, მაგრამ მხედრობის მიზანს მაინც ვერ უდრის, რომლის განზრახვა და მეცადინეობა ის არის, ქვეყნიერებას კაცობრიობისათვის ყველაზე უაღრესი კეთილი-მშვიდობა მიანიჭოს. ლაშქრობის თავიდათავი მიზანი მშვიდობაა, ხოლო ლაშქრობა მხედრის ხელობაა[1,389];

- პირველი სასიხარულო ამბავი, იმ ღამეს ქვეყანამ რომ მოისმინა რა ღამის მსგავსი დღეს ჩვენ მოგვეცა, ის ამბავი იყო, რაც ან გ ე ლ ო ზ ე ბ მ ა ცაში გალობით აუწყეს კაცობრიობას: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა კაცთა შორის სათნოება“. აგრეთვე საუკეთესო ნეტარება, რომელიც ცისა და ქვეყნის უდიდესმა მოძღვარმა თავის საყვარელ მოწაფეთ ასწავლა, ის იყო, რომ ოდეს შევიდოდნენ ისინი ვისიმე სახლში, უნდა ეთქვათ: „მშვიდობა სახლსა ამას“.. ბევრჯერ ეტყოდა ხოლმე მათ იგი მოძღვარი: მე გაძლევთ თქვენ ჩემს მშვიდობას, იყოს თქვენდა მშვიდობა[1,389].

- მ შ ვ ი დ ო ბ ა ძვირფასი თვალია, თვინიერ რომლისაც არც ქვეყანასა ზედა და არც ცათა შინა ვერავითარი ბედნიერება ვერ შესაძლო არს. მხედრობის მიზანიც ეს მშვიდობაა და ამით იგი მწერლობის მიზანს აღემატება. მაშ ახლა შევადაროთ მხედრის სხეულებრივი შრომა მწიგნობრის სხეულებრივს შრომას, და ვნახოთ, რომელი მათგანი უფრო ძნელია [1,389].

- მეცნიერთა და მწიგნობართა ს ი ძ ნ ე ლ ე და გაჭირვება შემდეგია: ყველაზე უპირველესი, რაც მასთანვე უმთავრესიც არის – ს ი ღ ა რ ი ბ ე ა (ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ყველა მწიგნობარი ღარიბი იყოს, არამედ იმიტომ, რომ მინდა მათი ცხოვრების უცუდესი მხარე წარმოვიდგინოთ). რაკი სიღარიბე ვთქვი, ვგონებ საჭირო აღარ იქნება მწიგნობრის სხვა ბედკრულობაც მოვიხსენიო; იმიტომ, რომ ვინც ღარიბია, ქვეყანაზე კარგი აღარა ეჭირვება- რა[1,389].

- ს ი ღ ა რ ი ბ ე ს მწიგნობარი ხან ნაწილ-ნაწილ ითმენს; ხან შია, ხან ცივა და ხან ფეხშიშველია, ხანაც კიდევ ყველა ეს ერთად ემართება ხოლმე. ესეც კია, რომ იგი არასოდეს არ არის ისე ღარიბი, რომ ლუკმაპური ვერ იშოვნოს, თუმცა ეს ლუკმა იქნებ ცოტა გვიანაც შეხვდეს და ვინმე მდიდრის ნასუფრალიც იყოს. ყველაზე უდიდესი უბედურება მწიგნობრისათვის ის არის, რაც ჩვენში წვენზე სიარულს ეძახიან, ამას გარდა გათბობა სადმე სხვის სამზარეულოში შეუძლიათ ან სხვის ღუმელთან, და თუ მთლად გათბობას ვერ მოახერხებენ, ცოტა მაინც მოილხვობენ გაშეშებულ ტანს[1,389]

- მ წ ე რ ლ ე ბ ი) აქა-იქ მიხლა-მოხლით, ხან აქ წაბორძიკებით, ხან იქ წაქცევით, ერთგან წამოდგომით, რომ მეორეგან წაიქცნენ, ისინი ბოლოს თავიანთ მიზანს აღწევენ; და მაშინ ყველა იმ ეკლნარს გაცილებულნი, თავისებურ სცილასა და ქარიბდას შუა გავლილნი, თითქოს ბედნიერი ზურგის ქარით ხელშეწყობილნი, იმ სავარძლისკენ მიფრინავენ, საიდანაც მწყალობელი ფორტუნის ფრთებზე მაღლა მჯდარნი იწყებენ ქვეყნის მართვას, აღწევენ მაღალ თანამდებობებს და ნაცვლად შიმშილისა-მამღრისად ჭამენ, სიცივე საამო სიგრილედ ეცვლებათ,

ძონძების მაგიერ სადღესასწაულო ტანსაცმელს იცვამენ, ჭილობის ნაცვლად წმინდა ჰოლანდიურ ტილოს ზეწრებს იგებენ, დამასკურ ქსოვილებს იცვამენ და ფარდებსაც დიბისას იკეთებენ. ეს ყველა იმათ ცოდნისა და ნიჭის სამართლიან ჯილდოდ უხდებათ. მაგრამ, თუ ავწონით მათს შრომას და მხედართა შრომასთან შევადარებთ, ისინი ამათ ძალიან შორს ჩამორჩებიან[1,389].

- კასტილიური ანდაზა : კაცმა შესაძლოა დალატო მოიწონოს, მაგრამ მოლალა ტეკი – არასოდეს[1,401].
- ქვეყანაზე ისეთი განსაცდელი არ არის, არც იმგვარი მოუწყობლობა, რომ მახვილის ძალას წინ აღუდგეს და ცოდნის შესაძლებლობას გაუმაგრდეს; მით უმეტეს, როდესაც იმ მახვილსა და ცოდნას წინ უძღვის და თან ახლავს მშვენიერება[1,433].
- ნურასოდეს ნუ შევუკრთებით სიკვდილს, რომელსაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით[1,440].
- ზარმაცებს არ უწერიათ დიდი ზეიმი და გამარჯვება. მწამს, მხოლოდ იგი ბედნიერია, რომელიც აწრთო უბედურებამ, და არა იგი, ვინაც მხდალია, ან უსაქმურად მთქნარებაში დღენი დალია [1,440].
- ანდაზაა–ს ისწრაფე უცილობლად დედაა გამარჯვებისაო. დიდ საქმეებში მრავალგვარმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ საეჭვო რამ საქმეში კაცს მხოლოდ სწრაფი მოქმედებით ეძლევა გამარჯვება. ესეც ხდება, ვთქვა, რომ ეს ჭეშმარიტება ისე ბრწყინვალედ არსად გამომჟღავნებულა, როგორც სამხედრო საქმეში, გამბედაობითა და სისწრაფით, რომ მტრის განზრახვას დავასწრებთ, ჩვენ ამით მალე ვიმარჯვებთ ხოლმე, ვიდრე ის ჩვენს მოგერიებას მოასწრებს[1,467].
- უბედურება იმის ხვედრია ვინც თავისი ავკაცობით და სხვაგვარი დინებით შურს აღძრავს პრინცთა და რაინდთა გულში, რომელნიც ყველა ღირსებას ხმარობენ და თვით უპატიოსნო საშუალებასაც არ ერიდებიან, ოღონდ კი კეთილი გვამნი დაადაბლონ. მაინც კეთილმოქმედებისა და სათნოების ძალა იმგვარია, რომ მარტოდმარტო, თავისთავად ისეთ თვალთმაქცობის ძალასაც კი აუქმებს[1,477].
- ბოროტნი სიქველესა და სათნოებას უმეტესად სდევნიან, ვიდრე კეთილნი იმ სიქველეს პატივსა სცემენ[1,479].
- რომელიმე კარგ წიგნს რომ ვკითხულობთ, იმ ჰარმონიითა და სიმშვენიერით ვტკბებით, რა ჰარმონიაც ჩვენს სულს უნებლიედ ხიბლავს და იმონებს, წარმოადგენს რაცხადად, თუ ოცნებით მის მშვენიერებას, მაგრამ

სადაც უშვერობასთან ყოველგვარი წესების უარყოფასაც ხედავს კაცი, აბა ისეთი რამ ვინმეს როგორ დაატკბობს[1,482].

- ყველა მოგონილი ა მ ბ ა ვ ი იმდენად უკეთესია, რამდენადაც ნაკლებად ჰგავს მოგონილს, და იმდენად უფრო სასიამოვნოა და მოსწონს მკითხველებს, რამდენადაც უფრო მართალს მიემსგავსება. მოგონილმა ამბავმა მკითხველს აზრი უნდა აღუძრას, იგი ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ შეუძლებელს შესაძლებლად ხდიდეს, ყველა ახირებული უსწორმასწორობისაგან გაწმენდილი და გასუფთავებული უნდა იყოს, ისე რომ მკითხველის ყურადღება მიიპყროს, იგი სინამდვილედ სწამდეს, თანაც აღტაცებას, გაოცებას და კმაყოფილებას გვირდეს და სტკბებოდეს კიდევ. ამგვარს ვერაფერს შეხვდებით ისეთი მთხზველის ნაწერში, რომელიც ბუნებასა და სიმართლეს განზრახ შორდება[1,483].
- ისეთი სარაინდო წ ი გ ნ ი ჯერ არ წამიკითხავს, რომ მისი ფაბულის ყველა ნაწილი ერთ სხეულს შეადგენდეს, რომ შუაგული შეესაბამებოდეს დასაწყისს და დასასრული კიდევ დასაწყისს და შუაგულს. პირიქით მათი მკითხველნი სხვადასხვაფერ და აქა-იქ აღებულ ნაჭრებიდან შეკოწიწებულ ქიმერას ან საშინელებას ადგენენ, თითქოს განგებ უნდათ რაღაც მახინჯი და უხამსი ფიგურა გამოიყვანონ. ამას გარდა მათი ენა რაღაც ხორკლიანი და მოუხეშავია, ფათერაკები–დაუჯერებელი, სიყვარულის ამბები–ავხორცული, თავაზიანობასა და ზრდილობაზე წარმოდგენა–უხეში, ლაშქრობათა აღწერა–უსასრულო და დაუბოლოებელი, მსჯელობა–უაზრო, ხოლო მოგზაურობათა ამბები რაღაც დამთხვეული და სულელურია; ამ რომანებში აშკარად გამოსჭვივის მათი მთხზველის გონებრივი უბადრუკობა და სიბეჩავე, ისინი მოკლებულნი არიან ყოველივე ხელოვნურ ზომიერებას და შემოქმედებითი ძალის ნაპერწკალს[1,483].
- დაუნდობლად ვკიცხავ სარაინდო წ ი გ ნ ე ბ ს, მაგრამ, მიუხედავად... ჩამოთვლილი ნაკლოვანებებისა, მათში ერთ სიკეთეს ვხედავ, სახელდობრ – ასპარეზს, სარბიელს: ჭემმარიტ ნიქს ამ სარბიელზე ძალიან ფართოდ შეუძლია გაშლა და თავისი თავის ბრწყინვალედ გამოჩენა. იგი სარბიელი ფართო მოედანია, სადაც კალამს თავისუფლად შეუძლია მოძრაობა, შეუძლია სავსებით წარმოიდგინოს ქარიშხალი, ზღვის ფრთონა, გემების დაღუპვა, ომეგა და სხვა. მწერალს შეუძლია დაგვიხატოს სახელოვანი ვინმე სარდალი, ყველა იმ ნიჭით მორჭმული, რაც კი მისთვის დიდების მოსახვეჭად არის საჭირო: მისი ხელოვნება, გონიერება, მტრის განზრახვათა გამჭვრეტელობა, მისი შეძლება – მჭევრმეტყველურად გაუქარწყლოს ანუ დააჯეროს რამე თავის მხედრებს, თათბირში სიბრძნე და თავდაჭერილობა, საქმის აღსრულებაში სისწრაფე და მტრის მოგერიებაში იმდენადვე სიმტკიცე, რამდენადაც მტრის შეტევაში სიმკვეთრე [1,485].

- მ წ ე რ ა ლ ს შეუძლია გვიამბოს რამე სამწუხარო და სავალალო შემთხვევა, ხან მხიარული და მოულოდნელი ამბები: ერთ ალაგას რომ ვისმე პატიოსან, გონიერ და მშვენიერ ქალზე გლოვა მორთოს, მეორეჯერ–ვინმე ვაჟკაც, პატიოსან ქრისტიან რაინდზე დაიწყოს გოდება და თანაც თვალსაჩინო გარჩევისათვის ვინმე სულელი და ხეპრე მკვეხარა ამოუყენოს მას გვერდზე; მესამე ალაგს კიდევ ვინმე მამაცი, სახელოვანი და გულმობიერი უფლისწული გამოხატოს, მასთან სულგრძელ მთავართა სიუხვე აღწეროს და ერთგულ ყმათა პატიოსნება და შევრდომილება წარმოგვისახოს. ამგვარ თხზულებებში მწერალს შეუძლია თავი ხან ვარსკვლავთმრიცხველად გამოიჩინოს, ხაან სწავლულ კოსმოგრაფად, ან მუსიკის მცოდნედ, ხან სახელმწიფოს დიდ მოხელედ და ხან კიდევ თვალთმაქცადაც, თუკი ამას მოისურვებს და ან შემთხვევა მიეცემა. მას შეუძლია ზედმიყოლით, გამოხატოს და მოგვითხროს ულისეს ხერხიანობა, ენეასის სათნოება, აქილევსის მამაცობა, ჰექტორის უბედურებანი, სინონის ღალატი, ევრიალეს მეგობრობა, ალექსანდრეს სიუხვე, კეისრის ვაჟკაცობა, ტრაიანეს სულგრძელობა და ალალმართლობა, ზოფირეს ერთგულება, კატონის სიბრძნე და გონიერება და დასასრულ, ყოველგვარი ღირსება, რაც კი ამშვენებს და სრულჰყოფს გმირს, სულერთია – ერთ კაცს მიაკუთვნებენ ყველა ამ ღირსებას, თუ რამდენიმეს. და თუ ამგვარი თხზულება გონივრულად იქნა მოფიქრებული, სუფთა კილოთი დაწერილი და რაც კი შესაძლებელია, ნამდვილთან მიმსგავსებული, მაშინ მთხზველისაგან აღებული სარბიელი სხვადასხვა ძვირფასი სურათებით დამშვენდება, ხოლო თვითონ თხზულება მრავალ სიტურფეს წარმოგვიდგენს, იმ სრულ და უაღრეს ხარისხამდე მიაღწევს, სადამდისაც ამაღლება ასეთ პოეტურ თხზულებას შეუძლია, რომლის დანიშნულებაც არის დატკბობასთან ერთად გაწვრთნას კიდევ მკითხველი და მაშინ იგი თავისუფლად მიაღწევს მწერლობის მაღალ მიზანს. ამგვარი თხზულების გამოგონებასა და გამშვენიერებაში მწერალი თავისუფლად მოქმედებს და ეს გარემოება იმ ღონეს აძლევს, რომ რომანის დაწერისას საშუალება ეძლევა იყოს ეპიკოსიც, ლირიკოსიც, ტრაგიკოსიც და კომიკოსიც და ყველა ნაწარმოებში შეაერთ-შეათანხმოს ის საამო და ტკბილი მეცნიერების ლაზათები, რა მეცნიერებასაც პოეზია და მჭევრმეტყველება ჰქვია, რადგან ჭეშმარიტად ეპიკური ნაწარმოებები, როგორც პროზად ისე ლექსადაც, ადვილად დაიწერება[1,485].
- ქვეყანაზე უმეცარი ხ ა ლ ხ ი მეტია განათლებულზე...ორიოდე ბრძნისაგან ქების მიღება სჯობია მრავალი უგუნურისაგან ძაგების გაგონებას[1,486].
- ციცერონის სიტყვებით, დ რ ა მ ა უნდა იყოს სარკე ადამიანის ცხოვრების მაჩვენებელი, იგი სიმართლის განსახიერება და ზნეობის მაგალითი უნდა იყოს[1,587].
- საწყალ კ ა ც ს სად შეუძლია სიუხვე გამოიჩინოს, რაც უნდა გულუხვი იყოს[1,503];

- მაღლიერებაც მკვდარია, თუ იგი მხოლოდ სურვილად რჩება[1,503];
- ღმერთი საწყალი კაცის კეთილ განზრახვათა შემწეა და გაქნილი კაცის ბოროტმოქმედებათა ხელისშემშლელი[1,504];
- მთა და ტყეები პოეტებსა და მეცნიერებს ჰკვებავენ და მწყემსის ფანჯატურებში ფილოსოფოსები სადგურობენ[1,506].
- ყმაწვილი ქალის დაცვა არავითარ ციხე-კოშკს არ შეუძლია, თუ თვითონ ქალი არ იცავს თავის თავს[1,508].
- მანდილოსნების ხასიათი ხომ ისეთია, რომ ხშირად ისეთ საქმეს ჩაადენინებს ხოლმე მათ, ჭკვიან კაცს ფიქრადაც არასოდეს არ გაუვლის[1,511];

სანჩოს ანდაზები პირველი წიგნიდან

სერვანტესი მ. მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელი. წიგნი I. თბ.: ნაკადული“, 1985, 551 გვ;

- მკვდარი წავიდეს საფლავსა, ცოცხალი სამოვარსაო [1,170];
- ვინც საფრთხეში ებმის, თავის თავისთვის უბედურება უნდა [1,173];
- ისეთ ხიფათში ჩარევა რას გვარგებს, საიდანაც თავის დახსნა სასწაულით თუ შეიძლება [1,173];
- პარკში მეტის ჩადებას ვინც მოინდომებს, პარკს დახვესო [1,173];
- ქვეყანაზე ყველაფერს ივიწყებენ და ამასთანაც ტყუილად ხომ არა არის ნათქვამი, ვისაც უყვარხარ, ის გატირებსო [1,183];
- მინდვრის დაკეტვა ვის შეუძლია [1,232];
- იმაზე ძალიან არა აფუჭებს– რა ქალის ელფერს, როგორც მუდამ მინდორში, მზესა და ქარში ყოფნა[1,241];
- როცა ბეჭედს გამლევენ ხელი გაუწოდებო[1,311];
- დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს სჯობია[1,311];
- ღმერთი იმიტომ უყვართ, რომ ღმერთია და არა იმიტომ, რომ მისგან სამოთხეს მოელიან, ან ჯოჯოხეთში ჩავარდნის შიში აქვთ; უყვართ და ემსახურებიან ისე, რომ არც კი იციან, რად და რისთვის[1,312];
- სიუხვე სიძუნწესთან ვერ მოთავსდება და შური კიდევ – კეთილ განზრახვასთან[1,480];
- ბედის ჩარხი წისქვილის ჩარხზე ჩქარა ტრიალებსო [1,480];
- გუშინ რომ ზემო თაროს ისხდნენ, დღეს ისინი ტალახში ცვივიანო[1,480].

წიგნი მეორე

სერვანტესი მ. დონ კიხოტი. წიგნი II. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1959, 586 გვ;



„დონ კიხოტის“ მეორე გამოცემა (1615)

400 წელი გავიდა ცნობილი ესპანელი მწერლის მიგელ დე სერვანტეს საავედრას გენიალური ნაწარმოების, „დონ კიხოტის,“ მეორე ნაწილის გამოსვლიდან (1615). ეს საიუბილეო თარიღი, 2015 წელს, მთელმა მსოფლიომ აღნიშნა.

თავი I

თუ რა შეემთხვათ მღვდელსა და დალაქს დონ კიხოტთან - მისი ავადმყოფობის დროს

მღვდელსა და დალაქს ერთი თვის განმავლობაში არ მოუნახულებიათ დონ კიხოტი, ემინოდათ, არ გახსენებოდა თავისი წინანდელი შემთხვევები. ისინი იდალგოს დისწულსა და სახლის გამგე მანდილოსანს სტუმრობდნენ და რჩევას აძლევდნენ, რაინდისთვის ყუათიანი საჭმელი შეერჩიათ. ქალები ჰპირდებოდნენ, რომ მზრუნველობას არ მოაკლებდნენ, მათი აზრით, დონ კიხოტი ზოგჯერ ისე ჭკვიანურად იქცეოდა, რომ სიგიჟისგან განკურნებული ეჩვენებოდათ. ამან რაინდის მეგობრები ძალიან გაახარა და გადაწყვიტეს თვითონ ენახათ და დარწმუნებულიყვნენ, მართლა გამოჯანმრთელდა თუ არა იგი, მაგრამ არ უნდა ეხსენებინათ მოგზაური რაინდობის საკითხი.

პეროს პერესი და ნიკოლასი ესტუმრნენ მეგობარს. იდალგო ისე გამხდარიყო, რომ უფრო მჭკნარ მუმიას ჰგავდა, ვიდრე ადამიანს. რაინდი სტუმრებს თავაზიანად შეხვდა. ბევრი ისაუბრეს „სახელმწიფო საქმეებსა და მთავრობის განკარგულებებზე“: „ისე საფუძვლიანად და ძირფესვიანად გადაახალისეს და გარდაქმნეს სახელმწიფო, რომ, გეგონებოდათ, თითქოს ქურაში ჩააგდეს იგი და იქიდან სავსებით განახლებული ამოიღეს“[2,10]. დონ კიხოტი გონივრულად მსჯელობდა, დიასახლისი და დისწული ღმერთს ემადლიერებოდნენ, რომ მათ ბატონს გონება დაუბრუნდა. მღვდელმა პირობა დაარღვია, სურდა დარწმუნებულიყო: „დონ კიხოტის განკურნება ნამდვილი იყო თუ მოჩვენებითი“[2,10] და სასახლის ბოლო ხანის ამბებზე დაუწყო საუბარი. თურქეთის სულთანი აპირებს ძლიერი ფლოტის გამოგზავნას, მთელი საქრისტიანო შეძრწუნებულია და მისმა უდიდებულესობამ ნეაპოლის, სიცილიისა და კუნძულ მალთის სანაპიროთა გამაგრება ბრძანაო. დონ კიხოტმა მიუგო: მისი უდიდებულესობა კეთილგონიერი სარდალივით იქცევა, მაგრამ პატივს თუ დამდებს და ჩემს მოსაზრებას მოუსმენს, რჩევას მივცემდიო. მღვდელმა გაიფიქრა, რომ საბრალო დონ კიხოტი ისევ „სისულელის უმაღლესი მწვერვალიდან კვლავ მიამიტობის ღრმა უფსკრულში“ ეშვება“[2,11]. დალაქი დაინტერესდა, რას სთავაზობდა რაინდი მეფეს.

მეგობრები ერთხანს იმაზე დაობდნენ, ეს ღონისძიებები იმ უაზრო და სულელურ წინადადებათა მსგავსი ხომ არ იქნება, რომელსაც ჩვეულებრივად ხელმწიფეებს სთავაზობენო? დონ კიხოტმა თავდაჯერებით მიუგო: ქვეყნად არც ერთ მგეგმავს არ მოუვაო ფიქრად ამაზე უფრო იოლი, სწორი, ადვილად შესასრულებელი, მახვილგონივრული და მოკლე ღონისძიება. მისი აზრით, შეიძლებოდა რაინდის ნათქვამი ვინმეს გაემჟღავნებინა, მაგრამ დააიძუდეს, რომ ეს ასე არ იქნებოდა და მან თქვა:

✚ ამონარიდების გვერდით, ფრჩხილებში, პირველად იგულისხმება „დონ კიხოტის“ მე-2 წიგნი, მეორედ–გვერდი. მაგალითად: [2,10] მეორე წიგნის მე-10 გვერდი.

„დაე, მისმა უდიდებულესობამ ესპანეთში ყველა ამ მოხეტიალე-მოგზაურ რაინდს ბუკის ხმით მიმართოს და მათ დანიშნულ დღეს დედაქალაქში შეგროვება უბრძანოს. მაშინ იმ ბრძანებით ექვს რაინდზე მეტიც რომ არ მოვიდეს, დარწმუნებული ვარ, იმათში ერთი მაინც გამოჩნდება ისეთი, რომ სულთანის მძლავრობას ბოლო მოუღოს[2,12].“

ამ სიტყვების გაგონებაზე დისწულმა, ანტონიომ, შესძახა, მგონი, ბიძაჩემი ისევ მოგზაურ რაინდობას აპირებსო, რაზეც იდალგომ მიუგო: „**მოგზაური რაინდი ვიყავი და მოგზაურ რაინდადვე მოგვკვდები**“ დალაქმა მათ ს ე ვ ი ლ ი ა შ ი მომხდარი ამბავი უამბო: ნათესავებმა საგიჟეთში მოათავსეს კაცი, რომელსაც ოსუნის უნივერსიტეტში კანონიკური სამართლის სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა მიღებული. რამდენიმე წლის მკურნალობის შემდეგ, ავადმყოფმა ლიცენციატმა თავი განკურნებულად ჩათვალა და არქიეპისკოპოსს მისწერა, რომ ღმერთმა მას გონება დაუბრუნა და სთხოვდა საგიჟეთიდან დახსნაში დახმარებოდა, წერდა, ნათესავები არ აქტიურობენ, რადგან მათ ჩემი ქონების ხელში ჩაგდება სურთო. არქიეპისკოპოსმა დაავალა ერთ კაპელანს, სიმართლე გაეგო საავადმყოფოს უფროსისგან, თვითონ წერილის ავტორის მონახულება გადაწყვიტა.

გამგემ კაპელანს უთხრა, ავადმყოფი ზოგჯერ გონივრულად საუბრობს, მაგრამ განკურნებული არ არისო. კაპელანი შევიდა ავადმყოფთან და ერთი საათის განმავლობაში საუბრობდნენ. ჩათვალა, რომ კაცს ჭკუადამთხვეულობისა არაფერი ეტყობოდა. საბრალო ადამიანი უჩიოდა საგიჟეთის უფროსს, მას იმ საჩუქრების დაკარგვა არ სურს, რასაც ჩემი ნათესავები იმისთვის აძლევენ, რომ ჩემი სიგიჟე ამტკიცებინონო. იმდენად გონივრულად ლაპარაკობდა, რომ კაპელანმა გადაწყვიტა, გაეთავისუფლებინა იგი, არქიეპისკოპოსის წერილი უჩვენა უფროსს. საავადმყოფოს გამგე ეწინააღმდეგებოდა, ეს ადამიანი სნეულია და აჩქარება დასანანებელი გექნებაო, მაგრამ ვერ დაარწმუნა. იძულებული გახდა ნება დაერთო. „განკურნებულმა“, გათავისუფლებულმა სნეულმა გადაწყვიტა ზოგიერთ მეგობართან გამომშვიდობება, ერთ–ერთს, რომელიც ძველისძველ ჭილობზე მთლად ტიტლიკანა ეგდო, უთხრა: ხომ არაფერს დამაბარებ, საღსალამათი მივდივარ, უზენაესის წყალობით დამიბრუნდა გონება, შენც ილოცე და უფალი არ დაგივიწყებს, ნუგბარ საჭმელებს გამოგიგზავნიო. მეგობარმა ურჩია, არ აჩქარებულიყო და საავადმყოფოში დარჩენილიყო. რაზეც გათავისუფლებულმა ლიცენციატმა მიუგო: კარგად ვარ და სამუდამოდ მივდივარ, მეყო, რაც ვაივაგლახი გადამხდაო. მეგობარი განრისხდა: ვვიცავ ი უ პ ი ტ ე რ ს*, რომლის სიდიადის წარმომადგენელიც მე ვარ ამქვეყნად. ს ე ვ ი ლ ი ა ს*, იმ ერთი შეცოდებისთვის, რასაც იგი ჩადის (როგორც ჯანმრთელს ისე რომ გიშვებს),სასჯელსა და ტანჯვას მოვუვლენ, მე ქუხილის ღმერთი და მეხთამტეხი იუპიტერი ვარ, ხელთ

მიპყრია ელვის ცეცხლოვანი ისრები და შემძლია მთელი ქვეყანა დავანგრიო და ნაცარტუტად ვაქციო...სამი წლის განმავლობაში წვიმას არ ვაღირსებ, ზეცის ნამს აღვუკვეთავო...

გათავისუფლებული ლიცენციატი მიუბრუნდა კაპელანს და უთხრა: ის ქუხილის ღმერთი იუპიტერია, მაგრამ მე ნ ე კ ტ უ ნ ი* ვარ, ზღვის ღმერთი და მამა, მაშასადამე, შემძლია ვაწვიმო დედამიწას, რამდენიც მნებავს და როდესაც ამას საჭიროდ დავინახავო. კაპელანმა მიუგო, ბატონო ნეპტუნო, ბატონ იუპიტერს ნუ გააბრაზებთ, ისევ თქვენს ოთახში შებრძანდით და შენს მოსაყვანად სხვა დროს მოვალთო. იქ მყოფებს გაეცინათ. ლიცენციატი უკან დააბრუნეს.

დალაქმა საუბარი დაასრულა.

„აი, თურმე, როგორი ყოფილა ის ისტორია, - თქვა დონ კიხოტმა, -, რომელიც ახლანდელ გარემოებას ისე შეეფერება, რომ მისი უთქმელობა აღარ შეგეძლოთ“...[2,17] რაინდმა ასეთ შედარებას უადგილო და არასასიამოვნო უწოდა, მერე კი დასძინა, ნეპტუნი არა ვარ და დიდი ჭკუის პატრონობასაც არ ვჩემობ, მაგრამ ეს როდი მიშლის ქვეყანას ვაუწყო, რომ ცდებიან ის ადამიანები, რომელთაც არ სურთ აღადგინონ ის უბედნიერესი დრო, ოდეს ქვეყანაზე არსებობდა მოგზაურ რაინდთა ორდენი, რათა ებრძოლათ უსამართლობის წინააღმდეგ. „ახლა კი, ჩვენს დროში, მცონარებამ და სიზარმაცემ დარია ხელი გულმოდგინეობას და ბეჯითობას, უსაქმურობამ დაჯაბნა შრომა, ბიწიერებამ - სათნოება, თავხედობამ და კადნიერებამ - სახელოვნება და გულადობა, გამეფდა უსაქმურობა და ფუფუნება. უნიათო თეორიამ დაჩრდილა სამხედრო ხელოვნება და პრაქტიკა, რაიცა ბრწყინვალეობა და ყვაოდა იმ ოქროს საუკუნეში, მოგზაურ რაინდთა დროს“[2,17]. დონ კიხოტმა ჩამოთვალა XVI საუკუნის ესპანური სარაინდო რომანების გმირთა სახელები: პალმერინ ინგლისელი, ტირანტო სპეტაკი, ლისუარტე ბერძენი, დონ ბელიანისი, პერიონ გალელი, ფელისმარტე ჰირკანელი, ესპლანდიანი, დონ სირონჰილიო თრაკიელი, როდამონტე, მეფე სობრინო, რეინალდო, რუჯერო...იდალგოს აზრით, ამ მამაცმა ადამიანებმა მოგზაური რაინდობის დიდება შექმნეს და: „დიდად პატივცემულმა სადალაქო თასმა იცოდეს, ნათქვამის აზრს, რომ მივუხვდი“[2,17].

დალაქმა მოუბოდიშა, კეთილი განზრახვა მქონდა, საწყენად არ მითქვამსო, ხოლო მღვდელმა განმარტა, რომ მოგზაური რაინდები, ბატონმა დონ კიხოტმა რომ ჩამოთვალა, ადამიანები კი არა „მოჩვენებანი ყოფილან, მოლანდებანი, ადამიანის წარმოდგენა-გამოხატულებაში უცხოვრიათ და იქიდან ხალხის შესაქცევრად დაწერილ ზღაპრებში გადასულან“[2,18].

დონ კიხოტმა ამგვარ შეხედულებას შეცდომა უწოდა. ის თავის თანამოსაუბრეებთან ერთად, გმირთა გარეგნობას აღწერდა, არც ანჟელიკა დავიწყებიათ, „უხიაკი და თავქარიანი დედაკაცი“...[2,19].

ეზოში დონ კიხოტის დისწულისა და სახლის გამგე დიასახლისის საშინელი ყვირილი გაისმა. ყველანი მიზეზის გასაგებად წავიდნენ.



თავი II

სადაც მოთხოვნილია შესანიშნავი ჩხუბის ამბავი, სანჩო პანსას რომ დონ კიხოტის დისწულთან და სახლის გამგე დიასახლისთან მოუხდა და სხვა თავშესაქცევარი ფათერაკები

ეზოში სახლის გამგე და დონ კიხოტის დისწული უყვიროდნენ სანჩო პანსას და რაინდთან შესვლის უფლებას არ აძლევდნენ. დიასახლისმა საჭურველმტვირთველს თავისი ბატონის ტვინის ამრევი, ზარმაცი და მაწანწალა უწოდა. თავის მხრივ, სანჩომაც, „ემშაკის დიასახლისს“ აუხსნა, რომ იდალგომ ის სახლიდან გაიტაცა, მოატყუა და დაპირებული კუნძულის მიღებას დღემდე ელოდება.

დიასახლისს უკვირდა, რა კუნძული მოუნდა ამ „შეჩვენებულს“, „უბედურ ღორმუცელას“, „არამზადების გოდორსა და ავზნეობის ტიკი-ტომარას“. სჯობდა „ემშაკის კუნძულები“ დაევიწყებინა და თავისი მიწა დაემუშავებინა.

მღვდელი და დალაქი „სამთა ჩხუბზე“ იცინოდნენ. დონ კიხოტმა ქალებს უბრძანა, მასთან შემოეშვათ საჭურველმტვირთველი. იმედდაკარგული მეგობრები გამოეთხოვნენ რაინდს. მათი თქმით, იდალგოს „საუბედურო რაინდობა“ კიდევ ახსოვდა. მღვდელმა თქვა: „თვალყური ვადევნოთ, რით გათავდება რაინდისა და მისი საჭურველმტვირთველის გადარევა, ამ ორი ადამიანისა, თითქოს ერთმანეთისათვის, რომ არიან გაჩენილნი, ერთის სისულელე რომ მეორის დამთხვეულობის აზავებს და ბატონის სიგიჟე მსახურის სისულელის გარეშე, გახვრეტილ გროშადაც არ ეღირებოდა“ [2,22].

დონ კიხოტი და სანჩო პირისპირ სასაუბროდ აღმოჩნდნენ. ბატონმა უსაყვედურა მსახურს, მწყინს ის, რომ გილაპარაკია, თითქოს ძალით მოგწყვიტე ოჯახს, ჩვენ ერთი გზა გვქონდა და ერთსა და იმავე ბედქვეშ ვიყავით, „შენ ერთხელ გაფრინეს საბანზე, სამაგიეროდ მე ასჯერ ჯობით მცემეს [2,22]. სანჩომ მიუგო: „თქვენზე საკუთარი სიტყვით, ფათერაკების ყველა სიმწარე რაინდებმა უნდა იწვნიონ და არა საჭურველმტვირთველებმაო“ [2,22]. ბატონმა აუხსნა თავის საჭურველმტვირთველს, რომ ბატონი იმ სხეულის თავია, რომლის ნაწილსაც მსახური წარმოადგენს, ამიტომ ტანჯვას ორივე მხარე ერთნაირად უნდა განიცდიდესო (აქ დონ კიხოტმა ლათინური ანდაზის პირველი ნაწილი მოიშველია: „როცა თავი გტკივა, მაშინ სხეულის დანარჩენი ნაწილებიც აგტკივდება“), შემდეგ დაინტერესდა, რას ამბობდნენ მასზე სოფელში გლეხები, აზნაურები, რას ფიქრობდნენ იმაზე, რომ მას მოგზაური რაინდობის ორდენის აღდგენა სურს. იდალგომ მსახური გააფრთხილა, მხოლოდ შეულამაზებელი სიმართლე

ეთქვა მისთვის. სანჩომ სთხოვა გულახდილობა თუ არ გეწყინებათ და არ გაჯავრდებით, გაიმბობთო. რაინდმა პირობა მისცა, რომ არ გაუჯავრდებოდა. სანჩომ შემდეგი უამბო: „ხალხს თქვენი მოწყალეობა სავსებით გიჟად მიაჩნია, მე კი - სულ ცოტა, რომ ვთქვათ - ჭკუადამთხვეულად მთვლიან. იდალგოები ასე ამბობენ, თქვენმა მოწყალეობამ იდალგოს უფლებები შელახაო, მეტიჩრობით თავის გვარს სიტყვა დონი მიუმატა და რაინდობას ჩემულობსო, თუმცა სულ ორიოდე ძირი ვაზი უდგას და ერთი დღიური სახნავი მიწაც არ გააჩნიაო, თანაც ტიტლიკანა დაეხეტებაო, ერთი კონკისძველა მუცლამდეც აღარ წვდება, მეორე - უკანალს ძლივს უფარავსო. კაბალეროები ამბობენ, არ გვსურს იდალგოები გაგვიტოლდნენო, განსაკუთრებით ისეთი იდალგოები, რომლებიც მხოლოდ საჭურველმტვირთველებად თუ გამოდგებიან, ჩექმებს ჟანგაროთი იწმენდენ და შავ წინდებს მწვანე აბრეშუმის ძაფით ინემსავენო“[2,24].

დონ კიხოტმა თქვა, რომ ასეთი რამეები მას არ შეეხება, რადგან მუდამ სუფთად აცვია, დაკერებულ სამოსს არ ატარებს. სანჩომ საუბარი განაგრძო: „რაც შეეხება თქვენი მოწყალეობის სიმამაცეს, თავაზიანობას, გმირულ საქმეთა და დიად განზრახვებს, - განაგრძო სანჩომ, - აქ უკვე აზრთა სხვადასხვაობაა; ერთნი ანბობენ: „ჭკუათხელია, მაგრამ სასაცილოაო“. მეორენი: „მამაცია, მაგრამ ბედუკულმართიაო“, მესამენი: „თავაზიანია, მაგრამ გიჟლარა და ხუმტურიანიაო“. ხოლო ყველანი საერთოდ ისე ლაზათიანად გვამკობენ, ესოდენი მითქმა-მოთქმა ასტეხეს და ყბად აგვიღეს, რომ არც თქვენს მოწყალეობას და არც მე ტყავი მთელი აღარ შეგვრჩება“[2,24]. სანჩომ ბატონს უთხრა, რომ ერთ კაცს მოუყვანდა, რომელიც დანარჩენ ამბავს დაწვრილებით მოუყვებოდა: „სალამანკიდან ჩამოვიდა ბართლომე კარასკოს შვილი. იქ ბაკალავრის ხარისხი მიუღია. მისი ჩამოსვლა რომ გავიგე, მისალოცად წავედი და მან მიაშო, თითქოს წიგნად დაუსტამბავთ თქვენი ისტორია, რომელსაც სახელად ჰქვია: „მ ა ხ ვ ი ლ გ ო ნ ი ე რ ი ი დ ა ლ გ ო დ ო ნ კ ი ხ ო ტ ი ლ ა მ ა ნ ჩ ე ლ ი“. იმ წიგნში თურმე მარტო თქვენზე და ჩემზე არის ლაპარაკი და, თუ კარასკოს დავუჯერებთ, იქ მთელი ქვეყნის საჩვენებლად ვარ გამოყვანილი ჩემი საკუთარი სახელით - სანჩო პანსათი. იმ წიგნში ქალბატონი დულისინე ტობოსელიც არის ჩაჩხირული და ბევრიც რამ სხვა მე და თქვენ შორის მომხდარი ფათერაკები. ასე რომ, გოცებისაგან პირჯვარიც კი გადავიწერე, - იმ ავტორს ჩვენი თავგადასავალი ასე დაწვრილებით ვინ ეშმაკმა უამბო-მეთქი“[2,25].

დონ კიხოტის აზრით, იმ წიგნს ჯადოქარი დაწერდა, რადგან მისთვის დაფარული არაფერია, ცნობისმოყვარეობა კი ისე აღმემრა, რომ ლუკმას ვერ შევჭამ, სანამ ყველაფერს დაწვრილებით არ გავიგებო. მაგრამ მსახურმა მიუგო, სამსონ კარასკოს თქმით, თურმე, იმ ავტორს სად ჰამეტ ბ ე რ ე ნ ხ ე ნ ა* ჰქვია და ბაკალავრს ახლავე მოვიყვანო. მართლაც, წავიდა და მალე მასთან ერთად დაბრუნდა.



თავი III

სადაც მოთხრობილია, თუ რა სასაცილო საუბარი გაიმართა დონ კიხოტსა, სანჩო პანსასა და ბაკალავრ სამსონ კარასკოს შორის

ბაკალავრის მოლოდინში დონ კიხოტი ღრმა ფიქრებში ჩაეფლო. უნდა გაეგო, რას წერდნენ სანჩოს მიერ ნახსენებ წიგნში მასზე. ჩათვალა, რომ ვიღაც გრძნეულ მწერალს, მოკეთეს ან მტერს, სურდა: „ცისქვეშეთის ყველა მოგზაურ რაინდზე მეტად აღემადლებინა და ედიდებინა იგი; მტერს კიდეც იმ განზრახვით - მისი დიდება დაეჩრდილა და უკანასკნელ საჭურველმტვირთველზე უფრო დაბლა დაემცრო“. თუმცა, რაინდის მსახურზე დაწერილი ისტორია არასდროს გაუგონია იდალგოს. იგი ერთხანს დამოშმინდა: „თუ მართლა ჩემი ისტორია უკვე დასტამბულია, მაშინ იგი... უსათუოდ ენაშვიანი, განდიდებული, დიდმშვენიერი და მართლის მსგავსი უნდა იყოს... მაგრამ კვლავ სასო წარეკვეთა, როცა მოაგონდა, რომ ამ ისტორიის ავტორის სახელი - სიდის მიხედვით მავრი იყო... ისინი მატყუარები, ცრუპენტელები და ჭორის გუდები არიან“... რაინდს ეშინოდა დულსინეს სახელი ურიგოდ არ ყოფილიყო მოხსენიებული.

მალე სანჩო და სამსონ კარასკო გამოჩნდნენ. ოცდაოთხი წლის, ჩია, მრგვალი, დონდლო სახის, მზაკვრული გამომეტყველების ბაკალავრი, გაიმვერა, დამცინავი და მქირდავი ჩანდა. მან შემოსვლისთანავე დაუჩოქა იდალგოს და ხელზე ამბორის ნებართვა სთხოვა, დაიფიცა წ მ ი ნ და პ ე ტ რ ე ს ს ა მ ო ს ე ლ ი,* ყველა მოგზაურზე უფრო წარჩინებული ბრძანდებო. კურთხეული ყოფილიყოს ს ი დ ჰ ა მ ე ტ, ბ ე ნ ე ნ ჰ ე ლ ი ს სახელი, რომელმაც თქვენი ისტორია აღწერა, მაგრამ: „იყოსმცა ათჯერ კურთხეულ ის ცნობისმოყვარე ადამიანი, ვინც იგი შრომა არაბულიდან ჩვენს მშობლიურ კასტილურ ენაზე თარგმნა“[2,27]. დონ კიხოტმა წამოაყენა სტუმარი და ჰკითხა, ნუთუ, ჩემი ისტორია უკვე დაწერილია და მისი ავტორი ბრძენი მავრიაო. კარასკომ მიუგო: „თორმეტი ათასი წიგნი... დასტამბეს პორტუგალეთში, ბარსელონასა და ვალენსიაში. ამბობენ, ახლა ანტვერპენშიც ბეჭდავენო. დარწმუნებული ვარ, ოდესმე მას ყველგან დასტამბავენ და ყველა ხალხის მშობლიურ ენაზედაც გადათარგმნიან“[2,27]. რაინდმა უპასუხა, ყველა პატიოსან ადამიანს ახარებს სიცოცხლეშივე რომ აღიარებენო, რაზეც კარასკომ მიუგო, რომ დონ კიხოტმა მიუწვდომელ სიმაღლეს მიაღწია, ამიტომ ავტორმაც და მთარგმნელმაც მოინდომა ბრწყინვალედ დაეხატა მისი ხასიათი და „დონა დულსინე ტობოსელისადმი კდემამოსილი და თავდაჭერილი პლატონიური ტრფიალი“.

სანჩომ პირველი შეცდომა აღმოაჩინა იმ ისტორიაში, ქალბატონი დულსინე უბრალო სენიორაა და ქალბატონ დონა დულსინედააო მოხსენიებული. დონ კიხოტი დაინტერესდა, მისი საქმეებიდან რომელი იყო უფრო სანაქებოდ წარმოჩენილი? კარასკომ თქვა, რომ ამაზე აზრთა სხვადასხვაობაა, ზოგიერთს ქარის წისქვილებთან

ბრძოლა მოსწონს, ზოგს ნაზდისა და მაუდის სათელ ქარხანასთან მომხდარი ფათერაკი, ზოგიერთს ორ დიდ ლაშქართან კონფლიქტი, ცხვრის ფარა რომ გამოდგა, სხვებს ცხედართან შემთხვეული ფათერაკი მოსწონთ, სეგოვიას რომ მიასვენებდნენ, ბევრნი საკატორლო ტუსალების ფათერაკით არიან განცვიფრებულნი, ზოგიერთი მკითხველი ამბობს, ვერაფერი შეედრება ორ დევგმირ-ბენედიქტელთა ისტორიას და ბისკაელთან ბრძოლა ყველა ფათერაკს ჩრდილავსო.

სანჩომ სტუმარს ჰკითხა, იყო თუ არა აღწერილი იანგვასელ მეჯორეებთან შეხვედრა. მან მიუგო, ყველაფერი დაწვრილებითაა მოთხრობილი, ისტორიკოსს კეთილი სანჩოს საბანზე ფრენაც არ დავიწყებიაო. საჭურველმტვირთველმა წაიბუტბუტა, საბანზე არა, მაგრამ ჰაერში კი რამდენიც მიხდოდა იმდენი ვიფრინეო. დონ კიხოტმა შენიშნა, ნაწარმოებებში მარტო ბედნიერი ამბების აღწერა როდი ხერხდებაო. სამსონ კარასკომ დაუდასტურა, ასეა, ზოგიერთი მკითხველის აზრით, უკეთესი იქნებოდა, წიგნში, რაინდის მრავალი ცემა-ტყეპისა და შეხლა-შემოხლის ამბავი გამოეტოვებინათო. სანჩოს აზრით, ისტორია სიმართალეს უნდა აღწერდეს. ბატონმა უარყო თავისი მსახურის მოსაზრება. მან თქვა, მწერალმა თავი უნდა შეიკავოს ისტორიის რჩეული გმირის დამამცირებელი მაგალითების დასახელებისგან, რადგან ე ნ ე ა ს ი* არ იქნებოდა ისეთი ღვთისმომშიში, როგორც ის ვერგილიუსმა აღწერა და არც უ ლ ი ს ე*-ისეთი მოხერხებული და ბრძენი, როგორც ჰომეროსმა წარმოგვიდგინაო. სანჩოს მავრის ობიექტურობა აეჭვებდა, თუ ის სამართლიანად მსჯელობს, მაშინ მას არა მარტო რაინდის, არამედ მისი საჭურველმტვირთველის ამბებზეც უნდა გაემახვილებინა ყურადღება, რადგან შეუძლებელია იმ ცემა-ტყეპის კვალის დავიწყება, ჩემს გვერდებს ახლაც რომ ატყვიანო: **„იმ ისტორიაში უკანასკნელი ადგილი არც მე მიჭირავს და თურმე ერთ-ერთი მთავარი პრესონაჟიცა ვარ“**. სამსონმა შეუსწორა და უთხრა, პრესონაჟი კი არა პერსონაჟი უნდა გეთქვასო, რამაც სანჩო გააცხარა და მას სიტყვების გამსწორებელი სასტიკი მასწავლებელი უწოდა, რადგან ყოველ სიტყვას ასე თუ ჩაებლაუჭებოდნენ, ისტორიის მოყოლა დღეს არც დამთავრდებოდა. კარასკომ განაცხადა, დონ კიხოტის ისტორიაში სანჩოს მეორე პიროვნებას უწოდებენ, ისეთებიც არიან, რომ რაინდს საჭურველმტვირთველს ამჯობინებენ, მაგრამ ამბობენ, მეტისმეტად ქარაფშუტაა, ბატონისაგან დაპირებული კუნძულის გუბერნატორობა ადვილად დაიჯერაო. იდალგომ მიუგო, გაივლის დრო, გამოცდილებას შეიძენს და კუნძულის მართვას შეისწავლისო. სანჩომ თქვა, რომ კუნძულის მართვას ახლა კი არა მ ა თ უ ს ა ლ ა ს* ხანშიაც ვერ შეძლებს, რადგან უბედურება ის არის, რომ არ იცის, სად იპოვოს ის. ბატონმა მიუგო, ღმერთს მიენდე და ყველაფერი უკეთესად წარიმართებაო. კარასკომ დასძინა, ღვთის ნება თუ იქნება, სანჩო ერთს კი არა, ათას კუნძულს მოუვლის, თუმცა, გუბერნატორები წერა-კითხვისა და გრამატიკის მცოდნენი უნდა იყვნენო. **„გრამი - ჰო, მაგრამ ტიკი-სა არა მესმის რა, - მიუგო სანჩომ“**, უფალი კი ისეთ ადგილზე მიმავლენს, რომლის მართვის უნარიც მექნებაო. საჭურველმტვირთველმა მადლიერება გამოხატა იმის გამო, რომ ავტორს თავისი სიტყვა აუწონ-დაუწონია და სანჩოს თავგადასავალიც მკითხველისათვის მოსაწყენი არ გაუხდია.

სამსონ კარასკომ თქვა, რომ წიგნის ერთ–ერთ ნაკლად იმას მიიჩნევენ, რომ რომანში **მოთხრობა „უგუნური ცნობისმოყვარე“** უადგილოდ ჩაურთავს ავტორს, კარგი ნაწარმოებია, მაგრამ ბატონი დონ კიხოტის ისტორიასთან არაფერი აქვს საერთო. სანჩომ შესძახა, „მამამალ“ მწერალს: „**რაც ხელში მოხვედრია, ყველაფერი თავის წიგნში ჩაუყრია, ერთმანეთში აურევია კომბოსტოცა და თაღამიც**“[2,31]. „**თუ ეგ მართალია, - განაცხადა დონ კიხოტმა, - ვშიშობ, რომ ჩემი ისტორიის დამწერი ბრძენი გრძნეული როდი გამოდის, არამედ იგი უვიცი ყბედი ყოფილა, აულია ხელი და ყველაფერს ალაღბედზე წერს - რაც გამოვა, გამოვაო, ისე, როგორც უბედელი მხატვარი ორბანები სჩადიოდა; როცა შეეკითხებოდნენ, რას ხატავო, მიუგებდა: რაც გამოვაო!** ერთხელ მამალი დახატა და ისე ცუდი იყო და არ გავდა მამალს, რომ საჭირო გახდა სურათის ქვეშ მსხვილი ასოებით მიეწერათ: „ესე არს მამალი“. იქნებ ჩემი ისტორიაც ამის მსგავსია და მის გასაგებად განმარტებები იქნეს საჭირო“[2,31–32]. ბაკალავრმა დაამშვიდა რაინდი, უთხრა, რომ დონ კიხოტის ისტორიას ყველა წოდების, ასაკისა და ჯურის ხალხი კითხულობს ინტერესით, განსაკუთრებით პაჟებში გამოიწვია დიდი აღტაცება, ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ...ეს წიგნი ყველაზე სასიამოვნო და უვნებელი გასართობია, მასში არა არის უწმაწური სიტყვები და კათოლიკური აზროვნების საწინააღმდეგო შეხედულებები. რაინდმა მიუგო: „**ვინც იმ წიგნს სხვანაირად დაწერდა, ყალბი ფულის მკეთებელივით კოცონზე ცოცხლად დაწვის ღირსი გახდებოდა. მხოლოდ ერთი ეს არ მესმის, რამ აიძულა მწერალი, რომ ჩემს ისტორიაში გარეშე შემთხვევითი ამბები და მოთხრობები ჩაუმარხია, რომელთაც ჩემთან არავითარი კავშირი არა აქვს**“ [2,32]. იდალგოს აზრით, მისი მოგზაურობის ამბებს ისედაც შეეძლო მწერლისთვის იმდენად უხვი მასალა მიეცა, რომ **ტო სტა დოს*** თხზულებათა სრულ კრებულს გადაამეტებდა. რაინდმა და კარასკომ საუბარი განაგრძეს, მერე კი იდალგომ ეჭვი გამოთქვა, ჩემი ისტორია ბევრს არაფრად ეჭაშნიკებაო, რაზეც სამსონმა მიუგო, სულელების რიცხვს საზღვარი არა აქვს და მათი თაყვანისმცემლების რიცხვიც უსაზღვროა, ამიტომაც თქვენი ისტორია მრავალ მკითხველს მოეწონა, მხოლოდ ეგ არის, რომ ნაკლოვანებებიც აქვს. მწერალს: „**იმ ქურდის მოხსენება დავიწყებია, სანჩოს, რომ ლურჯა მოჰპარა. მართლაც რასა პგავს? გვეუბნებიან, ვირი მოპარესო, და რამდენიმე ხნის შემდეგ სანჩო ისევ იმავე ვირთან არხეინად ბრძანდება, ის კი აღარ ვიცით, სად და როგორ იპოვა იგი. იმასაც კი ამბობენ, თითქოს მწერალი არ იხსენიებდეს, სიერა–მორენაში, ცნობილ ჩემოდანში, რომ სანჩომ ასი ოქრო იპოვა, რა უყო; შემდეგ იმ ოქროებზე ერთი კრინტიც არ არის დამრული, ყველასათვის კი სასურველი იყო ცოდნოდა, ის ფული რა იქნა? აი ეს არსებითი წვრილმანები აკლია ამ ისტორიას**“[2,34]. სანჩომ თქვა, რომ შინ უნდა წასულიყო, რადგან თავისი „**ძვირფასი დიასახლისი**“ ელოდა, დაბრუნებისას კი პასუხებს გასცემდა ბაკალავრს.

რაინდმა სამსონი სუფრასთან მიიწვია, ჩვეულებრივ სადილს ორი მტრედის ტაბაკა დაუმატეს, ისაუბრეს რაინდობაზე, ამასობაში სანჩო პანსა დაბრუნდა და შეწყვეტილი საუბარი განაახლეს.



თავი IV

სადაც სანჩო პანსა არკვევს ბაკალავრ სამსონ კარასკოს ბუნდოვან საკითხებს და აგრეთვე მოთხრობილია სათქმელად და საამბობლად ღირსსაგნაური სხვა ამბები

სანჩო პანსა დაბრუნდა დონ კიხოტის სახლში და შეწყვეტილი საუბარი განაგრძო. მან სამსონს უამბო, როგორ მოჰპარეს ვირი. კატორღელებთან ფათერაკისა და ს ე გ ო ვ ი ა ში წასასვენებელი ცხედრის ამბების შემდეგ, ბატონი და მსახური სანტა ჰერმანდადას სიერა-მორენაში დაემალნენ, უდაბურ ტყეში შევიდნენ. იდალგოს შუბზე დაყრდნობილს დაეძინა, სანჩოს კი—ვირზე მჯდომარეს. საჭურველმტვირთველს ვიღაც უცნობი მიეპარა, ოთხივე მხარეს კურტანს თითო ჯოხი შეუდგა და ვირი გამოაძვრინა. დონ კიხოტმა თქვა, რომ მსგავსი რამ ს ა კ რ ი ფ ა ნ ტ ე ს* შეემთხვა ალბრაკის იერიშის დროს. როდესაც სახელგანთქმულმა ყაჩაღმა ბ რ უ ნ ე ლ ო მ ასეთივე ოსტატური მოხერხებით გამოაცალა მას მერანი.

დილით სანჩომ ზღართანი მოადინა, იმიტომ, რომ კურტანს ფოჩები გამოეშალა. სახედარი რომ ვერ იპოვა, ატირდა. რამდენიმე ხნის წინ, მიკომიკონის პრინცესას რომ მიჰყვებოდა, დაინახა თავისი ბატონის მიერ გათავისუფლებული კატორღელი, უმაქნისი და არამზადა, ჰინეს პასამონტე, რომელიც ბოშურად იყო მორთული და მის ვირზე იჯდა.

„...ვიდრე სანჩო ვირს იპოვიდა, ავტორის გულმავიწყობით იგი ისევ თავის ლურჯას დააგოგმანებდა.

—მაგისი ახსნა კი აღარ შემიძლია, - უთხრა სანჩომ, - აქ ალბათ ან ისტორიკოსი შეცდა, ანდა დაუდევარმა ასოთაშწობმა აურდაურია“[2,35–36]. რაც შეეხება ნაპოვნ ფულს, ის ოჯახში მიიტანა, ამიტომაც მას ცოლი არ გაუწყრა და არ აუკრძალა დონ კიხოტის კვალდაკვალ ევლო. სანჩოს სამსონ კარასკო დაპირდა, რომ მის მონათხრობს გადასცემდა ავტორს. რაინდი დაინტერესდა, კიდევ რაიმე ხომ არ იყო გასასწორებელი წიგნში, ან მეორე ნაწილის გამოცემას ხომ არ აპირებდა. ბაკალავრმა მიუგო, შეიძლება იყოს კიდევ რაიმე გასასწორებელი, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რაც შეეხება რომანის მეორე ნაწილის გამოცემას, არავის შეუძლია იმის თქმა, გამოქვეყნდება თუ არა იგი, ხალხი ყოველთვის უგულოდ ეკიდება ხოლმე ამგვარ საკითხს, რადგან ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ნაწარმოების გაგრძელება არასოდეს კარგი და იღბლიანი არ გამოდის, თუმცა, „მხიარული და ხალისიანი ადამიანები გაიძახიან: „გვიამბეთ კიდევ რაიმე ახალი დონ კიხოტზე; დაე, დონ კიხოტმა იბრძოლოს, ხოლო სანჩო პანსამ იყბედოს ჩვენ ყველაფერი მოგვეწონება, ავტორმა რაც არ უნდა გვიამბოსო“[2,37]...ავტორი მეორე ნაწილისთვის ეძებს მასალებს და დასტამბავს უფრო მოგებისათვის და არა სახელის მოსახვეჭად. სანჩომ თქვა, ისტორიკოსი, რომელიც მხოლოდ მოგებაზე ფიქრობს, „იმ თერძსა ჰგავს, აღდგომის წინა დღეს რომ ტანისამოსს

დაბლანდვით კერავს, რა არის გაათავოს როგორმე და სრულყოფილი და უნაკლო არასოდეს არ გამოუდის,“[2,37] იმ კეთილ მავრს კი მალე ბევრ მასალას მივაწვდით: „ჩემი ბატონი რომ მიჯერებდეს, დიდი ხანია ფათერაკების გზაზე დამდგარი ვიქნებოდით - შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს მისაგებად, უსამართლობის დასასჯელად, დევნილთა შესაწევად და, ერთი სიტყვით, ყველა იმ საქმის ასასრულებლად, რაც მოგზაურ რაინდებს ვალად ადევთ“[2,37], ამ დროს როსინანატმა დაიჭიხვინა, რაც დონ კიხოტმა კარგ ნიშნად ჩათვალა და გადაწყვიტა სამ-ოთხ დღეში სამოგზაუროდ წასულიყო. მან ბაკალავრს გაუზიარა თავისი აზრები და რჩევა ჰკითხა, საით გასდგომოდა გზას. კარასკომ ურჩია ს ა რ ა გ ო ს ა შ ი * წასულიყო, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ, გიორგობის დღესასწაულზე, იქ საზეიმო ტურნირი უნდა ჩატარდეს და თქვენ თუ ა რ ა გ ო ნ ი ს * რაინდებს დაამარცხებთ, მაშინ უფლება გექნებათ მთელი ქვეყნის რაინდების დამმარცხებლად ჩათვალოთ თავიო. მან მოუწონა რაინდს „სულგრძელი და კეთილშობილური განზრახვა - ხელახლად ფათერაკების ძებნას დასდგომოდა“[2,38] და მოუწოდა, ფრთხილად ყოფილიყო. გახსოვდეს: „შენი სიცოცხლე მარტო შენ არ გეკუთვნის, არამედ ყველა ჩაგრულსა და გაჭირვებულს, ვისაც კი შენი უშიშარი მარჯვენის დახმარება სჭირიაო“[2,38]. სანჩომ თქვა, რომ სახელის მოხვეჭისთვის ბრძოლამ ბევრჯერ სიკვდილი მოასურვა. მან მზადყოფნა გამოთქვა, ისევ გაჰყვეს ბატონს, მხოლოდ იმ პირობით, რომ საჭურველმტვირთველის ტანსაცმელსა და საკვებზე იზრუნოს და არა სახელის მოხვეჭაზე. მან გულახდილად აღიარა, რომ არასდროს უფიქრია, ვაჟკაცობით გაეთქვა სახელი: „მინდოდა ყველა იმ საჭურველმტვირთველებზე ალაღმართალი ვყოფილიყავი, ვისაც კი ოდესმე მოგზაურ რაინდებთან უმსახურია“[2,38]. სანჩოს აზრით, თუკი ბატონი ასეთი სამსახურისთვის კუნძულით დააჯილდოებს, მადლიერი იქნება, თუ არა, რა გაეწყობა, ჩვენი სიცოცხლე ღვთის სიტყვაზე უნდა იყოს დანდობილი... სანჩოდ დაიბადა და იმედი აქვს სანჩოდვე მოკვდება. კარასკომ უთხრა: „სულით ნუ დაეცემი, ღმერთსა და დონ კიხოტს მიენდე და გწამდეს: ჩვენი სენიორი დონ კიხოტი თავის დროზე, უეჭველია, არათუ კუნძულით, არამედ მთელი სამეფოთიც დაგაჯილდოებს“[2,39], რაზეც კეთილმა სანჩომ მიუგო, დიდსა და მცირე საჩუქარს, განურჩევლად, ერთნაირად მივიღებო.

დონ კიხოტმა, ბაკალავრ კარასკოს, როგორც პოეტს, სთხოვა დუღსინე ტობოსელისადმი მიძღვნილი გამოსათხოვარი ლექსი შეექმნა ისე, რომ ყველა სტრიქონის პირველი ასოს ჩაყოლებით დ უ ლ ს ი ნ ე ტ ო ბ ო ს ე ლ ი გამოსულიყო დაწერილი. კარასკო დაეთანხმა, მაგრამ მან დაბრკოლებად მიიჩნია ერთი რამ: „ბანოვანის სახელში თხუთმეტი ასოა და, თუ დაიწერა ოთხტაეპიანი ლექსი - თითოში ოთხ-ოთხი სტრიქონით (ეგრეთ წოდებული დ ე ს ი მ ა * ანუ რ ე დ ო ნ დ ი ლ ი ა * , მაშინ ერთი სტრიქონი ზედმეტი იქნება; მეტი ღონე არ არის, ვეცდები, ის ერთი სტრიქონი როგორმე საიდანმე ჩავყლაპო, რომ დუღსინე ტობოსელისათვის ოთხსტრიქონიანი ოთხი ტაეპი გამოდგეს“[2,40].

დონ კიხოტმა გადაწყვიტა, ერთი კვირის შემდეგ, სამოგზაუროდ წასულიყო და კარასკოს სთხოვა, ეს ამბავი საიდუმლოდ შეენახა. ბაკალავრი დაეთანხმა და ისინი გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.



თავი V

სანჩო პანსას მახვილგონივრული და სასაცილო საუბარი მის ცოლთან, ტერესა პანსასთან, აგრეთვე სხვა ფრიად სასიამოვნო და ღირსსახსოვარი ამბები

სანჩო კმაყოფილი და მხიარული სახით დაბრუნდა შინ. ცოლმა მისი გაბრწყინებული სახე ა რ ბ ა ლ ე ტ ი ს* გასროლის მანძილზე დაინახა და კარგ გუნებაზე ყოფნის მიზეზი ჰკითხა. მან უპასუხა, ბატონი დონ კიხოტი მესამედ მიემგზავრება, თან მივყვები, იმიტომ, რომ გაჭირვება მაიძულებს და იქნებ ფულიც ვიშოვო. მან სთხოვა ცოლს ვირზე მზრუნველობა გამოეჩინა, ყველაფერი, რაც გასამგზავრებლად საჭიროა, გაემზადებინა, რადგან ისინი მიდიოდნენ არა ქორწილში, არამედ: „დევებთან, ანდრიაკებთან და ურჩხულებთან საბრძოლველად, ღმუილის, ყეფის, ზღავილის და ბრდღვინვის მოსასმენად“[2,41–42].

სანჩოს თქმით, მოკლე ხანში გუბერნატორობის იმედი რომ არ ჰქონდეს, არც ინაღვლებდა და ისურვებდა მიწა გამსკდარიყო და შიგ ჩაეტანა იგი. ცოლმა დაამშვიდა: „უკუნძულოდ დაიბადე, უიმისოდ იცხოვრე და უიმისოდ მოკვდები და იოლად წახვალ, როგორც სხვა ბევრი მიდის იოლად“, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუკი გუბერნატორობას მიაღწევ ცოლ–შვილი არ დაივიწყო: „ჩვენი ვაჟი ს ა ნ ჩ ი კ ო* მალე თხუთმეტი წლისა გახდება და სასწავლებელში მიცემის დრო დაუდგება. ბიძამისი აბატი ხომ დაჰპირდა მას, სასულიერო თანამდებობისათვის გაგზორდო. ჩვენი ქალი მ ა რ ი ს ა ნ ჩ ა ც* იმ ხანშია, რომ ქმრისა არ შეეშინდება და, თუ არა ვცდები, ისევე ძალიან სურს გათხოვება, როგორც თქვენ გუბერნატორობა“[2,42]... საჭურველმტვირთველის თქმით, დადგება დრო, როდესაც მის ქალიშვილს ისეთი მოკრძალებით მიმართავენ, რომ: „ქალბატონოს" და „თქვენო ბრწყინვალეების" გარეშე მიმართვას ვერავინ გაუბედავს. ცოლ–ქმარი დიდხანს კამათობდა მარისანჩას ბედ–იღბალზე, ცოლის თქმით, მათ ქალიშვილს არ სჭირდებოდა „სრა-სასახლეები და დარბაზები“, იქვე ახლოს მარჯვე გლეხი, ხუან ტოჩოს შვილი, ლ ო პ ე ტ ო ჩ ო, ეგულებოდა სასიძოდ, სანჩომ „ქაჯი, ეშმაკი და ბ ა რ ა ბ ა ს* ცოლი“ უწოდა ტერესას, რადგან უშლიდა აზნაურობის შთამომავლობისთვის დაეკავშირებინა ქალიშვილი და გრაფის თანამეცხედრე გაეხადა. თვითონ მის ცოლსაც კი ვერ წარმოუდგენია, თუ როგორ შეარქმევენ დ ო ნ ა ტერესა პანსას. ქალმა უპასუხა, რომ ყოველთვის თავისი თანასწორები უყვარდა, ნათლობის დროს შერქმეულ უმწიკვლო სახელს–ტერესას, უწოდებენ და არ სურს დ ო ნ ი წაემატოს, გრაფინია ან გუბერნატორის ცოლიც რომ

გახდეს, იტყვიან: „შეხე, ამ მელორის ცოლმა ცხვირი როგორ მაღლა აიწიაო. გუშინ არ იყო, ჯარას უჯდა და წირვაზე ლამის ცარიელი ჩიხოლათი დაიარებოდა, ახლა კი - ქალბატონია, ხავერდსა და აბრეშუმში გამოპრანჭულაო“[2,44].კამათი განაგრძეს, მათი საუბრის თემა შეეხო ტანსაცმელს, ბედნიერებას, მარისანჩას ბედ-ილბაღს, საუცხოოდ მორთულ ციხე-დარბაზებს...

თავი VI

თუ რა მოუხდა დონ კიხოტს თავის დისწულთან და დიასახლისთან, რაც ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი თავია მთელს ამ ისტორიაში

დონ კიხოტის დიასახლისი და დისწული ღელავდნენ, ისინი ხვდებოდნენ, რომ მათი ბატონი თავის „შეჩვენებულ რაინდობას“ უბრუნდებოდა და მესამედ აპირებდა გამგზავრებას. უნდოდათ გადაეფიქრებინებინათ, მაგრამ მათი მცდელობა ჰგავდა „უდაბნოში ღაღადებას ანუ ცივი რკინის კერვას“. დიასახლისი დაემუქრა, თუკი არ მოემშვიდებოდა „დამაშვრალი სულივით ხეტიალს“, ღ მ ე რ თ თ ა ნ და მეფესთან გიჩვილებთო, რაზეც რაინდმა მიუგო, არ ვიცი ან ღ მ ე რ თ ი, ან მეფე ამ ჩივილზე რა პასუხს გაგცემთ, მაგრამ მისი უდიდებულესობის ადგილზე რომ ვიყო, „უამრავ უაზრო და სულელურ თხოვნას, ყოველდღიურად სასახლეში რომ შედის“, ყურადღების გარეშე დავტოვებდი, გვირგვინოსანს მრავალი საქმე აქვს და ძნელია ყველას მოუსმინოს...

დიასახლისმა დონ კიხოტს ჰკითხა, სასახლეში არიან თუ არა რაინდები? მან უპასუხა: „მრავალია...რადგან... ტახტის სიმაგრეს შეადგენენ და მას ელვარებას და დიდებას ჰმატებენ“. ქალი დაინტერესდა, თუ ასეა, მაშინ რატომ არ ურჩევნია იდალგოს მშვიდობიანად იმსახუროს მეფის კარზე? დონ კიხოტმა აუხსნა ქალბატონს, რა სხვაობაა მოგზაურ და კარისკაც რაინდთა შორის. ერთნი მეფეს არ შორდებიან, თანხებს არ ხარჯავენ, არც დაღლილობას გრძნობენ, მეორენი—არ ერიდებიან მზის მწვავე სხივებსა და ზამთრის ყინვას, უშიშრად ხვდებიან განსაცდელს, მტერს. მათგან უამრავს სამეფოებიც გადაურჩენია. დისწულმა, ანტონიო კიხანომ, მოგზაური რაინდების ისტორიას მოჩმახული და კოცონზე დასაწვავი სიცრუე უწოდა. დონ კიხოტმა „სინათლის მომნიჭებელი ღ მ ე რ თ ი“ დაიფიქრა, დისწული რომ არ იყო, ღვთის გამობისათვის, მოგზაური რაინდების ასე მოხენიებისათვის, ისე დაგსჯიდი, ქვეყანა გამეკვირვებინა. მხოლოდ დიდებულ ამაღისს თუ გადაურჩებოდი, რადგან „ყმაწვილი ქალების სულგრძელი მოსარჩლე იყო“. სხვები არ გაპატიებდნენ, რადგან ისინი ერთმანეთისგან გულმოდგინებით განსხვავდებოდნენო. დისწულმა ბიძა ბევრი რამის ცოდნის გამო შეაქო, უთხრა: „კათედრაზე მქადაგებლად ხართ გაჩენილი“, მაგრამ თვალეზაბმულიც ბრძანდებით, რადგან, ღონიერ და ახალგაზრდა კაცად მიიჩნევთ თავს. ღარიბ იდალგოს რაინდად და კაბალეროდ გახდომა არ შეუძლიაო. რაინდი დაეთანხმა დისწულს, შენს ნათქვამში ბევრი სიმართლეაო, შემდეგ კი ვრცლად ისაუბრა იმაზე, თუ რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გვარები: „რაც ქვეყანაზე გვარები არსებობენ, ყველა ოთხ რიგად შეგვიძლია გავყოთ: „ერთნი მცირე დასაბამიდან

წამოსულან, ნელ-ნელა ამაღლებულან და სამეფო გვირგვინამდის მიულწევიათ; მეორენი პატიოსანი წინაპრებიდან წარმომდგარან და ახლაც იმავე უწინდელი დიდებით იმყოფებიან; მესამეთა წარმოშობა შეიძლება პირამიდას მივამსგავსოთ, დიდი, განიერი საფუძვლიდან გამომდინარე გვარი თანდათან შევიწროებულა და ახლა ერთ პატარა, ძლივს შესამჩნევ წერტილად ქცეულა; დასასრულ, მეოთხე და მრავალრიცხოვანი მოდგმა - მდაბიო ხალხს წარმოადგენს, რომელიც იყო და ახლაც იმყოფება წყვედიადში. იმ გვარეულობათა ნიმუშად, რომელნიც მცირედი დასაბამიდან გამოსულან და ნელ-ნელ იმ დიდებამდის აღმაღლებულან, რა დიდებაშიაც იმათ ახლა ვხედავთ“[2,49-50]. რაინდის თქმით, სიმდიდრისა და პატივისაკენ სამოქალაქო მოღვაწეობასა და მხედართა საქმიანობას მივყავართ. მან მეორე ამოირჩია და მიუყვება „ბუნებითს მიზიდულებასა“ და ღვთისგან ნაჩვენებ გზას. სხვები ტყუილად ცდილობენ იდაღო ბედსა და სურვილს აარიდონ, მის ხელობას ხომ სარგებლობა მოაქვს. მან გაიხსენა „დიდი კასტილიელი პოეტის“ სიტყვები: „ჰა, ეკლიანი გზა წამებისა, რომლის უშიშრად გადამლახველი ავა მწვერვალზე უკვდავებისა“[2,51].

კარებზე კაკუნი და სანჩოს ხმა მოისმა. დიასახლისმა თავი აარიდა „თავის მოსისხლე მტერს“, დისწულმა შემოიპატიჟა საჭურველმტვირთველი. რაინდი სტუმარს სიხარულით შეხვდა, გადაეხვია და მოსალაპარაკებლად თავის ოთახში შეიყვანა.



თავი VII

რა მოხდა დონ კიხოტსა და მის საჭურველმტვირთველს შორის და სხვა ფრიად გასაოცარი ამბები

დონ კიხოტი და სანჩო პანსა ჩაიკეტნენ ოთახში და ფარული მოლაპარაკება დაიწყეს, მესამედ გამგზავრების თაობაზე. დიასახლისი მიხვდა ყოველივეს და რაინდის ახალ მეგობართან, ბაკალავრ სამსონ კარასკოსთან, მივიდა თხოვნით, რათა დახმარებოდა და შეთქმულებისთვის უგუნური განზრახვა დაეშლევინებინა, რადგან იდალგო: „პირველად ვირით მოიტანეს შინ ჯოხით ნაცემი, მეორედ ხარებით მოიყვანეს ყაფაზაში ჩასმული, რაშიც მოჯადოებულ-მოხიბლულად თვლიდა თავს და ისეთ უბედურ ყოფაში იყო - მშობელი დედა ვერ იცნობდა- ეტრატვიტ გაყვითლებულს და თვალეზრაცვიენულს“[2,52] სამსონმა ურჩია, წასულიყო, საუზმე მოემზადებინა და წ მ ი ნ დ ა ა კ ო ლ ო ნ ი ა ს ლ ო ც ვ ა ც წარმოეთქვა და საქმე „გაიჩარხებოდა“. დიასახლისი შეწუხდა, რადგან, მისი თქმით, ეს ლოცვა „კბილის მტკივანს შველის და არა ტვინისას“[2,53]. კარასკომ უპასუხა, სალამანკის უნივერსიტეტის ორატორი ბაკალავრი ვარ და უნდა დამიჯერო. დიასახლისი შინ წავიდა, სამსონი კი მღვდელთან გაემართა მოსალაპარაკებლად.

ბატონი და მსახური ბაასს განაგრძობდნენ. მსახური უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ დონ კიხოტი მას საუბრისას დაშვებულ შეცდომებს უსწორებდა: „არ ვიცი, როგორღა უნდა გელაპარაკოთ. არ ვიცი და ესაა. ღ მ ე რ თ მ ა მაპატიოს...“[2,53] მან ანდაზები მოიშველია, გაიხსენა ტერესას თანხმობა, მისი ხელახალი გამგზავრების შესახებ: „თუმცა დედაკაცის რჩევა დიდი რამ სიბრძნე არ არის, მაინც უჭკუო უნდა იყო, რომ არ მოისმინო“[2,54]. იდალგომ საჭურველმტვირთველის მოსაზრებები მოიწონა: „დღეს შენ პირიდან მარგალიტი გცვივაო“[2,55] უთხრა, მაგრამ სანჩომ „ჯამაგირი“ მოითხოვა, რომელსაც ისევ უკან დაუბრუნებდა ბატონს, მისგანვე ნაჩუქარი კუნძულის შემოსავლიდან. იდალგომ მიუგო: მივხვდი „საით უმიზნებ მაგ შენი უთვალავი ანდაზების ურიცხვ ისარს. მაგრამ, იცოდე, სანჩო, სიამოვნებით დაგინიშნავდი ჯამაგირს, რომ რომელიმე სარაინდო წიგნში მსგავსი რამ წამეკითხოს“[2,55]. მისი თქმით, საჭურველმტვირთველები ყოველთვის უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ მოგზაურ რაინდებს, ჯილდოს იმ შემთხვევაში დებულობდნენ, როცა მათ ბატონს ბედი გაუღიმებდა, დონ კიხოტმა აუხსნა სანჩოს: „მოგზაური რაინდების დიდი ხნით ნაკურთხ ჩვეულებას“ ვერ ვუღალატებო. მსახურს შეეძლო წასულიყო მისგან: „საჭურველმტვირთველს ადვილად ვიშოვი, უფრო ბეჯითს, დამჯერეს, ხეირიანს და ამასთანავე არა ისეთ ყბედს, როგორც შენა ხარ“[2,55]. სანჩო ასეთ პასუხს არ მოელოდა, თვალეზრე ბინდი გადაეკრა. ამ დროს, რაინდის ოთახში, სამსონ კარასკო, დიასახლისი

და დისწული შემოვიდნენ: „ხუმარა სამსონი თავშეკავებული დაცინვის ღიმილით მივიდა რაინდთან, როგორც პირველად, ახლაც ისე აკოცა და მჭახე ხმით უთხრა:

„- ჰოი, მშვენებავ მოგზაურ რაინდებისავ, მხედართა სხივცისკროვანო მნათობო, სიამაყევ და დიდებავ ესპანეთის ერისაო!“[2,56], კარასკო გმობდა იმ პირთ, რომლებიც გამგზავრებას დაუშლიდნენ რაინდს. ის მიუბრუნდა დიასახლისს და უთხრა, „ზ ე ნ ა ა რ ი ს ნ ე ბ ი თ“ რაინდმა „თავისი უმაღლესი განზრახვა აღსრულებაში უნდა მოიყვანოს“[2,56], რათა „შეუდრეკელი გულის დაუსრულებელი სიკეთე ხელახლად მოუვლინოს ქვეყანას“[2,56] და გახსოვდეთ, რომ „აქ არის კაცი, თავისი სიცოცხლით და ქონებით თქვენს სამსახურად გამზადებული, რომელიც მასთანვე დიდ ბედნიერებად ჩათვლიდა, რომ თქვენ საჭურველმტვირთველად გახდომა შეძლებოდა“[2,56].

დონ კიხოტმა სანჩოს მიმართა: „ხედავ, ვინა მთანხმდება საჭურველმტვირთველად გამიხდეს! თვით შეუდარებელი ბაკალავრი სამსონ კარასკო, სალამანკის სკოლათა ეზოების ყველა გართობისა და მხიარულების მეთაური, ჭკუიანი, მარჯვე, ხელოვანი, წყნარი, ფრთხილი, შიმშილისა და წყურვილის მოთმინებით ამტანი, სიცივისა და სიციხის არაფრად ჩამგდები,-ერთი სიტყვით-ყველა იმ ღირსებათა მქონე, რაც რაინდთა საჭურველმტვირთველთათვის საჭირო არის“ [2,56-57], მაგრამ ჩემი სარგებლობის გულისათვის არ მსურს მისი სამსახური, „მეცნიერების ეს ძვირფასი ჭურჭელი“ და „საპატიო და თავისუფალ ხელოვნებათა ეს ტანკენარი სარო“ დაე, თავის ქვეყანაში დარჩეს, ასახელოს იგი და თან დაამშვენოს მოხუცი მშობლების ჭადარაც, მე სხვა მსახურს ვიშოვი. სანჩოს თვალები ცრემლებით ავესო, მან თქვა, რომ საჭურველმტვირთველობაზე არ ამბობს უარს, ჯამაგირი კი იმიტომ მოითხოვა, რომ სურდა ტერესა ესიამოვნებინა. მან პირობა მისცა დონ კიხოტს, რომ ისევ გაჰყვებოდა და უფრო ბეჯითად მოემსახურებოდა. რაინდი და საჭურველმტვირთველი გადაეხვივნენ ერთმანეთს. კარასკოს რჩევის თანახმად, სამი დღის შემდეგ უნდა გამგზავრებულიყვნენ, ამასობაში მათ უნდა მოეწესრიგებინათ ყველაფერი, ის დაჰპირდა ფარისა და ზუჩის საცხვირის შოვნას. დიასახლისი და დისწული ბრაზობდნენ სამსონზე, „თმებს იგლეჯდნენ, პირისახეს იხოკდნენ და ცხედარზე დაქირავებული ხელოვანი მომტირლების მსგავსად სტიროდნენ ისე უნუგეშოდ, თითქოს დონ კიხოტი ახალ ფათერაკების საძებნელად კი არ მიემგზავრებოდა, არამედ თავისი სამარის გასათხრელად მიდიოდა“[2,58]. კარასკო ფიქრობდა, ასეთი ორი ჭკუადამთხვეული კაცი ქვეყნად ჯერ არავის უნახავსო.

ჩვენმა მოგზაურებმა ყველაფერი მოამზადეს, სანჩომ დაამშვიდა ტერესა, დონ კიხოტმა-დიასახლისი და დისწული და ერთ მშვენიერ საღამოს გაიპარნენ, მხოლოდ ბაკალავრმა იცოდა მათი წასლის დრო, გააცილა ისინი ნახევარი მილის მანძილზე და რაინდს სთხოვა ყოველი გამარჯვებისა და დამარცხების ამბავი, როგორც მეგობარს, გამაგებინეო.

„საჭურველმტვირთველს თან ს ა გ ზ ლ ი თ სავსე ხურჯინი და ფ უ ლ ი თ გატენილი ქისა ჰქონდა, რაც მას ყველა მოულოდნელი შემთხვევისათვის რაინდმა ჩააბარა“[2,58].

თავი VIII

სადაც მოთხრობილია, თუ რა შეემთხვა დონ კიხოტს თავისი მიჯნურის დულსინე ტობოსელის სანახავად გამგზავრების დროს

მონტიელის გზაზე მიმავალთ შემოაღამდათ. დონ კიხოტი ჩქარობდა, დაბნელებამდე, **სხვა ფათერაკების ძებნის დაწყებამდე**, ტობოსოში, დულსინესთან იმის სათხოვნელად მისულიყო, რომ ქალს გზა დაელოცა იდალგოსთვის, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მიჯნურისგან კეთილი განწყობილება რაინდებს აძლიერებთ. სანჩომ თავის ბატონს მოახსენა, დულსინეა, ალბათ, საქონლის ბაღის ღობის გადაღმიდან დაგლოცავთ, რადგან სიერა-მორენის ხეობაში თქვენს დამთხვეულობაზე წერილი რომ მივუტანე, სწორედ იქ ვიხილეო. დონ კიხოტმა შეჰყვირა: ცდები, რადგან ვ არ ს კ ვ ლ ა ვ ი და მ თ ე ლ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს მ შ ვ ე ნ ე ბ ა მხოლოდ დიდებული სამეფო სასახლის აივანზე ან შუშაბანდში შეიძლებოდაო გენახა. საჭურველმტვირთველი თავისას არ იშლიდა, ის ადგილი საქონლის ბაკის ღობედ მომეჩვენაო. რაინდმა მიუგო, სადაც არ უნდა ვიხილო იგი, სული გამიკაჟდება, გავძლიერდები და ჭკუითა და სიმამაცით ვერავინ შემედრებაო. მსახურმა ისევ მიუგო: როდესაც დულსინე ვიხილე, მ ის ი ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ბ ა ხ ო რ ბ ა ლ ს ც ხ რ ი ლ ა ვ დ ა და ამ გ ა ც ხ რ ი ლ ვ ი ს ა გ ა ნ ა დ ე ნ ი ლ მ ა მ ტ ვ ე რ მ ა მ ის ი ს ა ხ ე და ა ბ ნ ე ლ ა ო. რაინდმა იმ ოთხი ნიმფის ამბავი გაიხსენა, მდინარე ტახოს ნაპირებთან მარგალიტით, ოქრომკვდითა და აბრეშუმისაგან ძვირფას ქსოვილებს რომ ქარგავდნენ, ალბათ, დულსინეც ამგვარ საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ, დონ კიხოტის აზრით, ბრძენი ჯადოქრის მიერ დაწერილი მისი გამირული საქმეების ისტორია, რომელიც, როგორც ამბობენ, უკვე გამოცემულია, შეცვლილია, ის მცირეოდენი სიმართლისა და ბევრი სიცრუისგან შედგება. სანჩო დაეთანხმა, როგორც კარასკომ თქვა, მეც გათათხული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ არ ც ე რ თ ჯ ა დ ო ქ ა რ ზ ე ც უ დ ი ს ი ტ ყ ვ ა რ მ ი თ ქ ვ ა მ ს, ჩემი სიღარიბის გამო შურს ვერავის აღვუძრავდი, „ისე ბოროტი არა ვარ, როგორც მიაბიტი და ბრიყვი, მაგრამ ყველაფერ ამას ჩემი გულუბრყვილობის ფართო საბურველით ვფარავ“, „ყველაფერი ბეჯითად მწამს, რის რწმენასაც ჩვენი წმიდა რომის კათოლიკური ეკლესია გვიბრძანებს“, „საწყალი ვიყავ და საწყალი დავრჩები, არც არაფერი მოვიგე, არც არაფერი წავაგე და იმ წიგნის გამო, რომელშიაც მე მომაქციეს და ერთი ხელიდან მეორე ხელში გადავდივარ, მართალი მოგახსენოთ, იმდენს ვწუხვარ,

რამდენსაც დამპალ ლელვზე“ [2,61]. რაინდმა რამდენიმე მაგალითი მოიყვანა იმის შესახებ, თუ რა გზებითა და ხერხებით გაითქვეს სახელი ზოგიერთებმა, რომლებიც „წარმავალ და ამაო თავის გამოჩენისაკენ“ მისწრაფვოდნენ. ერთ–ერთი კურტიზან ქალებზე გესლიანი სატირის შემქმნელ პოეტს შეეხებოდა. მას, თურმე, ერთი გაცეცხლებული ქალი დაემუქრა, მოითხოვა მისი სახელი, რომელიც ავტორს გამორჩენოდა, ნაწარმოებში ჩაემატებინა. პოეტმა სურვილი შეუსრულა, „გათათხა“ და, ამით, მართალია ცუდი სახელით, მაგრამ მაინც ცნობილი გახდა იგი. მანდილოსანი კმაყოფილი დარჩა.

ერთმა მწყემსმა, ჰეროსტრატემ, თავისი სახელის უკვდავსაყოფად ცნობილი ტაძარი გადაწვა.

როტონდის შესანიშნავ ტაძარს ძველად ყველა ღმერთის სავანე ეწოდებოდა. მას ნახევარი ფორთოხლის ფორმა აქვს და სინათლე ზევით მდებარე ერთი მრგვალი ხვრელიდან ჩადის. იქ იდგა დიდებული იმპერატორი, კარლოს მეხუთე და ათვალთვრებდა, გვერდით მდგარი რომაელი აზნაური ესაუბრებოდა გრანდიოზული და ღირსშესანიშნავი ხუროთმოძღვრების სილამაზესა და მშვენიერებაზე. როდესაც სტუმარი იმ ადგილს მოშორდა, აზნაურმა თავისი ახირებული აზრი გაუმხილა, ხვრელის პირას რომ იდექით, სურვილი მქონდა შიგ ჩამეგდეთ და თქვენი სიკვდილით უკვდავება მომეპოვებინაო. იმპერატორმა მადლობა გადაუხადა ცუდი სურვილის აუსრულებლობის გამო და სხვა დროსაც, ცდუნებას რომ არ აჰყოლოდა, აუკრძალა მის სიახლოვეს ყოფნა, დაასაჩუქრა და ალერსიანად გამოეთხოვა.

ჰორაციუსი, აბრით დამძიმებული, ხიდიდან ტიბრში გადავარდა.

მუციუს სცევოლამ გახურებულ რკინაზე ხელი დაიხრავა.

კურციუსი, რომის შუაგულში, ამოხეთქილ ცეცხლის უფსკრულში ჩავარდა.

კეისარმა რუბიკონი გადალახა.

მამაცმა ესპანელებმა, რომლებსაც მხნე კორტესი წინამძღოლობდა, თავიანთი ხომალდები წყალში ჩაძირეს და უკაცრიელ ნაპირას მარტონი დარჩნენ.

ღონ კიხოტმა სანჩოს მოუწოდა, ამგვარი, სააქაო, წარმავალი თავის გამოჩენისკენ კი არა, ზეციერ სავანეში გამზადებული საუკუნო დიდებისკენ უნდა მისწრაფვოდნენ. სანჩო დაინტერესდა, სად არიან ახლა ღონ კიხოტის მიერ ჩამოთვლილი რაინდები და თუ დაიხოცნენ, არის თუ არა მათი საფლავები განსაკუთრებულ ვითარებაში? ბატონმა მიუგო, წარმართები ჯოჯოხეთში, მართალი ქრისტიანები კი სალხინებელში არიან, პირველთ, განსასვენებლად, უძვირფასესი ტაძრები ჰქონდათ: იულიუს კეისარს, იმპერატორ ადრიანს, მავზოლეს...მათი სამარხები არ იყო მორთული.

სანჩომ ბატონს ჰკითხა, თავისი სახელის უკვდავსაყოფად, რას აირჩევდა, დევის მოკვლას თუ მკვდრის აღდგენას? ბატონმა მიუგო, რომ მკვდარს აღადგენდა. ამაზე საჭურველმტვირთველმა მიუგო, ვინც მკვდრები აღადგინა, ბრმებს მხედველობა, კოჭლებს ჯანმრთელობა დაუბრუნა და ვისი აკლდამებისა და ნაწილების წინაშე მლოცველი ხალხი დგას, იმათი დიდება, სააქაოსაც და საიქიოსაც ყველა წარმართ იმპერატორსა და ყველა ოდესმე არსებულ რაინდზე მაღლა დგას. იდალგომ თავისი მსახურის სიტყვები ჭეშმარიტებად მიიჩნია, მაგრამ დაინტერესდა, ამით რისი თქმა სურდა მას. სანჩომ მიუგო, რომ სჯობია წმინდანები გახდნენ, ისინი ამით მიაღწევენ იმ სახელსა და დიდებას ასე რომ მიელტვიან. სამი დღის წინათ სამი ფეხშიშველი ბერი შერაცხეს წმინდანად და დღეს დიდ ბედნიერებად ითვლება ემთხვიო იმ რკინის ჯაჭვებს, ისინი რომ ირტყამდნენ წელზე, უფრო საპატიოდ მიიჩნევა ისინი, ვიდრე როლანდის ხმალი, მეფე რომ ინახავს არსენალში...სჯობია იყო უბრალო ბერი, ვიდრე მოგზაური რაინდი. ბატონმა მიუგო, ყველანი ბერები ვერ გავხდებით, რაინდობაც სარწმუნოებრივი ორდენია და სამოთხეშიც მრავლად არიანო...

ბატონი და მსახური ამ საკითხზე კიდევ დიდხანს საუბრობდნენ...მთელი დღე და ღამე ლაპარაკში გაატარეს. მეორე დღეს, ტობოსოს ხილვამ ბატონი გაახარა, საჭურველმტვირთველი კი დაალონა, რადგან მას დულსინე არასდროს უნახავს და არც ის იცოდა, სად ცხოვრობდა იგი. ისინი ტობოსოს ახლო მდებარე მუხნარში გაჩერდნენ, რადგან დონ კიხოტს არ სურდა დაღამებამდე იქ მისულიყო.



თავი IX

სადაც მოთხოვნილია ის, რასაც დაინახავთ

შუალამისას, მუხნარიდან გამოსული დონ კიხოტი და სანჩო პანსა ტობოსოსკენ გაემართნენ. შეყვარებულმა რაინდმა თავის საჭურველმტვირთველს სთხოვა, გაძლოლოდა დულსინეს სასახლისკენ, მან კი მიუგო, რომ „**მისი დიდებულება**“ ქოხში იხილა და არა სასახლეში. რაინდმა მიუგო, რომ დულსინე იმ დროს ციხე-დარბაზის პატარა ოთახში, თავის სეფექალებთან ერთად, ისვენებდაო.

რაინდმა თვალი მოჰკრა დიდ შენობას, რომელიც ჩრდილავდა მიწის ვრცელ მონაკვეთს, როცა მიუახლოვდნენ, იმედი გაუცრუვდა, ის სოფლის საყდარი აღმოჩნდა. სანჩო ბრაზობდა, როგორ ვიპოვოთ დულსინეს სასახლე, როცა ის მხოლოდ ერთხელ ვნახე, თქვენ ასჯერ გიხილავთ და მაინც ვერ გიპოვიათო. ახლა ბატონი გაუბრაზდა მსახურს: „**შე ერეტიკოსო, ათასჯერ მაინც არ მითქვამს შენთვის... რომ არასოდეს არ მინახავს მშვენიერი დულსინე**, იმის სასახლის დირეზე არასოდეს არ გადამიბიჯებია-მეთქი, და თუ მიყვარს იგი, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ქვეყნად განთქმული ჭკუა და სილამაზე გამიგონია“[2,68]. სანჩოს წამოცდა, რომ არც ერთხელ არ უნახავს ეს ქალბატონი. რაინდმა შეახსენა, განა შენ არ მითხარი, წერილი რომ მივუტანე, ხორბალს ცხრილავდაო. სანჩო ერთსა და იმავეს იმეორებდა, არ ვიცნობო, რაზეც დონ კიხოტმა მიუგო: „**თუ მე ვთქვი, ჩემი სულის ღვთაება, ჩემი მიჯნური არასოდეს მინახავს-მეთქი, ეს იმას როდი ნიშნავს - შენც იგივე გაიმეორო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ ტყუი**“[2,69].

გზაზე გამოჩნდა მხვნელ-მთესველი გლეხი, იგი ჯორს მიერეკებოდა, გუთანს მიათრევდა რახრახით და რომანსს მღეროდა: „**ო, ფრანგებო, რონსევალთან ცუდი საქმე დაგემართათ**“[2,69]. სიმღერის ტექსტის მოსმენამ, რატომღაც, რაინდს იმედი ჩაუსახა, კარგი ამბის მოლოდინი გაუჩნდა, რამაც მსახური გააკვირვა.

დონ კიხოტმა გლეხს სთხოვა მიესწავლებინა მათთვის პრინცესა დულსინეს სამყოფელი, ბიჭმა მიუგო, რომ არაფერი იცის, არც სმენია, აქ სადმე პრინცესას სასახლე ყოფილიყოს, მაგრამ ერთ-ერთ სახლში, იქვე მახლობლად, მღვდელი და მნათე ცხოვრობენ, მათ ეცოდინებათ, რადგან ტობოსოს მცხოვრებთა სია აქვთო.

საჭურველმტვირთველმა ურჩია თავის ბატონს, დამალულიყვნენ ტყეში, მალე გათენდებოდა, დილით კი შეეცდებოდა ყველა ქუჩა დაეთვალიერებინა და იქნებ ეპოვა დულსინეს სასახლე. დონ კიხოტმა დაუჯერა. სანჩოს ეშინოდა არ გამჟღავნებულიყო საიდუმლო, მას დულსინე ხომ მართლაც არ ენახა და არანაირი პასუხიც არ შემოუთვლია სიერამორენის ხეობაში დონ კიხოტისთვის.



თავი X

სადაც მოთხოვნილია, თუ რა ემშაკურად მოაჯადოვა სანჩომ ქალბატონი დულსინე და კიდევ სხვა ფრიად სასაცილო და უაღრესად ჭემმარიტი ამბები

დონ კიხოტმა ტობოსოს მეზობლად მდებარე ჭალაში შეისვენა და სანჩო პანსას დაავალა, დულსინეს სასახლე მოეძებნა, დაკვირვებოდა ქალს, როგორ მოიქცეოდა, აელედებოდა თუ არა, როდესაც მიჯნურის სახელს მოისმენდა.

სანჩო გაემგზავრა, ცოტა რომ გაიარა და დარწმუნდა, ბატონი უკვე ვეღარ მხედავსო, ჩამოხტა ვირიდან, ერთი ხის ქვეშ დაჯდა და საკუთარ თავთან გააბა საუბარი: „ჩემო ძმობილო სანჩო, საით მიბრძანდება თქვენი მოწყალეობა?“[2,72], დაკარგულ ვირს კი არა, დონ კიხოტის სახელით, პრინცესას დაეძებ, რომელიც „სილამაზის მზეა და მასთან ერთად - მთელი ზეცა“[2,73], სად უნდა იპოვო? რაინდის თქმით, ის „მეფის მშვენიერ სასახლეში და საუცხოო ციხე-დარბაზში ცხოვრობს“[2,73], მაგრამ როდისმე ან შენს ბატონს, ან შენ, თუ გინახავთ? ტობოსოელები თუ გაიგებენ, რომ დიდებული ქალბატონების სამეზობლად დაეხეტები, კეტებით გაგიმასპინძლებიან, თუკი მხედველობაში არ მიიღებენ იმას, რომ მხოლოდ ელჩი ხარ და დესპანის სახელს ატარებ...

საჭურველმტვირთველმა საკუთარ თავთან საუბრიდან შემდეგი დასკვნა გამოიტანა: ბატონი ჭკუარეულია, მაგრამ არც თვითონა ვარ კარგად, რადგან ავდევენებივარ იმას, ვისაც „თეთრი შავად ეჩვენება და შავი თეთრად, ქარის წისქვილები დევებად, მღვდლის ღორები აქლემებად, ფუნდუკები ციხე-დარბაზებად, ცხვრის ფარები დიდ ლაშქრებად და სხვადასხვა ამგვარები“[2,74], დონ კიხოტს, პირველივე შემხვედრ გლეხის გოგოზე ვეტყვი, რომ ის დულსინე ტობოსელია, დავარწმუნებ, თუ არ დაიჯერებს, დავიფიცებ. როცა დაინახავს, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოდის, სატრფოს სახეცვლილებას ჯადოქარს დააბრალებს.

სანჩო ხის ქვეშ იჯდა, დაღამებამდე. დაინახა სამი ქალი, სახედრებით მოდიოდნენ და საჭურველმტვირთველი გაექანა დონ კიხოტისკენ, სასიხარულო ამბავი მომაქვს, როსინანტით გაქუსლეთ, დულსინე ორი მოახლის თანხლებით თქვენკენ სტუმრად მოემართებაო. საჭურველმტვირთველმა ბატონს ქალები ულამაზეს მორთულ-მოკაზმულ არსებებად წარმოუდგინა. გახარებული რაინდი საჭურველმტვირთველს საჩუქრად პირველსავე მოსალოდნელ ფათერაკში მოპოვებულ ნადავლს ან სამ კვიცს შეპირდა (საერთო საძოვარზე გაშვებულ მის სამ ფაშატს რომ უნდა შეძენოდა). მსახურმა არჩია კვიცები მიეღო, რადგან ფათერაკში მოპოვებული ნადავლი, მისი თქმით, მაინცდამაინც ვერაფერი შვილი იქნება. ისინი ამგვარი საუბრით ტყიდან გამოვიდნენ, რაინდმა ტობოსოს გზას თვალი გააყოლა, სამი გლეხის ქალი რომ დაინახა, თავის მხლებელს ჰკითხა, დულსინე სად დაინახეო. მან მიუგო, „შუადღის მზესავით მოკაშკაშე“ სამ მანდილოსანს ნუთუ ვერ ხედავთ, ბედაურებს რომ მოაქროლებენო. რაინდმა მიუგო, მხოლოდ სახედრებზე შემსხდარ გლეხის ქალებს ვხედავო.

სანჩო არწმუნებდა, თოვლზე უთეთრეს იორღა ცხენებზე სხედან, თქვენ ან ბრმა ხართ, ან მოხიბლული. დონ კიხოტი მაინც თავისას ამბობდა, ცხენები კი არა ულაცი ან ჭაკი ვირებიანო. სანჩომ ურჩია, თავის სატრფოს (ვითომ დულსინეს) მისალმებოდა, თვითონ ქალებისკენ გაეშურა, ვიღაც გლეხის გოგოს ვირს აღვირში სტაცა ხელი, დაუჩოქა და მიმართა: „ჰოი, ბრწყინვალეო პრინცის ასულო, მშვენიერების დედოფალო! თქვენი ყურადღების ნათელი მოჰვინეთ თქვენგან დამარცხებულ რაინდს, აგერ რომ მარმარილოს ქანდაკებასავით უძრავად დგას, თქვენი მოახლოებით გაფითრებული და შეშფოთებული. მე იმის საჭურველმტვირთველი სანჩო პანსა გახლავარ, ხოლო ჩემი ბატონი მოგზაური რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელია, მწუხარე სახის რაინდად ცნობილი“[2,76]. რაინდი „ჩასუქებულ, ცხვირ-კომბოსტოს, სახეგასიებულ გოგოს“ გაცემული უყურებდა. არანაკლებ გაკვირვებული იყვნენ ქალები იმით, რომ „ვიღაც ორმა უცნობმა, ერთმანეთის არაფრით მსგავსმა კაცმა წინ დაუჩოქა მათ და გზა გადაუღობა“. მათ უხეშად მიმართეს აბეზარ ვაჟბატონებს, გზიდან ჩამოცლოდნენ და სოფლის ქალებს მასხრად ნუ იგდებდნენ. მოწყენილმა დონ კიხოტმა სანჩოს მიმართა ამდგარიყო, რადგან ბედი მას გზას უხშობდა. გლეხის გოგოს კი ასე მიმართა: „მიუწვდომელო საზღვარო მიწიერი მშვენიერებისავ, ღვთაებრივო შეერთებავ ყოველი მიწიერი სიხარულისავ, ერთადერთო საყრდნობელო შენდა მალმერთებელ ჩემი სულისა“[2,77], ჯადოქარმა ბინდი გადააფარა შენს მშვენიერებას... ამ და სხვა ამგვარი აბდაუბდის პასუხად, ქალმა უთხრა, ასეთები ბაბუაჩემს უთხარით, თავს ნუ გვაბეზრებთ, გვეჩქარებაო. ქალები მალე მიეფარნენ თვალს. შეწუხებულმა დონ კიხოტმა სანჩოსთან საუბარში აღნიშნა, რომ ჯადოქრებმა უმტრეს, დულსინე უხეშ, გულისამრევ ნივრისსუნიან გლეხის დედაკაცად გარდაქმნეს. სანჩოც შეჩვენებას უთვლიდა არამზადა ჯადოქრებს, ნატრობდა მოსწრებოდა იმ დროს, როდესაც მათ ვერხვის ხეზე ჩამოკიდებულს იხილავდა.

„ჩვენი გაიძვერა სანჩო კი აღტაცებული იყო, სიცრუემ ჩინებულად რომ ჩაუარა“.

თავი XI

ამბავი უცნაური ფათერაკისა, სახელოვან დონ კიხოტს „სიკვდილის სასახლის“ ეტლთან თუ ურემთან შეხვედრისას რომ შეემთხვა

დონ კიხოტი დადარდიანებული, გაჩუმებული მიდიოდა, იმ ჯადოქრებზე ფიქრობდა, დულსინეა რომ გლეხის ქალად გარდაქმნეს. სანჩომ დაამშვიდა თავისი ბატონი და გულისტკივილი გამოხატა ამ ცვლილების გამო. რაინდმა მას უთხრა, ჯადოქრობის ძალა ჩემზე გავრცელდა, შენზე კი არა, რადგან მარგალიტისთვლებიან (რომელიც თევზებს აქვთ და არა მანდილოსნებს) ქალად წარმომიდგინე, მას „ორი მშვენიერი ზურმუხტისფერი“ თვალი უნდა ჰქონოდა, მარგალიტი კბილებს უფრო შეეფერება, შენ აგერია ერთმანეთში...

სანჩომ რაინდს ურჩია, ღვთის ნებაზე მიეგდოთ დულსინეს სახეცვლილების ამბავი, მაგრამ ერთი რამ კი ძალიან აინტერესებდა, თავისი ბატონის მიერ დამარცხებულ დევს ან რაინდს, სად შეეძლო მისი მიჯნურის პოვნა, რათა თან ხლებოდა ქალს და დაეცვა იგი, იქნებ „ტობოსოს ქუჩებში რაღაც მოჩვენებასავით პირღია და თვალედაჭყეტილი დაეხეტება და არ იცის, სად იპოვოს დულსინე“.

ბატონმა მიუგო, ჩემგან ძლეულ რაინდებს ან დევებს მივუგზავნი მიჯნურს, თან დავავალე, დაბრუნდნენ და ყველაფრის ანგარიში ჩამაბარონო.

უცებ გზაზე გამოჩნდა უცნაურად მორთული, თავახდილი ეტლი, რომელსაც ეშმაკის მსგავსი მეეტლე მართავდა. შიგ „სანახაობა“ ჩანდა. სიკვდილის ფერხითი კაპარჭითა და მშვილდისრებით შეიარაღებული კუპიდონი იჯდა, გვერდით–ფერადფრთებიანი ანგელოზი და ოქროს მსგავსი ჯილით შემკული იმპერატორი, უკან კი აბჯარ–საჭურვლით მოკაზმული რაინდი იდგა, რომელსაც, მუზარადის ნაცვლად, ფერადი ფრთებით მორთული ქუდი ეხურა. დონ კიხოტი შეკრთა, სანჩოს თავზარი დაეცა. რაინდი მალე მოეგო გონს და გაუხარდა კიდეც, რომ ახალ ფათერაკს გადაეყარა, გაექანა მათკენ და დაიყვირა: მეეტლე ხარ თუ ეშმაკი, სად მიგყავს ეგ ბარონის ნავის მსგავსი ეტლი... „ეშმაკმა“ მიუგო, მსახიობები ვართ, ქრისტეს ვნების დღესასწაულზე, სასულიერო შინააარსის წარმოდგენა, „სიკვდილის სასახლე“, გავითამაშეთ, ახლა მახლობელ მეორე სოფელშიც უნდა წარმოვადგინოთ ეს სცენა... მეეტლემ რაინდს ჩამოუთვალა, რომელი მსახიობი რა როლს თამაშობდა. დონ კიხოტმა უთხრა, მეგონა ფათერაკს გადავეყარეო, მშვიდობიანი მგზავრობა უსურვა მათ და დაპირდა, მისი სამსახური თუკი დასჭირდებოდათ, რაინდი მზად იყო მომსახურებოდა მსახიობებს, რადგან ის თეატრის მოყვარულია და ბავშვობიდან მის ოცნებას კომენდიანტების ცქერა წარმოადგენდა.

მოსაუბრეებს, ჟღარუნებით, ხარის სამი გაბერილი ბუმბიტით, პამპულად მორთული, უკან ჩამორჩენილი მსახიობი წამოეწია. ის ბუმბიტებს მიწაზე ურტყამდა და ჟღარუნებს აჟღერიალებდა. სანახაობამ როსინანტი დააფრთხო და მინდვრისკენ

გაქუსლა, რაინდმა ვერ შეძლო მისი შეჩერება, სანჩო მოახტა ვირს და ბატონის მისაშველებლად გაიქცა, დაეწია მათ, მაგრამ ცხენი და მისი მხედარი უკვე მიწაზე ეყარნენ. საჭურველმტვირთველი ჩამოხტა სახედრიდან, რათა დახმარებოდა წაქცეულებს, ამ დროს პამპულასავით მორთული მსახიობი მოახტა მის ლურჯას და გაექანა იმ სოფლისკენ, სადაც წარმოდგენის გამართვას გეგმავდნენ. სანჩო ორცეცხლშუა იყო, ბატონს დახმარებოდა თუ ლურჯას კვალს მიყოლოდა. გადაწყვიტა, რომ დონ კიხოტი უნდა წამოეყენებინა. მიეშველა როსინანტზე შეჯდომაში და თან შესჩვილა ის, რომ „ემმაკმა“ მისი ვირი მოიტაცა. ბატონმა დაამშვიდა, მსახიობების ეტლი ისე მიიზღაზნება, დაკარგულ ვირს ეტლის ჯორებით აგინაზღაურებო. მალე დაინახეს, რომ სახედარი უკან ბრუნდებოდა, მან, თურმე, მსახიობი ჩამოაგდო და ბრუნდებოდა.

დონ კიხოტმა გადაწყვიტა, „ემმაკის კადნიერების“ გამო, მისი რომელიმე ამხანაგი დაესაჯა, თუნდაც, იმპერატორი. მსახურმა ურჩია, თავი დაენებებინა მათთვის, მაგრამ რაინდი გაექანა ეტლისკენ, დაუყვირა, **„უმაქნის მატანტალებსა და მასხარებს“**, შეჩერებულყვენ და უბრძანა: გაიძულე, **„რომ პატივისცემით უნდა მოეპყრათ მოგზაურ რაინდთა საჭურველმტვირთველის საჯდომ ცხოველს“**.

რაინდის ყვირილზე ეტლიდან **„ემმაკი, ანგელოზი, იმპერატორი, კუპიდონი და დედოფალი“** გადმოხტნენ, ქვები მოიმარჯვეს და თავდასხმის მოლოდინში ეტლს ამოეფარნენ.

დონ კიხოტს სანჩომ გადააფიქრებინა მსახიობებისთვის სამაგიეროს გადახდა, რადგან, მისი თქმით, **„ჭეშმარიტი ქრისტიანი მოვალეა მისადმი მიყენებული შეურაცხყოფა დაივიწყოს“**. რაინდმა დაუჯერა **„მშვიდობისმოყვარე, გონიერ და ქრისტიან“** სანჩოს.

სანჩოს წყალობით, სიკვდილის ეტლთან შეხვედრა ბედნიერად დასრულდა.

საშინელი ფათერაკი, სახელოვან დონ კიხოტს მამაც სარკეთა რაინდთან რომ მოუხდა

დონ კიხოტმა და სანჩო პანსამ ღამე დიდრონი ხეების ქვეშ გაატარეს. საჭურველმტვირთველმა, თავისი გადაწყვეტილება, ბატონის მიერ ფათერაკში მოპოვებული ნადავლის ნაცვლად, ჯილდოდ სამი კვიცი რომ აირჩია, სწორად მიიჩნია, რადგან, მისი აზრით, ანდაზაც გვასწავლის: **„ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი გერჩივნოსო“**, რაინდმა მიუგო, არ სტყუი, მაგრამ ნება რომ დაგერთო, მსახიობებს შევბრძოლებოდი, მაშინ **„იმპერატორის ოქროს გვირგვინი და კუბიდონის გაფერადებული ფრთები“** შენი იქნებოდაო. სანჩომ ამ აქსესუარებს ზიზილპიპილები, თუნუქის ნაჭერი უწოდა, რაინდმა თქვა, უცნაური იქნებოდა სათეატრო სამკაული ძვირფასი მასალისგან რომ დაემზადებინათო. შემდეგ მსახურს მოუწოდა დრამატულ თეატრსა და მსახიობებს ათვალწუნებით არ მოქცეოდა, რადგან ისინი ხალხისთვის სასარგებლოა. სცენაზე საზოგადოების ყველა ფენაა წარმოდგენილი, მაგრამ შემსრულებელნი კულისებში თანასწორნი არიან, ხოლო როდესაც სიცოცხლესთან ერთად საზოგადოებრივი როლი მთავრდება, ადამიანებს სიკვდილი ათანასწორებთ. სანჩომ დონ კიხოტის ნათქვამს თავისი მოსაზრებაც დაუმატა, ჭადრაკის თამაშშიც ზოგიერთ ფიგურას დროებით რაღაც ღირსება გააჩნია, მაგრამ ბოლოს მათ ერთად ისევე ყრიან ერთ კოლოფში, როგორც ხალხს კრძალავენო საფლავეში, წოდების განურჩევლად. ბატონმა მსახურის მაღალფარდოვან სიტყვებს (რომელიც გადაჭარბებული მჭევრმეტყველებისგან რომშვას მოყვებოდა ხოლმე და შიგადაშიგ ანდაზებსაც რომ ჩაურთავდა) ღიმილით მოუსმინა, გონივრული საუბარი მოუწონა.

როსინანტი და სახედარი ერთად გაუშვეს საბალახოდ. აქ მწერალი რამდენიმე სტრიქონს უძღვნის **„მთელ ქვეყანაზე ამ ორი უმშვიდობიანესი ცხოველის მეგობრობას“**.

სანჩოსა და რაინდს ჩაემინა. დონ კიხოტი ორი ცხენოსანი ადამიანის საუბარმა გამოაღვიძა. ერთ–ერთი ჩამოქვეითდა და მეორეს მიმართა, სატრფიალო საქმეებზე ფიქრებს უნდა მივეცე და სიმშვიდე მჭირდებაო. ის წამოწვა მინდორზე. იარაღმა გაიჟღარუნა. დონ კიხოტმა ჩათვალა, რომ აქვე სხვა მოგზაური რაინდი იმყოფებოდა. ძლივს გააღვიძა საჭურველმტვირთველი და ჩუმიად აუხსნა, რომ ახალი ფათერაკის წინაშე იმყოფებოდნენ. უცხო ადამიანი სონეტს წარმოთქვამდა. ორივემ მოუსმინა. უცნობმა მიმართა მიჯნურს, ვიღაც კასილდე დე ვანდალიას, რომელმაც მისგან ტყვექმნილ რაინდს საუკუნო ხეტიალი მიუსაჯა. ის განაგრძობდა: **„ჩემმა მამაცობამ და ჩემმა მკლავმა აიძულა ნავარის, ლეონის, ტარტესის, კასტილიისა და ბოლოს ლამანჩის ყველა რაინდი მთელ მსოფლიოში უმშვენიერეს ბანოვანად ეცნე.“** ფათერაკების მაძიებელმა ჩვენმა რაინდმა იუკადრისა ლამანჩის ხსენება. უცხომ, ტყის რაინდმა, ყური მოჰკრა საუბარს, ადგა და დაიძახა: ვინა ხართ, მწუხარენი თუ მხიარულნიო. დონ კიხოტმა მიუგო,

მწუხარენი ვართო. ისინი ერთმანეთს გაეცნენ, ურთიერთს შესჩიველეს, რომ გამიჯნურებულნი არიან.

ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა სანჩოს შესთავაზა, განცალკევებულიყვნენ და მათაც მოშორებით ესაუბრათ. ასეც მოიქცნენ, გამორდნენ ბატონებს და სერიოზული ბაასი გამართეს.



სადაც გრძელდება ფათერაკი ტყის რაინდთან და მოთხრობილია ორი საჭურველმტვირთველის გონივრული, არაჩვეულებრივი და სასიამო საუბარი

განმარტოებულმა სანჩომ და ტყის რაინდის მხლებელმა საჭურველმტვირთველის მძიმე ყოფაზე დაუწყეს საუბარი (მაგალითად ერთი მას „ღვთის შეჩვენებას“ უწოდებდა, მეორეს აზრით: „ვინ იქნება, რომ მოგზაური რაინდის საჭურველმტვირთველზე მეტ სიცივეს და სიცხეს ითმენდეს.“ დონ კიხოტის მსახურმა თქვა, ჩემი ბატონი ისეთი გულუხვია, კუნძულის ჩუქებასა და გუბერნატორობას არაერთხელ დამპირდაო. თანამოსაუბრემ მიუგო, მე, კეთილი სამსახურის სანაცვლოდ, მღვდლობას მივიღებ და მრევლი მეყოლებათ. სანჩომ აღნიშნა, ის ტყის რაინდი სასულიერო პირი ყოფილა, მე კი მუდმივად მეშინია, ჩემმა ბატონმაც არ იფიქროს ამგვარად, რადგან: „სასულიერო რამ ადგილზე სულელთა სულელი ვიქნებოდი“. თანამოსაუბრემ აუხსნა, რომ კუნძული არ არის დაუფასებელი განძი, მათგან „ ბევრია ბეჩავი და უდაბური, მაგრამ საუკეთესო მათგანიც მძიმე ტვირთია მათი პატრონებისათვის“. ყველაფერს ჯობდა ამ დაუსრულებელი ტანჯვისთვის თავი დაგვენებებინა, შინ ვყოფილიყავით, გვენადირა და გვეთევზავა. მოგზაურ საჭურველმტვირთველს, ღარიბსაც, მწევარი, ჯაგლაგი ცხენი და ანკესი აუცილებლად ექნებოდა.

სანჩომ თანამოსაუბრეს უთხრა, რომ ჯაგლაგი არა ჰყავს, მაგრამ თავისი სახედარი, ლურჯა („დიახ, მას ლურჯი ფერი აქვს“), ბატონის ორ ცხენს უდრის, რაც შეეხება მწევრებს, ისინი არ სჭირდება, რადგან, მისი აზრით, ნადირობა სხვისი ხათრითაა სასიამოვნო.

ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა თქვა, გადაწყვეტილი მაქვს სასაცილო საქმიანობას მოვეშვა, დავბრუნდე შინ და მოვუარო ოჯახს, სამ „მშვენიერ, აღმოსავლეთის მარგალიტის მსგავს შვილს“. არც სანჩო ჩამოუვარდა მოსაუბრეს, მისი ორი შვილი, თურმე, „შეიძლება პაპთან გაიგზავნონ საჩვენებლად, მეტადრე ქალი ფრიად მშვენიერი არსებაა. თუ ღმერთი შემეწია, იმედი მაქვს გრაფს ვისმე შევრთო...თხუთმეტი წლისა...საროსავით ტანწერწეტია, აპრილის დილასავით ქორფაა და კურტნის მუშასავით ღონიერი“[2,94–95].

საჭურველმტვირთველებმა ბევრი ისაუბრეს, ზოგჯერ, ზოგიერთ საკითხში, თითქოს ვერ უგებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ისევ რიგდებოდნენ. სანჩომ სინანული გამოხატა იმის გამო, რომ „მომაკვდინებელი ცოდვის“, „შეჩვენებული მოგზაური რაინდობის საჭურველმტვირთველის ხელობის“ გამო, ოჯახის წევრებს ვერ ხედავდა, მისი თქმით, ეშმაკმა სძლია: „იმან წამიტყუილა, რომ მეორედ მეპოვა ასი ოქროთი სავსე ქისა, როგორც პირველში სიერა-მორენის ხეობებში ვიპოვე. აი, მას აქეთ ეშმაკი მაგულიანებს და სულ ოქროთი გატენილ დიდ ქისას მაჩერებს“[2,96], ამიტომ „ცოტა ჭკუაზე მწყრალად მყოფი ბატონის უკან ტანტალში“ გადის დღეები. მასთან მოსაუბრემაც თავის ტყის რაინდს დამთხვეული უწოდა, ის, „კასილდე დე ვანდალიას გაუმიჯნურდა, მეტად

სასტიკსა და უგერგილო მანდილოსანს“, მაგრამ „მამაცი არის და მასთან ისეთი უმაქნისიკა, რომ დამთხვეულობა და მამაცობა იმასთან შედარებით, რანაირი უმაქნისიკის არის, არაფრად ჩაითვლებიან“[2,96]. სანჩომ მიუგო, რომ დონ კიხოტი „მტრედივით უწყინარია და არავისთვის ბოროტი არ უქნია, პირიქით“[2,96–97]... აღნიშნა, რომ გ უ ლ კ ე თ ი ლ ო ბ ი ს თ ვ ი ს უყვარს თავისი ბატონი: „მიყვარს ვითარცა გუგანი თვალთა ჩემთან, და რაც უნდა სისულელე ჩაიდინოს, ვერ დავტოვებ“. ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა უპასუხა, ჯობია ჩვენს გზას გავუდგეთ, რადგან: „ბრმა რომ ბრმამ წაიყვანოს, ბოლოს ორნი ხაროში ჩაცვივიან“[2,97]. მან სანჩო მიიწვია კუპატსა და ღვინოზე, ისაუბრეს, ჭამეს, დალიეს, მერე ორივეს ჩაეძინა.



თავი XIV

სადაც გრძელდება ფათერაკი ტყის რაინდთან

ტყის რაინდი იდალგოს გამოუტყდა, რომ მისი გული უზადლო კასილდე დე ვანდალიამ დაიპყრო. სატრფომ სახიფათო საქმეების შესრულება უბრძანა. გამარჯვების შემთხვევაში, ის მას იმედის გამართლებას შეჰპირდა, მაგრამ განსაცდელი არ დამთავრდა. ერთხელ, სევილიელი დიდებული ქალის, ხირალდას, დამხობაც უბრძანა. ეს დავალება შეასრულა. მეორედ გისანდოს უზარმაზარი ხარების უძველესი ქვების აწევა და აწონვა სთხოვა. არც ამას დასჯერდა, კაბრის მღვიმის სიღრმის დადგენა დაავალა. ბოლოს კი მოინდომა: „ესპანეთი უნდა მოვიარო, ყველა მოგზაური რაინდი ვაიძულო და ყველას ვათქმევინო, რომ იგი მთელი ქვეყნის ლამაზებზე ულამაზესია, ხოლო მე ყველაზე უმამაცესი და ყველაზე მეტად გამიჯნურებული რაინდი ვარ“[2,100]. მოსაუბრემ როდესაც თქვა, დონ კიხოტსაც შევებრძოლე, დავამარცხე და ვაიძულე ჩემი კასილდე დულისინე ტობოსელზე უმშვენიერესად ელიარებინაო, იდალგო გაშტერდა, მაგრამ თავი შეიკავა, იქნებ ვაიძულო ეს უცნობი და აღიაროს, რომ ცრუობსო. ჰკითხა, იქნებ თქვენ მიერ დამარცხებული რაინდი მას ჰგავდაო. ტყის რაინდმა შეჰყვირა, რომ არაფერი ეშლებოდა, დაიფიცა: „დონ კიხოტს ვებრძოლე და კიდევ დავამარცხე. იგი ჩემს ხელთ იყო, პატიებასაც კი მთხოვდა. გამხდარი კაცია, მაღალი, გრძელფეხება, მოყვითალო სახისა. ჭალარაშერთული, არწივისებურად ცხვირმოკაუჭებული, ძირს ჩამოყრილი შავი დიდი ულვაშები აქვს და ტანშიაც ოდნავ მოგრებილია. იგი მწუხარე სახის რაინდად არის ცნობილი და

საჭურველმტვირთველად გლეხი კაცი სანჩო პანსა ჰყავს. ჩინებულ ბედაურ როსინანტზე ზის და მიჯნურ ქალად ვინმე დულსინე ტობოსელი ჰყავს არჩეული, ოდესმე იგი აღდონსა ლორენსოდ იყო წოდებული“[2,101].

დონ კიხოტმა თანამოსაუბრეს მიმართა, რაინდი რომ დაამარცხეთ, ამაში დავრწმუნდი, რადგან მისი გარეგნობა ზედმიწევნით ზუსტად აღწერეთ, მაგრამ მას ჯადოქარი მტრობს, რომელმაც, ალბათ, მისი მსოფლიო დიდების დასამცირებლად მისივე სახე მიიღო. ორიოდე დღის წინ დულსინეც გათხუპნილ და საზიზღარ დედაკაცად გარდაქმნაო.

იდალგომ ტყის რაინდს თავისი ვინაობა გაუმხილა და გამოუცხადა: „**იარაღით ხელში, ქვეითად, გინდ ცხენზე მჯდარი**“...სიმართლის დასამტკიცებლად მზად ვარო. თანამოსაუბრემ მიუგო, გამთენიისას შევებრძოლოთ ერთმანეთს, იმ პირობით, რომ დამარცხებულმა გამარჯვებულის ბრძანება უნდა შეასრულოსო. რაინდებმა თავიანთი საჭურველმტვირთველები გააღვიძეს და ამცნეს, რომ განთიადისას, მათ შორის, სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართებოდა. სანჩო ძალიან შეშინდა, თავის ბატონზე წუხდა, რადგან ტყის რაინდზე მისი საჭურველმტვირთველისგან გაიგო, რომ ძლიერი იყო. მანვე უთხრა, ან და ალ უ ზ ი ი ს ჩვეულების თანახმად, ვინც ბრძოლას დაესწრება, გულხელდაკრეფილი არ უნდა იყოს, ამიტომ ჩვენც, მსახურებმა, ხანჯლები უნდა დავატრიאלოთო. სანჩომ მიუგო, რომ ასეთი ჩვეულება მხოლოდ ბაქია ადამიანებს აქვთ და არა მოგზაურ რაინდების საჭურველმტვირთველებს, თან ხმალი არასდროს მქონია და მის გარეშე კი ბრძოლა ძნელიაო. თანამოსაუბრემ შესთავაზა, ორი ტილოს პარკი მაქვს, თორმეტიოდე წვეტიანი ქვა ჩავყაროთ მათში და იმით ვიფარაკავოთო. სანჩო არ დაეთანხმა, უმადური პირუტყვი კი არა ვარ, ვინც გამიმასპინძლდა, იმას ვებრძოლოო. ის მაინც დაჟინებით იწვევდა საბრძოლველად, მერე უთხრა, ალიყურს გაჭმევ, რათა გაგაბრაზოო. სანჩო დაემუქრა, მუხის კეტს მოვტეხავ და სანამ რაიმეს დაიწყებდე, მანამ შენს რისხვას მივაძინებ, რადგან ყველას როდი ვაძლევ უფლებას ტყუილუბრალოდ ხელი მახლოსო. ტყის რაინდის საჭურველმტვირთველმა დილისთვის გადადო ბრძოლა.

ალიონზე, დონ კიხოტის პირისპირ იდგა მუზარადიანი, პირბადედახურული, შუა ტანის, ჯმუხი კაცი. ტანზე ეცვა წვრილი სარკეებით მორთული კამზოლი, რომელზეც მთვარე იყო გამოსახული, მუზარადზე ფერადი ბუმბულები ფრიალებდნენ. მისი შუბის ბოლო დიდი ფოლადით იყო დამშვენებული. მისმა ამგვარმა მორთულობამ დონ კიხოტს აფიქრებინა, რომ უბრალო ადამიანთან არ ჰქონდა საქმე. დაუძახა კიდევაც, სახე მიჩვენე, ალბათ, მორთულობის მსგავსად, მშვენიერი ხარო. მაგრამ სარკის რაინდმა მიუგო, ეს დროს დაგვაკარგვინებსო. იდალგომ ჰკითხა, ახლა იმ ნამდვილ დონ კიხოტს თუ შესცქერი, რომელიც დაგიმარცხებიაო. სარკის რაინდმა მიუგო, როგორც ერთი კვერცხი მეორეს, მას ისე ჰგავხარო.

რაინდები შესხდნენ ცხენებზე. მოწინააღმდეგის სიტყვებს: „**დამარცხებული გამარჯვებულის განკარგულებას ემორჩილებაო**“, იდალგომ უპასუხა: „**დამარცხებულს რაინდობის პატივის დამამცირებელი არაფერი დაევალოსო**“, რაზეც დასტური მიიღო.

სანჩო შეაშინა სარკის რაინდის საჭურველმტვირთველის უმაგალითო დიდმა ცხვირმა, წარმოიდგინა, რომ ის ან ურჩხული იყო, ან რომელიღაც უცნობი ტომის წარმომადგენელი. ეგონა, ჩხუბს გაუმართავდა და თავისი ხორთუმის დარტყმით ძირს დასცემდა. მან თავის ბატონს სთხოვა დახმარებოდა ხეზე აცოცებაში, რათა იქიდან ეცქირა ბრძოლისათვის. სარკის რაინდი არ დაელოდა არც ბუკის ხმას, არც ბრძოლის დაწყების ნიშანს და გამოემართა იდალგოსაკენ, მაგრამ დაინახა, რომ დონ კიხოტი სანჩოს ეხმარებოდა და შეჩერდა. თან მის ცხენს უკვე აღარ შეეძლო ადგილიდან დაძვრა. დონ კიხოტს კი მოეჩვენა, რომ მოწინააღმდეგე თავდასხმას უპირებდა, გაბედულად დაეტაკა და მიწაზე გაშხლართა. დონ კიხოტი ჩამოვიდა ცხენიდან, უნდოდა ენახა, დამარცხებული ადამიანი რა მდგომარეობაში იყო, მაგრამ მუზარადის შესაკრავები რომ გაუხსნა, გაოცდა, მის წინ ბაკალავრი სამსონ კარასკო იყო. სანჩოს მოუხმო, გამოიქეცი, გაჩვენებ გრძნეულებასა და ჯადოქრობას რა შეუძლიაო. სანჩოც განცვიფრდა, თავის ბატონს უთხრა, ამ კუდიანს სამსონ კარასკოს სახე მიუღია, ყელში მახვილი გავუტაროთ, ერთი ჯადოქრით ნაკლები გვეყოლებაო. რაინდმა გადაწყვიტა სანჩოს რჩევა გაეთვალისწინებინა, ხმალი იმიშვლა, მაგრამ სარკის რაინდის საჭურველმტვირთველი, რომელსაც საშინელი ცხვირი უკვე აღარ ჰქონდა, აღშფოთდა: სენიორ დონ კიხოტო, ეს თქვენი მეგობარი და ჩემი ბატონი სამსონ კარასკოაო. სანჩომ დაინტერესდა, ცხვირი რა უყავიო. ჯიბეში მაქვსო, მიუგო მან. მაგრამ უფრო იმან გააოცა, რომ მისი თანამოსაუბრე თავისი მეზობელი და ნათლიმამა თ ო მ ა ს ე ს ი ა ლ ი ა აღმოჩნდა. ამასობაში მიწაზე გართხმული რაინდი გამოფხიზლდა. დონ კიხოტმა ხმალი სახესთან მიუტანა და უბრძანა ეღიარებინა, რომ „უბადლო დულსინე ტობოსელი კასილდე ვანდალიაზე უმშვენიერესია“, უნდა წასულიყო ტობოსოში, მოეხსენებინა მისთვის დამარცხების თაობაზე, თუკი ქალი თავისუფლებას მიანიჭებდა, მოემეხნა დონ კიხოტი და გაეგებინებინა მათი საუბრის შესახებ. დამარცხებული დაპირდა, რომ ასეც მოიქცეოდა. გაორებულ სანჩოს ბევრი რამ აკვირვებდა.

დონ კიხოტმა სარკეთა რაინდი წამოაყენა. მან, საჭურველმტვირთველთან ერთად, ბრძოლის ველი შერცხვენილმა დატოვა.

დონ კიხოტი და სანჩო სარაგოსის გზას დაადგნენ.



თავი XV

სადაც მოთხოვნილია და ნაამბობი, თუ ვინ იყვნენ სარკეთა რაინდი და მისი საჭურველმტვირთველი

დონ კიხოტმა მამაც მოპირდაპირეს სძლია. გაამაყებულმა ბრძოლის ველი იმ იმედით დატოვა, რომ მის მიერ ძლეული რაინდი მოუტანდა ამბავს, დულსინე ისევ მოხიბლული (ანუ მოჯადოებული) იყო თუ არა, მაგრამ, ამჯერად, სარკეთა რაინდის გასაჭირს მალამოებზე ფიქრი წარმოადგენდა.

დონ კიხოტს მესამედ გამგზავრება ბაკალავრმა სამსონ კარასკომ ურჩია. ის თავიდანვე მოელაპარაკა მღვდელსა და დალაქს, გაემვათ იდალგო და უკან თვითონ უჩინრად გაჰყოლოდა, როგორც სარკეთა რაინდი. უნდა შებრძოლებოდა მოგზაურს, დაემარცხებინა და ბრძოლის დაწყებამდე დადებული პირობის ძალით, ორი წლით დაებრუნებინა შინ. ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რა მოხდებოდა, იქნებ დამთხვეული აზრები თავიდან მოეშორებინა რაინდს.

კარასკომ მოგზაური რაინდობა იკისრა, სანჩოს ჭკუამხიარულმა ნათლიმამამ, თომამ–საჭურველმტვირთველობა, რომელმაც ხელოვნური, ყალბი ცხვირი დაიკრა. ორივენი გაჰყვნენ დონ კიხოტის კვალს და ტყეში წამოეწივნენ. მასთან თავს გადამხდარი ფათერაკის შემდეგ, თომამ კარასკოს უთხრა, ის მივიღეთ, რისი ღირსიც ვიყავითო. მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ გასულელდა და საჭურველმტვირთველობა იკისრა და ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, შინ როგორ დაბრუნებულიყო. კარასკოს, ამჯერად, დონ კიხოტის ჭემმარიტ გზაზე დაყენება კი არა, მისთვის სამაგიეროს გადახდა სურდა. ორივემ ერთ სოფელს მიაღწია, ნაღრძობის ექიმი მოძებნეს. თომა შინ დაბრუნდა, კარასკო კი დარჩა, რათა მოეფიქრებინა გეგმა, თუ როგორ მიეზღო იდალგოსთვის სამაგიერო.



რა მოხდა დონ კიხოტსა და ერთ გონიერ ლამანჩელ რაინდს შორის

გამარჯვებული დონ კიხოტი და მისი საჭურველმტვირთველი გზას განაგრძობდნენ. სანჩომ ნათლიმამის უზარმაზარ ცხვირზე წამოიწყო საუბარი. ბატონმა თქვა, არც სარკეთა რაინდი იყო ბაკალავრი სამსონ კარასკო და არც ის საჭურველმტვირთველი გახლდათო მისი ნათლიმამა. სანჩო ექვით უსმენდა იდალგოს და ეწინააღმდეგებოდა, ის კი ცდილობდა დაერწმუნებინა თანამოსაუბრე, რომ ჯადოქრებს ადამიანების სახის შეცვლა შეუძლიათ. მგზავრებს ორმოცდაათიოდე წლის, ლურჯ ტაიჯზე მჯდარი, მწვანეტოლომიანი, რუხქუდიანი უცნობი კაცი წამოეწია, ჩვენს მოგზაურებს მიესალმა და სცადა დაწინაურებულიყო, მაგრამ დონ კიხოტმა შესთავაზა ერთად ევლოთ, მაგრამ მიხვდა, რომ მწვანეტოლომიანი მას გაოცებული შესცქეროდა და თავი გააცნო, როგორც მოგზაურმა რაინდმა: „მე ჩემი სამშობლო და სახლი დავტოვე, მამული დავაგირავე, მოსვენებას სამუდამოდ გამოვეთხოვე და ჩემი თავი ბედისწერას მივანდე. დაე, ბედმა საითაც უნდა, იქით წამიყვანოს. მე განვიზრახე, ჩვენს დროში გამქრალი მოგზაური რაინდობა აღვადგინო და დიდი ხნიდანვე ერთგან წაბორძიკებული, მეორეგან დაცემული, მესამეგან ამდგარი - ჩემი მიზნისკენ მივისწრაფი: გამზადებული - ქვრივთა საშველად, ქალწულთა მოსარჩლედ, ობოლთა და დავრდომილთა მფარველად, ერთი სიტყვით, მოგზაური რაინდის კანონიერი მოვალეობის აღმსრულებლად. ჩემი მრავალრიცხოვანი რაინდული და ქრისტიანული საქმეებით იმას მივაღწიე, რომ ჩემი თავგადასავალი დაბეჭდილია და ცნობილია თითქმის მთელი ქვეყნის ყველა ხალხისათვის. ჩემი ისტორიის ოცდაათი ათასი ცალეული უკვე დასტამბულია და, როგორც მგონია, კიდევ ოცდაათი ათასჯერ ათასს დასტამბავენ მას, თუ, რასაკვირველია, უფლის ნება იქნება. მაგრამ, რამდენიმე სიტყვით რომ მოვჭრა, ანუ მარტო ერთი სიტყვით ვთქვა, გეტყვით, რომ მე ვარ მოგზაური რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი, მწუხარე სახის რაინდად ცნობილი“ [2,115–116]. მგზავრი კიდევ უფრო გაოცდა, თქვენ რომ არ შემხვედროდით, ასეთი კაცის არსებობას ვერ დავიჯერებდი, უფლის ნებით, თქვენი დიდებული საქმეების ისტორიას ცრუ რაინდთა საქმეები გაექარწყლებინოსო. იდალგომ და უცნობმა მგზავრმა ისაუბრეს მოგზაურ რაინდთა ისტორიის ჭეშმარიტებასა თუ სიცრუეზე. მგზავრს ეჭვი გაუჩნდა, ეს კაცი გიჟი ხომ არა არისო. დონ კიხოტმა ვინაობა ჰკითხა, უცნობი დონ დიელოდე მირანდად გაეცნო, ახლო სოფელში მცხოვრებ იდალგოდ, ადამიანად, რომელსაც ჰყავს ცოლ-შვილი, ბევრი მეგობარი, გაწვრთნილი კაკაბი და მოჩხუბარი ქრცვინი. უყვარს თევზაობა და ნადირობა, წიგნთსაცავში აქვს სამოცდაათიოდე ესპანური, ლათინური, ზოგი მხატვრული და ზოგიც სასულიერო (სარაინდო შინაარსისა კი არც ერთი) წიგნი. მხიარული მასპინძელია, არ უყვარს ცუდ ამბებზე საუბარი, ლოცულობს ღვთისმშობელთან და გასცემს მოწყალებას. ამგვარი სიტყვების მოსმენამ სანჩოს გული აუჩუყა, ჩამოვიდა ცხენიდან, მიუახლოვდა უცნობს: „თქვენში პირველს ცხენზე მჯდარს წმიდასა ვხედავ“ უთხრა მას და იდალგოს ფეხზე ეამბორა, რითაც ის ძალიან გააკვირვა.

დონ კიხოტმა ჰკითხა თანამგზავს, ჰყავდა თუ არა შვილი. დონ დიეგო დე მირანდამ მიუგო, რომ ერთი ვაჟი ჰყავს, ექვსი უკანასკნელი წელიწადი სალამანკაში გაატარა ლათინურისა და ბერძნული ენების სწავლაში, მამას სურს ღვთისმეტყველება, „ყველა მეცნიერების მეფე“, შეაყვაროს, მაგრამ შვილი პოეზიამ დაიმონა. მას ჰომეროსის ვერგილიუსის, ჰორაციუსის, ჰერის, იუვენალისა და ტიბულის შემოქმედება მოსწონს, თანამედროვე ესპანურ პოეზიას კი ნაკლებად სცემს პატივს. ამჟამად, სალამანკიდან მიღებულ ოთხსტრიქონიან გლოსასა და ითხსტრიქონიანი ლექსის დაწერაზე ფიქრობს, ალბათ, რომელიმე ლიტერატურული შეჯიბრებისათვის. ვაჟი არ არის ბოროტი, მაგრამ არც ისეთი კეთილი, მამას რომ სურს.

დონ კიხოტი მოსაუბრეს ვრცლად ესაუბრა იმაზე, რომ შვილები მშობლების ნაწილს წარმოადგენენ და აღმზრდელთა მოვალეობა მათი ქველმოქმედების გზაზე დაყენებაა.

მწვანესამოსიანი აზნაური გაოცებული უსმენდა მის მსჯელობას და გაიფიქრა, ეს რაინდი არც ისე ჭკუადამთხვეული ყოფილა, როგორც მეგონაო.

სანჩომ გზიდან გადაუხვია და ცხვრის მწყემსებთან რძის სათხოვნელად მივიდა.

რაინდმა სამეფო დროშებით მორთულ ეტლს მოჰკრა თვალი, იფიქრა, ეს ახალი რამ ფათერაკი უნდა იყოსო და სანჩოს მოუხმო, ის უმაღვე თავის ბატონთან გაჩნდა.



თავი XVII

სადაც აშკარავდება, თუ როგორ უაღრესსა და უკიდურეს საზღვრამდე შეეძლო მიღწევა და მიაღწია კიდევ დონ კიხოტის არნახულმა ვაჟკაცობამ ლომებთან ბედნიერად დაგვირგვინებული ფათერაკის დროს

დონ კიხოტმა საჭურველმტვირთველს მოუხბმო, მუზარადი მომიტანეო. მაგრამ მსახურს მასში მწყემსებთან ნაყიდი ხაჭო მოეთავსებინა. მიირბინა რაინდთან. ბატონმა საჭურველი მჭირდება, რადგან ფათერაკია მოსალოდნელი და მზადყოფნააო საჭირო. დონ დიელომ მიმოიხედა, მაგრამ მათკენ მომავალი ურმის მეტი ვერაფერი ნახა. გაიფიქრა, ალბათ, სახაზინო ფული მოაქვთო და თავისი აზრი იდალგოსაც გაუზიარა, მაგრამ ის არ დაეთანხმა, მან მიუგო, ბევრი მოწინააღმდეგე მყავს, არ ვიცი, როდის მიმტრობენ, საბრძოლველად მზადყოფნა კი ბრძოლის ნახევრად მოგებას უდრისო.

სანჩომ მუზარადი ხაჭოიანად მიართვა, მისი ამოღება ვერ მოასწრო. რაინდმა ის ასევე დაიხურა თავზე და ჩათვალა, რომ თავის ქალა ურბილდებოდა, შრატი კი, რომელიც წურწურით ჩამოსდიოდა, ოფლი ეგონა. სანჩომ ხელსახოცი მიართვა და ღმერთს მადლობა შესწირა, ბატონი ვერაფერს მიხვდაო, მაგრამ დონ კიხოტი აყვირდა: დუღსინე ტობოსელის სიცოცხლეს ვფიცავ, ამაში ხაჭო ჩაგიდვია, შე ხეპრევ და მოღალატევ...მსახურმა იუარა, ეგ ჯადოქრების ნამოქმედარიაო. დონ დიელო გაკვირვებული იყო, მაგრამ კიდევ უფრო იმან გააოცა, რომ რაინდმა მუზარადი ისევ დაიხურა.

გზაზე დროშებიანი ეტლი გამოჩნდა, რომელსაც ჯორზე მჯდარი მეეტლე და ერთი ვიღაც მოჰყვებოდა, იდალგომ გზა გადაუღობა და დაინტერესდა, საით მიემგზავრებოდნენ, რა ეტლი იყო, ან რა დროშები. მეეტლემ მიუგო, ირანის გუბერნატორი დედაქალაქში ორ მშვენიერ ლომს უგზავნის მის უდიდებულესობას, ეს სამეფო დროშა გვამცნობს, რომ ეტლში ხელმწიფის ქონებააო მოთავსებული. დონ კიხოტი დაინტერესდა, დიდი იყო თუ არა ლომები. ეტლის კოფოზე მჯდარმა კაცმა მიუგო, დიდებია, აფრიკიდან ევროპაში ასეთები ჯერ არ გადმოუყვანიათო. ხვადი წინა გალიაშია და ძუ - უკანაში, დამშულები არიან და გვეჩქარება, იქნებ სადმე რაიმე ვაჭამოთო. დონ კიხოტმა გაიღიმა და თქვა, ისინი ჩემთვის ლომის ლეკვებიაო. მან დარაჯს უბრძანა გამოემშვათ მხეცები გალიიდან, რათა დაემტკიცებინა ჯადოქრებისთვის (რომელთაც, მისი აზრით, ლომები შემოუსიეს), ვინ არის დონ კიხოტი. სანჩომ დონ დიელოს სთხოვა რაიმე ისე მოეხერხებინა, რომ მისი ბატონი არ შებრძოლებოდა ლომებს, თორემ ყველას საფრთხე მოელოდა. დიელომ გაიკვირვა, ნუთუ შენი ბატონი გიჟიაო, რაზეც სანჩომ მიუგო, გიჟივით გაბედულიაო.

ჩვენი ფათერაკების მაძიებელს იდალგო მიუახლოვდა და აუხსნა, რომ ლომები მის წინააღმდეგ კი არა საჩუქრად იყო გამოგზავნილი მეფესთან. რაზეც უკმეხი პასუხი მიიღო. მწუხარე სახის რაინდი დაემუქრა ლომების მომვლელს: „სამგზის არამზადავ და მატრახაზო. ვფიცავ, თუ ახლავე არ გააღებ გალიებს, ამ შუბით მაგ ეტლზე მიგალურსმნავ!“ მეეტლემ „ს ა ფ რ თ ხ ო ბ ე ლ ა ს“ მიუგო, ჯორებს გამოვუშვებ და უშიშარ ადგილას

წავალო. დონ კიხოტმა მას სუსტი რწმენის ადამიანი უწოდა და ნება დართო, მოქცეულიყო ისე, როგორც სურდა. მეეტლემ გამოაცხადა, რომ ძალდატანებით ჩადიოდა ამ ქმედებას და ეს ბატონი უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი იმ ვნებაზე, რასაც ლომები მიაყენებდნენ. მერე ყველას მოუწოდა დამალულიყვნენ, თვითონ კი იქვე დარჩებოდა, რადგან ცხოველები მას არ ერჩოდნენ.

დონ დიელო ცდილობდა გადაეთქმევიინებინა განზრახვა იდალგოსთვის, „ასეთი სიგიჟის ჩადენა თვითონ ღვთის გამოცდას ნიშნავსო“ შენიშნა, სანჩოც ემუდარებოდა, მაგრამ ამაოდ. რაინდმა თავის მსახურს უთხრა: „მარტო დამტოვე. თუ აქ სიკვდილია ჩემი ბედისწერა, შენ ჩვენი პირობა იცი: დულსინეასთან წახვალ. დანარჩენზე დავდუმდები“. ის ხელმეორედ დაემუქრა მეეტლესა და ლომების მომვლელს. ყველანი გაერიდნენ იქაურობას. რაინდი ჩამოხტა ცხენიდან და გაბედულად მივიდა ეტლთან: „თავის სულს ჯერ ღმერთსა და შემდეგ გულის ვარდს დულსინეს ახარებდა“. ლომების მომვლელმა გალიის კარები გააღო, შიგ „საშინელი ტანის და უფრო კიდევ საშინელი სახის ლომი“ იყო, რომელიც ჯერ დატრიალდა, მერე გაწვა. დაიღრინა, თათები გამოიშვირა, თვალები და პირი გაილოკა, დონ კიხოტს ზურგი შეაქცია. დონ კიხოტმა დარაჯს უბრძანა კეტი დაერთყა ცხოველისთვის და გაეხელებინა, მაგრამ მან მიუგო: „თუ მტერი ბრძოლაზე უარს ამბობს, სირცხვილი იმას ატყდება თავს და გამარჯვების გვირგვინი მას დაამშვენებს, ვინც შეიარაღებული მტრისაგან შებრძოლებას ელოდა“[2,129]. რაინდმა სთხოვა დაეკეტა კარები, რადგან: „ლომმა ძილს მისცა თავი. მე ჩემი ვალი მოვიხადე“. დონ კიხოტმა შუბს თეთრი ხელსახოცი მოაბა და დამალულებს ამით ანიშნა, რომ მოსულიყვნენ, მეეტლეს მშვიდობიანი მგზავრობა უსურვა, თან დააბარა: „თუ ვინიცობაა, მისმა უდიდებულესობამ მოისურვოს შეტყობა, ამ ღვაწლის ჩამდენი ვინ იყო, - უთხრა დონ კიხოტმა, მოახსენე - ლ ო მ თ ა რ ა ი ნ დ ი იყო-თქო, რადგან ახლა ჩემს უწინდელ სახელს - მწუხარე სახის რაინდისას, ლომთა რაინდის სახელზე ვცვლი, - ამით მე მხოლოდ ძველ მოგზაურ რაინდთა ჩვეულებას ვბამავ, სახელებს, რომ იცვლიდნენ, როდესაც მოესურვებოდათ, ან როდესაც თავიანთთვის მოსახერხებლად დაინახავდნენ“[2,130]. რაინდმა სანჩოს დაავალა მეეტლისთვის ორი ოქრო მიეცა, დაკარგული დროის საზღაურად.

დონ დიელოს დონ კიხოტი „გონიერ სიგიჟეშერეულ, ან გიჟ-გონიერება შერეულ კაცად ეჩვენებოდა, დონ კიხოტის ისტორიის პირველი ნაწილი ჯერ წაკითხული არა ჰქონდა, თორემ დონ კიხოტისა აღარც ლაპარაკი გაუკვირდებოდა, აღარც მოქმედება, რადგან ეცოდინებოდა, თუ რა მიზეზით იყო რაინდი ჰკუაზე გადამცდარი“[2,130]. იდალგო მიუხვდა თანამგზავრს ფიქრებს და ვრცელი სიტყვით მიმართა, აუხსნა, რომ ხარებთან ბრძოლა, ტურნირებში მონაწილეობა, სამხედრო ვარჯიშები, ტყეებსა და უდაბურ ადგილებში ფათერაკების ძიება, უკვდავებისა და დიდების მისაღწევად, მოგზაური რაინდების ხვედრია. თანამოსაუბრემ დააჩქარა თავისი სოფლისაკენ, რადგან უკვე გვიანი იყო, თან უთხრა: „ბატონო დონ კიხოტო, ყველაფერში მართალი ხართ... მეც ახლა სრულებით დავრწმუნდი, რომ, თუმცა კანონები და ჩვეულებანი რაინდობისა ქვეყანაზე უკვე მოცდნენ, მაინც თქვენს გულში ისინი კვალად ცოცხლდებიან, როგორც თავის ბუნებრივ თავშესაყარსა და არქივში“[2,132].

„მწვანე მოსასხამის რაინდის“ (ასე დონ კიხოტმა უწოდა) სოფელში გვიან ღამით მივიდნენ.

თავი XVIII

რა შეემთხვა დონ კიხოტს მწვანე მოსასხამის რაინდის ციხე-დარბაზსა თუ სახლში და სხვა არაჩვეულებრივი ამბები

დონ დიელო დე მირანდას ჰქონდა ჩვეულებრივი, არც ისე მაღალი სახლი, ჭიშკარზე ქვის დერბი იყო გამოქანდაკებული, ეზოში ღვინის მარანი იდგა, შესასვლელთან ჩამომწკრივებინათ ქვევრები, ასეთები მხოლოდ ტობოსოში მზადდებოდა. ამან რაინდს დულსინე გაახსენა და ამოიხრა: „ტობოსელო ქვევრებო, იმ ჩემი დიდი და მწარე მწუხარების ტკბილ საუნჯეს, რომ მომაგონებთ!“ მის ხმაზე მასპინძლის ცოლი დონ აქრისტიანა და სტუდენტი შვილი დონ ლორენსო გამოვიდნენ. („მოგზაური რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი, მთელი ქვეყნის რაინდებში უმამაცესი და უთავმდაბლესი“ [2,133]—ასე წარუდგინა ცოლს ქმარმა სტუმარი) სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს თავაზიანად შეხვდნენ. დონ კიხოტს დაბანის საშუალება მისცეს, რის შემდეგაც ის ალერსიანად გამოვიდა მასპინძლებთან. დონ დიელოს შვილს უკვირდა, ვინ იყო ეს უცნაური კაბალერო: „მისმა სახელმა, სახემ და მოყვანილობამ, მოგზაური რაინდის წოდებამაც ძალიან გაგვაკვირვა მეც და დედაჩემიც!“—უთხრა მამას, მაგრამ დონ დიელომ უპასუხა, რომ არც თვითონ იცოდა რაიმე, სტუმრის მოქმედება შემოიღობდას ჰგავდა, მაგრამ მისი საუბარი ამ შეხედულებას აქარწყლებდა.

დონ ლორენსო და დონ კიხოტი ბაასობდნენ. რაინდმა, სტუდენტის მამისგან მოსმენილი ინფორმაცია, შვილის იშვიათი პოეტური ნიჭის შესახებ, ახსენა. აღნიშნა, მოხარული ვიქნები, თქვენს ლექსებს თუ გავეცნობიო, პოეტურ ხელოვნებაში ცოტა რამ გამეგებაო. დაინტერესდა, გლოსას ხომ არ წერს... ლიტერატურული შეჯიბრებისთვის თუ ემზადები, მაშინ უმჯობესად მიმაჩნია მეორე ჯილდო მიიღო, რადგან: „პირველს ყოველთვის კეთილგანწყობილების ან დიდი შთამომავლობის გამო იძლევიან, მეორე კი ნიჭის ჯილდოა, ის ენიჭება ნამდვილი სამართლიანობით. ამნაირად მესამე ჯილდო არსებითად მეორე ხდება. ხოლო პირველი - ნამდვილ მესამედ ლიცენციატა იმ ხარიხების მსგავსად, როგორებსაც ჩვენს უნივერსიტეტებში აძლევენ. მაგრამ მაინც პირველი ჯილდო დიდი სახელი და ღირსებაა“ [2,135].

ლორენსო დაინტერესდა, სწავლობდა თუ არა დონ კიხოტი უმაღლეს სასწავლებელში და რა საგანს ეუფლებოდა. რაინდმა მიუგო: მოგზაური რაინდობის მეცნიერებას ვსწავლობდი და: „რაინდობა პოეზიას უკან არ ჩამორჩება და, ვგონებ, კიდევ აღემატება მას“. სტუდენტმა მიუგო ასეთ მეცნიერებას არ ვიცნობო, რაზეც მწუხარე სახის რაინდმა მიუგო, ეს ყველა მეცნიერებას შეიცავს, რაინდმა უნდა იცოდეს იურისპრუდენცია, ღვთისმეტყველება, ექიმობა, ვარსკვლავთმრიცხველობა, მათემატიკა...უნდა იცოდეს ცურვა, ცხენის დაჭედვა, შეკაზმვა, აღვირის ამოღება „უნდა იყოს ... უბიწო, სიტყვებით მართებული, თავისი მოქმედებით კეთილი, პატიოსანი და უხვი, ხიფათის დროს უშიშარი, უბედურებაში მომთმენი, ტანჯულთა შემწყალებელი, ვალდებულია იყოს ჭეშმარიტების

შეურყეველი ბურჯი და მოსარჩლე და მისთვის თავის დასადებად მედამ გამზადებული. აი ამ დიდ და მცოდნე თვისებათაგან შედგება მოგზაური რაინდობის მეცნიერება“. დონ ლორენსომ ეჭვი გამოთქვა, ეგ რომ ასე იყოს, მაშინ ამ მეცნიერების სიდიადეზე კამათიც არ იქნებოდა შესაძლებელი, საეჭვოა, ჩვენს დროში, ამგვარი ღირსებით დამშვენებული მოგზაური რაინდები არსებობდნენო. დონ კიხოტმა მიუგო, რომ მრავლად არიან ადამიანები, რომელთაც ამგვარად ეპარებათ ეჭვი, უფალს შევთხოვ, რომ გონება გაგინათოთ და დაგარწმუნოთ, რომ საჭიროა რაინდების არსებობა: „ჩვენთა ცოდვათა მიზეზით დღეს ქვეყანაზე მეფობს სიზარმაცე, უქმად ყოფნა, ფუფუნება და ანგარება“. მათ გამოჩენას კი კეთილი საქმეები მოყვება. ლორენსომ გაიფიქრა, სტუმარმა აურიასო, მაგრამ მაინც „შესანიშნავ გიჟად“ ჩათვალა. მალე სადილის მისართმევად გავიდნენ, მამამ სტუდენტს ჰკითხა, როგორი შთაბეჭდილება ჰქონდა სტუმარზე, მან მიუგო: „მთელი ქვეყნის ექიმები და სწავლულები, ვერ გამოიყვანენ მას იმ უგუნურობის ნისლიდან, როგორითაც შეპყრობილია იგი. მას რთული შემლილობა სჭირს; ხანდახან კი გონივრულად მსჯელობს“[2,137].

დონ კიხოტმა მასპინძლის სახლის სიმყუდროვე კ ა რ ტ ე ზ ი ა ნ უ ლ ი მონასტრისას, ბერების საცხოვრებელს, მიამსგავსა. სუფრის ალაგების შემდეგ, „ყველა კეთილთა მომნიჭებელს“ მადლობა შესწირეს.

დონ ლორენსომ, დონ კიხოტის თხოვნით, წაიკითხა ლიტერატურული შეჯიბრებისთვის დაწერილი ლექსი და გლოსა:

აწმყოდ, რომ იქცეს წარსული წლები, იყოს უცვლელ და წარუვალი,
ან მყობადს შორსა ხედავდეს თვალი, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები!
გლოსა.

როგორც ჟამთაგვლას მიაქვს ყოველი, წამილო ლხენა წარმავალობამ.

ბედმა გამწირა საბრალობელი, მცირე სიკეთეც არ მიწყალობა.

ო, ბედო, შენს წინ ვარ დამხობილი, და გულამოსკვნით ერთს გევედრები:

როს განვცხრებოდი მე ნეტარებით, იგი წარსული ისევ მაღირსე,

ო, ბედნიერი ვიქნები ისევ, აწმყოდ, რომ იქცეს წარსული წლები.

არ მინდა ოქრო, დაფნა, სახელი, სიმდიდრე უხვად მონაპოვარი.

ოღონდ წარსულის ვიყო მნახველი, დრო დამიბრუნდეს ტკბილსახსოვარი, -

ჰა, ჩემი ნატვრა, ჩემი ნაღველი... თუ შემისრულდა ეს ნაფიქრალი,

აღარ ვიქნები გულგაბასრული; ნეტავ დაბრუნდეს ჩემი წარსული,

იყოს უცვლელი და წარუვალი. მაგრამ ამაოდ მთხოვს ამას გული,

როგორ აღდგება იგი, რაც ქრება. ვით გაცოცხლდება ჩემი წარსული.

ვის შესწევს ძალა და გრძნეულება, რომ მიცვალებულს ჩაუდგას სული.

მსუბუქი ფრთებით დრო მიქრის მალი, ისე, რომ ქვეყნად არ რჩება კვალი,

და ის გიჟია, ნატრობს, რომელიც, შეჩერდეს ჟამი დაუდგრომელი,

ან მყობადს შორსა ხედავდეს თვალი...

ლირიკული გმირი, გლოსის ბოლო სტრიქონებში, გამოხატავდა სურვილს, მოსულიყო სიკვდილი, რათა მას თავი შეეფარებინა სამარის სიბნელისთვის, მაგრამ ამქვეყნად არყოფნის შიშიც იპყრობდა.

დონ კიხოტმა აღფრთოვანებით ჩამოართვა ხელი სტუდენტს, შეაქო „სულგრძელი და კეთილშობილი“ ყმაწვილი, „საუკეთესო პოეტი“, რომელიც ღირსია დაგვირგვინებული იყოს არა მარტო მარტო „კიპროსსა ან გაეტაზე... არამედ ათინის აკადემიისაგან! ახლაც, რომ არსებობდეს იგი და ჩვენი ახლანდელი პარიზისა, ბოლონია და სალამანკის აკადემიებისაგანაც!“ რაინდის აზრით, აპოლონის ისრებმა უნდა განგმირონ ის მსაჯულები, რომლებიც ამ ყმაწვილს პირველ ჯილდოს არ მიაკუთვნებენ.

დონ ლორენსო გაახარა ქებამ და სტუმრის თხოვნით კიდევ ერთი ნაწარმოები წაიკითხა, სონეტი პირამოსისა და თისბეს თქმულებაზე, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ქალსაც და ვაჟსაც ერთად ღუპავს ბედი საზარი. ერთად ხარობდნენ და სამარეც ერთად ეღირსათ, ისინი გაქრნენ... ცოცხალია მხოლოდ თქმულება“[2,140]. იდალგოს ესეც მოეწონა და ქება არც ამჟამად დაიშურა.

სტუმარი, თავის საჭურველმტვირთველთან ერთად, გულკეთილი დონ დიელს სახლში ოთხი დღე დარჩა. შემდეგ გამოეთხოვა მათ, მისი აზრით, მოგზაური რაინდების მოვალეობა ფათერაკების ძებნაა, მათ არ შეჰფერით უქმად ყოფნა. თავისი უმთავრესი მიზანიც გაუმხილა მასპინძლებს: უნდა მივიდეს სარაგოსის ტურნირებამდის, იხილოს მონტესინოსის მღვიმე, აღმოაჩინოს რ უ ი დ ე რ ი ს სახელით წოდებული შ ვ ი დ ი ტ ბ ა. რაინდმა გამოთხოვებისას დონ ლორენსოს ურჩია, თუ გსურთ დიდებას მიაღწიოთ, „პოეზიის ვიწრო ბილიკს უნდა აუხვიოთ და მოგზაური რაინდობის ყველაზე ვიწრო ბილიკს დაადგეთ. ეს ბილიკი თქვენ ერთი თვალის დახამხამებაში იმპერატორობამდის მიგიყვანთ“[2,141].

„ციხე-დარბაზის მფლობელის ნებართვით დონ კიხოტი გზას დაადგა თავისი საჭურველმტვირთველის თანხლებით - რაინდი, როგორც რიგი იყო, როსინანტზე მჯდარი, ხოლო საჭურველმტვირთველი - ვირზე ამხედრებული“[2,142].

თავი XIX

სადაც მოთხრობილია ფათერაკი შეყვარებულ მწყემსთან და სხვა ჭეშმარიტად სასაცილო შემთხვევები

რაინდსა და საჭურველმტვირთველს ორი სტუდენტი და ორი გლეხი დაემგზავრა. ისინი დონ კიხოტის დანახვაზე განცვიფრდნენ (როგორც რაინდის ყველა პირველად შემხვედრი განცვიფრდებოდა ხოლმე) და მოისურვეს გაეგოთ ვინ იყო ეს „არაჩვეულებრივი“ ადამიანი, რომელმაც შემთხვევით შემხვედრთ შესთავაზა ერთად ევლოთ. იდალგო მათ გაეცნო როგორც მოგზაური: „დონ კიხოტი ლამაზჩელი, ლ ო მ თ ა რ ა ი ნ დ ი ს სახელით ცნობილი, ქვეყნის ოთხსავე მხარეს ფათერაკების მამებარი“ [2,142]. გლეხები ვერაფერს მიხვდნენ, სტუდენტებმა უცებვე შეატყვეს, რომ ჭკუაარეული იყო, მიუხედავად ამისა, პატივისცემით ეპყრობოდნენ. ერთ–ერთმა მას „პატიოსანი რაინდი“ უწოდა და მდიდარ გლეხ ქ ა მ ა ჩ ო ს ა და მშვენიერი კ ი ტ ე რ ი ა ს ქორწილში მიიწვია. თურმე, ვაჟი ოცდაორი წლისა გახლდათ, ქალი–თვრამეტისა. ამ ქორწილში, მათი თქმით, ახალგაზრდა მწყემსი, პატარძლის ახლო მეზობელი და მიჯნური, საცოდავი და დამწუხრებული ბ ა ს ი ლ ი ო ც იქნებოდა, რომელსაც ქალის მამამ მას არ მიათხოვა შვილი, მდიდარი სასიძო, ქამაჩო, არჩია.

ჩვენი მგზავრები შემდეგ თემებზე საუბრობდნენ: სიყვარული, ოჯახი, გრამატიკა, მართლწერა, მაღალი საზოგადოების, განათლების, ხმლის გამოყენების, ფარიკაობისა და ხელოვნების საკითხები.

ბაკალავრ კ ო რ ჩ უ ე ლ ო ს სტუდენტმა უთხრა, ეტყობა ხმალი და ფარიკაობა არაფრად მიგაჩნიათო. მან დაუდასტურა, ეს ჭეშმარიტებააო და შესთავაზა, ჩამოქვეითდით და საქმით დაგიმტკიცებთ, თქვენ დაშნები გამოიყენეთ, მე კი მუშტის იმედი მაქვს და დაგარწმუნებთ, რომ არ არსებობს ვაჟკაცი, რომელსაც ვერ მოვერევითო. კორჩუელო ჩამოხტა ვირიდან. დონ კიხოტმა ბრძოლაში შუამავლობა იკისრა. ბაკალავრი და ლიცენციანტი ერთმანეთს უტევდნენ. პირველმა მეორეს გამოსტაცა დაშნა და მოისროლა. ერთ–ერთი გლეხი მოსატანად წავიდა. კორჩუელო ორთაბრძოლაში დამარცხდა, დაეცა. მან ირწმუნა, რომ ოსტატობამ შეიძლება ძალას აჯობოს. მოწინააღმდეგეები მალე შერიგდნენ, ისინი დაშნის მოსატანად წასულ გლეხს არც დაელოდნენ, გზა განაგრძეს, რადგან ქორწილში მისვლა უგვიანდებოდათ.

მგზავრები სადამოს მიუახლოვდნენ სოფელს, რომლის შესასვლელში გაკეთებული ფანჩატური ჭრაქით იყო განათებული, ისმოდა მუსიკალური საკრავების ხმა, იქ მყოფნი მხიარულობდნენ. დონ კიხოტმა მიუხედავად გლეხებისა და სტუდენტების თხოვნისა, სოფელში შესვლა არ ინდომა, მისი აზრით, მოგზაურ რაინდს ღამე ღია ცის ქვეშ უნდა გაეთია.



თავი XX

სადაც მოთხრობილია მდიდარი ქამაჩოს ქორწილისა და ღარიბი ბასილიოს ხვედრის შესახებ

გამთენიისას, სანამ დონ კიხოტი თავის პირდია, თვალეზდახუჭულ საჭურველმტვირთველს გააღვიძებდა, მას, „ამ დედამიწაზე მცხოვრებ მომაკვდავთა შორის უნეტარეს არსებას“, მიმართა: არც მოშურნე ხარ და არც ვინმეს აღუძრავ ამგვარ გრძნობას, არ გაწუხებს სატრფოზე, ვალებსა და ცოლ–შვილის გამოსაკვებ ლუკმაზე ფიქრი, არც პატივმოყვარეობა გაღელვებს და არც ბრწყინვალეობა გიტაცებს, „რადგან ყველა შენი მისწრაფება მხოლოდ შენი ვირის გარშემო ტრიალებს“, შენზე მე უნდა ვიზრუნო: „მსახურს სძინავს, ბატონი მის მაგიერ ფხიზლობს“...[2,149].

სანჩოს არხეინად ეძინა. ბატონი მას შუბის წვერით შეეხო და გააღვიძა. საჭურველმტვირთველს ფანჩატურიდან ლორისა და მოხრაკული ქონის სუნი ეცა და აღნიშნა, რომ საგანგებო ქორწილი მზადდებოდა. დონ კიხოტის აზრით, საინტერესო ის იყო, თუ როგორ მოიქცეოდა ბ ა ს ი ლ ი ო, ამიტომ, „ღორმუცელობისთვის“, მსახურს შეუტია.

ფათერაკისმაძიებლებმა შეკაზმეს როსინანტი, ვირი და ფანჩატურისკენ გაემართნენ, იქ სხვადასხვა სახეობის უამრავი კერძი მზადდებოდა. სანჩომ მზარეულს საჭმელი სთხოვა. ისიც გულკეთილად გაუმასპინძლდა სტუმარს. დონ კიხოტი კი სადღესასწაულოდ მორთულ თორმეტ გლეხს აკვირდებოდა, ისინი ყვიროდნენ: „ქამაჩო ისეთივე მდიდარია, როგორც კიტერიაა ლამაზი და იმაზე ლამაზი კი ქვეყანაზე არავინ არის“... რაინდმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „ეტყობა ამ ბეჩავებს ტობოსელი დულსინე არ უნახავთ, თორემ შერცხვებოდათ და თავიანთ კიტერიას ცოტა თავდაჭერით შეაქებდნენ“[2,152]. მალე მისი ყურადღება მოცეკვავე ჭაბუკებმა მიიქცია, „მრავალი ცეკვის მნახველმა“ რაინდმა აღიარა, რომ ამაზე უკეთესი არაფერი უხილავს. სოფლის რჩეული ლამაზი ქალებისაგან შემდგარმა მეორე გუნდმა კიდევ უფრო განაცვიფრა. მალე, ეგრეთწოდებული „მოლაპარაკე“ ცეკვა დაიწყო, რვა ნიმფა და ღმერთი კუპიდონი განასახიერეს. ოთხ ველურ კაცს „უმწიკვლობის ხის ციხე-დარბაზი“ მოჰქონდა. რომლის ქონგურებში მდგარ ყმაწვილქალს კუპიდონმა ისარი დაუმიზნა და უთხრა: „ყველგანმყოფი ვარ, მბრძანებელი, დედამიწაზე,

ჰაერში, ცაზე“... სანახაობაში ანგარების ღმერთი ჩაერთო, მისი თქმით, ის არის ყველას მეგზური, „მიწიერი და ბიწიერი, ქვეყნად განთქმული ცდუნება... ფული... ღმერთზე ძლიერი“...[2,153]

დონ კიხოტმა ერთ–ერთი ნიმფასგან გაიგო, რომ ცეკვის ავტორი სოფლის მღვდელია. მისი აზრით, შეთხზულ, წარმოდგენილ ამბავში, დიდი ოსტატობითაა ნაჩვენები ბასილიოს ნიჭი, უნარი და ქამაჩოს სიმდიდრე. სანჩომ თქვა, ქამაჩოს ვემხრობი, რადგან საკვებს მისი წყალობით მივირთმევ, დარიბ ბასილიოს კი ვერაფერს გამოვრჩებიო.



თავი XXI

სადაც გრძელდება ქამაჩოს ქორწილის ამბავი და სხვა საინტერესო შემთხვევები

სანჩო პანსამ პატარძალი სასახლის სეფექალს მიამსგავსა, დონ კიხოტმაც გულში აღიარა, რომ დულსინე ტობოსელის შემდეგ, კიტერიაზე მშვენიერი არავინ უნახავს.

ნეფე–პატარძალი ჯვრისწერის ადგილისკენ გაემართნენ, მაგრამ ამ დროს ვიღაცის შემახილი გაისმა. დაინახეს შავტანისამოსიანი კაცი, თავზე კვიპაროსის ფოთლებისაგან დაწნული სამგლოვიარო გვირგვინითა და ხელში ყავარჯნით. იცნეს, ეს ბასილიო იყო. ის მიუახლოვდა ნეფე–პატარძალს და ათრთოლებული ხმით მიმართა კ ი ტ ე რ ი ა ს: ეკლესიის კანონის თანახმად, გათხოვების უფლება არ გაქვს, რადგან ფიცი უარყავი და ჩემი ბედნიერება იმას მიჰყიდე, ვისაც ბევრი ფული აქვსო. მან ქარქაშიდან დაშნა ამოიღო, მკერდში დაიკა და გასისხლიანებული დაეცა მიწაზე. ბასილიოს მისცვივდნენ მეგობრები, დონ კიხოტი როსინანტიდან ჩამოხტა და ყმაწვილი ხელში აიყვანა. მღვდელმა არავის მისცა უფლება დაჭრილის მკერდიდან მახვილი ამოეღო, რადგან ეშინოდა ვაჟი უზიარებელი არ მომკვდარიყო.

ბასილიო ოდნავ მოეგო გონს და სუსტი ხმით მიმართა კიტერიას, ამ უკანასკნელ წამს ჩემზე ჯვარს თუ დაიწერ, თავს უნეტარესად ჩავთვლიო. მღვდელმა მომაკვდავს ურჩია: „ყოველივე ქვეყნიური საქმე დაეტოვებინა და სულის საქმეს შედგომოდა, ცოდვების მითევებას შევედრებოდა ღმერთს“, მაგრამ ბასილიო დაჟინებით იმეორებდა ერთსა და იმავეს. დონ კიხოტმა მისი თხოვნა სამართლიანად მიიჩნია, რადგან ბასილიოს საქორწინო სარეცელი ხომ კუბოში მზადდებოდა. დაბნეული ქამაჩო უნებლიეთ დათანხმდა, კიტერიას დართო ნება, მომაკვდავზე დაეწერა ჯვარი.

მღვდელმა ჯვრისწერის რიტუალი აღასრულა თუ არა, ბასილიო წამოდგა, ყველა გაოცდა და ზოგიერთებმა ამას სასწაულიც კი უწოდეს, რაზეც ყმაწვილმა თქვა: „სასწაული“

კი არა,-ხერხი და ხელოვანება!“ მღვდელმა მიიღბინა მასთან, ჭრილობა გაუსინჯა. ყმაწვილს ტანზე, გვერდით, სისხლით სავსე რკინის მილი ჰქონდა მიკრული და დაშნაც ამ მილში იყო გასული. სისხლი ისე იყო შეზავებული, რომ არ შედედებულებოდა. ქამარო და სტუმრები მიხვდნენ, რომ მოტყუვდნენ, პატარძალმა ჯვრისწერის წინ წარმოთქმული ფიცი ისევ გაიმეორა. ბასილიოსა და ქამაროს მომხრეებმა ხმლები იძრეს, სანჩო მიიძალა, დონ კიხოტმა ყველა დაარწმუნა იმაში, რომ „ზენაარსის უცვალებელი განჩინებით... კიტერია ბასილიოს ეკუთვნის და ბასილიო კიტერიას“. ქამაროს თავისი საცოლის გულგრილი დამოკიდებულება არ მოეწონა, სიყვარული უმაღლეს გაუქრა და დაშოშმინდა. ნადიმი გაგრძელდა, მაგრამ ბასილიომ და კიტერიამ გადაწყვიტეს წასულიყვნენ, მათ დონ კიხოტიც მიიწვიეს, რადგან, გაჭირვების ჟამს, რაინდმა მათი მხარე დაიჭირა, სანჩო უკმაყოფილო იყო, რადგან ნადიმზე ყოფნა ჩაეფუშა.



თავი XXII

სადაც მოთხრობილია შუაგულ ლამანჩაში მდებარე მონტესინოსის მღვიმეში მომხდარი დიდი ფათერაკის ამბავი და როგორ ბედნიერად დაასრულა იგი სახელოვანმა დონ კიხოტ ლამანჩელმა

ნეფე-პატარძალმა „სიდის მსგავსი ვაჟკაცი... და ციცერონის მსგავსი მჭევრმეტყველი“ [2,164], დონ კიხოტი, პატივით მიიღეს, სანჩო სამი დღე ქეიფობდა.

დონ კიხოტმა, ფარიკაობის ოსტატს, ლიცენციანტს, სთხოვა ესწავლებინა მონტესინოსის მღვიმისკენ მიმავალი გზა, რადგან აინტერესებდა, რამდენად მართალი იყო თქმულებები, რაც მის გარშემო არსებობდა. ლიცენციანტმა მიუგო, სწავლული ბიძაშვილი მყავს, სტუდენტი, რამდენიმე წიგნს ამზადებს გამოსაცემად და აპირებს ისინი სხვადასხვა ხელმწიფეს უძღვნას, სარაინდო თხზულებების მოყვარულია, სიამოვნებით გაგიძღვებათ ესპანეთში, ცნობილი შესანიშნავი მღვიმისა და რუიდეის ტბებისკენ.

სტუდენტი ვირითა და სავსე გუდით მოვიდა. ბატონმა და საჭურველმტვირთველმა პირჯვარი გადაიწერეს, მასპინძლებს გამოეთხოვნენ და, სწავლულთან ერთად, მონტესინოსის მღვიმისაკენ გაემართნენ. გზაზე, რაინდმა თავისი სწავლული თანამგზავრისგან გაიგო, რომ მას სურდა ჰუმანისტი გამხდარიყო, გადაწყვეტილი ჰქონდა, კარგი შემოსავლის მომცემი წიგნი დაებეჭდა. ერთ გამოცემაში რაინდთა შვიდას სამი მორთულობა იქნებოდა აღწერილი, მეორეს მეტამორფოზები ანუ ესპანეთის ოვიდიუსი ერქმეოდა, რომელშიც ანგელოზების, ხარების, ქალაქებისა და შადრევნების აღწერას, ალეგორიები, მეტამორფოზები და შესაფერი სიტყვების კილოკავები მოსდევდა, ერთიც-სხვადასხვა ნივთთა გამოგონებას მიეძღვნებოდა.

დღე საამო საუბარში მიიღია. ღამით პატარა სოფელში დაბინავდნენ. სტუდენტის თქმით, აქიდან მღვიმემდის ორი მილზე მეტი აღარ იქნებოდა. მეორე დღეს მგზავრებმა ასი საჟენი თოკი შეიძინეს (რაინდს ის „ჯოჯოხეთის“ სიგრძე-სიგანის გასაგებად სჭირდებოდა) და ნაშუადღევის ორ საათზე მიადგნენ მღვიმეს, რომლის განიერი შესავალი ძეძვით, გარეული ლეღვის ხით, ასკილით და ჭინჭრით იყო დაბურული. სანჩომ და სტუდენტმა რაინდის ტანისამოსს გარედან თოკი მიაბეს. საჭურველმტვირთველი სთხოვდა თავის ბატონს, არ დამარხულიყო ცოცხლად, მავრულ საპყრობილეზე უარეს უფსკრულში, არ დამსგავსებოდა ჭაში გასაცივებლად ჩაკიდებულ ბოთლს. სტუდენტს კი სურდა, რაინდს ასი თვალი და ყური ჰქონოდა, იქნებ მღვიმეში მას ისეთი რაიმე ენახა, მისი წიგნის მასალად რომ გამოდგებოდა.

ღონ კიხოტმა ინანა, თან პატარა ზარი რომ არ წამოიღო, თოკის ბოლოზე მიაბამდა და ზემოთ მყოფნი გაიგებდნენ, ცოცხალი იყო თუ არა. თავი ღმერთს მიანდო, დაიჩოქა და ლოცვა წარმოთქვა ჩუმად, ხმამაღლა კი „შეუდარებელი სილამაზის“ დულსინე ტობოსელს მიმართა, ამ საშინელ წამებში მისი შემწე ყოფილიყო, რაინდი მღვიმის უფსკრულში ჩადის, რათა დაარწმუნოს მთელი ქვეყანა თავის სიძლიერეში.

რაინდმა ძეძვი აჩეხა, უამრავი ყვავ-ყორანი დაფრთხა, გრიალით გამოფრინდა იქიდან და ღონ კიხოტი წააქცია.

იდალგო მღვიმეში ნელ-ნელა ჩაუშვეს.

სანჩომ დალოცა: „ღმერთმა და ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს კ ლ დ ე მ , აგრეთვე გაეტის წმიდა სამებამ გატარონ შენ - მოგზაური რაინდობის დიდებავ, სახელო და ყვავილო! იარე, მსოფლიოს უპირველესო მეზრძოლო, ფოლადის გულო, რკინის მკლავო! მშვიდობით გატაროსმცა უფალმა და ამ ქვეყნის სინათლეზე საღსალამათი დაგაბრუნოს. შენ ეს სინათლე უარჰყავ, რათა იმ სიბნელეში დამარხულიყავ, რასაც ეძებ“ [2,170].

სწავლულმაც ლოცვით გააცილა იგი.

მღვიმის სიღრმიდან რაინდის ძახილი შეწყდა. სტუდენტმა და სანჩომ თოკის ჩაშვება შეაჩერეს, ნახევარი საათის შემდეგ კი ამოზიდვა დაიწყეს, ჯერ სიმსუბუქეს გრძნობდნენ, რამაც შეაფიქრინა ორივე, მაგრამ მალე მძინარე რაინდი გამოჩნდა, მიწაზე დააწვინეს და გამოალვიძეს. მან თქვა: „თქვენ მე ისეთ მშვენიერ სანახაობას მომწყვიტეთ“ ... [2,171]



ამაგი განსაცვიფრებელი ფათერაკებისა, ფრიად გამბედავმა დონ კიხოტმა მონტესინოსის უძირო მღვიმეში, რომ იხილა და რომლებიც ესოდენ არნახულია და დიდებული, რომ საფუძველი გვაქვს ისინი ყალბად მივიჩნიოთ

სტუდენტმა სთხოვა რაინდს, აღწერა ჯოჯოხეთი, რომელიც იხილა, მაგრამ მან მიუგო, მშვენიერი ადგილია: „თორმეტი ან სულ ბევრი თოთხმეტი საჟენის სიღრმეზე, ხელმარჯვნივ ამ მღვიმეში შეხუბილია და იმოდენა ცარიელ ადგილს წარმოადგენს, რომ ერთ ჯორებშებმულ ურემს ზედ თავისუფლად მოთავსება შეუძლია. დედამიწის ნაპრალებიდან მცირეოდენი სინათლე აღწევს იქამდის და ძლივძლივობით ანათებს იქაურობას“ [2,172],

თურმე, რაინდმა დასვენება გადაწყვიტა, თოკისგან მრგვალი დასაჯდომი გააკეთა, მერე ჩაფიქრდა. მალე დაეძინა და მშვენიერ ველზე გაიღვიძა, დაინახა ძველი რომანების გმირები: ძვირფასი სასასლის კარებიდან იისფერწამოსასხამიანი მხცოვანი მოხუცი, მონტესინოსი, გამოვიდა, მან უთხრა: „ დიდი ხანია, მამაცო რაინდო დონ კიხოტო ლამანჩელო, ამ განმარტოებულ, მოხიბლულ ალაგს მცხოვრებნი თქვენს მოსვლას ველით! გელით, ჰოი, რაინდო, რათა ქვეყანას მოუთხოვოთ, რაც მონტესინოსის ამ ღრმა მღვიმეშია“ [2,173] ბროლის ციხე-დარბაზში წაიყვანა, ქვემო სართულში მარმარილოს ტაგრუცი იდგა, მასზე მოხუცის ბიძაშვილი რაინდი იწვა – დ უ რ ა ნ დ ა რ ტ ე – „ თავისი დროის რაინდებისა და მიჯნურთა სიქადული და დიდება“, იდალგომ ჰკითხა, დედამიწაზე ამბობენ, რომ სიკვდილის წინ, მისივე ანდერძის თანახმად, გული ამოგიჭრიათ ამ ადამიანისთვის და მისი მიჯნურისთვის, ბელერმასთვის, მიგირთმევიათ, მართალია თუ არაო. მოხუცმა დაუდასტურა, ასეაო, მაგრამ ის მაკვირვებს, რომ ზოგჯერ ამოიგმინებს ხოლმეო. მართლაც ამოიგმინა დურანდარტემ და ისევ გაუმეორა თხოვნა, გული გადაეცათ მისი მიჯნურისთვის. მონტესინოსმა დაუჩოქა და უთხრა, რომ თხოვნა შეუსრულა, მაგრამ „ის ქალი, თქვენ, მე, თქვენი საჭურველმტვირთველი გვადიანი, დუენია რუიდერი მისი შვიდი ასულით და ორი დისწულით და მრავალი თქვენი მეგობარი და ნაცნობი, აქ ბრძენ მერლინს მოჯადოებული ვყავართ“...

„...რუიდერი, მისი ასულები და დისწულები დაგვაკლდა; ისინი ისე დაუცხრომლად ტიროდნენ, მერლინს შეებრალა და რამდენიც იყვნენ, იმდენ ტბად აქცია, - ახლა რომ ცოცხლების ქვეყანაში და ლამანჩის მაზრაში რუიდერის ტბები ეწოდებათ. შვიდი მათგანი ესპანეთის მეფეს ეკუთვნის, ხოლო ორი ტბა - რაინდთა უწმიდეს ორდენს, იოანე ნათლისმცემლის ორდენად წოდებულს, თქვენი საჭურველმტვირთველი გვადიანა თქვენი უბედურების გლოვისაგან ახლა მდინარედ არის გადაქცეული და იმ მდინარეს მისი სახელი ჰქვია“ [2,175], ის დედამიწაზე ავიდა, ცას შეხედა, მაგრამ დურანდარტესგან მოშორებამ დაამწუხრა და ისევ მიწის გულში ჩაიმალა. დროდადრო ადის ხოლმე ზედაპირზე, რუიდერის ტბების წყლით ივსება, სხვა

რამდენიმე წყალიც უერთდება და, ერთ მდინარედ ქცეული, პორტუგალიაში შედის. მონტესინოსმა დურანდარტეს მიმართა: „იცოდეთ თქვენს წინ (თვალი გაახილეთ და დაინახავთ) ის დიდი რაინდი დგას, რომელზედაც ბრძენი მერლინი წინასწარ მეტყველებდა, სწორედ ის, დონ კიხოტი ლამანჩელი, სწორედ ის-მეთქი, ვამბობ, რომელმაც უმეტესი წარმატებით, ვიდრე წარსულ საუკუნეებში იყო, ან დავიწყებული მოგზაური რაინდობის წოდება გააცოცხლა და შესაძლოა მისი შემწეობით აგვეხსნას მოჯადოება“[2,176], მწოლიარე რაინდმა დაამშვიდა მოხუცი, თუნდაც ასე არ მოხდეს, „წაგებას ნუ იდარდებ, მოითმინე და კვლავ ქაღალდები აურიე“[2,176].

დონ კიხოტმა დულსინეაც კი ნახა, სხვა ბანოვანებთან ერთად. ყველანი ფრანგ ჯადოქარს, მერლინს, ხუთასი წელიწადია, თურმე, რაც მოჯადოებული ჰყავს...მან კიდევ კარგა ხანს ისაუბრა... როდესაც სტუდენტმა ჰკითხა, ამდენი რამის ნახვა და საუბარი მცირე ხანში როგორ მოასწარიო, რაინდმა მიუგო: „ჩემს იქ ყოფნაში სამჯერ დაღამდა და სამჯერ გათენდა, ისე, რომ ჩემი ანგარიშით იმ შორეულ და ჩვენ თვალთაგან ფარულ ადგილებში სამ დღეს დავრჩი“[2,178]. სანჩომ დროის ასეთი აღრევა ჯადოქრობას დააბრალა: „რაც ჩვენ ერთი საათი გვგონია, შესაძლოა იქ სამი დღე და სამი ღამე იყო“, მაგრამ მისმა ბატონმა როდესაც თქვა, მონტესინოსმა სამი მოჯადოებული გლეხის ქალი მაჩვენა და ერთ-ერთი დულსინე ტობოსელი იყო, საჭურველმტვირთველი შეშინდა, მეც არ შევიშალო, ან სიცილით არ მოვკვდეო, რადგან დულსინეას მოჯადოების ამბავი როგორც მოხდა, კარგად იცოდა. მან რაინდს უთხრა, მონტესინოსმა შეცვლილი გამოგზავნათ, ბრძნულად საუბრობდით, იქ მისვლისა და დაბრუნების შემდეგ კი „ისეთ მოჩმახულ და სულელურ აბდაუბდას გვიყვებით, რომ უარესის წარმოდგენა ადამიანს არ შეუძლია“[2,180].

დონ კიხოტმა მსახურს უთხრა, დადგება დრო, როდესაც ყოველივეს დაიჯერებო.



სადაც მოთხრობილია ათასი სხვადასხვა ამბავი, იმდენადვე სულელური და მოჩმახული რამდენადაც საჭირო და აუცილებელია ამ დიდებული ისტორიის სწორად გასაგებად

ბაკალავრს მოეჩვენა, რომ სანჩო თავის ბატონს თავხედურად ესაუბრებოდა. რაინდთან შეხვედრის გამო კმაყოფილება გამოთქვა, უთხრა, ეს დღე, ოთხი მიზეზის გამო, საუკეთესოდ მივიჩნიეო: „პირველი-თქვენი მოწყალება გავიცანი, რაც ჩემთვის დიდი ბედნიერებაა; მეორე-გავიგე, რას შეიცავს მონტესინოსის მღვიმე და როგორ მოხდა გვიდიანისა და რუიდერის ტბების გარდაქმნანი,-ეს ჩემი თხზულებისათვის, ახლა, რომ ვწერ,-ჩემი „ესპანეთის ოვიდიუსისათვის“ ძვირფასი მონაპოვარია; მესამე-სათამაშო ქაღალდების სიძველე აღმოვაჩინე: როგორც რაინდ დურანდარტეს სიტყვიდან ჩანს, მონტესინოსს, რომ უთხრა: ითმინე და ქაღალდები აურიეო. ყოველ შემთხვევაში სათამაშო ქაღალდები კარლოს დიდის დროს უკვე სცნობიათ. სიტყვას: ქაღალდები აურიე-დურანდარტე მოხიბლულობის დროს ვერ გაიგონებდა, ეს სიტყვა მან, უეჭველია, საფრანგეთში გაიგონა დიდი იმპერატორი კარლოსის ეპოქაში, რა ეპოქაშიაც მას უცხოვრია; ეს აღმოჩენა ჩემთვის მეტად დიდია, როგორც მასალა, ჩემგან განზრახული მეორე წიგნისთვის გამოსადეგი: „კვალად ნივთთა სიძველეზე, ვერგილიუს პოლიდორეს წიგნის დამატება“. იგი თავის წიგნში სათამაშო ქაღალდების შემოწმების დროზე არაფერს ამბობს. ახლა მე აღვნიშნავ ამ დროს და მოწმედ ისეთ სანდო პირს მოვიყვან, როგორც რაინდი დურანდარტეა. დასასრულ, მეოთხე-მდინარე გვადიანას აქამდის ყველასათვის უცნობი სათავე აღმოვაჩინე“[2,183].

დონ კიხოტი დაინტერესდა, სად უნდა გაეთიათ ღამე. სწავლულმა მიუგო, აქვე, ახლოს, ქრისტიანი განდეგილის, გონიერი და პურმარილიანი ადამიანის სენაკია, იქვე, გვერდით, პატარა სახლია აშენებული და მივიდეთო. სანჩო დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა მას ქათმები. დონ კიხოტმა მიუგო, ეყოლებაო... თანამედროვე განდეგილების მიმართ რაინდი უპატიცემულობას არ განვიცდი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, ისინი არც ისე სასტიკ ცხოვრებას ეწევიან, წინაპრებს არ ჰგვანან, ეგვიპტის უდაბნოში საცხონებლად გასულებს, სახურავად პალმის ხის ფოთლებს რომ ხმარობდნენ და საზრდოდ ხის ფესვებს...

გზაზე მელორე შემოხვდათ, შუბლახტებიანი, სურდათ გასაუბრებოდნენ, მაგრამ დროის უქონლობის გამო ის არ შეჩერდა, მათ უთხრა, განდეგილის სენაკის გვერდით ფუნდუკია, ღამეს იქ გავათევ და თუ გსურთ იქვე გაგესაუბრებით, ახირებულ ამბავს მოგიყვებითო. ცნობისმოყვარე დონ კიხოტმა გადაწყვიტა, განდეგილის სენაკისთვის გვერდი აექციათ და ფუნდუკისკენ წასულიყვნენ. ასეც მოიქცნენ. სწავლულმა სთხოვა იდალგოს, განდეგილს მაინც გაუუაროთ და ღვინო გადავკრათო. მივიდნენ, მაგრამ იქ მხოლოდ მორჩილი დედაკაცი დახვდათ, რომელმაც მხოლოდ წყალი შესთავაზა. განაწყენებულმა სანჩომ სინანულით გაიხსენა მდიდარი ქამაჩოს ქორწილი და დონ დიელოს სახლი.

განდეგილის სენაკს რომ გასცდნენ, თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭი ნახეს, ზურგზე ბოხჩა ეკიდა და მღეროდა: „ომში მაგზავნის სიღატაკე ავი და კრული. შინ დავრჩებოდი,

რომ მეშოვნა მე სადმე ფული“. იდალგო გაესაუბრა ყმაწვილს, მისგან გაიგო, რომ ლატაკია, ბატონს დაანება თავი და ომში მიემგზავრება. რაინდმა მოუწონა გადაწყვეტილება: „ქვეყანაზე იმაზე პატიოსნური და სარფიანი სამსახური არა არის რა, როგორც ჯერ ღმერთსა და მერე იარაღით ხელში-მეფეს ემსახურო“ [2,187]. რამდენიმე გონივრული აზრიც გაუზიარა ყმაწვილს, მერე კი მიიწვია ფუნდუკში. სანჩო გაცეხული უსმენდა თავისი ბატონის ქკვიანურ საუბარს და უკვირდა ის, რომ ცოტა ხნის წინათ, სწორედ ეს ადამიანი ყვებოდა მონტესინოსის მღვიმეზე დაუჯერებელ ამბებს. საჭურველმტვირთველს უხაროდა, იდალგომ აქაურობა ციხე-დარბაზად რომ არ ჩათვალა.

ფუნდუკში, დონ კიხოტმა, შუბლახტებიანი კაცი იკითხა, მასპინძელმა მიუგო, თავლაში ჯორს უვლისო.



თავი XXV

სადაც აღწერილია შემთხვევა ვირის ყროყინის გამო, სასაცილო ფათერაკი თოჯინების თეატრთან და კიდევ მკითხავი მაიმუნის ღირსშესანიშნავი მისნობანი

დონ კიხოტი თავლაში მომუშავე გლეხს დაეხმარა, რათა შემდეგ მისგან დაპირებული, „ახირებული“ ამბავი მოესმინა. ცოტა ხანში, მოსასმენად მოემზადნენ: რაინდი, მეფუნდუკე, სანჩო, პაჟი და სტუდენტი.

გლეხმა დაიწყო: ოთხი მილის სიშორეზე, ერთ სოფელში, რ ე ხ ი დ ო რ ს* დაეკარგა ვირი. ეძება, მაგრამ ამოდ, ვერ იპოვა. ორი კვირის შემდეგ, მასთან იმავე დაბაში მცხოვრები მეორე რეხიდორი მივიდა და უთხრა, სამახარობლო მეკუთვნის, რადგან მთაში, ტყეში, შენი ვირი ვიპოვე, გაგარეულეხულია, არც მოსართავი აქვს და არც კურტანი, წამოდი და გიჩვენებო. შეთანხმდნენ. მეორე რეხიდორმა თავისი ვირი შინ დატოვა, დაბრუნდა და წავიდნენ, ეძებეს, მაგრამ ამოდ, ვერ იპოვეს. მპოვნელმა დამკარგავს უთხრა, ხერხი გამოვიყენოთ, ვირივით ყროყინი ვიცი, ცოტათი წამეშველე, ჩვენს ხმაზე ცხოველი გამოგვეხმაურება და საქმე გაიჩარხებაო.

რ ე ხ ი დ ო რ ე ბ ი ერთმანეთს დაშორდნენ. ისე ოსტატურად ყროყინებდნენ, ერთმანეთის ხმა სახედრისა ეგონათ და ურთიერთს დაკარგულ ვირად თვლიდნენ. მალე საცოდავი პირუტყვი მგლებისგან გამოხრული იპოვეს. დანადვლიანებულნი დაბრუნდნენ შინ და ყველას უამბეს თავიანთი ჩინებული ყროყინის ამბავი. მეზობელი სოფლის მცხოვრებლებმაც გაიგეს ყოველივე და მოყროყინების სოფელს დაუწყეს დაცინვა. სოფელი სოფელს გადაემტერა. ხვალ დაპირისპირებული მხარეები იბრძოდნენ, იმიტომ ვარ შუბლახტიანი. სწორედ ეს გახლავთ „ახირებული“ ამბავი, რის მოყოლასაც დაგპირდითო.

ფუნდუკში აქლემის ტყავის ტანსაცმელში ჩაცმული კაცი გამოჩნდა, მან ღამის გასათევი მოითხოვა და თქვა, რომ მკითხავი მაიმუნიც მოიყვანა და თოჯინებიც ჰქონდა. მეფუნდუკეს მისი მოსვლა გაუხარდა: „ეს ხომ სენიორ მ ა ე ს ე* პ ე დ რ ო ა“, თოჯინების თეატრის პატრონი, დროს მხიარულად გავატარებთო. მისი თქმით, ეს კაცი არაგონიის ლამანჩის მიდამოში იცნობენ, მეტად საყურადღებო სანახაობას, დონ გაიფეროსისაგან მელისენდრას გათავისუფლების წარმოდგენას გამართავს. მის საკვირველ მაიმუნს კი რაიმეს თუ ჰკითხავთ, პატრონს მხარზე შეახტება და პასუხს უჩურჩულებს. თავისი ენის, მაიმუნისა და თეატრის წყალობით, პედროს საკმაო ფული აქვსო.

დონ კიხოტმა დიდ, უკუდო მაიმუნს შეკითხვა დაუსვა, რა მოხდება მომავალში და რა ხელობისანი ვართ, გვითხარო. პედრომ მიუგო, მას ცოტა რამ მხოლოდ წარსულსა და აწმყოზე გაეგებაო. სანჩო გაბრაზდა, წარსული ჩემზე უკეთ ვინ იცის, ამაში ფულს როგორ გადავუხდი, თუკი აწმყოსი გაეგება, მითხრას, ჩემი მეუღლე, ტერესა პანსა, ახლა რას აკეთებსო.

პედრომ მხარზე ორჯერ დაირტყა ხელი, მაიმუნი შეახტა პატრონს, მის ყურთან რამდენიმე წამი ავაწკაწებდა კბილებს, მერე ძირს ჩამოხტა. პედრომ დაიჩოქა დონ კიხოტის წინ: „ჰოი, სახელოვანო დონ კიხოტო ლამანჩელო, სუსტაა ხელთამპყრობო, დასაცემთა გამმაგრებელო, დაცემულთა მფარველო და ყოველთა მწუხარეთა ნუგეშო!“[2,194]. რაინდი გაშტერდა. „სანჩომ თვალეხი დააჭყიტა, მწიგნობარი სტუდენტი გაოცდა, მეფუნდუკე ადგილიდან ვეღარ დაიძრა; ვირულად მოყროყინე სოფლის გლეხმა პირი დააღო და ყველას ერთიანად თმა ყალყზე დაუდგა“. შემდეგ მიუბრუნდა სანჩო პანსას: „...ჰოი კეთილო სანჩო პანსა, ქვეყანაზე უჩინებულესო საჭურველმტვირთველო უჩინებულესი

რაინდისავ, გაიხარე: შენი ცოლი ტერესა პანსა კარგად იმყოფება და ამჟამად სელსა მენძავს...“[2,194].

მაესე პედრომ განაცხადა, რომ თეატრალურ წარმოდგენას უფასოდ გამართავდა. სანამ ის ამისთვის ემზადებოდა, მაიმუნის მკითხაობით უკმაყოფილო დონ კიხოტმა (რომელმაც შეუძლებლად მიიჩნია მაიმუნს რაიმე სცოდნოდა აწმყოსა და წარსულზე) გვერდზე გაიხმო თავისი საჭურველმტვირთველი და ჩუმად უთხრა: „იქნებ მაესე პედრომ ეშმაკთან დადო პირობა; ეშმაკი, უეჭველია, მის მაიმუნთანაა დაკავშირებული და იგი ატყობინებს მას ამ ამბებს. მაიმუნიც პასუხს იძლევა, ამაში პედრო ფულებს იღებს, ალბათ, იმ პირობით, რომ, როდესაც გამდიდრდება, მადლობის გადასახდელად ეშმაკს თავის სულს მისცემს“[2,195].

სანჩომ დონ კიხოტს სთხოვა, მაესე პედრომ ჰკითხოს თავის მაიმუნს, მართალია თუ არა, რაც მონტესინოსის მღვიმეში ნახეთ, მე სიცრუე მგონია, იქნებ სიზმარი იყო.

მაესე პედრომ მოიყვანა „სენიორ მაიმუნი“, ჰკითხა, მერე თავისებურად ანიშნა, ისიც შეახტა მხარზე, ვითომ ყურში ეჩურჩულებოდა პატრონს. მისი „პასუხი“ ასეთი იყო: მონტესინოსის მღვიმის ამბავი ნახევარი ტყუილია, ნახევარი კი მართალს ჰგავსო. სანჩომ თქვა, ასეც მეგონაო, რაზეც რაინდმა მიუგო, ამას დრო გვიჩვენებსო.

მალე თეატრალური წარმოდგენა უნდა დაწყებულიყო. უამრავი ცვილის სანთელი ანათებდა. პედრო ფარდულის უკან მოთავსდა, იმიტომ, რომ თოჯინებს ათამაშებდა. მსახური ბიჭი, მომცრო ჯობით ხელში, მაყურებლებს წარმოდგენის შინაარსს უხსნიდა, ფიგურების სახელებს აცხადებდა.



სადაც გრძელდება სასაცილო ფათერაკი თოჯინების თეატრთან და კიდევ მოთხრობილია ჭკმმარტად საყურადღებო სხვა ამბები

წარმოდგენა დაიწყო. წინწილებისა და ზარბაზნების ხმა რომ შეწყდა, ბიჭმა განმარტა: ისტორია, რომელსაც სცენაზე იხილავთ, ამოღებულია ფრანგული ქრონიკებიდან და ესპანური სიმღერებიდან, მასში მოთხრობილია „დონ გაიფეროსისაგან თავისი ცოლის მელისენდრას გათავისუფლება, მავრებს რომ ჰყავდათ დატყვევებული, ესპანეთის ქალაქ სანსუენში, ასე ეწოდებოდა მაშინ ქალაქ სარაგოსას“.

სცენაზე გამოჩნდა თავგვირგვინოსანი იმპერატორი კარლოს დიდი, მელისენდრას მამა. ის განრისხებულია სიძეზე, რომელსაც დაავიწყდა მეუღლე და დროს უსაქმურობაში ატარებს. მოუწოდებს გაათავისუფლოს დატყვევებული ქალი. იმპერატორი ზურგს შეაქცევს. გაიფეროსი ბრძანებს, მოუტანონ აბჯარი, თავის ბიძაშვილს დონ როლანდს კი სთხოვს, დურინდანის მახვილი ათხოვოს, უარს მიიღებს, სამაგიეროდ, დახმარებას შესთავაზებს. გაბრაზებული გაიფეროსი უარყოფს მის წინადადებას, აისხამს იარაღს და გასამგზავრებლად ემზადება.

ბიჭმა მაყურებლებს უჩვენა: „ერთ-ერთი კომკი სარაგოსის ციხე-დარბაზისა, ახლა ალხაფერიად წოდებული“, აივანზე, მავრული ტანსაცმლით დგას მელისენდრა, თავისი საფრანგეთისკენ, პარიზისკენ, მზირალი. სანსუენის მეფე მარსილიო, თავის ბიძაშვილს მავრს სჯის (უნდა დაიჭირონ, ორასი ჯოხი დაარტყან, მერე კი ქალაქის ქუჩებში გაატარონ), იმიტომ, რომ ის ქალს მიეპარა და კოცნიდა.

ბიჭმა მთავარ საკითხს გადაუხვია და განმარტა, რომ: „ბრალდება“, „მოწმების დაკითხვა“, „დაპატიმრებით გამოძახება... მავრებში არ არის“...დონ კიხოტმა დაუმახა: „ამბავი სწორი გზით ატარეთ, გზაჯვარედინებსა და ღობე-ყორეს ნუ ედებით“. მოთხრობელს მასევე პედრომაც შენიშვნა მისცა.

სცენაზე, გრძელ და განიერ გასკონურ წამოსასხამში გახვეული, ცხენზე ამხედრებული, დონ გაიფეროსი გამოჩნდა, ქალს ის უცხო მგზავრი ჰგონია და საფრანგეთში, მეუღლესთან, მოკითხვას აბარებს. მალე იცნობს, ქმარი ცხენზე შემოისვამს და პარიზისკენ მიქრია. მოთხრობელმა ისევ გადაუხვია მთავარ ამბავს და დაიწყო: „იარეთ მშვიდობით, მამაცნო და ერთგულნო მიჯნურნო, საღსალამათად დაბრუნდით თქვენს ტურფა სამშობლოში და გზაში ყველა მარცხისაგან ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! დაე“... მასევე პედრომ ისევ დაუყვირა: „რაში გეჭირვება ეგ გატყლარჭული სიტყვა, შიგ, რომ აზრი არაფერია“.

ბიჭმა თხრობა განაგრძო: ...მელისენდრას გაქცევა რომ გაიგო, მეფე მარსილიომ განგაში ატეხა, ყველა კომკზე ზარების რეკვა დაიწყეს... დონ კიხოტმა წამოიძახა, ეს მასევე პედროს შეცდომაა: „მავრებს ზარები არა აქვთ, მარტო წინწილი და დულსაინის მსგავსი საკრავები აქვთ და მათ უკრავენ. სანსუენში ზარების რეკვა დიდი სისულელეა“.

მასევე პედრომ ზარების რეკვა შეაჩერებინა და რაინდს სთხოვა არ მიექცია ყურადღება ყველა წვრილმანისათვის.

ბიჭმა განაგრძო: ქალაქიდან მრავალრიცხოვანი ცხენოსანი მისდევს კათოლიკე ცოლ-ქმარს, ცხენის კუდზე მიბმულნი უკან არ დააბრუნონო.

დონ კიხოტი წამოხტა ადგილიდან და დაიღრიალა, არავის მივცემ უფლებას დონ გაიფეროსს ზიანი მიაყენონო. იშიშვლა ხმალი, მივარდა სცენას, მავრები, თოჯინების ცხენოსანი ჯარი „აჩეხა“. მასევე პედრო თავშესაფრიდან უყვიროდა: შესდექით, ესენი „მუყაოსაგან გაკეთებული თოჯინებია; მოიფიქრეთ, რომ მე ცოდვილს ჩემს ერთადერთ ქონებას მიფუჭებთ და მიმუსრავთ“, მაგრამ იდალგო არ უსმენდა, „მავრების ლაშქარს“ მუსრი გაავლო. ყველა შეშინდა. მასევე პედრო დამწუხრდა, მომხდარის გამო, ყველაფერი

განადგურებული იყო. სანჩოს შეეცოდა და დაამშვიდა, ჩემი ბატონი კეთილია და ზარალს აგინაზღაურებსო.

დონ კიხოტი მალე მიხვდა, რაც ჩაიდინა და მასე პედროს დაჰპირდა, რომ აუნაზღაურებდა: „ ჩემი მდეველი ჯადოქრები საგანს ჯერ თავისი სახით მიჩვენებენ და მერე უცებ იმ სახეს აძლევენ, როგორცა სურთ. სენიორებო, გარწმუნებთ, - ყველას მიუბრუნდა და განაგრძო, - ყველა აქ წარმოდგენილი ნამდვილ ამბად მეჩვენა: მელისენდრა, დონ გაიფეროსი, მეფე მარსილიო და იმპერატორი კარლოს დიდი ცოცხალ კარლოსად, მარსილიოდ, დონ გაიფეროსად და მელისენდრად მეჩვენნენ, ამიტომაც მომივიდა საშინელი რისხვა და, რადგან ვალდებული ვიყავ - მოგზაური რაინდის მოვალეობა ამესრულებინა, ამიტომ დავეშურე გაქცეულებისათვის მეშველა. ამ პატიოსანი განზრახვის გავლენით ის ჩავიდინე, რაც თქვენი თვალით ნახეთ, და საქმე უკუღმა გამოვიდა. ამაში დამნაშავე მე კი არა, ჩემი მტრები ჯადოქრები არიან“...[2,204]

მთელი ზარალი ორმოც და სამ მეოთხედ რეალად შეფასდა. სანჩომ პედროს ფული იქვე გადაუთვალა, მაგრამ მასემ ორი რეალის დამატება სთხოვა მაიმუნის დასაჭერ შრომაში.

იქ მყოფებმა დონ კიხოტის ფულით ივანშმეს. მეფუნდუკეს მისი სისულელე აკვირვებდა. მეორე დღეს ყველა წავიდ-წამოვიდა.

რაინდი და საჭურველმტვირთველი გამოემშვიდობნენ მასპინძელს და დილის რვა საათზე ისინიც გზას გაუდგნენ.



თავი XXVII

სადაც ახსნილია, თუ ვინ იყვნენ მათე პედრო და მისი მაიმუნი და მოთხრობილია მარცხი, დონ კიხოტს რომ ვირის ყროყინის გამო მომხდარი ფათერაკის ჟამს შეემთხვა, რაც მისი ფიქრისა და სურვილის მიხედვით არ დაბოლოვდა

მათე პედრო, დონ კიხოტის მიერ, სიერა-მორენაში გათავისუფლებული ხინეს პასამონტე იყო. მან, როგორც ვიცით, მძინარე სანჩოს ვირი მაშინ მოჰპარა, როცა საჭურველმტვირთველი თავის სახედარზე თვლემდა. მოხერხებულმა კატორღელმა პირუტყვი ქვემოდან გამოაცალა. ხინეს მართლმსაჯულება ეძებდა, მას ბევრი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, ამიტომ გადავიდა არაგონის სამეფოში, მარცხენა თვალი აიხვია, შეიძინა თოჯინების თეატრი და მაიმუნი, რომელიც გაწვრთნა. სოფლებში ცნობებს კრებდა, იქაურ ამბებს წინასწარ იგებდა და, მაიმუნის მეშვეობით, რამდენიმე რეალს შოულობდა. ფუნდუკში რომ მივიდა, დონ კიხოტი და სანჩო მაშინვე იცნო და შეეცადა, საზოგადოება „მკითხავი“ ოთხფეხით განეცვიფრებინა.

ფუნდუკიდან გამოსულმა დონ კიხოტმა მძინარე ებროს ნაპირების შემოვლა გადაწყვიტა. ორი დღე დადიოდა, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერი უნახავს. სერზე მიმავალს, მესამე დღეს, დაფდაფების ბრახუნი, საყვირის ხმა და თოფების სროლა მოესმა. იფიქრა, ჯარი მოდისო. როსინანტს დეზი ჰკრა და სერის თავზე მოექცა, გადმოიხედა იქიდან, ველზე დაინახა ხალხი, დაახლოებით, ორასიოდე კაცი იდგა, ყოველგვარი იარაღით შეჭურვილი. რაინდი მათკენ გაემართა, შორიდანვე გაარჩია სხვადასხვაფერი დროშა, განსაკუთრებით თეთრი ატლასისას მიაქცია ყურადღება, მასზე გამოხატული იყო მოყროყინე, პატარა სარდინული ვირი, თავაწეული, პირდაღებული და ენაგადმოგდებული. იქვე დიდი ასობით ეწერა: **„ორი ალკალდი* ხმაგასაკვირი, ფუჭად არ ყვირის, ისე, ვით ვირი“**.

დონ კიხოტმა სანჩოს უთხრა, დროშაზე ალკალდები წერია, გლეხმა კი გვითხრა რეხიდორები იყვნენო. მსახურმა მიუგო, ალბათ, რეხიდორები იყვნენ და შემდეგ ალკალდები გახდნენო.

ერთი სოფლის ხალხი უპირისპირდებოდა მეორეს— მასხრად ამგდებთ.

დონ კიხოტი და სანჩო პანსა ხალხთან მივიდნენ. ორივეს გაცემით დაუწყეს ცქერა. რაინდმა ითხოვა მისი სიტყვისთვის მოესმინათ. ყველა გაჩუმდა. იდალგომ იქ მყოფთ თავისი ვინაობა გააცნო: **„მე მოგზაური რაინდი ვარ. ჩემი ხელობაა - ყველას ვუშველო“**. მან აღნიშნა, რომ უსიამოვნო შემთხვევა და დაპირისპირება ბრძოლის კანონებს ეწინააღმდეგება. მან დაასახელა რაინდი, დონ დიელო ორდონეს დე ლარა, რომელმაც მთელი ქალაქი სამირა ბრძოლაში გამოიწვია, რადგან არ იცოდა, რომ ერთმა ველიდო დოლფოსმა ჩაიდინა დანაშაული, მან თავისი მეფე ღალატით მოკლა. როდესაც: **„რისხვა ჯებირს გადახეთქს, ენას აღარც მამა მყავს, აღარც მეგობარი და არც ლაგამი აქვს, რომ დააოკოს“**. უცნაური არ იქნებოდა...ვისაც „მექვაბეებს“, „მებადრიჯნეებს“,

„მევეშაპეებს“, „მესაპნეებს“ ეძახდნენ, ყველა ისინი დაეხოცათ. რაინდის თქმით, „გონიერმა ხალხმა და კეთილმოწყობილმა სახელმწიფომ... ოთხ შემთხვევაში უნდა... ხმალი იშიშვლოს და თავი გაწიროს: - პირველი - თავისი კათოლიკური სარწმუნოების დასაცავად; მეორე - თავისი სიცოცხლის დასაცავად, რაიცა ადამიანური და ღვთაებრივი კანონია; მესამე - თავისი პატივის, ოჯახისა და ქონების დასაცავად; მეოთხე - თავისი მეფის სამსახურში სამართლიან ბრძოლის ჟამს; და თუ მოვისურვებთ და მეხუთე მიზეზსაც მივუმატებთ (რომელიც შეიძლება მეორე მიზეზად ჩაითვალოს - სახელდობრ: საკუთარი სამშობლოს დასაცავად)[2,210]“.

დონ კიხოტმა შეკრებილთ უხსენა ქრისტე, კანონმდებელი, რომელსაც ისეთი არაფერი დაუვალვია ადამიანთათვის, რის აღსრულებასაც ისინი ვერ შეძლებდნენ, ამიტომ: „ღვთიური და ადამიანური კანონების ძალით მოვალენი ხართ - დამშვიდდეთო“, მიმართა ხალხს.

სანჩომ თავისი ბატონი, გულში, ღვთისმეტყველს შეადარა. შემდეგ კი თვითონაც მოისურვა რაიმე ეთქვა: „სენიორი დონ კიხოტი ლამანჩელი, ერთ დროს, რომ სახელად მწუხარე სახის რაინდი ეწოდებოდა, ხოლო ახლა ლომთა რაინდი ეწოდება, - დიდად გონიერი იდალგოა და, ვითა ნამდვილმა ბაკალავრმა, თავის ენასთან ერთად ლათინური ენაც იცის. ის ყოველთვის კარგ რჩევას იძლევა და მოქმედებს. ისე ირჯება, როგორც ნამდვილი ჯარისკაცი, რომელმაც თავისი ხუთი თითივით იცის ბრძოლაში გამოწვევის კანონები და წესები“, ამიტომ კარგი იქნებოდა თუკი მის რჩევას მიჰყვებოდნენ: „იმის გამო გადარევა, აქაო და ვირის ყროყინი გავიგონეო - უჭკუობაა“[2,211]. საჭურველმტვირთველმა გაიხსენა, რომ პატარაობისას თვითონაც ყროყინებდა, თან ისე მშვენივრად, რომ მთელი სოფლის ვირები გამოეყოყინებოდნენ ხოლმე. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ის მაინც პატიოსანი მშობლების შვილად ითვლებოდა.

სანჩომ, ხალხის დასარწმუნებლად, ცხვირზე თითები მიიჭირა და მჭახედ დაიყოყინა, მის ახლოს მდგარმა გლეხმა ეს ხალხის გაპამპულებად მიიღო და ზურგზე მუხის კეტი სთხლიშა. სანჩო დაეცა. დონ კიხოტმა მის დასაცავად შუბი მოიმარჯვა და თავხედ გლეხს ეცა, მაგრამ მის წინააღმდეგ ქვის სეტყვა, უამრავი არკებუზი და ლახტი წამოვიდა. რაინდი მტერს გაექცა. ვირი, რომელზეც სანჩო გადაჰკიდეს, როსინანტისკენ წაჩაქჩაქდა.

მებრძოლი გლეხებიდან, ერთ-ერთმა მხარემ ბრძოლაზე უარი განაცხადა და დაიშალნენ.



თავი XXVIII

ამბების შესახებ, რომლებიც, ბენენჰელის სიტყვით, გასაგები იქნება მკითხველისათვის, თუ იგი ყურადღებით წაიკითხავს მათ

ბრძოლის ველიდან გამოქცეულ დონ კიხოტს სანჩო არ გახსენებია. სახედარი გარდიგარდმო გადაწოლილი საჭურველმტვირთველით წამოეწია ბატონს, სანჩო ვირიდან ჩამოვარდა და როსინანტის ფეხებთან დაეცა. იდალგომ ნახა, რომ მსახური საღსალამათი იყო, მან უსაყვედურა გლეხებთან დაუფიქრებელი საქციელის გამო. თავის მხრივ, არც სანჩო ჩამორჩა და უთხრა: „**მოგზაური რაინდები თავიანთ ნაცემ და ფეტვივით ან ძირტვილასავით დაბეგვილ საჭურველმტვირთველებს მტრის შესაჭმელად სტოვებენ და თვითონ კი გარბიან**“[2,213]. რაზეც რაინდმა მიუგო: დახევა გაქცევას არ ნიშნავს, იმ მამაცებს მივბაძე, თავიანთ სიცოცხლეს უკეთესი შემთხვევისათვის რომ ინახავდნენო.

სანჩო შეჯდა ვირზე, რაინდი–როსინანტზე და მეოთხედი მილის მანძილზე მდებარე ტყეს მიაღწიეს. მსახური გმინავდა. ბატონმა აუხსნა, ბეჭების სიბრტყეზე გცემდნენ სქელ კეტს და ხერხემალი ამიტომაც გტკივაო. საჭურველმტვირთველი გაბრაზდა, ბატონო, დიდი სიბრძნე არ სჭირდება იმას, რომ: „**თუ ბეჭებში კეტი გცხეს, უთუოდ ბეჭები აგტკივა...მაგრამ, როგორც ვხედავ, სხვისა ჭირიო-ღობეს ჩხირიო**“...[2,214], მან საყვედურებით აავსო დონ კიხოტი, თქვენს სამსახურში სიკეთეს ვერ მივალწიე, უმჯობესი იქნებოდა შინ დავბრუნებულიყავი, ოჯახი მერჩინა, შვილები აღმეზარდა, ვიდრე უსმელ–უჭმელს მევლო უდაბური გზებით: „**ნეტა ის კაცი დამწვარი და ფერფლად ნაქცევი მაჩვენა, რომელიც პირველი დაადგა ამ რაინდულ მოგზაურობას, ანუ ის მაინც, რომელმაც პირველად მოისურვა საჭურველმტვირთველობა ისეთ სულელთან, როგორც, უეჭველია, ყველა წინანდელი მოგზაური რაინდი იყო. ახლანდელეებზე არას ვიტყვი, რადგან თქვენი მოწყალეობაც იმათ რიცხვშია და მათ პატივსაც ვცემ**“...[2,214]

დონ კიხოტი ჩუმად უსმენდა, მერე უთხრა: ისაუბრე, რადგან როცა ლაპარაკობ, არაფერი გტკივა, რაც შეეხება ცოლ–შვილთან დაბრუნების სურვილს, არ გიშლი, ჩემი ფული შენ გაქვს, სოფლიდან ჩვენი მესამე გამოსვლის შემდეგ, გზაში ვართ, გამოიანგარიშე, თვეში რამდენი გეკუთვნისო.

სანჩომ გაიხსენა პერიოდი, როდესაც სამსონ კ ა რ ა ს კ ო ს მ ა მ ა ს, თ ო მ ა ს, ემსახურებოდა, ის, საზრდოს გარდა, თვეში, თურმე, ორ ოქროს უხდიდა, მაგრამ, მისი აზრით, რაინდის საჭურველმტვირთველობა უფრო რთულია. გლეხთან როდესაც მსახურობ, კერაზე მოხარშული ქვაბიდან ჭამ და ღამე ლოგინში იძინებ; რაინდთან კი მხოლოდ სამჯერ ჰქონდა „**ოქროს დღეები**“: დონ დიელო მირანდასთან, ქამაჩოს ნადიმზე და ბასილიოსთან. დანარჩენ პერიოდს არ ჰქვია ცხოვრება: მიწაზე ძილი, ხმელი პურის ქერქებითა და ცხვრის ხაჭოთი საზრდოობა და ზედ ჭებისა და ჭაობების წყლის დაყოლება.

დონ კიხოტმა უპასუხა, ჭეშმარიტებას ბრძანებო. ჰკითხა, გასამრჯელო რამდენი გეკუთვნისო. სანჩომ თავისი შრომის საფასურად მოითხოვა ოთხი, ხოლო კუნძულის გუბერნატორობას რომ დაპირდა ბატონი, იმაში ექვს–ექვსი რეალი. რაინდი დათანხმდა, ოცდამეხუთე დღეა, რაც სოფლიდან წამოვედით და გამოიანგარიშეო, ამ სიტყვებზე საჭურველმტვირთველმა თქვა: „**კუნძულისა ხომ იმ დღიდან მერგება, რა დღესაც მის მოცემას დამპირდით...ოცი წელიწადი მაინც იქნება**“... დონ კიხოტმა გადაიხარხარა: „**მთელი დრო, რომ ვიანგარიშოთ რაც სიერა მორენაში დავყავი და რაც დანარჩენ მოგზაურობას მოვანდომე, სულ ოთხ თვეზე მეტი არ გამოვა. შენ კი, სანჩო იმახი და**

მარწმუნებ, ოცი წელიწადია რაც კუნძულს დამპირდიო! როგორც გატყობ, შენ გინდა, რაც ჩემი ფული გაქვს, სულ შენს ჯამაგირში მისაკუთრო. კარგი, წაილე და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, ხოლო მე სიამოვნებით დავრჩები უგროშოდ, ოღონდ შენისთანა საძაგელი საჭურველმტვირთველი თავიდან მომშორდეს“...[2,216]

რაინდმა მსახურს „საჭურველმტვირთველების წესების დამმახინჯებელი“, „ავაზაკი, მოღალატე მხდალი, პირუტყვის მსგავსი, ურჩხული“ უწოდა...არსად წერია მსახურს თავის ბატონთან ვაჭრობა დაეწყო: „მზად ვიყავ, შენი ცოლის გამოჯავრებით, იმ ხარისხამდე აღმემალეებინე, რომ სენიორი დაგრქმეოდა, მაშინ განიზრახე ჩემი დატოვება და ახლა მიდიხარ, როდესაც ბეჯითად გადავწყვიტე მთელ ქვეყანაზე ერთ-ერთი საუკეთესო კუნძულის გამგებლობა მომეცა შენთვის, მაგრამ შენ თვითონ რამდენჯერ გითქვამს, ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო. ვირი ხარ, ვირი იქნები და მთელი სიცოცხლე ვირადვე დარჩები“...[2,216]

სანჩო შეწუხდა: „სინდისმა ქენჯნა დაუწყო. საჭურველმტვირთველის თვალებს სინანულის ცრემლები მოერია და საცოდავი, მისუსტებული ხმით უთხრა:

- ჩემო კეთილო სენიორ, მართალს ბრძანებთ, მხოლოდ კუდი მაკლია, რომ ნამდვილი ვირი ვიყო, და რომ თქვენმა მოწყალეობამ კუდი გამომბას, ვიტყვი, სწორედ მაგისი ღირსი ვარ-მეთქი, და როგორც ვირი, მთელ ჩემს სიცოცხლეს, ისე გემსახურებით. გთხოვთ, თქვენო მოწყალეობავ, შემინდოთ, ჩემი სისულელე შეიბრალოთ, მხედველობაშიც მიიღეთ, რომ ცოტა ვიცი, თქვენო მოწყალეობავ, და თუ ბევრს ვლაპარაკობ, ბოროტი განზრახვით კი არ მომდის სისულელით მომდის. მაგრამ, ვინც სცოდავს და ინანიებს, მას ღმერთი შეივრდომებს“[2,217].

ღონ კიხოტმა თავის ქვეშევრდომს აპატია, ურჩია ცოტაც მოეთმინა და დაპირებულ ჯილდოს მიიღებდა, სანჩომაც აღუთქვა, რომ ამიერიდან ყველაფერს დაუჯერებდა. შევიდნენ ტყეში, რაინდი თელის ძირში დაბინავდა, სანჩო წიფლის ქვეშ. ერთს ტკივილები აწუხებდა, მეორე – ოცნებებსა და სამიჯნურო მოგონებებში იყო.

მეორე დღეს, ჩვენი მოგზაურები ე ბ რ ო ს ნაპირებისკენ გაემართნენ.



თავი XXIX

შესანიშნავი ფათერაკი მოჯადოებულ ნავთან

დონ კიხოტი და სანჩო პანსა ტყიდან გამოვიდნენ. ორი დღის შემდეგ მიადგნენ ებროს ნაპირებს. მშვენიერმა პეიზაჟმა რაინდს სამიჯნურო ოცნებები გაუღვიძა, მონტესიმოსის მღვიმეც გაახსენდა. ნაპირ–ნაპირ მიმავალმა, ხეზე მიბმული უნიჩხო ნავი დაინახა, სანჩოს უბრძანა, ცხენი და ვირი ალვის ხეზე ან ტირიფზე მაგრად მიება, უთხრა, ეს ნავი, ალბათ, ჯადოქრებმა დამიტოვეს, ღმერთს მივენდოთ და გზა განვაგრძოთო. სანჩო ეჭვს გამოთქვამდა, შეიძლება მეთევზისა იყოს და არა ჯადოქრისაო, მაგრამ დაეთანხმა, მისი თქმით: „**რასაც გიბრძანებენ, ისა ქმენ და, ვინც გიბრძანებს, სადილადაც გვერდზე მოუჯექიო**“[2,218]. ჩასხდნენ ნავში, ცოტა რომ გასცურეს, საჭურველმტვირთველი სიკვდილის შიშმა აიტანა, როსინანტის ტოკვა და ვირის ყროყინიც აწუხებდა, პირუტყვები თავის გათავისუფლებას ლამობდნენ. მსახურის ცრემლებმა რაინდი მოთმინებიდან გამოიყვანა და გაუბრაზდა.

შუა მდინარეში რამდენიმე წისქვილი იდგა, რაინდმა ისინი ციხე–დარბაზებად მიიჩნია, აქ, ალბათ: „**დაჩაგრული რაინდი, ანუ დედოფალი, ან ინფანტა, ანუ პრინცის ასული უნდა იყოს შეპყრობილი, ვის საშველადაც ვარ გამოგზავნილი**“... საჭურველმტვირთველმა თქვა, ეს წისქვილებია, იქ ხორბალს ფქვავენო. იდალგომ არ დაუჯერა, ჯადოქრები საგანს ნამდვილი სახით არ გვიჩვენებენ, ცვლიანო.

ფქვილში ამოგანგლულმა მეწისქვილეებმა დაინახეს მათკენ მცურავი ნავი, რომელსაც დამსხვრევა ემუქრებოდა, რადგან ის ჩარხის ფრთებისკენ მოემართებოდა. სცადეს გრძელი ლარტყებით გვერდზე მიეგდოთ „**დამთხვეული ქაჯები**“, უყვიროდნენ, სად მოცურავთო. დონ კიხოტი კი სანჩოს უხსნიდა, „**სწორედ იმ ალაგს მივედით, სადაც ჩემი მამაცობა უნდა გამოვიჩინო...ხედავ, რამდენი ჯადოქარი და ურჩხული გამოდის ჩემს წინააღმდეგ? რამდენი მოჩვენება გამოსულა თავისი უცნაური სანახაობით, რომ შემაშინოს? გამოდით, გამოდით, ბოროტებო! - უყვიროდა იგი მეწისქვილეებს,-ჩემს თავს გაგაცნობთ!**“[2,221], იდალგო ემუქრებოდა მათ, გაათავისუფლეთ, ვინც შეპყრობილი გყავთ: „**მე ვარ ლომთა რაინდი, დონ კიხოტი ლამანჩელი, რომელსაც ზეცათა უმაღლესმა ნებამ ამ ფათერაკის კეთილად დაბოლოება არგუნა**“[2,222].

მეწისქვილეებმა მოახერხეს მათი შეჩერება, სამაგიეროდ, ნავი გადაბრუნდა და ბატონი და მსახური მდინარეში ჩაცვივდნენ. დონ კიხოტმა იხვივით ცურვა იცოდა, მაგრამ აბჯრის სიმძიმემ ორჯერ ჩაძირა წყალში. მეწისქვილეებმა ერთს თავში ჩაავლეს ხელი, გამოათრიეს, მეორე–ფეხებით. სანჩო, რამდენიმე წუთის წინ, ღმერთს გადარჩენას სთხოვდა, ახლა, ამ ამბის შემდეგ, თავისი ბატონის ქვეშევრდომობისგან გათავისუფლებას ევედრებოდა.

მოვიდნენ მეთევზეები, დამსხვრეული ნავის პატრონები, მათ ზარალის ანაზღაურება მოითხოვეს, რაინდი დათანხმდა იმ პირობით, რომ ციხე–დარბაზში დამწყვდეული პირები უნდა გაეთავისუფლებინათ. ერთ–ერთმა მეწისქვილემ მას „უტვინო გოგრა“ უწოდა, აქედან მესაფქვავე ხალხის წაყვანას ხომ არ აპირებო. დონ კიხოტმა ჩათვალა, რომ ამ ბრბოსთან საუბარი უდაბნოში დაღადას ჰგავს, კეთილ საქმეს ვერ ჩაადენინებ. მისი აზრით, ორი ჯადოქარი მონაწილეობდა ამ ფათერაკში, ერთმა ნავი გამოუგზავნა, მეორეს

კი მისი დახრჩობა უნდოდა. ქვეყანა ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალისგან შედგება. უბედურ ტყვეებს კი ღმერთი შეეწიოსო...

მეთევზეები „გაკვირვებულები უცქეროდნენ ამ ორ ფიგურას, ჩვეულებრივ ადამიანებს, რომ არა გავდნენ. სულ ვერ მიხვდნენ, რას ელაპარაკებოდა მათ დონ კიხოტი, რა უნდოდა მათგან; რაინდიცა და საჭურველმტვირთველიც გიჟებად ჩათვალეს... სანჩო და დონ კიხოტი, თვითონ ჭკუადამთხვეულნი და უგონონი, თავიანთ გონიერ პირუტყვებთან დაბრუნდნენ და ამით დამთავრდა ფათერაკი მოჯადოებულ ნავთან“[2,223].

ჩვენმა მოგზაურებმა, ზარალის სანაცვლოდ, მეთევზეებს ორმოცდაათი რეალი გადაუხადეს.



თუ რა მოხდა დონ კიხოტსა და მშვენიერ მონადირე ქალს შორს

დაღონებული რაინდი და მისი საჭურველმტვირთველი თავიანთ ბედაურებთან დაბრუნდნენ. დონ კიხოტი სამიჯნურო ოცნებებს მიეცა, სანჩომ ბედნიერ მომავალზე დაიწყო ფიქრი. ის მიხვდა, რომ თავისი ბატონის ყველა დაპირება მხოლოდ გიჟის ოცნება იყო. სურდა მისგან ისე წასულიყო, არც გასამრჯელო მოეთხოვა, არც გამომშვიდობებოდა, მაგრამ ბედისწერამ საქმე სხვაგვარად წარმართა.

მეორე დღეს, საღამოს, ტყიდან რომ გამოვიდნენ, დონ კიხოტმა ერთ მწვანე ველზე შენიშნა მონადირეები, მათ შორის მორთულ-მოკაზმული, მარცხენა ხელში შევარდნით, თეთრ ცხენზე ამხედრებული ქალი ერია. დონ კიხოტმა ჩათვალა, რომ ის დიდგვაროვანი იქნებოდა. „ლომთა რაინდმა“, „მშვენიერ და კეთილშობილ სენიორას“, სანჩო მიუგზავნა თხოვნით, რათა ხელზე ამბორის ნება დაერთო.

სანჩო მიუახლოვდა მონადირე ქალს (რომელიც ჰერცოგის მეუღლე გახლდათ), დაუჩოქა და ყოველივე მოახსენა. მშვენიერმა სენიორამ სთხოვა წამომდგარიყო და ჰკითხა: „თქვენი ბატონი ის რაინდი ხომ არ არ არის, ვისი ამბავიც დაბეჭდილია წიგნში მახვილგონიერი იდაგო დონ კიხოტი ლამანჩელი და რომელმაც თავის ფიქრთა მბრძანებლად ვინმე დუღსინე ტობოსელი აირჩია?

- სწორედ ის გახლავთ, სენიორა, - მიუგო სანჩომ, - ხოლო მისი საჭურველმტვირთველი, რომელიც იქ გამოყვანილია, ანუ გამოყვანილი უნდა იყოს სანჩო პანსას სახელით, ის - მე გახლავარ, თუ ჩემი სახელი სტამბაში არ გადაუსხვაფერებიათ[2,224] .

ქალმა სანჩოს უთხრა, რომ თავის მეუღლესთან, ჰერცოგთან ერთად, სიამოვნებით მიიღებდა სტუმარს, აქვე ახლოს, საზაფხულო ციხე-დარბაზში.

გახარებულმა საჭურველმტვირთველმა სასიამოვნო ამბავი გადასცა თავის ბატონს, ისიც ქალთან შესახვედრად მოემზადა.

სენიორამ ჰერცოგს უამბო სანჩოს მოსვლის ამბავი. ცოლ-ქმარი სარაინდო რომანების მოყვარული იყო, წიგნის პირველი ნაწილი, „დონ კიხოტისა,“ წაკითხული ჰქონდათ, იცოდნენ რაინდის სიგიჟის ამბები, გადაწყვიტეს დაეცვათ მოგზაური რაინდებისთვის დადგენილი წესები მანამ, სანამ სტუმარი მათთან დარჩებოდა.

დონ კიხოტი მიუახლოვდა დიდგვაროვან მონადირეებს, სანჩომ სცადა დახმარებოდა ბატონს ცხენიდან ჩამოსვლაში, მაგრამ უზანგებად გაკეთებულ თოკებში გაიხლართა და კურტანზე დაეკიდა. რაინდს ეგონა მსახური თავის მოვალეობას ასრულებსო, სათანადო ყურადღება არ მიაქცია და ისიც მოსართავმოშვებულ უნაგირიანად როსინანტის ფეხებთან გაიშხლართა.

ჰერცოგმა მსახურები გაგზავნა მათ დასახმარებლად. მერე შერცხვენილი სტუმრები, რაინდი და მისი საჭურველმტვირთველი, მიიწვია. ცოლ-ქმარი თავს ბედნიერად თვლიდა, იმედი ჰქონდა, რომ დროს მხიარულად გაატარებდა.



სადაც მოთხრობილია მრავალი ღირსშესანიშნავი ამბავი

თავის ციხე-დარბაზში, ჰერცოგმა მსახურები დაარიგა, როგორ მოქცეულიყვნენ.

ორმა ლაქიამ, ატლასის ალისფერ ტანსაცმელში გამოწყობილმა, დონ კიხოტს როსინანტიდან ჩამოსვლაში უშველა და ჩუმად ურჩია, რომ თვითონ ჰერცოგის მეუღლეს დახმარებოდა. რაინდი ამას ისედაც აპირებდა, ქალს მიუახლოვდა, ქათინაურებით მიმართა, მან მიუგო, ღირსი არა ვარ ბრწყინვალე ბატონი შევაწუხო და თავის მეუღლეს უხმო დასახმარებლად.

ყველანი ციხე-დარბაზის ეზოში შევიდნენ. ორმა ლამაზმა მოახლემ რაინდს ძვირფასი, გრძელი მოსასხამი მოასხა. ჰერცოგის მსახურებმა სურნელოვანი წყალი აკურეს. ხმამაღლა მიესალმნენ: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ყვავილო და თვალისჩინო მოგზაური რაინდობისაგ“[2,229]. ამის შემდეგ ის: „დარწმუნდა და შეიგნო, რომ... ნამდვილი მოგზაური რაინდი იყო და არა ოცნებითი... ისე მიიღეს, როგორც სარაინდო წიგნებში წარსული საუკუნეების რაინდების მიღებაზე ჰქონდა წაკითხული“[2,229].

სანჩომ დუენიას*, დონა როდრიგეს დე გრიჰალბას, სთხოვა მისი ვირისთვის მოეწყო, ქალმა იუკადრისა, მათ შორის უსიამოვნო საუბარი გაიმართა. ჰერცოგმა საჭურველმტვირთველი დაამშვიდა, აღუთქვა, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა.

დონ კიხოტი შეიყვანეს ფარჩეულითა და ოქროთი მორთულ დარბაზში, ექვსმა მშვენიერმა ქალმა იარაღი ახსნა, „თავისი აქლემის ყელის კამზოლით და ვიწრო შარვლით... მაღალი, ფერმიხდილი, გამხდარი, ლოყებჩაცვივნილი, თითქოს ერთმანეთის საკოცნელად მიიწევენო, ყბისთავებგამოშვერილი დონ კიხოტი... სასაცილო სანახავს წარმოადგენდა“[2,231]. რაინდს პერანგი და მშვენიერი ლოგინი შესთავაზეს. როცა სანჩოსთან მარტო დარჩა, უსაყვედურა: „ახლადშეთითხნილო ხუმარავ და დამძველებულო სულელო“...[2,232] დუენიას რატომ აწყენინე, რა დროს ვირზე საუბარი იყო, ბატონს იმის მიხედვით სცემენ პატივს, რამდენად ზრდილობიანი მსახური ჰყავს. სანჩომ აღუთქვა, რომ მეორედ ასე არ მოიქცეოდა.

რაინდმა „წელზე ხმალი შემოირტყა, მხრებზე მოწყული ტილომა წამოისხა, თავზე ჰერცოგის მოახლეთაგან მორთმეული მწვანე ატლასის პატარა ქუდი დაიხურა და ასე მორთული საზეიმო დარბაზში შევიდა“[2,232-233], მას მშვენიერი ქალები და პაჟები მოემსახურნენ, მერე მიიყვანეს მდიდრულ ტაბლასთან, სადაც დარბაისლური სახის მღვდელიც იყო. ჰერცოგი და მისი ცოლი დონ კიხოტს დიდი პატივით შეეგებნენ, მიიწვიეს სუფრასთან. სანჩო გაოცებული უცქერდა ყოველივეს. ის ცდილობდა ესაუბრა, რასაც დონ კიხოტი შიშით უყურებდა, ვაითუ სისულელე თქვასო. მსახურის საუბარი არ მოეწონა და „ჯერ აღმური აედინა, მერე მკვდრის ფერი დაედო, შ ა ვ გ ვ რ ე მ ა ნ ი ს ა ხ ე აუფორეჯდა“[2,236]

ჰერცოგის მეუღლემ დულსინეას ამბავი ჰკითხა რაინდს, მისთვის ჯადოქარი ან დევი საჩუქრად ხომ არ გაგიგზავნიაო, რაზეც დონ კიხოტმა მიუგო, ის მოჯადოებულია და

საზიზღარ გლეხის დედაკაცადაა გარდაქმნილი, ვერ იპოვეს, ამიტომაც დამარცხებულები მასთან არ გამიგზავნიან.

მოდვარმა დევები, ჯადოქრობა და მოჯადოება რომ გაიგო, მიხვდა, „ჰერცოგის სტუმარი სწორედ ის ლამაზი დონ კიხოტი უნდა ყოფილიყო, რომლის მოგზაურობას ჰერცოგი სიამოვნებით კითხულობდა - რის გამოც მოძღვარი არა ერთხელ კიცხავდა მას და ეუბნებოდა: სულელთა ამბების კითხვა სისულელეაო,“ ის გაბრაზდა, მიუბრუნდა ჰერცოგს და უთხრა: ეს „დონ კიხოტი თუ დონ უგუნური“ სულაც არ არის ისეთი, როგორც გსურთ გამოიყვანოთ, თავი ათასგვარი სისულელით აქვს გამოტენილიო, შემდეგ მიუბრუნდა რაინდს და უთხრა: „თქვენ, ტვინგადმობრუნებულო, ისეთი დამთხვეული აზრი ვინ ჩაგაგონათ თავში, ვითომც დევებს ამარცხებდეთ და ჯადოქრები ტყვედ მიგყავდეთ? გეყოფათ ხალხის სასაცილოდ აგდება. შინ წადით, შვილები აღზარდეთ, თუ გყავთ, მეურნეობას შეუდექით და მაგ ყველა მცნობისა და უცნობისათვის სასაცილო ხეტიალს თავი დაანებეთ“...[2,236-237].

გაბრაზებული რაინდი წამოხტა.



როგორ უპასუხა დონ კიხოტმა თავის შეურაცხყოფელს და სხვა ღირსშესანიშნავი და სასაცილო შემთხვევები

აღელვებულმა დონ კიხოტმა მოძღვარს უთხრა, სამართლიანი რისხვისგან თავს ვიკავებ, რადგან პატივს ვცემ ოჯახსა და სასულიერო პირებს, რომელთაგან მხოლოდ კეთილ რჩევას ველი, მაგრამ „თანასწორი იარაღით“ [2,238], ენით შევებრძოლები საჯაროდ მკიცხველს, რომელიც „კეთილი დარიგების საზღვარს გადასცდა“ [2,238].

რაინდმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. ბოლოს ჰერცოგსა და მის მეუღლეს მიმართა: „მე დაჩაგრულთათვის სამაგიეროს ვუხდიდი, ბოროტს კეთილ გზაზე ვაყენებდი, კადნიერებას ვსჯიდი, დევებს ვამარცხებდი და ურჩხულებს ფეხით ვთელავდი. გამიჯნურებული ვარ, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოგზაურ რაინდს შეჰფერის. ბიწიერთა რიცხვს არ ვეკუთვნი, არამედ მომთმენთა, პლატონითურთ რიცხვში ვიმყოფები. ჩემი წადილები მუდამ კარგი მიზნებისკენ არიან მიმართულნი: ყველას კეთილი ვუყო და არავისთვის ბოროტი არა ვქმნა“ ... [2,239] ნუთუ ასეთი ადამიანი სულელად უნდა მივიჩნიოთ.

საუბარში სანჩო ჩაერია, თავისი ბატონის სიტყვა მოეწონა, თქვა, რომ თვითონაც გუბერნატორობის ღირსია: „მე იმათ ვეკუთვნი, რომლებზედაც ამბობენ, „კეთილს მიეკედლა და თვითონაც კეთილი შეიქნაო“, „ვინც კარგ ხეს მიეყუდება, კარგი ჩრდილით დაიფარებაო“. მე კარგ ბატონს მივეყუდე და უკვე მრავალი თვეა, რაც მასთან ერთად ვიმყოფები და მისი მსგავსიც შევიქნები, თუ ღმერთი ინებებს, დღეგრძელ იყოს იგი, დღეგრძელ ვიყო მე, რადგან არც მას მოაკლდება იმპერიები საგამგებლოდ, არც მე კუნძულები, სადაც გუბერნატორობას გავწევ“ [2,239].

ჰერცოგმა სანჩოს თავისი ერთ–ერთი დიდი კუნძულის გუბერნატორობა „უბოძა.“ დონ კიხოტმა მიუთითა მსახურს, ასეთი სიკეთისთვის მწყალობელს ფეხზე უნდა ეამბოროო, რაც მსახურმა უმაღლვე შეასრულა. გაბრაზებული მოძღვარი წამოდგა: „თქვენო უმაღლესობავ, ამ ანაფორას ვფიცავ, ზედ, რომ მაცვია, იძულებული ვარ ვადიარო, რომ თქვენი ბრწყინვალეობა ისეთივე უგუნურია, როგორც ეს ორი ცოდვილი“ ... [2,240] უთხრა მან ჰერცოგს და წავიდა.

მასპინძელი მღვდლის უადგილო განრისხებაზე სიცილისაგან თავს ძლივს იკავებდა, მერე დონ კიხოტს უთხრა, წყენაზე ნუ იფიქრებთ, რადგან: „სასულიერო პირთ, როგორც მანდილოსანთ, არავითარი წყენა არ შეუძლიათ“ ... [2,240] რაინდი ცდილობდა განემარტა მოსაუბრისთვის, რომ წყენასა და შეურაცხყოფას შორის განსხვავებაა...თვითონ არაფერი სწყინს, უბრალოდ, მღვდელს ცოტა ხანი რომ დაეცადა და არ წასულიყო, დაუმტკიცებდა, რომ მოგზაური რაინდები არსებობენ. მისი საუბარი ა მ ა დ ი ს ს რომ გაეგონა, „მის მაღალ ღირსებას“ ცუდი საქმე დაემართებოდა. სანჩომ დაუმატა: „ისე დასთხლემდა მახვილს ...რომ თავიდან ბოლომდის ბროწეულივით ან დროგადასულ ნესვივით შუაზე გაჩეხდა“, რეინალდო მონტალბანელი ამ კაცუნას „პირში ისეთს ჩააფარებდა, მთელ სამ წელიწადს სიტყვა ვეღარ წამოეყრანტალებინა“ [2,241].

ჰერცოგის ცოლი იცინოდა, სანჩო თავის ბატონზე უფრო გონებაარეული ეგონა.

სადილი მშვიდობიანად დასრულდა. შემოვიდნენ მოახლეები, დონ კიხოტს უცნაურად და სასაცილოდ დაბანეს წვერი. რაინდმა იფიქრა, ეს, ალბათ, აქაური ჩვეულებაა, ხელების ნაცვლად წვერს ბანენო. ჰერცოგი შეშინდა, სტუმარი არ მიხვდეს, რომ სასაცილოდ აიგდესო და თავის მოახლესაც წვერი დააბანინა. საჭურველმტვირთველს „პირის ბანის ზეიმი“ მოეწონა და ჩუმად დაიწყო ბუტბუტი, თუკი ასეთი ჩვეულება მსახურთათვისაც არსებობს, დიდ სიკეთედ მივიჩნევდიო. ჰერცოგის ცოლმა ჰკითხა, რას ბუტბუტებო და როდესაც გაიგო, რა სურდა სანჩოს, სახლთუხუცესს დაავალა, მისთვისაც გაეწიათ ამგვარი სამსახური.

ჰერცოგი, მისი ცოლი და დონ კიხოტი სასადილო ოთახში, მაგიდასთან, ისხდნენ, ისინი საომარ საქმეებსა და მოგზაურ რაინდობაზე საუბრობდნენ. სენიორამ რაინდს დულსინეს უბადლო სილამაზის აღწერა სთხოვა. რაინდმა თქვა: „მე... როგორ გავბედავ წარმოვიდგინო და აღვწერო დაწვრილებით უბადლო დულსინეს მშვენიერება? იგი ტვირთია, რომელიც ჩემზე ღონიერ მხრებს მოითხოვს; იგი განზრახვანა, რომელიც პარასიუსის, ტიმანტესის და აპელესის ყალმის ან ლისიპეს საკვეთის ღირსია, რომ ტილოზე დაიხატოს, მარმარილოსა და ბრინჯაოზე ამოიჭრას, და ციცერონული ან დემოსთენური მჭერმეტყველება საჭირო, რომ შესაფერი ხოტბა შეესხას[2,244].

დონ კიხოტმა პასუხი გასცა სენიორას კითხვებს, განუმარტა, დ ე მ ო ს თ ე ნ უ რ ი მ ჭ ე ვ რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ნ ი მ ნ ა ვ ს მჭერმეტყველებას დემოსთენისა, ასევე ითქმის ციცერონზე, ეს კაცები მსოფლიოს დიდი ორატორები იყვნენო. რაც შეეხება დულსინეს სილამაზეს, ის ახლა მოჯადოებულია და გარდაქმნილია გლეხის მახინჯ ქალად. მას ეს უბედურება რაინდის ერთ–ერთი მოშურნე ჯადოქრისგან ეწია.

სენიორა არ ეშვებოდა: „თუ დავუჯერებთ ახლახან გამოსულ წიგნს, სადაც მოთხრობილია ს ე ნ ი ო რ დ ო ნ კ ი ხ ო ტ ი ს ი ს ტ ო რ ი ა, საერთო ქება რომ დაიმსახურა, უნდა დავასკვნათ, რომ თქვენს მოწყალებას სენიორა დულსინე არასოდეს არ უნახავს და, რომ ასეთი სენიორა ქვეყანაზე არც არსებობს, ხოლო იგი არის მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ოცნების ქმნილება, თქვენი მოწყალების წარმოდგენაში დაბადებული, ხოლო თქვენ იგი, როგორც მოისურვებთ, ისე ყოველგვარი მშვენიერებით და სისრულით შეამკეთ“.

რაინდმა უპასუხა: „მარტო ერთმა ღმერთმა უწყის ქვეყანაზე - დულსინე არსებობს თუ არა? სინამდვილეა მისი არსებობა, თუ წარმოდგენით არის გაჩენილი? ყველა ეს ისეთი რამ არის, გამოკვლევა არ შეიძლება, მის ფუმემდისაც ვერ მიიყვანს ადამიანს. იგი მე არ გამიჩენია და არც ჩემს წარმოდგენას უშობია“[2,245].

ჰერცოგმა რაინდს უთხრა, თქვენი ღ ვ ა წ ლ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს წ ა კ ი თ ხ ვ ა მ მიჩვენა, რომ დულსინეა სრულყოფილი სილამაზისაა, მაგრამ ის ვერ უთანაბრდება ო რ ი ა ნ ა ს, ა ლ ა ს ტ რ ა ხ ა რ ე ა ს, მ ა დ ა ს ი მ ა ს. დონ კიხოტმა უპასუხა: „ დულსინე ისეთ ღირსებათა პატრონია, რომელთაც ძალუმთ თუნდა მეფის მეუღლის ხარისხამდის მისი ამაღლება“[2,246].

ჰერცოგის მეუღლემ აღიარა: „დულსინე ტობოსელი არსებობს, იგი ახლაც ცოცხალია, დიდი გვარისაც არის და ღირსია მას ემსახუროს ისეთი რაინდი, როგორც სენიორ დონ კიხოტია“...[2,246]. სენიორა ცდილობდა, ამ მოსაზრების ჭეშმარიტებაში სხვებიც დაერწმუნებინა.

დონ კიხოტმა ბევრი ისაუბრა იმაზე, რომ მოგზაური რაინდები სხვადასხვა უპირატესობით გამოირჩეოდნენ, ზოგიერთ მათგანს ვერ აჯადოებდნენ, ზოგს ვერ ჭრიდნენ. მაგალითად როლანდი იყო, საფრანგეთის ერთი თორმეტთაგანი პერი, რომლის დაჭრა შეიძლებოდა მარცხენა ფეხის ქუსლში, მსხვილი ქინძისთავის წვერით... „იგი რონსევალის მინდორზე ბერნარდო დელ კარპომ მოკლა. როცა ნახა, რომ მასზე მსხვილი არ მოქმედებდა, მაშინ მოაგონდა, ჰერკულესმა დევის მსგავს ანტეოსს, დედამიწის შვილად მიჩნეულს, როგორ სძლია, –იმანაც როლანდი ხელში აიყვანა და დაახრჩო“...[2,247]. იდალგო ფიქრობს, რომ შეიძლება თვითონაც ფლობს რაღაც უპირატესობას, მაგრამ ისეთს ვერა, რომ მისი დაჭრა არ შეიძლებოდეს...მან უკვე იხილა საკუთარი თავი გალიაში მოჯადოებული, მაგრამ იქიდან უვნებლად გამოაღწია, ჯადოქრებმა რაკი დაინახეს, რომ ვერაფერი ავნეს, მისთვის ძვირფასი დულსინე მოაჯადოვეს. როდესაც საჭურველმტვირთველი მიუგზავნა, ის ტლანქ, ხორბლის მცხრილავ დედაკაცად გარდაქმნილი დახვდა მას: „დულსინე დიდი შთამომავლობისაა, ტობოსოს კეთილშობილი გვარეულობისა“[2,248]. ცოტა ხნის წინათ, სატრფოს სასახლეები ვერ იპოვა, მაგრამ „მისი სამშობლო სოფელი მომავალ საუკუნეებში დიდად სახელოვანი შეიქმნება, როგორც ელენეს მეოხებით ტროადა შეიქნა და კავას მეოხებით - ესპანეთი“[2,248].

დულსინეს ქების შემდეგ, რაინდმა თავისი „ყველაზე სასაცილო და ხუმარა საჭურველმტვირთველის“[2,248] წარდგენა დაიწყო ჰერცოგთან. სანჩოს, მისი თქმით, ისეთი სიტყვა-პასუხი აქვს, რომ შეიძლება ზოგჯერ გარეწარი ეგონოთ, ზოგჯერ სულელი, მაგრამ ისეთი გონიერიცაა, რომ იდალგოს თუნდაც მთელი ქალაქი აჩუქონ, მას ვერ შეეღება. კუნძულის გუბერნატორი თუ გახდება, გამგებლობის ნიჭიც გააჩნია, თუმცა, გონება „გაშალამინებული“ რომ ჰქონდეს, უფრო წარმატებით გაუძღვებოდა საქმეს. ისე, გუბერნატორობას დიდი რამე არც სჭირდება: „ესპანეთში ასი და ორასი ისეთი გუბერნატორია, წერა-კითხვა ძლივს რომ იცის, მაგრამ არწივივით გუბერნატორობს“[2,249]. მთავარია, სანჩოს ჰქონდეს კარგი განზრახვა და კეთილი სურვილი, მოიქცეს სამართლიანად: „გურჩევი ქრთამები არ აელო“, თანაც „თავისი უფლება არავისთვის შეელახვიანებინა“[2,249].

მოსაუბრეებს ყვირილი შემოესმათ, სამზარეულო ოთახში უკმაყოფილო სანჩო შემოვარდა და თქვა, რომ ნარეცხი წყლით უპირებდნენ წვერის დაბანას და შემოთავაზებული პირსახოციც არ იყო სუფთა.

დონ კიხოტი წამოდგა, საუბრის ნებართვა თავის დაკვრით მიიღო მასპინძლებისგან და თავხედ ბრბოს, „სენიორ კავალრებს,“ მოახლეებს უსაყვედურა.

ჰერცოგის ცოლმა, სამზარეულოს პიკაროებსა და სახლთხუცესს უთხრა: „ბოროტი ხალხი ხართ, გაუზრდელი და არ შეგიძლიათ, უმაქნისებო, მოგზაური რაინდის საჭურველმტვირთველის წინააღმდეგ აღძრული შური დაფაროთ“[2,251]. ეს სიტყვები ქალბატონის ქვეშევრდომებმა ნამდვილ დატუქსვად მიიღეს, სასადილო ოთახიდან დარცხვენილები გაიძურწნენ.

სანჩომ მუხლი მოუყარა სენიორას და მადლობა გადაუხადა.



თავი XXXIII

ჰერცოგის ცოლისა და მისი მოახლეების საუბარი სანჩო პანსასთან, რაც წაკითხვისა და აღნიშვნის ღირსია

ჰერცოგის ცოლმა სანჩოს შესთავაზა, მის გვერდით, სავარძელში ჩამჯდარიყო, როგორც გუბერნატორი, მაგრამ ესაუბრა როგორც საჭურველმტვირთველს. გარს დუენიები და მოახლე ქალები შემოეხვივნენ და მოსასმენად მოემზადნენ.

სენიორამ სანჩოს უთხრა, „დონ კიხოტის ახლახან დასტამბული ისტორიის“ [2,252] კითხვის დროს დავეჭვდი, დულსინე არ გინახავს და არც რაინდის წერილი მიგიტანია მისთვის, რადგან სიერა-მორენაში დაგრჩა, როგორ გაბედე გეთქვა, რომ მას შეხვდი და ხორბალს ცხრილავდა, ეს ხომ ბოროტება და საჭურველმტვირთველისთვის შეუფერებელი საქციელია.

სანჩო წამოდგა, ოთახი შემოარა, დარწმუნდა, რომ ყურს არავინ უგდებდა, იქვე მყოფი მანდილოსნების გარდა, და თქვა, ჩემი ბატონი ჭკუაარეულია, თუმცა გონიერი ლაპარაკიც შეუძლია, ზოგჯერ ისეთ რაიმეს დაიჯერებს ხოლმე, თავი და ბოლო რომ არ გააჩნია. დულსინეს მოჯადოების ამბავი ისევეა მართალი, როგორც ის, რომ მსხალს ქლიავი ასხია.

სენიორამ თქვა, ეჭვი გამიჩნდა: „თუ დონ კიხოტი სულელია, უგუნური, ჭკუნაკლები და გადარეულია და მისმა საჭურველმტვირთველმა სანჩო პანსამ ყველა ეს იცის, მაინც კი მას ემსახურება, უკან დასდევს და ყველა მისი ტყუილი დაპირება სჯერა. მაშ, უეჭველად, სანჩო პანსაც თავის ბატონზე უფრო სულელი და ჭკუაარეული უნდა იყოს“... [2,253] ასეთ შემთხვევაში მას გუბერნატორობა როგორ უნდა ჩავაბაროთ?

სანჩომ სენიორას ეჭვი სამართლიანად მიიჩნია, თქვა, რომ საღი გონების პატრონი თავის ბატონს თავს დაანებებდა, მაგრამ მის უბედურებას ის წარმოადგენს, რომ ასე მოქცევა არ შეუძლია, ის და დონ კიხოტი თანასოფლელები არიან, პატიოსანი კაცია, პურს აჭმევს და ძალიან უყვარს. ჩოჩრებიც კი აჩუქა. სამარის ბარ-ნიჩბის გარდა, მათ ვერაფერი დააშორებს და თუკი სენიორას არ სურს სანჩო გუბერნატორი გახადოს, არაუშავს, ღმერთმა ლატაკად გააჩინა, ანდაზა გვასწავლის: „ჭიანჭველას რომ ფრთები გამოესხა, მისი უბედურება მაშინ დაიწყოს“ [2,254].

სანჩო ანდაზებით საუბრობდა, ჰერცოგის ცოლი ამან გააოცა. სენიორამ თქვა, რომ მისი მეუღლე, ჰერცოგი, მართალია, მოგზაური არ არის, მაგრამ რადგან ისიც რაინდია, პირობას არ დაარღვევს, საჭურველმტვირთველი დაპირებული კუნძულის მფლობელი გახდება. მმართველი სანჩო ქვეშევრდომებს უნდა მოექცეს სამართლიანად, რადგან ისინი

ერთგულნი და კეთილშობილნი არიან. მომავალმა გუბერნატორმა აღნიშნა, რომ ლმობიერია და ღარიბი ხალხი ებრალება. სენიორამ ისევ დუღსინეა ახსენა. სანჩო დაარწმუნა იმაში, რომ რაინდის სატრფო მართლაც მოჯადოებულია, ჯადოქრები ამ ციხე-დარბაზშიც არიან, მოკეთებებით იქცევიან, ქვეყნიერებაზე რაც ხდება, მასპინძლებმა მათგან იციან.

საჭურველმტვირთველმა მონტესინოსის მღვიმეზე თქვა, მართალი ყოფილა, რაც ჩემმა ბატონმა იხილაო, ხოლო რაც შეეხება ტყუილს, რომელიც დუღსინეს ამბავს უკავშირდება, იმიტომ მოვიგონე, რომ ჩემი ბატონის რისხვა თავიდან უნდა ამერიდებინა, და არა იმიტომ, რომ მისთვის მეწყენინებინაო.

ჰერცოგის ცოლმა, სანჩოს, აამბობინა მღვიმის ამბავი და კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ დონ კიხოტმა, მღვიმეში, ვითომც სწორედ ის გლეხის ქალი ნახა (გარდაქმნილი დუღსინეა), რომელიც სანჩოს ტობოსოდან გამოსვლისას შეხვდა.

ერთხანს კიდევ საუბრობდნენ. სანჩოს დაპირდნენ, რომ მის „ლურჯას“ კარგად მოუვლიდნენ, თვითონ კი დასასვენებლად გაუშვეს.

სენიორამ ჰერცოგს უამბო თუ რაზე ისაუბრეს მან და სანჩომ. ცოლ-ქმარმა შეადგინა საგანგებო, მაგრამ რაინდული რომანების შესაფერისი გეგმა, მრავალი მახვილგონივრული და სახუმარო ოინი მოიფიქრა.



თავი XXXIV

სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მონახეს საშუალება უბადლო დუღსინე ტობოსელის მოჯადოების გაუქმებისათვის, ხოლო ეს ფათერაკი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავია ჩვენს წიგნში

ჰერცოგმა და მისმა ცოლმა, როგორც ვიცით, სახუმარო ოინები მოიფიქრეს, უნდოდათ გაესულელებინათ დონ კიხოტი, ამისათვის კი, მისივე ნაამბობი, მონტესინოსის მღვიმის ამბავი გამოეყენებინათ. მსახურები დაარიგეს, როგორ მოქცეულიყვნენ. ერთი კვირის შემდეგ, უამრავი მსახურით, კ უ რ ძ ვ ა ლ ი თ ა* და მწევარ-მეძებრით, წავიდნენ სანადიროდ. დონ კიხოტს აჩუქეს სანადირო კოსტუმი, სანჩოს კი წმინდა მაუდის მწვანე ტანისამოსი. რაინდმა უარი თქვა საჩუქარზე, რადგან აპირებდა სამხედრო ხელობას

დაბრუნებოდა, მეზარგული პირუტყვი არ ჰყავდა და ტვირთის ტარება არ შეეძლო, საჭურველმტვირთველმა კი უსიტყვოდ მიიღო, რადგან სურდა პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში გაეყიდა.

მონადირეები ორ მთას შუა მდებარე ტყეში შევიდნენ. ყველა ბილიკი დაიკავეს, მერე გაიფანტნენ. სანადირო ბუკის, ძაღლებისა და ადამიანთა ხმები ისე აირია, რომ ერთმანეთისა არაფერი ესმოდათ. ჰერცოგის ცოლი ჩამოხტა ცხენიდან, ხელში ოროლი აიღო და იქ დადგა, სადაც გარეული ღორები გაირბენდნენ ხოლმე. ჰერცოგი და დონ კიხოტი დაქვეითდნენ, სანჩო ყველას უკან მოექცა, ვირიდან არ ჩამოდიოდა, „ლურჯას“ არაფერი შეემთხვესო.

დაინახეს უშველებელი ტახი, რომელიც ძაღლებს გამოეგდო და მონადირეებიც მოსდევდნენ. დონ კიხოტი ნადირის შესახვედრად მოემზადა, ჰერცოგმა ოროლი აიღო, მისი ცოლიც უშიშრად მოქმედებდა, სანჩო გადმოხტა ვირიდან და დიდი მუხისკენ გაიქცა. ხის შუა წელამდე არც იყო ასული, რომ ტოტი ჩამოტყდა, ცასა და დედამიწის შუა, თავდაყირა დაეკიდა. ძვირფასი ტანსაცმელიც ეფხრიწებოდა და თან ეშინოდა ტახის მსხვერპლი არ გამხდარიყო, ამიტომ ყვირილი მორთო. მისი ხმა ესმოდათ, მაგრამ ვერ ხედავდნენ და იფიქრეს რომელიმე ნადირის ხახაში ჩავარდაო. ამასობაში ტახი მოკლეს. დონ კიხოტმა თავისი საჭურველმტვირთველის ხმა გაიგო, მისკენ გაიქცა და ხიდან ჩამოხსნა.

ტახი საბარგო ჯორს აჰკიდეს, ტყის შუაგულ მდელოზე დადგმულ კარავში მიიტანეს. მონადირეებს ტაბლაზე საგანგებო საუზმე ელოდა.

სანჩო ჰერცოგის ცოლთან ჩიოდა, კურდღლებზე ან წვრილ ფრინველებზე რომ გვენადირა, ტანისამოსი მთელი დამრჩებოდაო. უკვირდა, რა სიამოვნებას ხედავდნენ იმ ნადირის მოკვლაში, რომელსაც არაფერი დაუშავებია. ჰერცოგმა ურჩია გუბერნატორობისას თავი ამ საქმიანობით შეექცია, რადგან: „**მტაცებელ მხეცებზე ნადირობა ყველა სხვა საქმეზე უფრო მეტად შესაფერი და საჭიროც არის მეფეთა და დიდებულთათვის. ნადირობა - ომს წარმოადგენს, მასში სტრატეგიაც არის, სამხედრო თვალთმაქცობაც, ჩასაფრებაც, რომ არაფერი დაგიშავდეს და მტერი დაამარცხო**“[2,262]. სანჩო არ დაეთანხმა ჰერცოგს, მისი თქმით, გუბერნატორი მართვა-გამგებლობას უნდა ეწეოდეს, ნადირობა, როგორც ყოველგვარი გართობა, ზარმაცებისთვის არის გაჩენილი...

სანჩომ საუბრისას ისევ ანდაზები ჩართო, რაზეც დონ კიხოტი გაწყრა, მაგრამ სენიორამ ბრძანა: „**სანჩოს უფრო მეტი ანდაზა აქვს, ვიდრე ბერძნების კომანდორს... მაინც მომწონს, რადგან მოკლედ ამბობს. ჩემ თავად ვიტყვი, რომ სანჩოს ანდაზები კომანდორის ყველა ანდაზაზე უფრო მეტად მომწონან, თუნდ ის ანდაზები თავის ადგილას მუნასიზად არ აყენენ მოყვანილნი**“[2,263].

კარვიდან გამოვიდნენ, დაათვალიერეს სანადირო სადარაჯოები, დადამდა. შორს უამრავი საყვირის ხმა გაისმა, მრავალი ცხენოსნის ფეხის თქარათქურთან არეული, სამხედრო საკრავების მუსიკა აყრუებდა ჰერცოგისა და მისი ცოლის გარშემო შეგროვილთ

და ტყეში მყოფ სხვა ხალხს. გაისმა „ლელილი“ , რომელსაც მავრები მტერზე თავდასხმისას გაჰყვირიან ხოლმე. ყველა გაოცდა.

მოვიდა ეშმაკის ფორმით მოკაზმული ცხენოსანი შიკრიკი და განაცხადა, რომ დონ კიხოტს ეძებს, ჯადოქრების ექვს რაზმს საზეიმო ეტლით მოჰყავს დულსინე ტობოსელი...რაინდს მონტესინოსმა უნდა ასწავლოს, თუ რა საშუალებით შეიძლება დულსინეს მოჯადოების გაუქმება. ჰერცოგმა ანიშნა, აქვე დგასო. ეშმაკმა დონ კიხოტს იგივე გაუმეორა, მონტესინოსმა გამომგზავნა, მიბრძანა გადმომეცა თქვენთვის, რომ იქ დალოდებოდით, სადაც გიპოვდით. დულსინე ტობოსელი მოჰყავს და სურს გასწავლოს, მისი მოჯადოების გაუქმება როგორ შეიძლებაო.

ეშმაკმა ბუკი დააყვირა და წავიდა. სანჩო გაოცდა, მან ჩათვალა, რომ დულსინეს ძალად ხდიდნენ მოჯადოებულად, დონ კიხოტსაც უკვირდა, რადგან ჯერაც არ იყო დარწმუნებული, მართალი იყო თუ არა ყველა ის, რაც მონტესინოსის მღვიმეში შეემთხვა.

ჰერცოგის კითხვაზე, სურდა თუ არა რაინდს, რომ მონტესინოსს დალოდებოდა, უპასუხა, რომ დაელოდება, თუნდაც მთელი ჯოჯოხეთი თავდასხმა ემუქრებოდეს.

გაისმა საშინელი ხმა, ხარებშებმული მძიმე ურმის თვლების რახრახის მსგავსი, რომელსაც ერთვოდა საზარელი გუგუნნი, ერთი მხრიდან ზარბაზნების სროლა, მეორე მხრიდან– თოფების ბათქაბუთქი, ახლოს მებრძოლთა ხმაური იყო, შორს - მავრული "ლელილი".

დონ კიხოტმა ძალ–ღონე მოიკრიბა, სანჩოს გული წაუვიდა, სენიორამ წყალი აკურებინა და სწორედ ისეთ დროს მოაბრუნეს, როდესაც ოთხხარშებმული ეტლი შემოგრიალდა. ხარებს შავი საბურავი ეფარათ, რქებზე ანთებული ცვილის კელაპტარი ჰქონდათ მიმაგრებული. ურემზე, მაღალი ტახტის მსგავს დასაჯდომზე, შავი ტილოს ტოლომაწამოსხმული მოხუცი იჯდა, რომელიც წამოდგა და დაიძახა: „მე ვარ ბრძენი ლირგანდო“, ის უცებ წავიდა. შემოვიდა მეორე მსგავსი ურემი: „მე ვარ ბრძენი ალკიფე, უცნობი იურგანდის დიდი მეგობარი“, განაცხადა მასზე მჯდომმა. ისიც წავიდა. მესამე ურემზე ბრგე, მხარბეჭიანი ვაჟკაცი იჯდა: „მე ვარ ჯადოქარი არკალაუსი, მოსისხლე მტერი ამადის გალელისა და მთელი მისი შთამომავლობისა,“ თქვა და მანაც გაიარა.

მალე ნაზი საკრავების ხმა გაისმა.



თავი XXXV

სადაც გრძელდება ამბავი, თუ როგორ გაიგო დონ კიხოტმა დულსინეს მოჯადოების გაუქმების საშუალება და სხვა განსაცვიფრებელი შემთხვევები

მონადირეებს, საამო მუსიკის ხმით, მიუახლოვდა საზეიმო ეტლი. რომელშიც ექვსი, თეთრი ტილოს ს ა ძ ა გ რ ა ვ ით* დაფარული ქ უ რ ა ნ ა* ჯორი იყო შებმული, მასზე რამდენიმე თეთრებჩაცმული მომნანიებელი იჯდა, ცვილის ანთებული კ ე რ ე ო ნ ე ბ ი თ*. ეტლის შუაში, ტახტზე, ნიმფა მოთავსებულიყო, მისი პირბადიდან ახალგაზრდა ქალის სახე ჩანდა. გვერდით გრძელშლეიფიანი, შავსაბურველიანი ფიგურა იდგა.

ეტლი ჰერცოგის, მისი ცოლისა და დონ კიხოტის წინ გაჩერდა. საყვირების, ქნარებისა და სტვირების ხმა შეწყდა. ფიგურა წამოდგა, კაბის კალთები აიწია, პირბადე მოიშორა და საზარელი სახე გამოაჩინა. ამ „ცოცხალმა სიკვდილმა“ განაცხადა, რომ ის მერლინია, თილისმის მფლობელი, ზოროასტრული სიბრძნის დაუმრობელი წყარო, ბუნებით რბილი. მან შავბნელ გამოქვაბულში დაინახა დულსინეა ტობოსელი, კეთილშობილი ბანოვანი, რომელიც ბოროტ სულებს გარდაუქმნიათ გლეხუჭა ქალად. შეებრალა იგი და მისი სული მოათავსა საშინელ ჩონჩხში. ასი ათასი მისნური წიგნიდან ეზიარა იდუმალ სიბრძნეს და მერე აქ მოვიდა, რათა განეკურნა დიდი ტკივილი.

„მერლინმა“ რაინდს „შუქურა“, „წინამძღოლი“, „გზის მაჩვენებელი“, „სწორუპოვარი“, „თავმდაბალი“, „ ბრძენი“, „ლამანჩის ბრწყინვალეობა“ და „ესპანეთის ვარსკვლავი“ უწოდა. მან განაცხადა, რომ ბოროტ სულთა გადაწყვეტილებით, მაცნედაა მოვლენილი. დააბარეს, დულსინეას წინანდელი სახიერება რომ დაუბრუნდეს: **„საჭურველმტვირთველმა სანჩომ თავის პატიოსან დუნდულებზე დაე, მათრახი სამი ათას სამას გზისად თვითონ დაირტყას“**[2,269].

სანჩომ ეს რომ მოისმინა, უარზე დადგა, სამ ჯოხსაც კი არ დავირტყამ, მოჯადოების გაუქმებასთან ჩემს დუნდულებს რა კავშირი აქვსო. დონ კიხოტი გაუბრაზდა: „ნივრით აყროლებული გლეხუჭა“ უწოდა, დაემუქრა.

„მერლინმა“ თქვა, სანჩომ ეს დავალება იძულებით კი არა, თავისი ნებით უნდა შეასრულოსო, ისიც მაშინ, როდესაც შესაბამისი სურვილი გაუჩნდებაო, მაგრამ თუ უნდა, დანიშნული დარტყმის ნახევრიდან თავი დაიხსნას, შეუძლია სხვისი ხელითაც მიიღოსო მათრახების სიმწვავე.

საჭურველმტვირთველი თავისას არ იშლიდა, მისი აზრით, თავი უნდა გაიმათრახებინა თავის ბატონს, დონ კიხოტს.

„მერლინის“ გვერდზე მჯდომარე ვერცხლოვანი ნიმფა (ვითომ დულსინეა) წამოდგა. მან შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვებით მოიხსენია სანჩო. უსაყვედურა. მოუწოდა შეებრალებინა ახალგაზრდა ქალი, რომლის სხეული და სული **„ჭკნება და სწუხდება გლეხის ქალის უხემ სამოსის ქვეშე“** და საჭურველმტვირთველს უნდა დაერტყა **„სამი ათას სამასი მათრახი მაგ... ჩასუქებულ ტანზე“**[2,271].

სანჩო ძველებურად ბრაზობდა, სწყინდა „დულსინეასგან“ სალანძღავი სიტყვების მოსმენაც და ისიც, რომ მისი გულის მოსაგებად, ქალს არაფერი საჩუქარი მოუტანია.

ჰეცოგმა მოუწოდა საჭურველმტვირთველს, ლმობიერად მოქცეულიყო, უთხრა: „თვითონ უნდა გაიმათრახოთ თავი, ან სხვას გაამათრახებინოთ, ან გუბერნატორობას უნდა გამოეთხოვოთ“. სანჩომ ორი დღე ითხოვა, მოსაფიქრებლად, მაგრამ „მერლინმა“ არ დართო ნება: **„აქვე, დაუყოვნებლივ და ადგილიდან დაუბრელად უნდა**

გადაწყდეს ეს საქმე, - დუღსინე ან ისევე მონტესინოსის მღვიმეში უნდა დაბრუნდეს, გლეხის დედაკაცად გადაქცეული, ანუ ახლანდელი სახით ელისეს მინდვრებში წაიყვანენ და იქ თქვენი გამათრახების დასრულებას დაელოდება“[2,272–273].

ჰერცოგის ცოლმა და „მერლინმა“ გაჯიუტებულ საჭურველმტვირთველს შთააგონეს, ისე მოქცეულიყო, როგორც ურჩევდნენ. მან თანხმობა განაცხადა იმ პირობით, რომ როცა მოესურვებოდა, მაშინ დაირტყამდა მათრახს, ტანი არ უნდა გასისხლიანებოდა, ისეთი გამათრახებაც უნდა ჩათვლოდა, მხოლოდ ბუზებს რომ აუფრენდა, და, ბოლოს, ბატონ მერლინს უნდა შეეტყობინებინა, სათვალავში დააკლდებოდა თუ გადააჭარბებდა.

ყველაფერი მოგვარდა. დონ კიხოტმა გადაკოცნა სანჩო. მერლინისა და დუღსინეს ეტლი წავიდა. ამასობაში გარიჟრაჟდა.

ჰერცოგი და მისი ცოლი კმაყოფილნი იყვნენ იმით, რომ მოხერხებულად გააპამპულეს დონ კიხოტი, ციხე-დარბაზში დაბრუნდნენ იმ გადაწყვეტილებით, რომ კვლავ განეგრძოთ ხუმრობა.



თავი XXXVI

სადაც მოთხრობილია არაჩვეულებრივი და წარმოუდგენელი ფათერაკი დუენია დოლორიდასთან, ანუ სხვა სახელით-გრაფის მეუღლე

ტრიფალდისთან, და აგრეთვე სანჩო პანსას მიერ თავის ცოლ ტერესა პანსასთან გაგზავნილი წერილის შესახებ

მერლინის როლს ჰერცოგის მარჯვე და მახვილგონიერი სახლთუხუცესი ასრულებდა, დუღსინე ერთ პაჟს განასახიერებინა. მან, ბატონების დახმარებით, ახალი, უცნაური ხუმრობა მოიგონა.

გრაფის ცოლმა სანჩოს ჰკითხა, დუღსინე ტობოსელის ჯადოს გასაუქმებლად, გაიმათრახა თუ არა თავი. საჭურველმტვირთველმა მიუგო, რომ ხუთჯერ ხელით დაირტყა, რაზეც სენიორამ უპასუხა, ეს ტაშისცემას უფრო ჰგავს, რომელიც ბრძენ მერლინს არ მოეწონებო. ეკლებიანი ან კვანძებიანი თოკის მათრახი უნდა იშოვო, ტკივილი რომ იგრძნო: „დაუდევრად და უნიათოდ ან გულგრილად შესრულებულ კეთილ საქმეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და მას არავინ არ ჩავითვლით“.

სანჩომ სენიორას სთხოვა ეშოვა მისთვის შესაფერისი მათრახი, მხოლოდ ისეთი, რომ გამათრახებისას დიდი ტკივილი არ ეგრძნო. გრაფის ცოლი დაპირდა თხოვნის ასრულებას. საჭურველმტვირთველს კიდევ ერთი სათხოვარი ჰქონდა, თავის ცოლთან, ტერესა პანსასთან, წერილის გაგზავნა სურდა, მხოლოდ ის ჯერ სენიორას უნდა წაეკითხა, იყო თუ არა ისეთი, გუბერნატორს რომ შეეფერებოდა. შეთხზა თვითონ, მაგრამ რადგან წერა – კითხვა არ იცის, სხვამ დაუწერა. სენიორამ წაიკითხა:

„სანჩო პანსას წერილი

მისი ცოლის - ტერესა პანსასადმი

თუმცა მე გამათრახება მომისაჯეს, მაგრამ ბზნზ ვბ სამაგიეროდ ცხენდაცხენ მედიდურად გავისეირნე. თუ ახლა კარგი საგუბერნატორო მაქვს, ის მე კარგ მათრახებად მიღირს. შენ ახლა ამას ვერ მიხვდები, ჩემო ტერესა, მაგრამ მერე აგიხსნი და გაიგებ. უნდა იცოდე, ტერესა, რომ მე გადავწყვიტე შენ კარეტით იარო, ეს არის შენთვის ნამდვილად შესაფერი, რადგან სხვებზე სიარული კატის სიარულს ემსგავსება. ახლა შენ გუბერნატორის ცოლი ხარ და ყურადღებით იყავ, რომ ფეხზე ფეხი არავინ დაგადგას. ამ წერილთან სანადირო მწვანე ტანსაცმელს გიგზავნი; - ეს მე სენიორა ჰერცოგის მეუღლემ მაჩუქა. მოახერხე, რომ აქედან ჩვენს ქალს კაბა და ზედაწელი გამოუყვანო. ამ მხარეში ლაპარაკობენ, - ჩემი ბატონი დონ კიხოტი თუმცა სულელი და ჭკუაარეულია, მაგრამ არც მთლად გიჟიაო, და იმასაც ამბობენ, რომ მე მას არაფერში ჩამოვრჩები. ჩვენ მონტესინოსის მღვიმეში ჩავეშვით და ბრძენმა მერლინმა დუღსინე ტობოსელის ჯადოს გაუქმების საშუალებად და წამლად მე ამირჩია, იმ დუღსინესი, ჩვენში რომ აღდონსა ლორენსოს ემახიან. სამი ათას სამასი მათრახის შემდეგ, მე, რომ ხუთის გამოკლებით უნდა დავირტყა, დუღსინე ჯადოსაგან მთლად განთავისუფლდება, როგორც მისი მშობელი დედა არის თავისუფალი. ამაზე ნერავის ნურაფერს ეტყვი, თორემ, თუ ეს საქმე ქვეყნად გამოიფინა, ათასგვარ ჭორებს შეთხზავენ. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემს საგუბერნატოროში მივდივარ იმ დიდი სურვილით, რომ იქ ბლომად ფულები მოვაგროვო; მეუბნებიან, ყველა ახალი გუბერნატორი თავის საგუბერნატოროში ასეთივე სურვილით მიდისო. იმ საგუბერნატოროს მაჯას გავუსინჯავ და შეგატყობინებთ წამოხვიდეთ თუ არა. ჩვენი ლურჯა კარგად არის და დიდ მოკითხვას გითვლის. მის მოშორებას არა ვფიქრობ,

თუნდაც სულთნად დამსვან ოსმალეთში. ჩემი სენიორა, ჰერცოგის მეუღლე ათას ხელკონას გითვლის, შენც სამაგიეროდ ორი ათასი კონა შემოუთვალე, რადგან ჩემი ბატონის სიტყვით ისე იაფად არაფერი ფასობს, როგორც ზრდილობიანი ქცევა. ამ ჯერობაზე ღმერთმა აღარ ინება სხვა ჩემოდანი მოეცა ჩემთვის ასე ოქროთი სავსე, როგორც ამას წინათ იყო: ამაზე ნუ იწუხებ, ჩემო ტერესა, რადგან უშიშრად ის არის ვინც სამრეკლოზე ზარს რეკავს, და ყველაფერი გუბერნატორობის ნაცარ-წყალში გაირეცხება. მე მარტო იმან დამანადვლიანა, რომ მეუბნებიან როცა გუბერნატორობის გემოს გავიგებ, თითებიანად ხელებსაც კი შიგ ჩავატან და, ეს რომ მოხდეს, იგი ძალიან ძვირად დამიჯდება, თუმცა უხელო მათხოვრებს და ხეიბრებს მათხოვრობით დიდი შემოსავალი აქვთ და მღვდლებივით უდარდელად ცხოვრობენ. ასე იქნება თუ ისე, შენ ნამდვილად მდიდარი და ბედნიერი შეიქნები. უფალმა ყველა კეთილი მოგმადლოს და მეც იმისთვის შემინახოს და დამიცვას, რომ შენ სამსახური გაგიწიო.

დაიწერა ამ ციხე-დარბაზში 1614 წლის 20 ივლისს.

შენი ქმარი და გუბერნატორი

სანჩო პანსა [2,276–277].

სანჩოს, წერილში დაშვებული ზოგიერთი შეუსაბამობის გამო, სენიორამ შენიშვნა მისცა, მაგრამ მაინც შეაქო: „რიგიანად არის დაწერილი“, მერე წერილი წაიღო და მეუღლეს წააკითხვინა. ჰერცოგმა ბევრი იცინა.

სადილის დამთავრების შემდეგ, საგანგაშო სამხედრო მუსიკა გაისმა. დონ კიხოტი გაოცდა და შეშფოთდა, სანჩო პანსა სენიორას კაბის ქვეშ დაიმალა.

ბაღში ორი კაცი შემოვიდა, ფეხებამდე სამგლოვიარო გრძელ ტოლომაწამოსხმული, დაფებს უკრავდნენ. გვერდით მესალამურე მოჰყვებოდა. ერთი ახმახი ტანის, ხმლიანი კაციც მოაბიჯებდა, შავი გამჭვირვალე პირბადიდან გრძელი თეთრი წვერი მოუჩანდა. „ამ საშინელმა საფრთხობელამ“ მჭახე და ძლიერი ხმით მიმართა ჰერცოგს: „უძლიერესო და უმაღლესო ბატონო. მე მქვია ტრიფალდინთეთერწვერა და ვარ გრაფის მეუღლე ტრიფალდის–სხვა სახელით–დუენია დოლორიდად წოდებულის საჭურველმტვირთველი“ [2,279].

ტრიფალდინთეთერწვერამ, ჰერცოგს, ტრიფალდის დავალებით, სთხოვა გაეგო, იყო თუ არა ამ ციხე-დარბაზში „უშიშარი და არაოდეს არავისგან ძლეული რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი“ [2,279], რადგან უბედურება ეწვია და დახმარება სჭირდება. ჰერცოგმა მიუგო, ვიცი, რომ სენიორა გრაფის მეუღლეს, ტრიფალდის, უბედურება შეემთხვა და, ჯადოქრების მიზეზით, იძულებულია დუენია დოლორიდას სახელი დაირქვას... „ღვაწლმოსილი რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი“ აქ იმყოფება და იმედი ჰქონდეს, რომ შემწეობას აღმოუჩენს...თუ საჭიროა, მეც დავეხმარებიო.

ტრიფალდინმა დაიჩოქა, მერე მუსიკის ხმების თანხლებით გავიდა.

ჰერცოგმა „დიდებულ რაინდს“ უთხრა: „ჯერ ერთი კვირაც არ არის, რაც თქვენი სიქველე ამ ციხე-დარბაზში იმყოფება, და თქვენთა ღვაწლთა ხმა ქვეყნის კიდით-კიდემდე მოფენილია თქვენს სამებნელად მოდიან შორეული მხრიდან არა ეტლით, ან ცხენით, ანუ აქლემით, არამედ ფეხით და მარხულობით - დევნილნი და დამცირებულნი - დაიმედებულნი“ [2,280].

დონ კიხოტმა ჰერცოგს უპასუხა, მსურდა: „ახლა აქ ყოფილიყო ის კურთხეული მოძღვარი, ამას წინათ რომ სადილზე მოგზაურ რაინდებს ისე გაბოროტებით და მტრულად იხსენიებდა, ახლა საკუთარი თვალებით დარწმუნდებოდა საჭირონი არიან ქვეყნისათვის მოგზაური რაინდები თუ არა?“[2,280].



თავი XXXVII

სადაც გრძელდება დუენია დოლორიდას ღირსშესანიშნავი ფათერაკების ამბავი

ტრიფალდინის წასვლის შემდეგ, სანჩომ ეჭვი გამოთქვა, ქალბატონმა დოლორიდა დუენიამ ჩემს გუბერნატორობას რაიმე კვანტი არ გამოსდოს, ერთი ტოლედოელი მეაფთიაქისგან გამიგონია, სადაც დუენიები გაერევიან, იქ არავითარი ხეირიანი საქმის მოლოდინი არ შეიძლებაო...

სანჩომ დაასკვნა: „ყველა დუენია აუტანელი და მავნეა, რა წოდებისა და მდგომარეობისაც არ უნდა იყოს იგი“[2,281]. რაინდმა მიუგო, დონა როდრიგესი შორი ქვეყნიდანაა ჩემს მოსამებნად მოსული, შეუძლებელია ის ისეთი იყოს, მეაფთიაქე რომ ლაპარაკობდა. გრაფის მეუღლეები დუენიებად მხოლოდ მეფისა და იმპერატორის ცოლებს ემსახურებიან, შინ კი ისეთივე ქალბატონები არიან, როგორც სხვები, და საკუთარი დუენიებიც ჰყავთ.

იქვე მყოფმა დონა როდრიგესმა თქვა, პერცოგის მეუღლეს ისეთები ემსახურებიან, რომელთაც შეეძლოთ გრაფის ცოლები ყოფილიყვნენ, მაგრამ ბედმა ასე იწება და ნურავინ ახსენებს ცუდად დუენიებს, მეტადრე ხნიერებსა და ყმაწვილ ქალებს...

დონა როდრიგესის აზრით, საჭურველმტვირთველები მათ მტრობენ, ეს „მოძრავი ძირკვები“ ყველა დერეფანში დაეხეტებიან და კდემამოსილ, ქველ და სათნო დუენიებზე ჭორაობენ, მათ სიკეთეს მიწაში ფლავენ...

მათი კამათი კიდევ გაგრძელდებოდა, მაგრამ ბაღში მესალამურე და მედაფეები შემოვიდნენ.



თავი XXXVIII

სადაც მოთხრობილია დუენია დოლორიდას უბედურების ამბავი

მწუხარე მესაკრავეების შემდეგ, ბაღში თორმეტი დუენია შემოვიდა, თეთრლექიანებს მონაზვნის გრძელი კაბები ეცვათ. მათ მოჰყვებოდა ტრიფალდინთეთრწვერა, რომელსაც

გრაფის ცოლი ტრიფალდი მოჰყავდა. ქალს წმინდა თივთიკის შავი კაბა ეცვა, რომლის კუდი, ანუ შლეიფი, სამ ნაწილად გაყოფილი, სამ შავადჩაცმულ პაჟს ეჭირა, კაბის სამი ბოლო, სამ მახვილ კუთხედ ქვეული, საუცხოო მათემატიკურ ფიგურას წარმოადგენდა და ყველა, ვინც ამ მახვილკუთხიან შლეიფს უცქეროდა, მიხვდებოდა, გრაფის მეუღლე ტრიფალდი - სამკალთად, ანუ სამკუდად რად იწოდებოდა. სინამდვილეში ის გრაფ ლობუნას ცოლი იყო.

ტრიფალდინის ხელზე დაყრდნობილი დოლორიდა ციხე-დარბაზის პატრონების წინ მუხლებზე დაეცა, სავარძელი შესთავაზეს, მან იკითხა, ამ საზოგადოებაში ხომ არ იმყოფებოდა „ყოვლად უპატიოსნესი და უსაჩინოესი რაინდი დონ კიხოტი ულამანჩელესი და მისი უსაჭურველმტვირთველესი პანსა“ [2,285]. საჭურველმტვირთველი წამოხტა: „აქა ვარ... უდუენიესო, უდოლორიდესო... უდონკიხოტესიც აქ არის... თქვენს უსამსახურესად უმზადესნი ვარ“ [2,285].

დონ კიხოტი წამოდგა და „სვეგამწარებულ, დატანჯულ სენიორას“ სიტყვით მიმართა: „მე ვარ დონ კიხოტი ლამანჩელი და ჩემი მოწოდებაა მწედ ვექმნე ყველა გაჭირვებულს“ [2,285].

დუენია დოლორიდამ დაუჩოქა დონ კიხოტს, შეაქო იგი, მერე სანჩო პანსას მიმართა, მას უწოდა: „ყველა საჭურველმტვირთველთაგან უერთგულესი, ვისაც კი ოდესმე წარსულსა და აწმყო საუკუნეებში მოგზაურ რაინდთათვის უმსახურია“ [2,285] სთხოვა გამოსარჩლებოდა გაჭირვებულს, თავისი ბატონის წინაშე. ის დათანხმდა, მიუგო: „უამბეთ თქვენი მწუხარება, მოგვეცით იგი სამოქმედოდ“... ჰერცოგი და მისი ცოლი იცინოდნენ.

გრაფის ცოლი ტრიფალდი(იგივე დოლორიდა) დაჯდა და თავისი ამბავი დაიწყო: კანდაის დიდებული სამეფო დიდ ტრაპობანსა და სამხრეთის ზღვის შუა მდებარეობს, კომორინის კონცხიდან ორი მილის მოშორებით. მას დედოფალი დონა მალუნსია განაგებდა. მეფე არჩიპელის ქვრივი. მათ ჰყავდათ შვილი, ინფანტა ანტიანომასია, ტახტის მემკვიდრე, რომელიც იზრდებოდა და იწვრთნებოდა მისი ხელმძღვანელობით.

თოთხმეტი წლის გოგონა, ჭკვიანი და საუცხოო სილამაზისა იყო. ბევრ უცხოელ პრინცს უყვარდა. სასახლის კარზე მყოფმა, ერთმა უბადლო რაინდმაც, დონ კლავიხომ, (რომელიც პოეტი და მოცეკვავე იყო... გიტარაზეც უკრავდა), გაიძვერამ, ეშმაკობა იხმარა. ღამით, ფანჯარასთან ისმოდა მისი ოთხსტრიქონიანი (რომელსაც სეგიდილიას ეძახიან) სიმღერა. აღმზრდელს (ტრიფალდის) მარგალიტად ეჩვენებოდა ლექსის სიტყვები, მოიხიბლა და სწორედ მისი მეშვეობითა და მფარველობით, ვაჟმა ქალის გასაღები ჩაიგდო ხელში. ის ქალთან დადიოდა, როგორც კანონიერი ქმარი. თანასწორნი არ იყვნენ. დონ კლავიხო უბრალო აზნაური იყო. ანტონომასია კი სამეფო ტახტის მემკვიდრე. ქალს მუცელი რომ დაეტყო, მოითათბირეს, რომ ჯვარი დაეწერათ. ინფანტამ ვიკარის წინაშე აღსარება თქვა. მან კი ყოველივე ალგუასილს* ამცნო.

თავი XXXIX

სადაც გრაფის მეუღლე ტრიფალდი განაგრძობს თავის განსაცვიფრებელსა და ღირსსახსოვარ ამბავს

ვ ი კ ა რ ი მ ანტონომასია დონ კლავიხოს კანონიერ მეუღლედ გამოაცხადა. დედოფალმა დონა მალუნსიამ ეს ამბავი ისე განიცადა, რომ გარდაიცვალა, სამი დღის შემდეგ დაასაფლავეს. დედოფლის საფლავზე ხის ცხენზე მჯდარი მალუნსიას ბიძაშვილი, სასტიკი და მასთანაც ჯადოქარი გოლიათი, მალამბრუნო გამოცხადდა. მას სურდა ახალდაქორწინებულები დაესაჯა, მათთვის სამაგიერო გადაეხადა, ორივე მოაჯადოვა, „ანტონომასია ბრინჯაოს მიმუნად გადააქცია, ხოლო დონ კლავიხო - რაღაც უცნობი ლითონისაგან გაკეთებულ საშინელ ნიანგად, მათ შუა აგრეთვე ლითონის სვეტი აღმართა ზედ სირიული წარწერით, რაც კანდაიურად და იქიდან ესპანურად ნათარგმნი შეიცავს შემდეგს: „ეს ორი თავხედი და კადნიერი მიჯნური თავიანთ უწინდელ სახეს ვერ მიიღებენ, ვიდრე მამაცი ლამანჩელი ჩემთან ბრძოლად არ გამოვა, რადგან ბედი მხოლოდ მარტო მისი სახელისა და ვაჟკაცობისთვის ინახავს ამ არსად გაგონილ და არნახულ ფათერაკს“[2,291].

ჯადოქარმა, მას, ტრიფალდისაც, თმაში ხელი სტაცა, რათა სასტიკად დაესაჯა, მაგრამ თავისი მჭევრმეტყველებით თავი გადაირჩინა. სამაგიეროდ ჯადოქარმა სასახლის ყველა დუენია იხმო და სხვაგვარად დასაჯა ისინი: „დოლორიდამ და სხვა დუენიებმა პირბადე აიხადეს და წვერიანი სახეები გამოაჩინეს, ზოგმა ქერა, ზოგმა შავი, ზოგმა თეთრი და ზოგმაც ჭაღარა“[2,292] ყველანი გაოცდნენ. ტრიფალდი ნანობდა, წუხდა, მერე კი გულშეღონებული დაეცა.



თავი XL

ამბები იმ საგნებზე, რომლებიც ამ ფათერაკსა და ამ ღირსსახსოვარ ისტორიას შეეხება

სანჩო პანსას შეეცოდა ვითომ გულშეღონებული დუენია დოლორიდა და შეჩვენება უსურვა ჯადოქარ მალამბრუნოს ამ ცოდვილის ტანჯვისა და სხვა დუენიებისთვის წვერის გამოსხმის გამო. მათგან ერთ-ერთმა თქვა: „ბატონი დონ კიხოტი თუ არ გვიშველის, მაშინ საფლავშიაც წვერიანებს მოგვიხდება ჩაწოლა“. რაინდმა თავისებურად შესძახა, რომ მათ უშველიდა.

გრაფის ცოლი ტრიფალდი(იგივე დოლორიდა) „გონზე მოვიდა“. მან დონ კიხოტს სთხოვა დანაპირები აესრულებინა. რაინდი დაპირდა, რომ მოემსახურეოდა, მხოლოდ ეთქვა, რას მოითხოვდა მისგან.

ქალმა დაიწყო გამოგონილი ამბავი: „აქედან კანდაის სამეფომდის...ხმელეთის გზით ხუთი ათასი მილი იქნება...თუ სწორი გზით ჰაერით გავფრინდებით, სულ სამი ათასი ორას ოცდაშვიდი მილია...მალამბრუნომ მითხრა, ვითომც, როდესაც მე ჩემს განმათავისუფლებელ რაინდს შევხვდები, ის იმ რაინდს ცხენს გამოუგზავნის ბევრად უკეთესს და უხინჯოს, ვიდრე დაქირავებული ჯაგლაგები არიან...ცხენი კ რ კ ა ლ ი თ* მოძრაობს...ჰაერში ისეთი სისწრაფით მოძრაობს, თითქოს ეშმაკები მიაქანებენო...თუ ერთ ძველ გადმოცემას დავუჯერებთ, ბრძენი მერლინისაგან არის გაკეთებული“[2,294].

ტრიფალდის თქმით, მერლინმა ცხენი თავის მეგობარს, პიერს, ათხოვა, მან მშვენიერი მალელონა უკან შემოისვა და დედამიწიდან ჰაერში ბევრი იმოგზაურა. ეს რაში, რომელიც არც ჭამს, არ სძინავს, არც დაჭედვას საჭიროებს, უფრთებოდ, დამშვიდებული, წყნარი და თანაბარი იორღით მიდის, მალამბრუნომ ჯადოქრობით ჩაიგდო ხელში და მისი მეშვეობით, შეიძლება დღეს საფრანგეთში იყოს, ხვალ –პოტოსში.

სანჩომ თქვა, რომ თავისი ლურჯა მართალია არ დაფრინავს, მაგრამ მაინც ყველა რაშზე უკეთესია. იქ მყოფებს გაეცინათ.

დოლორიდამ თქვა: მალამბრუნოს თუ სურს დუენიების ტანჯვა დასრულდეს (წვერები მოშორდეთ), შებინდებისას, ალბათ, გამოგზავნის თავის რაშს. საჭურველმტვირთველი დაინტერესდა, რამდენი კაცი ეტევა ცხენზე და რა ჰქვია სახელი. დოლორიდას თქმით, რაინდი, საჭურველმტვირთველი და მოტაცებული ქალი დაეტევა... მან ჩამოთვალა ცნობილი ადამიანებისა და რომანების პერსონაჟთა ცხენების სახელები: „ის არა ჰქვია, რაც ბელეროფონტის ცხენს, პეგასი რომ ერქვა, არც ისე - ალექსანდრე მაკედონელის ცხენს ბუცეფალი რომ ერქვა, იმას არც ბრილიადორი ჰქვია, შმაგი როლანდის ცხენის სახელი რომ იყო, არც ბაიარდი, რეინალდო მონტალბანელს რომ ჰყავდა, არც ფრონტინო, რუჟერის ცხენს რომ ერქვა, არც ბოოტესი და პერიტოა - როგორც გადმოცემით ეძახდნენ მზის ცხენებს, არც ორელია რომელზედაც გუთების უკანასკნელი მეფე, უბედური როდრიგო იჯდა იმ ბრძოლის დროს, სადაც სიცოცხლევ დაჰკარგა და სამეფოც“[2,295].ცხენის სახელია კ ლ ა ვ ი ლ ე ნ ი ო*, გაკეთებულია ხისგან და შუბლზე მოთავსებული კრკალის* მეშვეობით(აღვირი ანუ ლაგამი არ სჭირდება, კრკალის აქეთ-იქით მიტრიალებით ზემჯდომს შეუძლია, საითაც უნდა, იქით მიმართოს, ან მაღლა–მაღლა ჰაერში, ანუ ძირს დედამიწაზე), ისეთი სწრაფია, როსინანტს მეტოქეობას გაუწევს.

სანჩო დაინტერესდა, მისი ნახვა მოუხდა, მაგრამ ისიც დაამატა, არავითარი სურვილი არ გამაჩნია, მაგ ცხენზე შევჯდე და ბატონს შორ გზაზე გავყვე: „ამ მანდილოსნების წვერების ჩამოცლისათვის... ქალბატონი დულსინეს ჯადოს გაუქმებისათვის, არა ვარ საჭირო“... დოლორიდამ მიუგო, რომ მის გარეშე ეს საქმე ვერ მოგვარდებოდა. მსახური გაცოცდა:„რა საქმე აქვს საჭურველმტვირთველებს ბატონების ფათერაკებთან...ისტორიკოსები ... სულ უბრალოდ წერენ... საჭურველმტვირთველის სახელსაც კი არ იხსენიებენ... ბატონ დონ კიხოტს შეუძლია მარტო წაბრძანდეს და ღმერთმაც ხელი მოუმართოს; მე კი აქ ჩემს სენიორასთან, ჰერცოგის მეუღლესთან დავრჩები“[2,296]. მისი თქმით, თავისუფალი დრო ექნება და ტანზე მათრახებს დაირტყამს. ჰერცოგის ცოლმა აუხსნა, ღირსეული პირების მოთხოვნით, ბატონს უნდა გაყვე, ეს ქალები წვერიანი ხომ ვერ დარჩებიანო. სანჩო აღშფოთდა, ესენი არც დაპატიმრებულნი არიან, არც ობოლთა თავშესაფრის გოგონები, რომ შემებრალოს:

„მირჩვენია, ყველა მათ, დიდიდან პატარამდის, პირველი პრანჭიდან უკანასკნელ მანჭიამდე წვერიანებს ვხედავდე“ [2,297]. ჰერცოგის ცოლმა ასეთი სიტყვების წარმოთქმის გამო უსაყვედურა. დონ კიხოტმა კი განაცხადა, რომ სანჩო აღასრულებდა მის განკარგულებას.



თავი XLI

კლავილენიოს მოვლინება და ამ გაჭიანურებული ფათერაკის დასასრული

დაბნელდა. ცხენი კლავინელიო აგვიანებდა, დონკიხოტი მოუსვენრობდა, იქნებ იმიტომ არ მოდის, რომ მალამბრუნომ, ალბათ, გადაწყვიტა, დავალება სხვა რაინდს მისცესო.

ბაღში ოთხი ველური კაცი შემოვიდა, მხრებით დიდი ხის ცხენი შემოიტანეს და დონ კიხოტის გვერდით დადგეს. ერთ–ერთმა თქვა: ამ მანქანაზე ის შეჯდეს, ვინც მამაციანო. სანჩომ განაცხადა, რომ არც რაინდია და არც მამაცი, ამიტომ არაფერს არ აპირებს, მაგრამ ველურმა თავის ნათქვამს დაამატა: რაინდმა, რაშზე, საჭურველმტვირთველი უნდა შემოისვას უკან, კლავილენიოს კისერზე ჩასმულ კრკალს ჩაავლოს ხელი და ცხენიც თავის მხედარს მალამბრუნოსკენ გააქანებს. თვალეზახვეულებმა უნდა იმგზავრონ, რადგან სიმაღლემ და გზის სილამაზემ შეიძლება ორივეს თავბრუ დაახვიოს. ასე იქნებიან სანამ ცხენი არ დაიჭიხვინებს. ეს იმის ნიშანი იქნება, რომ სიარულს მორჩნენ და დანიშნულ ალაგს მივიდნენ.

ველურები წავიდნენ. თვალცრემლიანმა დოლორიდამ(ტრიფალდიმ) „ღვაწლმოსილ“ რაინდს დაპირება შეახსენა. მანაც მზადყოფნა განაცხადა. მხოლოდ სანჩო უარობდა: „თუ ამათი გაპარსვა ამ რაღაც ხის ცხენზე შეუჯდომლად არ შეიძლება, ჩემს ბატონს ნება აქვს სხვა საჭურველმტვირთველი მოძებნოს და ამ ცხენის გავაზე ის შესვას, ანუ ამ მანდილოსნებმა თავიანთ გასაპარსად სხვა საშუალება მონახონ, რადგან ჯადოქარი ხომ არა ვარ, ჰაერში მოგზაურობაში რამე სიამოვნებას ვხედავდე. ან კი რას იტყვიან ჩემი

კუნძულის მცხოვრებნი, როცა გაიგებენ, მათი გუბერნატორი ჰაერში დაფრიალებდაო“[2,299–300]. ჰერცოგმა დაამშვიდა საჭურველმტვირთველი, დაპირებული კუნძული არსად წავა, მაგრამ ისიც იცოდე: „ისეთი დიდი თანამდებობა არ არსებობს, რომ მის მისაღებად რაიმე ქრთამი არ გაიღოს მსურველმა და მეც - იმ გუბერნატორობაში რისაც მიღება მინდა - ის არის, რომ - თქვენს ბატონს, დონ კიხოტს გაჰყვეთ ამ შესანიშნავი ფათერაკის კეთილად დასაბოლოოვებლად“[2,300].

სანჩომ გადაწყვიტა „გამგზავრება“: „ღმერთი იყოს ჩემი მფარველი და გაეტის უწმიდესი სამება იყოს შემწე ჩემი“[2,301].

დონ კიხოტმა განზე გაიხმო თავისი მსახური: „ღმერთმა უწყის, როდის დავბრუნდებით იქიდან...ოთახში შესულიყავ...დანიშნული სამი ათას სამასიდან ხუთასი მათრახი მაინც მიგერთყა შენთვის. ამგვარად საქმეს დასაწყისი მიეცემოდა“[2,301]. სანჩო ჯერ აღშფოთდა, შემდეგ კი დაპირდა, ჯერ მანდილოსნების წვერის მოპარსვაზე ვიზრუნოთ და რომ დავბრუნდებით, ამ საქმეს მერე შევასრულებო.

დოლორიდამ, დონ კიხოტის თხოვნით, ორივეს თვალები აუხვია, მაგრამ რაინდმა უცებ მოიხსნა და თქვა: ვერგილიუსის ნაწერებში ტროადელი პალადიუმის ისტორია წამაკითხეს...ბერძნებისაგან ქალღმერთ პალადისათვის მსხვერპლად მიტანილ ხის ცხენში შეიარაღებული რაინდები იყვნენ დამალულნი და ბოლოს ტროადაც მათი მონაწილეობით დაემხო...ცუდი არ იქნებოდა გვენახა, კლავინელიოს მუცელშიც ხომ არაფერია.

დოლორიდამ დაამშვიდა რაინდი. მალამბრუნო ვერაგი არ არისო. იდალგო კლავილენიოზე შეჯდა და კრკალს ხელი მოსჭიდა. სანჩო ზარმაცად და ზღაზვნით ავიდა ცხენზე, ყველას სთხოვა, ლოცვა-კურთხევას ნუ მომაკლებთო.

ბაღში მყოფებმა მორთეს ძახილი:

„- გვარავდეს ღმერთი, ღვაწლმოსილო რაინდო!

- აგრეთვე შენც, მამაცო საჭურველმტვირთველო!

- აი, აი, ჰაერში მიფრინავთ და ისრის უსწრაფესად მიაპობთ მას.

- აი, უკვე აკვირვებთ და აოცებთ ყველას, ვინც ამ დედამიწიდან გიცქერთ!“[2,303–304].

შიშით ატანილი სანჩო თავის ბატონს ეკვროდა. თქვა, ამბობენ, თითქოს მალლა მივფრინავთ, მაგრამ გვერდიდან საუბარი მესმისო. რაინდმა ურჩია, არ მიექცია ყურადღება, ნუ შეეშინდებოდა ნურაფრის, მეც არასდროს მივლია ასეთი მშვიდი ცხენით, რადგან მეჩვენება, რომ ადგილიდან არც დავძრულვართ, უკნიდან ქარი გვიბერავსო... სანჩომ დაუდასტურა: „აქეთა მხრიდან ისეთი გრილი ქარი მიბერავს, თითქოს ათასი საბერველი აუმუშავებიათო“[2,304]. ბაღში მყოფნი, მართლაც, ბატონისა და მისი მსახურის მოსატყუებლად, რამდენიმე საბერველით უბერავდნენ. თვალებახვეული დონ კიხოტი ვარაუდებს გამოთქვამდა: „უთუოდ, ახლა ჰაერის მეორე სფეროში ავედით, სადაც სეტყვა და თოვლია, მესამე სფეროში ქუხილი და ელვა ჩნდება და, თუ მალლა მალლა ავედით, ვინ იცის - ჩქარა ცეცხლის სფეროსაც მივაღწიოთ. არ ვიცი, ეს კრკალი როგორ მივატრიალო, რომ იქამდის არ მიგვიყვანოს და არ დავიწვათ“[2,304].

რაინდისა და საჭურველმტვირთველის სახესთან გრძელ ლერწამზე გაკეთებული ანთებული ნამჯის მამხალა მიიტანეს. სანჩომ ივარაუდა, რომ უკვე „ცეცხლის სფეროს“ მიაღწიეს.

ბაღში მყოფთ სურდათ ოსტატურად მოფიქრებული უცნაური ფათერაკი მალე დაესრულებინათ. კლავილენიოს კუდექემ ანთებული ნამჯა დაუყარეს, ხის ცხენის მუცელი ტკაცუნა შუშუნებით იყო გამოტენილი, ამიტომ იფეთქა, ჰაერში ავარდა და ბოლით გამურული დონ კიხოტი და სანჩო ძირს ჩამოყარა. ვითომ ყველანი გულშეღონებულნი წაიქცნენ. რაინდი და საჭურველმტვირთველი გაოცდნენ, რადგან დაინახეს, რომ ისევ იმავე ბაღში იმყოფებოდნენ, საიდანაც გაემგზავრნენ, მათი ნაცნობი საზოგადოებაც მიწაზე უძრავად ეყარა. ერთ მხარეს, მიწაში ჩარჭობილი იყო გრძელი შუბი, დაინახეს მასზე აბრეშუმის ორი მწვანე ზონრით დაკიდებული ეტრატი, რომელზეც ოქროს მსხვილი ასოებით ეწერა:

„სახელოვანმა რაინდმა დონ კიხოტმა ლამანჩელმა გრაფის მეუღლე ტრიფალდის, სხვა სახელით დუენია დოლორიდად წოდებულის - და მისთა მხლებელთა ფათერაკი ბოლომდის მიიყვანა და დაამთავრა უკვე იმით, რომ მის შესასრულებლად წავიდა. მალამბრუნო აცხადებს, რომ იგი ამით სრულებით დაკმაყოფილებულია, რადგან, როგორცა სურდა, ყოველივე ისე მოხდა. დუენიებს ნიკაპები სრულებით გაწმენდილი და გასუფთავებული აქეთ, მეფე-დედოფალს - დონ კლავიხოს და ანტონომასიას თავისი წინანდელი მდგომარეობა დაუბრუნდათ და, როდესაც საჭურველმტვირთველი გამათრახებას შეასრულებს, თეთრი გვრიტი მისი მდეველი ქორის ბასრი კლანჭებიდან განთავისუფლდება და გაეშურება თავისი ძვირფასი მოღულუნე მტრედის ჩასაკონებლად, რადგან ყველა ჯადოქართა მთავარჯადოქარმა ბრძენმა მერლინმა ასე დაადგინა“ [2,306].

ვითომ ყველა გამოერკვა და მალე „გამოფხიზლდა“.

სანჩო თხზავდა ამბებს, ცეცხლის სფეროში ვიმყოფებოდით...სახვევის ჭუჭრუტანიდან დავინახე დედამიწა, რომელიც მდოგვის მარცვალს უტოლდებოდა, ადამიანები კი კაკლისოდენა იყვნენო.

ჰერცოგის ცოლმა სანჩოს შენიშვნა მისცა, დედამიწა რომ მდოგვის მარცვლისოდენა მოგჩვენებოდა, მაშინ კაკალის ტოლ ადამიანს იგი უნდა დაეფარა, ესე იგი, დედამიწა არ გინახავსო... მსახურმა თავი გაიმართლა, „რაკი ჯადოქრების ძალით მივფრინავდით, ნანახიც მათ ძალას უნდა მივაწეროთ...როცა სახვევი წარბებამდის ავწიე, ცა დავინახე ახლოს, ის მეტისმეტად დიდია... ჩვენ მაშინ იმ ალაგს მივფრინავდით, სადაც შვიდი თიკანი იმყოფება... კლავილენიოდან ჩუმად, ფეხაკრეფით ჩამოვედი, იმ თიკნებთან მივედი, - მიხაკის ყვავილზე ლამაზები რომ არიან - და თითქმის საათის სამი მეოთხედი შევექცეოდი მათთან...კლავილენიო ადგილიდან არ დაძრულა“[2,307–308].

დონ კიხოტმა თქვა, რომ მას არ უნახავს არც ცა და არც ზღვა, არც ქვიშნარი...გრძნობდა ჰაერის სხვადასხვა სფეროში რომ მიექანებოდნენ, ცეცხლის სფერო მთვარისა და ჰაერის უკანასკნელ არეს შუა მდებარეობს და, მამასადამე, შვიდი თხის ვარსკვლავედიც იქ არის...იქამდე რომ ავსულიყავით დავიწვებოდით, რაკი არაფერი დაგვმართია, სანჩო ან ცრუობს, ან დასიზმრებიაო.

საჭურველმტვირთველმა თქვა, არ დასიზმრებია, შვიდი თიკანი ვნახე, ორი მათგანი ლურჯია, - ორი მწვანე, ორი წითელი და ერთი ჭრელი...

„ეგ ახალი ჯიშის თხები ყოფილა, - უთხრა ჰერცოგმა. - მაგისტანა ფერის თხა ჩვენს ქვეყნიერებაზე არსად მოიპოვება“[2,308].

სანჩომ ისევ თავისებურად ახსნა, დედამიწისა და ცის თხებში განსხვავებააო, თქვა. დუნია დოლორიდას ფათერაკი დასრულდა. მან ჰერცოგსა და მის ცოლს მისცა საშუალება არა მარტო იმ დღეს, არამედ მთელი სიცოცხლე სიცილში გაეტარებინათ...სანჩოს კი მთელი საუკუნეებისთვის საამბობი და საუბრის მასალა მისცა, თუკი იმდენ ხანს იცოცხლებდა...



თავი XLII

რჩევა-დარიგებანი, დონ კიხოტმა სანჩო პანსას კუნძულის გამგებლად წასვლის წინ რომ მისცა, და მასთან სხვა მრავალმნიშვნელოვანი ამბები

ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა ხუმრობა განეგრძო. შეადგინეს გეგმა, ხელქვეითები დაარიგეს, როგორ მოქცეულიყვნენ სანჩოსთან, როდესაც გუბერნატორობას დაიწყებდა.

მეორე დღეს, ჰერცოგმა გააფრთხილა სანჩო, მომზადებულიყო კუნძულზე წასასვლელად. საჭურველმტვირთველმა მიუგო, სიმალიდან დედამიწას რომ დავხედე, გუბერნატორობის სურვილი გამინელდა: „რა დიდი საქმეა, მდოგვის მარცვალზე ბრძანებლობდე, და რა დიდი პატივი და დიდებაა, ექვსიოდე ტყის თხილის ტოლა ადამიანს მართავდე, - მალიდან მაინც ისე მეჩვენა, რომ მთელი დედამიწის ზურგზე იმაზე დიდი ადამიანები არ მოიპოვებიათ. თქვენს სენიორობას რომ კეთილი ენებებინა და ჩემთვის ცის პატარა ნაწილი ებოძებინა, თუნდაც ნახევარი მილის ტოლა, უმეტესი ხალისით მივიღებდი, ვიდრე დედამიწაზე უზარმაზარ კუნძულს“[2,309–310]. ჰერცოგმა მიუგო, ზეცაში რაიმე ნაწილის გაცემის უფლება მარტო ღმერთს ეკუთვნის... „საუცხოო და დიდად მშვენიერ კუნძულს, მრგვალსა და ვაკეს“[2,310] გაძღვევო. სანჩო დათანხმდა, მომეცით კუნძული და შევეცდები, ისეთი გუბერნატორი გავხდე, პირდაპირ ზეცაში მოვექცეო.მისი თქმით, ეს სიხარბით არ მოსდის, უბრალოდ, სურს გაიგოს, „რა გემოსია ეს გუბერნატორობა“[2,310]. ჰერცოგმა შეუქო „მბრძანებლობის“ სურვილი, იმედი გამოთქვა, რომ ის კარგი მმართველი დადგებოდა...დღეს ტანსაცმელსა და გუბერნატორობისთვის

აუცილებელ ნივთებს მოგართმევენ, ხვალ კი კუნძულზე წაბრძანდებიო. საჭურველმტვირთველმა მიუგო, რაც არ უნდა ჩამაცვან, მაინც სანჩო პანსად დავრჩებიო.

ჰერცომა თქვა:

„– ტანისამოსი თანამდებობისა და მდგომარეობის შესაფერი უნდა იყოს, რადგან არ ივარგებდა, რომ კანონების მცოდნე მეცნიერს კარისკაცის ტანისამოსი ჩაეცვას, ანუ ჯარისკაცს - მღვდლის ტანისამოსი. თქვენ, სანჩო, ნახევრად მხედრისა და ნახევრად მეცნიერის ტანისამოსი გეცმევათ, ვინაიდან იმ კუნძულზე, მე რომ გაძლევთ, სამხედრო ხელოვნება თანაბრად ისევე საჭიროა, როგორც მეცნიერება და მეცნიერებაც - როგორც სამხედრო ხელოვნება.

- ჩემი მეცნიერება ძალიან მოიკოჭლებს, - უთხრა სანჩომ, - რადგან ანბანიც კი არ ვიცი, მაგრამ ისიც საკმაოა, რომ მეხსიერებაში ქრისტე მაინც მყავს, რათა კარგი გუბერნატორი ვიყო. რაც სამხედრო ხელოვნებას და იარაღს შეეხება, რა იარაღსაც ხელში მომცემენ, მას დავიჭერ, ვიდრე არ დავეცემი და ღმერთი იყოს ჩემი შემწე“[2,311].

მოსაუბრეებს დონ კიხოტი შემოუერთდა. ჰერცოგის ნებართვით, მსახური თავის ოთახში წაიყვანა, რჩევა –დარიგების მისაცემად. რაინდმა ღმერთს მადლობა შესწირა, რომ მასზე ადრე, საქმეებში, მის საჭურველმტვირთველს გაუმართლა. იდაღოს თვითონ სურდა დაეჯილდოებინა თავისი მსახური, მაგრამ ამისთვის, თურმე, მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადაუდგამს...დროზე ადრე დაგვირგვინდა საქმე... მან მსახურს უთხრა: ჩლუნგი ჭკუის ადამიანად გთვლიდი, არც ძილი დაგიკლია, არც გიშრომია, არც მოგზაური რაინდობის სუნთქვა მოგკარებია...გაურჯელად გუბერნატორი ხდები...

დონ კიხოტმა დაარიგა საჭურველმტვირთველი:

„ჯერ ზენას შესწირე მადლობა, რომ ასე ბედნიერად დაგაბინავა, და შემდეგ კი მადლიერი იყავ მოგზაურ რაინდთა ორდენისა, რომელსაც, ესოდენი შემძლებლობა გააჩნია“ ... „პირველად ყოვლისა, შვილო ჩემო, ღვთისა უნდა გეშინოდეს; რამეთუ ღვთის შიში სიბრძნის დასაბამია, და, თუ ბრძენი იქნები, არასოდეს არ შეცდები“[2,312];

„თვალნი შენნი შენს თავს მიჰმართე, რათა გაიგო, რა ხარ, რაც საცოდნელად მეტად მნელია. შენს თავს რომ იცნობ, იმ ბაყაყივით არ გაიბერები, ხარის ტოლად გახდომა რომ მოინდომა. და თუ ამას იზამ - ის გახსენება, რომ შენ შენს სოფელში მეღორე იყავ, შენი უმეცრების და ამპარტავნობის გაშლილ ბოლოს ფარშევანგის უშნო ფეხებად შეექმნება“[2,312];

„ვინც დიდი გვარეულობიდან არ შთამომავლობს, მისდა მინიჭებულ დიდ ხარისხს თავმდაბლობა და ღმობიერი ხასიათი უნდა შეუერთოს, - უპასუხა დონ კიხოტმა. - ღმობიერი ხასიათი, გონივრულად მოხმარებული, ბოროტი ენების გესლსა და ცილისწამებას აიცდენს. უამისოდ კი გესლისა და ცილისწამებისგან ვერავითარი პატივი ვერ დაგიფარავს. შენი მდაბალი შთამომავლობით იამაყე, სანჩო, ნუ გეთაკილება, რომ გლეხის შთამომავალი ხარ“[2,312];

„გახსოვდეს, სანჩო, თუ საშუალებად კეთილმოქმედებას აირჩევ და შეიძლებ, კეთილი საქციელით იამაყო, მაშინ შენ იმათი შესაშურებელი არა გექნება რა, ვისაც თავის წინაპრად პრინციები და დიდი კაცები ჰყოლია“[2,313];

„როცა შენს კუნძულზე იქნები, ვინიცობაა შემთხვევით ვინმე ნათესავმა გინახულოს, ნუ უარყოფ მას და ნუ აწყენინებ, პირიქით, მიუალერსე, მიესალამე და წვეულებაც გაუმართე, პატივი ეცი, ამით შენ ღვთის ნებას შეასრულებ და იმასაც, რასაც ბუნების ბრძნული კანონი გავალებს - არც ერთი მისი ქმნილება არ უნდა გძულდეს“[2,313];

„ცოლი თუ შენთან მიიყვანო, (რადგან ხანგრძლივი ვადით თანამდებობაზე მყოფი მთავარ მმართველის დიდხანს უცოლოდ ყოფნა არ ვარგა), ასწავლე, გაანათლე, ძალა დაატანე, ეცადე, რომ მისი ბუნებითი უხეშობა მოქნა და გაწმინდო“[2,313];

დონ კიხოტმა კიდევ მრავალი „სულის დამამშვენებელი დარიგება“ მისცა სანჩოს და უთხრა: „ახლა ის დარიგება მომისმინე, რაც შენს სხეულს დაამშვენებსო“...



თავი XLIII

რჩევა-დარიგებათა მეორე ნაწილი, დონ კიხოტმა სანჩო პანსას რომ მისცა

რჩევა–დარიგების მეორე ნაწილში, რაინდმა „თავისი განუსჯელობაც და უგუნურებაც უმაღლეს ხარისხამდის მიიყვანა“.

სანჩო ყურადღებით უსმენდა დონ კიხოტის „სხეულის დამამშვენებელ“ დარიგებებს: სუფთად უნდა იყო, ფრჩხილები დაიჭრა ხოლმე...

მსახურების ლივრეებით შემოსვა შეგიძლია... მაგრამ მდიდრული და ბრჭყვიალა ფერისა კი არა, არამედ სუფთა, მაგარი და მოხერხებული შეუკერე და შენს მსახურებსა და ღარიბებს გაუნაწილე...

ხახვსა და ნიორს ნურასოდეს ნუ სჭამ, რომ სუნმა შენი გლეხური უხეშობა არ გასცეს...

აჩქარებით ნუ ივლი, დამშვიდებით ილაპარაკე...

სადილზე ცოტა ჭამე, ვახშამზე უფრო ცოტა, - რადგან მთელი სხეულის კარგამყოფობა ჩვენი კუჭის სამჭედლოში იწრთობა და იჭედება...

სმაში ზომიერება იქონიე, გახსოვდეს, რომ გადამეტებით დალეულმა ღვინომ არც საიდუმლოს შენახვა იცის, არც დაპირებულის აღსრულება...

საჭმელი ორი ყბით არასოდეს არ დალეჭო და, ნურავის წინ ნუ ერუტარებ(დააბოყინებ)...

ცხენით რომ გზაზე მიდიოდე, უნაგირის უკანა ტახტაზე გადაზნექით ნუ დაჯდები და ფეხებსაც ხის ფხებივით ცხენის მუცლიდან შორს გაფშევილად ნუ დაიჭერ, არამედ ცხენის ფერდებს მაგრა შემოუჭირე. აგრეთვე ნურც ისე დუნედ და ტომარასავით დაჯდები, რომ შენს ვირზე ჯდომას ჰგავდეს, რადგან ცხენით სიარული ზოგს რაინდად ზრდის, ზოგსაც მეჯინიბედ...

ზომიერი ძილი იცოდე...

შთამომავლობის შესახებ კამათში ნურასოდეს ნუ ჩაერთვები; მათ შედარებას მოერიდე, რადგან ეჭვს გარეშეა, რა შთამომავლობასაც ერთმანეთთან ადარებენ, ერთი უთუოდ საუკეთესო გამოვა, ხოლო მეორე–მასზე მდარე, შენგან დამდაბლებული შეგიძულებს, ხოლო ამაღლებული არაფრით არ დაგაჯილდოებს...

შენი ტანისამოსი უნდა იყოს: გრძელი შარვალი, გრძელი კამზოლი და იმაზე ცოტათი გრძელი მოსასხამი...

საუბრისას ბლომად ნუ გამოიყენებ ანდაზებს...

სანჩო პანსამ რაინდს უთხრა: „არავითარი ქონების პატრონი არა ვარ, მთელი ჩემი ქონება მხოლოდ ანდაზებია და კიდევ ანდაზები. და აი, ახლაც ენაზე ოთხი ანდაზა მომადგა და ოთხივე საეხლაოდ ისე ზედგამოჭრილია, როგორც მსხალი კალათისათვის, მაგრამ არ ვიტყვი, რადგან: „ვინც ცხოვრებაში მდუმარეა, მას სანჩო ეწოდება...“ [2,319], ფრჩხილების დაჭრისა და მეორე ცოლის შერთვის თაობაზე, რაც მითხარი დამამახსოვრდა, „დანარჩენი აბდაუბდები და დომხალი...ქალაღზე დამიწერეთ...თუმცა არც კითხვა ვიცი და არც წერა, იმ დაწერილს ჩემს მოძღვარს მივცემ, რომ კარგად დაიხსომოს და, როდესაც საჭირო იქნება, თავში ჩამიჭედოს ხოლმე“ [2,318].

ბატონმა მომავალ გუბერნატორს ნაკლად ჩაუთვალა წერა–კითხვის უცოდინრობა და ურჩია, იქნებ შენი სახელისა და გვარის წერა მაინც გესწავლაო. მსახურმა მიუგო, რამდენიმე ასოს გამოყვანა მამასახლისობისას ვისწავლე, მაგრამ ვითვალთმაქცებ, ვითომ მარჯვენა მტკივა და ჩემ მაგიერ ხელს სხვას მოვაწერიებო: „გუბერნატორის უფლება და კვერთხი მეჭირება და იქ ყველას მეფე და ღმერთი ვიქნები, რასაც მოვინდომებ, იმას ვიზამ, - ჩემი სიტყვა კანონი იქნება“ [2,319] ამის შემდეგ საჭურველმტვირთველმა ისევ ანდაზები წარმოთქვა, რითაც დონ კიხოტი განარისხა: „მთელი შენი სიმსუქნე და მთელი შენი ზორბა გვამი ანდაზებით და გაიძვერობით გატენილი ტომარა“ [2,320].

სანჩომ თავის ბატონს უთხრა, თუ თქვენი მოწყალება თვლის, რომ გუბერნატორობა არ შემეფერება, უარს ვიტყვი, „უბრალო სანჩოდაც კარგად გავატარებ ჩემს სიცოცხლეს... გუბერნატორობის აზრი მხოლოდ თქვენ ჩამაგონეთ, რადგან კუნძულების გუბერნატორობისა ისე ცოტა რამ გამეგება, როგორც ღორს ფორთოხლის გემო“ [2,320–321].

რაინდს მოეწონა თავისი მსახურის ნათქვამი: „მარტო მაგ უკანასკნელი სიტყვებისათვის, ახლა, რომ თქვი, არათუ ერთი კუნძულისა, ათასი კუნძულის გუბერნატორობის ღირსი ხარ“ [2,321].



თავი XLIV

როგორ გაემგზავრა სანჩო პანსა კუნძულზე და უცნაური ფათერაკი, დონ კიხოტს ჰერცოგის დარბაზში რომ შეემთხვა

დონ კიხოტის დაწერილი დარიგება, რომელიც საჭურველმტვირთველმა დაკარგა, ჰერცოგს ჩაუვარდა ხელში, მან თავის ცოლს გადასცა. ცოლ-ქმარს უკვირდა რაინდის ჭკუაცა და უჭკუობაც. გადაწყვიტეს ხუმრობა განეგრძოთ. სანჩო დიდი ამალით გაგზავნეს ერთ დაბაში, რომელიც ვითომ კუნძული იყო. ამ საქმეს სახლთუხუცესი (ტრიფალდი ანუ დოლორიდა რომ წარმოადგინა) უძღვებოდა. საჭურველმტვირთველმა ის მაშინვე მიაშვავსა დოლორიდას. დონ კიხოტმაც უთხრა, ისე ჰგავს მას, რომ პირწავარდნილი დოლორიდაა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ტრიფალდია, ამის გამოკვლევა გაუვალ ლაბირინთში ყოფნას ნიშნავსო. სანჩომ მიუგო, ხმაც კი ტრიფალდისას უგავსო. რაინდმა ურჩია, ყველაფერს დაკვირვებოდა და ისიც კი მოეწერა, თავისი ბატონისათვის, გუბერნატორობისას რაც შეემთხვეოდა.

„მსაჯულის ტანისამოსში გამოწყობილი, მუქ მიხაკისფერი ტალღოვანი კამლოტის განიერ მანტიაწამოსხმული, თავზე წაბლისფერი ფათრათიონის შალის ქუდით, სანჩო მრავალრიცხოვანი ამაღის თანხლებით კუნძულს გაემგზავრა. იგი ჯორით მიდიოდა, მოკლეუზანგებიან უნაგირზე მჯდარი, ხოლო უკან, ჰერცოგის განკარგულებით, ახალი და მშვენიერი კურტნით მოკაზმული, აბრეშუმის სამაგრავგადაფარებული ლურჯა მისდედა“[2,323–324]. საჭურველმტვირთველი მასპინძლებს ხელზე ამბორით გამოეთხოვა, ცრემლმორეულმა დონ კიხოტმა დალოცა. მისი წასვლის შემდეგ მოიწყინა. სენიორამ დაამშვიდა, სასახლეში ბევრი საჭურველმტვირთველი, დუენია და მოახლეა... „ოთხი ვარდით მშვენიერი მხევალი გაგიწევთო სამსახურს“[2,324], მაგრამ რაინდმა ამაზე უარი განაცხადა, ჩემს თავს სამსახურს თვითონ გავუწევო, მინდა, რომ „ჩემს სურვილებსა და უმანკობას შორის ზღუდე დავდგა...ვამჯობინებ - ჩაცმულმა დავიძინო, ვიდრე ტანთ გასახდელად ვინმე მივუშვა“[2,325].

სენიორამ ხოტბა შეასხა დონ კიხოტის უმანკობასა და სათნოებას: „ათას საუკუნეს იცოცხლოს დუღსინე ტობოსელმა და მოეფინოსმცა მისი სახელი მთელ ქვეყანას, რადგან მან ესოდენ ღვაწლმოსილი და კდემამოსილი რაინდის სიყვარული დაიმსახურა, და კეთილმოწყალე ზენამ გააჩინოსმცა ჩვენს გუბერნატორ სანჩო პანსას სულში სურვილი - თავისი გამათრახება ჩქარა დაასრულოს, რათა სახელოვანი მანდილოსნის უბადლო სილამაზით ხელახლად დასტკბეს მთელი მსოფლიო“[2,325].

რაინდმა, ვახშობის შემდეგ, მადლობა გადაუხადა მასპინძელს, მერე თავის ოთახში ჩაიკეტა, ორი ცვილის სანთლის შუქზე გაიხადა პაჭიჭ-წინდა, დაათვალიერა და ძალიან შეწუხდა, იგი „დაცხრილულ დარაბას დამსგავსებოდა... თავი იმით ინუგეშა, რომ სანჩოს მისთვის თავისი ყელიანი წაღები დაეტოვებინა“[2,326]. დაწვა, მაგრამ ცხელოდა, ვერ დაიძინა. წამოდგა, სერსეროიანი სარკმელი გააღო, შენიშნა, ბაღში ვიღაცები სეირნობდნენ. ერთი მეორეს ეუბნებოდა: ე მ ე რ ე ნ ს ი ა, ნუ მთხოვ, რომ ვიმღერო, მასპინძლები, ჩვენი პატრონები გაიღვიძებენ, ციხე-დარბაზში უცხოელის მოსვლის შემდეგ, ტირილი უფრო მინდა...

ემერენსიამ მიუგო: ა ლ ტ ი ს ი დ ო რ ა, ჰერცოგსა და მის ცოლს სძინავთ, შენი სულის აღმაშფოთებელმა კი სერსეროიანი სარკმელი გააღო... ქალმა მიუგო, არ მინდა ჩემმა სიმღერამ ჩემი გულისნადები გაამჟღავნოსო. მან ქნარი ააჟღერა ნაზად. დონ კიხოტმა

უმალვე გაიფიქრა, აქ ხომ უამრავი სერსეროიანი ფანჯარააო...სიმღერამ და სიყვარულის ამგვარად გამოცხადებამ სარაინდო წიგნებიდან ამოკითხული გაახსენდა, უთუოდ რომელიმე მოახლეს შევუყვარდიო, დაასკვნა, რომ არ უნდა ძლეულიყო და სულით დულსინე ტობოსელს მინდობოდა.

რაინდმა ცხვირი განგებ დააცემინა, ამით გააგებინა ქალებს, რომ მუსიკას უსმენდა, რომანსის ტექსტში რაინდიც მოიხსენიებოდა და მომღერლის განცდებიც ჩანდა: „ო, ნერონო ლამანჩელო!.. ჯერ ნორჩი და პატარა ვარ, ჯერ თხუთმეტი წლისაც არ ვარ... ვარ მსახური ამა კოშკის, მე თვით ალტისიდორა ვარ“[2,330].

ცდუნებულმა და მოხიბლულმა დონ კიხოტმა ღრმად ამოიოხრა. მან ჩათვალა, რომ უბედური მოგზაური რაინდია, რადგან მისით ყველა ქალი იხიბლება, „სამწუხარო ბედისაა უბადლო დულსინე ტობოსელი...მეფის მეუღლენო, რა გინდათ მისგან? იმპერატორების მეუღლენო, რისთვის სდევნით მას? რისთვის ტანჯავთ მას, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ქალწულნო? აცადეთ, აცადეთ იმ უბედურს, იმ ბედით იზეიმოს, გაიხაროს და დასტკბეს, რაც ამურმა არგუნა მას ჩემი გულისა და სულის დამონებითა და დასაკუთრებით. იცოდე, ჩემზე შეყვარებულ ქალთა ბრბოვ“... კიდევ ბევრი ამგვარი რამ გაიფიქრა რაინდმა, შემდეგ კი „სარკმელი ხმაურით მიახეთქა და აღელვებული და შეწუხებული, თითქოს დიდი უბედურება დამართიაო, ლოგინში ჩაწვა“[2,331].



თუ როგორ მიიღო სამფლობელოდ დიადმა სანჩო პანსამ თავისი კუნძული და როგორი წესით დაიწყო მისი მართვა-გამგებლობა

თავისი დიდი ამალით შევიდა სანჩო პანსა ჰერცოგის ერთ-ერთ საუკეთესო დაბაში (ათას მცხოვრებს ითვლიდა). ახალ გუბერნატორს მოახსენეს, რომ კუნძულს ბ ა რ ა ტ ა რ ი ა* ჰქვია.

საჭურველმტვირთველს, ქალაქის ჭიშკართან, „დაბის მცხოვრებთა საბჭო“ ზარების რეკვით მიეგება, ზეიმით მიაბრძანეს ტადარში, პარაკლისის შემდეგ, სასაცილო ცერემონიებით ჩააბარეს ქალაქის გასაღები, მიიყვანეს მსაჯულის სავარძელთან და კუნძულ ბარატარიის გუბერნატორად აღიარეს, მაგრამ მისი ტანსაცმელი, წვერი, სიმსუქნე და დაბალი ტანი ყველას აკვირვებდა...ზოგიერთმა არც იცოდა რა ხდებოდა...

ჰერცოგის სახლთუხუცესმა „გუბერნატორს“ მიმართა, ჩვეულების თანახმად, ერთ არეულ და დახლართულ კითხვაზე პასუხი უნდა გასცე, ამით ხალხი ახალი გუბერნატორის ნიჭსა და უნარს გაიგებო... ამ დროს სანჩომ კედელზე წარწერა დაინახა და რა ნახატებიაო იკითხა (მან ხომ კითხვა არ იცოდა). მიუგეს, კუნძულზე თქვენი მმართველობის დაწყების დროაო აღნიშნული: „დღეს, ამა და ამ რიცხვში ამა და ამა თვესა და წელს კუნძულის მფლობელობა დაიწყო სენიორმა დონ სანჩო პანსამ. დასტკბესცა იგი ამით მრავალყამიერ“[2, 333].

სანჩომ როდესაც გაიგო, რომ „დ ო ნ“ ერთვოდა მის სახელს, გააპროტესტა: „ჩემს გვარში არავის რქმევია დ ო ნ ი. მე მართო სანჩო პანსა მქვია, მამაჩემსაც სანჩოს ემახდნენ და პაპაჩემსაც. ყველა ჩემი წინაპარი პანსა იყო, ყოველგვარი დონისა და ზედონების დაუმატებლად. როგორც ვხედავ ამ კუნძულზე დონები რიყის ქვაზე უმრავლესნი არიან. მაგრამ კმარა. ღმერთია ჩემი გულთამხილავი და, თუ ჩემი გუბერნატორობა ოთხიოდე დღეს გაგრძელდა, მაგ დონების გამარგვლას მოვახერხებ. ეგ დონები თავიანთი სიმრავლით ადამიანს კოლოებზე უარესად აბეზრებენ თავს“[2,333], ახლა კი შეკითხვა დამისვითო.

სამსაჯულო დარბაზში ორი კაცი შემოვიდა, ერთს გლახურად ეცვა, მეორეს –თერძის მსგავსად და ხელში მაკრატელი ეჭირა.

თ ე რ ძ მ ა თქვა: ოსტატი თერძი ვარ...გუშინ ეს კაცი მოვიდა ჩემს სახელოსნოში, მაუდი მომიტანა და მკითხა, იმ ნაჭრისგან ქ უ დ ი გამოვიდოდა თუ არა. თანხმობა რომ განვუცხადე, ეტყობა, ეჭვიანობდა, მაუდი არ მოიპაროსო და ისევ მკითხა, ორი ქუდი თუ გამოვაო, ისევ დავუდასტურე...კიდევ მთხოვა ნაჭრის გაზომვა და ამგვარად... ხუთ ქუდამდის ავიდა...მე სულ თანხმობას ვუცხადებდი...გამოვა–მეთქი... დღეს წასაღებად გამოცხადდა, მაგრამ არც ხელფასს მაძლევს და არც ქუდები მიაქვს.

სანჩომ გლახს ჰკითხა, მართალია თუ არაო. მან მიუგო, მართალია, მაგრამ უბრძანეთ, გვაჩვენოს, როგორი ქუდები შეკერაო.

თერძმა, თავისი მოსასხამიდან ხელი გამოიღო და ხუთი, თითზე ჩამოცმული, პატარა ჩაჩი აჩვენა. ყველას გაეცინა.

სანჩომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „თერძი ხელფასს ჰკარგავს, გლახი - მაუდს და ეს ქუდები საპყრობილეში დაპატიმრებულთა სასარგებლოდ გადაიცემა“[2,334].

განაჩენმა ყველას სიცილი მოჰგვარა, მაგრამ გუბერნატორის სიტყვა შესრულდა.

მ ე ო რ ე ს ა ქ მ ე: ორი ხანშიშესული კაცი წამოდგა, ერთს ლერწმის ჯობი ეჭირა, მეორე – უჯობო იყო. უჯობომ თქვა: ამ კაცს ათი ოქრო ვასესხე, ვალის გადახდაზე არ ზრუნავდა. როდესაც ფული მოვთხოვე, არ მოგიციაო და, თუ მოგიცია, დიდი ხანია გადახდილი მაქვსო. მოწმე არ მყავს, თუ ფიცქვემ იტყვის, რომ ვალი დამიბრუნა, მზადა ვარ, ჩემს ფულზე ხელი ავიღოო...

სანჩომ ხელჯობიან ბერიკაცს ჰკითხა, ამაზე რას იტყვიო. მან უპასუხა, ნამდვილად მასესხა ფული, მაგრამ მოვითხოვ, მმართველმა კვერთხი დაუშვას, უნდა დავიფიცო. გუბერნატორმა დაუჯერა.

მოხუცმა ჯობი მეორე მოხუცს გადასცა, ვიდრე ფიცს იტყოდა... შემდეგ კვერთხის ჯვარს დაადო ხელი: „მისგან ნამდვილად ვალად ათი ოქრო მივიღე, რასაც ახლა მთხოვსო, მაგრამ ის ფული მე ხელიდან ხელში უკვე ჩავაბარე და ახლა გულმავიწყობის გამო მეორედ მართმევსო“ [2,335].

უჯობომ თქვა:

„მართალს ამბობს, რადგან პატიოსან და კარგ ქრისტიან კაცად ვიცნობო, - იქნებ მე დამვიწყებია, ფული სად და როდის დამიბრუნაო“ [2,335], ჯობი პატრონს დაუბრუნა და დარბაზიდან გავიდა.

სანჩომ მორჩილი მომჩივანი და უსიტყვოდ წასული მოვალე რომ დაინახა, ჩაფიქრდა, მერე ბრძანა და ბერიკაცი დააბრუნებინა. გამოართვა ჯობი, მომჩივანს გადასცა და უთხრა, წაიღე, შენი ფული მიღებული გაქვსო, რითაც ძალიან გააკვირვა, განა ეს ჯობი ათი ოქრო ღირსო. „კუნძულის მმართველმა“ ჯობი გაატეხინა, შიგ თითო ესკუდოიანი ათი ოქრო იპოვეს. ყველა განცვიფრდა, გუბერნატორი ახალ სოლომონ ბრძენად აღიარეს. სანჩოს ჰკითხეს, როგორ მიხვდით ყოველივეს? მან თქვა: „მოვალემ... ვალის პატრონს ჯობი მისცა და, მანამ ფიცს იტყოდა ხელში დააჭერინა... ჯობი ისევ უკან გამოართვა, ფიქრმა გამიელვა, რომ ფულები იმ ჯობში უნდა ყოფილიყო. აქედან უნდა დავასკვნათ... ვინც გუბერნატორობს, მართვა – გამგეობაში ღმერთი არის მისი ხელმძღვანელიო. ამას გარდა... მსგავსი ამბავი ჩემი სოფლის მღვდლისგან მაქვს მოსმენილიო“ [2,336].

მ ე ს ა მ ე ს ა ქ მ ე: სამსჯავროში, დ ე დ ა კ ა ც მ ა მდიდარი მეჯოგის მსგავსად ჩაცმული კაცი შემოიყვანა და სანჩოს მიმართა: „ჩემი სულის გუბერნატორო“ [2,336], ამან შემაცდინა, თავისი ჭუჭყიანი ხელებით შემეხოო. გუბერნატორმა თქვა: „ჯერ გამოკვლევაა საჭირო - ამ არშიე კაცს ჭუჭყიანი ხელები აქვს თუ არა“ [2,336], მერე კი „დამნაშავეს“ ჰკითხა, ბრალდებაზე რას იტყვიო.

მწყემსი აკანკალდა, საწყალი ვარ, ღორები გავყიდე, ხარკისა და ბეგრის გადახდის შემდეგ, მცირეოდენი ფული დამრჩა. გზაზე ეს დუენია შემხვდა, დრო გავატარეთ, თანხა მივეცი, მაგრამ არ იკმარა... ამბობს, ვითომც ძალა მეხაროს... ცრუობსო...

სანჩომ ჰკითხა მწყემსს, აქვს თუ არა თან ვერცხლის ფული? კაცმა თანხმობა განაცხადა, ქისაში ოციოდე დუკატი მექნებო. გუბერნატორმა ქალისთვის გადააცემინა თანხა, მაგრამ დედაკაცი რომ გავიდა, მეღორეს დაავალა, გაიქეცი და ქისა ძალით წაართვიო. მწყემსი გაედევნა წასულს. ქალმა მალე, ისევ, ყვირილით, ჩაბღუჯული „დამნაშავე“ შემოიყვანა და „ბოროტი კაცის უსინდისობასა და თავხედობაზე“ დაიწყო

ჩივილი, ქისის წართმევას აპირებდაო. სანჩომ ჰკითხა, წაგართვაო? რაზეც ქალმა მიუგო: „როგორ წამართმევდა? უმაღ სიცოცხლეს დავთმობდი“...

გუბერნატორმა ოსტატურად ჩამოართვა ქისა, გადასცა მწყემსს და ქალს უთხრა: თქვენ მაშინ იმისი ნახევარი ძალა რომ გეხმარათ, რაც ახლა ამ ქისის შერჩენისათვის გამოიყენეთ, ვერავინ დაგამარცხებდათ... „ამ კუნძულზე და მის მიდამოში ექვსი მილის მანძილზე აღარავინ გნახოთ, თორემ ორასი მათრახის დარტყმით დაისჯებით. ახლავე წადით აქედან, - გეუბნებით, ურცხვო, მატყუარავ და გაიძვერავ!“[2,338].

თავჩაღუნული და შეწუხებული ქალი წავიდა.

გუბერნატორმა მწყემსს უთხრა:

„- წადით, კეთილო კაცო, თქვენს სოფელში და თქვენი ფულები შინ მიიტანეთ და, თუ გინდათ შეგრჩეთ, ნულარავის, ვინც უნდა იყოს, ნუ გაეთამაშებით“[2,338].



თავი XLVI

ევენებიანი კატების საშინელი ალიაქოთი, გამიჯნურებულ ალტისიდორასთან სიყვარულის ახსნის დროს დონ კიხოტს რომ შეემთხვა

შეყვარებული ქალწულის, ალტისიდორას, მუსიკის ხმამ და გაცვეთილ წინდებზე ფიქრმა დონ კიხოტი არ დააძინა. გამთენიისას, მუშის ტანსაცმელი და, წინდების დასაფარად, საგზაო ყელიანი წაღები ჩაიცვა. წითელი მოსასხამით, მწვანე ხავერდის ქუდით, ბასრი მახვილითა და დიდი კრიალოსნით, მედიდური, საზეიმო ნაბიჯებით, გაემართა დარბაზისკენ. იქ ჰერცოგი, მისი ცოლი და ალტისიდორა (ამხანაგ ქალებთან ერთად) შეხვდნენ.

ალტისიდორას, რაინდის დანახვისას, ვითომ გული შეუღონდა. დონ კიხოტმა განაცხადა, რომ ამისი მიზეზი უკვე იცოდა. მან მოითხოვა, ღამით, თავის საწოლ ოთახში ჩანგი დაედგათ, რათა ქალი სიმღერით ენუგეშებინა. მისი აზრით: „სიყვარულის დასაწყისშივე მოხიბვლის სწრაფი გაქარვება - უებარ წამლადაა მიჩნეული“[2,340].

ჰერცოგის ცოლმა, სხვა ქალებთან ერთად, გადაწყვიტა, ახალი ოინის მოწყობა. მან სანჩოს ცოლთან გაგზავნა თავისი პაჟი (ბაღში მოწყობილ ოინში დუღსინეას რომ განასახიერებდა), საჭურველმტვირთველის წერილი და ბოღჩით კაბა გაატანა. ამასობაში ღამის თერთმეტი საათი დადგა.

დონ კიხოტს ოთახში ჩანგი დახვდა. ფანჯარა გააღო, მიხვდა, ბაღში ვიღაც სეირნობდა. ხრინწიანი ხმით, მაგრამ სწორი კილოთი, იმ დღეს საგანგებოდ შეთხზული რომანსი იმღერა, რომლის ტექსტი გადმოსცემდა რაინდის შეხედულებებს,

ქალწულის უძრახველობასა და კეთილგონიერებაზე, აღნიშნავდა, რომ თავისი სატრფოს ერთგულია: „ჩემი გულის ფიცარზედა დულსინეა ტობოსელი ისე მტკიცედ აღბეჭდილა, რომ არასდროს წაიშლება“[2,341].

დონ კიხოტის სიმღერას ყველა უსმენდა. ზემო ტალანიდან მის ფანჯრამდე ჩამოუშვეს თოკი, რომელზეც ასზე მეტი ეჟვანი ეკიდა, დიდ ტომარას პირი მოხსნეს და იქიდანაც კუდებზე წვრილ-წვრილ ეჟვანშებმული კატები გამოცვივდნენ. ატყდა ჟღარუნი და კნავილი. დონ კიხოტს თავზარი დაეცა, ორი თუ სამი კატა რაინდის ოთახში შევარდა, ფეთიანივით იწყო სირბილი და სანთლებიც ჩააქრეს...თოკი ადიოდ-ჩადიოდა და ეჟვნებს განუწყვეტელი ჟღარუნი გაჰქონდათ.

დონ კიხოტმა მახვილი იშიშვლა და იყვირა: „გამშორდით, ბოროტო ჯადოქრებო! გამშორდით, თვალთმაქცებო! მე დონ კიხოტი ლამანჩელი ვარ, რომლის წინააღმდეგ თქვენი ბოროტი განზრახვები უღონონი და ამაონი არიან!“[2,342], ფანჯრებს ჩეხვა დაუწყო. კატებს რამდენჯერმე დაარტყა მახვილი, ისინი გაიქცნენ, მაგრამ ერთი ისე მწვავედ ეცა ცხვირ-პირში, კბილებითა და ბრჭყალებით, რომ რაინდმა ტკივილისაგან რაც ძალ-ღონე ჰქონდა დაიკვივლა.

ოინის მომწყობნი მიხვდნენ, რაც მოხდა, სასწრაფოდ გააღეს მისი კარები, ანთებული სანთლებით შევიდნენ, იდალგო გაშმაგებით ებრძოდა კატას. ჰერცოგმა, მიუხედავად იმისა, რომ რაინდს „ამ დემონთან, თვალთმაქცთან“ (არც უფიქრია, რომ კატა იყო) პირისპირ სურდა დარჩენა, მებრძოლები გააშველა.

დონ კიხოტს სახე დაკაწრული ჰქონდა, ცხვირი დაშავებული და წუხდა, რომ „ჯადოქართან მედგარი ბრძოლა ბოლომდის ვერ მიიყვანა“. ჭრილობები შეუხვიეს.

ყველანი სწუხდნენ, ხუმრობის ცუდად დამთავრების გამო.



თავი XLVII

გაგრძელება მოთხრობისა, თუ როგორ იქცეოდა სანჩო პანსა თავის საგუბერნატოროში

სამსაჯულო ოთახიდან გუბერნატორი მდიდრულ სასახლეში წაიყვანეს, სადაც დიდ დარბაზში მეფური ტაბლა იყო გაშლილი. გუბერნატორმა ხელის დაბანის ცერემონია ღირსეულად აღასრულა. სუფრასთან მხოლოდ სანჩოსთვის იდგა სელი. ჭურჭელიც მხოლოდ ერთი კაცისთვის ეწყო. მის გვერდით დადგა ექიმი, ხელში ვეშაპის კბილის პატარა კვერთხი ეჭირა. ტაბლას, ხილითა და მრავალგვარი საჭმლით სავსეს, ძვირფასი თეთრი გადასაფარებელი გადახადეს.

მეორე კაცმა, ალბათ, სამღვდელი პირმა, სუფრა აკურთხა, ერთმა პაჟმა გუბერნატორს მაქმანებიანი ხელსახოცი ჩამოაფარა მკერდზე, მეორემ—მ ა ე ს ტ რ ე ს ა ლ ი ს * თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ი ს აღმსრულებელმა, სინით ხილი მოართვა...ექიმმა აუკრძალა სანჩოს მისი მირთმევა...მეორე სინსაც არ გააკარა. გაცეხულ გუბერნატორს აუხსნა, ჯამაგირი იმიტომ მეძლევა, რომ მმართველის კარგადმყოფობაზე უნდა ვიზრუნო. შემწვარი კაკბების,

კურდღლის ბაჭიების, ოლა პოდრიდას (სხვადასხვა ბოსტნეული და ხორცია) ჭამაც აუკრძალა. ექიმი, გზადაგზა, ამა თუ იმ საკვების მავნებლობაზე ესაუბრებოდა. მერე დაასკვნა: „თუ სენიორ გუბერნატორს სურს თავისი ჯანმრთელობა დაიცვას და გაამაგროს, ახლა ასიოდე წვრილი ბისკვიტის ნამცხვარი უნდა მიირთვას და კომშის რამდენიმე თხელი ნაჭერი, - ერთიცა და მეორეც კუჭისთვის ძალიან სასარგებლოა და მონელებას ხელს უწყობს“[2,345].

სანჩო დაინტერესდა, რა ერქვა ექიმს და სად სწავლობდა. მან უპასუხა: „**პ ე დ რ ო რესიო დე აგუერო ვარ, დავიბადე დაბა ტირტეაფუერაში, კარაკულისა და ალმოდოვარ დელ კამპოს მარჯვენა მხარეს რომ მდებარეობს, ხოლო ექიმის ხარისხი ოსუნის უნივერსიტეტში მივიღე**“[2,345–346]. სანჩო გაუბრაზდა, დაემუქრა, რომ მიბეგვავდა, მერე მოითხოვა, მისთვის ეჭმიათ რაიმე, თუ არა და ეს გუბერნატორობა არც სჭირდებოდა, რადგან, მისი აზრით: „**ის თანამდებობა, რომელიც მის ამსრულებელს შიმშილით კლავს, ცერცვის ორ მარცვლადაც არა ღირს**“[2,346].

ექიმი შეშინდა. ამ დროს ქუჩიდან ფოსტის საყვირის ხმა მოისმა, მალე დარბაზში შიკრიკი შემოვიდა და გუბერნატორს წერილი გადასცა. სანჩომ მანესტრესალს გადააწოდა. მან წაიკითხა: „**დონ სანჩო პანსას, კუნძულ ბარატარიის გუბერნატორს პირადად, ანუ იმის მდივანს საკუთარ ხელში**“[2,346] გუბერნატორი დაინტერესდა, ვინ იყო მისი მდივანი. ერთ-ერთმა ბისკაელმა უთხრა, მე ვარ, რადგან წერა-კითხვა ვიციო.

ახლადგამომცხვარმა მდივანმა გახსნა წერილი, წაიკითხა და უთხრა, საიდუმლოაო.

სანჩომ ყველა დაითხოვა, მხოლოდ მანესტრესალი და სახლთუხუცესი დაიტოვა. ჰერცოგი „**სენიორ დონ სანჩო პანსას**“ ამცნობდა, რომ მტრები თავდასხმას აპირებდნენ კუნძულზე, ოთხი ტანისამოსგამოცვლილი კაციც იყო შემოპარული, გუბერნატორის მოკვლის განზრახვით და ფრთხილად უნდა ყოფილიყო, ყველაფერს კარგად დაკვირვებოდა და არაფერი ეჭამა, რასაც მიაწოდებდნენ.

სანჩოს თავზარი დაეცა, ვითომ იქ მყოფებსაც შეეშინდათ. გუბერნატორმა სახლთუხუცესს დაავალა, ექიმი ჩაეგდოთ ჯურღმულში, რადგან სწორედ მას სწადია მმართველის მოკვლა, ხანგრძლივი და საშინელი მტანჯველი საშუალებით - შიმშილით. მანესტრესალმა უთხრა, მეც ასე მგონიაო.

გუბერნატორმა მოითხოვა ერთი ნაჭერი პური და ოთხიოდე გირვანქა ყურძენი, რადგან, მისი აზრით, იმაში საწამლავი არ იქნება... „**განზრახული თავდასხმის მოსაგერებლად მზადყოფნა გვიხდება საჭირო, მაშ დანაყრებაც და ჯანზე მოსვლაც გვჭირია, რადგან სიმამაცე და ვაჟკაცობა კუჭზეა დამოკიდებული და არა პირიქით**“[2,347–348]. მან მდივანს სთხოვა მიეწერა ჰერცოგისთვის, რომ ბრძანებას შეასრულებდა, ჰერცოგის მეუღლეს სთხოვდა, წერილი და ფუთა ტერესა პანსასთან გაეგზავნა. ბატონს, სენიორ დონ კიხოტ ლამანჩელს, ხელზე კოცნასა და მადლიერებას უთვლიდა, პურს რომ უწილადებდა...

სანჩომ მოითხოვა სუფრის ალაგება და რაიმე სხვა საჭმლის მოტანა. რაც შეეხება ჯამუშებს, კაცის მკვლელებსა და ჯადოქრებს, მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ მათ გაუმკლავდებოდა.

დარბაზში პაჟი შემოვიდა და თქვა, რომ ვიღაც გლეხმა გუბერნატორთან შეხვედრა მოითხოვა. სანჩომ უცნაური და უგუნური ხალხი უწოდა ამგვარებს, მათ არ იციან, რომ გუბერნატორებსაც და მსაჯულებსაც სჭირდებათ დასვენება... ნება დართო შემოსულიყო მთხოვნელი, მაგრამ უნდა დარწმუნებულიყვნენ წინასწარ, ჯამუში ან რომელიმე მკვლელთაგანი ხომ არ იყო. პაჟმა უთხრა: „თითქოს დოყლაპია ვინმეა... კარგი პურივით კეთილი და ალალი უნდა იყოს“[2,348]. სანჩოს, პურის ხსენებაზე, ისევ საჭმელი გაახსენდა.

გლეხი შემოვიდა. მან ისაუბრა იმაზე, რომ სოფელ მიგელტურის მცხოვრებია (საუდად რეალიდან ორი მილის მანძილზე მდებარეობს), რომ ქვრივია, ცოლი ექიმის დაუდევრობამ მოუკლა. ჰყავს ორი ვაჟი. სწავლობენ. ერთ–ერთს, ბაკალავრ შვილს, შეუყვარდა ქალი, კლარა პერლერინო, მდიდარი მეურნის ასული, რომელიც მოგრეხილია და კუზიანი. მისი მუხლები ნიკაპს ებჯინება, ხელიც მოგრეხილი აქვს...

სანჩომ გლეხს შენიშვნა მისცა, ქარაგმულად ნუ ლაპარაკობ, ჩემგან რა გინდაო. მან სთხოვა ქალის მამასთან წერილი მიეწერა გუბერნატორს, რათა დაეჩქარებინა ჯვრისწერა და ქორწილი, რადგან ამ გლეხის ვაჟსაც ავი სულელები აწუხებენ, ცეცხლში ჩავარდა, სახე დაუმახინჯდა, თუმცა, გული ანგელოზისა აქვს...

ნუთუ მხოლოდ ეს იყოო შენი სათხოვარი?–ჰკითხა გუბერნატორმა. გლეხმა ექვსასი ოქროც მოითხოვა, რათა მისმა ბაკალავრმა შვილმა ცალკე იცხოვროს და სიმამრისა და სიდედრის უსიამოვნება და საყვედური თავიდან აიცილოს.

გუბერნატორი წამოდგა, სელს წამოავლო ხელი და გლეხს მრისხანედ უყვირა: „დონ ოტროველავ, მძორო, უხეშო და გაუთლელი...მეძავის შვილო, გაიძვერა, უმაქნისო, ბილწო, ეშმაკის მხატვარო...საიდან მოგიტანო ის ოქროები? კიდეც რომ მქონდეს, რად უნდა მოგცე, შე აყროლებულო არამზადავ? რა მესაქმება მიგელტურთან და პერლერინოს მთელ გვარეულობასთან? აქედან დამეკარგე“[2,351].

სანჩო იმუქრებოდა, ბობოქრობდა. მანესტრესალმა გლეხს ანიშნა, წასულიყო, ისიც თავჩალუნული გავიდა, ვითომ ეშინოდა.



თავი XLVIII

თუ რა შეემთხვა დონ კიხოტს ჰერცოგის ცოლის დუენია დონა როდრიგესთან და აღწერისა და სამარადისოდ უკვდავყოფის ღირსი სხვა ამბები

დონ კიხოტი ე ქ ვ ს ი დ ლ ი ს განმავლობაში არ გამოჩენილა ხალხში. თავის უბედურებასა და ალტისიდორაზე ფიქრობდა. ერთხელ, ღამით, მოესმა, რომ ვიღაც მისი საწოლი ოთახის კარს გასაღებით აღებდა, იფიქრა, ალბათ, შეყვარებული ალტისიდორააო. წამოიძახა, მთელ ქვეყანაზე ულამაზესსაც არ შეუძლია დულსინე ტობოსელის სიყვარულზე ხელი ამაღებინოს, რანაირადაც არ უნდა იყოს ის გარდაქმნილი.

კარი გაიღო. ატლასის ყვითელ საბანში გახვეული დონ კიხოტი წამოდგა, თავზე არახჩინი ეხურა, პირისახე უცნაურ და არნახულ მოჩვენებას უგავდა. ალტისიდორას ნაცვლად, თეთრი პირბადითა და ანთებული სანთლით, დარბაისელი დუენია შემოვიდა. რაინდმა დაასკვნა, თვალთმაქცი მოვიდაო, ბოროტი საქმის ჩასადენად. პირჯვრის წერა დაიწყო. მოჩვენებამ ნახევარი ოთახი გაიარა, მიუახლოვდა რაინდს და როდესაც შეხედა, თავზარი დაეცა, მისმა გრძელმა ფიგურამ და დასახიჩრებულმა სახემ ისე შეაშინა, რომ „**იესო მაცხოვარო**“ [2,353], შეჰყვირა, სანთელი გაუვარდა, დაბნელდა, თავისი კაბის კალთაში გაიხლართა და გაიშლართა.

შეშინებულმა დონ კიხოტმა „აჩრდილს“ მიმართა, ვინა ხარ, რა გინდა, ტანჯულთა სული ხარ თუ სალხინებელში მყოფთა, ვალდებული ვარ, ყველას შემწეობა აღმოვუჩინო. დუენია მიხვდა, რომ ორივე მხარეს ერთმანეთისა ეშინოდა. უპასუხა, დონა როდრიგესი ვარ, სენიორ ჰერცოგის მეუღლის უბედური დუენია... რაღაცის სათხოვნელად მოვედიო. რაინდმა უპასუხა, სამაჟანკლოდ თუ მოხვედით, გაფრთხილებთ, დულსინე ტობოსელის ერთგული ვარ, ახლა წაბრძანდით, სანთელი აანთეთ და მერე ვილაპარაკოთო. დუენია გავიდა.

დონ კიხოტი საგონებელში ჩავარდა. იქნებ ვერაგმა და ცბიერმა ეშმაკმა ამ დუენიის საშუალებით ჩემი მოტყუება განიზრახა...ეს ქალბატონიც, ჩასუქებული და თვალეზე სათვალეებიანი, არაა მიმზიდველი, დედამიწის ზურგზე ყველა დუენია აბეზარი, და ბუზღუნაა, ადამიანის სიხარულისა და კმაყოფილებისათვის უსარგებლო... წამოდგა და კარის ჩაკეტვა გადაწყვიტა, არ უნდოდა დუენიას შემოშვება, მაგრამ ის სწორედ ამ დროს გამოჩნდა, ცვილის სანთლებით ხელში, იდაღოს შეხედვამ ხელახლა შეაშინა. უკან დაიხია და ჰკითხა, ხომ არაფერი ხიფათი მომელის, სენიოროო. თავის მხრივ, დონ კიხოტმაც მიუგო, შემძლია დარწმუნებული ვიყო, რომ თქვენ არ დამეტაკებით და ჩემზე ძალას არ იხმართო?

ორივე მხარემ ერთმანეთი დაარწმუნა, რომ არავითარი საშიშროება არ მოელოდათ. დონ კიხოტი ჩაწვა ლოგინში, დუენია მოშორებით დაჯდა, არც სათვალეები მოუხსნია, სანთლებიც ხელში ეჭირა.

ქალმა საუბარი დაიწყო, მართალია, სეღზე ვზივარ და „**შუაგულ არაგონის სამეფოში ვიმყოფები...საბრალო დუენიის სამოსი მაცვია და ყველანი მე მამაგებენ და მდევნან, მაგრამ მე დავიბადე ოვიედოს ასტურიაში, ისეთ ოჯახში, რომელსაც ენათესავებიან ამ მიდამოს საუკეთესო... წარჩინებულები**“ [2,357], ოჯახი გადარიბდა და წარჩინებული სენიორის მკერავ-მოახლე გავხდი, მშობლები, კათოლიკე ქრისტიანები, გარდაიცვალნენ...ერთმა ხანშიშესულმა ფარეშმა შემიყვარა, ცოლად შემირთო. ამ ქორწინებიდან ჩემს ჭირად ულამაზესი ქალი გამიჩნდა...ამის შემდეგ ქმარი

გარდაიცვალა...ჰერცოგის მეუღლემ გაიგო, რომ მკერავი ვიყავი და ქალიანად არაგონის სამეფოში წამიყვანა...ჩემი შვილი მდიდარ გლეხს შეუყვარდა, ჯვრისწერის პირობა მისცა, შეაცდინა და ახლა თავის დაპირებაზე უარს ამბობს. ჰერცოგს მივმართე, დახმარების სათხოვნელად, მაგრამ ის გლეხი სჭირდება და მის წყენინებას ერიდება, ზომებს არ ლეზულობს: „მე ვთხოვდი თქვენს მოწყალებას, ჩემო კეთილო ბატონო, თქვენი იმედი მაქვს, ეს საქმე როგორმე მოაგვაროთ და სიტყვით იქნება თუ იარაღით, ეს უსამართლობა აღმოფხვრათ, ვინაიდან მთელმა მსოფლიომ იცის, რომ თქვენი მოწყალება თურმე იმიტომ მოსულხართ ამქვეყნად, რათა სიმართლე აღადგინოთ, უსამართლობა დათრგუნოთ, ტანჯულ-გვემულნი და ტვირთმძიმენი დაიფაროთ[2,359].

დუენიამ ალტისიდორა ახსენა, რაინდს უთხრა, რომ ის პრანჟია და თავხედი უფროა, ვიდრე მორცხვი და ლამაზი...რაც შეეხება მასპინძელს, „მშვენიერია ჩემი ქალბატონი ჰერცოგის მეუღლე... ამისთვის... ჯერ ღმერთს უნდა სწირავდეს მადლობას, მერე კი ფეხებზე დ უ გ უ ნ ე ბ ს, საიდანაც როგორც ამბობენ, მისი სხეულის ყოველგვარი უწმინდური წვენი გამოდის; ექიმები ასე ამბობენ, ჰერცოგის მეუღლე თავიდან ფეხებამდე ამ წვენიტაა სავსეო.

- ყოვლად წმიდაო ქალწულო! შესძახა დონ კიხოტმა. – განა შესაძლებელია ქალბატონ ჰერცოგის ცოლს ასეთი რამ სადინარი მიღები ჰქონდეს?...ამიერიდან საბოლოოდ იმ აზრს ვაღიარებ, რომ დუგუნების გახსნა ჯანმრთელობისათვის ფრიად სასარგებლო რამაა“[2,360]. ამ დროს კარები ხმაურით გაიღო. მოულოდნელობისაგან დონა როდრიგესს სანთელი გაუვარდა, დაბნელდა. დუენიას სწრაფად ეცა ორი ხელი ყელში. მეორემ კაბა აუწია და რაღაც ფეხსაცმლის მსგავსი ნივთით ცემა–ტყეპა გაუმართა. დონ კიხოტი არ ამდგარა, ხმა არ ამოუღია, მეც არ გამტყიპონო, მაგრამ დუენია რომ მიასიკვდილეს, ახლა რაინდს დაუწყეს ჩქმეტა. იდაგო მათ მოსაგერიებლად მუშტებს იქნევდა.

ბრძოლა თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა, მერე მოჩვენებები გაქრნენ. მალე ატირებული დუენია ოთახიდან გავიდა, დარცხვენილ დონ კიხოტს აინტერესებდა, რომელმა ჯადოქარმა ჩაიძინა ეს ოინი.



თავი XLIX

რა შეემთხვა სანჩო პანსას კუნძულის შემოვლის ჟამს

„გუბერნატორი,“ ბოლოს, როგორც ვიცით, გლებმა განარისხა (მან ჰერცოგის შეგულიანებითა და სახლთუხუცესის დარიგებით, ჩინებულად აიგდო მასხრად საოცნებო კუნძულის მმართველი), მაგრამ არც სანჩოს შეშლია როგორ მოქცეოდა დამცინავებს.

საიდუმლო წერილის წაკითხვის შემდეგ, დარბაზში ექიმი პედრო რესიოც დაბრუნდა. სანჩომ ხმამაღლა გამოხატა უკმაყოფილება ყველა უმეცარი მთხოვნელისა და ექიმის მისამართითაც. პედრომ აღუთქვა, სადამოს ვახშმის ჭამის უფლებას მოგცემო, რითაც იგი ძალიან გაახარა, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ დრო უძრავი იყო. მალე ნანატრი წუთებიც დადგა და დანაყრდა. შემდეგ ექიმი გააფრთხილა, თავი დაენებებინა გუბერნატორის ქირდვისათვის, მშვიდობიანად და მეგობრულად უნდა ეცხოვრათ.

მოურავმა განაცხადა, კუნძულის მცხოვრებნი გუბერნატორს ერთგულად ემსახურებიანო. სანჩომ უპასუხა, ეცადეთ, მეც და ჩემს ვირსაც კარგად გვაჭამოთ...კუნძულსაც შემოვივლი და აქაურობას ზარმაცებისა და უსაქმურებისგან გავწმენდ, მფარველობას გავუწევ გლებებს, იდალგოების უფლებებს დავიცავ, კეთილ ხალხს დავაჯილდოებ, სარწმუნოების მიმდევართ განსაკუთრებულ პატივს ვცემ.

სადამოს, გუბერნატორმა ექიმ რესიოს ნებართვით ივახშმა, შემდეგ კი, თავისი ამალით, კუნძულის დასათვალიერებლად წავიდა. მას ახლდნენ სახლთუხუცესი, მოურავი, მდივანი, ჟამთაღმწერელი, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა სანჩოს ყველა მოქმედება ჩაეწერა, შთამომავლობისათვის გადასაცემად. მასთან ერთად, ასევე, მოდიოდნენ მოხელეები. სანჩო მედიდურად მიაბიჯებდა. რამდენიმე ქუჩა გაიარეს. ერთ ადგილას ნახეს ო რ ი მ ო ჩ ხ უ ბ ა რ ი კ ა ც ი, რომლებმაც ამაღის დანახვაზე ბრძოლა შეწყვიტეს. ერთ-ერთმა სანჩოს უთხრა: ამ ვაჟბატონმა, საყომარბაზო სახლში, ათას რეალზე მეტი მოიგო, მეც ვესწრებოდი, ვეხმარებოდი და მოვაგებინე, მეგონა მადლობას მეტყოდა და ერთ ოქროს მაინც მაჩუქებდა, მაგრამ შინისკენ გასწია. დავედევნე და რვა რეალი ვთხოვე, მან ოთხი შემომთავაზა...

ბრალდებულმა დაადასტურა მისი ნათქვამი, ოთხ რეალზე მეტის მიცემა არ მინდოდა, სხვა დროსაც ბევრჯერ მიჩუქნია, ვინც მოთამაშისაგან მადლობას ან საჩუქარს ელის, ზრდილობიანი უნდა იყოს, რამდენსაც უბოძებენ, უნდა დასჯერდეს... ყომარბაზებმა ხარკი იმათ უნდა გადაუხადონ, რომლებიც მათ ჯიბგირულ ხელობას იცნობენო...

სანჩომ გადაწყვიტა, ვინც მოიგო, მან მოწინააღმდეგეს უნდა გადაუხადოს ასი რეალი, ციხეში დაპატიმრებულთა სასარგებლოდ - ოცდაათი რეალი გაიღოს...მეორემ, უსაქმურმა, ჩქარა გამოართვას თანხა და კუნძულიდან ათი წლით გადაიკარგოს...

ყველაფერი ისე შესრულდა, როგორც სანჩომ ბრძანა. გუბერნატორის ბოლო გადაწყვეტილება ის იყო, რომ საყომარბაზოები უნდა დაეკეტა, რადგან მათ მხოლოდ დიდი ზიანის მოტანა შეეძლოთ.

გუბერნატორთან ყ მ ა წ ვ ი ლ ი კ ა ც ი მოიყვანეს, რომელზეც პოლიციელმა სანჩოს უთხრა, თქვენ რომ დაგინახათ, გაიქცა, ვიფიქრეთ, ალბათ, გაიძვერააო და დავიჭირეთო.

გუბერნატორმა დატყვევებულისგან გაიგო, რომ ის, თურმე, სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად მიდიოდა...პოლიციელების შეკითხვებს არიდებდა თავს და იმიტომ გარბოდა. ვაჟი ფეიქარი აღმოჩნდა. თავდაპირველად, სანჩო დაემუქრა ყმაწვილს, ციხეში ჩაგსვამო, შეაშინა, მერე კი გაათავისუფლა, მხოლოდ გააფრთხილა, უფროსებთან ნუ იხუმრებ, ენა არ მოიკვნითო (ასე იმიტომ უთხრა, რომ მასთან მოსაუბრე ხან ხუმრობდა, ხანაც სითამამეს იჩენდა).

გუბერნატორმა კუნძულის დათვალიერება განაგრძო. ორმა პოლიციელმა ვიღაც მამაკაცურად ჩაცმული ლამაზი დედაკაცი მოიყვანა. დაჭერილი ადამიანი ისეთი სილამაზის ქალი აღმოჩნდა, სანჩო სახტად დარჩა, ყველას ყველაფერი გაუკვირდა, ისინიც კი გაოცდნენ, ვინც იცოდა, თუ როგორ აპამპულეებდა ჰერცოგი სანჩოს, რადგან ესეც ოინი ეგონათ. სინამდვილეში ეს შემთხვევა მოგონილი ისტორია არ იყო.

გუბერნატორის კითხვაზე, ვინ ხარ და სად მიდიხარო, ქალი გაწითლდა, რადგან სახალხოდ საუბარი არ შეეძლო. ყველა დაითხოვეს. სახლთუხუცესის, მოურავისა და მდივნის თანდასწრებით, ქალმა თქვა, რომ იდაღო დიელო დე ლა ლიანის ქალია, ათი წელიწადია, დედის გარდაცვალების შემდეგ, მამას გამოკეტილი ჰყავს ოთახში, გოგონა ღამდამობით უფროს ძმას სთხოვს ტანსაცმელს (ცვლიან სამოსს) და ქალაქში დადის. ქალს სურს ნახოს ქვეყანა და შემოიაროს ქუჩები. მალე მისი ძმაც მოიყვანეს პოლიციელებმა. მათი დატყვევებისათვის სერიოზული მიზეზი არ არსებობდა, ამიტომ ორივე შინ გაუშვეს.

მოურავს ძალიან შეუყვარდა ეს ქალი და გადაწყვიტა მისი ხელი ეთხოვა, გუბერნატორს კი ქალის ძმა თავისი სანჩიკასთვის მოეწონა.



თავი L

სადაც ირკვევა, თუ ვინ იყვნენ დუენიის გამწკებლავი და დონ კიხოტის დამჩქმეტი და დამკაწვრელი ჯადოქრები და ჯალათები, და მოთხრობილია ისიც, თუ როგორ მიაღწევა წერილი ჰერცოგის ცოლის პაჟმა სანჩო პანსას ცოლს, ტერესა სანჩას

ვინ გაწკებლა დუენია და ვინ დაჩქმიტა დონ კიხოტი?

დონა როდრიგესის წასვლა, რაინდის ოთახისკენ, ცნობისმოყვარე მეზობელმა, დუენიამ, იგრძნო, უკან გაჰყვა, არ უნდოდა ბეზღობასა და ჭორიკნობაში თავის ამხანაგებს ჩამორჩენოდა, დაადგინა რაშიც იყო საქმე და ჰერცოგის ცოლს ამცნო ყოველივე. მან კი ქმარს უამბო და ნებართვა სთხოვა ალტისიდორა წაეყვანა და და გაეგო დონა როდრიგესს დონ კიხოტი რისთვის დასჭირდა. ისინი რაინდის ოთახთან მიიპარნენ, მოსაუბრეებს

მოუსმინეს, ქალბატონის დუგუნების საიდუმლოს შესახებაც რომ გაიგონეს, გაბრაზებულნი შეცვივდნენ შიგ, დონ კიხოტი დაკაწრეს და დუენია გაწკეპლეს.

ალტისიდორა და ჰერცოგის ცოლი, ამის შემდეგ, მიიმალნენ. სენიორამ ეს შემთხვევა ქმარს უამბო და ამით ასიამოვნა. მან გადაწყვიტა ისევ გაეგრძელებინა დონ კიხოტის გაპამპულება. ის პაჟი, რომელიც მოჯადოების ცრუ გაუქმებაში დულსინეს როლს ასრულებდა, გაუშვა ტერესა პანსასთან, გაატანა სანჩოს წერილი და თავისი საკუთარი ბარათიც, საჩუქრად კი მარჯნის დიდი მანიაკი გაუგზავნა.

მხიარული ხასიათის პაჟი სიამოვნებით გაემგზავრა, სოფელს რომ მიუახლოვდა, მდინარესთან, მრეცხავი ქალების ჯგუფში, აღმოაჩინა სანჩიკა, სანჩოს შვილი, რომელიც გაუძღვა სტუმარს თავისი სახლისკენ, მოუხმო დედამისს, ბატონმა ჩვენი კეთილი მამისაგან წერილი და ნივთები მოიტანაო.

ღარიბულად ჩაცმული ტერესა პანსა, ორმოც წელზე მეტი ხნისა ჩანდა, ის შავგვრემანი, გამრჯე და სოფლის ღონიერი დედაკაცი იყო.

პაჟი ჩამოხტა ცხენიდან, მოწიწებით მოიდრიკა მუხლი და მიმართა: „**ნება მიბოძეთ ხელზე ვეამბორო დონ ა* ტერესა პანსას, კუნძულ ბარატარიის სრულუფლებიანი გუბერნატორის დონ სანჩო პანსას საკუთარ და კანონიერ მეუღლეს**“ [2,375].

ქალმა შეჰყვირა, გლეხი ვარ, მიწის მუშის ქალი, მოგზაური საჭურველმტვირთველის და არა გუბერნატორის ცოლი... პაჟმა გაუმეორა: „**ბატონი მაღალ აღმატებული გუბერნატორის მეუღლე ბრძანდებით**“...მან წერილი და საჩუქარი გადასცა. ტერესა და სანჩიკა გაოცდნენ. გოგონამ დაასკვნა, მამილოს ბატონი დონ კიხოტი, დაპირებისამებრ, მისცემდაო გუბერნატორობას.

პაჟმა, ტერესას თხოვნით, წაიკითხა წერილი (ქალმა კითხვა არ იცოდა), რომელიც XXXVI თავში უცვლელადაა მოცემული, ამიტომ აქ არ ვიმეორებთ.

ჰერცოგის ცოლის წერილში ეწერა:

„საყვარელო ტერესა, თქვენი ქმრის, სანჩოს, სულისა და გონების ჩინებულმა თვისებებმა მაიძულეს ჩემი ქმრისთვის, ჰერცოგისთვის, მეთხოვა ერთ-ერთი თავისი მრავალრიცხოვანი კუნძულის გუბერნატორად დაენიშნა სანჩო. ახლა შევიტყვე, რომ თქვენი ქმარი არწივისებრ გუბერნატორობს; ამან მე მეტად გამახარა, ხოლო ჰერცოგი, ჩემი ქმარი, ხომ უფრო უმეტესად. ათასჯერ ვმადლობ ზენას, რომ არჩევანში არ მოგტყუვდი. კარგი გუბერნატორის შოვნა, უნდა მოგახსენოთ, ძალიან ძნელია, და ღმერთმა ქნას, ყველა ისეთი უხინჯო იყოს, როგორც თქვენი ქმრის გამგეობაა. ნეტავი ღმერთმა ისეთი ნიჭი და უნარი მე მომმადლოს, არას ვინაღვლებდი.“

გიგზავნით, ჩემო ტურფავ, მარჯნის მანიაკს ოქროს დუგმებით და, თან სურვილს ვაყოლებ, რომ ეს მანიაკი აღმოსავლეთის მარგალიტებისა ყოფილიყოს. მაგრამ თქვენ, უეჭველია, იცით ანდაზა: „**ვინც ძვალს გადმოგიგდებს, შენს სიკვდილს არ მოელოდებო**“. დრო მოვა, რომ თქვენთან მოვალთ, გნახავთ, ერთმანეთს გავიცნობთ და მაშინ, ღმერთმა უწყის, რა შეიძლება მოხდეს. ჩემ მაგიერ თქვენს ქალს სანჩიკას აკოცეთ

და უთხარით - წამოსასვლელად მოემზადოს, მე მწადია კარგი საქმრო ვუშოვო და ჩინებულადაც დავაბინავო, როდესაც მაგას ამის მოლოდინი ყველაზე ნაკლებად ექნება.

ამბობენ, თქვენს სოფელში თურმე ბევრი მსხვილი და ტკბილი რკო იშოვება, გეთაყვა, ერთი ოციოდე ცალი გამომიგზავნეთ; თქვენი ხელიდან მიღებული, იგი ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასი იქნება. თქვენი ყოფაცხოვრების და კარგამყოფობის ამბავი დაწვრილებით მომწერეთ და, თუ რამე გჭირიათ, საკმარისია თქვით და ყველაფერი თქვენი სურვილისამებრ გაკეთდება. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. მიეცა ჩემს მამულში.

თქვენი მოყვარული მეგობარი

ჰერცოგის ცოლი“[2,376–377].

ტერესა აღფრთოვანდა ქალბატონის უბრალოებითა და სიკეთით, სანჩიკას სთხოვა სტუმრად მოსული ბატონისთვის საგანგებო სადილი გაემართა, თვითონ გადაწყვიტა ქმრის მეგობრებთან, მღვდელთან და დალაქთან, ოსტატ ნიკოლასთანაც, მისულიყო, სასიხარულო ამბის სათქმელად.

პაჟმა სანჩოს მიერ გამოგზავნილი საგანგებო წმინდა მაუდის ტანსაცმლითაც გაახარა დედა-შვილი.

მღვდელი და კარასკო წერილებმაც და მარჯნის მანიაკმაც ძალიან გააკვირვა. გამოყვინენ ტერესას. პაჟი ცხენს ცოტა ქერს უცხრილავდა, ხოლო სანჩიკა სადილს ამზადებდა. სამსონმა, მისალმების შემდეგ, სტუმარს უთხრა, წერილები წავიკითხეთ, მაგრამ ხმელთაშუა ზღვის ყველა კუნძული მის უდიდებულესობას - მეფეს ეკუთვნის, სანჩო კი რას განაგებსო. პაჟმა მიუგო, „ბატონი სანჩო გუბერნატორია...მის სამფლობელოში ათას მცხოვრებზე მეტი ითვლება. ხოლო ქალბატონი ჰერცოგის მეუღლე რომ რკოსა სთხოვს, იმაში საკვირველი არაფერია; ის ძალიან უბრალო და თავმდაბალია“[2,379].

ტერესამ სურვილი გამოხატა, მადრიდსა ან ტოლედოში მიმავალი ენახა ვინმე, თავისთვის საუკეთესო ტანსაცმლის ყიდვა დაევალებინა, რათა გუბერნატორის ფარდი გამოჩენილიყო, მერე სასახლეში მივიდოდა, კარეტაში ჩაჯდებოდა, გუბერნატორი ერთ კარეტას ხომ უყიდიდა? სანჩიკამ დაამატა, ქალბატონ დედაჩემის გვერდით კარეტაში გამოვიჭიმებიო. მღვდელმა და ბაკალავრმა იცინეს ტერესას სიტყვებზე. ქალი სანჩიკასთან განაგრძობდა საუბარს: „ყველა ეგ სიამოვნება და ბევრიც სხვა, უფრო დიდი, ყველა წინადადე მიქადაგა ჩემმა კეთილმა სანჩომ“[2,380]. ქალი ქმრის სიტყვებს იხსენებდა და იმოწმებდა საუბრისას... მას „ან და ზ ე ბ ის მ ა მ ა“ [2,380] უწოდა.

როდესაც სანჩიკამაც თქვა: „ვინც დიდ მანდილოსნად მნახავს, იტყვის: „აგერ უცქირეთ - ძალს საყელური შეაბეს და თავის ამხანაგს ვეღარ ცნობსო“[2,380]. მღვდელმა გაიკვირვა: „ამ პანსას ოჯახში ყველას დაბადებიდანვე ერთი ტომარა ანდაზა დაჰყოლია თან“[2,381], პაჟმა მიუგო: „ბატონი გუბერნატორი სანჩოც ყოველ ნაბიჯზე ანდაზას ამბობს... თუმცა ბევრჯერ უალაგოდაც იტყვის ხოლმე“[2,381].

ბაკალავრმა გაოცება ვერ დამალა, სანჩო ნუთუ მართლა გუბერნატორია...ეს ბატონი დონ კიხოტის ოინი ხომ არ არის, თავის გარშემო ყველაფერი მოჯადოებული რომ ჰგონია...პაჟო, ვინ ხართ, „ელჩი, აჩრდილი თუ ხორცშესხმული ადამიანი?“

პაჟმა თქვა, რომ ნამდვილად ჰერცოგის ცოლმა გამომგზავნა, მან და თავისმა მეუღლემ სამფლობელო მისცეს სანჩოს და გუბერნატორი გახადეს, მაგრამ ეს ჯადოქრობაა თუ რა, ამაზე თქვენ იკამათეთო...

მღვდელმა სტუმარი თავისთან მიიპატიჟა სადილზე, რადგან, მისი თქმით, ტერესას პაჟის გამასპინძლების სურვილი უფრო მეტი აქვს, ვიდრე საშუალება. ისიც დათანხმდა.

ბაკალავრმა ტერესას უთხრა, საპასუხო წერილს დაგიწერო, მაგრამ ქალს იგი ყბედ და ლაზღანდარა კაცად მიაჩნდა და მისი შეთავაზება უარყო, სხვას დააწერინა.



თავი LI

სანჩოს შემდგომი მართვა-გამგეობისა და სხვა ჭეშმარიტად შესანიშნავი ამბების შესახებ

გუბერნატორმა კუნძული შემოიარა. მოურავმა ღამე იმ ქალზე ფიქრებში გაატარა, ქუჩაში რომ შემოეფეთათ, მამაკაცურად ჩაცმული. სახლთუხუცესი ბატონებისთვის სანჩოს ქმედებებზე (გონიერება და სისულელე დომხალივით რომ არეოდა ერთმანეთში) წერდა ანგარიშს.

დილით, ექიმმა სანჩოს, მურაბისა და ორიოდე ყლუპი ცივი წყლის მეტი, არაფრის მირთმევის ნება არ დართო. დაარწმუნა, მსუბუქი და ნაზი საჭმელი გონებას ახალისებსო.

საჭურველმტვირთველს შიმშილი აწუხებდა, გუნებაში შეჩვენებას უთვლიდა თავის გუბერნატორობასაც და იმასაც, ვინც მას ეს თანამდებობა მისცა.

ვიღაც უცნობი კაცი ეწვია, რაღაც საკითხის გასარკვევად. მან გუბერნატორს ასეთი რამ უამბო:

ერთი მემამულის მიწებს მდინარე ყოფს შუაზე. მასზე გადებული ხიდის ბოლოს სახრჩობელა დგას, იქვე სამსჯავროა გამართული, ზის ოთხი მსაჯული, რათა კანონის აღსრულებას ადევნოს თვალი. ხიდზე მოსიარულე ადამიანებმა უნდა განაცხადონ, სად მიდიან, რა საქმეზე, მსაჯულები მატყუარას ჩამოახრჩობენ, მართალს უშვებენ. ერთხელ ერთმა კაცმა თქვა: „ვფიცავ ღმერთს, იმიტომ მივდივარ, რომ ამ სახრჩობელაზე ჩამომკიდონო“. შეცბუნებულმა მსაჯულებმა თქვეს: რომ გავუშვათ, გამოდის, რომ იცრუა და უნდა მოკვდეს, რომ ჩამოვახრჩოთ...მან ხომ დაიფიცა, იმიტომ მივდივარ, რომ ამ სახრჩობელაზე ჩამომკიდონო...ესე იგი, მართალი თქვა და კანონით მისი ჩამოხრჩობის უფლება არა გვაქვსო...გადაწყვეტილებას ვერ ღებულობენ, თქვენთან გამომგზავნეს იმის საკითხავად, როგორ მოვიქცეთო.

სანჩომ მას უთხრა, ტყუილად გარჯილან, რადგან: „ჩემს სხეულს მეტი ხორცი აქვს, ვიდრე ჩემს გონებას გამჭრიახობა“[2,384].

უცნობს ერთი და იგივე ამბავი ორჯერ გაამეორებინა, მერე კი თქვა: „კაცის ის ნაწილი, რომელმაც მართალი თქვა, უნდა გაუშვან, ხოლო ის ნაწილი, რომელმაც იცრუა, უნდა ჩამოახრჩონ. ამგვარად ზუსტად იქნება დაცული ხიდზე გადასვლის ყველა პირობა“[2,384].

კაცმა მიუგო, ასეთ შემთხვევაში არც გამშვებაა საჭირო და არც ჩამოხრჩობა, რადგან ის ადამიანი ორ ნაწილად უნდა გაიჭრასო...

სანჩოს საბოლოო გადაწყვეტილებით, კაცისთვის უნდა მიეტევებინათ, რადგან: „მართლმსაჯულების სასწორზე დასჯისა და პატიების მიზეზები თანასწორნი არიან, და მაინც ცუდისა და ბოროტის ქმნას კარგისა და კეთილის ჩადენა სჯობია“... გუბერნატორმა განაცხადა, რომ, ამჯერად, დონ კიხოტის სიტყვები გაიმეორა, რაინდმა ამგვარი დარიგებები სანჩოს კუნძულზე საგუბერნატოროდ წამოსვლის წინა ღამეს მისცა...

სახლთუხუცესმა განაცხადა, სასამართლო საქმეების გარჩევა დასრულდაო (მას სურდა, იმ საღამოს ერთი უკანასკნელი ოინიც გაეთამაშა სანჩოსთან და კომედიაც დამთავრებულიყო) ამჯერად, როგორც გესიამოვნებათ, საკვები ისე მიირთვითო, უთხრა მას და გაახარა.

„გუბერნატორმა“ სადილი რომ მიირთვა, სასადილო ოთახში შიკრიკი შემოვიდა და დონ კიხოტის წერილი გადასცა..

მდივანმა წაიკითხა:

წერილი დონ კიხოტი ლამანჩელისა სანჩო პანსასთან, კუნძულ ბარატარიის გუბერნატორთან

იმ დროს, როდესაც, ჩემო მეგობარო სანჩო, შენი უთაურობის, სისულელის და სიბრყველის ამბებს მოველოდი, პირიქით, შენი ბრძნული საქციელის ამბავი მივიღე. ამაში მე ზენაარსის განსაკუთრებული წყალობა დავინახე, ნეხვიდან ღარიბის ამომყვანისა, სიბრძნის სინათლით სულელი ადამიანის განმანათლებლისა. ამბობენ, შენ გამგებლობ, ვითარცა კაცი, და კაცადვე შთენილს უტყვ პირუტყვამდის დამცირება მოგიხერხებია. მაინც კი გეტყვი, სანჩო, თუ გვინდა ჩვენი ღირსება დავიცვათ, საჭიროა ხანდახან ჩვენი სულის თავმდაბლობაზე ზეავმალდეთ; საზოგადოების მაღალ საფეხურზე მდგარი კაცი მოვალეა თავისი ხარისხის მოთხოვნილების შესაფერისად დაიჭიროს თავი და არა თავისი ბუნებრივი მიდრეკილების კვალობაზე. კარგად ჩაიცვი და დაიხურე, სანჩო, მ ო რ თ უ ლ ი ჯ ო ხ ი ჯ ო ხ ა დ რ ო დ ი ღ ა მ ო ჩ ა ნ ს. იმას არ ვამბობ, ბაბთებითა და ძვირფასი თვლებით მოირთო და სამოქალაქო წარჩინებულმა სამხედრო ტანისამოსი ჩაიცვა, - იმას ვამბობ, რიგიანად, სუფთად და შენი წოდების შესაფერისად გამოეწყო. ერთხელ კიდევ გეტყვი (წინათ ხომ გითხარი), ყველას მართებულად და ალერსიანად მოექეცი და ყოველგვარი ღონით ხალხის საზრდოზე იზრუნე და გახსოვდეს, რომ უ ბ ე დ უ რ ს, ღ ა რ ი ბ ს, ი ს ე ძ ლ ი ე რ ა რ ა ფ ე რ ი ჩ ა გ რ ა ვ ს, რ ო გ ო რ ც შ ი მ შ ი ლ ი. შენი საგამგეოს მცხოვრებთა გულს ამით მოინადირებ.

ბევრი ქალაღდისა და ბრძანების წერას ნუ მოჰყვები, ეცადე შენი წერა და ბრძანება მარტო საქმეს შეიცავდეს, მეტადრე კიდევ იმას ეცადე, შენი ბრძანება უთუოდ აღსრულებული იყოს. თუ არ იქნება, ჯობს არც კი რამ უბრძანო. ბრძანების აუსრულებლობა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ გამგეს მათ გამოსაცემად საკმაო სიბრძნე და უფლება ჰქონია, მაგრამ საკმაო გამბედაობა და ძალა ჰკლებია მათ აღსასრულებლად. შ ე ს ა შ ი ნ ე ბ ლ ა დ დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი და ა რ ა ს ო დ ე ს ა რ ა ლ ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი ი მ ღ ო რ - ბ ა ყ ა ყ ე ბ ს მ ე ფ ე - ჯ ი რ კ ს ე მ ს გ ა ვ ს ე ბ ი ა ნ, პ ი რ ვ ე ლ შ ი რ ო მ თ ა ვ ი ს ი ს ა ნ ა ხ ა ო ბ ი თ შ ე ა შ ი ნ ა, შემდეგში კი ა გ დ ე ბ უ ლ ი და შ ე უ რ ა ც ხ ყ ო ფ ი ლ ი შ ე ი ქ მ ნ ა მ ა თ გ ა ნ, რომ ბაყაყები კისერზე შეახტებოდნენ ხოლმე. მამად ექმენ სიქველეს და მამინაცვლად ბიწიერებას. მუდამ ნუ იქნები სასტიკი, ნურც მუდამ მოწყალე, ამ ორ უკიდურესობის შუა იმოქმედე. საპყრობილეები, ბაზრები, სასაკლაოები, საყასბოები ინახულე ხოლმე; ამ ადგილებში უფროსის გამოჩენა მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმეა. განაჩენების მომლოდინე პატიმარნი ანუგეშე. სასტიკად მოეპყარ ყასბებსა და ვაჭრებს, ძალა დაატანე, საქონელი ჯეროვანი წონისა და ზომისა გაყიდონ. თუ ძუნწი ხარ, ხარბი, ქალების ამყოლი (ვფიქრობ, რომ ასეთი არა ხარ!), - ეცადე ეს ნაკლულოვანება ხალხის თვალს მოარიდო; ეს თუ შეიტყო, მეტადრე იმ ხალხმა, ვისაც ოდესმე მთავრობასთან რაიმე საქმე ექნება, სუსტი მხრიდან მოგივლის, ჩქარა დაგბალთავს და დალუპვის უფსკრულამდის მიგიყვანს. წაიკითხე და გადაიკითხე, გაიხსენე და დაიხსომე რჩევა-დარიგება, რაც კუნძულზე წასვლამდის დაგიწერე. ის რჩევა-დარიგება გაგიადვილებს შრომას და საშუალებას მოგცემს ყველა ის დაბრკოლება დამლიო, რაც გამგეთ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებათ ხოლმე. ჰერცოგს წერილი მოსწერე, უმადურ კაცად ნუ ეჩვენები, ვინაიდან უ მ ა დ უ რ ო ბ ა ა მ პ ა რ ტ ა ვ ნ ო ბ ი ს შ ვ ი ლ ი ა და ქვეყანაზე უდიდესი ცოდვია. ა დ ა მ ი ა ნ ი ს მ ა დ ლ ი ე რ ი ღ ვ თ ი ს მ ა დ ლ ი ე რ ი ც ა რ ი ს, რომლისგანაც მოელის და კვლავაც მიიღებს დიდთა და დიდთა წყალობათა.

ქალბატონმა ჰერცოგის მეუღლემ შენს ცოლთან, ტერესა პანსასთან, საგანგებოდ კაცი გაგზავნა შენი სანადირო სამოსითა და სხვა საჩუქრებით. მისგან ყოველწამს პასუხს ველით. მე ცოტა უქეიფოდ ვიყავ, კატამ სახე დამიკაწრა და ცხვირიც ცოტა ცუდად მქონდა, მაგრამ ამას ყური არ ვათხოვე. თუ ჯადოქრები არსებობენ, ჩემთვის ბოროტისმქნელნი, სამაგიეროდ ისეთებიც არიან ამ ქვეყანაზე, რომ დამიცვან და ჩემი კეთილისმყოფელნი იყვნენ. შემატყობინე, ტრიფალდის საქმეში შენი სახლთუხუცესი რამე მონაწილეობას იღებდა თუ არა. შენ თითქოს ეჭვი შეიტანე იმაზე, საერთოდ შემატყობინე, რაც შეგემთხვეს, - ჯერ ხანად ხომ ერთმანეთთან ახლო ვართ. ვაპირებ ჩქარა დავეთხოვო ამ უქმს, ჩემთვის მოსაწყენ ცხოვრებას. მე ასეთებისთვის არა ვარ გაჩენილი. დასასრულ, გეტყვი, რომ ციხე-დარბაზში რაღაც-რაღაცა მოხდა ისეთი, რომ შეიძლება ჩემდამი ჰერცოგისა და მისი ცოლის უკმაყოფილება გამოიწვიოს. თუმცა ეს ძალიან არ მესიამოვნება, მაგრამ არცთუ ძალიან სამწუხაროა ჩემთვის: ბოლოს და ბოლოს მე მოვალე ვარ უფრო ჩემი წოდების დანიშნულებას ვემორჩილებოდე, ვიდრე სხვის სიამოვნებას ვცდილობდე, ვინც უნდა იყოს ის სხვა, თანახმად ცნობილი ნათქვამისა: *amicus Plato, sed magis amica veritas* ამას ლათინურად ვწერ იმ ფიქრით, რომ, უეჭველია, რაც გუბერნატორი გახდი, ამ ენას უკვე ისწავლიდი. მშვიდობით და ღმერთი იყოს შენი მფარველი

შენი მეგობარი

დონ კიხოტი ლამანჩელი“[2,387].

სანჩოს კარნახით მდივანმა პასუხი დაწერა:

„ს ა ნ ჩ ო პ ა ნ ს ა ს წ ე რ ი ლ ი დ ო ნ კ ი ხ ო ტ ლ ა მ ა ნ ჩ ე ლ თ ა ნ

იმდენი საქმე მაქვს, თავის მოსაფხანადაც ვერ ვიცლი, ფრჩხილებიც კი ვერ დამიჭრია და ამიტომ ისე ძალიან გამეზარდა, რომ მეტი აღარ შეიძლება.

ამიტომ გწერთ, თქვენო მოწყალეზავ, ჩემო ძვირფასო ბატონო, არა სწუხდეთ ჩემთვის, რომ აქამდის ჩემი ამბავი ვერ შეგატყობინეთ, არც კარგი და არც ცუდი, არც ჩემი გუბერნატორობისა, რომლის დროსაც მე უფრო მეტ შიმშილს ვითმენ, ვიდრე იმ დროს იყო, როდესაც მე და თქვენ ტყე-ღრეებში დავეხეტებოდით.

იმ დღეს ჰერცოგმა, ჩემმა მეუფემ, მომწერა: კუნძულზე რამდენიმე ჯაშუში შემოგპარვია და შენი მოკვლა უნდათო, მაგრამ აქამდის ჯერ არც ერთი არ აღმომიჩენია, გარდა ვინმე ერთი ექიმისა, რომელიც ამ კუნძულზე ყველა გუბერნატორის მოსაკლავად და სულის გასაცხოვრებლად ყოფილა ჯამაგირით დანიშნული; მისი სახელი არის პედრო რესიო, სოფელ ტირტეაფურადან შთამომავლობს. ყურადღება მიაპყარით, თქვენო მოწყალეზავ, მის სახელს და მიზრძანეთ, იმისი ხელით სიკვდილისა არ უნდა მეშინოდეს? თვითონ ამბობს: ავადმყოფებს კი არა, კარგადმყოფებს ავად გახდომამდის ვკურნავო, რომ ავად არ გახდნენო, და ამისთვის მარტო ერთ წამალს უწერს - ფ ა რ ე ზ ს და ამ ფარეზით ჩქარა იქამდის მიმიყვანს, რომ ძვლები ტყავიდან თავებს გამოჰყოფენ, - თითქოს სიგამხდრე ციებაზე უკეთესი იყოს. იგი შიმშილით ნელა-ნელა მკლავს და ბოლოს მიღებს, ლამის ჯავრისაგან მოკვცდე. ვფიქრობდი, ამ გუბერნატორობაში ცხელ საქმელს, გრილ სასმელს, ლბილ დოშაკს, ჰოლანდიურ თეთრეულს ვიშოვიდი, ის კი არა თუ, თითქოს ბერი ვიყო, აქ ცოდვების მოსანანიებლად გამოგზავნილი, და, რადგან ჩემი

ნებით სულაც არ ვიგვემავ თავს, ამიტომ, მგონია, ბოლოს და ბოლოს - ამ გუბერნატორობიდან ეშმაკი გადმომათრევს.

აქამდის ჯერ არათუ ჯამაგირი და არც რამე შემოსავალი მიმიღია, არამედ ისიც არ ვიცი, ეს სახელები რასა ჰქვია. მე კი ისე გამიგონია, გუბერნატორები რომ კუნძულის განსაგებლად მიდიან, იმაზე ზრუნავენ, რომ მათ მისვლამდე კუნძულებმა ბლომად ფულები მიუტანონ ან ასესხონ და, როგორც ამბობენ, სხვა გუბერნატორებიც ამავე ჩვეულებას მისდევენო.

გუშინ საღამოს, კუნძულს რომ ვათვალიერებდი, ერთი ძალიან ლამაზი ქალი შემხვდა, ვაჟურად ჩაცმული, თანაც ქალურად ჩაცმული ძმა ჰყავდა. ის ქალი ჩემს მოურავს შეუყვარდა და გუნებაში მისი შერთვა გადაწყვიტა; მე კიდევ განვიზრახე იმ ქალის ძმას ჩემი ქალი შევრთო. ამაზე დღეს უნდა მოველაპარაკო იმ ყმაწვილების მამას, ვილაც ძველთაძველ ქრისტიანს, იდალგო დიელო დე ლა ლიანას.

ბაზრებს მოვივლი ხოლმე, როგორც თქვენი მოწყალეობა მირჩევს, და გუშინ ერთი ვაჭარი დედაკაცი ვამხილე, ახალი კაკლის გამყიდველი. კაკალი გავსინჯე და კალათაში ნახევარი ძველი, დამძალი და ფუჭი კაკალი ეყარა. სულ ერთიანად თავმესაფარში დაბინავებული ობლებისათვის ჩამოვართვი, იმ საწყლებმა ძველი და ახალი კაკალი ერთმანეთში ვერ გაარჩიეს; ვაჭარ დედაკაცს კიდევ ვუბრძანე - ორ კვირას ბაზარში აღარ გაიჭაჭანო-მეთქი! ამ ბრძანებით ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ. ჩვენში ამ კუნძულზე, თქვენო მოწყალეობავ, ამბობენ, ამ ბაზარში მოვაჭრე დედაკაცებზე უარესი აღარავინ არისო, ყველანი უსინდისო და უსირცხვილო გაიძვერები არიანო. მე ეს მჯერა, რაკი ვიცი, თუ რანი არიან სხვა მხარის ვაჭარი დედაკაცები.

ძალიან გამიხარდა, რომ შევიტყვე, ქალბატონ ჰერცოგის მეუღლეს წერილის მიწერა უნებებია ჩემ ცოლთან, ტერესა პანსასთან, და როგორც მწერთ, საჩუქრებიც გაუგზავნია. თავის დროზე ვეცდები ამისი სამაგიერო მადლობა გადავუხადო. გთხოვთ, თქვენო მოწყალეობავ, ჩემს მაგიერ ხელზე აკოცოთ და უთხრათ: ძირგავარდნილ ტომარაში არ ჩაგიგდია შენი სიკეთე-თქო. ამას თავის დროზე საქმით დაინახავს.

ნეტავი თქვენს მოწყალეობას ჩემს ბატონ ჰერცოგთან და მის ცოლთან არაფერი უსიამოვნება არ მოუვიდეს. თქვენ რომ იმათ წაეჩხუბოთ, მაშინ, აშკარაა, მთელი ვაივაგლახი ჩემს თავზე დატრიალდება; თქვენ ხომ თვითონ მირჩევთ ყოველთვის მათი მადლიერი ვიყო? ამიტომ მათთან უმადურება არც თქვენ გმართებთ, - იმათ თავის ციხე-დარბაზში ხომ ისე მოწყალედ და ალერსიანად მიგიღეს!

ვერ გავიგე, კატების რა გაკაწვრაზე ბრძანებთ, რომ მწერთ, - უთუოდ თქვენი მდევნელი ჯადოქრების ახალი რამ ოინი უნდა იყოს! მაგრამ ამას მაშინ გავიგებ, როდესაც ერთმანეთს ვნახავთ.

მინდოდა თქვენი მოწყალეებისათვის რამე საჩუქარი გამომეგზავნა, მაგრამ არ ვიცი კი რა? იქნებ ოყნის ბუმტიანი საშხაპუნებელი გიამებთ? აქ მეტად კარგებს აკეთებენ. თუ გუბერნატორობა გამიგრძელდა და რაიმე მანქანებით ხელიდან არ წამივიდა, მაშინ მთელ კუნძულს გადავატრიალებ და ერთ კარგ გუბერნატორულ საჩუქარს გამოგიგზავნით.

ვინიცოხაა ჩემი ცოლის, ტერესა პანსას წერილი იყოს, გთხოვთ, მომტანს რაც ერგებოდეს, უბოძოთ და ის წერილი საჩქაროდ გადმომიგზავნოთ. ძალიან მინდა

გავიგო ჩემი ცოლისა და ქალის ამბავი. ახლა კი ღმერთს ვთხოვ თქვენს მოწყალეობას ბოროტი ჯადოქრები აშოროს და მეც საღსაღამათად გამაშოროს ამ გუბერნატორობისაგან, რომელიც, მგონია, ბოლოს მომიღებს, თუ იმას მივდიე, რასაც ექიმი პედრო რესიო მიმართავს.

უმორჩილესი მონა თქვენი მოწყალეობისა, გუბერნატორი სანჩო პანსა“[2,389].

მდივანმა წერილი გაგზავნა, შიკრიკის ხელით. ოინების მომწყობებმა მოილაპარაკეს, როგორ მოეშორებინათ გუბერნატორი თავიდან.

ნასადილევს, სანჩომ, „ო ც ნ ე ბ ი თ ი კ უ ნ ძ უ ლ ი ს“ მცხოვრებთა კეთილდღეობის საკითხებს მოახმარა დრო. მისი და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი ასეთი იყო:

უნდა შეეწყვიტათ სანოვანის ჩარჩული ყიდვა-გაყიდვა;

ყოველი მხრიდან ღვინის შემოტანის ნება დართო, იმ პირობით, რომ გაეგოთ, რამდენად კარგი ხარისხისა იყო და ფასი სადაურობის მიხედვით დაედოთ; ყალბი ან წყალნარევი ღვინისთვის სიკვდილით დასჯა დაადგინა;

შეამცირა ტანისამოსისა და ფეხსაცმლების ფასი...

მოსამსახურეთა ხელფასს ნიხრი დაუწესა;

მკაცრი სახჯელი დაუდგინა იმ მომღერლებს, რომლებიც დღისითა და ღამით ქუჩებში უწმაწური და მიუღებელი შინაარსის ლექსებს მღეროდნენ;

დაადგინა, რომ ბრმა გლეხებს მოწყალეობის თხოვნის დროს არ ემღერათ სასწაულებზე, რომელთა სინამდვილის დამტკიცებას ვერ შეძლებდნენ;

ღარიბებს საკუთარი ალგვასილები დაუნიშნა მათ სადევნელად კი არა, არამედ იმიტომ, რომ ნამდვილი ღარიბები აღმოეჩინათ;

ჯანსაღ ლოთებსა და უმაქნის ქურდბაცაცებს უნდა აკრძალვოდათ განგებ ამოჰფარებოდნენ ხეიბრობასა და ცრუ იარებს;

... იმდენი კარგი და შესანიშნავი დადგენილება და განკარგულება გამოსცა, რომ იმ მხარეში დღემდისაც ასრულებენ იმ კანონებს შემდეგი სახელწოდებით: ს ჯ უ ლ ი ს დ ე ბ ა დ ი დ ი გ უ ბ ე რ ნ ა ტ ო რ ი ს ს ა ნ ჩ ო პ ა ნ ს ა ს ი.



თავი LII

სადაც მოთხოვნილია მეორე დამწუხრებული, ანუ უფრო სწორად, შეჭირვებული, დონა როდრიგესად წოდებული დუენიის ფათერაკი

დონ კიხოტმა ჰერცოგის ციხე-დარბაზის დატოვება გადაწყვიტა, იფიქრა, მოგზაურ რაინდებს უქმი ცხოვრება არ შეეფერებათო, უნდოდა მასპინძლებს გამოთხოვებოდა, წასულიყო ს ა რ ა გ ო ს ა შ ი, სადაც ტურნირი იმართებოდა, იმედი ჰქონდა გაიმარჯვებდა და ჯილდოდ აბჯარს მიიღებდა. მასპინძლებთან ერთად, მაგიდასთან მჯდომი, გამომშვიდობებას აპირებდა, მაგრამ, ამ დროს, დარბაზში ორი შაოსანი ქალი

შემოვიდა, ერთმა რაინდის ფეხებთან დაიჩოქა, ოხვრა-ვაება გამართა. მასპინძლებმა იფიქრეს, ეს, ალბათ, მსახურების მიერ მოგონილი ახალი ოინი იქნებაო, მაგრამ გაცდნენ, როდესაც დუენია დონა როდრიგესი შერჩათ ხელში. მეორე კი მისი ქალი იყო, მდიდარი მეურნის ვაჟისაგან მოტყუებული. ჰერცოგი და მისი ცოლი დონა როდრიგესს ჭკვიანად არ თვლიდნენ, მაგრამ მაინც არ მოელოდნენ, ასეთ სისულელეს თუ ჩაიდენდა...

დონა როდრიგესს ჰერცოგმა ნება დართო ელაპარაკა დონ კიხოტთან, ქალმა რაინდს შეახსენა: „მე უკვე გიამბოთ, რაც დაგვემართა და სანამ მოგზაურობას დაიწყებდეთ, გთხოვთ, ჯერ ის აღვირახსნილი, საზიზღარი გლეხუჭა გამოიწვიოთ ხმალში და ძალა დაატანოთ თავისი აღთქმა აასრულოს და ჩემს ქალზე ჯვარი დაიწეროს“...

დონ კიხოტმა გადაწყვიტა ყმაწვილის მოძებნა. ჰერცოგი დაპირდა, დამნაშავეს, ყველა დადგენილი წესის შესასრულებლად, დარბაზში დავიბარებო. რაინდმა განაცხადა, რომ მას ბრძოლაში იწვევდა, მაგრამ მოწინააღმდეგე უარს თუ იტყოდა, დამნაშავე უნდა მომკვდარიყო.

რაინდმა ხელთათმანი წაიძრო და დარბაზის შუა ნაწილისკენ მოისროლა. ჰერცოგმა აიღო, ბრძოლის დღედ, დღეიდან, მეექვსე დღეს ვაცხადებო, ციხე-დარბაზის წინ, მოედანზე, მოწინააღმდეგეები რაინდთა იარაღით (რომელთაც თილისმა ან რაიმე სიყალბე არ უნდა ჰქონოდათ) იქნებიან აღჭურვილები, ხოლო დუენიამ და მისმა თავჯარიანმა ქალმა, თავიანთი საქმის დაცვის უფლება დონ კიხოტს უნდა ჩააბარონო.

დაბრუნდა პაჟი, ტერესა პანსას წერილი და საჩუქრები რომ გადასცა. მოიტანა საპასუხო წერილებიც (რომლებიც აქ უცვლელადაა მოცემული).

ჰერცოგის ცოლმა კითხვა დაიწყო:

„ტერესა პანსას წერილი ჰერცოგის ცოლისადმი“

ჩემო ქალბატონო, დიდად გამახარა თქვენი უმაღლესობისაგან ჩემდამი მოწერილმა წერილმა. მართალი უნდა ვთქვა, დიდი ხანია იმის მიღების სურვილი მქონდა. მარჯნის მანიაკი საუცხოოა და ლამაზი და ჩემი ქმრის სანადირო ტანისამოსი ხომ ისეთია, რომ არაფერში არ გავცვლი. მთელ ჩვენს სოფელს მეტად გაუხარდა, როცა გაიგო, რომ თქვენ გინებებიათ და ჩემი ქმარი სანჩო პანსა გუბერნატორი გაგიხდიათ, თუმცა ეს არავის სჯერა და მეტადრე მღვდელს, დალაქ ნიკოლასს და ბაკალავრ სამსონ კარასკოს. მაგრამ ეს არ მაწუხებს, ოღონდ კი ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის; მაშინ ყველამ დაე ისა თქვას, რაც ნებავს. მართალი რომ ვთქვა, უმარჯნოდ და უიმსანადირო-ტანისამოსოდ თვითონ მეც არ დავიჯერებდი, რომ ჩემი ქმარი, რომელსაც აქ დიდ სულელად თვლიან - გუბერნატორია, და არავის არ შეუძლია წარმოიდგინოს იგი სხვა რამ გუბერნატორად, თუ არა თხების გუბერნატორად. მაგრამ ღმერთი იყოს მაგისი მწყალობელი და ან წარმართოს მთელი მისი საქმე ჩვენი შვილების საკეთილდღეოდ.

ხოლო მე, ჩემი სულის ძვირფასო ქალბატონო, რადგან მსურს, როგორც იტყვიან, ჩემი სახლი გავაბედნიერო, ბეჯითად გადავწყვიტე, თქვენი მოწყალების ნება დართვით, კარეტაში გამოჭიმული წამოვიდე სასახლეში და ამით ათას ჩემს მოშურნეს, უკვე რომ გამიჩნდა, თვალი გამოვთხარო. ამიტომ, გთხოვთ, თქვენო უგანათლებულებსობავ, ჩემს

ქმარს ურჩიოთ, ცოტა ფული გამომიგზავნოს, მაგრამ კი მთლად ნუ იძუნწებს. სასახლეში, ვიცი, ხარჯი დიდია. ერთი პატარა პური რეალი ღირს, გირვანქა ხორცი - ოცდაათი მარავედისი, - საშინელებაა. და თუ ჩემს ქმარს არ უნდა წამოვიდე, მაშინ ეს ჩქარა შემატყობინეთ; ფეხები მეტად მერჩიან წამოსასვლელად. ჩემი ტოლი ქალები და მეზობელი მანდილოსნები ამბობენ, შენ რომ შენი ქალით სასახლეში გამოპრანჭული გამოცხადდე, შენი ქმარი ამის გამო უფრო სახელოვანი შეიქმნება, ვიდრე შენაო! რადგან მაშინ ბევრი იკითხავს: „ეს ვინ მოდის კარეტითაო“, და ერთ-ერთი ჩემი ფარეში უპასუხებს: „ეს ქალია და ეს კი მეუღლე სანჩო პანსასი, კუნძულ ბარატარიის გუბერნატორისაო“. ამგვარად სანჩო სახელოვანი შეიქმნება, მე ქებას დამიწყებენ, ხოლო რომი ყველა ჩვენთაგანისათვის იზრუნებს!

როგორ ვწუხვარ, ამის თქმაც არ შემეძლია, რომ წელს ჩვენში რკო არ მოვიდა, მაგრამ მაინც ნახევარი ბათმანი ჩემი ხელით მოვკრიფე ტყეში, სულ თითო-თითოდაა არჩეული და გიგზავნით, მეტი ვერ გიმოვ; როგორ მენატრება, თითო სირაქლემას კვერცხის ტოლა რომ ყოფილიყო.

არ დაივიწყოთ, ჩვენო დიდებავ, ჩემთან წერილის მოწერა, ხოლო მე ვეცდები პასუხი მოგწეროთ ხოლმე, ჩემი ამბავი და ყველაფერი შეგატყობინოთ, რაც ხდება ჩვენს სოფელში, სადაც ვშთები თქვენი უგანათლებულესობისათვის ღვთის მავედრებელი, რათა გფარავდეთ თქვენ და მეც მისი მოწყალებით ნუ დამივიწყებთ. ჩემი ქალი სანჩიკა და ჩემი ვაჟი თქვენს მოწყალებას ხელზე ეამბორებთან.

გწერთ ის, ვისაც თქვენი უგანათლებულესობის ნახვა უფრო უნდა, ვიდრე წერილის მიწერა.

თქვენი მსახური

ტერესა პანსა“[2,393-394].

დონ კიხოტს სთხოვეს „გუბერნატორთან“ მიწერილი წერილიც წაეკითხა:

„ტერესა პანსას წერილი მისი ქმრის სანჩო პანსასადმი

შენი წერილი მივიღე, ჩემო სულისდგმავ - ჩემო სანჩო, და როგორც ქრისტიანი კათოლიკე, ვფიცავ, ცოტას გაწყდა სიხარულით ჭკუიდან არ შევიშალე, როცა გავიგონე, რომ შენ, ჩემო მეგობარო, გუბერნატორი გახდი, - არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ მოხდა, იქვე სული რომ არ გავანთხიე. ხომ იცი მოულოდნელი სიხარული ისევე ადვილად ჰკლავს ადამიანს, როგორც მოულოდნელი მწუხარებაო; სანჩიკამ კიდევ ქვედა საცვალი ჩაისველა და სიხარულისგან ვერც კი გაიგო. შენს გამოგზავნილ ტანსაცმელს ვუცქეროდი, ქალბატონი ჰერცოგის მეუღლისაგან გამოგზავნილი მანიაკიც ყელზე გავიკეთე, წერილებიც ხელში მეჭირა; ჰერცოგის ცოლის გამოგზავნილი კაციც ჩემ თვალთა წინ მედგა და მაინც ისე მეგონა, ყველა ეს, რასაც ხელით ვეხებოდი და თვალთა ვხედავდი, სიზმარში მეჩვენებოდა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ თხის მწყემსი კუნძულის გუბერნატორი გახდებოდა? ხომ იცი, ჩემო ტურფავ, დედაჩემი იტყოდა ხოლმე, დიდი ხნის სიცოცხლეა საჭირო, რომ ადამიანმა ბევრი რამ ნახოსო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იმედი მაქვს კიდევ ბევრი რამ ვნახო, თუ ბევრს ვიცოცხლებ, და მგონია ვერ მოვისვენო, მანამ ბაჟების მოიჯარადრედ ან ხარჯის ამკრებად არა გნახავ; ეს ისეთი თანამდებობაა, რომ, თუმცა ეშმაკებს მიაქვთ იმათი თავი, ვისაც ცუდად მიჰყავს საქმე, მაინც ფულს ბევრს შოულობენ.

ქალბატონი ჰერცოგის ცოლი ჩემს სურვილს შეგატყობინებს, რომ სასახლეში წამოსვლა მინდა. ამაზე იფიქრე და შენი თანხმობა შემატყობინე, - ვეცდები პატივი დაგლო და კარეტაში გამოჭიმული გეახლო.

მღვდელს, დალაქს, ბაკალავრს და თვითონ მნათესაც არა სჯერათ, რომ შენ გუბერნატორი ხარ; ამბობენ, ვითომ ყველა ეს ისეთივე სიცრუე ან ჯადოქრობა უნდა იყოს, როგორც ყველა ფათერაკია, რაც შენს ბატონს დონ კიხოტს დაემართა. სამსონი იმასაც კი ამბობს, რომ წამოვა და შენი თავიდან გუბერნატორობას გამოხერტყავს, ხოლო დონ კიხოტის ტვინიდან კიდევ მის სისულელეს. ამ ჩემს მარჯნის მანიაკს ვუცქერი, ჩემ თავად ვიცი თანაც შენს ტანისამოსსა ვზომავ, რომ ჩემს ქალს გადავუკეთო.

ქალბატონ ჰერცოგის ცოლს რკო გავუზავნე, ნეტამც რა იქნებოდა, ოქროისად გადაქცეულიყო ის რკო. ეგებ მარგალიტის რამე მანიაკი გამომიგზავნო, თუ მაგ შენს კუნძულზე ატარებენ ასეთ მანიაკებს.

ჩვენი სოფლის ახალი ამბები ეს არის: ბარუეკამ თავისი ქალი ერთ ვიღაც წყალწაღებულ მხატვარს მიათხოვა, - ეს მხატვარი საიდანღაც მოვიდა და სურდა, რასაც კი შეუკვეთდნენ, ყველაფერი გადაეხატა. სოფლის სამმართველოს სათათბირომ შეუკვეთა - სამეფო ღერბი გადაეხატა, სათემო გამგეობის კარიბჭის შესავალში რომ ჰკიდია, იმ თხუპნიამ სამუშაოს შესრულებაში ორი ოქრო ითხოვა, მისცეს კიდევ. რვა დღე იმუშავა და რვა დღის უკან გამოაცხადა. ამდენი წვრილმანის დახატვა არ შემიძლიაო. ფულები უკან დააბრუნა. ამას მაინც არ დასდიეს და როგორც ხელოვანმა მხატვარმა ცოლი შეირთო, მაგრამ ახლა ყალამსა და ფუნჯს თავი დაანება, ხელში ბარი აიღო და ლატაკი აზნაურივით ყანაში წავიდა. პედრო დე ლობოს ვაჟმა ხარიხები მოხვეტა, ტონზურა შეიკვეცა და მღვდლობას აპირებს. ეს მინგო სილვატოს შვილიშვილმა მინგილომ რომ გაიგო, დავა აუტეხა, რადგან იმისთვის სიტყვა მიუცია - ცოლად შეგიერთავო; ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, ვითომც მისგან ფეხმძიმედაც იყოს, მაგრამ ქალი ამაზე არაფერს ამბობს.

წელს ზეთისხილს არ ასხია და მთელ სოფელში ერთ წვეთ ძმარს ვერ იშოვი. ჩვენს სოფელზე ერთმა რაზმმა ჯარმა გაიარა და თან სამი გოგო გაიყოლა, არ გეტყვი კი ვინ არიან, იქნება უკანვე დაბრუნდნენ და კეთილი ხალხი ვინმე გამოჩნდეს, მათი სიკარგე და სიცუდე არ გაარჩიოს და ცოლად შეირთოს.

სანჩიკა მაქმანებსა ქსოვს და ყოველდღე რვა მარავედისს ნაღდსა შოულობს, ყულაბაში აგროვებს სამზითვოდ, მაგრამ ახლა, რაკი გუბერნატორი ხარ, მზითევს შენ დაუმზადებ; თავის შრომით ფულების შოვნა აღარ დასჭირდება.

ჩვენს მოედანზე რომ შადრევანი და აუზი იყო, გაფუჭდა და ამოშრა; მეხმა კიდევ სახრჩობელა დალეწა. ნეტამც მთელი ქვეყნის სახრჩობელებიც ასე დაუღეწია!

ამ წერილის პასუხსა და შენს დასტურს ველი, რომ სასახლეში წამოვიდე. ახლა კი ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, ან იმდენ ხანს მაინც, რამდენ ხანსაც მე მაცოცხლებს. არ მინდა, რომ უჩემოდ მარტო დარჩე ამ ქვეყანაზე.

შენი ცოლი

ტერესა პანსა“[2,394-396].

წერილები შეაქეს, იცინეს, რაღაცები გაუკვირდათ და მოეწონათ კიდევაც.

ამ დროს გუბერნატორთან გაგზავნილი შიკრიკი მოვიდა და დონ კიხოტს სანჩოსგან წერილი მოუტანა. ხმამაღლა წაიკითხეს.

პაჟმა ჰერცოგის ცოლს ტერესასგან ძღვნად გამოგზავნილი რკო და ყველი მიართვა.



თავი LIII

სანჩო პანსას გუბერნატორობის სამწუხარო ბოლო და დასასრული

სანჩოს გუბერნატორობა, მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს მ ე შ ვ ი დ ე დ ლ ე ს, ბოლად იქცა და გაცამტვერდა...

ლამით, როდესაც საქმეების განხილვით, მრავლად გაცემული რჩევით, დადგენილი კანონებითა და შედგენილი განაჩენებით, დაღლილი სანჩო დასაძინებლად დაწვა, მოისმა გრიალი, ხალხის ხმაური, ზარების რეკვა, დაფდაფების ბრაზუნის და საყვირების ხმები. შეშინებული წამოხტა, ჩაცმაც ველარ მოასწრო, კარებს მივარდა. ტალანში ოცზე მეტი ხმლიანი და ჩირაღდნიანი კაცი შემოვიდა ყვირილით: კუნძულს მტერი დაესხა თავს, იარაღი აიღეთ, გვიწინამძღვრეთო. ცოცხალმკვდარმა და გაშტერებულმა სანჩომ თქვა, რომ იარაღისა არაფერი გაეგება. როცა შეუტიეს, როგორ თუ არ გაგეგებო, მოითხოვა აღეჭურვათ იარაღით.

პერანგისამარა გუბერნატორს „ორი დიდი ფარი მიაკრეს, ერთი წინ, მეორე უკან, ხელები გამოჭრილებში გააყრევინეს და მერე ორივეზე თოკი შემოუჭირეს, ორ ფიცარს შუა გაჩრილ სანჩოს არც დაძვრა შეეძლო, არც სხვა მიხრა-მოხრა, მხოლოდ თითისტარივით სწორად უნდა მდგარიყო. ხელში შუბი მიაჩჩეს, რომ ძირს არ დაცემულიყო და ასე შებოჭილს სთხოვეს - წინ გასძლოლოდა მათ და ბრბო გაემხნევებინა, თან არწმუნებდნენ გუბერნატორს, ვიდრე ჩვენს კომპასად, მანათობელ ვარსკვლავად და შუქურად გვეყოლები, ჩვენი საქმე კარგად და ჩინებულად იქნებაო“[2,398].

სანჩო მოძრაობას ვერ ახერხებდა, ვიღაცამ დაუძახა, შეშინებული ხარ და იმიტომ ვერ მოძრაობო. საბრალო გუბერნატორმა დაირცხვინა, დაიდრა და დაეცა: „დარჩა თავის აბჯარში როგორც კუ ანუ როგორც ორ ვარცლს შუა ლორის ნაჭერი, ანუ კიდევ როგორც ნაპირზე გამორიყული მოპირქვავებული ნავი“[2,398].

კერეონები და ჩირაღდნები ჩაქრა. გუბერნატორის ფარს იარაღით ურტყამდნენ, სანჩოს ფეხით ქელვა დაუწყეს, რომ არ მოკუნტულიყო, სიცოცხლესაც გამოასალმებდნენ. სისხლსა და ოფლში გაწურული საჭურველმტვირთველი ღმერთს სთხოვდა, ამ ვაივაგლახისაგან ეხსნა.

სადარაჯო კოშკიდან, ვიღაც მასხარა ბრძანებას აძლევდა ჯარებს, რაც ხელში მოგხვდებათ, ბრძოლაში ყველაფერი იარაღად გამოიყენეთო.

სანჩო დუდუნებდა: „ღმერთო, ნეტავ ჩქარა აიღონ ეს კუნძული, ბარემ მომკლან და ამ საშინელი ტახჯვისაგან გამათავისუფლონ“[2,399]. მალე შეძახილი გაისმა:

გავიმარჯვებო, ადექით, გუბერნატორო, ნადავლი გაგვიყავით, თქვენი მამაცი და უძლეველი ხელით მტერს რომ წავართვიოთ.

სანჩო წამოაყენეს, მან თქვა: „თუ მართლა მე გავიმარჯვე, ჩემი დამარცხებული მტრის შუბლზე მიმალურსმნეთ“...ნადავლის გაყოფაზე უარი თქვა. მოითხოვა ერთი ყლუპი ღვინო და ტანის გამშრალემა. ყველაფერი შეუსრულეს. უგრძობლად ჩაწვა ლოგინში. ხუმრობის მომწყობები სინანულში ჩაცვივდნენ, რადგან ძალიან გადააჭარბეს, მაგრამ სანჩო თანდათან გონს მოვიდა, დრო იკითხა. რიჟრაჟდებოდა. ტანთ ჩაცმა დაიწყო, ოთახიდან წყნარად გავიდა, ამაღლა უკან გაჰყვა. თავის ლურჯასთან მივიდა, მოეხვია, ნაზად შუბლზე აკოცა და თვალცრემლიანმა უთხრა: „მოვედ ჩემდა, ჩემო ამხანაგო, ჩემო მეგობარო და თანაშემწევ შრომასა და მწუხარებაში; წავიდეთ, ჩემო ერთგულო; როდესაც მე და შენ მშვიდობიანად და თანხმობით ვცხოვრობდით, ყველა ჩემი ფიქრი და აზრი მხოლოდ შენ დაგტრიალებდა, მუდამ იმას ვზრუნავდი, მორთულ-მოკაზმული მყოლოდი და შენი პატარა მუცელი კარგი საკვებით ამომევესო, მაშინ ჩემი საათები, დღეები და წლები ბედნიერად მიმდინარეობდნენ. მაგრამ როდესაც მიგატოვე, ცრუ დიდებისა და ამპარტავნობის კოშკებზე ზეავმალდი, მას აქეთ ათასი უბედურება, ათასი მწუხარება და ათასი შეჭირვება დამატყდა თავს“ [2,400].

სანჩომ შეკაზმა ვირი, შეჯდა, მერე მიუბრუნდა სახლთუხუცესს, მოურავს, მდივანს, ექიმ პედრო რესიოს და ყველა იქ მყოფთ: „ჩამომეცალენით, ბატონებო, ნება მომეცით ჩემს უწინდელ თავისუფალ ცხოვრებას დავუბრუნდე, ნება მომეცით ამ სიკვდილისაგან აღვსდგე. საგუბერნატოროდ არა ვარ დაბადებული და არც ნიჭი მაქვს მტრებისაგან დავიცვა კუნძულები, გინდ ქალაქები. ჩემი საქმე მიწის ხვნა და ბარით მუშაობაა, ურმის მართვა, ვენახის მოვლა და არა კანონების წერა, თემებისა და სახელმწიფოების მართვა და დაცვა. წმიდა პეტრეს ადგილი რომშია, ხოლო ყველა ჩვენგანი მაშინ არის თავის ადგილზე, როდესაც თავის საქმეს აკეთებს და რისთვისაც ის დაბადებულია“ [2,400]. ყოფილმა გუბერნატორმა ვრცლად ისაუბრა...

სანჩოს თავისი მუშაობის ანგარიში მოსთხოვეს, მან თქვა, რომ მხოლოდ ჰერცოგის წინაშე ვალდებული, წარუდგინოს დოკუმენტი: „მთლად ცარიელი გავდივარ გუბერნატორობიდან. ამაზე უკეთესი საბუთი სხვა რომელიღა გინდათ იმის დასამტკიცებლად, რომ მე ანგელოზივით ვმართავდი ამ კუნძულს? [2,401].

იქ მყოფებს ცოტა ქერი სთხოვა ვირისათვის და თავისთვის კიდევ ცოტა პური და ყველი. ყველას გადაეხვია. კეთილი სანჩო გაისტუმრეს.



თავი LIV

სადაც ლაპარაკია ამბებზე, რომლებიც სწორედ ამ ისტორიას შეეხება და არავითარ რაიმე სხვას

ჰერცოგსა და მის ცოლს დონა როდრიგესის შვილის ამბავი არ სურდათ უყურადღებოდ დაეტოვებინათ, მაგრამ გაიგეს, რომ ქალის შეურაცხმყოფელი ანჩხლ

სასიდედროს ფლანდრიაში გაქცეოდა. ჰერცოგმა გადაწყვიტა მის ნაცვლად თავისი გასკონელი მსახური, ტოლოლო, წარედგინა. ცრუსასიძო დაარიგა, როგორ მოქცეულიყო ბრძოლისას. რაინდს კი განუცხადა, მოწინააღმდეგე ოთხი დღის შემდეგ გამოცხადდება და შეეცდება დაამტკიცოს, რომ ქალი ტყუის, ამბობს, ცოლად შერთვის პირობა არ მიმიციაო.

დონ კიხოტი კმაყოფილი იყო იმით, რომ შემთხვევა ეძლეოდა ციხე-დარბაზის პატრონებისთვის ეჩვენებინა, თუ როგორი ძალოვანი იყო.

სანჩომ დატოვა „ბარატარია“, ის თავის ბატონთან ბრუნდებოდა, მასთან ყოფნა მთელი ქვეყნის კუნძულის გამგეობას ერჩივნა(არც იცოდა თვითონ სად გუბერნატორობდა: კუნძულზე, ქალაქში, დაბასა თუ სოფელში). კუნძულთან ახლოს ექვსი გლახა დაინახა, ყავარჯნებით, გალობით ითხოვდნენ მოწყალებას. სანჩომ ერთი ნაჭერი ყველი და პური მიაწოდა, თან ანიშნა, მეტი არაფერი მაქვსო. ისინი გაუგებარ ენაზე(გაიძახოდნენ: „გელტე, გელტე“, რაც ფულს ნიშნავს), ერთ-ერთმა ქისა უჩვენა, მაგრამ სანჩომაც მიახვედრა, რომ უფულო იყო. ვირს მათრახი ჰკრა და წასვლა დააპირა, მაგრამ ერთ-ერთმა გლახამ ესპანურ ენაზე დაიყვირა: „ნუთუ ეს ჩემი კეთილი მეზობელი სანჩო პანსაა?“[2,403].

ის სანჩოს მეზობელი გლეხი, სოფლის მეწვრილმანე, მავრი რიკოტე, აღმოჩნდა. საჭურველმტვირთველს გაუკვირდა ფრანგულ სამოსში მორთული (ვითომ გერმანელი) ნაცნობის ხილვა, დაინტერესდა, როგორ გაბედა ამგვარად აქ მოსვლა...

მოხუცმა რიკოტემ სანჩო თავის ყმაწვილკაც ამხანაგებთან ერთად ტყეში მიიწვია, დასანაყრებლად. მრავალფეროვანი სანოვაგე და ექვსი ტიკჰორა ღვინო ჰქონდათ. სანჩო „არც წუხდა, არცა ნაღვლობდა“[2,404], ყველაფერი მოსწონდა, იცინოდა, ავიწყდებოდა რაც კი რამ თავისი გუბერნატორობის დროს თავს გადახდა. რიკოტესა და სანჩოს გარდა, ყველამ ხვრინვა ამოუშვა, მეზობლებმა მეტი ჭამეს და ნაკლები დალიეს, სხვებთან შედარებით.

„რიკოტემ წმინდა ესპანური ენით, მავრული სიტყვების შეურევლად“ სანჩოს შემდეგი უამბო: მეფემ ბრძანება გამოსცა, რომ „საცოდავ ერს“ [2,405], მავრებს, უნდა დაეტოვებინათ ესპანეთი. მოხუცმა ზრუნვა დაიწყო, სადმე დაბინავებულიყო. ყველაზე ადრე დატოვა საცხოვრებელი, ეგონა ძმურად მიიღებდნენ ბერბერისა და აფრიკის სხვა ადგილებში, მაგრამ მოტყუვდა, მოისურვა ჯერ ენახა ბევრი ქვეყანა... საფრანგეთი დანიტალიაში, იქიდან გერმანიაში წასულიყო. მოეჩვენა, რომ: „ყველაზე თავისუფლად გერმანიაში შეიძლებოდა ცხოვრება. იქ ყველა ისე ცხოვრობს როგორც ეხერხება... იქ ყველგან სინდისის სრული თავისუფლებაა“[2,406]. რიკოტე დაბინავდა აულსურგის ახლოს, დაუამხანაგდა მომლოცავ მგზავრებს, რომლებიც ყოველ წელს ესპანეთში მოდიან, წმიდა ადგილების თაყვანსაცემად, რაიმეს შოვნის იმედიც აქვთ. ასე აღმოჩნდა აქ, მათ ესპანელები უმასპინძლებიან, ესკუდოს შოულობენ, ოქროზე სცვლიან, მერე კი ტანისამოსსა და გახვრეტილ ყავარჯნებში ინახავენ, ნავსადგურისა და საზღვრის მეზაჟეებს უმაღავენ...

რიკოტემ თქვა, რომ განძი (ფული)აქვს გადანახული მიწაში, სოფლისგან მოშორებით. ვალენსიიდან ალჟირში უნდა წავიდეს, რათა იქიდან საფრანგეთში, მერე კი გერმანიაში წაიყვანოს ქალი რიკოტა და ცოლი ფრანცისკა, რომლებიც ჭემმარიტი

ქრისტიანები არიან და თვითონაც უფრო ქრისტიანია, ვიდრე მავრი. მოხუცს უკვირდა, რომ მისი ქალი და ცოლი ბერბერიის ქვეყანაში იყვნენ წასული და არა საფრანგეთში. სანჩომ უთხრა, შენმა ცოლისძმამ, ხუანო ტიოპიეომ, წაიყვანა...დამარხული განძის სამებნელად, შეიძლება ტყუილად მიდიხარ, იმიტომ, რომ საბაჟოში გასინჯვისას შენს ცოლს და ცოლისძმას, თურმე, ბევრი ფული და მარგალიტი დაეკარგათ...

რიკოტემ თქვა, რომ არავისთვის უთქვამს, ფული სად შეინახა, სთხოვა სანჩოს მის ამოღებაში დახმარებოდა, სანაცვლოდ ორას ესკუდოს დაპირდა, მაგრამ საჭურველმტვირთველმა უარი უთხრა, ხარბი არა ვარ, თორემ საუკეთესო ადგილს არ დავტოვებდი...გარდა ამისა: **„მეფეს ვუღალატებ, მის მტერს რომ ვუშველო, ვერ წამოგყვები, თუნდაც ორასი ესკუდოს მაგიერ ახლავ ნაღდად ოთხასი დამითვალო“**[2,407].

სანჩომ უთხრა მეზობელს, აქვე, ოთხი მილის დაშორებით, ბარატარიის კუნძულის გუბერნატორად ვმუშაობდიო...რიკოტემ გაიკვირვა, კუნძულები ზღვაშია და არა აქო... მაგრამ მოსაუბრემ არ მოუსმინა. მოხუცმა ხელმეორედ სთხოვა დახმარება სანჩოს, მან უპასუხა, არ გაბეზლებ და ისიც იკმარე, გახსოვდეს: **„რაც კეთილად არის ნაშოვნი, ის ხშირად იკარგებაო, და რაც სიცუდის გზითაა ნაშოვნი, ის მშოვნელიანად იკარგებაო“**[2,408]. ბოლოს მან რიკოტეს უამბო ცოლისა და ულამაზესი ქალის (რომელიც პედრო გრეგორიოს უყვარდა...)წასვლის ამბავი.

ძველი ნაცნობები ნაზად გადაეხვივნენ ერთმანეთს, გადაჰკოცნეს და სხვადასხვა გზას დაადგნენ...



თავი LV

რა შეემთხვა გზაზე სანჩოს და სხვა ამბები, რომლის უმჯობესს კაცი ვერაფერს გამოიგონებს

ჩამოხნულდა. ჰერცოგის ციხე-დარბაზამდე ნახევარი მილი დარჩა გასავლელი. სანჩომ ღამის გასათევ ადგილს დაუწყო ძებნა და გზიდან გადაუხვია. შენობების ნანგრევებს შუა იყო ბნელი და ღრმა ორმო, რომელშიც ვირიანად ჩავარდა. ექვსი-შვიდი ადლის სიღრმეზე მოექცა, მაგრამ არაფერი დაშავებია, ჯურღმულის კედლები ხელის ცეცებით მოსინჯა, დარწმუნდა, რომ სხვის დაუხმარებლად იქიდან ამოსვლა ძნელი იყო.

„კუნძულის გუმბინდელი გუბერნატორი“ [2,410] დღეს ცოცხალი იმარხებოდა. თავისი ბატონის ბედი როდი ჰქონდა, მოჯადოებული მონტესინოსის მღვიმეში რომ ჩავიდა და განსაცვიფრებელი სანახავეები რომ იხილა...სანჩო მოსთქვამდა, წუხდა. ასე შემოათენდა. დიდი ვაივაგლახით წამოაყენა მიწაზე უძრავად დაგდებული ვირი, ხურჯინიდან პურის ნაჭერი ამოიღო და აჭამა. ცხოველმა სიამოვნებით მიირთვა. სანჩომ უთხრა: „პური აადვილებს ცის ქვეშ ცხოვრებას. იგი ყველაზე უებარი წამალია ამ ქვეყანაზე“ [2,411]. პანსამ კედელში გასასვლელი დაინახა, რომელშიც ადამიანს მხოლოდ დაჩოქილს შეეძლო გაძვრომა... წვეტიანი ქვით თხრა დაუწყო, ხვრელი გააგანიერა ისე, რომ ვირსაც შეძლებოდა სიარული... ნახევარი მილი გაიარა, გამოჩნდა შუქი და კედლის ნაპრალი დაინახა, რომელიც სხვა ქვეყანაში შესასვლელ კარებად მიიღო...

ამ დროს დონ კიხოტი დონა როდრიგესის ქალის შეურაცხყოფელთან ბრძოლის მოლოდინში იყო, წინა დღეს ციხე-დარბაზიდან გავიდა, უნდოდა გამოეცადა, მოპირდაპირეს როგორ შეებრძოლებოდა, ჩორთით გაუშვა როსინანტი და გადააწყდა ორმოს, რომლიდანაც ვიღაც შველას ითხოვდა. სანჩოს ხმას მიაღმგავსა, გაოცდა, ვინ ხარო, შეჰყვირა, ჯურღმულიდან უპასუხეს: „ვინ უნდა იყოს, თუ არა ბედშავი სანჩო პანსა, თავისი ცოდვების გამო და მუხთალი ბედის წყალობით კუნძულ ბარატარიას გუბერნატორი და სახელოვანი დონ კიხოტი ლამანჩელის საჭურველმტვირთველი“ [2,412]. რაინდმა ჩათვალა, რომ: „სანჩო უკვე მკვდარი იყო და მისი სული სალხინებელში იმყოფებოდა“ [2,412] იდალგომ მიუგო, თუ ტანჯული სული ხარ, რა უნდა ვქნა, საიქიო ცხოვრებაშიც შეგეწევი... „თუ ჩემი საჭურველმტვირთველი სანჩო პანსა ხარ, თუ სიცოცხლე განუტევე და შენი სული ჯოჯოხეთში არ არის, არამედ უფლის შემწეობით სალხინებელში იმყოფება, ჩვენი რომის კათოლიკე ეკლესიას თავისი ლოცვით შეუძლია შენი სული ტანჯვებიდან დაიხსნას; მეც ჩემის მხრივ, რითაც შემიძლია, დაგეხმარები“ [2,412].

სანჩომ ამოსძახა, არ მოვმკვდარვარ, გარკვეული მიზეზების გამო, გუბერნატორობა შევწყვიტე, გუმბინ სადამოს, ვირთან ერთად, ორმოში ჩავვარდიო.

დონ კიხოტმა, ციხე-დარბაზიდან, რამდენიმე დამხმარე მოიყვანა და სანჩო ამოიყვანეს.

„ამ ამბის შემსწრე ერთ-ერთმა სტუდენტმა თქვა:

- აი, როგორც ამ ცოდვილს, გაფითრებულს, შეწუხებულს, მშიერს და, როგორც მგონია, ჯიბეცარიელს ამოზიდავენ, სწორედ ისევე უნდა გაზიდონ თავთავიანთი საბრძანებლიდან ყველა ცუდი გუბერნატორი“ [2,413].

სანჩოს ეწყინა, სტუდენტს ცილისმწამებელი უწოდა, რვა თუ ათი დღეა, რაც გუბერნატორი ვარ და არასდროს ვყოფილვარ მამლარი, დრო არა მქონდა შემოსავალს მივკარებოდი და ღირსი არა ვარ, ასე შემაფასო, ღმერთმა ხომ ყველაფერი იცის და ჩემთვის ესეც საკმარისიაო.

დონ კიხოტი და სანჩო, ბავშვებითა და ხალხით შემორტყმული, ციხე-დარბაზს მიუახლოვდნენ, იქ ჰერცოგი და მისი ცოლი ელოდებოდნენ.

სანჩომ ჯერ ვირს მოუარა, დააბინავა და შემდეგ მასპინძლებს წარუდგა, დაუჩოქა მათ და ვრცელი სიტყვით მიმართა (გთავაზობთ შემოკლებით):

„... ჩემო სენიორებო, კუნძულ ბარატარიაზე გუბერნატორად ჩემი გაგზავნა ინებეთ, თუმცა ასეთი წყალობა არაფრით არ დამიმსახურებია; შიშველი და საწყალი წაველ იქ, შიშველივე და საწყალი დავბრუნდი, არც არაფერი მოვიგე და არც არაფერი წავაგე. ხოლო, თქვენს კუნძულს კარგად განვაგებდი თუ ცუდად, ამას ჩემი გამგეობის მოწმენი მოგახსენებენ. მე ვარჩევდი საჩივრებს და გამომქონდა განაჩენი მუდამ მშიერს, რადგან ასე სურდა დოქტორს პედრო რესიოს... ღამე მტერი დაგვესხა თავს და დიდ შიშში ჩავვაგდო... გუბერნატორობის... სიმძიმეს ...ჩემი ზურგი..ვერ ზიდავდა... ვიდრე გუბერნატორობა მე დამტოვებდა, თვითონ მე დავტოვე გუბერნატორობა. გუშინ დილით მივატოვე კუნძული ისეთივე, როგორც დამხვდა, იმავე ქუჩებით, სახლებითა და ბანებით, როგორც უწინ იყო. არავისაგან არა მისესხია რა და ჩემი გუბერნატორობიდან არაფერი სარგებლობა არ გამომიღია... რამდენიმე...დიდად სასარგებლო განკარგულება მოვახდინე... ჩემს ბრძანებას, უეჭველია, არავინ არ ასრულებს...გამეცა რამე ბრძანება, თუ არ გამეცა, ერთი და იგივე იქნებოდა. მე ისე დავტოვე კუნძული, როგორც მოგახსენეთ, რომ ჩემი ვირის მეტი არავითარი ამაღა არ გამომყოლია, გზაზე რაღაც ჯურღმულში ჩავვარდი, მთლად იქაურობა მოვიარე და, რომ ზენას მაშველად ჩემი ბატონი დონ კიხოტი არ მოეველინებინა, საუკუნოდ იქ დავრჩებოდი... როგორც პატარა ბიჭები იტყვიან ხოლმე თამაშობის დროს: „მაქედან ისკუპე და აქ ჩამოხტი“, მეც სკუპს ვშვრები გუბერნატორობიდან და ისევ ჩემი ბატონი დონ კიხოტის მსახური ვხდები“[2,414–415].



თავი LVI

დონ კიხოტ ლამანჩელის არნახული და უმაგალითო ბრძოლა ჰერცოგის მსახურ ტოსილოსთან - დუნია დონა როდრიგესის ასულის ღირსების დასაცავად

სახლთუხუცესმა ჰერცოგსა და მის ცოლს „გუბერნატორზე“ ყველაფერი უამბო, იმხიარულეს და კმაყოფილი დარჩნენ იმით, რომ სანჩოს გასამასხრებლად კუნძული

უბოდეს, მასპინძელმა მსახური ტოსილოსი დაარიგა, დონ კიხოტი დაემარცხებინა ისე, რომ არ დაეკოდა და არც მოეკლა. რაინდიც გააფრთხილა, სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლა არ შეიძლება, საეკლესიო წმიდა საბჭოსაგან ხმალში გაწვევა აკრძალულიაო.

ციხე-დარბაზის წინ, მსაჯულთა და მომჩივანთათვის ადგილი გამოყვეს. მახლობელი სოფლებიდან უამრავი ხალხი მოვიდა, ბრძოლის საყურებლად.

პირველად რიგის მიმცემი გამოვიდა, ადგილი დაათვალიერა, უსაფრთხო იყო თუ არა საასპარეზო ადგილი, მერე დუენია და მისი ქალი მოვიდნენ, პირბადით შებურულნი და დანიშნულ ადგილზე დასხდნენ, დონ კიხოტი უკვე მზად იყო, მალე ბრბოშემოხვეული მსახური ტოსილოსი მოვიდა ცხენით, პირისახეზე მოთარჯი ჰქონდა ჩამოშვებული და მძიმე, ელვარე აბჯარში იჯდა. ტოსილოსმა ასპარეზი მოიარა და თვალიერება დაუწყო ქალს, ვითომ ცოლად შერთვას რომ აძალებდნენ.

აივანზე ჰერცოგი და მისი ცოლი გამოვიდნენ.

პირობა ასეთი იყო: დონ კიხოტი თუ დაამარცხებდა მოწინააღმდეგეს, მას დონა როდრიგესის ქალი უნდა შეერთო. რაინდი თუ დამარცხდებოდა, მოწინააღმდეგე თავისუფლდებოდა ყოველგვარი ვალდებულებისაგან, ქალს არ შეერთავდა.

დონ კიხოტმა ღმერთსა და დულისინე ტობოსელს შეავედრა თავი და შერკინების ნიშანს ლოდინი დაუწყო, მაგრამ ტოსილოსი ისე დაიმონა ქალის სილამაზემ, რომ თავდასხმაზე სულაც არ ფიქრობდა.

დონ კიხოტი, ბუკის პირველსავე ხმაზე, გაექანა მოწინააღმდეგისაკენ. ტოსილოსი არ დაიძრა ადგილიდან. მან დაუძახა ასპარეზის გამგეს, თავს დამარცხებულად ვაცხადებ და თანახმა ვარ, ის ქალბატონი შევიერთოო.

რიგისმიმცემი ყურებს არ უჯერებდა, ჰერცოგი განრისხდა. ტოსილოსი დონა როდრიგესთან მივიდა და განუცხადა, მზადა ვარ თქვენი ასული ცოლად შევიერთოო. ამის გამგონე დონ კიხოტმა თავისი აღთქმა შესრულებულად ჩათვალა. ჰერცოგი მოედანზე გამოვიდა და მსახურს ჰკითხა, ამ ქალზე ჯვარს მართლა იწერო? მსახურმა დაუდასტურა. მერე მოთარჯი აიხსნა, როდრიგესმა და მისმა ქალმა შეჰყვირეს, ეს კანონიერი საქმრო არ არის, ჰერცოგის მსახურიაო. რაინდმა დაამშვიდა: „ეს სულ ჩემი მდევნელი ჯადოქრების საქმეა. იმათ შემურდათ, ჩემთვის რაც ამ ბრძოლაში დიდება უნდა მომეხვეჭა, და ამიტომ თქვენი საქმრო იმ კაცად გარდაქმნეს, რომელსაც თქვენ ჰერცოგის მსახურს ეძახით. მე დამიჯერეთ, ჯადოქრების ბოროტებას შეაფურთხეთ და ამ კაცს მისთხოვდით; ყოვლად უეჭველად ეს სწორედ ის კაცია, რომელიც თქვენთვის არის საჭირო“[2,419].

სანჩომ გაიხსენა, ამასწინათ, დონ კიხოტმა სარკეთა რაინდი დაამარცხა, რომელიც ბოროტმა ჯადოქრებმა ბაკალავრ სამსონ კარასკოდ გარდაქმნეს, დულისინე ტობოსელი უხემ გლეხის დედაკაცად აქციეს, მგონია, ამ მსახურის ბედისწერაც ის არის, მსახურადვე იცხოვროს და მსახურადვე მოკვდესო.

დონა როდრიგესის ასულმა თქვა: „ვინც უნდა იყოს ის, ვისაც ჩემზე ჯვრის დაწერა უნდა... მისი დიდი მადლობელი ვარ მსახურის კანონიერი ცოლობა სჯობია აზნაურის ხასად ყოფნას“[2,419].

გადაწყვიტეს ქორწილი ორი კვირით გადაედოთ, ამ დროის განმავლობაში ტოსილოსი უნდა ჩაეკეტათ, სანამ „ნამდვილ სახეს“ არ მიიღებდა.

„დონა როდრიგესი და მისი ქალი კმაყოფილნი დარჩნენ, რადგან ეს ფათერაკი ასე თუ ისე ქორწილით უნდა დაბოლოვებულიყო და ტოსილოსსაც ამაზე ძლიერ არა უნდოდა რა“[2,420].



თავი LVII

სადაც მოთხრობილია, თუ როგორ გამოეთხოვა ჰერცოგს დონ კიხოტი და რა შეემთხვა მას ჰერცოგის ცოლის მოახლესთან, გიჟმაჟ და ყოჩაღ ალტისიდორასთან

დონ კიხოტმა ჩათვალა, რომ უქმი ცხოვრება დანაშაულია, ფუფუნებასა და განცხრომაში, სიამოვნებასა და ნადიმებში გატარებული დღეების გამო, ოდესმე, ღვთისთვის ანგარიშის ჩაბარება მოუწევს. მასპინძლებს გამომშვიდობების ნებართვა სთხოვა. ჰერცოგი და მისი ცოლი სინანულით დათანხმდნენ.

სენიორამ სანჩოს თავისი ცოლის წერილი გადასცა. საჭურველმტვირთველმა თქვა, რომ ტერესას მშვენიერი იმედები ბოლივით გაქრა. მან ჰერცოგის მეუღლეს რკო რომ გამოუგზავნა, ეს კეთილისმყოფელისადმი მადლიერების გამოხატვაა და არა ქრთამი.

მეორე დღეს, დონ კიხოტი რაინდით აბჯარასხმული გამოვიდა, „სანჩო ჩემოდნით და სხვადასხვა საგზლით პირთამდის გატენილი ხურჯინით დატვირთულ ვირზე აფოფხდა - ამ წამში მთლად ბედნიერი იყო“[2,421]. ციხე-დარბაზის ყველა მცხოვრები მათ უცქერდა. ჰერცოგის სახლთუხუცესმა, ტრიფალდის როლი რომ ითამაშა, სანჩოს, დონ კიხოტის ნამალევად, ორასი ოქრო გადასცა, იქნებ გზაში დასჭირვებოდათ, ყოველგვარი მოულოდნელი შემთხვევისათვის...

უცებ, შუშაბანდში, ცელქი და ყაჩაღანა, მშვენიერი ალტისიდორას სიმღერა გაისმა. ლექსის ავტორი „მოღალატეს“ (დონ კიხოტს) მიმართავდა, მან ისეთ გოგონას აწყენინა, „რომლის მსგავსი არ უნახავს არც დიანას - მწვერვალებზე, არც ვენერას უღრანებში“. რაინდს, ასევე, თურმე, მიაქვს: „სამი თავსაფარი. წვივსაკრავი...“[2,422].

ალტისიდორამ სიმღერა რომ დაასრულა, დონ კიხოტმა სანჩოს ჰკითხა: „მართლა მიგაქვს თუ არა აქედან წვივსაკრავები და სამი თავსაფარი?“ სანჩომ მიუგო, სამი თავსაფარი მართლა მიმაქვს, მაგრამ წვივსაკრავები არ მინახავსო.

ჰერცოგის ცოლს ალტისიდორას თავხედობა გაუკვირდა, ის ქალბატონთან ამგვარ რამეებზე შეთანხმებული არ იყო.

ჰერცოგს მოუნდა ეს შემთხვევაც ხუმრობად ექცია და რაინდს უთხრა: „სამი თავსაფარი და ორი წვივსაკრავი გაგიტაციათ. ასეთი საქციელი სულ არ შეესაბამება თქვენგან მოხვეჭილ დიდებას...დაუბრუნეთ ამ ქალს თავისი წვივსაკრავები, თუ არადა მე ბრძოლაში გითხოვთ“[2,423].

რაინდმა მიუგო: „ღმერთმა დამიფაროს იმის წინააღმდეგ ხმალი ვიშიშვლო, ვინც თავის ციხე-დარბაზში ესოდენ ალერსიანად მიმიღო... თავსაფრებს დაუბრუნებ...წვივსაკრავები... არა მაქვს... არასოდეს არა ვყოფილვარ ქურდი და, მგონია, არც ვიქნები ჩემს სიცოცხლეში... გთხოვთ ჩემზე უკეთესი აზრისა იყოთ“[2,423].

ალტისიდორამ უცებ იპოვა წვივსაკრავები და ბოდში მოუხადა რაინდს.

ჰერცოგის ცოლმა მოგზაურ რაინდს ბედნიერება უსურვა.

დონ კიხოტი გამოემშვიდობა იქ მყოფთ და, სანჩოს თანხლებით, სარაგოსის გზას დაადგა.

თავი LVIII

სადაც მოთხრობილია, თუ როგორ დაატყდა თავს დონ კიხოტს ეგოდენ მრავალი ფათერაკი, რომ სულის მობრუნებაც აღარ აცალა

დონ კიხოტმა შვებით ამოისუნთქა, გამიჯნურებული ალტისიდორასგან გათავისუფლდა. აღფრთოვანებულმა თავისუფლების სიკეთეზე დაიწყო საუბარი. მისი აზრით, ჰერცოგის სასახლეში სიუხვე და ფუფუნება არ აკლდათ, მაგრამ საკუთრების უფლებით ვერ სარგებლობდა, მიაჩნდა, რომ „წყალობა ვალად ედებოდა“[2,425].

სანჩომ მაღლიერება გამოხატა ჰერცოგის მიმართ, სახლთუხუცესის სიკეთე, მისი ნაჩუქარი ორასი ოქროც (ყველა მოულოდნელი შემთხვევისათვის) ახსენა დონ კიხოტთან.

მოგზაურმა რაინდმა და მისმა საჭურველმტვირთველმა ერთი მილი რომ გაიარეს, თორმეტიოდე გლეხკაცი დაინახეს, მდელიოზე სადილობდნენ. გვერდით თეთრ ზეწრებში გახვეული, ტილოგადაფარებული საგნები ჰქონდათ დალაგებული.

დონ კიხოტი მიესალმა გლეხებს და ჰკითხა, რა ნივთები ელაგა ტილოს ქვეშ. მათ მიუგეს, რომ გამოქანდაკებული წმიდა ხატებია, სოფლის საყდრის კანკელისათვის მიაქვთ. ზურგით უნდა ატარონ... ტილო კი იმისთვის დააფარეს, რომ არ დამტვერიანდეს. რაინდმა სთხოვა, ეჩვენებინათ, ალბათ, კარგი ხატებია, რომ ასეთი სიფრთხილით მიგაქვთო.

ერთ-ერთმა გლეხმა რაინდს უთხრა, ორმოცდაათ ოქროზე ნაკლები არც ერთი არ ღირსო. სადილი შეწყვიტა, ადგა და ტილო გადახადა ხატებს, ერთი წმინდა გიორგისა იყო, მეორე-წმიდა მარტინესი, მესამეზე ესპანეთის მფარველი, დონ სანდიეგო მატამოროსი იყო გამოსახული, მეოთხეზე –წმიდა პავლე. დონ კიხოტმა თითოეული დაახასიათა. გლეხები მისი საუბრითა და გარეგნობით გაკვირვებულნი იყვნენ, რაინდი რაზე საუბრობდა, ნახევარიც ვერ გაიგეს, სადილის შემდეგ გამოეთხოვნენ ორივეს და გზას გაუდგნენ. საჭურველმტვირთველი თავისი ბატონის ცოდნით გაოცებული დარჩა. გლეხებთან

შეხვედრა კი მოეწონა, მთელი მათი მოგზაურობის განმავლობაში, ეს ყველაზე სასიამოვნო ფათერაკი იყო, რადგან უდავიდარაბოდ დამთავრდა.

მიუყვებოდნენ გზას და საუბრობდნენ იმაზე, რომ ცხოვრებაში ერთი და იგივე სიტუაცია არ მეორდება... ხატებთან შეხვედრა უბედნიერესი შემთხვევა იყო...ახსენეს მავრებთან ესპანელების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა...არ დავიწყებიათ ჰერცოგის ცოლის მოახლე ალტისიდორა...ისაუბრეს ხორციელი და სულიერი სილამაზის სხვადასხვაობაზე...იდალგოს გარეგნობაზე...

ფათერაკების მაძიებელნი ტყეში შევიდნენ. დონ კიხოტი ხეებს შორის გაბმულ მწვანე აბრეშუმის ბადეში მოჰყვა. ჩათვალა, რომ ეს უცნაური ფათერაკთაგანია, ჯადოქრებს იდალგოს გაბმა განუზრახავთ მახეში, ალბათ, ეს, ალტისიდორას ცუდად რომ მოექცა, იმისი საპასუხო სასჯელია.

მოულოდნელად, ფარჩის კაბებით შემოსილი, მშვენიერი, ლამაზი, ორი მწყემსი ქალი მოვიდა, მხრებზე კულულებად ეფინათ ღია ოქროსფერი თმა. თხუთმეტ-თვრამეტი წლისა იქნებოდნენ. მათმა დანახვამ სანჩო გააკვირვა, დონ კიხოტს კი თავსრეტი დაესხა. მდუმარებამ დაისადგურა. ჩვენმა მოგზაურებმა ქალებისგან გაიგეს, რომ ორი მილის დაშორებით მცხოვრებმა კეთილშობილმა ადამიანებმა გადაწყვიტეს, აქ გაატარონ დრო, „მწყემსურ არკადიას“ გამართავენ. მათაც, ამ დღისთვის, ორი ე კ ლ ო გ ა* ისწავლეს ზეპირად: „სახელოვანი პოეტის - გ ა რ ს ი ლ ა ს ო დ ე ლ ა ვ ე გ ა ს ი, მეორეც ნამდვილ პორტუგალიურ ენაზე, - სწორუპოვარი კ ა მ ო ე ნ ს ი ს ა“[2,430]. მათ რაინდი და მისი საჭურველმტვირთველიც მიიწვიეს ამ სასიამოვნო გართობაზე.

დონ კიხოტმა თავყანისცემით შეაქო ქალების სილამაზე, მაღლობა გადაუხადა მიწვევისათვისათვის, გააცნო თავისი ვინაობა.

„ ძვირფასო მეგობარო ჩემი სულისავ! - შეჰყვირა მეორე მწყემსმა ქალმა, - რა ბედნიერება გვეწვია, ჩემო სულო! ჩვენ გველაპარაკება ყველაზე უმამაცესი, ყველაზე მეტად შეყვარებული, ყველაზე მეტად ზრდილი რაინდი, როგორსაც კი ოდესმე ქვეყანაზე უცხოვრია. თუკი არა ცრუმბს და ბ ე ჭ დ ი ლ ი ა მ ი ს ი ს ა გ მ ი რ ო ს ა ქ მ ე თ ა ი ს ტ ო რ ი ა, რომელიც მე წამიკითხავს. გვერდზედაც, - სანაძლეოს დავდებ, თუ მისი საჭურველმტვირთველი სანჩო პანსა, ყველაზე მეტად საყვარელი და მახვილგონიერი ხუმარა კაცი არ ედგეს“[2,431].

„მთელს ესპანეთში სილამაზის დაფნით დაჯილდოებული დულსინე ტობოსელიც“[2,431] ახსენეს, მერე ერთ-ერთი მწყემსი ქალის ძმა მოვიდა, „აღმოჩნდა, რომ იმ ყ მ ა წ ვ ი ლ კ ა ც ს ა ც წ ა ე კ ი თ ხ ა მ ი ს ი ის ტ ო რ ი ა და ი ც ნ ო ბ და ო რ ი ვ ე ს“[2,431]. მან რაინდი მიიწვია თავის კარავში. ოცდაათზე მეტ კაცს ნადირობა გაემართა: „რომ შეიტყვეს, დონ კიხოტი და სანჩო გვესტუმრნენო, ყველას მეტად გაუხარდა, რაკი გ ა მ ო ჩ ე ნ ი ლ ფ ა თ ე რ ა კ ე ბ ი ს მ ა ქ ე ბ ა რ თ ა ი ს ტ ო რ ი ა ს ი ც ნ ო ბ დ ე ნ“[2,432].

საუზმის შემდეგ, დონ კიხოტმა (ტაბლის თავში იჯდა), უხვი სუფრიდან რომ ადგა, ხმამაღლა წარმოთქვა სიტყვა, ისაუბრა ცოდვის, სიამაყის, უმადურობის, სიკეთის,

მადლიერების, თავაზიანი მიღების შესახებ. მან კვლავ შეაქო ტურფა მწყემსი ქალები, რომლებიც, მიუხედავად თავიანთი მშვენიერებისა, დულსინეს (რაინდის ზრახვების ერთადერთ მფლობელს) მაინც ვერ გაუტოლდებოდნენ. საუბარში სანჩო ჩაერია, მისი თქმით, არ არსებობს ქვეყანაზე ისეთი მამაცი და სახელგანთქმული მოგზაური რაინდი, როგორც დონ კიხოტია, ვერც ერთი „განათლებული და მჭევრმეტყველი მღვდელი“ [2,433] ვერ ისაუბრებს მის მსგავსად...

ბატონი გაუბრაზდა თავის საჭურველმტვირთველს: „სირეგვენსთან ერთად ცბიერი ბოროტებითაც ხარ გატენილი“ [2,433], დამოწმება იმისა, გონიერი ვარ თუ უგუნური, საჭირო არაა, ნახე, როსინანტი თუ უნაგირმოხდილია, შეკაზმე და ჩემი აღთქმის შესასრულებლად უნდა წავიდე, ჩემი სიმართლე ყველას დაამარცხებსო. განრისხებული წამოდგა, ყველა განცვიფრდა, „ჭკვიანია თუ სულელი“, ფიქრობდნენ ისინი. არწმუნებდნენ, რომ გამოწვევა არ იყო საჭირო: „არავის არ აეჭვებდა მისი რაინდული ზრახვები და კეთილი გრძნობები; რაინდის მადლიერებისა და კეთილი გულის დასამტკიცებლად საჭირო არ იყო რაიმე საგმირო საქმეთა ჩადენა, რადგან ამას ისედაც საკმაოდ ადასტურებდა მისი თავგადასავალი“ [2,433].

დონ კიხოტი გაჯიუტდა, როსინანტზე ამხედრდა, მოიმარჯვა ფარი და შუბი, მწვანე ველის პირას, შარაგზის შუა ჩადგა. სანჩოც თავისი ვირით მისდევდა, ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ მწყემსები, აინტერესებდათ, რით დამთავრდებოდა ეს სულელური განზრახვა.

რაინდი შუა გზაზე დადგა და სიტყვასიტყვით, ყვირილით, ორჯერ გაიმეორა ეს სიტყვები:

„- რაინდო, საჭურველმტვირთველნო, ცხენოსანნო და ქვეითნო, ამ გზაზე ორი დღის განმავლობაში გამვლელნო და გამომვლელნო! ისმინეთ, რომ მოგზაური რაინდი დონ კიხოტი ლამანჩელი აქა დგას და ამტკიცებს, რომ მშვენიერება და ჩინებულება ქვეყნისა, გარდა ჩემი გულის მფლობელი დულსინე ტობოსელის მშვენიერებისა, ვერ შეედრება იმ ნიმიფათა მშვენიერებას და ჩინებულებას, ამ ტყებურვილის ახლო მდებარე ველზე რომ მოსახლეობენ, და ვინც წინააღმდეგს ამბობს, ის ჩემს წინ წარმოდგეს, აქ ველოდები!“ [2,433].

ცოტა ხნის შემდეგ, გზაზე, შუბებით შეიარაღებული ცხენოსნები გამოჩნდნენ, უწესრიგოდ, არეული ბრბოს მსგავსად, მოდიოდნენ. დონ კიხოტთან მყოფი ხალხი გზას მოშორდა და გვერდით გადავიდა, მიხვდა, რომ იქ ყოფნა სახიფათო იყო. დონ კიხოტი შუა გზაზე იდგა, სანჩო როსინანტს ამოეფარა. ცხენოსნებმა უყვირეს: „გზიდან ჩამოგვეცალე, შე ქაჯო და ეშმაკო, თორემ ეს ხარები გაგთელავენ“...

დონ კიხოტმა შესძახა, არ მეშინიაო... უნდა აღიაროთ, რომ ჭეშმარიტებაა რასაც ვამბობ, თორემ ბრძოლაში გიწვევთო...მწყემსმა ვერ მოასწრო პასუხის გაცემა, დონ კიხოტმაც ვერ გაასწრო გაგიჟებული ხარების ნახირს(რომელსაც მწყემსები მიერეკვებოდნენ ერთ ქალაქში, სადაც მეორე დღეს ხარების ბრძოლა უნდა გამართულიყო)...მათ გადათელეს რაინდიც,

საჭურველმტვირთველიც, როსინანტიცა და სახედარიც ქვეშ მოიყოლეს, მწყემსებმა ყურადღება არ მიაქციეს დონ კიხოტის მუქარას და თვალს მიეფარნენ.

ბატონი და საჭურველმტვირთველი ძლივს წამოდგნენ, „მწყემსური არკადის“ მონაწილეებს არ გამოემშვიდობნენ, დარცხვენით განაგრძეს გზა.



თავი LIX

სადაც მოთხრობილია არაჩვეულებრივი შემთხვევა, დონ კიხოტს რომ მოუხდა, რაც შეიძლება ფათერაკად ჩაითვალოს

ხარებისაგან გადათელილმა დონ კიხოტმა და სანჩო პანსამ ხშირ ხეებს შუა, ნაკადულთან, შეისვენეს, გაგრილდნენ. მსახურმა ხურჯინიდან საგზალი ამოალაგა, გამწარებული რაინდი არაფერს აკარებდა პირს, სანჩო ცოტა ხანს ელოდა, მაგრამ მერე მაღიანად დაიწყო ჭამა. რაინდმა უთხრა: ჭამე, რადგან შენი სიცოცხლე შენთვის უფროა საჭირო, ვიდრე ჩემი სიცოცხლე ჩემთვის: „მე, სანჩო, გაჩენილი ვარ სიკვდილით ვიცოცხლეო. შენ კი დაბადებულხარ - პირში ლუკმაგაჩრილი მოკვდე. და რომ ამაში დარწმუნდე, შემომხედე - წიგნებში დასტამბული, ბრძოლებში სახელგანთქმული, მოქმედებაში გულჩვილი და თავაზიანი, ქვეყნის დიდებულთაგან პატივცემული, ქალებში სიყვარულის აღმგზნები - აი, როდესაც მოველოდი ჩემი დიდი და სახელოვანი საქმეებითა და სიმამაცით დამსახურებული დაფნის გვირგვინებს და ჯილდოებს მივიღებ-მეთქი, დღეს კი ჩემს თავს უწმინდური და საძაგელი ცხოველებით ფეხით გათელილს და დაბეგვილს ვხედავ“ [2,435–436].

დამწუხრებულ ბატონს მსახურმა დასვენება ურჩია. მანაც დაუჯერა, მხოლოდ საჭურველმტვირთველს ერთი რამ სთხოვა, დულსინეს მოჯადოების გაუქმებისთვის, სამასჯერ ან ოთხასჯერ მაინც დაერთყა მათრახი, იმ სამი ათასზე მეტიდან...სანჩომ აღუთქვა, რომ შეასრულებდა, მხოლოდ ახლა უმჯობესი იქნებოდა დაძინება.

კარგა ხანს ეძინათ. რომ გამოიღვიძეს, ამხედრდნენ და გზა განაგრძეს, ერთი მილის მანძილზე ფუნდუკი გამოჩნდა, მიუახლოვდნენ, რაინდი ყველა ამგვარ

ნაგებობას ციხე-დარბაზს უწოდებდა ხოლმე, სანჩო ღმერთს ემადლიერებოდა, რომ, ამჯერად, მას ასე არ უთქვამს.

სუფრასთან მსხდომით, მეორე თხელი კედლით გადატიხრული ოთახიდან, ვიღაცების საუბარი მოესმათ. ერთი მეორეს მიმართავდა: დონ ჰერონიმო, ვახშმის მოტანამდე დონ კიხოტ ლამანჩელის მეორე ნაწილიდან ერთი თავი კიდევ წაიკითხეთო.

რაინდი წამოხტა სელიდან, ყურადღებით დაუგდო ყური და გაიგო: ბატონო დონ ხუან, მოჩმახული აბდაუბდა და სისულელეებია...პირველი ნაწილი ვისაც წაუკითხავს, მეორე სიამოვნებას ვერ მიანიჭებსო.

დონ ხუანმა მიუგო: „ისეთი უხეირო წიგნი არ მოიპოვება, რომ შიგ ცოტა კარგი რამეც არ იყოს...მაგ ნაწილში ის არ მომწონს, რომ დონ კიხოტი მანდ ისეა გამობატული, თითქოს დულსინე ტობოსელი აღარ უყვარდეს“[2,439].

დონ კიხოტმა ხმამაღლა დაიძახა, რომ ეს სიცრუეა, იარაღით შეუძლია იმის დამტკიცება, რომ დულსინეს ერთგულია: „დონ კიხოტის დევიზია პირიანობა და სიმტკიცე, ხოლო მისი აღთქმაა - თავისი მიჯნური ქალის ერთგულება“[2,439].

მეორე ოთახიდან მოსაუბრეები (ორი კაბალერო) შემოვიდნენ. ერთი მეგობრულად გადაეხვია რაინდს და უთხრა: „თქვენ ნამდვილი დონ კიხოტი ლამანჩელი ხართ, დილის ვარსკვლავი მოგზაური რაინდობისა, იმის ჯიბრსა და ჯინაზე ვისაც წიგნში, ახლა რომ გადმოგცემთ, უნდოდა თქვენი სახელი და დიდება მოეპარა და თქვენი გმირული ღვაწლი გაექარწყლებინა“[2,439–440].

დონ კიხოტს გადასცეს წიგნი: დონ კიხოტ ლამანჩელის მეორე ნაწილი. რაინდმა გადაფურცლა, მერე დააბრუნა და თქვა:

„სამი შეუსაბამობა ვიპოვე: პირველი -რამდენიმე სიტყვა და გამოთქმა, წინასიტყვაობაში რომ შემხვდა; მეორე - მისი არაგონული კილოკავი, ავტორი ხანდახან სიტყვის ზოგიერთ ნაწევარს არ ხმარობს, და მესამეც - რაც ყველაზე მეტად მის უმეცრებას ამტკიცებს - ისა, რომ იგი ხშირად იბნევა, თვით არსებით საგანში ცდება და ჭეშმარიტებას შორდება; სახელდობრ: ის ამბობს, რომ ჩემი საჭურველმტვირთველის, სანჩო პანსას ცოლს მარი გუტერესი ჰქვია, მისი ნამდვილი სახელი კი ტერესა პანსაა და, თუ იგი ასეთ არსებითსა და მნიშვნელოვან წვრილმანებში ცრუობს, მაშ - უნდა ვიფიქროთ, სხვა დანარჩენ ამბებშიც იცრუებს და შეცდება“[2,440].

კაბალეროებმა სანჩო პანსას უთხრეს, რომ არც ისაა აღწერილი ისე, როგორც პირველ წიგნშია, აქ იგი წარმოჩენილია, როგორც ღორმუცელა, სულელი, მახვილგონიერებას მოკლებული ადამიანი. ღმერთმა შეუნდოსო, მიუგო საჭურველმტვირთველმა: „ჯობდა ჩემს კუთხეში დავეტოვებინე, სულაც არ მოგვონებოდი. ცეკვას მხოლოდ ის გამართავს, ვისაც შეუძლია ჩანგს ხმა რიგიანად ამოადებინოს; წმიდა პეტრეც მხოლოდ რომში გრძნობს თავს არხეინად“[2,440].

კაბალეროებმა მიიპატიჟეს მოგზაურები, ფუნდუკის პატრონიც მათ მიუჯდა. დონ ხუანი დაინტერესდა დულსინეს ამბებით. რაინდმა უთხრა, რომ არ გათხოვილა, თავისი შეყვარებული რაინდი ისევ ახსოვს, მათი ურთიერთობა უმწიკვლოა, მაგრამ მისი სილამაზე უხეში გლეხის ქალის გარეგნობით შეიცვალა. რაინდმა ისაუბრა

ტობოსელის მოხიბვლა-მოჯადოების შესახებ, მონტესინოსის მღვიმის ამბავზე, ბრძენმა მერლინმა დულსინეს მოჯადოების გასაუქმებლად საშუალება რომ ასწავლა.

კაბალეროები უსმენდნენ ამბებს დონ კიხოტის ფათერაკებზე, აოცებდათ მისი სისულელეც და თხრობის მშვენიერი კილოც: „იგი ხან გონიერ კაცად ეჩვენებოდათ, ხან უგუნურად და ჭკუაარეულად და ვერ გადაეწყვიტათ: საღ გონებასა და ჭკუაშემცდარობას შუა, რა ხარისხზე დაეყენებინათ იგი“[2,441].

სანჩო წუხდა, რომ ღორმუცელობისა და გაუმაძღრობის გარდა, მეორე წიგნის ცრუავტორი ლოთობას სწამებდა. პირველ წიგნში რაინდიცა და საჭურველმტვირთველიც სიდ ჰამეტ ბენენჰელის მიერ სხვანაირად ვართო აღწერილნი: „ჩემი ბატონი ღვაწლმოსილი ბრძენი და შეყვარებული და მე გულუბრყვილო, ხუმრობის მოყვარული, მაგრამ არც ღორმუცელა და არც ლოთი.“ დონ ხუანმა მიუგო : „რომ შეიძლებოდეს, ბრძანება უნდა გამოცემულიყო - არავის გაებედა დიდებული დონ კიხოტის სახელოვან საქმეებზე წერა, სიდ ჰამეტის გარდა, ისე, როგორც ალექსანდრე მაკედონელი თავისი სურათის დახატვის ნებას აპელესის მეტს არავის აძლევდა“[2,442].

კაბალეროებმა რაინდს ჰკითხეს, საით აპირებდა გამგზავრებას, მან მიუგო, რომ სარაგოსაში ტურნირს უნდა დავესწრო და გამარჯვებულს ჯილდოდ სატურნირო აბჯარი ეძლევაო. დონ ხუანმა შენიშნა, მეორე წიგნში ამაზეც საუბარიაო, თითქოს უბადრუკ ტურნირზე მიგეღოს მონაწილეობა და სხვადასხვა სისულელით უხვად დაგაჯილდოვესო.

დონ კიხოტმა თქვა, სარაგოსაში არ წავალ და იმ ახლად გამომცხვარი ისტორიკოსის სიცრუეს გამოვააშკარავებო. დონ პერონიმომ მოუწონა გადაწყვეტილება, მსგავსი ტურნირები ბ ა რ ს ე ლ ო ნ ა შ ი ც იმართება, სადაც ბატონ დონ კიხოტს შეუძლია მთელი თავისი სიმამაცე გამოიჩინოსო.

დამინების დროც დადგა, გამოეთხოვნენ ერთმანეთს.

„დონ ხუანი და დონ ჰერონიმო გაოცებულნი დარჩნენ იმ საღი გონებისა და სისულელის ერთმანეთთან შერევით, როგორც მათ რაინდმა აჩვენა, და ნამდვილად დარწმუნდნენ, რომ სწორედ ეს ენი იყვნენ დონ კიხოტი და სანჩო, და ა რ ა ის ი ნ ი, რ ო მ ე ლ ნ ი ც ა რ ა გ ო ნ ე ლ მ ა ა ვ ტ ო რ მ ა* აღწერა“[2,443].

დილაადრიან დონ კიხოტმა კაბალეროებს კედელზე დაუკაკუნა, გამოემშვიდობა.

სანჩომ მეფუნდუკეს ფული უხვად გადაუხადა.



თავი LX

თუ რა შეემთხვა ბარსელონას მიმავალ დონ კიხოტს

დონ კიხოტი და სანჩო პანსა ბარსელონისკენ გაემგზავრნენ. ექვსი დღის განმავლობაში არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა, მეშვიდე დღეს, შარაგზიდან რომ გადაუხვიეს, უკვე შუალამე იყო. მუხებისა თუ კორპის ხეების ქვეშ დაბინავდნენ. სანჩომ დაიძინა, რაინდმა კი ხან მონტესინოსის მღვიმე, ხან გლეხის დედაკაცად გარდაქმნილი დუღსინე, ხან ბრძენი მერლინი გაიხსენა. სანჩოს დაუდევრობისა და გულქვაობის გამო სასოწარკვეთილებასშიც ჩავარდა, რადგან საჭურველმტვირთველმა მხოლოდ ხუთჯერ დაირტყა მათრახი. გადაწყვიტა მისი გამათრახება (მთლიანობაში სამი ათასი დარტყმა უნდა მიეღო). აიღო როსინანტის აღვირი, მოკვეცა და მძინარე სანჩოს ქამრის შეხსნა დაუწყო. მან გაიღვიძა და იკითხა, რა ამბავიაო. დონ კიხოტმა მიუგო, დუღსინე იღუპება, შენი დაუდევრობა უნდა გამოვასწორო, ორი ათასი მათრახი მაინც უნდა დაგარტყაო. მსახური დაემუქრა, მერე კი შეახსენა, რომ ეს ქმედება ძალდატანებით არ უნდა მოხდეს, ახლა გამათრახების ხალისი არა მაქვსო.

დონ კიხოტი არ მოეშვა სანჩოს, მსახური წამოხტა, ხელები მოხვია, სარმა წამოსდო და თავისი ბატონი მიწაზე გულადმა დასცა. მარჯვენა მუხლი მკერდზე დააჭირა, ხელები ისე გაუკავა, რომ წამოდგომა ან განძრევა აღარ შეეძლო. რაინდმა მოლაღატე უწოდა, შენს ბატონს და ბუნების მბრძანებელს, ვის პურსაც ჭამ, იმას ეწინააღმდეგებო. სანჩომ მიუგო, საკუთარი თავის ბატონი თვითონ ვარ, დამპირდი, რომ გამათრახებას არ დამაძალებ, თორემ აქვე მოკვდებიო. იდალგომ შეჰფიცა, რომ არ დააძალებდა.

სანჩო, მოშორებით, მეორე ხეს მიეყუდა, მოეჩვენა, რომ ვიღაცის ფეხები შეეხო, შეშინდა და სხვაგან გადაინაცვლა, იქაც იგივე განმეორდა, დონ კიხოტს უხმო საშველად. რაინდი მივიდა. მიხვდა, რაც უნდა ყოფილიყო. ალბათ, ხეებზე ჩამომხრჩვალნი ყაჩაღები და ავაზაკები ჰკიდია, მართლმსაჯულება ოცსა და ოცდაათ დამნაშავეს ამგვარად უსწორდება ხოლმე და, ეტყობა, აქედან ბარსელონა შორს აღარ არისო(ყაჩაღების ანგარიშსწორების, დასჯის ადგილი, რაინდმა იცოდა, რომ ბარსელონასთან ახლოს იყო).

დამით მკვდრებისგან შეშინებულები, დილით, სანამ გზას გაუდგებოდნენ, ორმოცზე მეტი ცოცხალი ყაჩაღის გარემოცვაში აღმოჩნდნენ. მათ ჩვენს მოგზაურებს კატალონურად მიმართეს, უბრძანეს, ადგილიდან არ დაძრულიყვნენ, ვიდრე მათი მეთაური არ მოვიდოდა.

დონ კიხოტის ცხენი აღვირის გარეშე იყო, შუბი ხესთან ეყუდა, თავდაცვის საშუალება არა ჰქონდა, ამიტომ ბედს დამორჩილდა.

სანამ ყაჩაღების მეთაური, შავგვრემანი, მკაცრ-მედიდური შესახედაობისა და შუათანაზე უფრო მაღალი, ცხენზე ამხედრებული, ოთხდამბაჩიანი კაცი მოვიდოდა, მანამ რაინდი და მსახური იქ მყოფებმა გაძარცვეს. სანჩოს ჰერცოგის ოქროები და შინიდან

წამოღებული ფული ტიტველ ტანზე შემოკრულ ქამარში ჰქონდა დამალული. მასაც წაართმევდნენ, მაგრამ მეთაურმა მოუსწრო, მიხვდა, რომ ძარცვას უპირებდნენ უცნობს, თავისი ჯგუფის წევრებს აუკრძალა ეს ქმედება და ისინიც სანჩოს მოეშვნენ.

მძარცველების მეთაურმა დონ კიხოტის შუბი, ფარი, სევდიანი სახისა და „მწუხარების ქანდაკის მსგავსი“ [2,446], აბჯარში გამოწყობილი დონ კიხოტი რომ დაინახა, გაუკვირდა და დაამშვიდა, გულქვა ოზირისს არ ჩავარდნიხართ ხელში, როკე გინარტი* გახლავართო... რაინდმა მოწიწებით მიმართა: „ღვაწლმოსილო როკე, რომლის დიდებას დედამიწაზე საზღვარი არა აქვს“ [2,447], ის მაწუხებს, რომ მოგზაური რაინდობის წესის თანახმად, თავს რომ დამესხნენ, ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი: „მე ის დონ კიხოტი ლამანჩელი ვარ, რომლის გმირულ საქმეთა ამბები მთელ მსოფლიოშია მოფენილი“ [2,447].

როკე მიხვდა, რომ „დონ კიხოტის სენი სისულელეს უფრო ემხრობოდა, ვიდრე ვაჟკაცობას“ [2,447]. კმაყოფილი დარჩა, თავისი თვალთ რომ იხილა ადამიანი, ვისზეც გაგონილი ჰქონდა უცნაური ამბები, მაგრამ არ სჯეროდა, არ ეგონა, ქვეყანაზე ვინმეს თუ მოუვიდოდა თავში მოგზაურ რაინდად გახდომა. მან დონ კიხოტს „ღვაწლმოსილი“ უწოდა, მოჩვენებითი მოწიწებით დაუწყო საუბარი.

ამ დროს ოციოდე წლის ჭაბუკი მოვიდა, ცხენზე ამხედრებული, ხმალ-ხანჯლითა და ორი დამბაჩით შეიარაღებული. ის როკეს წინ გაჩერდა და უთხრა, უბედურების შესამსუბუქებლად გეძებო. ეს მშვენიერი მხედარი კლავდია ჰერონიმა აღმოჩნდა, სიმონ ფორტეს, კლაუკელ ტორელიასის დაუძინებელი მტრის ქალი, მეთაურის უახლოესი მეგობრისა, მაგრამ ტორელიასი, ქალმა იცის, რომ როკეს მტერიცაა, მის მოწინააღმდეგე პარტიას ეკუთვნის. მან როკეს თავისი უბედურების ამბავი უამბო.

კლაუდიამ, თურმე, შეიყვარა დონ ვისენტე, ტორელიასის ვაჟი, რომელიც ქალს ცოლად შერთვას დაჰპირდა. პირობა დაივიწყა და დღეს, დილით, სხვაზე უნდა დაეწერა ჯვარი. კლაუდიამ ჩაიცვა მამის ტანსაცმელი, ერთი მილის სიშორეზე დაეწია დონ ვისენტეს, თოფი ესროლა და დამბაჩებიც მიაყოლა. ის იქ დატოვა, სისხლში მცურავი, აქ კი როკესთან მოვიდა თხოვნით, დაეხმაროს საფრანგეთში წასვლასა და დონ ვისენტეს ნათესავთა შურისძიებისაგან მამამისის დაცვაში. როკემ თქვა, ჯერ ვნახოთ, ვაჟი მკვდარია თუ არაო.

დონ კიხოტმა როკეს უთხრა, კლაუდიას მე გამოვესარჩლებიო, მაგრამ ყაჩაღების მეთაურმა არც მოუსმინა. მან მძარცველებს უბრძანა, რაც წაართვეს სანჩოს, უკან დაებრუნებინათ, თვითონ კი ქალს გაჰყვა. დანიშნულ ადგილას ვერაფერი იპოვეს, ფერდობზე რამდენიმე კაცი შენიშნეს, დაეწივნენ, მსახურებს დაჭრილი დონ ვისენტე მიჰყავდათ. იგი ძლივს გასაგონი ხმით თხოვდა მათ, დაეტოვებინათ გზაზე, დაე, მომკვდარიყო, რადგან ტკივილი აწუხებდა. კლაუდია მიუახლოვდა და უსაყვედურა, ყველაფერი პირობის დარღვევის გამო დაგემართაო. დაჭრილმა უარყო, ტყუილია, პირობა არ დამირღვევიაო. ქალს გაუკვირდა, მდიდარ ბალბასტროს მემკვიდრე ქალზე, ლეონორაზე, ჯვრის დასაწერად ხომ მიდიოდიო... ვაჟმა უპასუხა: „ჩემს შავსვიან ბედს შენთვის ეგ ამბავი უნდა მოეტანა, რომ შური გეძია და ჩემთვის სიცოცხლე წაგერთმია“ [2,450]. მომაკვდავმა მეუღლეობა შესთავაზა. დონ ვისენტე მალე

გარდაიცვალა, სასოწარკვეთილი კლაუდია ცას და მიწას შესჩიოდა, „წინდაუხედავმა დედაკაცმა“, ექვიანობის გამო, საყვარელი ადამიანი ვიმსხვერპლეო. მან მონასტერში გადაწყვიტა წასვლა, იქ მამიდამისი ილუმენია იყო. ქალს სურდა თავისი სიცოცხლე სამარადისო საქმროს ახლოს დაესრულებინა. როკემ გადაწყვეტილება მოუწონა და დაპირდა, რომ მამამისს დონ ვინსენტეს განაწყენებული ახლობლებისაგან დაიცავდა.

უკან დაბრუნებულმა გინარტმა დაინახა, როსინანტზე ამხედრებული დონ კიხოტი როგორ უქადაგებდა მის საჭურველმტვირთველებს, ასწავლიდა, რომ ხელობა, რომელსაც მისდევთ, სულისთვისაც და ხორცისთვისაც საზიანოაო. მსმენელებს ეს რჩევები არ მოსწონდათ (სერვანტესის თქმით: „მათგან მეტი წილი ბასკები* იყვნენ, უხეში და აღვირახსნილი ხალხი“[2,451]).

როკემ სანჩოს ჰკითხა, დაგიბრუნეს თუ არა, რაც წაგართვესო, მან მიუგო, დამიბრუნეს, მაგრამ სამ ქალაქად ღირებული სამი თავსაფარი დაიტოვესო. ერთ–ერთმა დამსწრეთაგანმა თქვა, მე მაქვს თავსაფრები, მაგრამ სამი რეალიც არ ეღირებაო. დააბრუნებინეს.

როკეს ბრძანებით, რაც ნაძარცვი ჰქონდათ, კანონიერად, თანაბრად გაიყვეს. მალე სხვაგან მეთვალყურედ გაგზავნილი ერთი საჭურველმტვირთველი დაბრუნდა, მან მოიტანა ამბავი, რომ ბარსელონისაკენ მიმავალ გზაზე ხალხის დიდი ნაკადი მიედინება, სწორედ ისინი არიან, ვისაც ვეძებთო. სანამ მეთაურის ბრძანებით მათ აქ მოიყვანდნენ, როკემ დონ კიხოტს გაუბა საუბარი, ყაჩაღების ფათერაკებით სავსე საქმიანობაზე, ამაზე შფოთიანი ცხოვრება არ არსებობსო, თვითონ, ბუნებით შემბრალეული და სიკეთის მოსურნე, თურმე, შეურაცხყვეს და ამას შურისძიებამდე მიუყვანია...მან დასძინა: „ერთ უფსკრულს მეორისკენ მივყავარ, ერთი ცოდვა მეორისკენ მიმაქანებს. ჩემგან ჩადენილი შურისძიებანი ერთმანეთში ისე გადაიხლართნენ, რომ მე არათუ მარტო საკუთარი, არამედ სხვის მაგიერ შურისგებასაც ვკისრულობ“ [2,453] როკემ იმედი გამოთქვა, რომ ამ ყოფას თავს დააღწევდა. დონ კიხოტმა მიუგო, ღმერთი დაგეხმარება, მთავარია სულის სიფხიზლის დაცვა და „დაავადებული სინდისის განკურნების იმედი“ არ ჩაგიქრესო. რაინდმა როკეს ურჩია, თუ გინდა ცხოვნების გზისკენ გადაუხვიოთ, გამომყევით, მოგზაურ რაინდობას გასწავლითო.

ყაჩაღების მეთაურმა დონ კიხოტის რჩევაზე ჩაიცინა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა, კლაუდიას ამბავი დაიწყო. ამ დროს ნადავლის მოსატანად წასულმა ყაჩაღებმა ორი ცხენოსანი კაბალერო, ორი ქვეითი მომლოცავი მგზავრი და ერთი კარეტა მოიყვანეს, რომელშიც რამდენიმე დედაკაცი იჯდა, მათ გარდა ორი მეჯორეც იყო, იმ კაბალეროების მსახურნი. ჯერ გაიგო ვის რამდენი ფული ჰქონდა, მერე მხოლოდ კაპიტნებს გამოართვა სამოცი ოქრო, მასესხეთო, კარეტაში მჯდომმა თავმჯდომარის მეუღლემ კი ოთხმოცი ოქრო გაიღოსო. ამ თანხიდან ათი ოქრო უნდა გადასცემოდა სანჩოს, საჩუქრად, „რაინდის კეთილ საჭურველმტვირთველს, რათა ამ შემთხვევაზე კარგი რამ ილაპარაკოს“. კაპიტნებმა როკე შეაქვს იმის გამო, რომ სულგრძელად მოიქცა. გინარტმა, ქალბატონს,

დონა გიომარ დე კინიონესს, ბოდიში მოუხადა „თავისი უპატიოსნო ხელობის მტკიცე ვალდებულების“ [2,455] გამო რომ აწყენინა. სხვებისთვის არაფერი გამოურთმევია.

გინარტმა, ერთ თავის მეგობარს, ბარსელონაში, წერილი გაუგზავნა, თავისი საჭურველმტვირთველის ხელით, ატყობინებდა, რომ: „მასთან იმყოფებოდა სახელოვანი დონ კიხოტი ლამანჩელი, ის მოგზაური რაინდი, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობდნენ; , იგი შემაქცევარი და მასთან გონიერი კაციაო; ქვეყანაზე სხვა ასეთი არ მოიპოვებო, და ოთხი დღის უკან,- სახელდობრ წმინდა იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულზე - იგი მიიყვანდა დონ კიხოტს ქალაქის სანაპიროზე, მთლად შეიარაღებულს, თავის ცხენზე-როსინანტზე მჯდარს და აგრეთვე მის საჭურველმტვირთველს სანჩო პანსას, ვირზე ამხედრებულს. არ დაგავიწყდესო, - სწერდა იგი, - ეს ამბავი ჩვენს მეგობარ ნიაროსებს შეატყობინო, რომ შეიძლონ რაინდის ნახვით თავი შეიქციონო... დონ კიხოტის გონიერება და უგუნურება და მისი საჭურველმტვირთველის სანჩო პანსას გონებასახვილობა მთელ ქვეყანას თავს შეაქცევინებს და გაართობსო“ [2,455–456].



თავი LXI

რა შეემთხვა დონ კიხოტს ბარსელონაში შესვლისას და სხვა უფრო ჭკმმარიტი, ვიდრე გონივრული ამბები

დონ კიხოტმა როკესთან სამ დღესა და სამ ღამეს დაჰყო. მშფოთვარე დღეები ჰქონდათ. ხშირად გადაადგილდებოდნენ, ხან გარბოდნენ, ხან ფხიზლად ეძინათ. მეთაური ღამეს სხვაგან ათევდა, ემინოდა, იცოდა, რომ ბარსელონის მთავარმმართველს რამდენიმე ბრძანება ჰქონდა გამოცემული, მის შესაპყრობად ჯილდო იყო დაწესებული. ამიტომ არავის ენდობოდა, თანამებრძოლებსაც კი.

როკე, დონ კიხოტი და სანჩო, ექვს საჭურველმტვირთველთან ერთად, საიდუმლო ბილიკებით მიადგნენ ბარსელონას. რელიგიური დღის, იოანე ნათლისმცემლის წინა ღამეს, ზღვის სანაპიროზე გავიდნენ, როკემ სანჩოს დაპირებული ათი ოქრო გადასცა, მერე გადაეხვია ორივეს და ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

გამთენიისას, ცხენოსანი ჯარის საყვირის, დაფის, ბობლანისა და დაირების ხმა გაისმა.

ბატონმა და მსახურმა „ზღვა დაინახეს, რომელიც ჯერ არ ენახათ. იგი მეტად დიდი ეჩვენათ, ლამანჩაში ნახულ რუიდერის ტბებზე უზომოდ დიდი“ [2,457], იალქნიანი, დროშებით მორთული, ხომალდებიც შენიშნეს, რომელთაც, ზღვის უბეში, ბრძოლის მსგავსი ერთმანეთის შეხეთქება დაიწყეს, ცხენებზე ამხედრებულმა კაბალეროებმა ტურნირისებური ვარჯიში გამართეს, გაისმა თოფების სროლა და ზარბაზნების გრიალი. ნიჩბები ფეხები ეგონათ, „სანჩო ვერ წარმოიდგენდა, თუ ამ უზარმაზარ ზღვაში მოძრავ ამსიდიდე ზვინებს იმდენი ფეხი ექნებოდათ“ [2,458].

ხმამალალი მისაღმების შეძახილებითა და ყვირილით, დონ კიხოტის წინ მხედრები შეჩერდნენ. ერთმა (როკემ რომ წერილი მისწერა) რაინდს მიმართა: „კეთილი იყოს ჩვენს ქალაქში თქვენი მობრძანება, სრულიად მოგზაური რაინდობის სარკვევ, შუქურავ, ზღვაში გზის მაჩვენებლო ვარსკვლავო და მზისდარო! კეთილი იყოს თქვენი მობრძანებამეთქი, ვამბობ მე, ღვაწლმოსილო დონ კიხოტო ლამანჩელო! არა ყალბო, თვალთმაქცურო, ამ ცოტა ხნის წინათ ზოგიერთ ცრუ ისტორიაში გამოხატულო, არამედ ჭეშმარიტო, კანონიერო, ნამდვილო, რომელიც ისტორიკოსთა რჩეულმა ყვავილმა და თვალისჩინმა სიდ ჰამეტ ბენენჰელიმ აგვიწერა!“[2,458]. მის პასუხს არ დაუცადეს, ირგვლივ შემოერთყნენ. დონ კიხოტმა სანჩოს უთხრა, გვიცნეს, ალბათ, ჩვენი ნამდვილი ამბავიცა და ამას წინათ დაბეჭდილი არაგონელის ისტორიაც წაკითხული აქვთო. პირველად რომ გაესაუბრა იმ მხედარმა რაინდი მიიწვია, უთხრა, ყველანი როკე გინარტის მეგობრები ვართო. ჩვენი მოგზაურები, მხედრებთან ერთად, საკრავებისა და დაფდაფების ხმების თანხლებით, ქალაქს გაემართნენ, თავიანთი დამპატიჟებლის დიდ და მშვენიერ სახლში მივიდნენ.



თავი LXII

სადაც მოთხრობილია ფათერაკი ჯადოქრულ თავთან და სხვა სისულელე, რაც შეუძლებელია არ იქნეს ნაამბობი

მდიდარ და გონიერ კაბალეროს, დონ ანტონიო მორენოს, რომელმაც დონ კიხოტი შინ მიიწვია, გართობა და მხიარულება უყვარდა. სხვისი გაპამპულების მომხრე არ იყო, მაგრამ სურვილი გაუჩნდა, რაინდი სისულელეებზე სასაუბროდ გამოეწვია, ისე, რომ ეს არავისთვის ყოფილიყო ზიანის მომტანი. მოახსენევინა აბჯარი და აქლემის ბეწვის ვიწრო კამზოლში გამოწყობილი, აივანზე გამოიყვანა. ქუჩიდან, იდალგოს ყველამ ცქერა დაუწყო, როგორც იშვიათ მაიმუნს. მშვენიერ სამოსში გამოწყობილმა ცხენოსნებმა მის წინ

ნავარდი დაიწყეს. სანჩოს ეს უხაროდა, ქამაჩოს ქორწილი, დონ დიელო დე მირანდასა და ჰერცოგის ციხე-დარბაზი მოაგონდა.

სადილობისას, დონ კიხოტს, როგორც მამაც მოგზაურს შეეფერებოდა, პატივით ექცეოდნენ, „სიამაყითა და ცრუ დიდებით აღსავსე რაინდი სიამოვნებისაგან გონს ვერ მოდიოდა“[2,460].

სანჩოს მოსწრებული სიტყვები ყველას მოსწონდა. დონ ანტონიომ მას უთხრა, ასე გავიგეთ, ჩახოხბილი ვარიები და მოხარშული გუფთები გყვარებიან და რაც გადაგრჩებათ, თურმე, მეორე დღისათვის, უბეში ინახავთო. საჭურველმტვირთველმა ამას სიცრუე უწოდა. ფაქიზი უფრო ვარ, ვიდრე ღორმუცელა, ერთი მუჭა რკოთი ან კაკლით, ორივეს, მე და ბატონს, ერთი კვირაც გაგვიტარებია: „რასაც მომცემენ იმას ვჭამ და დროს და გარემოებას ისე ვხმარობ და ვეგუები, როგორც არის; და თუ ვინმე იტყვის, რომ მე საშინელი ღორმუცელა ვარ და უსუფთაო, გაიგონოს ჩემგან, რომ იგი შემცდარია“[2,460].

საუბარში დონ კიხოტი ჩაერთო: „სანჩოს ზომიერება ჭამაში და მისი სისუფთავე ღირსნი არიან აღწერისა და ბრინჯაოს ფიქალზე აღბეჭდვისა, რათა მათი ხსენება მომავალ საუკუნეებს გადაეცეს“[2,460], ზოგჯერ, როდესაც მშიერია, ოდნავ ღორმუცელას ჰგავს, მაგრამ სისუფთავეს იცავს, გუბერნატორობისას ისეთი ფაქიზი ჭამა ისწავლა, რომ ყურძენსა და ბროწეულის მარცვალსაც ჩანგლით მიირთმევდა...

დონ ანტონიომ გაიკვირვა სანჩოს გუბერნატორობა. საჭურველმტვირთველმა თქვა, რომ ათი დღის განმავლობაში იყო კუნძულ ბარატარიის საუკეთესო მმართველი, ამ პერიოდში სიმშვიდე დაკარგა, ამიტომ ახლა არ მოსწონს ეს თანამდებობა, გამოიქცა იქიდან და ჯურღმულში ჩავარდა, რაღაც სასწაულით გადარჩა. მან დაწვრილებით ისაუბრა ყოველივეზე. ყველა სიამოვნებით უსმენდა.

მასპინძელმა დონ კიხოტი ცალკე ოთახში შეიყვანა, იქ მხოლოდ იასპის ქვის მაგიდა იდგა, მასზე წელამდის გასმობიანი დაკეპული თაგვი იდო. დონ ანტონიომ, სტუმართან ერთად, ოთახში რამდენჯერმე გაიარა, მაგიდას შემოუარა და დონ კიხოტს უთხრა, რომ დიდი საიდუმლო უნდა გაემჟღავნებინა მისთვის. რაინდმა აღუთქვა, არავის ვეტყვიო.

დონ ანტონიომ, ბრინჯაოს თავს, მთელ მაგიდას, მის ფეხებს, ხელი შეავლო და თქვა: ეს თავი გამოიგონა და ათას ოქროდ გააკეთა კოლონელმა ჯადოქარმა, სახელოვანი ესკოტილიოს მოწაფემ. იმ გრძნეულმა ფიგურები დახატა, ნიშნები დახაზა, ვარსკვლავთ კრებული შეისწავლა, წერტილები აღნიშნა და ბოლოს ეს თავი სრულყოფილი გახადა. მას რასაც ყურში ჩასმახებენ, პასუხს იძლევა. დღეს პარასკევია და მდუმარებს, ხვალამდის მოვიცადოთ და რაც გნებავთ, მოიფიქრეთ და ჰკითხეთ.

რაინდი ქანდაკის უნარმა და ნიჭმა გააოცა, მაგრამ მასპინძლის ნათქვამი არ სჯეროდა. მეორე დღეს დაელოდა.

სადამოს დონ კიხოტი უაბჯროდ (სანჩო შინ დატოვებს), ჯორით წაიყვანეს სასეირნოდ, მოსასხამი მოახურეს, რომელზეც უკან, შეუმჩნევლად, წარწერიანი ეტრათი მიაკრეს, რომელზეც ეწერა: „ესე არს დონ კიხოტი ლამანჩელი“ [2,462–463]. გამვლელები კითხულობდნენ. რაინდს უკვირდა, გაიფიქრა: „უდიდესი უპირატესობის შემცველია მოგზაური რაინდობა... ქალაქის მთელი მოსახლეობა, თვით პატარა ბიჭებიც კი მიცნობენ“ [2,463].

ერთმა ვიღაც კასტილიელმა მის ზურგზე წარწერა წაიკითხა და ხმამაღლა დაიწყო დონ კიხოტის ლანძღვა, რაინდს ნახევრად შეშლილს უწოდებდა, მისი თქმით, იდაღვოს შეეძლო მასხარებად, სულელებად და უგუნურებად ექცია ყველა, ამის დამადასტურებელი ის იყო, რომ ბატონებიც ახლდნენ თან.

დონ ანტონიო გამოესარჩლა რაინდს. კასტილიელი საუბარს აგრძელებდა, სინანულს გამოთქვამდა: „დიდად მწყინს და სიბრალულს ვგრძნობ, რომ საღი ჭკუა და ნათელი გონება, რომელსაც ის ჩვეულებრივ დანარჩენ ყველაფერში ამჟღავნებს, მოგზაური რაინდობის ტლაპოშია ჩაფლული“ [2,463–464].

დონ კიხოტის ზურგზე წარწერა დონ ანტონიომ შეუმჩნევლად მოხსნა.

შინ რომ დაბრუნდნენ, წვეულება გაიმართა. დონ ანტონიოს ცოლმა, მხიარულმა, ლამაზმა და ჭკვიანმა ქალმა თავისი მეგობრები მოიწვია, რათა პატივი ეცათ სტუმრისათვის და იმის უმაგალითო ჭკუადამთხვეულობითა და უცნაურობით გართულიყვნენ. ვახშამი მშვენიერი იყო და ბალი ღამის ათი საათიდან დაიწყო. ბევრი ქალბატონი მოვიდა. მათ შორის ორი ცელქი და გიჟმაჟი ქალი იყო. დონ კიხოტს საცეკვაოდ იწვევდნენ, ვითომ ეტრფოდნენ, ეჩურჩულებოდნენ, მალულად თვალს უკრავდნენ. რაინდმა: „თავი ვერ დააღწია მათ ალერსს და ისინიც არ ეშვებოდნენ... ხმამაღლა შესძახა: განვედით ჩემგან, ბილწო და მაცდურნო გულისთქმანო! ღვთის გულისათვის დასცხრით, მშვენიერნო მანდილოსანნო, თქვენი სურვილები და ზრახვები დაიოკეთ, რადგან ჩემი სურვილების მეუფე უზადლო დულისინე ტობოსელია“ [2,464].

ცეკვით დაქანცული და გატანჯული დონ კიხოტი იატაკზე დაჯდა, დონ ანტონიომ ის საწოლში ჩააწვეინა. სანჩომ უსაყვედურა: „ძალიან ცუდად ცეკვავდით, ჩემო ბატონო! ხომ არა გგონიათ, რომ ყველა მამაცი ხალხი მოცეკვავეც არის და ყველა მოგზაური რაინდი თოკზე მოთამაშე?... ზოგი რაინდი გოლიათის მოკვლას უფრო გაბედავს, ვიდრე ჰაერში ლამაზად შეხტომას“ [2,465].

სანჩოს სიტყვებმა იქ მყოფნი გაამხიარულა.

მეორე დღეს დონ ანტონიო ჩაიკეტა ოთახში, დონ კიხოტით, სანჩოთი, ორი თავისი მეგობრითა და იმ ორი ცელქი ქალით, დონ კიხოტი რომ ძალიან გააწვალეს ცეკვით, უნდა გამოეცადათ ჯადოსნური თავი, რომელზეც სიმართლე მხოლოდ ანტონიოს ორმა მეგობარმა იცოდა.

ანტონიომ თ ა ვ ს დაუსვა შეკითხვები, ქანდაკი უშეცდომოდ პასუხობდა, სწორად თქვა, რამდენი იყვნენ ოთახში. ყველას, დასმულ კითხვებზე პასუხები გასცა.

დონ კიხოტის კითხვები ასეთი იყო: „სინამდვილე იყო თუ სიზმარი, მე რომ მონტესინოსის მღვიმეში ვნახე? სანჩოს გამათრახება ბოლომდის იქნება მიყვანილი თუ არა? დულსინეს მოჯადოების გაუქმება ჯეროვნად იქნება ასრულებული?“[2,467].

ასეთი პასუხი მიიღო: „რაც მღვიმეს შეეხება... შიგ მართალიც და სიცრუეც ბლომადაა. სანჩოს გამათრახება ნელ-ნელა და აუჩქარებლად წავა წინ; დულსინესაგან ჯადოს მოშორება თავის დროზე კეთილად დასრულდება“.

სანჩოს კითხვები: „თავო, კიდევ მივიღებ თუ არა გუბერნატორობას? თუ ამ საბრალო საჭურველმტვირთველად მოგვკვდები? მეღირსება კი ოდესმე ცოლ-შვილის ნახვა?“[2,467].

„ამაზე პასუხად მიიღო:

- შენ შენს სახლში გასწევ გუბერნატორობას და, თუ შინ დაბრუნდები, შენს ცოლ-შვილს ნახავ, და თუ სამსახურს თავს დაანებებ, საჭურველმტვირთველობასაც დაეხსნები“.

ქანდაკის პასუხებით დონ კიხოტი კმაყოფილი დარჩა, სანჩო კი არა, ეს ხომ მეც ვიცოდი, მაგას ჩვენი წინასწარმეტყველი პედრო გრულიოც მეტყოდაო“.

გასართობი ბრინჯაოს თავის ქანდაკი, პირველად, დონ ანტონიო მორენომ მადრიდში ნახა, ვიღაც სპილენძზე ამომჭრელის მიერ იყო გამოგონილი. მის მოწყობილობას მწერალი სერვანტესი დაწვრილებით აღწერს, ჩვენ კი შეიძლება მოკლედ ასე წარმოგიდგინოთ: თავი და მაგიდის ფეხი ამოფუღრული იყო, შიგ თუნუქის მილები იყო გაყვანილი და მეორე ოთახს უერთდებოდა...იქ იჯდა დონ ანტონიოს დისწული, ჭკვიანი და მარჯვე სტუდენტი და ფარულად იძლეოდა პასუხებს... „ეს საოცარი მანქანა“ ათი-თორმეტი დღე აოცებდა ხალხს, ქალაქში ხმა გავრცელდა, ჯადოსნური თავის თაობაზე. დონ ანტონიო შეშინდა და ინკვიზიტორებს, სანამ გაიგებდნენ რას ნიშნავდა ეს, ყოველივე აუხსნა. მათ უბრძანეს, ქანდაკი, როგორც უვიცი ხალხის საცდური, მოესპო. დონ კიხოტისა და სანჩოს გონებაში თავი მაინც ჯადოსნად დარჩა.

ბარსელონელ კაბალეროებს დოღის გამართვა სურდათ, ამით ასიამოვნებდნენ დონ ანტონიოს, დონ კიხოტი გაერთობოდა და თავისი ახირებული უცნაურობით ხალხს გაამხიარულებდა, მაგრამ ეს განზრახვა ვერ შეასრულეს.

დონ კიხოტმა ქალაქში გასეირნება მოისურვა, სანჩოსთან ერთად. მათ ანტონიოს ორი მსახურიც ახლდათ. რაინდმა, ერთი სახლის თავზე, თვალი მოჰკრა წარწერას: „აქ იბეჭდება წიგნები“... გაუხარდა, „არც ერთი სტამბა არ ენახა“...და თავის ამაღასთან ერთად შევიდა. ესაუბრა მუშებს, მთარგმნელს, ყურადღება გაამახვილა ნიჭიერი ადამიანების დაფასებასა და ღირსეულ ნაშრომებზე. დაინტერესდა თავიანთი ხარჯით ბეჭდავდნენ წიგნს თუ გამოცემის უფლება ვინმესთვის წინასწარ ჰქონდათ მიყიდული. რაინდმა შეაქო ორი მთარგმნელის ნაშრომი: დოქტორი ქრისტობალ დე ფიგეროას - „ერთგული მწყემსი“ და დონ ხუან დე ხაურეგის - „ამინტა“ ისე ხერხიანადაა შესრულებული, რომ ვერ გაგირჩევია, თარგმანია თუ დედანიო.

დონ კიხოტი სტამბის სხვა განყოფილებაში შევიდა. იქ ასწორებდნენ ერთ წიგნს, მისი სათაური იყო: „ნათელი სულისა,“ რაინდმა თქვა, რომ ასეთი წიგნები უნდა

იბეჭდებოდეს, რადგან: „დედამიწის ზურგზე ბლომადაა ცოდვილი ხალხი და წყვილადში მოხეტიალეთა გასაცისკროვნებლად საჭიროა თვალისმომჭრელი სინათლე“[2,471].

იდალგომ კიდევ სხვაგან გადაინაცვლა, რომელიღაც წიგნს ასწორებდნენ. უთხრეს: „ესაა მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტი ლამანჩელის მეორე ნაწილი, სოფელ ტორდესილასში მცხოვრებ ვიღაც ავტორის მიერ შეთხზულიო...მე უკვე ვიცნობ ამ წიგნს, - უთხრა დონ კიხოტმა, - და სიმართლით და სინდისით რომ ვთქვა, მეგონა მაგის სისულელის გამო აქამდის უკვე დაწვავდნენ და ნაცარ-ტუტად აქცევდნენ; მაგრამ წმიდა მარტინეს დღე მაგისთვისაც დადგება, როგორც ყველა ღორისათვის“[2,472].

რაინდი, ცრუავტორის მიერ დაწერილი დონ კიხოტ ლამანჩელის მეორე ნაწილის სტამბაში ხილვის გამო, ნაწყენი გამოვიდა შენობიდან.



თავი LXIII

რა უბედურება შეემთხვა სანჩო პანსას გალერების დათვალეირების დროს და მშვენიერი მავრი ქალის არაჩვეულებრივი თავგადასავალი

დონ კიხოტს სურდა ჯადოსნური თავის საიდუმლოებას ჩასწვდომოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. სამაგიეროდ სჯეროდა, რომ დულსინეა ჯადოსგან გათავისუფლდებოდა, სანჩოს გუბერნატორობა სძულდა, მაგრამ თან სურვილიც ჰქონდა, ისევ გამხდარიყო მმართველი.

ნასადილევს, მასპინძელი, დონ ანტონიო მორენო, მისი ორი მეგობარი, დონ კიხოტი და სანჩო, გალერეის სანახავად წავიდნენ. მათ ესკადრის უფროსი შეეგება.

ხომალდებზე იალქნები აუშვეს, გაისმა მუსიკის ხმა, ზღვაში ნავი ჩაუშვეს, გაისმა ზარბაზნის სროლა, გრიალი, როდესაც რაინდი კიხით ავიდა ხომალდზე, მეზღვაურები შეძახილებით შეხვდნენ. მაშინ, ჩვეულების თანახმად, ყველა სახელოვან კაცს ასე ესალმებოდნენ.

ხომალდის მეთაურმა, გენერალმა, ვალენსიელმა კაბალერომ, რაინდს ხელი ჩამოართვა და უთხრა: „**დღევანდელ დღეს თ ე თ რ ი ქ ვ ი თ ა ლ ვ ნ ი შ ნ ა ვ, რადგან, ვვიქრობ, იგი ჩემს სიცოცხლეში საუკეთესო დღეა, ვინაიდან დღეს ვხედავ ბატონ დონ კიხოტ ლამანჩელს. დაე, ეს დღე და ეს ნიშანი მუდამ გაგვახსენებდეს, რომ თქვენ, სახელოვანო რაინდო, აცისკროვნებთ და განასახიერებთ მოგზაური რაინდობის მთელ სახელსა და დიდებას!**“[2,473].

ხომალდის კიჩოზე გადავიდნენ და ქიმებთან, მერხებზე ჩამოსხდნენ. ბოცმანმა მენიჩბეებს ანიშნა ქურთუკები გაეხადათ. ერთ–ერთმა, რომელიც წინასწარ დარიგებული იყო, დასტაცა სანჩოს ხელი, მაღლა ასწია. მთელმა რაზმმა მისი ხელიდან ხელში გადაცემა დაიწყო, მანამ არ მოეშვნენ, სანამ იქაურობა არ შემოატარეს. საჭურველმტვირთველს ეგონა, რომ ქაჯები აფრენდნენ, დათეთქვილს სული ეგუბებოდა და ცივ ოფლში იწურებოდა. დონ კიხოტმა ხელი ხმლის ვადას გაივლო და გენერალს უთხრა, საზეიმო დახვედრის ასეთი ჩვეულება თუ გაქვთ, არ ვემორჩილები და თუ ვინმე მომეკარება და საფრენად ხელს მახლებს, სულს გავაფრთხოვინებო.

მეზღვაურებმა იალქანი ჩამოუშვეს და ქანდარა საშინელი ხმაურით ძირს დასცეს, მერე იმავე გრიალით ასწიეს. ბატონი და მსახური, ორივე შეკრთა. ბოცმანმა ნიშანი მისცა, ღუზა ამოეწიათ. სანჩოს ეგონა, რომ ნიჩბები მოძრავი წითელი ფეხები იყო და გაიფიქრა: „**ეს არის ნამდვილი ჯადოქრობა და არა ის, რასაც ჩემი ბატონი ჩმახავს**“[2,474]. რაინდმა მას ისევ გამათრახება შეახსენა. გენერალმა გაიგო და დაინტერესდა, რა ჯადოხეა საუბარიო, მაგრამ ამ დროს ერთმა გუშაგმა მოახსენა: „**მ ო ნ ყ უ ი კ ი დ ა ნ* ნიშანს გვამღევენ... დასავლეთიდან ნიჩბებიანი ნავი მოჩანსო**“[2,475].

მეთაურმა მეზღვაურებს მოუწოდა, არ გაეშვათ ხელიდან ნავი, ის შეიძლება ა ლ ყ ი რ ი ს მეკობრეთა რომელიმე ბრიგანტინი ყოფილიყო..

გენერლის ბრძანებით, მეწინავე ხომალდსა და ორ–სამ ნავს, ნაპირ–ნაპირ უნდა ეცურა, რათა მეკობრეები მოეხელთებინათ. მართლაც, ორი მილის მანძილზე, უცხო ნავი დაინახეს, თორმეტ ანუ თხუთმეტნიჩბიანი, რომელმაც მოკურცხლა, მაგრამ ბედმა უმტყუნა, მეწინავე ხომალდი დაეწია. ბრიგანტინზე მყოფმა ა რ ა ე ს მ ა* მენიჩბეებს უბრძანა, დანებებულიყვნენ, ამ დროს ორმა ტორაკისმა*, ესე იგი, ორმა მთვრალმა თურქმა, გაისროლა და გენერლის ხომალდის ერდოზე მდგარი ორი ჯარისკაცი მოკლა.

მოწინააღმდეგეები გაქცევას ლამობდნენ, მათზე იერიში მიიტანეს და მალე ყველანი შეიპყრეს.

გენერალმა სანაპიროს შორიახლო ჩაუშვა ღუზა, ნაპირზე ბარსელონაში მყოფი მეფისნაცვალი დაინახა, ბრძანა ნავი ჩაეშვათ, ხომალდზე მის ამოსასვლელად, ანძაც აამართვინა, რათა დაუყოვნებლივ ჩამოეხრჩოთ დატყვევებულები, არაესი და ბრიგანტინზე მყოფი ოცდათექვსმეტიოდე თურქი.

გენერალმა იკითხა, ვინ არის არაესიო, რაზეც ერთმა ტყვემ (რომელიც ესპანელი განდგომილი აღმოჩნდა) კასტილურად გასცა პასუხი, აჩვენა ოციოდე წლის მოხდენილი ჭაბუკი.

ხომალდზე უკვე ამოვიდა მეფისნაცვალი, რომელსაც გენერალმა ამცნო: ყოველგვარი კანონისა და სამხედრო უფლება-ჩვეულების წინააღმდეგ, ორი საუკეთესო ჯარისკაცი მომიკლეს, ამიტომ ფიცი დავდე, რომ ყველა დატყვევებულს ჩამოვახრჩობ. განსაკუთრებით არაესის დანდობას არ ვაპირებო.

მეფისნაცვლის ყურადღება ჭაბუკი არაესის მშვენიერებამ მიიპყრო და გადაწყვიტა, გადაერჩინა იგი. მას წარმომავლობა ჰკითხა: „შთამომავლობით თურქი ხარ, მაგრი თუ განდგომილი?“ ჭაბუკმა კასტილურ ენაზე მიუგო, რომ ქრისტიანი ქალია. მეფისნაცვალი გაოცდა. ქალმა, ვისთვისაც ხელები უკვე შეეკრათ და კისერზედაც თოკის ქამანდი გაეკეთებინათ და სიკვდილს ელოდა, ითხოვა, დროებით გადადევით დასჯის საკითხი, ჩემი ცხოვრების ამბავს გაიმბობთო. მას საუბრის ნება დართეს.

არაესმა (ქალმა) თქვა, რომ ის მაგრი მშობლების შვილია. მას და ახალგაზრდა კაბალეროს, სახელად დონ გასპარ გრეგორიოს, სახელოვანი კაბალეროს შვილს, მაიორატის მემკვიდრეს, შეუყვარდათ ერთმანეთი. მაგრებს უბედურება ეწვიათ. მეფის პირველი ბრძანება რომ გამოიცა, ესპანეთიდან მათი ხალხის განდევნის შესახებ, ორმა ბიძამ იგი ბერბერიაში წაიყვანა. ქალის სატრფო მის ბიძებს დაუმეგობრდა და თან გაჰყვა განდევნილებს. მან მაგრული ენა კარგად იცოდა. მამა, გონიერი და წინდახედული კაცი, სხვა სახელმწიფოში გაემართა, ბინის სამეზნელად, დიდძალი მარგალიტი და ძვირფასი თვალი, აგრეთვე ფულად მრავალი ოქროს დუბლონი და კრუსადორი ჩამარხა მიწაში (ის ადგილი მარტო მან, არაესმა, იცის სადაა). ქალი ბერბერიაში, ალჟირში, დასახლდა. ხმები მისი სილამაზისა და სიმდიდრის შესახებ, მეფემდის მივიდა. ქალი მიიხმო და ჰკითხა, ესპანეთის რომელი კუთხიდან იყო და ფული და განძეულობა თან რამდენი წამოიღო. მან მიუგო, რომ ფული და განძეულობა იქ იყო დამარხული და მისი ადგილსამყოფელი მხოლოდ მან იცოდა. ამ დროს, მეფეს მოახსენეს, ამ ქალს ულამაზესი ჭაბუკი (დონ გრეგორიო) ახლავსო. ბრძანა მოეყვანათ, მაგრამ არაესმა მოატყუა, ისიც ქალია და ნება დამრთეთ, მოვრთო ლამაზი კაბით და ისე წარმოგიდგინოთო (ასე იმიტომ მოიქცა, რომ ბარბაროსები ჭაბუკებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ). მართლაც ასე მოიქცა, მეფეს დონ გრეგორიო (ისეთი სამოსით წარუდგინეს) ქალი ეგონა, გადაწყვიტა სულთნისთვის ებოძებინა, ბრძანა, ის, დროებით, მდიდარი მაგრი ქალების ოჯახში დაეზინავებინათ.

ალჟირის მეფის გადაწყვეტილებით, არაესი გამოუშვეს ესპანეთისკენ, ბრიგანტინით, ორი თურქი გამოაყოლეს (ჯარისკაცების მკვლელები). მათ ესპანელი განდგომილიც წამოყვა (მას ესპანეთში დარჩენა უნდოდა). დანარჩენები, მაგრები და თურქები არიან და მათი მოვალეობა მხოლოდ მენიჩხოებააო.

არაესმა თავისი სამწუხარო ამბის მოყოლის შემდეგ, ცრემლმორეულმა თქვა, რომ სურს ქრისტიანით მოკვდეს, თავისი თანამემამულეების მიერ ჩადენილ ცუდ საქმეებში მას არ მიუღია მონაწილეობა და დანაშაული არ მიუძღვის.

მეფისნაცვალი მიუახლოვდა, გაუთავისუფლა შეკრული ხელები. ამ დროს ერთმა უცხო კაცმა, რომელიც არაესის მამა აღმოჩნდა, აქვითინებულმა, შესძახა: „**ან ა-ფ ე ლ ი ქ ს*, უბედურო ჩემო ასულო! მე შენი მამა რ ი კ ო ტ ე ვარ, შენ მოსაძებნად დავბრუნდი**“... შვილს ვეძებდი და ვერ ვპოულობდი, სიმდიდრე წამოვიღე და აქ აქვს, მაგრამ დღეს სხვა საუნჯე-ანა-ფელიქსი ვიპოვეო.

მამა-შვილი ერთმანეთს გადაეხვია.

სანჩომ რიკოტე იცნო, გაახსენდა, გუბერნატორობაზე უარის თქმის დღეს რომ შეხვდა.

საჭურველმტვირთველმა იქ მყოფებს უთხრა, რომ ანა-ფელიქსი და რიკოტე, მართლაც, მამა-შვილი არიან. ამ შემთხვევით ყველა გოცეებული დარჩა.

არაესსა და ჯარისკაცების მკვლელ ორ თურქსაც, სიცოცხლე შეუნარჩუნეს („**ძნელია შურისძიების გულგრილად ასრულება მაშინ, როდესაც რისხვა უკვე განელეზულია...**“). ფიქრი დაიწყეს იმაზე, თუ როგორ ეხსნათ დონ გრეგორიო ხიფათისაგან. რიკოტემ, ამ საქმისათვის, ორი ათას ოქროზე მეტის გაღება იკისრა.

ესპანელმა განდგომილმა წარმოადგინა გეგმა: ექვსმერხიანი ნავითა და ქრისტიანი მენიჩბეებით ალჟირში დავბრუნდები, ის სახლიც ვიცი, სადაც დონ გრეგორიო არისო. ანა-ფელიქსი მას თავდებად დაუდგა.

განდგომილის გეგმა მიიღეს, მეფისნაცვალი ნაპირზე გადმოვიდა, ხოლო დონ ანტონიო მორენომ მავრის ქალი და მამამისი თავისთან წაიყვანა.



თავი LXIV

ამბავი ფათერაკისა, რომელმაც იმაზე უფრო დიდი მწუხარება მიაყენა დონ კიხოტს, ვიდრე მანამდის შემთხვეულ ყველა ფათერაკს მიუყენებია

დონ ანტონიოს ცოლმა ანა-ფელიქსი დიდი პატივით მიიღო. მისი სილამაზე ყველას აოცებდა.

დონ კიხოტმა განდგომილის გეგმა არ მოიწონა, მან დონ ანტონიოს უთხრა, მე გამგზავნეთ ბერბერიაში, შეიარაღებული და ცხენზე მჯდარი, და დონ გრეგორიოს

გავათავისუფლებო. დონ ანტონიოს თქმით, განდგომილი თუ ვერ გაართმევდა თავს ნაკისრ ვალდებულებას, მაშინ რაინდი უნდა გაეგზავნათ, ამ დავალების შესასრულებლად.

განდგომილი, ორი დღის შემდეგ, თორმეტნიჩბიანი ნავით, მამაც ადამიანებთან ერთად, ალჟირში გაემგზავრა.

ერთხელ, დილით, დონ კიხოტი შეიარაღებული გამოვიდა სასეირნოდ (რადგან, როგორც ხშირად ამბობდა, **ი არ აღი მისი მშვენიება იყო, ხოლო ბრძოლა - დასვენება**), დაინახა თეთრაბჯრიანი რაინდი, ფარზე მოელვარე მთვარე ჰქონდა გამოსახული. ის მიუახლოვდა იდალგოს და ხმამაღლა მიმართა: **თ ე თ რ ი მ თ ვ ა რ ი ს რ ა ი ნ დ ი ვ არ**, შენთან საბრძოლველად მოვედი, უნდა აღიარო, რომ ჩემი სატრფო ქალი დულსინე ტობოსელზე ლამაზია. ბრძოლაში თუ დაგამარცხებ, იარაღი უნდა დაყარო, ფათერაკების ძებნა მიატოვო და შენს სახლში დარჩე ერთი წლის ვადით. თუ შენ დამამარცხებ, ჩემი იარაღი და ცხენი დაგრჩება.

თავზარდაცემულმა და გოცებულმა დონ კიხოტმა უპასუხა: დულსინე არასდროს გინახავს, თორემ ბრძოლაში არ გამომიწვევდი, მიხვდებოდი, რომ: **„დულსინეს მსგავსი მშვენიერი ქვეყანაზე არც ყოფილა და არც იქნება“**[2,484], შენს საბრძოლო გამოწვევას კი მივიღებო.

ქალაქიდან თეთრი მთვარის რაინდი შენიშნეს და მეფისნაცვალს აცნობეს. მან იფიქრა, ეს, ალბათ, დონ ანტონიო მორენოსაგან ან რომელიმე კაბალეროსაგან მოგონილი ახალი ოინიაო. მხლებლებთან ერთად, ზღვის სანაპიროსკენ წავიდა. მოწინააღმდეგეები უკვე ემზადებოდნენ საბრძოლველად. მეფისნაცვალმა დაპირისპირების მიზეზი იკითხა. თეთრი მთვარის რაინდმა მიუგო, ბრძოლა სილამაზის უპირატესობის გამო იმართებაო.

არავინ იცოდა, რა ხდებოდა, ხუმრობა იყო თუ რა, მეფისნაცვალი ვერ წყვეტდა, მათთვის ბრძოლის ნება მიეცა თუ არა. ბოლოს დაასკვნა, ხუმრობააო და თავი დაანება.

მოწინააღმდეგემ თავისი ჩქარი ცხენი დაძრა ადგილიდან და, შუბის გამოუყენებლად, ისეთი ძალით შეეხალა დონ კიხოტს, რომ ის როსინანტიანად გაიშლართა. თეთრი მთვარის რაინდმა უთხრა, დამარცხებული ხარ და ბრძოლის პირობებს თუ არ დაემორჩილები, სიცოცხლეს გამოგასალმებო. დონ კიხოტმა მიუგო: **„დულსინე ტობოსელი მთელ ქვეყანაზე ულამაზესი ქალია, ხოლო მე მთელს ქვეყანაზე უუბედურესი რაინდი ვარ. ეს ჭეშმარიტება არ უნდა დაამციროს ჩემმა უღონობამ, ამ ჭეშმარიტებას მაინც არ ვუღალატებ. გამგმირე მაგ შუბით, რაინდო, და სიცოცხლე მომისწრაფე, რადგან პატივი და ღირსება ხომ წამართვი!“**[2,485–486]. მოწინააღმდეგემ მიუგო: **„დაე, ბრწყინავდეს შეუდარებელი სინათლით დიდება დულსინე ტობოსელისა“**[2,486], იმითაც კმაყოფილი ვარ, შეთანხმებისამებრ, ერთი წლით, შენს სოფელში რომ დარჩებიო. დონ კიხოტმა განაცხადა, რომ თანახმა იყო, დამორჩილებოდა პირობას. თეთრი მთვარის რაინდმა ეს რომ გაიგო, მეფისნაცვალს თავაზიანად დაუკრა თავი და ქალაქისკენ გაემართა.

მეფისნაცვალმა დონ ანტონიოს უბრძანა-უცნობს უკან გაჰყოლოდა და ყველა ღონე ეხმარა, გაეგო-ვინ იყო იგი. გაფითრებული დონ კიხოტი წამოაყენეს, როსინანტს

მოდრაობა არ შეეძლო, სანჩო გულნატკენი და დაღონებული იდგა, ეგონა, რაც მოხდამხოლოდ სიზმარი იყო და თავისი ბატონი ჯადოქრების ონით დამარცხდა. დონ კიხოტი ს ღ ვ ა წ ლ თ ა დ ი დ ე ბ ი ს ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე ბ ა და ბ ნ ე ლ და, დაპირებულის აღსრულების იმედიც გაჰქრა, როგორც ქარი გააბნევს ბოლს.

მეფისნაცვალმა საკაცე მოატანინა, დონ კიხოტი ზედ დააწვინეს და ქალაქში წაიყვანეს.



თავი LXV

სადაც განმარტებულია, თუ ვინ იყო თეთრი მთვარის რაინდი, და აგრეთვე მოთხრობილია ტყვეობიდან დონ გრეგორიოს გათავისუფლება და სხვა შემთხვევები

დონ ანტონიო გამოუდგა მთვარის რაინდს, სასტუმრომდე მისდია. უცნობმა დაინახა, რომ ეს კაბალერო არ ეშვებოდა და თავისი ვინაობა გაუმხილა. მან თქვა: დონ კიხოტის თანასოფლელი, ბაკალავრი სამსონ კარასკო ვარ, რაინდის უგუნურება მის ნაცნობებს სიბრალულსა გვგვრის. ვფიქრობ, რომ მისი მორჩენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მშვიდად იცხოვრებს. სამი თვის წინათ, სარკეთა რაინდი დავირქვი, მინდოდა შევბრძოლებოდი, დამემარცხებინა და, პირობისამებრ, იძულებული გამეხადა, თავის სოფელში დაბრუნებულიყო და იქიდან მთელი წლის განმავლობაში აღარსად წასულიყო, ამ ხნის განმავლობაში განიკურნებოდა. მან დამამარცხა, ცხენიდან გადმომაგდო. ჩემი გეგმა ჩაიფუშა, დამარცხებული, შერცხვენილი და საკმაოდ დაბეგვილი შინ დავბრუნდი. დღეს მე დავამარცხე. მეტისმეტი სიბეჯითით ასრულებს მოგზაური რაინდობის წესებს და, უეჭველია, ჩემს დავალებასაც შეასრულებს.

სამსონ კარასკომ დონ ანტონიოს სთხოვა საიდუმლოდ შეენახა მოსმენილი ამბავი: „ეგებ ჭკუა და აზრი დაუბრუნდეს კაცს, რომელიც დიდად გონიერია, როდესაც წუთით მოგზაური რაინდობის სისულელეებს ივიწყებს“[2,488].

დონ ანტონიომ უპასუხა:

„გაპატიოთ ღმერთმა ის დანაკლისი, რაც თქვენ მთელ ქვეყანას გინდათ მოუტანოთ იმით, რომ მოგისურვებიათ გონება დაუბრუნოთ იმ დიდად საყურადღებო მახვილგონიერ უგუნურს, რომლის მსგავსი ქვეყანაზე სხვა არ მოიპოვება! ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მისი გონიერებით მოცემული სარგებლობა იმ სიამოვნებას ვერ აღემატება, რასაც მისი არეული გონება გვაძლევს?.. მისი განკურნებით არა მარტო მის ახირებულ ზნესა და უცნაურობას ვკარგავთ, არამედ ვეთხოვებით მისი საჭურველმტვირთველის ენამახვილობასაც, თითოეულ მათგანს შეუძლია ყველაზე პირქუში, სევდიანი და დაზაფრული ადამიანის გამხიარულება“[2,488]. დონ ანტონიომ დახმარება აღუთქვა სამსონს, მერე დაბრუნდა და მეფისნაცვალს უამბო

ყოველივე, მას არ ესიამოვნა, რადგან რაინდის სულელური მოგზაურობით გამოწვეული სიამოვნება აკლდებოდა.

იდალგო ექვსი დღე იწვა საწოლში, ცუდ გუნებაზე მყოფი, წამდაუწუმ იგონებდა თავისი დამარცხების ამბავს. სანჩო ამხნევებდა: „**გახსოვდეთ, რომ სადაც არტყამენ იქ დარტყმასაც იღებენ; ყველგან როდია ლორი, სადაც მისი დასაკიდებელი კაუჭი ჩამოუკიდიათ**“[2,489]. მან ურჩია თავის ბატონს, დაბრუნებულებიყვნენ შინ...მისი აზრით, რაკი დონ კიხოტი უკვე რაინდი აღარ არის, მას მეფედ გახდომაც არ შეუძლია, სანჩოც გრაფი ვერ გახდება და მისი იმედებიც ბოლივით გაცამტვერდა. დონ კიხოტმა მიუგო, ეს ვალდებულება ერთწლიანია, შემდეგ კი ჩემს კეთილშობილურ საქმეს ისევ გავაგრძელებო. საჭურველმტვირთველმა მიუგო, ღმერთმა გისმინოთ, „**ნათქვამია: კარგი იმედი სჯობია უხირო სინამდვილესაო**“[2,489].

დონ ანტონიომ მოიტანა ამბავი, რომ დონ გრეგორიო და მასთან წასული განდგომილი დაბრუნდნენ. რიკოტე და ანა-ფელიქსი სიხარულით შეეგებნენ, მაგრამ „**ორ შეყვარებულთა მაგიერ დუმილი ლაპარაკობდა**“[2,490].

რიკოტემ უხვად დააჯილდოვა განდგომილი და ის ქრისტიანები, რომლებიც მენიჩბეებად გაყვნენ წასულს.

განდგომილი რომის კათოლიკე ეკლესიას დაუბრუნდა და „**დამპალ-დამყაყებული წევრისაგან**“[2,490](მონანიების შემდეგ), განწმენდილი გახდა.

მეფისნაცვალმა და დონ ანტონიომ დახმარება გაუწიეს ქრისტიან ქალს, ანა-ფელიქსსა და მის მამას, რიკოტეს, რათა ესპანეთში დარჩენილიყვნენ.

ორი დღის შემდეგ დონ კიხოტი და სანჩო გაემგზავრნენ.



თავი LXVI

სადაც მოთხრობილია ის, რასაც მკითხველი წაიკითხავს, ხოლო მსმენელი გაიგონებს

ბარსელონიდან მომავალმა დონ კიხოტმა თავისი დამარცხების ადგილი რომ დაინახა, შესძახა: „**აქ იყო ტროადა! * აქ ჩემმა სულმოკლეობამ და ჩემმა უბედურმა ვარსკვლავმა ჩემი წარსული დიდება დააბნელა! აქ ბედმა თავისი ცვალებადობის სათამაშოდ მაქცია, აქ ჩაესვენა ჩემთა გმირულ საქმეთა ბრწყინვალე მზე. დასასრულ, აქ დაეცა ჩემი ბედნერება, რომ აღარასოდეს აღარ წამოდგეს**“[2,492].

ჩვენი მოგზაურები, მეხუთე დღეს, ფუნდუკს მიადგნენ. უამრავი ხალხი ირეოდა. ერთმა გლეხმა დონ კიხოტს სთხოვა, აქ ორი მოდავე მხარეა და სიმართლის დადგენაში დაგვეხმარეო. სანჩომ, როგორც რამდენიმე დღის წინ გუბერნატორად და მსაჯულად

ნამყოფმა, გადაწყვიტა, რომ ასეთი საქმეების გარჩევა, გაუგებრობების ახსნა, მას ეკუთვნის. ბატონმაც ნება დართო.

საქმე ასეთი იყო:

სოფლის ერთმა მსუქანმა მცხოვრებმა (თერთმეტ ა რ ო ბ ა ს იწონის) სირბილში გამოიწვია მეზობელი (მისი წონა ხუთი არობაა). მათ, თანაბარი სიმძიმით, ასი ნაბიჯი უნდა გაერბინათ. მსუქანს ჰკითხეს, სიმძიმე როგორ გავათანასწოროთო, მან თქვა, გახდარმა ექვსი არობა რკინა ზურგზე უნდა აიკიდოს და გაათანაბრდებო.

სანჩოს განაჩენი:

სქელის მოთხოვნებში არც კეთილგონიერებაა და არც სიმართლე. მან მოიჭრას, მოითალოს თავისი სხეულის ექვსი არობა ხორცი და თავის მოწინააღმდეგეს გაუთანასწორდებო.

ერთმა გლეხმა სანჩო შეაქო, საკითხი ისე გადაწყვიტა, როგორც წმინდანმა და ისე განსაჯა, როგორც ბერმაო. მეორემ თქვა: სჯობია, ამ გლეხებმა სულაც არ ირბინონო... იქ მყოფები უამრავ რაიმეზე მსჯელობდნენ, მაგრამ დონ კიხოტი არ გაჩერდა. ბატონი და მსახური წამოვიდნენ, დარჩენილები ორივეს აქებდნენ და მათზე კარგა ხანს საუბრობდნენ.

მოგზაურებმა ღამე ტრიალ მინდორზე გაატარეს. მეორე დღეს შეხვდათ ტოსილოსი, ჰერცოგის მსახური, რომელიც, როგორც ვიცით, ცოტა ხნის წინათ, უნდა შებრძოლებოდა რაინდს, დონა როდრიგესის შეურაცხყოფილი, მოტყუებული ქალის გამო. დონ კიხოტმა ჰკითხა, ის ხომ ხარ, ჩემმა მტერმა ჯადოქრებმა მსახურად რომ გადაგაქციესო. ტოსილოსმა მიუგო, რომ იმ დღეს ჯადოქრების მიზეზით არაფერი მომხდარა (როდრიგესის ასულის მიჯნურის ნაცვლად „იბრძოდა“, ის ხომ ასე დაარიგეს), მაგრამ ქალი ძალიან მოეწონა და მისი ცოლად შერთვა მოისურვა, ბატონი ჰერცოგი, პირობის დარღვევის გამო, გაბრაზდა და ბრძანება გასცა, ასი ჯოხი დაერტყათ მისთვის, ამის შემდეგ, დონა როდრიგესი კასტილიაში დაბრუნდა, მისი ქალი კი მონაზონი გახდაო.

ტოსილოსმა ღვინოსა და ყველზე მიიწვია ორივე, რაც სანჩოს ძალიან მოეწონა, მაგრამ დონ კიხოტი მსახურს გაუბრაზდა: „მთელ ქვეყანაზე დიდი უძღები და უმეცარი კაცი ხარ, რაკი იქამდის ვერ დამირწმუნებიხარ, რომ ეს შიკრიკი მოჯადოებული და ყალბი ტოსილოსია, დარჩი მაგასთან და მუცელი აივსე. მე კი ნელ-ნელა ვატარებ ცხენს და შენც ადვილად წამომეწევი“...

ტოსილოსმა სიცილი დაიწყო, სანჩომ, მასთან ერთად, ღვინო, ყველის ნაჭრები და პური მიირთვა. როდესაც ჰერცოგის მსახურმა უთხრა, შენი ბატონი ჰკუასთან მწყრალადააო, საჭურველმტვირთველმა დონ კიხოტი შეაქო, მაგრამ ისიც დაამატა: „ახლა... თეთრი მთვარის რაინდისაგან დამარცხდა, ჰკუა სრულებით დაჰკარგა“[2,497].

ტოსილოს სურვილი ჰქონდა, ამბები, იდაღოს დამარცხების შესახებ, მოესმინა, მაგრამ სანჩომ უთხრა, „**უზრდელობა იქნება, ჩემს ბატონს ვაცდევინო, მეორედ თუ შევხვდით სადმე ერთმანეთს, მაშინ გიამბობო**“[2,497].

დონ კიხოტი ხის ჩრდილქვეშ ელოდა მსახურს და ისიც მალე მიუახლოვდა მას.



თავი LXVII

როგორ გადაწყვიტა დონ კიხოტმა მწყემსად გახდომა და აღთქმულ ერთ წელიწადს ველ-მინდვრებში ცხოვრება, და სხვა ჭეშმარიტად შესაქცევი და სამხიარულო შემთხვევები

დამარცხების შემდეგ, დონ კიხოტს ფიქრი და დარდი უფრო მოეძალა.

სანჩომ ტოსილოსი შეაქო, უხვად გამასპინძლების გამო. ბატონი და მსახური ერთხანს არკვევდნენ საკითხებს: ამ მსახურის ნამდვილობაზე, ალტისიდორაზე, სიყვარულზე. რაინდმა კიდევ ერთხელ უსაყვედურა საჭურველმტვირთველს გამათრახების უგულვებელყოფა. სანჩოს უკვირდა, დულსინეს ჯადოს გაუქმებასთან რა კავშირი ჰქონდა მის გამათრახებას, მისი თქმით, ეს იგივეა: თავი თუ გტკივა, მალამო ფეხის ქუსლებზე წაიცხო.

რაინდმა ინატრა, ზენამ გაუნათლოს ჩემს მსახურს გონება, რათა შეიგნოს, რომ უნდა უშველოს ბატონის მიჯნურს, ის ხომ მისი ქალბატონიცაა.

ჩვენი მოგზაურები ტურფა ქალებს მწყემსური არკადიის აღდგენა რომ სურდათ, იმ ადგილს მიუახლოვდნენ (ბატონი და მსახური ხარებმა აქ წააქციეს და გადათელეს). დონ კიხოტმა სანჩოს შესთავაზა, იმ მშვენიერი ქალების მიბაძვით, ჩვენც მწყემსობა დავიწყოთო. მისი აზრით, სახელები უნდა შეეცვალათ, დონ კიხოტი შეირქმევდა კ ი ხ ო ტ ი ს ო ს, სანჩო პ ა ნ ს ი ნ ო გახდებოდა, მთა-მთა, ტყე-ტყე და ველ-მინდორზე იხეტიალებდნენ: „აპოლონი - ლექსებს, სიყვარული - გრძნობიერ აზრებს შთაგვაგონებს, რის მეოხებით სახელოვანი და უკვდავი შევიქნებით, არათუ აწმყოში, არამედ მომავალ საუკუნეებშიაც“[2,499].

სანჩოს თავისი ბატონის იდეა მოეწონა, მისი აზრით, ბაკალავრი სამსონ კარასკო და დალაქი ნიკოლასიც შემოუერთდებოდა მათ, იქნებ მღვდელსაც მოენდომებინა მწყემსობა. თუ ასე მოხდებოდა, მაშინ, რაინდის აზრით, მწყემსი ს ა მ ს ო ნ ი ნ ო ან მწყემსი კ ა რ ა ს კ ო ნ ო, ხოლო დალაქი ნ ი კ უ ლ ო ს ო შემოემატებოდა მათ, მღვდელი კ უ რ ი ა მ ბ რ ო ს *შეირქმევდა...რაც შეეხება დულსინეს, მისი სახელი თავადის ქალისა და მწყემსი ქალის სახელს ერთნაირად მიემსგავსება, ამიტომ უცვლელი დარჩებოდა...

სანჩომ გადაწყვიტა თავისი ცოლისთვის ტერესონ* შეერქმია: „მის სიმსხოსაც კარგად შეეფერება და მის საკუთარ სახელსაც, რადგან ტერესა ჰქვია; მით უფრო, რომ, როდესაც ჩემს ლექსებში იმას ქებას შევასხამ, მე ჩემს უბიწო სურვილებს განვუცხადებ; იმათგანი კი არა ვარ, ვინც უფრო თეთრისა და უკეთესი პურის საძებნელად სხვის სახლებში შედის. რაც შეეფერება მღვდელს, მისთვის მწყემსი ქალი სულაც არ არის საჭირო, რათა კარგი მაგალითი გვაჩვენოს“[2,500].

დონ კიხოტი აღფრთოვანდა, ჩინებულ ცხოვრებას იწყებდნენ, საყვირის, სტვირის, სალამურის, დაირისა და რაბელის საკრავებთან ერთად, აღბოდიც თუ იქნებოდა, მაშინ მწყემსური საკრავის მთელი გუნდი შეიქმნებოდა. ბატონმა მსახურს განუმარტა სიტყვა აღბოდის მნიშვნელობა, აუხსნა, რომ ეს მუსიკალური საკრავია, სპილენძის ფირფიტებისაა, ფეხები შანდლებისას უგავს, გამობერილი ან შეწეული მხრები აქვს... სიტყვა აღბოგუეს - არაბულია, როგორც ალ-ით დაწყებული ყველა ესპანური სიტყვა.

რაინდმა კიდევ ერთხელ სასიამოვნოდ დახატა მწყემსური ცხოვრება, გიტარაზე შეუძლიათ დაამღერონ: „მე სატრფოს განშორებას დავიტირებ, შენ შენი სიყვარულის შეურყევლობას დაამღერებ, მწყემსი კარასკო თავის თავს განდევნილად წარმოიდგენს და მიჯნურის გულგრილობას აღწერს, ხოლო მღვდელი კურიამბრო იმას გამოსახავს, რასაც უფრო შესაფერად ჩათვლის. და ასე - ჩვენი საქმე ისე ჩინებულად წავა, რომ უკეთესიც არ შეიძლებოდეს“....

იდალგოს თქმით, თვითონ, ბაკალავრი კარასკო, მღვდელი პეროს პერესი და დალაქი ნიკოლასი პოეტურად არიან განწყობილი...

სანჩომ შიში გამოხატა, ისეთი უბედური ვარ, მშვენიერი ცხოვრება იქნებ არასოდეს არ მეღირსოსო...ლამაზ კოვზებს დავთლი...მაწონი და ნალები გვექნება...ტყემალს ჩამოვაცრევიანებ...სატაცურს მოვკრეფ...კალათს დავწნავ და მწყემსურ სათამაშოებს გავაკეთებ: „საქმეებმა იქნებ ჰკუიანი კაცის დიდება არ მომანიჭონ, მაგრამ გამგონე და მარჯვე კაცის სახელს კი გამითქვამენ“[2,501]. თავისი ქალიშვილი გაიხსენა, სანჩიკა სადილს მოგვიტანს ხოლმეო, მაგრამ უმაღვე გადაიფიქრა, რაიმე ხიფათს არ გადაეყაროსო: „სამიჯნურო ფათერაკები და უწმინდური სურვილები მინდვრებსა და ქალაქებშიც გვხვდებიან, მწყემსების ქოხებშიც და მეფეთა სასახლეებშიც ბლომად იპოვის კაცი. მიზეზს რომ განვარიდებთ, ცოდვაც განშორდება და, რასაც თვალი არა ხედავს, იმაზე გული არა წუხს, კეთილი კაცისათვის რისამე თხოვნას ღობეზე გადახტომა ჯობია“[2,501-502].

დონ კიხოტმა მსახურს შენიშვნა მისცა, ანდაზების უხვად გამოყენების გამო, თავშეკავებისკენ მოუწოდა: „მრავალჯერ მითქვამს... მაგრამ ამის თქმა შენთვის კედელზე ცერცვის შეყრაა და უდაბნოში ქადაგებაა: დედაჩემი მცემს, მე კი მაინც ჩიკორს ვაბზრიალებო"... სანჩომ მიუგო: „თქვენი მოწყალეობა იმასვე სჩადის, როგორც ამბობენ: ტაფამ ქვას უთხრა, აქედან დაიკარგე, შე გამურულოო. თქვენ მე მტუქსავთ, ანდაზებს ნუ ამბობო, თვითონ თქვენი მოწყალეობა კი წყვილ-წყვილად კინძავთ მათ“[2,502].

„შეიგნე, სანჩო, - მიუგო დონ კიხოტმა, - რომ მე ანდაზა თავის ალაგს მომყავს და, როდესაც ანდაზას ვამბობ, ისეა სიტყვასთან შეწყობილი, როგორც თითზე ბეჭედი. შენ კი თმით ეწევი მათ, არ უცდი, რომ თვითონ მოგადგნენ ენაზე. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბევრჯერ მითქვამს შენთვის - ანდაზა - მოკლე სიტყვაა, ჩვენთა ძველთა ბრძენთაგან გამოცდილებით და დაკვირვებით გამოყვანილი. მაგრამ უალაგო ალაგას მოყვანილი ანდაზა უფრო სისულელეა, ვიდრე ბრძნული სიტყვა“[2,502].

ამგვარი საუბრებით, ორივენი, შარაგზას გაშორდნენ, გვიან და ცუდად ივახშმეს. სანჩომ დაიძინა, დონ კიხოტმა კი, ფიქრებში, თეთრად გაათენა.

თავი LXVIII

არასასიამოვნო, ჩხვლეტია ფათერაკი, დონ კიხოტს რომ შეემთხვა

დონ კიხოტმა ცოტა დაიძინა, მერე სანჩო გააღვიძა: „შენი უდარდელი ხასიათი მაოცებს, სანჩო, თითქოს მარმარილოსაგან ხარ გაკეთებული, ან ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული; შენ, როგორც ქანდაკს, არც მოძრაობა გაქვს, არც გრძნობა. მე ვფხიზლობ - შენ გძინავს, მე ვტირი - შენ მღერი, მე ვმარხვლობ, ქანცი მიწყდება, შენ კი ყელამდის მაძლარი ძლივს ქშინავ. ერთგული მსახურის მოვალეობა კი ის არის, თავისი ბატონის დარდს თანაუგრძნოს და მისი მწუხარება გაიზიაროს“[2,503]. ბატონმა კიდევ ერთხელ შეახსენა გამათრახების საკითხი, დულსინეს ჯადოს გასაუქმებლად, მაგრამ საჭურველმტვირთველის პასუხი წინანდელივით იგივე იყო. ერთხანს ამაზე საუბრობდნენ.

უცებ ხმაური გაისმა, დამაყრუებელი გრიალი მთელ არემარეს მოედო. დონ კიხოტი წამოხტა, სანჩო ვირის ქვეშ შეძვრა. ხმაური თანდათან ძლიერდებოდა. თურმე, რამდენიმე კაცი ექვსასზე მეტ ღორს ბაზარში გასაყიდად მიერეკებოდა, კოლტი ჩვენს ორ მოგზაურს მიაწყდა და ორივე გადათელა. ცხოველები თვალს რომ მიეფარნენ, აღშფოთებულები ძლივს დამშვიდდნენ. დონ კიხოტმა თქვა: „დაიძინე, სანჩო...რადგან მაგისტვის ხარ ნაშობი, მე კი იმისათვის დავბადებულვარ - ვიფხიზლო; გათენებამდის ჩემს ოცნებებს ჩავეხვევი და პატარა მადრიგალს გამოვუთქვამ მათ“[2,505].

სანჩომ დაიძინა, რაინდი ხეს მიეყრდნო და დაიწყო სიმღერა, რომელიც ასე მთავრდებოდა:

ვცოცხლობ იმისთვის, რომ მოვკვდე შემდეგ,
და მაინც მელის მკვდარს გაცოცხლება.
ასე, სიკვდილს და სიცოცხლეს დღემდე

ერთად მიგზავნის მე საოცრება[2,506].

გამთენიისას სანჩომ ღორებისაგან მიყრილ-მოყრილსა და დაცარიელებულ ხურჯინს რომ შეხედა, კოლტსაც და მწყემსებსაც შეჩვენება შეუთვალა და შემდეგ მათ გამჩენსაც შეუკურთხა.

მგზავრობა განაგრძეს, დაბინდებისას ათიოდე ცხენოსანსა და ორ თუ ხუთ ქვეით კაცს შეხვდნენ, შუბებითა და ხმლებით იყვნენ შეიარაღებულნი.

დონ კიხოტმა სანჩოს უთხრა, რომ აღთქმა ხელ-ფეხს უკრავდა, იარაღის ხელში აღება არ შეეძლო. ამასობაში, ცხენოსნებმა, სიტყვის უთქმელად შუბები მოიმარჯვეს, დონ კიხოტს გარს შემოეხვივნენ და სიკვდილით დაემუქრნენ, სანჩო და ვირიც წინ გაიგდეს, რაინდს აინტერესებდა, სად მიჰყავდათ ისინი, მაგრამ უცნობები შუბებს უღერებდნენ, დროდადრო შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავდნენ.

ლამის პირველ საათზე უკვე ჩვენთვის ნაცნობი ჰერცოგის ციხე-დარბაზს მიადგნენ. რაინდი გაოცდა: „ამ სახლში ზრდილობა, ალერსიანობა, მხიარული მიღება სუფევდა. მაგრამ დამარცხებულისათვის ყველაფერი კარგი ცუდით იცვლება და უკეთესი - უარესად გადაიქცევა ხოლმე“ [2,508].

ბატონი და მსახური ციხე-დარბაზის მთავარ ეზოში შეიყვანეს.

თავი LXIX

ფრიად საიშვიათო და არაჩვეულებრივი ფათერაკი, რომლის მსგავსიც დონ კიხოტს ამ დიდებული ისტორიის მანძილზე ჯერ არასოდეს არ შემთხვევია

ჰერცოგის ეზოს ასი კერეონი ანათებდა, ციხე-დარბაზის ტალანებს კი, ხუთასზე მეტი მომცრო ლამპარი. მხედრები ჩამოქვეითდნენ და ჩვენი მოგზაურები იქ ხელში აყვანილი შეიყვანეს.

ეზოს შუაგულში, შავი ხავერდის ფარდით დახურული, კატაფალკის მსგავსი რაღაც იდგა, რომელზეც ალტისიდორა ესვენა.

ვერცხლის შანდლებში ასზე მეტი თეთრი ცვილის სანთელი ენთო. ეზოს ერთ მხარეზე ფიცარნაგი იყო დადგმული, რომელშიც ორი სკიპტრიანი მამაკაცი იჯდა სავარძელში, ფიცარნაგის გვერდით, სხვა ორ სავარძელში, დონ კიხოტი და სანჩო პანსა ჩასვეს. გამოჩნდნენ ჰერცოგი და მისი ცოლი, ბატონი და მსახური ადგნენ და თავიანთ ყოფილ მასპინძლებს მოწიწებით დაუკრეს თავი. ცოლ-ქმარიც მდიდრულად მორთულ სავარძელში ჩაჯდა.

მსახურმა სანჩოს წამოასხა ცეცხლის ენებით მოხატული მოსასხამი, ქუდი მოხადა და ინკვიზიციის მიერ მსჯავრდებულნი რომ ატარებენ, იმგვარი არახჩინი დაახურა, თან გააფრთხილა, ხმა არ ამოეღო, წყნარად ყოფილიყო. საჭურველმტვირთველმა დაინახა, რომ ალში გახვეული მოსასხამი არ სწვავდა, არც არახჩინზე დახატული ეშმაკები უშლიდნენ ხელს და მშვიდად ჩაილაპარაკა: არც ალი მწვავს და არც ეშმაკებს მივყავარ თავისთანო.

შემინებულმა დონ კიხოტმა სანჩოს დანახვაზე ღიმილი ვერ შეიკავა.

გამოჩნდა რომაული ტანსაცმლით გამოწყობილი მშვენიერი ჭაბუკი, რომელსაც ქნარი ეჭირა. მან ორი ს ტ ა ნ ს ი* იმღერა. ტექსტი იწყებოდა კატაფალკაზე მდუმარედ დასვენებული ქალის მოხსენიებით, რომელიც იყო: „მსხვერპლი დონ კიხოტის მრისხანებისა“...მომღერალს მისი „ტანჯვა და სილამაზეც“ არ დაავიწყდა, მისი თქმით, როდესაც ასულის „სული მიატოვებს მიწიერ ჭურჭელს...და... სტიქსეს წყალზე გადაფრინდება“...სიმღერის წკრიალა ხმა დავიწყების მდინარეს შეაჩერებს [2,510].

ერთმა მეფის მსგავსთაგანმა, მ ი ნ ო ს მ ა თქვა, რომ იგი არაა მკვდარი: „ათას ენაზე მღალადებელი სიტყვებით ამბობენ, ცოცხალიაო, და წყვდიადიდან დაკარგულ ქვეყანას დაუბრუნდება, თუ აქ დამსწრე სანჩო პანსა თავს გაიმართახებსო“[2,510], მერე მიმართა რ ა დ ა მ ა ნ ტ ო ს, რომელიც დიტეს პირქუშ მღვიმეთა შორის მსაჯულად ზის, ეს ამბავი გამოაცხადეო. ისიც წამოდგა და შემდეგი გამოაცხადა: „ალტისიდორას გასაცოცხლებლად სანჩოს ცხვირში ოცდაოთხჯერ წვიპურტი ჰკარით, ხელებზე თორმეტჯერ უჩქმიტეთ და წვივებსა და წელზე ქინძისთავით ექვსჯერ უჩხვლიტეთ“[2,510].

სანჩო გაბრაზდა, უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოხატავდა. ამ დროს ეზოში ექვსი დუენია გამოჩნდა, მათმა დანახვამ კიდევ უფრო განარისხა იგი, ხარივით დაიბღავლა, დუენიებმა ხელი რომ შემახონ, ამას ვერ მოვითმენო. დონ კიხოტმა დაამშვიდა, მოუწოდა ზეცისთვის მადლობა შეეწირა იმის გამო, რომ ჯადოს მოხსნისა და მკვდრის აღდგენის სასწაულებრივი თვისებები მიანიჭა. საჭურველმტვირთველი გაჩუმდა. დუენიებმა წვიპურტები ჰკრეს, მსახურებმა დაჩხვლიტეს. ქინძისთავით შეხებამ გააშმაგა იგი, იყვირა, მათ ჯოჯოხეთის მსახურები უწოდა. ამ დროს ალტისიდორა გვერდზე გადაბრუნდა, რადამანტომ სანჩოს უბრძანა თავისი რისხვა გაენელებინა, რადგან მიზანი მიღწეული იყო. დონ კიხოტმა კი „გაცოცხლებული“ ალტისიდორა რომ დაინახა, სანჩოს წინ მუხლი მოიდრიკა და ისევ შეახსენა აღთქმა, გამართახების შესახებ. საჭურველმტვირთველი კიდევ ერთხელ განრისხდა: „ეგლა მაკლია, რომ სილების, წვიპურტების, ჩქმეტისა და ქინძისთავით ჩხვლეტის შემდეგ ახლა მართახები ვუთავაზო ჩემს ტანს“ [2.512].

ალტისიდორა კატაფალკაზე წამოჯდა, ჰერცოგი, მისი ცოლი, მინოსი, რადამანტო და სხვები, დონ კიხოტითა და სანჩოთი, კუბოდან ალტისიდორას ამოსაყვანად მივიდნენ. მან, ქალმა, რომელმაც საიქიოში ათას წელიწადზე მეტს ხანს დაჰყო, დონ კიხოტს აღმაცერად გადახედა, უსულგულო და უგრძნობელი უწოდა, „უგულკეთილეს საჭურველმტვირთველს“ კი მადლობა გადაუხადა და საჩუქრად თავისი ექვსი პერანგი შესთავაზა, რომელთაგან, მართალია, ყველა მთელი არ არის, მაგრამ გარეცხილი და სუფთაა. ურჩია, შეგიძლია ისინი შენთვის გადაიკეთოო. საჭურველმტვირთველმა დაუჩოქა, ხელზე აკოცა.

სანჩომ ჰერცოგს სთხოვა, შესამოსი და არახჩინი მისთვის მიეცა, რადგან უნდოდა შინ წაეღო, ჯერ არნახული შემთხვევის ნიშნად და სახსოვრად. ჰერცოგის ცოლმა არახჩინი და მოსასხამი აჩუქა.



რომელიც მოსდევს სამოცდამეცხრეს და სადაც ამ ისტორიის ცხად-გასაგებად საჭირო საგნებზეა საუბარი

სანჩო და დონ კიხოტი, მდიდრულ ოთახში, გვერდიგვერდ, ტახტებზე დააწვინეს. საჭურველმტვირთველს არ სურდა ერთ ოთახში ყოფილიყვნენ, რაინდი კითხვებითა და საუბრით ძილს დამიშლისო, მართლაც ასე მოხდა. იდალგომ მომხდარ ფათერაკზე დაუწყო საუბარი, მან ალტისიდორას „სიკვდილი“ იმას მიაწერა, რომ სანჩო უყურადღებობას იჩენდა ქალის მიმართ, ჯადოს გაუქმებას უგულვებელყოფდა. საჭურველმტვირთველი ისევ გაბრაზდა, „იმ რეტიანი გომბიოს“ სიკვდილს რა კავშირი აქვს მის ტანჯვასთან? რაინდს საუბარი შეაწყვეტინა. ორივემ დაიძინა.

რამ აიძულა ჰერცოგი და მისი ცოლი, ასეთი დიდი მონდომებით რომ მოაწყვეს ზემოხსენებული წარმოდგენა?

ბაკალავრმა სამსონ კარასკომ ვერ დაივიწყა, სარკის რაინდად ყოფნის დროს, დონ კიხოტმა რომ დაამარცხა. ყველა მისი გეგმა ჩაიშალა. რაინდის ადგილსამყოფელი იმ პაჟისგან გაიგო, ტერესას წერილი და საჩუქრები რომ მიუტანა. ცხენი და ახალი აბჯარი იშოვა, ფარზე თეთრი მთვარე გამოსახა, ერთ ჯორს აჰკიდა და გამყოლად თომა სესიალი კი არა, სულ სხვა გლეხი აიყვანა. ჰერცოგის ციხე-დარბაზში მივიდა, იქ გაიგო, რომ რაინდი სარაგოსას ტურნირზე აპირებდა დასწრებას. მას ბევრი რამ უამბეს, რაც ჩვენს მოგზაურებს გადახდათ თავს. ჰერცოგმა სამსონს სთხოვა, დაამარცხებ თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს, გამომიარე და ყველაფერი გამაგებინეო. ბაკალავრი დათანხმდა.

სამსონ კარასკომ რაინდი სარაგოსაში ვერ იპოვა და ბარსელონაში წავიდა. დაბრუნებისას ჰერცოგთან მივიდა, უამბო, ბრძოლის პირობების, დონ კიხოტის უკან დაბრუნებისა და ერთი წლით სოფელში მისი განდევილობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ. ბაკალავრის თქმით, ამ ხნის განმავლობაში, შესაძლებელი იყო, რაინდი სისულელისგან განკურნებულიყო, მას ებრალებოდა ჭკვიანი იდალგო, რომელსაც გონება აერია.

კარასკო გამოეთხოვა მას და სოფელში წავიდა. მისი ნაამბობით ჰერცოგმა ისარგებლა და სწორედ ის ხუმრობა მოაწყო, რაც უკვე ვიცით. სერვანტესის თქმით: „ეს ლაზღანდარა ხალხი... იმდენადვე უგუნურები და გიჟები იყვნენ, რამდენადაც ისინი, ვისაც ამასხარაგებდნენ და აპამპულებდნენ, რადგან ამ სულელურ საქმეში ჰერცოგი და მისი ცოლი ესოდენ გულმოდგინეობას იჩენდნენ, რომ თვით ხდებოდნენ პამპულები და სულელები“[2,516].

„ორი ჩვენი ყეყეჩი მოგზაურიდან“ ერთს ღრმად ეძინა, მეორე, ოცნებებში ჩაფლული, დილამდე ფხიზლობდა. ალტისიდორა, რომელსაც რაინდი მკვდრეთით აღდგენილად თვლიდა, იმავე ჩაცმულობით, კატაფალკაზე რომ იწვა და თავზე გვირგვინით, დონ კიხოტის ოთახში შევიდა, სასთუმალთან ახლოს, სელზე, დაჯდა და რაინდის გულქვაობასა და საჭურველმტვირთველის სიკეთეზე დაიწყო ლაპარაკი.

სანჩო დაინტერესდა, რა ნახა ალტისიდორამ საიქიოში, ჯოჯოხეთში რა ხდება? „ხომ ასეა, ვინც სასოწარკვეთილებისაგან კვდება, ნებით თუ უნებლიეთ ჯოჯოხეთში უნდა ჩავარდეს?“[2,517].

ალტისიდორამ თქვა, რომ იგი მთლად არ მომკვდარა, ამიტომაც მხოლოდ ჯოჯოხეთის კარიბჭემდე მივიდა. ათიოდე ეშმაკი ნახა, რომლებიც ბურთის მაგიერ ნამჯით გატენილი და ქართთ გაბერილი წიგნებით თამაშობდნენ, მაღლა რომ აისროდნენ, ძირს აღარ ვარდებოდა, არც მოგება უხაროდათ, არც წაგება სწყინდათ და ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. ერთი წიგნი სულ დაშალეს: „აბა ერთი ნახე, ეგ რა წიგნია“, - უთხრა ერთმა ეშმაკმა მეორეს. „მეორე ნაწილია დონ კიხოტ ლამანჩელის ისტორიისაო“, - უპასუხა მეორემ, პირველი მისი ნამდვილი ავტორის, სიდ ჰამეტ ბენენჰელის შეთხზული კი არა, არამედ, ვიღაც ტორდესილასის მკვიდრ არაგონელისაგან“, „გადააგდეთ აქედან, - დაუყვირა ეშმაკმა, - ჯოჯოხეთის სულ უღრმეს ალაგს ჩააგდეთ იგი, რომ ჩემმა თვალებმა აღარ დაინახონ“. „განა ასე ცუდია?“ - ჰკითხა მეორემ. - „ისე ცუდია, - მიუგო პირველმა, - რომ მე, თვითონ ეშმაკიც, ვცდილიყავი იმაზე უარესი დამეწერა, მაინც ვერ მოვახერხებდი“ [2,517-518].

დონ კიხოტმა ალტისიდორას უთხრა, რომ მეორე დონ კიხოტი არ არსებობს, წიგნი, რომელიც იქ ნახა, ყალბია, ცრუავტორმა შეთხზა: „თუ იგი კარგია, მართალი და ჭეშმარიტი, საუკუნეთა მანძილზე იცოცხლებს და თუ ცუდია აკვნიდან სამარემდის მანძილს ვერასოდეს ვერ გაივლის“ [2,518]. რაინდმა „მასზე შეყვარებულ ქალს“ მადლობა გადაუხადა, მაგრამ აუხსნა, რომ მას არ შეუძლია სიყვარულის გრძნობაზე გრძნობითვე უპასუხოს, რადგან მისი გული დულსინეს ეკუთვნის. ქალმა ვითომ განრისხებით უთხრა: „ვაჰ, შე დონ ვირთეგზას შაშხო! ბრინჯაოს გულო, ინდის ხურმის კურკავ! მომაკვდინებელი ცოდვაგ! ტლანქ გლეხივით კერპო და მოუქნელო! უსულგულო, უმაქნისთუმაქნისო! უფალსა ვფიცავ, მე რომ კლანჭები ჩაგიყარო, მაგ თვალებს გამოგთხრიდი. იქნებ გგონია, დონ დამარცხებულო, დონ ჯოხებით ნაცემო, რომ მე შენს გამო მოგკვდი? ყველა, რაც წუხელი ნახე, მოჩვენება და კომედია იყო“ [2,519].

საუბარში სანჩო ჩაერთო: „როდესაც ამბობენ, შეყვარებული სიყვარულის გამო კვდებაო, მხოლოდ გასაცინებლად ამბობენ; ენა უძვლოა, რასაც უნდა, იტყვის, მაგრამ სიყვარულისაგან სიკვდილი კი - დაე, იუდა გამცემელმა დაიჯეროს“ [2,519].

ოთახში ის მუსიკოსი შემოვიდა, ალტისიდორას ცხედართან რომ ორი ლექსი იმღერა. მან დონ კიხოტს შეახსენა თავისი თავი. რაინდმა უთხრა, ხმა მშვენიერი გაქვთ, მაგრამ გ ა რ ს ი ლ ა ს ო ს ს ტ ა ნ ს ე ბ ს ამ ქალბატონის სიკვდილთან არაფერი კავშირი არ ჰქონდაო. ამ დროს ჰერცოგი და მისი ცოლი შემოვიდნენ, ისაუბრეს. სანჩო ყველას აოცებდა თავისი გულუბრყვილობითა და მახვილგონიერებით. დონ კიხოტმა მასპინძლებისგან წასვლის ნებართვა ითხოვა, მისი თქმით: „დამარცხებული რაინდისათვის სადმე საღორეში ცხოვრება უფრო შესაფერი იყო, ვიდრე მეფის სასახლეში განცხრომით [ყოფნა“ [2,520]. როცა ჰერცოგის ცოლმა ჰკითხა, ალტისიდორაზე გაჯავრებული ხომ არა ხარო, რაინდმა მიუგო, რომ ამ ქალს ყველაფერი უსაქმურობისგან მოსდის, „უსაქმურობა ყველა მისი სენის მიზეზია“. სანჩომაც დაუდასტურა, ასეაო. მისი თქმით: „მშრომელი ქალი თავის საქმეზე უფრო ზრუნავს, ვიდრე სიყვარულის ფიქრებს მიეცეს... როდესაც მინდორში ვმუშაობ, ჩემი დიასახლისი სრულებით არ მაგონდება, ესე იგი - ჩემი ტერესა სანჩა, ჩემი თვალის ჩინზე მეტად რომ მიყვარს“ [2,520].

ალტისიდორამ თქვა: „მართო ერთი იმის გახსენება, რომ უმაქნისი მაწანწალა, აგრე უხეშად და სასტიკად მომეპყრა, საკმარისია ჩემში ყოველგვარი სიყვარული ჩაჰკლას“[2,520]. მერე ვითომ ცრემლები მოეძალა და ოთახიდან გავიდა.

სანჩოს შეეცოდა ალტისიდორა, რადგან მან შეიყვარა: „მიუკარებელი, ქვა გულისა და ჩალასავით გამომშრალი სულის პატრონი...ჩემთან რომ საქმე დაეჭირა და შევეყვარებოდი, მაშინ სულ სხვა ჰანგზე ვუმღერებდი“[2,521],თქვა მან.

ჩვენი მოგზაურები იმავე საღამოს გაუდგნენ გზას.



თავი LXXI

რა შეემთხვათ დონ კიხოტსა და მის საჭურველმტვირთველ სანჩო პანსას თავიანთი სოფლისაკენ მიმავალ გზაზე

დამარცხებამ დონ კიხოტი დააღონა, მაგრამ სანჩოს სასწაულებრივი ძლიერება ახარებდა, ალტისიდორას „გაცოცხლების“ ამბავში რომ გამოჩნდა.

საჭურველმტვირთველი ალტისიდორაზე ნაწყენი იყო, დაპირებული პერანგები არ აჩუქა. ექიმებზე უბედური ვარო, თქვა. მისი აზრით, მკურნალები ავადმყოფებს კლავენ და იმაშიც ფულს იღებენ, წამლების გამოწერაშიც კი, გასამრჯელო აქვთ, მას კი, ჩხვლეტენ, სისხლს ადენენ, ამათრახებენ და გროშსაც არ აძლევენ.

მსახურმა დაიფიცა, რომ დღეიდან არავის მოემსახურებოდა უფასოდ. დონ კიხოტმა ჰკითხა, გამათრახებისთვის რამდენის მიღება გსურს, მითხარი და ის ჩემი ფული გქონდეს, რომელიც გაბარიაო. სანჩოს მოეწონა რაინდის სიტყვა და უთხრა, ჩემი ცოლისა და შვილების სიყვარული მაიძულებს ანგარების მოყვარულ კაცს დავემსგავსო... თითო დარტყმაში რამდენს მიბოძებთო. ბატონმა მიუგო, ჩემი ფული გადათვალე რამდენია და გასამრჯელოც იმის მიხედვით აიღეო. სანჩო კარგა ხანს ანგარიშობდა, საბოლოოდ მიიღო ჯამი: რვაას ოცდახუთი რეალი, რომელიც მას ერგებოდა დონ კიხოტისგან, გამათრახების გამო. ბატონმა თავისი მსახურის მიმართ მაღლიერება გამოხატა, რადგან, ამის შემდეგ, მისთვის: „უბედურება ბედნიერებად გარდაიქმნება და ჩემი დამარცხება - უდიდეს დღესასწაულად და ზეიმად გადაიქცევა“[2,523]. მაგრამ თუ დააჩქარებ გამათრახებას, ას რეალს კიდევ დაგიმატებო. მსახური დაპირდა, რომ დაღამებისთანავე შეუდგებოდა საქმეს, დუღსინეს ჯადოს გასაუქმებლად.

გზიდან გადაუხვიეს და, მოშორებით, ჭალაში, ხეებს შუა აღმოჩნდნენ. ივანშმეს. „სანჩომ როსინანტის აღვირის თასმებიდან და ვირის ავშარიდან მაგარი და რბილი მათრახი გაიკეთა და ოციოდე ნაბიჯზე თავისი ბატონის შორიახლოს მაგარი წიფლის ჩრდილქვეშ გადგა“[2,523]. ბატონი ურჩევდა, თავი მეტისმეტად არ დაეშავებინა.

სანჩომ მათრახი აიღო და რამდენიმეჯერ გადაიჭირა, რვა თუ ათი დარტყმის შემდეგ, თანხა ეცოტავა. ეს თავის ბატონს რომ უთხრა, მან დაამშვიდა, ფასს ერთიორად მიიღებო.

„მაშ, - თქვა სანჩომ, - ღმერთი იყოს ჩემი შემწე! ახლა კი სეტყვასავით დავიშენ მათრახს. მაგრამ იმ ცბიერმა თავის ბეჭებსა და ზურგს თავი დაანება და ხეებს

დაუწყო ტყლაშუნი, დროდადრო კი ისე გმინავდა, ყოველ გმინვაზე თითქოს სული სხეულიდან შორდებოდა“[2,524]. ბატონი შეშინდა და საჭურველმტვირთველს ურჩია, გამათრახება გადაედო, უფრო ხელსაყრელ შემთხვევას დალოდებოდა.

მეორე დღეს, სამი მილის მანძილზე მდებარე სოფლის სასტუმროში მივიდნენ. ამჯერად, დონ კიხოტს, ის ციხე-დარბაზად არ ჩაუთვლია. სერვანტესის თქმით, რაინდი „დამარცხების შემდეგ ყველა საგანზე გონივრულად მსჯელობდა“[2,525]. ბატონსა და საჭურველმტვირთველს ქვემო სართულში მისცეს კედლებმოხატული ოთახი. სანჩოს თქმით: „ჩქარა ერთი დუქანი, ერთი ბაკი, ერთი სასტუმრო, სახამრო ანუ სადალაქო და ფუნდუკი აღარ იქნება, რომ ჩვენი სახელოვანი საქმეების ისტორიიდან დაჯღაბნილი სურათებით არ იყოს აჭრელებული, მაგრამ მინდოდა კი ეს სურათები იმაზე უკეთეს მხატვარს დაეხატა, ვისაც ესენი დაუხატავს“. რაინდმა მიუგო: „ეს მხატვარი უბედელ მხატვარს ორბანებსა ჰგავს: ის რომ რაიმეს ხატავს და ჰკითხონ, რასა ხატავო, უპასუხებს: იმას, რაც გამოვაო, და თუ ვინცობაა მამალს დახატავდა, ქვეშ აწერდა: ესე არს მამალიო, რომ სხვებს მელა არ ჰგონებოდათ. ასეთივე უნდა იყოს, როგორც მგონია, მხატვარი, ანუ მწერალი, - ეს ორი ერთია, - ამას წინათ გამოცემული დონ კიხოტის ახალი ისტორიის დამწერი; იმის დამხატავი თუ დამწერი ალაღბედზე სწერდა, - რაც უნდა გამოსვლოდა, მისთვის სულ ერთი იყო“[2,525].

ჩვენმა მოგზაურებმა ისევ გამათრახებაზე განაგრძეს საუბარი, გადაწყვიტეს, რომ ეს პროცესი თავიანთ სოფელში მისვლამდე გადაედოთ (დონ კიხოტმა ივარაუდა: „ზეგ მაინც მივალთ“ სოფელში).

როგორ ჩავიდნენ სოფელში დონ კიხოტი და სანჩო პანსა

სასტუმროში ვიღაც მგზავრი მოვიდა, ცხენოსანი, სამი თუ ოთხი მსახური ახლდა. დონ კიხოტი გაეცნო მას, დონ ალვარო ტარფეს. ამ სახელს, რაინდმა, დონ კიხოტის მეორე ყალბ ნაწილს რომ ფურცლავდა, მაშინ მოჰკრა თვალი. ბატონი და მსახური გაეცნენ ამ კაბალეროს, გაიგეს, რომ მისი სამშობლო გრანადაა, ხოლო დონ კიხოტი კი, თურმე, მისი უახლოესი მეგობარია. კარგა ხანს საუბრობდნენ, მათ გაარკვიეს, რომ მეორე წიგნის ბოროტმა შემთხვევლმა დაამახინჯა პირველი წიგნის პერსონაჟები და გადააკეთა მათი ქმედებები. რაინდმა ტარფეს უთხრა: „მე იმ მეორე ნაწილში ჩაბეჭდილი დონ კიხოტი არა ვარ და... ჩემი საჭურველმტვირთველი სანჩო პანსა არ არის იგი, თქვენი მოწყალება რომ იცნობს“ [2,529–530]. დონ ალვარომ უპასუხა: „ძალიან გაკვირვებული ვარ, რომ ერთსა და იმავე დროს ორ დონ კიხოტს ვხედავ და ორ სანჩოს, სახელებით იმდენადვე ძალიან მსგავსებს, რამდენადც მოქმედებით განსხვავებულებს, მაინც ვამბობ და ვამტკიცებ, რომ არ მინახავს ის, რაც ვნახე და არ შემთხვევია ის, რაც შემთხვევა“ [2,530].

„სადილის დროს, შემთხვევით, სასტუმროში ადგილობრივი ალკალდი და მისი მწერალი შემოვიდნენ. დონ კიხოტმა ალკალდს თხოვნა მიართვა და სთხოვდა შეემოწმებინა და მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად შეედგინა აქტი, რომ იქ მყოფი აზნაური დონ ალვარო ტარფე ადასტურებდა მისი მოწყალების სენიორ ალკალდის წინაშე, რომ იგი სრულებით არა ცნობდა იქვე მყოფ დონ კიხოტ ლამანჩელს და, რომ ეს დონ კიხოტი სრულებით ის დონ კიხოტი არ იყო, რომელიც მოხსენებულია შემდეგი სათაურით დასტამბულ წიგნში: „მეორენაწილი დონ კიხოტ ლამანჩელი ს ა, -შეთხზულია ქ.ტორდესილასის მკვიდრ ვიღაც აველიანეს* მიერ. ალკალდმა კანონიერი წესით შეასრულა ეს და აქტი შეადგინა ყველა იმ ფორმალობის დაცვით, რაც ასეთ შემთხვევაშია მიღებული. დონ კიხოტი და სანჩო დიდად კმაყოფილნი დარჩნენ“ [2,530].

დონ კიხოტმა დონ ალვარო ტარფე ცდომილებიდან გამოიყვანა.

საღამოს გაემგზავრნენ, რაინდმა თავისი ფათერაკები უამბო ტარფეს, რითაც ძალიან გააკვირვა. მალე მათი გზები გაიყო, სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ.

დონ კიხოტმა და სანჩომ ღამე მომცრო ტყეში გაათიეს, საჭურველმტვირთველმა ისევ წინანდებურად, წიფლის ხეებზე მათრახის ძლიერი ტყლამუნით გაიმათრახა თავი.

შემდეგი მთელი დღე და ღამე მგზავრობაში გაატარეს. რაინდი ყველა გამვლელ დედაკაცს აკვირდებოდა, დულსინე ხომ არა არისო. შემდეგ ისინი ერთი ბორცვის წვერზე ავიდნენ და იქიდან თავიანთი სოფელი დაინახეს. სანჩომ დაიჩოქა და შესძახა:

„- თვალი გაახილე, სასურველო სამშობლოვ! შემოხედე შენს საფარს ქვეშ დაბრუნებულ შენს შვილს - სანჩო პანსას, რომელიც თუმცა გაუმდიდრებელი, მაგრამ ჯოხითა და მათრახით მაგრად ნაცემი გიბრუნდება! ხელები გაშალე მოსახვევად და გულზე მიიკარ აგრეთვე შენი შვილი დონ კიხოტიცა, თუმცა სხვისი ხელით დამარცხებული,

თავის თავზე კი გამარჯვებული, რაც, მისივე სიტყვით, უდიდესი გამარჯვებაა, როგორსაც კი ადამიანი მოისურვებს!“[2,532].

დონ კიხოტმა სანჩოს ურჩია, სისულელეებს მოეშვი: „დაჩუმებული და მარჯვენა ფეხის წინ გადადგმით შევიდეთ ჩვენს სოფელში. იქ ჩვენს ოცნებას თავისუფალი გზა მივცეთ და, მწყემსურ ცხოვრებას რომ ვფიქრობთ, იმისი გეგმა შევადგინოთ“[2,532].

დონ კიხოტი და სანჩო ჩამოვიდნენ ბორცვიდან და სოფლისკენ გაემართნენ.



თავი LXXIII

ცუდი ამბების მომასწავებელი ნიშნები, სოფელში შესვლისას დონ კიხოტი რომ განმეხა, და აგრეთვე სხვა შემთხვევები, რომლებიც ამკობს და უაღრესად უტყუარს ხდის ამ დიდებულ ისტორიას

სოფელში შესულმა დონ კიხოტმა საბძელთან ორი მოჩხუბარი ბავშვი დაინახა. ერთმა ბიჭმა მეორეს დაუძახა: „რაც უნდა ჰქნა, პერიკილო, იმას შენს სიცოცხლეში მაინც ვეღარ იხილავ.“ რაინდმა ეს სიტყვები თავის მდგომარეობას შეუფარდა და ჩათვალა, რომ დულსინეს ვერასდროს ვერ ნახავდა. სანჩოს პასუხის გაცემა სურდა, მაგრამ ამ დროს

კურდღელმა გამოირბინა, მწევრებსა და მონადირეებს ემალებოდა. ის ვირის ფეხებქვეშ შეძვრა და დაიძალა. სანჩომ დაიჭირა და რაინდს მიაართვა. მან თქვა: „**malum signum! Malum signum!** კურდღელი გარბის, მწევრები მას მისდევენ; აშკარაა, დულსინეს ვეღარ ვნახავ“. საჭურველმტვირთველმა თავის „უცნაურ“ ბატონს უთხრა, რომ ამ ფაქტის დაკავშირება რაიმე ცუდთან არ შეიძლება.

რაინდსა და საჭურველმტვირთველს ის ორი ბიჭი მიუახლოვდა. სანჩომ ჰკითხა, რატომ ჩხუბობთო. ერთმა მეორეზე თქვა: „**გალია წავართვი ჭრიჭინებით და თავის სიცოცხლემთაგ ადარ ვაპირებ მის დაბრუნებასო**“. სანჩომ ჯიბიდან ოთხი კუარტილი ამოიღო, პატარა ბიჭს მისცა გალიის საფასური და მერე თავისი ბატონი დაამშვიდა, ახლა ყველა ცუდი წინათგრძნობა მოგშორდა და გაუქმდა, სოფლის მღვდლის თქმით, ასეთ სისულელეებს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, თქვენც ხომ ჩამაგონეთ, კარგი და ცუდი ნიშნების მხოლოდ სულელებს სჯერათო.

დონ კიხოტმა მოახლოებულ მონადირეებს კურდღელი გადასცა. რაინდი და საჭურველმტვირთველი გზას გაუდგნენ. ვირს თავზე არახჩინი ეხურა და ის მოსასხამი ეფარა, ალტისიდორას გაცოცხლების ღამეს სანჩოს რომ ჩააცვეს.

სოფლის შესასვლელთან მღვდელი პეროს პერესი და ბაკალავრი სამსონ კარასკო დაინახეს. ისინი ხელგაშლილები შეეგებნენ ჩვენს მოგზაურებს. ყველანი დონ კიხოტის სახლისაკენ გაემართნენ. მათ სახლის გამგე დიასახლისი და დისწული მოუთმენლად ელოდნენ. ტერესა პანსამ თავის ქალთან ერთად მოირბინა და თავისი ქმარი გუბერნატორის შესაფერისად მორთული რომ ვერ ნახა, შეჰყვირა: ძალივით ქვეითად, ფეხებდასიებული მოდიხარ, ეტყობა უმაქნისი ხარ და არა გუბერნატორიო. სანჩომ მიუგო, რომ სამაგიეროდ ფული მოიტანა, არ მოუპარავს, შრომით მოიპოვა. „**ვირი წინ გაიგდეს და ეს სასიამოვნო სახლობა თავის სახლში წავიდა**“ [2,535], ხოლო დონ კიხოტი სახლის გამგის, დისწულის, მღვდლისა და ბაკალავრის გარემოცვაში დატოვა.

დონ კიხოტმა თავის მეგობრებს: „**მღვდელსა და ბაკალავრს მოუთხრო თავისი დამარცხების ამბავი და გააცნო ნაკისრი ვალდებულება - მთელი წლის განმავლობაში სოფლიდან არსად გავალ და იმ ვალდებულებას, როგორც ნამდვილი მოგზაური რაინდი, ჩემი რაინდული ორდენის სასტიკი წესებისა და დადგენილებათა მორჩილი, მტკიცედ, ერთი ნაბიჯის გადაუხვევლად აღვასრულებო. მერე კიდევ განუცხადა მათ, ამ ერთი წლის განმავლობაში მსურს მწყემსურ ცხოვრებას შევუდგე, უდაბურ ველ-მინდვრებში ვიხეციალო, სადაც შემეძლება, მგზნებარე სატრფიალო ოცნებებსა და ფიქრებში ჩავიძირო და თანაც მადლიანი მწყემსური ცხოვრება განვიცადო**“ [2,535].

რაინდმა მეგობრებს უთხრა: ერთ ფარა ცხვარს ვიყიდი და შემომიერთდითო, სახელების გადარქმევაზეც ვიფიქრე, დონ კიხოტი-კიხოტისი იქნება, ბაკალავრი-კარასკონი, მღვდელი - კურიამბრო, სანჩო პანსა - პანსინო...

ორივე მეგობარი ძლიერ გააოცა და თავზარი დასცა დონ კიხოტის ამ ახალმა სიგიჟემ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ იდალგო ერთი წლის განმავლობაში განიკურნებოდა. „**თანხმობა**“ განუცხადეს. კარასკომ თქვა: „**უჩინებულესი პოეტი ვარ, ყოველ ნაბიჯზე მწყემსურ ანუ საგმირო ლექსებს შევთხზავ... ყველა ჩვენგანმა**

თავისი მწყემსი ქალის სახელი აირჩიოს, რომლის შექებაც განზრახული აქვს თავის ლექსებში“...

„ჩინებულა! - სწორედ მაგაშია საქმის ნამდვილი არსი, - შესძახა დონ კიხოტმა. - პირადად მე არ მჭირდება საოცნებო მოგონილი მწყემსი ქალის სახელის მოძებნა, რადგან უკვე მყავს შეუდარებელი დულსინე ტობოსელი, დიდება და სახელი ამ მდინარეთა ნაპირებისა, მშვენება ამ ველ-მინდვრებისა, სილამაზის საუნჯე, მშვენიერების და გონიერების საკვირველება და, დასასრულ, განხორციელება სისრულისა, რომელიც ყოველგვარი ხოტბის ღირსია“[2,535–536].

კარასკომ ისევ თქვა, შეგვიძლია ქალთა სახელები უკვე დასტამბული წიგნებიდან ამოვიღოთ, მაგალითად: ფილიდა, ამარილისი, დიანა, ფლორიდა, გალატეა, ბელისარდა... სანჩო პანსამ, თუ ისიც ჩვენს ძმობაში შემოვა, თავისი ცოლი ტერესა პანსა ტერესაინას სახელით შეაქოსო...ამ ბოლო წინადადებაზე დონ კიხოტს გაეღიმა.

დიასახლისი და იდალგოს ძმისწული, თურმე, მათ საუბარს ყურს უგდებდნენ, პეროს პერესისა და სამსონ კარასკოს წასვლის შემდეგ, დონ კიხოტს უთხრეს, გვეგონა თქვენი მოწყალეობა: „დაბრუნების შემდეგ შინ დარჩებოდა და ჩვენთან ერთად მშვიდობითა და გონივრულად იცხოვრებდა, თქვენ ისევ მოგსურვებიათ ახალ ლაბირინთში გაიხლართოთ“... „მწყემსად ყოფნას ისევ მოგზაურ რაინდად ყოფნა სჯობია...სახლში დარჩით, თქვენს მეურნეობას მოკიდეთ ხელი, ხშირად თქვით აღსარება, ღარიბებს კეთილი უყავით“ [2,537].

დონ კიხოტმა თავის „კეთილ შვილებს“ სთხოვა, ლოგინთან მიეყვანათ, რადგან შეუძლოდ იყო.

იდალგო დააწვინეს, საჭმელი მიუტანეს და ბეჯითად მოუარეს.



თავი LXXIV

დონ კიხოტის ავადმყოფობა, ანდერძი და გარდაცვალება

დონ კიხოტი ც ი ე ბ ა მ შეიპყრო და ექვსი დღე იწვა. მღვდელი, ბაკალავრი და დალაქი მის მოსანახულებლად დღეში რამდენჯერმე მოდიოდნენ, სანჩო პანსა განუშორებლივ იჯდა რაინდის სასთუმალთან. მეგობრები ფიქრობდნენ, რომ დონ კიხოტი ამ მდგომარეობაში და მ ა რ ც ხ ე ბ ი ს წ უ ხ ი ლ მ ა და დ უ ლ ს ი ნ ე ს ჯ ა დ

ო ს მ ო შ ო რ ე ბ ი ს უ ი მ ე დ ო ბ ა მ ჩააგდო. ბაკალავრი სთხოვდა ამდგარიყო, სთავაზობდა მწყემსური ცხოვრება დავიწყოთო, ეკლოგაც დავწერე და კუნტანარელი მწყემსისაგან, მომავალი ფარის სადარაჯოდ, ორი ჩინებული ძაღლი, ბარსინო და ბუტრონიო, ვიყიდეო,

რაინდს არაფერი უქარვებდა სევდას. მკურნალმა გააფრთხილა იქ მყოფნი, ავადმყოფის სულზე იზრუნეთო. იდალგომ თავისი სიკვდილის ეს განაჩენი მშვიდად მოისმინა, დიასახლისი, დისწული და საჭურველმტვირთველი ატირდნენ, „ექიმის აზრით, დონ კიხოტს ი დ უ მ ა ლ ი ნ ა ლ ვ ე ლ ი და ს ე ვ და უღებდა ბოლოს“[2,538].

დონ კიხოტს ექვსი საათი ეძინა. გამოღვიძებისთანავე დაიძახა: „იყოსმცა კურთხეულ ყოვლადშემძლებელი ღ მ ე რ თ ი, რომელმაც ამ წამს თავისი ძაღლი მომფინა!.. [2,539].

...ახლა ვგრძნობ, ჩემს გონებას ნათელი ეფინება და იმ სქელი ნისლიდან გამოდის, რომლითაც საზიზღარი სარაინდო წიგნების შავსვიანმა და დაუცხრომელმა კითხვამ დამიბნელა გონება. მათი უშვერობა და სიცრუე ახლა შევიგენ და მხოლოდ იმას ვნანობ, რომ ყველაფერი ეს ძალიან გვიან გავიგე, დრო აღარ მრჩება ჩემი სულისთვის ნათლის მომფენი წიგნები წავიკითხო და ამით ჩემი შეცდომა გამოვასწორო...

... მინდა ისე მოვკვდე - ყველამ გაიგოს, რომ ჩემი სიცოცხლე ისეთი ცუდი არ იყო, რომ ჭკუიდან შემცდარის სახელი შემრჩეს. უგუნური ვიყავ, მაგრამ არ მინდა ჩემი სიკვდილი ამის დამამტკიცებელი იყოს“[2,539].

იდალგომ მეგობრებს მოუხმო: „მომილოცეთ, ჩემო კეთილო ბატონებო! ახლა თქვენ აქ დონ კიხოტ ლამანჩელს კი არა ხედავთ, არამედ უბედურ იდალგოს ალონსო კიხანოს, რომელსაც თავისი მშვიდი საქციელის გამო კეთილი დარქმევია. ამ წამიდან დაუცხრომელი მტერი ვარ ამადის გალელისა და მთელი მისი შთამომავლობისა; შევიძულე მოგზაურ რაინდთა ყველა უგუნური, მოჭორილი და ბილწი ისტორიები და ამგვარად ვხედავ მთელ იმ უგუნურებასა და ვნებას, რაც მე მათმა წაკითხვამ მარგუნა. ახლა, ამქვეყნად ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წამში, ყოვლად ღმობიერი მეუფის მეოხებით გონება გამინათლდა და ვაცხადებ, რომ ის წიგნები მეზიზღება და მათდამი სიძულვილს ვგრძნობ“[2,539–540].

მეგობრებმა გაიფიქრეს, დონ კიხოტი ახალმა სისულელემ შეიპყრო. კარასკომ დულსინე უხსენა, ჯადოსგან გათავისუფლდა და ჩვენც მზადა ვართ მწყემსები შევიქმნეთო.

დონ კიხოტმა მეგობრებს სთხოვა ჯერ ნოტარიუსი მოეყვანათ, ანდერძის შესადგენად, მერე კი მღვდელი, აღსარების ჩასაბარებლად.

„როდესაც აღსარება გათავდა, მღვდელი გამოვიდა და თქვა:

- ჩემო მეგობარნო! ა ლ ო ნ ს ო კ ი ხ ა ნ ო კ ე თ ი ლ ს სრული გონება დაუბრუნდა, მაგრამ სიცოცხლე კი მართლაც აღარ დაუბრუნდება. შედით მასთან და ანდერძის შედგენას დაესწარი“[2,540].

ყველა ატირდა, რადგან: „დონ კიხოტი მაშინაც კი, როდესაც უბრალო ალონსო კიხანო კეთილი იყო და შემდეგაც, როდესაც რაინდი დონ კიხოტი ლამაზი შეიქმნა, მუდამ მშვიდი, თავმდაბალი და სასიამოვნო ხასიათისა იყო, და იგი არათუ ნათესავებს, მეგობრებს და მსახურებსაც, არამედ ყველა ნაცნობს უყვარდა“[2,541].

ა ნ დ ე რ ძ ი შემდეგი საკითხებისგან შედგებოდა:

„ს ა ნ ჩ ო კ ა ნ ს ა ს, ჩემი უგუნურების დროს საჭურველმტვირთველად რომ ავიყვანე, - დარჩეს ფული, რაც მის ხელთაა, რადგან ჩემსა და მას შორის სხვადასხვა ანგარიშები იყო, და იმ ფულიდან ჩემი ვალის განაღდების შემდეგ ვინიცობაა მცირედი რამ გადარჩეს, ის გადანარჩენიც მის საკუთრებად გადავიდეს და კეთილადაც მოხმარდეს“[2,541].

„მთელს ჩემს ქონებას, უძრავსა და მოძრავს, ყოველივე განუმარტებლად, ვუტოვებ აქ დამსწრეს ჩემს დისწულს ა ნ ტ ო ნ ი ა კ ი ხ ა ნ ო ს, ამთავითვე იმ ფულის გამოკლებით, რაც სხვადასხვა პირთათვის მისაცემი ჩემს ანდერძშია მოხსენებული და ყოვლის უწინარეს მათ შორის ჩემს ს ა ხ ლ ი ს გ ა მ გ ე დ ი ა ს ა ხ ლ ი ს ს მიეცეს ჯამაგირი, რაც მე მთელი მისი სამსახურის ხნისა მმართველს და ამას გარდა ზედმეტად ტანისამოსისათვის ოცი დუკატი. ჩემი ანდერძის აღმსრულებლად ვნიშნავ აქ დამსწრე მღვდელსა და ბაკალავრ სამსონ კარასკოს“[2,542].

„ჩემი დისწული ა ნ ტ ო ნ ი ა კ ი ხ ა ნ ო ისეთ კაცს მისთხოვდეს, ვისაც სარაინდო წიგნებისა არა გაეგება რა, და ეს წინასწარ უნდა იქნეს დადასტურებული; და თუ გამოირკვევა, რომ ის კაცი სარაინდო წიგნებს ეწყობა, და ჩემი დისწული მაინც მოისურვებს მის გაყოლას, მაშინ მას ჩემი ნაანდერძევი უნდა ჩამოერთვას და მთელი ქონება ჩემს მინდობილთ, ანდერძის აღმსრულებელთ გადაეცეს, მათი შეხედულებისამებრ კეთილი საქმისთვის მოსახმარებლად“[2,542].

„ვთხოვ და ვემუდარები ხსენებულ ჩემს მინდობილებს, თუ ოდესმე შეხვდეთ დამწერი იმ წიგნისა, რომლის სათაურია „მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი დონ კ ი ხ ო ტ ი ლ ა მ ა ნ ჩ ე ლ ი ს ა“, ჩემს მაგიერ გადასცენ და სთხოვონ მას, მაპატიოს, რომ ყოვლად განუზრახელად მიზეზი მივეცი იმდენი სისულელის დაწერისა, რასაც ეს წიგნი შეიცავს“[2,542].

ანდერძის შედგენა დასრულდა, დონ კიხოტი გულშეღონებული ლოგინზე დაეცა, სამი დღის განმავლობაში უგონოდ იყო.

„სიკვდილის წინ ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი წ ე ს ი შეასრულა: ზ ი ა რ ე ბ ა მიიღო და სარაინდო წიგნებს შეჩვენება და ზიზღი შეუთვალა. იქვე მყოფმა ნოტარიუსმა შენიშნა, ჯერ მე არც ერთ რაინდულ წიგნში არ წამიკითხავს, რომ რომელიმე მოგზაური რაინდი დონ კიხოტით თავის ლოგინში დამშვიდებით და ქრისტიანულად მომკვდარიყოსო; მან კი ყველა დამსწრეთა ურვა წუხილსა და ცრემლთა ფრქვევა-ქვითინში განუტევა სული“[2,543].

მღვდელმა ნოტარიუსს დონ კიხოტის გარდაცვალების მოწმობა მოსთხოვა, რათა სიდ ჰამეტ ბენენჰელის გარდა, არც ერთ მთხზველსა და მჯღაზნელს არ ჰქონოდა უფლება, გაეცოცხლებინა იდალგო და ცრუ გმირად წარმოეჩინა.

სიდ ჰამეტ ბენენჰელიმ მისი დაბადების ადგილი და სამშობლო კუთხე არ მიუთითა, რათა ლამანჩის ყველა ქალაქსა და სოფელს ერთმანეთთან არ ეკამათათ, ისე, როგორც ჰომეროსის გამო დაობდა საბერძნეთის შვიდი ქალაქი.

სამსონ კარასკომ შეთხზა ე პ ი ტ ა ფ ი ა:

აქ არის განთქმულ იდალგოს ბინა,
ვინც იყო გმირი შეუსადარი,
ვინც ბოროტებას აღუდგა წინა,
ვინც თვით სიკვდილმა ვერ შეაშინა,
ოდეს გაულო სამარის კარი.
დასთმო ქვეყანა ხმაურიანი,
ეხეტებოდა ვით სიცხიანი,
რითაც გაართო ყველა მნახველი,
სამარადისო ჰპოვა სახელი,
და მოკვდა გიჟი, როგორც ჭკვიანი[2,544].

სიდ ჰამეტ ბენენჰელიმ „ვიღაც მატრაკვეცა და ცრუპენტელა ტორდესილასელ მჯღაზნელზე,“ თავის კალამს ასე მიმართა: „ტლანქი და ცუდად გამოჭრილ-წამახული სირაქლემას ფრთის კალმით“ არ უნდა აღწეროს დიდებული კაბალეროს, დონ კიხოტის, საგმირო საქმეები, „თუ ოდესმე შემთხვევით შეხვდე მას, ურჩიე და უთხარ, დონ კიხოტის დაღლილსა და უკვე გახრწნილ ძვლებს ნუ შეარყევს და შეაშფოთებს კუბოში და სიკვდილის ყველა კანონის ჯიბრზე ძველ კასტილიაში ნუ წაიყვანს; ნუ გამოიხმობს მას სამარიდან, სადაც იგი მთელი თავისი სიგრძით უცვალებლად და საბოლოოდ გამოტილა და მესამედ გასამგზავრებლად ღონე აღარა აქვს. უამრავ მოგზაურ რაინდთა ურიცხვი ხეტიალის დასაცინარად და აზურად ასაგდებად საკმარისია მისი ორი გამგზავრებაც, ყველა იმათ გასაკვირვებლად და შესაქცევარად ჩადენილი, - ვის ყურამდისაც (შორეულ თუ მახლობელ ადგილებში) ამ ამბებმა მიაღწიეს. ამას, რომ ჩაიდენ, შენს ქრისტიანულ ვალს მოიხდი“[2,544].

სიდ ჰამეტ ბენენჰელს(სერვანტესს) მიაჩნია:

„დიახ, მარტოოდენ ჩემთვის დაიბადა დონ კიხოტი, ისე როგორც მისთვის გავჩნდი და დავიბადე მე. მას წილად ხვდა ემოქმედა, მე - ამეწერა. ჩვენ ორნი ერთ განუყრელ სულსა და სხეულს შევადგენთ“ [2,544].

Vale* [2,545].



მეორე წიგნის შენიშვნები

თავი I

ს ე ვ ი ლ ი ა (ესპ. *Sevilla*)— ქალაქი სამხრეთ ესპანეთში. ანდალუსიის ავტონომიური რეგიონისა და სევილიის პროვინციის დედაქალაქი. მდებარეობს მდინარე გვადალკვივირზე, ატლანტის ოკეანის სანაპიროდან 87 კილომეტრის დაშორებით. ანდალუსიის დაბლობის ცენტრში.

სევილია, <https://ka.wikipedia.org/wiki>

ი უ პ ი ტ ე რ ი — რომაულ მითოლოგიაში ჭექა-ქუხილის და ელვის ღმერთი, და მას იგივე როლი ჰქონდა, როგორც ზევსს, ბერძნულ პანთეონში. მას უწოდებდნენ *იუპიტერ ოპტიმუს მაქსიმუსი* (იუპიტერი უმაღლესი, უდიდებულესი), როგორც რომაული სახელმწიფოს მფარველ ღვთაებას, კანონისა და სოციალური წესრიგის განმკარგავს. სახელი მომდინარეობს სიტყვებიდან *Jove* და *pater* (ლათ. მამა).

ამავე ღმერთის სახელი დაერქვა პლანეტა იუპიტერს და თავდაპირველად ხუთშაბათსაც (ამჟ. ფრანგ. *jeudi*, ლათ. *Jovis Dies*-დან). ლინგვისტური კვლევების თანახმად ეს სახელი უნდა მომდინარეობდეს გერმანიკული *Tiwaz* (და *Zeus*)-დან, რომელიც ასევე სამშაბათს ერქვა. ასევე ეტიმოლოგიური კავშირია ვედურ რელიგიასთან (*Dyaus Pita*).

იუპიტერი, <https://ka.wikipedia.org/wiki>

ნ ე პ ტ უ ნ ი — სიშორით მერვე პლანეტა მზიდან და ყველაზე შორეული გაზის გიგანტი ჩვენს მზის სისტემაში ... პლანეტას რომაული ღმერთი ნეპტუნის სახელი ჰქვია მისი ლურჯი მეთანის ღრუბლების გამო. მისი ასტრონომიული სიმბოლო ღმერთის სამკაპის ნიშნის სტილიზებული ვერსიაა (♆).

პლანეტა აღმოჩენილ იქნა 1846 წლის 23 სექტემბერს და დღემდე მას მხოლოდ ერთი ხომალდი ვოიაჯერ 2 ეწვია, რომელმაც მის გასწვრივ 1989 წლის 25 აგვისტოს ჩაიფრინა.

ნეპტუნი, <https://ka.wikipedia.org/wiki>

თავი II

ს ა დ ჰ ა მ ე ტ ბ ე რ ე ნ ხ ე ნ ა — (ესპ. *berenjena* -ნიშნავს ბადრიჯანს) სანჩო ბენენჰელის ნაცვლად ამბობს ბერენხენას;

თავი III

წ მ ი ნ დ ა პ ე ტ რ ე ს ს ა მ ო ს ე ლ ი — მღვდლის ტანსაცმელი (ანაფორა, გრძელი მოსასხამი და შავი ქუდი), რომელიც იმ დროს სავალდებულო სამოსელი იყო სტუდენტისათვის, თუნდაც, ის სასულიერო წოდებისა არცკი ყოფილიყო (წ. აგიაშვილი).

მ ა თ უ ს ა ლ ა — მათუსალა: მათუსალას ხნისა - იტყვიან ძალიან ხნიერ ადამიანზე [ბიბლიური პატრიარქის მათუსალას სახელის მიხედვით, რომელმაც თითქოს ყველაზე დიდხანს (969 წელი) იცოცხლა].

უცხო სიტყვათა ლექსიკონი - <http://www.nplg.gov.ge>

ტ ო ს ტ ა დ ო–ზედმეტი სახელია ცნობილი ღვთისმეტყველის, ავილას ეპისკოპოსის ალონსო დე მადრიგალისა (გარდ. 1450 წ.)

1569 წ. ვენეციაში 124 უზარმაზარ ტომად გამოიგა მის თხზულებათა კრებული. მისი სახელი არაჩვეულებრივად ნაყოფიერი და მეტად მოსაწყენი მწერლის სინონიმად იქცა(ნ. აგიაშვილი).

თავი IV

ს ა კ რ ი ფ ა ნ ტ ე–„შმაგი როლანდის“ მოქმედი პირი(ნ.აგიაშვილი).

დ ე ს ი მ ა–ათსტრიქონიანი ლექსი, სადაც ყოველ ხუთ სტრიქონში მხოლოდ ორი რითმაა((ნ.აგიაშვილი);

რ ე დ ო ნ დ ი ლ ი ა – მაშინ ნიშნავდა ხუთსტრიქონიან ლექსს ორი რითმით, ახლა ეწოდება ოთხსტრიქონიან ლექსს (ნ.აგიაშვილი);

ს ა რ ა გ ო ს ა (Zaragoza) — არაგონის (ესპანეთი) დედაქალაქი. ა რ ა გ ო ნ ი (Comunidad Autónoma de Aragón) — ესპანეთი. ავტონომიური გაერთიანება 1981 წლიდან. რეგიონი მოიცავს 3 პროვინციას: უესკა, სარაგოსა, ტერუელი.

სარაგოსა, <https://ka.wikipedia.org/wiki>

უ ლ ი ს ე– ნიშნავს ოდისევსს ლათინურ ენაზე, ჰომეროსის პოემის „ოდისეის“ გმირი.

ე ნ ე ა ს ი–ვერგილიუსის (პუბლიუს ვერგილიუს მარო, ძვ. წ.70 – ახ.წ. 19) ეპოსის წინეიდას“ რომელშიც მოთხრობილია რომის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, მასში გადმოცემულია ტროას დარბევის ამბავი) გმირი.

თავი V

ა რ ბ ა ლ ე ტ ი– 1.ხელით სასროლი ძველებური იარაღი, გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი; იყენებდნენ დასავლეთ ევროპაში. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge>

2. მშვილდ-ისარისგან წარმოიქმნა არბალეტი არბალეტში განსხვავება ისაა რომ მის სროლას არ ესაჭიროება განსაკუთრებული უნარები და ძალა. გვიანდელ შუა საუკუნეებში არბალეტი შეცვალა ცეცხლსასროლმა იარაღმა მშვილდისარი–
<https://ka.wikipedia.org/wiki>

ს ა ნ ჩ ი კ ო , მ ა რ ი ს ა ნ ჩ ა–სერვანტესის დროს სოფლად არსებობდა ქმრიანი ქალისა და შვილისათვის სახელის ან გვარის მიკუთვნების სხვადასხვა წესი, ცოლს შეემლო მამის გვარის შენარჩუნება. სანჩო პანსას ცოლს თავის სწორ სახელად და გვარად ტერესა კასკახო მიაჩნია...სანჩო პანსას ცოლის სრული სახელი და გვარი იყო: ხუანა– ტერესა

სახელი) გუტერეს (მამის სახელი) კასკახო –მამის გვარი. ნათლობის სახელთან ერთად შვილებს არქმევდნენ დედ–მამის სახელიდან წარმომდგარ, ან მათგან შემოკლებულ სახელს; სანჩო პანსას ქალის ნათლობის სახელია მარიამი (კნინობითი–მარიკა), მაგრამ ამას გარდა რომანში მარისანჩა და სანჩა–სანჩიკაც ეწოდება... (ნ.აგიაშვილი).

ბ ა რ ა ბ –სახარებისეული ავაზაკი (ჯვარს აცვეს ქრისტესთან ერთად).

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი– <http://www.nplg.gov.ge>

თავი XL

კრკალი–(გრკალი)–რკალი მოდრეკით გარდაბმული

ლექსიკონი ქართული– <http://www.nplg.gov.ge>

თავი XXII

მ ო ნ ტ ე ს ი ნ ო ს ი–ძველი ესპანური რომანსების გმირი. თავის ბიძაშვილ დურანდარტესთან ერთად მონაწილეობდა რონსელვანის ბრძოლაში. სასიკვდილოდ დაჭრილმა დურანდარტემ მონტესინოსს სთხოვა ამოეჭრა მისი გული და მიერთმია თავისი შეყვარებულისათვის, ბელერმასათვის.

მონტესინოსმა შეასრულა ეს თხოვნა, შემდეგ დატოვა საფრანგეთი და წავიდა ლამანჩის მთებში, სადაც განდევილობაში გაატარა ცხოვრების დარჩენილი დღეები, ღრმა გამოქვაბულში.

მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტის“II ნაწილში, რაინდი ეშვება გამოქვაბულში, ტრანსში ჩავარდნილი ხედავს დურანდარტეს, რომლსაც არა აქვს, გული, მაგრამ მაინც ცოცხალია, ხვდება ბელერმას და დულსინეა ტობოსელს...

<http://www.clubook.ru/encyclopaedia/montesinos>

სერვანტესმა ეს ლეგენდა საფუძვლად დაუდო მონტესინოსის შესახებ მოთხრობას,რაც მეტისმეტად სახუმაროდაა პაროდირებული და აბსურდამდისაა დაყვანილიაქ გამოყვანილია იდეალური მიჯნურები–დურანდარტე და ბელერმა, უბედური მიჯნურის იდეალური ძმა–მონტესინოსი ; გმირის საჭურველმტვირთველი გვადიანა; გმირი ქალის დუენია–რუიდერი...(ნ. აგიაშვილი);

თავი XXV

რ ე ხ ი დ ო რ ი– ქალაქის ან სოფლის სამმართველოს წევრი (ნ.აგიაშვილი) ;

მ ა ე ს ე–მაესტრო–ოსტატი

თავი XXVI

ა ლ კ ა ლ დ ი–ქალაქის თავი ან მსაჯული, იგი თანამდებობით რეხიდორზე უფროსი იყო(ნ.აგიაშვილი).

თავი XXXI

დ უ ე ნ ი ა [ესპ. Duenia] – ესპანეთში: 1. ხნიერი ქალი, რომელიც მიჩენილი ჰყავდა ახალგაზრდა ქალს და თვალყურს ადევნებდა მის ქცევას. 2. დიასახლისი, ქალბატონი.
www.bu.org.ge/books/1800_დ.doc

თავი XXXIV

კ უ რ ძ ვ ა ლ ი–მეძალღე (მონადირე)

ონლაინ ლექსიკონი, <http://translate.voov.me>

კურძვალი–ძალღის გამწვრთნელი

ზნენი სამამაცონი, <https://matekari.wordpress.com/2009/05/13>

თავი XXXV

ს ა ძ ა გ რ ა ვ ი–საოფლე, უნაგირქვეშა ქეჩა

ზნენი სამამაცონი, ცხენის აღკაზმულობა, <https://matekari.wordpress.com/2009/04/29>;

ქ უ რ ა ნ ა–(ქურანი)–წაბლისფერი ცხენი

ლექსიკონი ქართული, <http://www.nplg.gov.ge>;

კერეონი–ცვილის სანთელი

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, <http://www.nplg.gov.ge/saskolo>.

თავი XXXVIII

ალგუასილი–ესპანეთში მოსამართლე, ან ქალაქის გუბერნატორი

Альгвасил, <https://translate.google.ge/translate>

თავი XL

კ ლ ა ვ ი ლ ე ნ ი ო–შედგება ორი სიტყვისაგან „პალო“ და „დირე“(ნ. აგიაშვილი).

თავი XLII

აუდიტორი–კონტროლიორი, რევიზორი

აუდიტორი, <https://ka.glosbe.com/ka/>

თავი XLV

ბ ა რ ა ტ ა რ ი ა – იმავე წარმოშობისაა როგორც ზედსართავი სახელი –barato–„იაფი“, „ჩალის ფასად გასასყიდი“, Barata საკუთრივ ნიშნავს მოტყუებას, გაიძვერობას ვაჭრობის დროს–ღირებულებაზე ნაკლებ ფასში ნივთის გაცემას. Barataria–მოტყუება, გაიძვერობა (ნ.აგიაშვილი).

თავი XLVI I

მ ა ე ს ტ რ ე ს ა ლ ი – მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა დიდებულთა ოჯახებში, იგი თვალყურს ადევნებდა სასადაილოს, სუფრას, იქ მყოფ ფარემ–მსახურებს, მირთმევამდე სინჯავდა ყოველ კერძს(ნ.აგიაშვილი).

L

დ ო ნ ი ა [ესპ. Donia] – ზრდილობიანი მიმართვა ქალისადმი ესპანეთში და იმ ქვეყნებში, სადაც ესპანური ენაა გავრცელებული; ერთვის სახელს წინ და ნიშნავს «ქალბატონს».

www.bu.org.ge/books/1800_დ.doc

დ ო ნ ა [იტალ. Donna] – ზრდილობიანი მიმართვა ქალისადმი იტალიაში; ერთვის სახელს წინ და ნიშნავს «ქალბატონს»

www.bu.org.ge/books/1800_დ.doc

დ ო ნ [ესპ. Don] – ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი ესპანეთში და იმ ქვეყნებში, სადაც ესპანური ენაა გავრცელებული; ერთვის სახელს წინ და ნიშნავს «ბატონს».

www.bu.org.ge/books/1800_დ.doc

თავი LVII I

ა რ კ ა დ ი ა – ძველი საბერძნეთის ნაწილი. აქაური მცხოვრებნი განირჩეოდნენ ზნე–ჩვეულებათა უბრალოებითა და გულუბრყვილობით. არსებობდა გადმოცემა, თითქოს უხსოვარ დროიდანვე აქ მეფობდა „ოქროს საუკუნე“, ადამიანები არ იცნობდნენ არც შრომას, არც ბოროტმოქმედებას და ცხოვრობდნენ მუდმივად და უვნებლად, როგორც მშვიდობიანი მწყემსები. ეს მოტივი ფართოდ იყო გამოყენებული XVI საუკუნის „მწყემსურ“ პოეზიაში.

ე კ ლ ო გ ა – „შერჩევა“
ანტიკურ და შემდეგ ევროპულ პოეზიაში: ლექსი მწყემსების ცხოვრების თემაზე, იდილიის მსგავსი.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი, <http://www.nplg.gov.ge>

თავი LIX

აველიანე და აქ სერვანტესი პირველად ახსენებს „დონ კიხოტის“ ყალბ II ნაწილს(1614), რომლის ანონიმი ავტორი თავს აფარებდა ქ, ტორდესილასელ ალონსო ფერნანდეს აველიანედას სახელს. ეს წიგნი სერვანტესის თხზულების უხეში მიზამკვაა. ნამდვილი ავტორი აქამდე უცნობია(ნ. აგიაშვილი).

თავი LX

როკეგინარტი–ისტორიული პიროვნებაა. მისი ნამდვილი სახელია პედრო როჩაგინარდა. იყო სერვანტესის თანამედროვე, ტომით კატალონიელი, მეთაურობდა ყაჩაღთა ბრბოს(ნ. აგიაშვილი).

ბასკებში–იზოლირებული ეთნოლინგვისტური ოჯახის მკვიდრი ხალხი ესპანეთში (950 ათ.) და საფრანგეთში (140 ათ.). ევროპის გარეთ არის მნიშვნელოვანი დიასპორები სამხრეთ ამერიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბასკები ძირითადად ორენოვანნი არიან.

ბასკებმა თავიანთი სახელი — Euskaldunak, აიღეს სიტყვიდან მათი ენის სახელწოდებისგან — Euskara.

დიდი ხანია არსებობს აზრი, რომ ბასკები გენეტიკურად განცალკევებული ხალხია. გავრცელებულია მოსაზრება, რომ ისინი ენათესავეებიან იბერიულ-კავკასიურ ერებს, კერძოდ კი — ქართველებს

ბასკები დიდი ხანია აქტიურობენ თავიანთი ენობრივი და კულტურული უფლებების დასაცავად, თითქმის რომის იმპერიის დასრულების პერიოდიდან. მე-20 საუკუნეში, მცირე ხნით (1936-37 წწ) ბასკურმა მიაღწია ოფიციალურ აღიარებას ბასკეთის ავტონომიური მმართველობის ფორმით ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, მაგრამ ფრანსისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში ეს ავტონომიურობა დაიკარგა. 1975 წელს, ესპანეთში მონარქიის აღდგენისთანავე, ბასკებმა გააგრძელეს ზეწოლა ესპანეთის მთავრობაზე და 1978 წელს კვლავ მიიღეს ავტონომიის უფლება, სადაც ესპანური და ბასკური ოფიციალურ ენებად გამოცხადდა.

<https://ka.wikipedia.org/wiki>

თავი LXIII

მონჟუიკი–ბარსელონის მარჯვენა ბორცვზე ამართული ციხე–სიმაგრე, სადარაჯო კოშკი, საიდანაც შორიდან ჩანდა მეკობრეთა ხომალდების მოახლოება (ნ.აგიაშვილი).

არაესი–(არაბული–არ–რაისი–„უფროსი“, ალჟირული ხომალდის მეთაური, კაპიტანი (ნ. აგიაშვილი).

ტორაკისი–ანუ თურქი, თურქები, როგორც უფრო მეომარი ტომი, მეკობრეთა ხომალდებზე მეომარ რაზმებს შეადგენდნენ (ნ.აგიაშვილი).

ანა–ფელიქსი–ნიშნავს „ანა ბედნიერს“(ნ. აგიაშვილი).

თავი LXIV

კ უ რ ი ა მ ბ რ ო –სახელი შედგება სიტყვებისაგან: ესპ.eura „მღვდელი,“ და ambro-ჩვეულებრივი ბოლოსართი რომანსებში (ნ.აგიაშვილი).

ტ ე რ ე ს ო ნ ა – სქელი. ბოლოსართ ona–ს მიმატება სახელს გაზვიადებულ ფორმას აძლევს (ნ.აგიაშვილი).

თავი LXIX

ს ტ ა ნ ს ი –(იტალიურია) ლექსის თითოეული ტაეპი შეიცავს რვა სტრიქონს(ნ.აგიაშვილი).

თავი LXX

ტ რ ო ა დ ა, ტ რ ო ის ო მ ი –ლეგენდის თანახმად, წარმოებდა მცირე აზიაში ქალაქ ტროის წინააღმდეგ აქეველთა მიერ, ტროელი პარისის მიერ სპარტის მეფის მენელაოსის ცოლის– უმშვენიერესი ელენეს მოტაცების გამო. ელენეს შეურაცხყოფილმა მეუღლემ, მენელაოსმა დახმარებისათვის მიმართა თავის ძმას, მიკენის მბრძანებელ აგამემნონს და სხვა ბერძენ მეფეებს. მათ შორის იყვნენ ბრძენი ნესტორი, ცბიერი ოდისევსი და უბადლო მეომარი აქილევსი. აქეველთა გაერთიანებულ ლაშქარს აგამემნონი სარდლობდა. ეს ომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ბერძნულ მითოლოგიაში და აღწერილია ეპიკურ პოემათა ციკლში, რომელთა შორის ჩვენამდე მხოლოდ ორმა - ჰომეროსის ილიადა და ოდისეა - მოაღწია. ილიადაში აღწერილია ომის გვიანდელი პერიოდი, ხოლო ოდისეა აღწერს ერთ-ერთი ბერძენი ლიდერის ოდისევსის შინ დაბრუნების თავგადასავალს. ამ ისტორიის დანარჩენი ნაწილი, სხვადასხვა ვერსიაში, აღწერს გვიანდელმა ბერძენმა პოეტებმა და რომაელმა პოეტმა ვირგილიუსმა მის ენეიდაში.

ძველ ბერძნებს სწამდათ, რომ ჰომეროსის მიერ აღწერილი მოვლენები სინამდვილეს შეესაბამებოდა. მათი მოსაზრებით, ეს ომი ძვ.წ. მე-13 ან მე-12 საუკუნეში უნდა მომხდარიყო და რომ ტროა მდებარეობდა დარდანელის სრუტის მიდამოებში, რაც ამჟამად თურქეთის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიაა. ამჟამად ეს ომიც და თავად ქალაქიც მითოლოგიურად მიიჩნევა. თუმცა, 1870 წელს გერმანელმა არქეოლოგმა ჰაინრიხ შლიმანმა ამ მიდამოებში გათხრები აწარმოა და მითოლოგიური ქალაქის გარკვეულ მინიშნებებს მიაკვლია. მიუხედავად ამისა, არ არსებობს რაიმე დოკუმენტური ნივთმტკიცება, რაც ჰომეროსის ტროის ან იქ მომხდარი ომის არსებობას დაასაბუთებდა.

<https://ka.wikipedia.org/wiki>

თავი LXXIV

Vale–ლათინურია,–ნიშნავს „მშვიდობით,“ კარგად იყავ“. ამ სიტყვას ყოველთვის დაურთავდნენ ბოლოს, მოკითხვის წერილებს(ნ.აგიაშვილი) .

სარჩევი

სერვანტესი მ. დონ კიხოტი. წიგნი IIთბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1959, 586 გვ.

1. თავი I თუ რა შეემთხვათ მღვდელსა და დალაქს დონ კიხოტთან-მისი ავადმყოფობის დროს.....
2. თავი II სადაც მოთხრობილია შესანიშნავი ჩხუბის ამბავი, სანჩო პანსას რომ დონ კიხოტის დისწულთან და სახლის გამგე დიასახლისთან მოუხდა და სხვა თავშესაქცევარი ფათერაკები.....
3. თავი III სადაც მოთხრობილია, თუ რა სასაცილო საუბარი გაიმართა დონ კიხოტსა, სანჩო პანსასა და ბაკალავრ სამსონ კარასკოს შორის.....
4. თავი IV სადაც სანჩო პანსა არკვევს ბაკალავრ სამსონ კარასკოს ბუნდოვან საკითხებს და აგრეთვე მოთხრობილია სათქმელად და საამბობლად ღირსსაცნაური სხვა ამბები.....
5. თავი V სანჩო პანსას მახვილგონივრული და სასაცილო საუბარი მის ცოლთან, ტერესა პანსასთან, აგრეთვე სხვა ფრიად სასიამოვნო და ღირსსახსოვარი ამბები.....
6. თავი VI თუ რა მოუხდა დონ კიხოტს თავის დისწულთან და დიასახლისთან, რაც ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი თავია მთელს ამ ისტორიაში.....
7. თავი VII რა მოხდა დონ კიხოტსა და მის საჭურველმტვირთველს შორის და სხვა ფრიად გასაოცარი ამბები.....
8. თავი VIII სადაც მოთხრობილია, თუ რა შეემთხვა დონ კიხოტს თავისი მიჯნურის დულსინე ტობოსელის სანახავად გამგზავრების დროს.....
9. თავი IX სადაც მოთხრობილია ის, რასაც დაინახავთ.....
10. თავი X სადაც მოთხრობილია, თუ რა ეშმაკურად მოაჯადოვა სანჩომ ქალბატონი დულსინე და კიდევ სხვა ფრიად სასაცილო და უაღრესად ჭეშმარიტი ამბები.....
11. თავი XI ამბავი უცნაური ფათერაკისა, სახელოვან დონ კიხოტს, „სიკვდილის სასახლის" ეტლთან თუ ურემთან შეხვედრისას რომ შეემთხვა.....
12. თავი XII საშინელი ფათერაკი, სახელოვან დონ კიხოტს მამაც სარკეთა რაინდთან რომ მოუხდა.....
13. თავი XIII სადაც გრძელდება ფათერაკი ტყის რაინდთან და მოთხრობილია ორი საჭურველმტვირთველის გონივრული, არაჩვეულებრივი და სასიამო საუბარი.....
14. თავი XIV სადაც გრძელდება ფათერაკი ტყის რაინდთან.....
15. თავი XV სადაც მოთხრობილია და ნაამბობი, თუ ვინ იყვნენ სარკეთა რაინდი და მისი საჭურველმტვირთველი.....
16. თავი XVI რა მოხდა დონ კიხოტსა და ერთ გონიერ ლამანჩელ რაინდს შორის.....
თავი XVII სადაც აშკარავდება, თუ როგორ უაღრესსა და უკიდურეს საზღვრამდე

- შეეძლო მიღწევა და მიაღწია კიდეც დონ კიხოტის არნახულმა ვაჟკაცობამ ლომებთან ბედნიერად დაგვირგვინებული ფათერაკის დროს.....
- 17.თავი XVIII** რა შეემთხვა დონ კიხოტს მწვანე მოსასხამის რაინდის ციხე-დარბაზსა თუ სახლში და სხვა არაჩვეულებრივი ამბები.....
- 18. თავი XIX** სადაც მოთხრობილია ფათერაკი შეყვარებულ მწყემსთან და სხვა ჭემმარიტად სასაცილო შემთხვევები.....
- 19.თავი XX** სადაც მოთხრობილია მდიდარი ქამაჩოს ქორწილისა და ღარიბი ბასილიოს ხვედრის შესახებ.....
- 20.თავი XXI** სადაც გრძელდება ქამაჩოს ქორწილის ამბავი და სხვა საინტერესო შემთხვევები.....
- 21. თავი XXII** სადაც მოთხრობილია შუაგულ ლამანჩაში მდებარე მონტესინოსის მღვიმეში მომხდარი დიდი ფათერაკის ამბავი და როგორ ბედნიერად დაასრულა იგი სახელოვანმა დონ კიხოტ ლამანჩელმა.....
- 22. თავი XXIII** ამაგი განსაცვიფრებელი ფათერაკებისა, ფრიად გამბედავმა დონ კიხოტმა მონტესინოსის უძირო მღვიმეში, რომ იხილა და რომლებიც ესოდენ არნახულია და დიდებული, რომ საფუძველი გვაქვს ისინი ყალბად მივიჩნიოთ.....
- 23.თავი XXIV** სადაც მოთხრობილია ათასი სხვადასხვა ამბავი, იმდენადვე სულელური და მოჩმახული რამდენადაც საჭირო და აუცილებელია ამ დიდებული ისტორიის სწორად გასაგებად.....
- 24.თავი XXV** სადაც აღწერილია შემთხვევა ვირის ყროყინის გამო, სასაცილო ფათერაკი თოჯინების თეატრთან და კიდეც მკითხავი მაიმუნის ღირსშესანიშნავი მისნობანი.....
- 25. თავი XXVI** სადაც გრძელდება სასაცილო ფათერაკი თოჯინების თეატრთან და კიდეც მოთხრობილია ჭემმარიტად საყურადღებო სხვა ამბები.....
- 26.თავი XXVII** სადაც ახსნილია, თუ ვინ იყვნენ მასე პედრო და მისი მაიმუნი და მოთხრობილია მარცხი, დონ კიხოტს რომ ვირის ყროყინის გამო მომხდარი ფათერაკის ჟამს შეემთხვა, რაც მისი ფიქრისა და სურვილის მიხედვით არ დაბლოვდა
- 27. თავი XXVIII** ამბების შესახებ, რომლებიც, ბენენჰელის სიტყვით, გასაგები იქნება მკითხველისათვის, თუ იგი ყურადღებით წაიკითხავს მათ.....
- 28.თავი XXIX** შესანიშნავი ფათერაკი მოჯადოებულ ნავთან.....
- 29.თავი XXX** თუ რა მოხდა დონ კიხოტსა და მშვენიერ მონადირე ქალს შორის..
- 30. თავი XXXI** სადაც მოთხრობილია მრავალი ღირსშესანიშნავი ამბავი.....
- 31.თავი XXXII** როგორ უპასუხა დონ კიხოტმა თავის შეურაცხყოფელს და სხვა ღირსშესანიშნავი და სასაცილო შემთხვევები.....
- 32.თავი XXXIII** ჰერცოგის ცოლისა და მისი მოახლეების საუბარი სანჩო პანსასთან, რაც წაკითხვისა და აღნიშვნის ღირსია.....

33. თავი XXXIV სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მონახეს საშუალება უბადლო დულსინე ტობოსელის მოჯადოების გაუქმებისათვის, ხოლო ეს ფათერაკი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავია ჩვენს წიგნში.....
34. თავი XXXV სადაც გრძელდება ამბავი, თუ როგორ გაიგო დონ კიხოტმა დულსინეს მოჯადოების გაუქმების საშუალება და სხვა განსაცვიფრებელი შემთხვევები.....
35. თავი XXXVI სადაც მოთხრობილია არაჩვეულებრივი და წარმოუდგენელი ფათერაკი დუენია დოლორიდასთან, ანუ სხვა სახელით-გრაფის მეუღლე ტრიფალდისთან, და აგრეთვე სანჩო პანსას მიერ თავის ცოლ ტერესა პანსასთან გაგზავნილი წერილის შესახებ.....
36. თავი XXXVII სადაც გრძელდება დუენია დოლორიდას ღირსშესანიშნავი ფათერაკების ამბავი.....
37. თავი XXXVIII სადაც მოთხრობილია დუენია დოლორიდას უბედურების ამბავი.....
38. თავი XXXIX სადაც გრაფის მეუღლე ტრიფალდი განაგრძობს თავის განსაცვიფრებელსა და ღირსსახსოვარ ამბავს.....
39. თავი XL ამბები იმ საგნებზე, რომლებიც ამ ფათერაკსა და ამ ღირსსახსოვარ ისტორიას შეეხება.....
40. თავი XLI კლავილენიოს მოვლინება და ამ გაჭიანურებული ფათერაკის დასასრული
41. თავი XLII რჩევა-დარიგებანი, დონ კიხოტმა სანჩო პანსას კუნძულის გამგებლად წასვლის წინ რომ მისცა, და მასთან სხვა მრავალმნიშვნელოვანი ამბები.....
42. თავი XLIII რჩევა-დარიგებათა მეორე ნაწილი, დონ კიხოტმა სანჩო პანსას რომ მისცა.....
43. თავი XLIV როგორ გაემგზავრა სანჩო პანსა კუნძულზე და უცნაური ფათერაკი, დონ კიხოტს ჰერცოგის დარბაზში რომ შეემთხვა.....
44. თავი XLV თუ როგორ მიიღო სამფლობელოდ დიადმა სანჩო პანსამ თავისი კუნძული და როგორი წესით დაიწყო მისი მართვა-გამგებლობა.....
45. თავი XLVI ეჭვნებიანი კატების საშინელი ალიაქოთი, გამიჯნურებულ ალტისიდორასთან სიყვარულის ახსნის დროს დონ კიხოტს რომ შეემთხვა.....
46. თავი XLVII გაგრძელება მოთხრობისა, თუ როგორ იქცეოდა სანჩო პანსა თავის საგუბერნატოროში.....
47. თავი XLVIII თუ რა შეემთხვა დონ კიხოტს ჰერცოგის ცოლის დუენია დონა როდრიგესთან და აღწერისა და სამარადისოდ უკვდავყოფის ღირსი სხვა ამბები.....
48. თავი XLIX რა შეემთხვა სანჩო პანსას კუნძულის შემოვლის ჟამს.....
49. თავი L სადაც ირკვევა, თუ ვინ იყვნენ დუენიის გამწვეპლავი და დონ კიხოტის დამჩქმეტი და დამკაწვრელი ჯადოქრები და ჯალათები, და მოთხრობილია ისიც,

- თუ როგორ მიართვა წერილი ჰერცოგის ცოლის პაჟმა სანჩო პანსას ცოლს, ტერესა სანჩას.....
- 50.**თავი **LI** სანჩოს შემდგომი მართვა-გამგეობისა და სხვა ჭეშმარიტად შესანიშნავი ამბების შესახებ.....
- 51.**თავი **LII** სადაც მოთხრობილია მეორე დამწუხრებული, ანუ უფრო სწორად, შეჭირვებული, დონა როდრიგესად წოდებული დუენის ფათერაკი.....
- 52.**თავი **LIII** სანჩო პანსას გუბერნატორობის სამწუხარო ბოლო და დასასრული.....
- 53.**თავი **LIV** სადაც ლაპარაკია ამბებზე, რომლებიც სწორედ ამ ისტორიას შეეხება და არავითარ რაიმე სხვას.....
- 54.**თავი **LV** რა შეემთხვა გზაზე სანჩოს და სხვა ამბები, რომლის უმჯობესს კაცი ვერაფერს გამოიგონებს.....
- 55.**თავი **LVI** დონ კიხოტ ლამანჩელის არნახული და უმაგალითო ბრძოლა ჰერცოგის მსახურ ტოსილოსთან-დუენია დონა როდრიგესის ასულის ღირსების დასაცავად.....
- 56.**თავი **LVII** სადაც მოთხრობილია, თუ როგორ გამოეთხოვა ჰერცოგს დონ კიხოტი და რა შეემთხვა მას ჰერცოგის ცოლის მოახლესთან, გიჟმაჟ და ყოჩად ალტისიდორასთან.....
- 57.**თავი **LVIII** სადაც მოთხრობილია, თუ როგორ დაატყდა თავს დონ კიხოტს ეგოდენ მრავალი ფათერაკი, რომ სულის მობრუნებაც აღარ აცალა.....
- 58.**თავი **LIX** სადაც მოთხრობილია არაჩვეულებრივი შემთხვევა, დონ კიხოტს რომ მოუხდა, რაც შეიძლება ფათერაკად ჩაითვალოს.....
- 59.**თავი **LX** თუ რა შეემთხვა ბარსელონას მიმავალ დონ კიხოტს.....
- 60.**თავი **LXI** რა შეემთხვა დონ კიხოტს ბარსელონაში შესვლისას და სხვა უფრო ჭეშმარიტი, ვიდრე გონივრული ამბები.....
- 61.**თავი **LXII** სადაც მოთხრობილია ფათერაკი ჯადოქრულ თავთან და სხვა სისულელე, რაც შეუძლებელია არ იქნეს ნაამბობი.....
- 62.**თავი **LXIII** რა უბედურება შეემთხვა სანჩო პანსას გაღერების დათვალიერების დროს და მშვენიერი მავრი ქალის არაჩვეულებრივი თავგადასავალი.....
- 63.**თავი **LXIV** ამბავი ფათერაკისა, რომელმაც იმაზე უფრო დიდი მწუხარება მიაყენა დონ კიხოტს, ვიდრე მანამდის შემთხვეულ ყველა ფათერაკს მიუყენებია.....
- 64.**თავი **LXV** სადაც განმარტებულია, თუ ვინ იყო თეთრი მთვარის რაინდი, და აგრეთვე მოთხრობილია ტყვეობიდან დონ გრეგორიოს გათავისუფლება და სხვა შემთხვევები.....
- 65.**თავი **LXVI** სადაც მოთხრობილია ის, რასაც მკითხველი წაიკითხავს, ხოლო მსმენელი გაიგონებს.....
- 66.**თავი **LXVII** როგორ გადაწყვიტა დონ კიხოტმა მწყემსად გახდომა და აღთქმულ ერთ წელიწადს ველ-მინდვრებში ცხოვრება, და სხვა ჭეშმარიტად შესაქცევი და სამხიარულო შემთხვევები.....

67. თავი LXVIII არასასიამოვნო, ჩხვლეტია ფათერაკი, დონ კიხოტს რომ შეემთხვა.....
68. თავი LXIX ფრიად საიშვიათო და არაჩვეულებრივი ფათერაკი, რომლის მსგავსიც დონ კიხოტს ამ დიდებული ისტორიის მანძილზე ჯერ არასოდეს არ შეემთხვევია.....
69. თავი LXX რომელიც მოსდევს სამოცდამეცხრეს და სადაც ამ ისტორიის ცხად-გასაგებად საჭირო საგნებზეა საუბარი.....
70. თავი LXXI რა შეემთხვათ დონ კიხოტსა და მის საჭურველმტვირთველ სანჩო პანსას თავიანთი სოფლისაკენ მიმავალ გზაზე.....
71. თავი LXXII როგორ ჩავიდნენ სოფელში დონ კიხოტი და სანჩო პანსა.....
72. თავი LXXIII ცუდი ამბების მომასწავებელი ნიშნები, სოფელში შესვლისას დონ კიხოტი რომ განმეხა, და აგრეთვე სხვა შემთხვევები, რომლებიც ამკობს და უაღრესად უტყუარს ხდის ამ დიდებულ ისტორიას.....
73. თავი LXXIV დონ კიხოტის ავადმყოფობა, ანდერძი და გარდაცვალება.....

სერვანტესი „დონ კიხოტი“

ამონარიდები მე-2 წიგნიდან

სერვანტესი მ. დონ კიხოტი. წიგნი II. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1959, 586 გვ.

- თავი რომ დაავადდება, მასთან მთელი ტანის ყველა სახსარი ავადობს[2,23];
- როგორც კი სადმე ს ა თ ნ ო ე ბ ა უაღრეს საფეხურს მიაღწევს, მაშინვე დევნას დაუწყებენ[2,24];
- ყველა პატიოსანსა და გ ა მ ო ჩ ე ნ ი ლ კ ა ც ს ისე არა გაახარებს რა, როგორც ის, რომ სიცოცხლის ჟამს ნახოს თავისი ისტორია დაბეჭდილი, ნახოს თავისი თავი საზოგადო პატივით და შეუმწიკვლეელი დიდების სხივით გარემოცული[2,28];
- კ ო ე ტ ს ა და ი ს ტ ო რ ი კ ო ს ს შორის ცოტაოდენი განსხვავებაა. პოეტი ისე არა ხატავს ამბავს, როგორც მოხდა, არამედ ისე, როგორც უნდა მომხდარიყო; ხოლო ისტორიკოსი - მომხდარ ამბავთა მონაა: იქიდან არც არაფრის ამომლა შეუძლია და არც არაფრის მიმატება[2,29];
- ყველაფერში ღ მ ე რ თ ს მიენდე... უიმისოდ ერთი ფოთოლიც კი არ მოწყდება ხეს. მაშინ ყველაფერი უკეთესად წარიმართება[2,30];
- რომანებისა და საერთოდ რაიმე სხვა წიგნების მ წ ე რ ა ლ ი კაცი კარგა მოწიფული აზრებისა და გამოცდილების პატრონი უნდა იყოს. მხოლოდ დიად გონებას აქვს ნიჭი მახვილგონივრულად იხუმროს, გულის გასაგმირად და ლამაზად ილაპარაკოს. ხომ იცით, კომედიაში ყველაზე ძნელი აღსასრულებელი

როლი - ეს ხუმარას როლია, რადგან ძალიან ჭკვიანი კაცი უნდა იყოს, რომ თავი დროზე მოისულელოს ხოლმე. ისტორიაზე ჩუმადა ვარ, - იგი წმინდა შრომაა, მასში მხოლოდ ჭეშმარიტება და სიმართლე უნდა მეფობდეს და ლაღადებდეს და, სადაც ჭეშმარიტება და სიმართლე სუფევს, იქ არის ღმერთი, რამეთუ თვით ღმერთია ჭეშმარიტება და სიმართლე; მიუხედავად ამისა, არიან ადამიანები, რომლებიც ისე ადვილად თხზავენ წიგნებს, თითქოს ქადას აცხოვნონ[2,32-33];

- ისეთი უვარგისი წიგნი არა არის რა, რომ კაცმა იქიდან ცოტა რამ კარგიც არ გამოიტანოს[2,33];
- რამდენი თხზულებათაა, რომ ქებით ცამდის აყავთ, ვიდრე მწერლის ჩანთაში ინახება, და, გამოდის თუ არა ქვეყანაზე- არარად იქცევა ხოლმე[2,33];
- დაბეჭდილი თხზულებათა მოცლილ დროს გულდადებით გაირჩევა, მცირედი შეცდომის პოვნაც შესაძლებელი ხდება და, რამდენადაც მწერალი ცნობილია, იმდენად ყველა მის მცირედ შეცდომას უფრო ბეჯითად ამჩნევს. ჩვენთა დიდ მგოსანთა და დიდებულ ისტორიკოსთ არასოდეს დალევიათ მოშურნეთა ბრბო, რომელთა ხელობა ის არის-თვითონ ვერაფერს ჰქმნიან, სხვისა ქმნილებას კი რაღაც ბოროტი სიამოვნებით ჰკილავენ[2,33];
- იქნებ ის ზოგიერთი მცირედი ლაქა, - კრიტიკოსთაგან შეცდომებად მიჩნეული, პოეტურ მომხიბლაობას უფრო აძლიერებს იმის მსგავსად, როგორც ბუნებრივი ხალი პირისახის დაგონჯების მაგივრად უფრო მეტ ლაზათსა და ეშხს მატებს მას. რაც უნდა იყოს, კაცი რომ თავის თხზულებას გამოაქვეყნებს, ამით იგი, ჩემი აზრით, დიდ განსაცდელში ვარდება, რადგან ამქვეყნად ისეთი თხზულება არ არის, რომ ყველა მკითხველს ერთნაირად მოსწონდეს[2,33-34];
- რამდენადაც სულელეების რიცხვს საზღვარი არა აქვს, იმდენად მათი თაყვანისმცემლების რიცხვიც უსაზღვროა[2,34];
- კეთილმოქმედების გზა ვიწრო და ნარეკლიანია, ხოლო ცოდვის გზა მშვენიერი და განიერია... [ამ]ორ გზას ორ სხვადასხვა მხარეს მივყავართ. ცოდვის მდიდრულ გზაზე გვდარაჯობს სიკვდილი, თუმცა კეთილმოქმედების გზა ეკლოვანიც არის, მაგრამ იმ გზით მივალთ, სადაც საუკუნო ცხოვრების ნათელი მოგვეფინება[2,51];
- ვიდრე სამტრედეში საკენკი იქნება, უმტრედოდაც არ დარჩება[2,55];
- უხეირო ნადავლს კარგი იმედი სჯობია[2,55];
- ყველა სხვა ბიწიერება რაღაც სიტკბოებასა და სიამეს მინც გვრის ხოლმე ადამიანს, მარტოდენ მეშურნეობას თანა სდევს მწუხარება, გაბოროტება და გააფთრება[2,61];
- ჩვენი საქმენი იმსარწმუნოების სწავლას დავუქვემდებაროთ, რომლის წიაღსა შინა მყოფობის ბედნიერება გვაქვს. ჩვენი სიამაყე დევების ხოცვით დავიცხროთ, შური სულგრძელობით დავითრგუნოთ, რისხვა სიმშვიდით და გულგრილობით გავიქარწყლოთ, სიხარბე - მარხულობითა, ძილი - მცირედი საქმილითა და ბეჯითი მღვიძარებითა, დასასრულ, ვნებანი და ხურუში - ერთგულებითა[2,63];

- ს ც ე ნ ა სარკეა, რომელშიც სრულიად დაწვრილებით იხატება ჩვენი ცხოვრება. იგი გვიჩვენებს, რაც უნდა ვიყენეთ და ნამდვილად რანი ვართ[2,86];
- ჩვენი ცხოვრების სცენაზე დააცველა ეგ არა ხდება, სადაც ერთნი იმპერატორების როლს თამაშობენ, მეორენი-პაპებისას, ერთი სიტყვით ყველა პიროვნებას, როგორც კი კომედიებსა და დრამებშიც გვხვდება. და როდესაც ჩვენ სიცოცხლესთან ერთად ჩვენი საზოგადოებრივი როლიც თავდება, როდესაც სიკვდილი ჩვენს ამამაღლებელ და დამამდაბლებელ ნაირფეროვან სამოსს მოგვხსნის, მაშინ საფლავში ყველანი თანასწორნი ვხდებით[2,87];
- ცხოველები სანადამიანებმა ჭკუის სასწავლი მრავალი გაკვეთილი მიიღეს და ბევრი საყურადღებო რამ გაიგეს. ამის გასამართლებლად მე ვუჩვენებ ყველასაგან ნაქებ-ნადიდებ ძაღლის ერთგულებას, ჭიანჭველის შორსმჭვრეტელობას, წეროს სიფრთხილეს, სპილოს კეთილგონიერებას და ცხენის გულწრფელობას[2,89];
- ჭეშმარიტი ღმერთის არმცნობი ძველი ფილოსოფოსები ადამიანის უმაღლეს ბედნიერებად ბუნებითს ნიჭს, ბედნიერ ცხოვრებას, მეგობრების სიუხვეს და ბევრ კარგ შვილს თვლიდნენ[2,118];

- ტალანტი და მეცნიერება თვინიერ კეთილმოქმედებისა ნეხვის გროვაში მოყოლილ მარგალიტსა ჰგავს[2,118–119];

- შვილები თავიანთი მშობლები სნაწილს შეადგენენ... და ჩვენც თანამდებ ვართ გვიყვარდეს ისინი იმის განურჩევლად: კეთილნი არიან თუ არა, სწორედ ისევე, როგორც ჩვენი მშობლები გვიყვარს[2,119];

- შვილებს უნდა ვაყენებდეთ კეთილმოქმედების გზაზე დიადი და მშვენიერი მიზნების მისაღწევად, მეცადინეობით აღვზარდოთ და გონებას ვუხსნიდეთ მათ, რათა შემდეგში ყავარჯნად ექმნენ თავიანთ მოხუც მშობლებს და ასახელონ თავიანთი შთამომავლობა[2,119];

- იმ მამებს საქციელიც არ მომწონს, რომელნიც ძალას ატანენ შვილებს ამა თუ იმ საგნების შესწავლისას, მაგრამ, ამ მხრივ, შესაფერი რჩევის სარგებლობასაც არ უარყოფთ. როდესაც მოწაფეს ზენამ მისი ცხოვრებისათვის საკმაო შეძლების პატრონი მშობლები მიანიჭა და მას არ უხდება იმუშაოს pane lucrando[ანუ „ლუკმა პურისათვის“–ლათინური თქმაა], მაშინ, მე მგონია, ყველას ისა სჯობია - ნება მისცეს მას, ის მეცნიერება შეისწავლოს, რა მეცნიერებისაკენაც ბუნებითს მიზიდულებას გრძნობს[2,119];

- კოეზიში მეცადინეობა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე სასარგებლო, იგი მაინც უპატიოსნო არ არის[2,119];

- კოეზი ა... შეიძლება ტურფა და ნაზ ქალს მივამსგავსოთ, სათუთ ასაკოვანს, ყოველგვარი მშვენიერების პატრონს, რომლის გამდიდრებას, გამშვენიერებას, გალამაზებას ცდილობს ბევრი სხვა ქალი - სახელდობრ - ყველა მეცნიერება; იგი მათი დახმარებით უნდა სარგებლობდეს, ხოლო ყველა ისინი მისგან ბრწყინვალეობასა და კაშკაშს იძენდნენ. მაგრამ იგი ისეთი ქალია, რომელსაც არ უყვარს, რომ ყველა მას ებლაუჭებოდეს, ქუჩა-ქუჩა ათრევდეს, მოედნებზე, ქუჩებში და სასახლეთა ჯურღმულებში საჩვენებლად გამოჰყავდეთ" იგი ისეთი მასალისაგან არის შემდგარი, რომ, ვინც მისი მოხმარება იცის, პიტალო, დაუფასებელ ოქროდ შეუძლია აქციოს. ვინც იმას ფლობს, მზრუნველობით უნდა ვლიდეს და იცავდეს, არ უნდა მიუშვას იგი საზიზღარ სტრიქონებში და უზნეო სონეტებში სანავარდოდ, არავითარი სახით არ უნდა იყიდებოდეს იგი. გაყიდვა შეიძლება მარტო გმირული პოემებისა, მწუხარე ტრაგედიებისა და მხიარული კომედიებისა. იგი უნდა აშორეთ მასხარათა და ბრიყვ მდაბიოთა, რომელნიც მისია საუნჯეთა ვერ შეიგნებენ და ვერც დააფასებენ[2,119];

- ნუ გგონიათ... მ და ბ ი ო ს სახელით ბრბოს, ანუ დაბალი შთამომავლობის პირთ ვგულისხმობდე, - სულაც არა, ყველა უვიცი, თავადი იქნება თუ აზნაური, ჩემი აზრით, მდაბიოთა რიცხვში უნდა შეირიცხოს[2,120];

- ვინც კოეზი ის მოხმარებას შეიძლებს, მთელი ქვეყნის განათლებულ ერთა შორის გაითქვამს სახელს[2,120];

- დიდი კოემეროსი ლათინურად არა წერდა იმიტომ, რომ ბერძენი იყო, და ვერგილიუსი ბერძნულად არ წერდა, რადგან რომაელი იყო. საზოგადოდაც ძველი პოეტები იმ ენაზე წერდნენ, რა ენაც, როგორც ამბობენ, დედის ძუძუსთან ჰქონდათ შეწოვილი, და თავიანთი დიადი აზრების გამოსახატავად სხვა ენას არ ეძებდნენ. ჩვენი დროის პოეტებიც მოვალენი არიან ამ მხრივ თავიანთ გამოჩენილ წინაპართ მიბაძონ[2,120];

- განა შეიძლება შევიძულოთ რომელიმე გერმანელი კოეტ იმისათვის, რომ იგი გერმანულად წერს, ანუ კასტილიელი, ანუ ბისკაელი იმისათვის, რომ ისინი თავიანთ მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ და წერენ?[2,120];

- ყოვლად საბუთიანი აზრი არსებობს, რომ კოეტებ ა დ ი ბ ა დ ი ბ ა დ ე ბ ი ა ნ ო, - სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ნამდვილი პოეტი დედის მუცლიდანვე გამოდის პოეტად და ამ ზეციდან მინიჭებული მიდრეკილების მეოხებით... ბუნებით პოეტი, ხელოვნებით დაოსტატებული, იმაზე აღმაღლდება, ვისაც პოეტად მოაქვს თავი, რადგან ხელოვნება იცის; და ეს სრულებით ბუნებრივია: ხელოვნება ბუნებაზე ვერ ამაღლდება, მხოლოდ განავითარებს მას [2,120];

- ნამდვილ პოეტად მხოლოდ იმას შეუძლია ყოფნა, ვისთანაც ბუნება ხელოვნებასთან შეერთებულია[2,121];
- ისეთი პოეტები არიან, რომ პონტოს კუნძულზე განდევნასაც არ მოერიდებიან, ოღონდ რაიმე კადნიერი, გესლიანი სიტყვა თქვან[2,121];
- თუ პოეტი თავის ცხოვრებაში უმწიკველია, ქმნილებანიც უმწიკველი ექნება. კალამი სულის ენაა. რასაც სული ჩაიფიქრებს, კალამიც მას გამოხატავს. და, როდესაც მეფენი ამა ქვეყნისანი ბრძენ და პატიოსან პირებში პოეზიის მომჯადოებელი მეცნიერებით შეპყრობილ ადამიანებს აღმოაჩენდნენ, ისინი აღამაღლებდნენ, ამდიდრებდნენ და ბოლოს აგვირგვინებდნენ მათ მეხის უშიშარი ხის ფოთლებით, ნიშნად იმისა, რომ არავინ ახლოს ხელი პოეტს, რომლის შუბლს ამშვენებს და ამკობს დიდების ეს გვირგვინი[2,121];
- გაბედულება, რომელიც უგუნურ კადნიერებამდის მიდის, უფრო სიგიჟესა ჰგავს, ვიდრე სიმამაცეს[2,125];
- –ყველა პოეტს საზოგადოდ ძალიან მოაქვს თავი; მეტად ქედმაღალნი არიან და ასე ჰგონიათ, რომ ისინი ყველაზე საუკეთესონი არიან მთელს ქვეყანაზე

–უეჭველად, ასეთი კარგი პოეტები არიან, რომლებიც მაინცდამაინც არ ქედმაღლობენ და ყველაზე უმჯობესადაც არ თვლიან თავს[2,135];

- სიყვარული ხშირად თვალებს გვიხვევს, გონებას გვაცლის და თვალედახუჭულს გვიმოქმედებს, ისე, რომ, განსაკუთრებული ალღოს აღება თუ არ ვიცით, ან ზენაარსი არ შეგვწევნია, არჩევანში ხშირად შევცდებით, იმ არჩევანში, რომელიც, ვინ იცის, ჩვენი მთელი სიცოცხლის ბედსა სწყვეტდეს ჩვენ რომ შორ გზას გავუდგებით ხოლმე, ერთგულსა და სასიამოვნო ამხანაგს ვირჩევთ[2, 144];
- კანონიერი ცოლი ნივთი კი არ არის-გაყიდვა ან გაცვლა და დათმობა შეიძლებოდა, არამედ ჩვენი არსების ნაწილია, ჩვენი სიცოცხლის დასასრულამდის ჩვენგან განუყრელი[2,144];
- ენის საუკეთესო მასწავლებელი გრამატიკაა, ვარჯიშობით განვითარებული[2,146];
- ოსტატობა ძალასა სჭარბობს[2,147];
- სიბრძნის დასაბამი, როგორც ცნობილია, ღვთის შიშში არის[2,157];
- ისეთი წყენისათვის სამაგიეროს გადახდა არ შეიძლება რა წყენაც სიყვარულისაგან წარმოდგება. სიყვარული იგივეა, რაც ბრძოლა. როგორც ომში ყოველგვარი ხერხი და მოტყუება ჯეროვნად არის ცნობილი სასურველი მიზნის მისაღწევად. ეს საქციელი ისევე სიყვარულშიც არის ნებადართული. ოღონდ ეს მოტყუება ქალის პატივს არ უნდა ბღალავდეს[2,161];
- ნიჭიერ, სათნო და კეთილგონიერ ადამიანს, თუნდაც ის ღარიბი იყოს, მუდამ ჰყავს ქვეყნად მეგობრები, მუდამ მზადყოფნა-გაჭირვების ჟამს დაიფარონ და ანუგეშონ ის, სწორედ ისევე, როგორც მდიდრები შოულობენ მამებელ ცბიერებს, მლიქვნელებს, ფულის გულისთვის მათ სადიდებლად გამზადებულებს[2,163];

- გ ა მ ი ჯ ნ უ რ ე ბ უ ლ თ ა თ ვ ი ს ქორწინებაზე უკეთესი არ არის რა, მაგრამ... სიყვარულის უდიდესი მტერი სიღარიბეა, შიმშილი და უღმობელი სიღარიბე შეუღლებულ მიჯნურთა ცხოვრებაში ყველაფერი სიხარულია, ბედნიერება და ნეტარება; მაგრამ... დიდი მტერიცა ჰყავს მას: სიღარიბე და ხელნაკლებობა[2,164];
- ხ ე ლ ო ბ ა შრომისმოყვარე კაცს მუდამ გამოკვებავს[2,164];
- ღარიბისთვის კარგი ც ო ლ ი ისეთი განძია, რომლის დაკარგვას შეიძლება პატივის დაკარგვაც მოჰყვეს. ღარიბი ქმრის პატიოსანი და ლამაზი ცოლი ღირსია დაფნით დამშვენდეს[2,164];
- ს ი ლ ა მ ა ზ ე თავისთავად თვალს ხიბლავს და გულს იმონებს; მისი გულისთვის, ვითა ძვირფასი დავლისთვის, იბრძვიან მეფეთა არწივები, კეთილშობილი შავარდნები და სხვა დიადი ფრინველები. მაგრამ სილამაზეს, სიღარიბით გარემოცულს, შიში აქვს-ყვავების, ქორების და სხვა მდაბალ მტაცებელ ფრინველთა თავდასხმის და ის ქალი, რომელიც ძლევა მოსილად მოიგერიებს მათ უპატიოსნო თავდასხმას, თამამად შეიძლება ქმრის გვირგვინად იწოდოს[2,164];
- ქ ვ ე ყ ა ნ ა ზე რამდენი იმტვრევს თავს ისეთი რამის გასაგებად და დასარწმუნებლად, რასაც არავითარი ფასი არა აქვს და რაც არავისთვის საჭირო არ არის[2,168];
- ფ ა რ ი ს ე ვ ე ლ ი, კეთილ კაცად თავის მომჩვენებელი, დიდსა და აშკარა ცოდვილზე უკეთესია;
- ხ მ ა ლ ი ადამიანს თუ დიდ სიმდიდრეს არ აძლევს, სამაგიეროდ მეტ პატივსა სძენს ვიდრე კ ა ლ ა მ ი...კალამს ადამიანისათვის მეტი სიმდიდრე მიუცია, ვიდრე ხმალსა, სამაგიეროდ, იარაღი რაღაც სიდიადეს იპყრობს, უფრო მეტად აგვიმაღლებს სულს: მას რაღაც პატიოსნება და ელვარება აქვს-მხედართა ამამაღლებელი ... ყველაზე ცუდი, რაც ამ ქვეყანაზე მოგველის-სიკვდილია, მაგრამ დიდებით, რომ მოკვდეთ-იმაზე უკეთესს ვერაფერს ვიზამთ[2,187];
- ერთხელ რომის დიდებულ იმპერატორს ი უ ლ ი უ ს კ ე ი ს ა რ ს ჰკითხეს: ყველაზე უკეთესი როგორი ს ი კ ვ დ ი ლ ი ა ო? მან უპასუხა-სწრაფი და მოულოდნელიო. თუმცა ეს სიტყვები ჭეშმარიტი ღვთის ცნებით გაუნათლებელი და წარმართი ბრძენისაგან არის ნათქვამი, მაინც ამით ჭეშმარიტებაა ნათქვამი, ადამიანის სულის ბუნებრივი ალღოსაგან წარმოდენილი. დაე, პირველსავე შეტაკებაში მოგვლან, რითაც უნდა იყოს, ზარბაზნის სროლით თუ ყუმბარის აფეთქებით, შენ ერთნაირად მოკვდები და შენს საქმესაც შეასრულებ (24-ე თ);
- ტ ე რ ე ნ ც ი უ ს ი ამბობს: მ ხ ე დ რ ი ს ა თ ვ ი ს ჯობია ომში მოკვდეს, ვიდრე ბრძოლის ველიდან გაქცეულმა იცოცხლოს...თუ სიბერემ იარაღში მყოფს მოგისწროს, თუნდაც დასახიჩრებელიც იყო - კოჭლი, ჭრილობით სავსე, მასთანვე დიდებით მოსილიც იქნები და ვერავითარი სიღარიბე იმ ელვარებას ვერ დაჩრდილავს, რა ელვარებასაც დიდება მოგფენს(24-ე თ);

- როდესაც მ ა მ ა ც ი გარბის - იმას ნიშნავს, რომ მან მტრის რიცხვობრივი უპირატესობა გამოამჟღავნა, რადგან გონიერი გმირი. თავის თავს უკეთესი შემთხვევისა და დროისათვის ინახავს[2,212–213];
- ს ი მ ა მ ა ც ე ს თუ გონიერება აკლია, თავხედობას უდრის, თავხედის გამარჯვება მუდამ ბედნიერ შემთხვევას მიეწერება და არა ხელოვნებას და ვაჟკაცობას[2,213];
- მაღალი თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა და საპასუხისმგებლო ადგილი ხან ზეცამდე აღამაღლებენ და გაანათლებენ ადამიანს და ხანაც საშინელ წყვდიადასა და უკუნში ჩაყურსავენ მას...
- დაპირება ძალიან ადვილია, მაგრამ აღსრულება კი ფრიად ძნელი[2,391];
- ის ფიქრი, ვითომც ამ ჩვენს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ში ყველაფერი ერთსა და იმავე მდგომარეობაში რჩებაო, ის იქნებოდა, რომ შეუძლებელი დაგვეჯერებინა. პირიქით... დედამიწის ზურგზე, ყველაფერი წრის შემოვლებით და მიმოქცევით მოძრაობს; გაზაფხულს ზაფხული მოსდევს, ზაფხულს - შემოდგომა, შემოდგომას - ზამთარი, ზამთარს კიდევ გაზაფხული და დროც მუდამ ასეთ მოძრავ ბორბალზე ტრიალებს. მხოლოდ მარტოოდენ ადამიანის სიცოცხლე, რომელიც დროზე უფრო მსუბუქი რამ არის, ყოველ ნაბიჯზე თავის დასასრულს უახლოვდება, - იმ იმედით, რომ საიქიო ცხოვრებაში ხელახლად აღდგინდება, სადაც საზღვარი არაფერს არა აქვს... რადგან ამ ცხოვრების მსწრაფლ მსვლელობა და ცვალებადობა და მყობადი ცხოვრების მარადჟამობა მრავალთ იმათაც განიცადეს და შეიგნეს, ვინც ჭეშმარიტი სარწმუნოების სინათლით არ არიან განათლებული და მარტოოდენ ბუნების მოვლენებს ეყრდნობიან[2,396–397];
- თუკი შენი ს ი ნ დ ი ს ი წმინდა არის, დაე, ხალხმა, რაც უნდა, ის თქვას. სხვის ენას ვერ დააბამ, როგორც მინდორს ჭიშკარს ვერ შეაბამ[2,414];
- გამდიდრებულ გუბერნატორს ქურდს ეძახიან, გაუმდიდრებელს კი სულელსა და უბადრუკს[2,414];
- თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ყველაზე უძვირფასესი სიკეთეა და განძი, რომელიც ზენამ მომადლა ადამიანს, ვერაფერი შეედრება თავისუფლებას, ვერც დედამიწის ქვესკნელში დამარხული საუნჯენი, ვერც დიდება, ვერც სხვა რამ.

თავისუფლებაზე სანუკვარი ბედნიერება ამქვეყნად არ არსებობს. თავისუფლებისათვის, ისე როგორც სახელისათვის, თამამად შეიძლება თავგანწირვა, რადგან მონობა და ტყვეობა უდიდეს უბედურებას შეადგენს ამ ქვეყანაზე[2,424];

- ბ ე დ ნ ი ე რ ი ა, ვისთვისაც ზენას ლუკმაპური მიუცია და მისთვის მარტო ზენას უნდა შესწიროს მადლობა[2,425];

- ეს იყო უდიდებულესი მოგზაური რაინდი ზეციური ლაშქრისა, წ მ ი დ ა გ ი ო რ გ ი ძღვეამოსილი, ამას გარდა ყმაწვილი ქალწულების სახელგანთქმული მფარველი[2, 425];
- (წმიდა მარტინე) ქრისტიანი რაინდთაგანი იყო... უფრო უხვი, ვიდრე მამაცი[2,426];

- ე ს კ ა ნ ე თ ი ს მ ფ ა რ ვ ე ლ ი...ცხენზე მჯდარი, ხელში გასისხლიანებული მახვილით, დამარცხებულ მავრებს რომ თავს ჰკვეთდა...ეს არის დიდებული ქრისტეს მხედრობის რაინდი დ ო ნ ს ა ნ დ ი ე გ ო მ ა ტ ა მ ო რ ო ს ი, ერთი უმამაცესთაგანი რაინდი[2,426];
- წ მ ი დ ა პ ა ვ ლ ე...ეს იყო ქრისტიანული ეკლესიის დაუძინებელი მტერი... და შემდეგ კი მისი საუკეთესო დამცველი გახდა... მოხეტიალე რაინდი სიცოცხლეში და უმშვიდესი წმიდანი სიკვდილის შემდეგ; დაუცხრომელი მუშაკი საუფლო ვენახში და ხალხთა განმანათლებელი, რომლის სასწავლებელი ზეცაში იყო, ხოლო მასწავლებლად და მოძღვრად თვით ქრისტე ჰყავდა[2,426];
- ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი მუდამ ერთი და იგივე როდი ხდება, ერთი შემთხვევა მეორეს როდი ჰგავს, ყველა შემთხვევითი მოვლენანი, ხალხი ჩვეულებრივ წინადმოსწავებას რომ ეძახის, ბუნების არავითარ კანონებს არ ემორჩილება, გონიერი კაცი მათში მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას ხედავს და სხვა არაფერს[2,427];
- ც რ უ მ ო რ წ მ უ ნ ე დილით ადრე რომ სახლიდან გამოვიდეს და ნეტარ ფრანცისკის ორდენის ბერი შეხვდეს, მაშინვე საჩქაროდ უკან დაბრუნდება, თითქოს გრიფონი ენახოს. სხვა კიდევ, რომელიმე ჩვენებურმა მენდოსამ, ტაბლაზე რომ მარილი დააბნოს, მაშინვე დაღონდება და მოილუშება, თითქოს ბუნებას ადამიანის ყველა მოსასვლელი უბედურების შეტყობინება ეკისროს. ჭეშმარიტი ქრისტიანი ამ უბრალო შემთხვევით როდი უნდა იგებდეს ზენაარსის ზენა სურვილს. სციპიონი რომ აფრიკას ჩავიდა, ნაპირზე გასვლისას წაიბორძიკა და დაეცა. მისმა ჯარისკაცებმა ეს შემთხვევა ცუდი ამბის მომასწავებლად ჩათვალეს, მან კი გულში ჩაიკრა მიწა და შესძახა: "ახლა კი ვეღარსად წამიხვალ, აფრიკავ, რადგან ხელებში მყავხარ ჩაბლუჯულიო"[2,427];
- ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ქელავს გონებას და ყოველგვარ მართებულობას. ის არავის არ უწევს ანგარიშს და არავითარი ზომა და კანონი მას არ გააჩნია. იგი თანაბრად იჭრება მეფის დიდებულ ციხე-დარბაზებში და მწყემსთა უბადრუკ კარვებში და, როცა სავსებით დაიუფლებს სულს, უწინარეს ყოვლისა, იქიდან გამოდევნის შიშსა და სირცხვილს[2,428];

- ს ი ლ ა მ ა ზ ე ორგვარია... სულიერი და ხორციელი. სულიერი სიყვარული გამოჩნდება და ბრწყინავს გონებაში, სიუხვეში, კეთილმდრეკილებაში, ზრდილობაში: ყველა ეს შეიძლება სულ ულამაზო კაცთანაც შეგხვდეს. ამ სილამაზეს შეუძლია ისეთივე მგზნებარე და ხანგრძლივი სიყვარული აღანთოს კაცის გულში, როგორც ხორციელ სილამაზეს... კაცს თუ სულიერი სილამაზე აქვს, ოღონდ კი მთლად გონჯი ნუ იქნება და შეუძლია ადამიანის გულში მგზნებარე სიყვარული აღძრას[2,429];
- უდიდესი ცოდვა ს ი ა მ ა ყ ე ა ო... „ჯოჯოხეთი უ მ ა დ უ რ ე ბ ი თ არის დასახლებული“... უდიდეს ც ო დ ვ ა დ უ მ ა დ უ რ ე ბ ა ს ვ თ ვ ლ ი [2,432];
- ყველა ჩვენგანზე მაღლა ღ მ ე რ თ ი დგას, ჩვენი საერთო კეთილისმყოფელი, და ყველა ჩვენი კეთილი მის კეთილის ყოფას ვერ შეედრება, - მათ შუა უზომო სივრცე ძევს, მაგრამ ამ ჩვენი სიგლახაკის მაგივრობას მაღლიერება სწევს[2,432];
- როგორც ცეცხლის ალის დამალვა არ შეიძლება, ისე ადამიანის კ ე თ ი ლ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს არ შეუძლია უჩინრად დარჩეს[2,463];
- ს ა მ ხ ე დ რ ო ს ა ქ მ ე შ ი გამოჩენილი გმირული საქმე და ღვაწლი კამკამითა და ბრწყინვალეობით ყოველივეს აღემატება და ჩრდილავს[2,463];
- ბ რ ბ ო... ცუდად აჯილდოვებს ნიჭიერ ადამიანებსა და ღირსეულ ნაშრომებს[2,470];

- ქვეყანაზე რამდენი ნ ი ჭ ი ქრება და იკარგება! რამდენ ღირსეულ ადამიანს უგულვებელყოფენ! [2,470];

- რამდენი კ ე თ ი ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ა, რომ არაფრად აფასებენ[2,470];

- ერთი ენიდან მეორეზე თ ა რ გ მ ნ ა, - ხოლო არა ბერძნულიდან და ლათინურიდან, იმ ყველა ენის მეფეთაგან,-იმას ჰგავს, კაცმა უცქიროს გადმობრუნებულ ფლამანდიულ ხალიჩას, რომელზედაც, თუმცა სურათებიც და ფიგურებიც ჩანს, მაგრამ ისინი მაინც გაბუნდოვანებულები არიან დაბლანდული ძაფებით და დაკარგული აქვთ საპირის მთელი ფერადოვნება და სისალუქე; ამასთან ადვილი და მონათესავე ენებიდან თარგმნა დიდი ჭკუასა და მჭევრმეტყველების გამომხატველი ვერ იქნება, ხოლო ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქზე გადაწერას ემსგავსება[2,470];

- ქვეყანაზე კ ა რ გ ი თუ ა ვ ი შემთხვევით არა ხდება, არამედ ზეცის განსაკუთრებული განჩინებით გვეგზავნება; ამიტომაც ამბობენ: ყველა თავისი ბ ე დ ი ს ა და უბედურების მიზეზი თვითონ არისო; ყველა თავის ბედსა და უბედობას თვითონ სჭედსო[2,473].

სანჩოს ანდაზები (სიტყვები) მეორე წიგნიდან

სერვანტესი მ. დონ კიხოტი. წიგნი II. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1959, 586 გვ.

- ყველამ თავის თავს უცქიროს, სხვას თავი ანებოს, შავს თეთრად ნუ ურევს და თეთრს შავად ნუ გაასაღებს და ახსოვდეს, რომ ყველა კაცი ისეთია, როგორც ღმერთმა გააჩინა, და ზოგჯერ იქნება უფრო უარესიც[2,36];
- ყველაფერს თავისი დრო აქვს: შეტევასაც და უკან დახევასაც[2,38];
- ბევრჯერ მსმენია, რომ ორი უკიდურესობის - სიმბდალესა და უგუნურ მამაცობას შორის ნამდვილი ვაჟკაცობა დგასო; და თუ ეს ასეა, მაშინ, როგორც ბრძოლის ველიდან უმიზეზოდ მოძურწვა არაა საკადრისი საქციელი, არც ბრძოლაში შეჭრაა სასარგებლო, თუ მტრის ჭარბი ძალები ამის ნებას არ იძლევიან[2,38];
- ჩვენი სიცოცხლე ღვთის სიტყვაზე უნდა იყოს დანდობილი და არა თავის მადლობელის სიტყვაზე[2,38];
- ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „როდესაც ხბოს გაჩუქებენ, - თოკით გაიქეციო“, და „თუ ბედი კარზე მოგადგეს, შინ შეუძებო“[2,39];
- ჩვენს გონებაში ის უკეთესად აღიბეჭდებაო, რაც თვალწინა გვაქვსო, ვიდრე ისაო, რაც ოდესმე გვინახავსო[2,45];
- ბედნიერებისაკენ ვინც მიფრინავს, მას ხელს ვერ წაავლებსო. აღარც ბედს უნდა დაემდუროს, როცა ის ბედნიერება მისგან გაფრინდებაო[2,43];
- -პატივი და დიდება სცვლის ადამიანს...
-მაგას ის იზამს, ვინც შამბსა და ჟალტამში დაბადებულა[2,39];
- როდესაც მდიდრულად ჩაცმულსა და მრავალი მსახურით ხლებულ კაცსა ვხედავთ, მისადმი უნებლიეთ პატივისცემას ვგრძნობთ, თუნდაც ოდესღაც იგი გლახაკიც გვენახოს. ეს იმიტომ, რომ, რა მდგომარეობაშიაც იგი ახლა გვეჩვენება, ოდესმე უწინ ნახულს ჩრდილავს და აბნელებს. მართლაც, ბედისაგან ამაღლებული კაცი, თუკი იგი გულკეთილია და პატიოსანი, იმაზე ნაკლები პატივისცემის ღირსი რად უნდა იყოს, ვინც დაბადებიდანვე მდიდარია? მართო მოშურნეთა თვისებაა - გამდიდრებულ ღარიბს უწინდელი სიღარიბე წააყვედროს[2,46];
- „რაც კალმით აღინუსხება, ნაჯახითაც ვერ ამოძირკვავ“[2,54];
- „როცა ქალაქი ლაპარაკობს, ენა ჩუმად არის“[2,54];
- „ჯერ ფონს სინჯავენ და მერე წყალში გადიანო“[2,54];
- „ერთი ნაჩუქები ორ დაპირებულად ღირსო“[2,54];
- ჩვენ ყველა მომაკვდავნი ვართ, დღეს ცოცხლები ვართ, ხვალ კი, ვინ იცის, ფეხები გავჭიმოთ; კრავიც ისე ჩქარა კვდება, როგორც ცხვარი. ამიტომ არც ერთი ჩვენგანი იმაზე მეტს ვერ იცოცხლებს, რაც ღვთისაგან აქვს დანიშნული. სიკვდილი ყრუა, როდესაც მოვა და სიცოცხლის კარებს დაგიკაკუნებს, მუდამ აჩქარებულია ამ დროს, მას ვერაფერი დააყოვნებს, ვერც განაშორებს: ვერც

ლოცვა, ვერც სკიპტრები, ვერც მიტრები, ვერც გვირგვინები, მის წინაშე ყველა არარაა[2,54];

- ქათამი ერთი კვერცხით იწყებს და დანარჩენებს ზედა სდებს, თავი და თავი ეს არის: ბევრჯერ აღებული ცოტა ბევრს შეადგენს[2,54];
- იმათი დიდება, ვინც მკვდრები აღადგინა, ბრმებს, მხედველობა, კოჭლს ფეხები და სუსტებს ჯანმრთელობა დაუბრუნა და ვისი ნაწილებისა და აკლდამების წინაშეც მუდამ მუხლმოდრეკილი მლოცველი ხალხის ბრბო დგას და ანთებული ლამპები კაშკაშებენ, მათი დიდება-მეთქი - სააქაოსაც და საიქიოსაც ყველა წარმართ იმპერატორსა და ყველა ოდესმე არსებულ რაინდზე მაღლა დგას[2,65];
- დაღონება ადამიანის თვისებაა და არა ცხოველებისა, მაგრამ, ვინც ნაღველს მეტისმეტად მიეცემა, ცხოველს ემსგავსება[2,80];
- ჭადრაკის თამაშშიაც ყველა ფიგურას დროებით რამე ღირსება ეძლევა და, თავდება თუ არა თამაში, ფიგურებს კრეფენ და კოლოფში ყრიან, ვით საფლავში ხალხს მათი უწინდელი წოდებისადმი ყურადღების მიუპყრობლად[2,87];
- ქვიშიანი ნიადაგი რომაა და არაფერი მოჰყავს სასუქს რომ დააყრიან და მოვლას დაუწყებენ, ისიც მოსავლის მოცემას დაიწყებს ხოლმე[2,87];
- ცის ქვეშ პურით კარგად იცხოვრებო[2,93];
- რასაც ნაპირს იქით დააწყობ, იმას შიგ არ ჩააწყობო[2,96];
- ვისაც სხვისა გაკრეჭა ნდომებია, ხშირად თვითონ გაკრეჭილი გამოსულა[2,104];
- ღმერთს მშვიდობა დაულოცავს და შფოთი შეუჩვენებია[2,104];
- გააფთრებული კატა ლომად გადაიქცევა ხოლმე[2,104];
- უფალი თუ ავადმყოფობას მოავლენს, მის წინააღმდეგ წამალსაც გზავნის[2,145];
- ვინ რა იცის, ქვეყანაზე რა მოხდება: დღეიდან ხვალამდის ბევრი წყალი ჩაივლის და ერთ წამში, რომელი სახლიც გინდა, შეიძლება დაინგრეს[2,145];
- ხშირად ერთსა და იმავე დროს მზეცა და წვიმაც მინახავს და ისიც ხდება ხოლმე, რომ კაცი ღამე საღსალამათი იძინებს და დილით კი ფეხებს გაჭიმავს[2,145];
- სიყვარული ისეთი სათვალეებით იცქირება, რომელიც სპილენძს ოქროდ აჩვენებს, სიღარიბეს - სიმდიდრედ და ნაგავს - მარგალიტად[2,145];
- ქვეყანაზე ორი რიგი და ორი მდგომარეობა არსებობს... ქონება და უქონლობა... ამ დროში იმას უფრო ეტანებიან... ვისაც რამე აქვს, და არა იმას, ვინც რამე იცის [2,155];
- ოქროთი მორთული ვირი უფრო ლამაზი მოჩანს, ვიდრე ყველა მოურთავ-მოუკაზმავი ცხენი[2,156];
- სანდო არ არის ის ბებერი ჩონჩხი - სიკვდილი, ისევე მაღიანად, რომ ბატკანსა სჭამს, როგორც ცხვარს... ის ერთნაირი ძალით ურახუნებს და ერთნაირად ადენს მუსრს როგორც მეფეთა დიდებულ სრა-პალატებს, ისე ღარიბთა ქოხებს...ყველაფერს მიირთმევს, ყველა მოსწონს და თავის ბალთას ყველა წოდებისა და წრის ხალხით ავსებს. ის...მთიბავია, რომელმაც ერთი წამის

მოსვენება არ იცის, მუდამ ყველგან ცელავს და მკის, როგორც ხმელ ბალახს, ისე მწვანესაც. ის არაფერს ღეჭავს, ერთბაშად ყლაპავს და, რასაც კი თვალით ხედავს, ყველაფერს მუსრავს. რაღაც ძაღლური შიმშილი სჭირს. ვერაფრით ვერ ძღება და, თუმცა კუჭი არა აქვს, მაინც შესაძლოა ვიფიქროთ, უთუოდ წყალმანკი სჭირს და ყველასაგან ცოცხალი სიცოცხლის დაღევა უნდა, როგორც ჩვენ ერთ ჭიქა ცივ წყალს გადავკრავთ ხოლმე[2,156–157];

- ვინც კარგად და მართლად ცხოვრობს, კარგად და მართლადაც ქადაგებს[2,157];
- ვინც სცოდავს და ინანიებს, მას ღმერთი შეივრდომებს[2,217];
- ქვეყანა ჩალით როდია დახურული[2,254];
- ღამე ყველა კატა რუხი ფერისაა[2,254];
- ის კაცი საკმაოდ უბედურია, ვინც შუადღის უკან ორ საათამდის უზმადაა და პირში ნამცეცი არ ჩაუდვია[2,254];
- ერთი კუჭი არ არის, რომ სხვების კუჭზე ერთი ბეწვათი დიდი იყოს და მისი ავსება ბზით და თივით შეიძლებოდეს[2,254];
- პატარა მინდვრის ჩიტუნებს ღმერთი აჭმევს და ასაზრდოებს[2,254];
- ოთხი ადლი მსხვილი კუნკური მაუდი უფრო ათბობს, ვიდრე ოთხი ადლი წმინდა სეგოვიური და ერთნაირად მიდიან მიწის წიაღში და ერთნაირ ადგილს იჭერენ დღიური მუშა და თავადი[2,254];
- პაპის სხეულიც იმოდენა ადგილს იჭერს მიწაში, რამოდენასაც უბრალო მნათეს სხეული, თუმცა პირველი მეორეზე ბევრად დიდმნიშვნელოვანია[2,254];
- როდესაც საფლავში ჩაწოლა გვიხდება, მაშინ ჩვენ ვიკუმშებით, ერთმანეთს ვაწვებით, ერთმანეთში ვირევით, ანუ უკეთ ვთქვათ: გვაშურებენ, გვაწვებიან, გვრევენ და არ გვეკითხებიან - გვენბავს ან მოგვწონს ეს თუ არა[2,254];
- ამბობენ - "ჯვარს უკან ეშმაკი დგასო"[2,255];
- ყველაფერი ოქრო როდია, რაც ბრწყინავს[2,255];
- შიში დაგვიანებაშიაო[2,300];
- როდესაც დეკეულს გაძღვევენ, თოკით გაიქეციო[2,300];
- წმიდა პეტრე რომშიაც კარგად არის[2,300];
- უკვე ვმშობიარობ, შენ კი მეკითხები - ქალწული თუ ხარო[2,301];
- საზოგადოებაში უმაქნისი ადამიანი სკაში, შრომისმოყვარე მუშა ფუტკრის მიერ მომზადებულ თაფლის მჭამელ მუქთახორა - მურა-ფუტკარს ემსგავსება[2,364];
- ღმერთი ყველას ერთნაირად ჰფენს მზის სინათლეს[2,363];
- თუ ვინმე თაფლად იქცა, - მას ბუზები შეჭამენ[2,363];
- ამბობენ, სილამაზე ყველაზე უფრო ჩქარა აღძრავს ხოლმე სიყვარულსაო[2,429];
- იცოცხლოს ქათამმა, იცოცხლოს თავისი წიწაკის სნეულებით[2,490];
- დღეს შენ გაიმარჯვე, ხვალ მე გავიმარჯვებ[2,490];

- ბრძოლის საქმეში, როდესაც ხმლებს ჩახაჩუხი გააქვს, თავდებად ვერავის დაუდგები: დღეს ის ეცემა, ვინც ხვალ ზევით აიწევს, თუ ლოგინში დარჩენას არ მოინდომებს[2,490];
- მამაცი დღეს ნუ დაღონდება და ხვალ უწინდელი ვაჟკაცობით დაიწყოს ბრძოლა[2,490];
- ღვაწლმოსილ ადამიანთა თვისებაა, უბედურებაში იმდენადვე მოთმინება გამოიჩინონ, რამდენადაც ბედნიერებაში სიხარულს განიცდიან[2,492];
- ის, რაღაც ბედს რომ ეძახიან, - ავზნე, უხასიათო დედაკაცია, მასთანაც მუდამ მთვრალი და ზედაც ბრმა; იგი რასაც სჩადის, ვერ ხედავს და არც იცის, ვის ამცირებს და ვის ამაღლებსო[2,492–493];
- ჭკვიანი ხალხის აზრით, ვირის დ ა ნ ა შ ა უ ლ ი არ შეიძლება მის კურტანს მიეწეროს[2,494];
- თუ გამოწვეულს უფლება აქვს იარაღის არჩევისა, კარგი არ არის გამოწვევა ისეთი იარაღი აირჩიოს, რომელიც მას გამაჯვებას დაუშლის[2,495].

ნაწყვეტები(ანდაზები) სანჩოს ცოლის, ტერესა პანსას,საუბრებიდან

„დონ კიხოტის“ მე–2 წიგნიდან

- საუკეთესო სანელებელი შიმშილია და, რადგან იგი ყველა ღარიბ კაცს აქვს, ამიტომაც ღარიბი მუდამ მაღიანად ჭამს[2,42];
- ალაღს რას არგებს არწივის ბუდე. შენი მდგომარეობის კვალად მოიქეცი და იმაზე მაღლა ასვლას ნუ ეცდები, როგორც ღმერთს გაუჩენიხარ. თანაც ნუ დაივიწყებ ანდაზას: „შენი მეზობლის შვილს ცხვირი მოწმინდე და შინ სიძედ შემოიყვანე“[2,43];
- ანდაზაა - "ტანისამოსი ადამიანს კიდეც ფარავს და კიდეც აშიშვლებსო". ღარიბს თვალი გაკვრით ეკარება, მდიდარზე კი დიდხანს შესდგება ხოლმე. და, თუ მდიდარი ოდესმე ღარიბი ყოფილა, იმაზე ლაპარაკსა და სჯას ვეღარ ათავებენ, და ყველაზე უარესი კიდეც ის არის, რომ ოღონდ კი ერთი მითქმა-მოთქმა დაიწყონ, თორემ განაღა გაათავებენ ოდესმე? მეჭორეებს ვინ არ იცის ფუტკარივით ფუთფუთი გააქვთ ქუჩებში[2,45];
- ქალები იმისათვის დავიბადეთ ამქვეყნად, რომ დავემორჩილოთ ქმრებს, თუნდაც ისინი ასეთი ჩერჩეტნიც იყვნენ[2,46].



სოლიკო ვირსალაძის მიერ შესრულებული

ესკიზი ბალეტისათვის „დონ კიხოტი“ საქართველოს ეროვნული არქივი, <https://ka.wikipedia.org/wiki>




სოლიკო ვირსალაძე – Soliko Virsaladze (1908-1989)

ქართველი თეატრალური მხატვარი. მისი მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „გედის ტბა“, „მძინარე მზეთუნახავი“, „მაკნატუნა“, მ. მინკუსის „დონ კიხოტი“, „შოპენიანა“ ფ. შოპენის მუსიკაზე, ა. მაჭავარიანის „ოტელო“, ვ. მოცარტის „დონ ჟუანი“ და სხვ.

სიმონ (სოლიკო) ვირსალაძე, <https://burusi.wordpress.com/2010/05/01>



ვახტანგ ჭაბუკიანი (1910-1992) ქართველი მოცეკვავე, ბალეტმამისტი და პედაგოგი, სსრკ სახალხო არტისტი (1950), ქართული პროფესიული ბალეტის ფუძემდებელი. ლუდვიდ მინკუსის „დონ კიხოტი“ ბაზილის პარტია(1930).



ნინო ანანიაშვილი „დონ

კიხოტი“ <https://www.google.com/>



კახი კავსაძე (დონ-კიხოტი) და მამუკა კიკალეიშვილი (სანჩო პანსა) ფილმში „ცხოვრება დონ-კიხოტისა და სანჩოსი“, <http://dspace.nplg.gov.ge>





ჩ ა ჩ ქ ა ნ ი და უ ბ ს ი ფ ა რ ი, <http://www.gotscha.nl/ge-abjari.htm>

საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ 1988 წელს ავსტრიის ქალაქ ტიროლში მოწყობილი ქართული ხელოვნების გამოფენის კატალოგიდან.



შ უ ბ ი ს არ ის ა, <http://ucnauri.com>

სხვადასხვა ერი სხვადასხვა ხანაში იყენებდა შუბებს: პილუმს, ალეზარდს, ბერდიუმს...



„ოდეს შორეულ მომავალში ჩემს სახელოვან საქმეთა მართალი ამბავი საცნაურ გახდება და - ბრძენი ისტორიკოსი ჩემთა ესრეთ დიადთა ღვაწლთა აღწერას დაიწყებს“...